


K 134 450
3

საქართველო
ბიბლიოთეკა

სიგა

K 134.450
3



გაბრიელ ბერიძე „საქართველო“

სსრკ

1968



წინამდებარე კრებული გამოდის აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისში ხატარდება. წიგნში შეტანილია აფხაზეთში მომუშავე ქართველი მწერლების ნაწარმოებები. მკითხველი აქ შეხვდება მწერალთა უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლებს, აგრეთვე ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

ჩვენი განახლებული მზიური სამშობლოს სისხლსავე ცხოვრება, მისი სახელოვანი აღამიანების სიტყვა და საქმე, გმირული შრომა და ამაღლებული სიყვარული წარმოადგენს ამ მწერალთა შთავგონების წყაროს. კრებული გარკვეულ წარმოდგენას მისცემს მკითხველს აფხაზეთში მომუშავე ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე.

საგვ-2000
ბიბლიოთეკა

ლენინის კარავი

სიყრმის დროიდან მუდამ მახსოვდა
ერთი სურათი, წიგნში ნანახი:
ჩანდა კარავი ფშანის მახლობლად,
შემობურვილი მწვანე ბალახით.

უკან მოჩანდა ტყე უსიერი,
შმაგი ქარისგან ტოტებდახრილი,
ელვა იწყებდა ცაში იერიშს,
ჩანდა ღრუბლებში მისი მახვილი.

თითქოს სურათი ალაპარაკდა —
დიდი წარსული შემომატარა;
დიდი ლენინი იჯდა კარავთან,
მაგიდად ჰქონდა მორი პატარა.

მორზე დახრილი წერდა ლენინი;
იყო უბრალო და საკვირველიც.
ხსოვნაში დამრჩა გუშინდელივით...
მე იმ სურათის ნახვა პირველი.

ცეცხლზე ეკიდა ქვაბი პაწია,
თითქოს მესმოდა ცეცხლის ტკაცანი...
ვინც საუკუნე მხრებით ასწია,
მცირე სურათო, შენ გამაცანი.

დიდი ლენინი იჯდა კარავთან.
ტყისპირ ხედებოდა ცისკარს ილიჩი.

მაშინ პეტერბურგს ჯანლი ფარავდა,
მაშინ სიბნელე იყო თბილისში.

იყო წყვილიადი გულშემზარავი,
ხმელეთს ეხვია შავი ღრუბლები
და აქ, რაზლივსი, იდგა კარავი,
როგორც სიმაგრე თავისუფლების.

იყო გრივალის თავშესაფარი,
იყო ქარცეცხლის შემომნახველი.
ხალხში გავიდა, როგორც ზღაპარი,
ერთი პატარა კარვის სახელი.

ფუძეს ურყევდა მტრის ციტადელებს,
გზას უნათებდა ურიცხვ არსენებს...
მე ეს სურათი მუდამ მალეღვებს,
ჩემი ბავშვობის დღეებს მახსენებს.

ჩავფიქრდებოდი მე იმ სურათთან,
ოცნება მლლიდა და მიხაროდა,
ხელს წავავლებდი ფიქრით სურას და
წყალს მოვუტანდი ილიჩს წყაროდან.

ილიჩს წყურვილი არც კი ახსოვდა,
ვეტყოდი:

— ძია, გწყურიათ იქნებ!

ფიქრით კარავში ფიჩხი დამქონდა...
და დასასრული არ ჰქონდა ფიქრებს.

და ცოცხლდებოდა ტყე უსიერი,
საყვარელ ლენინს რომ იფარავდა.
ის ამზადებდა ხალხის იერიშს,
ხალხის გენია იჯდა კარავთან.

დასცა სიბნელე გულშემზარავი,
ცას მოაშორა შავი ღრუბლები...
იდგა რაზლივში ერთი კარავი,
როგორც სიმაგრე თავისუფლების.

გლახაკის ხელი

გლახაკმა ხელი თუ ჩამოგართვა,
იგრძნობ, ის ხელი სხვა არის მართლაც;

თითქოს ეხება იმ მიწის ძარღვებს,
რომელიც გზრდიდა ბებერი ფესვით.
გლახაკის ხელი მიწის გულს არღვევს,
აჩაღებს ცეცხლსაც ტალით და კვესით.

მას შეიძლება უხეშიც ერქვას,
რადგანაც ოდნავ ჩამოჰგავს ძელქვას;
მას შეიძლება ლამაზიც ერქვას —
ის შეეჩვია თოხსა და ერქვანს.

ის მარჯვენაა — ჩამყრელი ფუძის,
იმ თითებს იცნობს მტევნები ყურძნის.

მათ რომ ვეხები, ჩემს ფაქიზ თითებს
უხარის კიდევ, რცხვენია კიდევ...

და ვგრძნობ, გლახაკი როცა ხელს მართმევს,
კოჭრიან ხელის ვალი რომ მმართებს.

□

ნაპოლეონის სარკე ზუგდიდის მუზეუმში

თვითონ სამარეც შევიწროოს,

თუ ტოლი მყვანდეს!

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — „ნაპოლეონ“

მისი ღიმილიც

ცივი იყო, ვით ელვა ხანჯლის,
მუდამ წარბზე არულს,

უღიმოდა ბედი ყმასავით...

მის სადიდებლად

ჟამმა სისხლით გასწია ხარჯი
და ბარბაცებდა დედამიწა,
როგორც ნასვამი.

მუზარადივით დაიხურა

ქუდი სამკუთხა,
გახედა კოგრიტს, —
ტოლს ეძებდა: — არ ჩანსო არსად!
იმპერატორად
რომის პაპმა როცა აკურთხა,
ლოცავდა შიში,
შიშის ზარი რეკავდა ზარსაც.

შიშმა გაბზარა

ვატიკანის ბნელი კედლები...
ის იყო თითქოს
სატახტოთა დღეების დათვლა!
ბრწყინვალეებაში
შეაცილა ხატებს — მედლები
და ცხენის ნალთა
ნაპერწყლები აანთო სანთლად.

ის ამ სარკესთან

ისინჯავდა იერს და სამოსს, —
ჰგავდა გრენადერს,
ნაპოლეონს სულაც არ ჰგავდა!
ხანდახან სწუხდა
ჯარისკაცთა დაკარგვის გამო
და უფრო სწუხდა,
დავარცხნისას თმებს რომ ჰკარგავდა.

სარდალს

ანაზღად შეაკრთობდა დიდება თვისი.
აფრთხობდა სურდოც...

დასცინოდა მტერს და მოცილეს...
შეიორთქლება სარკე
ზოგჯერ ოდიშის წისლით, —
ბურანში ნახავს:
მასკარადებს, ბალებს, ქორწილებს...

ზრიალებს სარკე,
წუთი რეკავს... რეკავს ბრძანება...
აი, სალუტიც!
ბონაპარტე ანცვიფრებს პარიზს!..
ქამს ეღიმება,
წისლდაფენილ სარკის ზმანებას
დამლაგებელი
როცა წაშლის უბრალო ჩვარით.

□

მამის სიკვდილი

იმ დღეს მამაჩემს დაეცა დამბლა,
შვილებს დაგვედო სიკვდილის ფერი
და მომეჩვენა, საოცრად დაბლა
ჩამოწვა ჩვენი ოთახის ქერი.

ხმა ვერ გაიღო სულზე მიმდგარმა,
ეთხოვებოდა მზეს მამაჩემი
და ირყეოდა სახლი იმგვარად,
რომ შემეშინდა ჭერქვეშ დარჩენის.

ფანჯრის მახლობლად ჩრდილი დავლანდე,
შუქმა დაიკლო ფანჯრის გადაღმა.
კარი გაეღე, კარი მანამდე
არ ჭრიალებდა ასე ხმამაღლა.

ქედებს ფარავდა თოვლის მაზარა,
წაცნობი ჭირხლი მეუცნაურა!

ვლოვის ზარების რეკვა მაზმანა
ჩემს საფეთქელთან სისხლის ხმაურმა.

ბოძის მახლობლად დამემ იწივლა,
დამემ, შუადღით დაბრუნებულმა,
და ძირს იმგვარად ჩამოიწია,
თავი დავლუნე სულ უნებურად.

□

ხარი

სასაკლავოსთან როცა ჩავივლი,
გულს შემეჩანებს შენი ბლავილი!
გახელებული მიწას დაწიხლავ,
რქებით

დასაყრდენს ეძებ ჰაერში...
შემდეგ, მგონია, მამაკაცი ხარ
და თბილ საფლავზე მუხლით დაეშვი!

სველი თვალები მსურს დაგიკოცნო,
შენს დიდ ტყვიელში რომ დამაჯერა!
რად დაიჩოქე,

გინდა ილოცო?
თუ გიღალატა მუხლმა გამრჯელმა?!

ხარო,

ღვთაებად გთვლიდა წარმართი,
რქებზე აგინთო წყვილი ვარსკვლავი!
ახლა ბლავილით ღონე წამართვი,
თითქოს მუხლების მოყრას მასწავლი.

უღლის ცალი ხართ შენ და ცხოვრება, —
თითქოს განგაშით ხანძარს აქრობდი;
გრძნობდი მიწისძვრის მოახლოებას,
დუმბილში იგრძენ ალიაქოთი!

ახლა

სიკვდილი ახლოს გეგულვია, —
გასცა ბალახში სისხლის ყვავილმა!..
ასი „ვაიმე“, შეგუბებული,
გადაქცეულა ხარის ბლავილად...
სასაკლავოსთან როცა ჩავევილი,
გულს შემიქანებს შენი ბლავილი!

□

ვაზი რომ ტირის

ვაზი რომ ტირის ახალგასზღული,
ლერწი რომ ტირის, მე ვამბობ მაშინ:
ახლა აკვანში წევს გაზაფხული
და იცრემლევა, ვით ჩვილი ბავშვი.

გამახსენდება ბაბუა წუთით, —
უყვარდა ვაზით ავსილი მხარე...
იქნებ ეს ცრემლიც მასაც ეკუთვნის,
ვაზის ლერწებმა დღეს რომ დაღვარეს!

□

მეზღაურთა მოტივებიდან

წინ მივდიოდით,
მოგვძახოდა ზღვა ნაწვიმარი:
— ის, რაც მთავარზე მთავარია,
ჯერაც წინ არის!..

წინ მივდიოდით,
მოგვძახოდა ტალღა თავნება:
— რა გენანებათ?!
— არაფერიც არ გენანება!

□ .

ხალაჲ ამოკითხული

ერთ დროს ვიყავ
ელვარე და გაბასრული,
მაშინ მფლობდა
მეომარი ვაჟის ხელი.
ტარზე მჭონდა
ეს წარწერა — „დასასრული!“
და ეს სიტყვაც
მახვილივით იყო მჭრელი.

იმ მამაცმა
ვერაგები ბევრი ხოცა...
ბოლოს, როცა
დაელია მკლავში ძალა,
მე ამ მთაში
სამუდამო ბინა მომცა,
თვით კი სიკვდილს
ლეგენდებში დაემალა!

ჰის ბავი

პროფესორი მოემდურა მშობლიურ სოფელს. ეს ამბავი იმდენად უჩვეულო იყო, გაღმელებსაც და გამოღმელებსაც მაშინვე გაახსენდათ ანდაზა: თუ სოფელს ემდური, მტყუანი ხარო. გაახსენდათ და გაუკვირდათ, რომ აღმოჩნდა კაცი, რომელიც ასეთ ქვატეხია ანდაზას აინუნშიაც არ აგდებდა!

„მართლაც დიდი კაცი უნდა იყო, ამისთანა რომ გაბედო“, — იძახოდნენ გაღმელები. „მთელს სოფელს მაინც არ უნდა მომდურებოდა!“ — ასკვნიდნენ გამოღმელები.

მაგრამ პროფესორს იმდენი საქმე ჰქონდა, არც ეცალა, რომ ყველაფერი აეწონ-დაეწონა. მან გასაბრაზებლადაც ორი-ოდე წუთით მოიცალა, ოღონდ იმ წუთებში სათქმელიც მოითავა და განაჩენიც გამოიტანა: ამიერიდან ჭალაკონელ კაცს ჩემს ოჯახში ფეხს არ დაგადგმევინებო! „კაცსაო“ — მაგრამ, ცხადია, ეს ქალებსაც ეხებოდა, რადგანაც თანასოფლელები პროფესორთან მოდიოდნენ წყვილ-წყვილად; ქალი და კაცი ერთად, და ეს წყვილი უთუოდ იყო დედ-მამა უმაღლეს სააწავლებელში მოსაწყობი რომელიმე ჭალაკონელისა.

გაბრაზებული კაცის კილო ყოველთვის ზუსტია, გადაწყვეტილება კი — არაზუსტი. პროფესორის კილო, როცა ამ სიტყვებს ამბობდა, უაღრესად გამოზომილი იყო და რათა ოჯახის წევრები დაეჭვებინა ნაუცბათევი გადაწყვეტილების შეუვალობაში, დაუმატა: ჭალაკონის ფოსტის ბეჭედდასმული კონვერტები გაუხსნელად დააბრუნეთო უკან!

პროფესორს არც იმისათვის ეცალა, ეფიქრა, ღირდა თუ არა ამდენ გაბრაზებად ის, რაც მოხდა.



მოხდა კი შემდეგი: თანასოფლელებმა გადაწყვიტეს
ლი დაედგათ მისთვის. გადაწყვიტეს და არაფერიც დაუკლი-
ათ... მაგრამ ამასობაში გამოვიდა მთავრობის დადგენილება,
რომელიც მთლიანად ცვლიდა ცოცხალი აღამიანებისათვის
ძეგლის დადგმის მანამდე არსებულ წესებს.

ამ დადგენილებამ ჯილდოსავით გააბარა პროფესორი, ისე
წინააღმდეგი იყო თანასოფლელების თაოსნობისა. ჯერ სო-
ფელში, შემდეგ რაიონში რამდენჯერმე დარეკა, ჩემს „ძეგ-
ლობანას“ თავი დაანებეთ, აჯობებს, ის ფული სხვა რამეს მო-
ახმაროთ!

დადგენილება კი მაშინ გამოვიდა, როცა ბიუსტი კვარცხლ-
ბეკზე იდგა — ტილოში ფაქიზად გახვეული — და მისი სა-
ზეიმო გახსნისათვის დიდი სამზადისი მიმდინარეობდა.

მეტი რა გზა იყო, ძეგლი უნდა აედოთ. და აი, მაშინ მოხ-
და ის, რამაც გააცეცხლა პროფესორი. თურმე საბჭოს თავ-
მჯდომარეს ეთქვა: ბიუსტიც და კვარცხლბეკიც შევინახოთ.
მოხუცი კაცია, ღმერთმა აღლევრძელოს, მაგრამ ორიოდღე დღე
დარჩენია და აგერ ძეგლიც მზად გვექნებაო. ეს სიტყვები
არავის გაჰკვირვებია: მართალს ბრძანებო! — კვერი დაუქრა
ყველამ, ვინც ახლო-მახლო იდგა.

— რაო?! ორიოდღე დღე დარჩენიაო?! ეს როგორ თქვეს
ჩემზე!..

საკვირველი ისიც იყო, ვინ მიუტანა ეს ამბავი მოხუცს!
ანდაზაა, ლობეს ყური აქვს და მინდორს თვალის, მაგრამ
ყური გზატკეცილსაც ჰქონია! ჭალაკონიდან ძეხორციელი არ
წასულა ამბის წამლებად თბილისში და სოფლის თავკაცის სიტ-
ყვები ვინ ჩაუმაჩვლა პროფესორს, თუ არა გზატკეცილმა;
ძეგლი გზისპირას იდგა, საბჭოს შენობის წინ და როცა ეს
სიტყვები ითქვა, ესმოდა ოთხ კაცს და ერთ გზატკეცილს.

პროფესორი ყველას ემდუროდა, ყველაზე მეტად კი თა-
ნატოლებს, რომლებიც თურმე „იქვე იდგნენ“, როცა საბჭოს
თავმჯდომარემ ეს „წამოშაქრა“ და კრინტი არ დაუძრავთ!
თუმცა კრინტის დაძვრაზე მეტი იყო საჭირო!

— ორიოდღე დღე დამრჩენია არა?! მათ ჯინაზე დიდხანს
უნდა ვიცოცხლო!..



ისიც საკვირველი იყო, პროფესორის „გაცეცხლებულმა“ სამღურავემა როგორ ჩამოაღწია ჭალაკონში, როცა თბილისიდან ძეხორციელი არ ჩამოსულა.

საბჭოს თავმჯდომარეს ძალიან რცხვენოდა, რომ მისმა უადგილო სიტყვამ სოფელს საპატიო შვილი მოუმღღრა. ეს ამბავი გახმაურდა, რაიკომის ყურამდე კიდევ უფრო გაზვიადებულად მივიდა. მდივანმა უსაყვედურა ჭალაკონის თავკაცს: ეს რამ გათქმევიანო!

ძეგლს საგანგებოდ გაკეთებულ სახელოსნოში ამზადებდა სკულპტორი, რომელმაც იმდენი სიმკაცრე გამოიჩინა, შიგ „ჭვრიტინის“ უფლება არავის მისცა, სანამ ყველაფერს მოითავებდა. მხოლოდ ერთი კაცი, პროფესორის ბიძაშვილი — კელუ ოდიშარია, აღმოჩნდა ყისმათიანი, იგი სახელოსნოს ხშირი სტუმარი იყო.

კელუ ტყუპისცალივით ჰგავდა თავის სახელოვან ნათესავს და რადგანაც პროფესორმა „ძეგლობანაზე“ პროტესტის ნიშნად განაცხადა, ნატურად არ დადგებო, მოქანდაკემ, ფოტოებთან ერთად, კელუს ანფასი და პროფილი გამოიყენა ბიუსტისათვის. ჭალაკონელები ხუმრობდნენ: ამდენ ფულს ვხარჯავთ და მთლად კელუ არ ფაგვიკეთოს იმ შეჩვენებულ-მაო.

სოფლელები მოუთმენლად ელოდნენ ქანდაკების ნახვას, ამიტომაც ძეგლის აღების დროს ხალხი მოზღვავდა. და უბედურებაც ის იყო, რომ ეს ავადსახსენებელი „ორიოდე დღე დარჩენია“, შინაურებში თქმული, ისე გავარდა, თითქოს ტრახუნიდან პირდაპირ მიკროფონში ჩაეძახებინა საბჭოს თავმჯდომარეს.

პროფესორი პირველად, ახალგაგონილზე, მართლაც გაცეცხლდა, მაგრამ ეს ამბავი მალე დავიწყებას მისცა. მოგვიანოდ ისიც გაიგო, რომ „მიტან-მოტანაში“ ბევრი რამ იყო გადაჭარბებული და გაეცინა კიდევ. მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში სოფელში ჩამოსასვლელად ვერ მოიციალა და ყველას სჭეროდა, მთელი ამ ხნის მანძილზე იგი განუწყვეტლივ ემღღროდა ჭალაკონელებს და ამიტომ არ ჩამოდიოდა.

ამგვარი დასკვნის საფუძველს განსაკუთრებით აძლევდათ



სამძიმრის დებეშები: მანამდე პროფესორი ყოველი ფლელის გასვენებაზე ისე გულისტკივილით საესე ღმერთს აგზავნიდა, ყურადღებიანი დიასახლისები მაშინვე გადაიწერდნენ, რათა ეს ტექსტი საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ. ახლა კი სამძიმრის დებეშები ერთფეროვანი გახდა: „ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას... ოდიშარიების ოჯახი“. — ეს იყო და ეს. „ხელსაც არ აწერს, გვემდურის!“. მერამდუნედ იმეორებდნენ გულდაწყვეტილი ქალაკონელები. ის კი არ იცოდნენ, რომ აღრინდელ „მდულარე“ დებეშებს აგზავნიდა პროფესორის ქალიშვილი, ხოლო ამ „ცივი“ დებეშების ავტორი იყო პროფესორის მეუღლე, რომელიც „სადებეშო საქმეებში“ ჩაერია ქალიშვილის გათხოვების შემდეგ.

„ბევრი ვაწუხებთ, აწ მაინც მოვასვენოთ!“ — თქვენს ქალაკონელებმა და პროფესორის კარის „ატალახებმა“ შეწყვიტეს.

* * *

პროფესორს ყველაფერში თავისი „კალიგრაფია“ ჰქონდა. მაგალითად, მოწონების ნიშნად თავში ჩაკაკუნება იცოდა. როცა სოფლიდან ჩამოსული აბიტურიენტს სიმწიფის ატესტატი მოეწონებოდა, მაშინვე საჩვენებელ თითს მოკაკავადა და... ვისაც თავში ჩაუკაკუნებდა, სანახევროდ მაინც უკვე ჩარიცხული იყო უმაღლეს სასწავლებელში.

მაგრამ სამოსნებს, მარტო ყოფაქცევაში რომ ჰქონდათ ხუთიანი და გროშებივით რომ „უჭყაოდით“ ორიოდე ოთხიანი, ღიმილით ეტყოდა: „შვილო, შენს მეზობელ მასწავლებელს, რომელსაც შენი ოჯახის ლზინში დედაშენის გამოცხობილი ხაჭაპური მიუტრთმევია და ჭირში კი — ბეზიამენის მოლესილი ლობიო, აგერ სამიანი დაუწერია შენთვის! ახლა მითხარო: როგორ დაეაწერინო იმავე საგანში ხუთიანი ისეთ კაცს, რომელიც პირველად გხედავს და შენი შერცხვენილი სახელი და გვარი პირველად ესმის!“

შემდეგ ცოლს დაუძახებდა:

„ბეჰლა! თუ ქალი ხარ, ამ სტუმარს კაი პატივი ეცი, მეზო-

შელია! დახე, რა მორიდებულია! ტყუილად კი არ
„ზრდილობაში“ ხუთიანი“.

თუ ამნაირ „წყალწაღებულ“ აბიტურიენტს დედ-მამა თან
ახლდა პროფესორი სიტყვა „შერცხვენილს“ გადაახტებოდა,
რჩევა-დარიგების საჭრეთელს მოიშველიებდა: „შვილო, მთა-
ვარი ის კი არაა, იყო პროფესორი; მთავარია, შენი საქმის
მცოდნე იყო! კარგი მევენახე, კარგი გუთნისდედა თუ მეჩაიე
— თავისი საქმის პროფესორია. ამას გულით გეუბნები, აგა-
ტაციაში არ ჩამომართვა.

ცხონებული მამაჩემი (პროფესორი მერამდენედ ჰყვე-
ბოდა ამას) ქალაქში რომ ჩამოვასახლე, ბავშვივით ტიროდა.
სოფლიდან წამოსვლის წინალამეს სუფრა გავაწყვეთ. შუა-
ღამინში მამაჩემი სუფრიდან ადგა. რატომღაც დიდხანს და-
ჩა გარეთ და შემეშინდა, ლეინონასვამი მოხუცი სადმე ლაფა-
როში ხომ არ წაიქცა-მეთქი! ავდექი და ოდის კიბეზე რომ
ჩამოვდიოდი, გავშეშდი. სიკვდილამდე მეხსომება, რაც მაშინ
ენახე: დადის მამა მთვარიანში და კოცნის ხეებს, ეხვევა ოჯა-
ლეშის თაბულებს და კოცნის! თუ სოფელი ასე არ გიყვარს,
სოფელს არ გამოადგები! ეს სიყვარულია ადამიანისა და მი-
წის საერთო ენა! ამ ენას გამრჩელი ფაიგებს, მაგრამ დიპლო-
მის მაძიებელი კი — ვერა! ჩვენმა ახალგაზრდობამ ეს ენა თუ
ვერ ისწავლა, ინგლისურისა და ლათინურის ამარა ფონს ვერ
გავა.

იქნებ მითხრათ: შენ პროფესორი ვერ გახდებოდი, გუგუ-
ლის „კაფე-თესზე“ რომ გეგდო ყურიო! პირიქით, ყმაწვილო-
ბაში გუგულის „კაფეს“ ისეთივე გულისყურით ვეკიდებოდი,
როგორც შემდეგში განთქმული აკადემიკოსების ლექციებს.
შეღერილი ყმაწვილი ვიყავი, როცა თხის ფარას ვმწყემსავდა.

გაგიგონიათ „ბატონის გაცვლის“ დღე? — და პროფესო-
რი მერამდენედ იმეორებდა, — პოეტი რომ ცყოფილიყავი,
ამაზე პოემას დაეწერდი: მწყემსები ერთ თიკანს დედა-თხას-
თან ერთად ტოვებდნენ კარავში და იმ თხის მოწველვას ტაბუ
ედო. თიკანი ისე იზრდებოდა, ბალახი რა იყო, არ იცოდა.



როცა დედის რძე ვერ იკმარებდა, ფულა-თხას მიაშველებდნენ. ამგვარ თიკანს „ბატკანი“ ერქვა.

ბატკანი კარავში თავისუფლად ნავარდობდა. უჩვეულო პატივი აღამაზებდა პირუტყვს. ამ „ცოცხალ კარაქს“ მწყემსები ისე შეეჩვეოდნენ, დასაკლავად ვერ იმეტებდნენ. და აი, დგებოდა თვის პირველი რიცხვი — ბატკნის ხამობის დღე. შუადღისას ერთი ჩვენთაგანი წაიყვანდა ბატკანს მეზობელი მწყემსის კარვისაკენ და იცოდა, იმ კარვიდანაც ასევე მოჰყავდათ ბატკანი ჩვენკენ. შუაგზაზე ბატკნებს გავცვლიდით. თითქოს უბრალო ამბავია: მწყემსი დასაკლავად ვერ იმეტებდა შვილივით გაზრდილ თიკანს!

პირუტყვს ქვეყანაზე ეს სიყვარული ამრავლებდა და მის მაგივრობას ვერავითარი ვეტერინარია ვერ გასწევს!“. პროფესორს საუბარშიც თავისი „კალიგრაფია“ ჰქონდა: დააწყებდა თუ არა, სიტყვა მისდაუნებურად ლექციას დაემსგავსებოდა.

* * *

რასაც პროფესორი თბილისში იტყოდა, მეორე-მესამე დღეს ყველა თანასოფლელმა ისე იცოდა, თითქოს გაზეთში ყოფილიყო დაბეჭდილი. მისი ოჯახის ამბებიც ელვა-დეპეშის სიჩქარით ჩამოდიოდა: ქალიშვილის გათხოვების ამბავი მეორე დღეს გაიგეს, შვილიშვილის დაბადებისა — იმავე დღეს...

სოფლის კლუბში გამოფენა იყო მოწყობილი — „ჩვენი სოფლის სახელოვანი ადამიანები“. ზემოთ პროფესორის მონაწილეობის პორტრეტი ეკიდა, ქვემოთ ორდენოსანი ბრიგადირებისა და მერგოლურების ფოტოები იყო ჩამწყკრივებული. იმათში წარჩინებული მასწავლებლების სურათებიც ერია.

კლუბის ბიბლიოთეკაში საგანგებო ფონდი იყო შექმნილი. პროფესორის წიგნებისა და საგაზეთო სტატიებისაგან. როცა პროფესორის ქალიშვილი ჩამოვიდა, მოკრძალებით შენიშნა: საზღვარგარეთ გამოცემული წიგნები და იქაური პრესის მასალები აკლიაო! ეს რა მოგვსვლია, აბა, გვიშველეო, — შეეხვეწნენ სტუმარს და ფონდმაც ისე იმატა, წინანდელი თარო

* * *


გაზაფხული ისე არ გავიდოდა, პროფესორი ორიოდუ
დლით მაინც არ ჩამოსულიყო. დიდ-პატარას მოიკითხავდა,
ტყით დაბურულ გორაკებს შემოივლიდა, პაპისეულ წყაროს-
თან შეჩერდებოდა... და აქ უკვე იწყებოდა ის, რაც მუდამ
ეუცნაურებოდათ ქალაკონელებს: სტუმარი ტრუსისამარა
დადგებოდა ღარის ქვეშ, თავზე დაფხვნილ „დიხაჭუბერს“
დაიყრიდა და მანამ არ მოიცივლიდა ფეხს, სანამ სიცივისაგან
ძაგძავს არ დააწყებინებდა.

ჩამოსტუმრებულ პროფესორს ყოველთვის ახლდა ხალხი.
ისინი ასეთ დროს მიმოიფანტებოდნენ, გზადაგზა აჩერებდნენ
წყაროსაკენ კოკით წამოსულ ქალებს და გაოცებული თვალე-
ბით უყურებდნენ ერთმანეთს. მარტო დარჩენილი პროფესო-
რი ბიძაშვილის — კელუ ოდიშარიას, ხმაზე დაიძახებდა: „სად
დაიკარგეთ, კაცო! მოდით და თქვენც იბანავეთ! ეს წყალი
პირდაპირ სამოთხიდან მოდის, სამოთხიდან!“

ამგვარ წუთებში საპატიო სტუმრის ღირსება მეტისმეტად
ილახებოდა: „ბავშვივით არ იქცევა?!“ და სოფლელებს უკვე
ეკვი ეპარებოდათ: შეიძლებოდა თუ არა, ასეთი კაცი მეცნი-
ერი ყოფილიყო?!

და პროფესორი თითქოს იმიტომ ჩამოდიოდა, რომ თავი-
სი დიდება ფეხქვეშ გაეთელა. წავიდოდა... და მისი ადრინდე-
ლი სახელი ისევ აღსდგებოდა, როგორც მყარების მიერ გა-
თვლილი ყვავილები წამოპყოფენ ეზოში თავს მეორე და
მესამე დღეს.

მაგრამ სოფლის ახალგაზრდობას ძალიან მოსწონდა მისი
უშუალობა. ნაკითხი ყმაწვილები და ფრიადოსანი მოსწავლეე-
ბი ყოველ ნაშუადღევს მიეშურებოდნენ კელუს სახლისაკენ,
სადაც სტუმარი ჩერდებოდა. და თავიანთი წვრილმან-წვრილ-
მანი მოსაზრებანი მეცნიერებასა და ტექნიკაზე ისე მიჰქონდათ
მასთან, როგორც მორწმუნეებს მიაქვთ ზურდა ფული ხატთან.



* * *

ჭალაკონელთა აზრით პროფესორი მშობლიურ სოფელს ემდუროდა თავისებურად — შორიდან ზრუნავდა მასზე, ოღონდ ახლოს არ ეკარებოდა. სააეადმყოფოში საგანგებოდ შერჩეული ექიმები გამოაგზავნიან, საამისოდ ორჯერ და-ჭირდა სამინისტროში მისვლა და ამ ამბავმა ჭალაკონში ჩამოაღწია ექიმების ჩამოსვლამდე. ჭალაკონელი და მისი ახლო-მახლო სოფლის ახალგაზრდები რომელ უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებოდნენ, ხუთი თითივით იცოდა და საქიროების შემთხვევაში ყველა მათგანს წაეშველებოდა.

მაგრამ მარულა თუ ფეხბურთი ისე არ ჩაივლიდა, მეზობელ სოფელს არ გამოეჩვენებინათ ჭალაკონელები:

„განა სამართალია, თქვენისთანა უბირებს პროფესორი რომ ჰყავდეთ!“

„ორიოდე დღე დარჩენიაო, ყორანივით არ დასჩხავლეს თავზე?!“

„ის ძეგლი მაინც რა უყავით?!“

„საწყობში შეუნახავთ, სასუქების საწყობში!“

„შეუნახავთ კი არა, მინერალურ სასუქებს სულ მახრასავით გამოუჭამია ის ძეგლი!“

„ჰოდა, ამისთანა ხალხი ახლა დოღში და თარჩიაში გვეჯიბრება!“

„სათარჩიოდ გაქვთ საქმე?!“

ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ რაც სახელოვანი თანასოფელი მოიმდურეს, ჭალაკონი რაღაცით დაემსგავსა ფრთამოტეხილ ფრინველს; უწინ რამდენადაც ეამაყებოდათ მისი სახელი, ახლა იმდენად რცხვენოდათ, რომ საპატიო შვილმა მათკენ „ქვა ისროლა“.

* * *

ქანდაკება მინერალურ სასუქს არ „გამოუჭამია“, მაგრამ საწყობში კი ინახებოდა ერთხანს. ოღონდ კელუ ახირდა: პაიტ, ეს რა გიქნიათო! მტკრიანი საწყობი როგორ აკადრეთო გიოვის ძეგლს! მთავრობასთან არ მიმიყვანოთ, თორემო, — და-



ემუქრა სოფლის თავკაცებს, — ამ მკაცრანცხობაზე იმისთანა მწარე წამალს გამოგიწერენ, ქეძაფი მასთან მონაგონი იყოს, მოაყენა საწყობს ურემი და ქანდაკება შინ წაიღო: აწ ჩემთან იქნება და ხატივით ვუპატივებო.

ქანდაკება მარანში შეინახა კელუმ.

იმ დღიდან ოჯახის წევრები ღამ-ღამობით მარანში შესვლას ვერ ბედავდნენ.

ქანდაკებისა ყველას ეშინოდა, მაგრამ კელუს მეუღლე — მინორა იმდენად იყო დაფეთებული, ქურის მოსახდელად მარტო არასდროს წავიდოდა, თან შვილიშვილს იახლებდა უსათუოდ: „ჯვარი აქაურობას, გაქვავებული გიორგი მგონა! რამე დააფარე მაინც!“ — შეეხვეწა მეუღლეს, მაგრამ კელუ „ჯორზე იჯდა“.

როცა კელუ შინ არ ეგულებოდათ, ქანდაკებას ჭინჭებით შებურავდნენ, მაგრამ „შენიღბული“ ალღამა რატომღაც კიდევ უფრო საშიში გამოდიოდა.

ოღონდ დრომ თავისი გაიტანა, ოჯახის წევრები თანდათან შეეჩვივნენ „გაქვავებულ გიორგის“.

* * *

ქანდაკების სანახავად ხშირად ნოდინდნენ არა მარტო ქალაკონელები, მათი სტუმრებიც. ზოგჯერ თალხიანი ჭირისუფლებიც შემოალეზდნენ მარნის კარს: ასეთივე ძეგლი გვინდა საფლავისათვის შეეუკვეთოთო. მაგრამ გაიგებდნენ თუ არა, კოლმეურნეობას რამდენი დაეხარჯა ცალკე — მარმარალოზე, ცალკე — ოსტატზე, უიმედოდ ჩაიქნევდნენ ხელს.

გაპარსულ და კიკინდავარცხნილ კელუს გიორგისგან ვერ გაარჩევდი, ამიტომ უჩვეულო არაფერი იყო იმაში, რომ ქანდაკება კელუსაც ჰგავდა. ოღონდ ენაკვიმატი ქალაკონელები აზვიადებდნენ ამ მსგავსებას და განზრახ გაიკვირებდნენ:

„ვაჰ! პირწავარდნილი კელუ არაა?!“

* * *

ერთ დღეს კელუმ გაიფიქრა: გიორგი „პრაფესორი“ კაცია, ქალაკონში კი არა, თბილისშიც დაუდგამენ ძეგლს და რა უჭირს, ეს ძეგლი ჩემი იყოსო!

ამ წადილმა პირველად სინდისი შეუშფოთა, შემდეგ სადერღელი აუშალა. ერთხელ ისე ნათლად წარმოიდგინა ძეგლი საკუთარ საფლავზე, პირდაპირ გული აუჩვილდა და ცრემლის კურცხლები გადმოაფრქვია.

ბოლოს და ბოლოს ორი რამ ანსხვავებდა ქანდაკებას კელუსაგან — ორდენი და პალსტუხი... ხოლო მათი შოვნა საკმაოდ ადვილი ეჩვენა: ორდენს მთავრობისაგან მიიღებდა, პალსტუხს მაღაზიაში იყიდდა!

აკვიატებული აზრი იმით ჰგავს ავადმყოფობას, რომ მოხუცს უფრო ადვილად დარევს ხელს: იმისთანა ყანას მოვიწევ, ორი ორდენიც დამკიდონ ზედ გულის ჯიბეზე! — დაასკვნა კელუმ და მას შემდეგ ორდენზე ფიქრი შეღიტინებასავით გვრიდა ღიმილს.

ახლა უფრო დიდხანს რჩებოდა კელუ მარანში და „ქვის კაცს“ ენიაზებოდა. ერთხელ, როცა ქვევრს რეცხავდა, ორშიმოს ტარი უნებურად ატაკა ქანდაკებას და შიშისაგან გაფითრდა: რამე ხომ არ მოვამტვრიეო! მაგრამ ის „ოჯახაშენებელი ქვა“ მაგარი აღმოჩნდა, ნაკაწრიც არ დაიმჩნია.

ოღონდ იმ დღიდან ქანდაკებას კალათას ახურავდა თავზე, რათა მსგავსი „ფათერაკისაგან“ დაეზღვია.

უფრო შესაფერისი აღმოჩნდა ნაქურჩალის დიდი გოდორი. გოდორმოხურულ „ქვის პროფესორს“ მხოლოდ მკერდის პაწია ნაწილი მოუჩანდა და ამჯერად უფრო საიმედოდ იყო დაცული.

ცოტათი უხერხული ისლა იყო, რომ პაპისეული გოდრის აქა-იქ გამორღვეული ბეჭურა კედელი ბიუსტის თვალებს გაღიმებულივით აჩენდა, თითქოს ქანდაკებამ „ჭიტა“ უნდა დაიძახოსო.

* * *

გუგულის „კაფე“ გაისმა და კელუ განცხადებით მიადვა კოლმეურნეობას: სარეკორდო მოსავალი უნდა მოვიყვანო, მიწა მომიზომეთო.

კოლმეურნეობის თავკაცებმა ნაკვეთიც მიუჩინეს მოხუცს და მოწონების შეძახილებიც შეაგებეს: აფერუმ შენაო! მარ-



თალია, ცოტათი კი ეუცნაურათ, ეს პატიოსანი, მაგრამ მო-
 ზარმაცო კაცი სიბერეში აგრე ხელის გამოღებას რომ აპირებდა.
 და მაგრამ ის კი არ იცოდნენ, სად უმიზნებდა კელუ!

— ორდენს ხომ მომცემთ, ბოში! — იკითხა კელუმ, როცა პირველი გამარგვლა მოითავა.

— როგორ არა, კელუ ბიძია! — შემოაგება თავმჯდომარემ, რომელსაც ეს შეკითხვა ხუმრობა ეგონა.

მაგრამ თავმჯდომარის პასუხმა კელუ იმდენად დააიბედა, იმ ღამეს საკვირველი სიზმარიც ნახა: მის ყანას ტაროების ნაცვლად სულ ორდენები მოესხა.

ხანდახან ახალგაზრდა მემინდვრეებს წაიშველიებდა კელუ: აბა, წუნწუხით მორწყვაში დამეხმარეთ!.. ახლა მინერალური სასუქიც შემატანინეთ! ამ ყანაში ორდენს მპირდებიან, არიქა, არ დამაკარგვინოთო!.. ბიჭები, თუმცა შველოდნენ, ამ სიტყვებს ხუმრობაში ართმევდნენ.

მაგრამ შემოდგომაზე ნათელი გახდა, რომ კელუ არ ხუმრობდა: ჩემზე მეტი მოსავალი ძუკუ რიგვავასაც არ მოუყვანია და ორდენზე წარმადგინეთო!

თავმჯდომარემ ქვა ააგდო: მთელი სოფლის ახალგაზრდობა გეხმარებოდა, ორდენი ასე ვის დაუმსახურებიაო!.. ბოლოს გული იმით მოუღბეს, რომ რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნეს მისი ფოტოსურათი. სურათის ქვეშ მოთავსებული პატარა ნარკვევი ასე იყო დასათურებული: „მოხუცი ენთუზიასტი“.

მომდევნო წელს კი პენსია დაუნიშნეს: გაიხარე და მოისვენეო!

* * *

გავიდა კელუ პენსიაზე და მაშინ გაიგო, გიორგის ქანდაკებაზე გამოყვანილი მინიატურული ბარელიეფი თურმე ორდენი კი არ იყო, არამედ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის ნიშანი. გაიგო და შუბლზე იტკიცა ხელი: ვაი, რა მომსვლიაო, „ედემის ვარსკვლავს“ ვეპოტინებოდი თურმე და ამას ვან მაღირსებდაო!

— ას წელს იდექი აქ, ას წელს! — შესძახებდა კელუ

ქანდაკებას, რადგანაც იცოდა, გიორგის სიცოცხლეში მას არავინ გაიტანდა მარნიდან და მოედანზე არ დადგამდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო იჯერებდა, რომ ქანდაკება სწორედ მას ჰგავდა. ერთხელ ახალუხი გადააცვა, სვანურა ქუდი დაახურა და აღტაცებულმა წამოიძახა: მე ვარ, „ანგი-მანგი“ მე ვარ!

კელუს გაახსენდა, მოქანდაკეს რაღაც ქლიბის მაგვარი ეკავა ხელში, როცა ამ ძვირფას ქვაზე მუშაობდა. თავადაც აიღო ქლიბი, ჰალსტუხზე გადაუსვა და... მონდომება, თორემ მისი გადაქლიბვა ადვილი ეჩვენა.

ჰალსტუხს „გაკაწვრა“ აკმარა და ლაურეატობის სამკერდე ნიშანი ამოიჩემა. გაახსენდა, მოქანდაკეს რაღაცნაირი სისოხერხი ეკავა, როცა ამ ქვას ჭრიდა. საღურგლე ხერხი მონახა, „ორდენს“ ქვემოთ გაუსვ-გამოუსვა და:

— რას შვრები, ბაბუ! — წამოიძახა შვილიშვილმა.

— ჰაიტ, შენ აქ რა გინდოდა! — ისე დაუყვირა კელუს. თითქოს დანაშაულში გამოიჭირაო: მარანში არავინ ეგულუბოდა და ეს ეშმაკის ფეხი აგერ არ ყოფილა!

დაფეთებული ბალლი ღრიალით გავარდა მარნიდან.

— რა ამბავიაო! — გაიკვირვა მინორამ, მარანში შემოვიდა... და როცა ქანდაკებაზე კოდილი შენიშნა, ვაი-უშველებელი ატეხა. ეს ამბავი მყისვე გაიგო რძალმა... შემდეგ საპეზობლომ... ხოლო მოგვიანოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გახვითქული ცხენი ჭენებ-ჭენებით მოაგდო კელუს ჭიშკართან.

ცოტაც და კელუს ეზოში ხალხი მოჯარდა.

— ამ ბალანას გაუკაწრავს! — შვილიშვილს ადანაშაულებდა კელუ. — ამიტომაც ვცემე, იმდენი ვცემე, კინალამ ხელში შევიკალი!

ეს ამბავი გახმაურდა და რაიკომის ყურამდე ისე გაზვიადებულად მივიდა, მდივანმა ფიცხლავ დარეკა ჭალაკონში: ამდენი ფული დახარჯეთ და ქანდაკებას ვერ უპატრონეთო? ოჯახში რატომ ინახავდითო!

იმავე დღეს თავმჯდომარემ მანქანა და მუშები გამოავ-



ზაენა: ქანდაკება საწყობში უნდა დავაბრუნოთო. მაგრამ კელუს
გაცეცხლდა, ამის ყაბულს არ ვიქნებო ცოცხალი თავით!

მეტი საშველი არ იყო, ქანდაკება კელუს მარანში უნდა
დარჩენილიყო. ოღონდ დურგლები მიიყვანეს, ქანდაკება ბურ-
ბუშელით შეფუთნეს და სარფიცრულის საგანგებო ყუთში
ჩაჰედეს.

როცა საკმაო ხანმა გაიარა, კელუმ ნამალევედ გახსნა ყუ-
თი და ელდა ეცა: ბურბუშელაში თავგებს გაემართათ ფანია
და მათი ლაშქარი კისრისტეხით მიმოიფანტა მარანში.

— მინორა! მოდი, ქალო, რა დარდუბალა განახო! მინო-
რა, კატაც წამოიყვანე თან, კნუტებიანად წამოიყვანე! არ
გესმის, ქალო!

ასე „დაინავსა“ ქანდაკება. ეს ამბავი სოფლის თავკაცებს
ემცხეთათ: არიქა, გიორგისთან ნურაფერი წამოგცდებო, და-
ნამუსეს კელუ.

და რათა ქანდაკება ხელახლა არ „დანავსულიყო“, მასპინ-
ძელს ნება დართეს, საფარ-საბურველი მოეცილებინა მისთვის.

კელუს ეამა ქანდაკების „დახსნა“ საბურველის „ტყვეო-
ბისგან“, ისევ გოდორი გადაახურა, გაექილიკა კიდევ: ვო-
დორი მამაპაპურია, გიხდებო!

* * *

კელუს სიზარმაცე არასოდეს აკლდა, მაგრამ პენსიაზე გას-
ვლის შემდეგ კანონიც აძლევდა ზარმაცობის უფლებას და
გრილოში კოტრიალის მეტს არაფერს აკეთებდა. მეტისმეტად
მოცლილ კაცს კი ნაირნაირი „იდეები“ უჩნდება, როგორც
უქმად გდებულ იარაღს — ქანგი.

და ერთ დღეს ასეთი აზრი დაებადა: თვითონ გადაეკე-
თებინა ქანდაკება! რაც უფრო ჩაუფიქრდა, მით უფრო დაიჭე-
რა, რომ ეს საძნელო არ იყო და, რაც მთავარია, გიორგის სუ-
ლაც არ ეწყინებოდა!

ისიც გაახსენდა, რომ ერთ დროს ძერწვის და „კირკიტის“
თავი ჰქონდა. კელუ ჰაბუკობისას, ერთხანს, ციხეში ყურყუ-
ტებდა და იქ „ბრაწის“ გაკეთება ისწავლა.



ციხეში „გოროდოვოისთან“ ჩხუბის გამო მოხვედრის შემდეგ, რომ იქ ისეთი ხელმარჯვეობა გამოიჩინა, თავადაც უკვე პატიმრები სანთელივით ჩამოქნიდნენ ცომს, შემდეგ სანაძლეს დადებდნენ, ვინ უფრო ჩქარა შეაკოწიწებდა თითებს და გამოძერწავდა „ბრაწს“.

ის სხვა ამბავია, რომ ყოველ „ბრაწს“ თავისი მისამართი ჰქონდა: „ბრაწი-მეფეს!“ ყველაზე დიდი იყო, ხოლო „გოროდოვოის“, „სრაჟნიკის“, „პრისტავის“... „ბრაწი“ უფრო პატარა ცომისაგან მზადდებოდა: მთავარი ეს გახლდათ — კელუ უმალ მოითავებდა ყველაფერს და სანაძლეს ზედიზედ იგებდა. სანამ სხვები ჩალიჩობდნენ, წარმოიდგინეთ, ცერის ძერწულაზე ფრჩხილის გამოყვანასაც ასწრებდა.

როცა სოფელში დაბრუნდა, ერთხანს სცადა, თანატოლები გაეკვირვებინა ამ „ხელობით“, აეყოლებინა თანაც, მაგრამ ჭალაკონელები ისეთ გაწამაწიაში აღმოჩნდნენ, „ბრაწის“ გასაკეთებლად არავის ეცალა.

კელუმ ჩვეულებას ვერ უღალატა: დაღლილ-დაქანცული ჩამოჯდებოდა ყანაში, ზელავდა თიხას და ირთობდა თავს... თანდათან გაიწაფა, ჯერ თიხის გოჭებს აკეთებდა, შემდეგ — რქადაგრებილ ყოჩებს. ერთხელ ორი ყოჩი ერთმანეთს შეაჭიდა და გზისპირას ჩამოდგა. გაკვირვებული ჭალაკონელები სინანულით იქნევდნენ თავს: აფსუს, ამ ბიჭს სწავლა რომ არა აქვსო! მისგან საჩინო ხელობის კაცი გამოვიდოდაო! ხოლო ზოგიერთები გაკვირვებას ასე მოამრგვალებდნენ: აბა, გიორგის ბიძაშვილი უნიჭო ხომ არ იქნებოდაო! — და ამ სიტყვებს ბეჭდად დაარტყამდნენ დაუწერელ ქებაზე.

ხანდაზმული კელუ ხშირად იგონებდა ამ ამბავს და დაიტრაბახებდა: ღარიბი არ ეყოფილიყავი, ვისწავლიდი და ჩემგან „სკულუპტორი“ გამოვიდოდაო!

ახლა კი ამ დავიწყებულმა ამბავმა ისე გაახარა, თითქოს ოქროს ყუთიც და მისი გასაღებიც ერთდროულად იპოვაო. და მისთვის უჩვეულო მონდობებით შეუდგა საქმეს.

უპირველესად საჭირო იყო, ეჭვი არავის აეღო, თუ რა განიზრახა მან! საამისოდ კი ქანდაკების გულ-მკერდი ყოველ-

თვის დაფარული უნდა ყოფილიყო, როგორც გარეშეთა, ასევე შინაურების თვალთვალს.

და მთელი კვირა შეალია ცაცხვის ოთხკუთხა მორის გამოთლას. სამაგიეროდ ისეთი ოსტატობა გამოიჩინა, მორი, ბოლოს და ბოლოს, ყალიბივით მოერგო გულ-მკერდს და კისრის ქვემოთ ყველაფერი დაფარა.

ასეთივე „სახუტებლების“ გამოთლა ზურგისა და მხრებისათვის უფრო ადვილად მოითავა. ისიც გაითვალისწინა, რომ „სახუტებლების“ გახსნა სხვებისათვის საძნელო ყოფილიყო, ამ მიზნით მთელი ეშმაკობა შემაერთებელი რიკების გაწყობაში მოაქცია და საქმე იქამდე მიიყვანა, ძელების ჩარჩოს უნაჯახოდ ვერავენ გახსნიდა, კელუს გარდა.

ახლა „ქვის გიორგის“ ცაცხვის ოთხკუთხა პრაპიკონებიდან მხოლოდ თავ-კისერი მოუჩანდა.

კელუმ იფიქრა, სიფრთხილეს თავი არ ტკივაო, ვინმემ არ იკითხოს, მარტო ქვედა ნაწილი რატომ დაფარეთო, და „სახუტებლებს“ ზომაზე მოჭრილი ფირფიცრებიც მოარგო, პეტად თავისებურად ასაწყობი და დასაშლელი ყუთი გამოუვიდა.

შინაურები ხედავდნენ, რა გულმოდგინებას იჩენდა იგი, მაგრამ ყველაფერს გიორგისადმი მომეტებულ სიყვარულსა და მოკრძალებასში ართმევდნენ.

ახლა ჭალაკონელები და მათი სტუმრები აგრე გახმაურებული ძეგლის სანახავედ რომ მოვიდოდნენ, კელუ ზედა „კონსტრუქციას“ აიღებდა, „ქვის გიორგის“ თავ-კისერს გამოუჩენდა.

კელუს ვარაუდი გამართლდა, მხრებისა და გულ-მკერდის დანახვით არავინ დაინტერესებულა, მით უმეტეს, ქანდაკების გარშემო ოთხკუთხად შეკრულ ცაცხვის ტრაპიკონები არც ისე ადვილი ასაღები ჩანდა. თანაც, მკერდი — ყველა მკერდია, პროფესორის იქნება ის თუ მენახირის და ქანდაკების ამ ნაწილის ნახვას აუცილებლად ვინ ჩათვლის, გარდა საქმე-გამოღებულისა.

და მხოლოდ ასე გულმოდგინე, ხანგრძლივი მომზადების



შემდეგ შეუდგა ძეგლის გადაკეთებას. ოღონდ ამასთანავე
 ზამთარიც მოახლოვდა და მარანში გაჩერება შეუძლებელი
 გახდა.

არასოდეს ისე არ გაფრთხილებია კელუ თავის ჯანმრთე-
 ლობას, როგორც იმ ზამთარში: არიქა, არ გავცივდე, ქვეყნის
 ჭირი არ წავიღო და საიდუმლო წამოწყება დაუმთავრებელი
 არ დამრჩესო. ბერიკაცი იყო, სიკვდილის შიში ეპატიებოდა,
 მაგრამ კარის ოდნავ ღრიკოდ დარჩენა ასე რომ აბრაზებულა,
 შინაურებს უკვირდათ.

გამოზამთრებული კელუ უპირველესად ლაურეატობის
 სამკერდე ნიშანს მიადგა სისოხერხით: ეს რომ გავაფუტო,
 მთავრობასთან ფარსავად მექნება საქმეო!.. და სამკერდე ნი-
 შანი „ლამაზად“ მოხერხა, შემდეგ აბრეშუმის ნაჭერში გაახვია
 და შეინახა.

კელუ აუჩქარებლად, სვენებ-სვენებით მიჰყვებოდა საქ-
 მეს. მარანს საგულდაგულოდ კეტავდა შიგნიდან, თანაც მალ-
 მალ ამოწმებდა, ჭუჭრუტანიდან ხომ არ მიყურებსო ვინე-
 ერთხანს ჭუჭრუტანების ამოვსებაც დააპირა, მაგრამ ეს შინა-
 ურებში ექვს აღძრავდა, თანაც ნახევრად ჩამობნელებულ
 მარანში წყვდიადს გაამეფებდა და „სკულუპტორობას“ შე-
 უძღვებელს გახდიდა.

მუშაობის დროსაც საგანგებოდ არჩევდა, როცა ვაჟიშვი-
 ლი და რძალი სამუშაოზე იყვნენ, შვილიშვილები — სკოლა-
 ში, ხოლო მეუღლე — სამეზობლოში. ცხადია, ასეთი გან-
 რიგი ხელს არ აძლევდა, მაგრამ ფარულ საქმეს ხომ იმთავით-
 ვე დაუბედა ღმერთმა ათასნაირი სიძნელე და ფათერაკი.

თავდაპირველად ნახშირით შემოხაზა ის ადგილები, სადაც
 ახალუხის ქილებს გამოჰკრიდა. და რათა ნახაზი არ შეშლოდა,
 მარანში თავისი ძეგლი ახალუხი შემოიტანა, რომელიც ბოს-
 ტნის ახლოს ჯღაზე იყო წამოცმული, ყვაეების დასაფრთხო-
 ბად.

კელუ ცდილობდა ის სიფრთხილე და მოზომილობა გაე-
 მეორებინა, რითაც ამ ქანდაკების ავტორმა გააკვირვა, ქვაზე
 მუშაობის დროს. იარაღებიც დაახლოებით იგივე ჰქონდა —

ფოლადის საჭრეთელი, ქლიბი და ხის მომცრო კვერი. ახსოვდა, მოქანდაკეს უხვად გააჩნდა კიდევ რალაცნაირი „სადგურის“ სეზონები“ და სამარჯვები, მაგრამ რას იფიქრებდა, ოდესმე მასზე თუ დასჭირდებოდა ყოელივე ეს! ჰაი დედასა, ერთი, დღევანდელი ჰკუა იმ დროს ჰქონოდა!.. პა-პა-პა, რას იზამდა ბერიკაცი! იქვე არ ისწავლიდა ყველაფერს?!

მართალია, საქმე ტატიტ მიდიოდა, მაგრამ საჩქაროც არაფერი იყო: მარცვლის დათესვის დღესვე ტარო ვის მოუტეხია ყანაში!

ოლონდ ეშმაკი ყველას უთვალთვალეს... და როცა მეოთხე ქილა გამოჰყავდა, ისე უკუღმართად მოიქნია კვერი, ოთხივე ქილა დაფშენა.

კინალამ იტირა.

მეტი საშველი არ იყო, ქილები უფრო ღრმად უნდა ამოეჭრა...

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ჯიუტდებოდა ქვა, თითქოს უკვე გამოეღვიძა და მიხვდა, რასაც უპირებდნენ! ცხადია, ეს ცვლილება მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ კელუ დაიქანცა.

როცა ნახშირით იყო დახატული, ახალუხი ახალუხს ჰგავდა. ახლა კი თანდათან ჰკარგავდა სახეს: „ეს არც ქილებია და არც ხახვის კონა! — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა. — ჯერ სხვა ქვაზე უნდა მეცადა ეს დაწყველილი კვერი და სატეხი!“

მიუხედავად სიფრთხილისა, მინორამ — იმ „ეშმაკის კულმა“, რალაც ორანით იგრძნო საქმის ავან-ჩავანი და მეუღლეს ჰკითხა: ახლა მაინც რას ტრიალებ მარანში, ქანდაკებას ყუთი ხომ გაუკეთო!

და კელუ გაცეცხლდა: უკეთეს ყუთს ვუმზადებო!.. გიორგიზე საყვარელი ვინ მყავსო!.. ჩემს საქმეში ნუ ერევო!

მინორაზე დატეხილმა რისხვამ ოჯახის დანარჩენ წევრებს მაშინვე მოაგონა ანდაზა: ლიტრას ეუბნებოდნენ და, კოკავშენ გესმოდესო! მოაგონა და ხმა გააკმენდინა.

ქილები მართლაც ხახვის კონას ემსგავსებოდა თანდათან... და კელუ მარცხის მიზეზად იმას თვლიდა, რომ „მიხტომით“



და „ქურდულად“ უხდებოდა მუშაობა: ჩემს დღეში რომელიღაც ფილიყო ამ ძეგლის გამკეთებელი, — შეეკამათა ბედს, — დედამისის შვილი იყო და იოსტატებდა! ვერ მივართვი; ოსტატობა კი არა, ნიორის გაფცქვნაც დაავიწყდებოდა!

კელუ მაინც არ მოეშვა აგრე მონდომებით დაწყებული „სრულყოფას“... და საქმე იქამდე მიიყვანა, კაცისშვილი ვერ გაარკვევდა, თუ რა ეცვა „ქვის გიორგის“. აქამდე სამოსი იმ ახალუხს ზაინც ჰგავდა, ყვაეების დასაფრთხობად რომ ეკოდა ღობეზე. ახლა კი ოკრო-ბოკრო ხნულები აჩნდა მკერდზე, ვითომ ქილები. — ეს იყო და ეს!

თანაც იმ ანდაზისა დაემართა, ზღვას გადარჩენილი ლელემ დაახრჩოო, რომ ამტკიცებს: მთელი ზამთარი ისე მოისტუმრა, ცხვირიც არ დაუცემინებია არც ერთხელ და აგერ აგვისტოში არ გაცივდა!

ოლონდ სანამ ლოგინში ჩაწვებოდა, ქანდაკება ისევ ჩასვა ძელების საფარში: ეს მაინც კარგი ვქენი, სახეზე რომ ხელა არ გამიკარებია! — წინდახედულება მოუწონა თავს.

ლოგინად ჩავარდნილმა მუცლის არეშიც უჩვეულო ტკივილი იგრძნო. ექიმებმა სახიფათო ეჭვი გამოთქვეს. მთელი სამეზობლო აწრიალდა.

„გიორგის ნუ შეაწუხებთ! — იხვეწებოდა კელუ. — საცა გინდათ, წამოიყვანეთ, ოლონდ გიორგი იმისთანა გულის პატრონია, მეშინია, ჩემს გამო რამე ფათერაკი მოუვიდეს. თუ ძალიან არ გამიჭირდა, ჩემი ამბავი არც გაუმხილოთ!“

* * *

პროფესორის მეუღლე — პეპელა ის იყო აგარაკიდან დაბრუნდა, მთელი კვირის წერილები ხელუხლებელი დახვდა და უკმაყოფილომ იმნაირი ბუზღუნნი დაიწყო, თითქოს უამრავი სარეცხი და დასაუთოებელი დაეხვედრებინოთ.

პროფესორი ბოლო დროს მხოლოდ კოლეგების წერილებს წაიკითხავდა, ან სამეცნიერო დაწესებულებათა ოფიციალურ ქაღალდებს, დანარჩენს სისვე გადბოულოცავდა. და ეს აბრაზებდა პეპელას. ახლაც ნაწყენი თვალებით არჩევდა ფოსტას.



ანაზღად პატარა — ხელისგულისოდენა წერილს წააწყდა. წერილში მხოლოდ ეს ეწერა: „კინაღამ მოვკვდი. ახლა ვარ. კელუ“. მეტი არაფერი, სულ არაფერი.

„ღმერთო ჩემო, ლენინგრადიდან გამოუგზავნია!..“

პეპელამ აგარაკში მოკრეფილი მთელი ძალ-ღონე აღიქოთად აქცია:

— გრცხვენოდეს! გრცხვენოდეს! გრცხვენოდეს!

...გაცბუნებულ პროფესორს ხელში ეკავა „ბატისფეხურით“ შესრულებული წერილი და ამოდ ცდილობდა მეუღლის დამშვიდებას.

წერილი უთარილო იყო. ლენინგრადის ფოსტას ეს არ ეკადრებოდა, მაგრამ თარიღი არც კონვერტზე ჩანდა, შტამპი იმნაირად დაერთყათ. დასტური არ უნდოდა, ასეთი წერილი მხოლოდ საავადმყოფოდან იქნებოდა გამოგზავნილი. გადაწყვიტა, დაერეკა ჭალაკონში და გაეგო, რა შეემთხვა კელუს.

რაიონთან დაკავშირება გაძნელდა, მაგრამ ნამდვილი ჯვარცმა მაშინ დაიწყო, როცა რაიონის ფოსტიდან სოფელი ჩართეს: ტელეფონში თითქოს მთელი კოლმეურნეობა ლაპარაკობდა — ქალი, კაცი, მოცლილი თუ მოუცლელი რაღაცას ყვიროდა, იხვეწებოდა, იმუქრებოდა. მოგვიანოდ გაისმა ქალის მკაფიო ხმა: „დედაია, რა ამბავია, გოლუაფირო! მაცალეთ, ხაზზე პროფესორი დგას!..“

რაიონული კავშირგაბმულობის მეელსმენე თარჯიმანივით უხსნიდა ჯერ ჭალაკონს — თბილისიდან გაგონილს; შემდეგ თბილისს — ჭალაკონიდან ნათქვამს... „კელუ ლენინგრაღში ჰყოლიათო...“ „სიმსიენე ავთვისებიანი არ აღმოჩნდაო...“ „ახლა ჭალაკონშია, მაგრამ ოპერაციის შემდეგ მაინც შეუძლოდ არისო...“

და პროფესორმა უკანასკნელად ჩასძახა: „კელუს სანახავად ჩავდივარ ჭალაკონში. ზეგ, კვირას, მანდ ვიქნები!“

* * *

„ზეგ, კვირას, მანდ ვიქნები!“ — ამ ოთხმა სიტყვამ ოთხი-ოდე საათის განმავლობაში მთელი ჭალაკონი შემოიარა და



კმაყოფილების ღიმილი წამოშალა კიდით-კიდე. სახუმარო-საქალაქის მეტი არ იყო, — პროფესორი უკვე არ ემდუროდა კაპიტანს.

იმავე საღამოს საბჭოში მოითათბირეს სოფლის თავკაცებმა: პირველ დღეს როგორ შეხვდებოდნენ სტუმარს, მეორე დღეს რომელ საათზე გაეხსნათ კლუბში მისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება ვის გაეკეთებინა, მისასალმებელი სიტყვები ვის ეთქვა... და ის იყო, სახელდახელო თათბირის მონაწილენი დაშლას აპირებდნენ, ერთმა წამოძახილმა ყველას ცივი წყალი გადაასხა:

— კაცო, ამდენი ვილაპარაკეთ და იქნებ პროფესორი სულაც არ აპირებს ჩამოსვლას!

— დიდუპ, მაშინ კისერი მოგვეჭრება და ეგაა!

— მართლა, ჭორს ხომ არ ავყევით?!

...მაშინვე იხმეს მეელსმენე ქალი და ყველაფერი ისე დააჯუსტეს, „წყალი არ გაუვიდოდა!“

იმ საღამოს სოფლის თავკაცებმა კელუს მიაკითხეს და საბჭოში დაწყებული თათბირი სუფრაზე გაგრძელდა. კელუ ენად გაიკრიფა. იგი, თავისი აზრით, ძალიან აქებდა სახელოვან ბიძაშვილს:

„აჩემება იცოდა; აიჩემა და, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისწავლა ინგლისური! — რუსული ხომ ბავშვობიდან ბეირივით იცოდა. აიჩემა და ისწავლა „ფრანციცული“. შემდეგ აიჩემა და გახდა „პრაფესორი...“ ისე მაგისტანა უწყინარი კაცი ტყუილია, რომც ეცადო, ვერ გააბრაზებ!.. როცა მოეხსანათება, თვითონ გაბრაზდება... დედა, რამდენს კითხულობს! ბიჭობაში რომ დაიწყო წიგნების კითხვა, აქამდე არ მიუტოვებია!.. ისე, დიდკაცობას — დიდი კაცის ბიძაშვილობა ჯობია: გიორგის გამო ყველგან პატივს მცემენ... კვირას ჩამოვა თუ არა, ვერ გეტყვით! თუ აჩემებული აქვს, უსიკვდილოდ ჩაქოვია!..“



იმ ღამეს პროფესორს ძილი არ გაჰკარებია. „კინალამ მოკვდი“ — ეს სიტყვები სარეცლიდან წამოძახილს ჰგავდა



და ლენინგრადიდან მიღებულ კონვერტში თითქოს წერილის
კი არ იყო მოთავსებული, არამედ კელუს ხმა.

წერილის გახსნისთანავე ამ ხმით აიესო გიორგის ბინა.
გვიან ბიძაშვილის ამოკვნესა ღუმელს შეენაკადა... ღუმელი
თანდათან მატულობდა, ოთახში ვერ ეტეოდა და ფანჯრებზე
ჩამოშვებულ ფარდებს მძიმედ არხევდა.

და ანაზღად გაახსენდა: ჭალაკონში იმ ძეგლსაც ნახავდა,
სადღაც საწყობში რომ იდგა, პროფესორის ამქვეყნიდან წას-
ვლის მოლოდინში გარინდული. ისიც გაახსენდა, რა უმადუ-
რობა გამოიჩინა მაშინ, როცა მოქანდაკემ ბინაში დაურქვა:
„თქვენი ბიუსტი შემოიკვეთეს. მინდა შეგხვდეთ. რჩევაც მჭირ-
დება და სათხოვარიც მაქვსო“ და თავად კი უპასუხა: ამაზე
მეორედ არ დამირეკოთ!

ამგვარი პასუხი, რაც მოქანდაკეს, ალბათ, ძალიან ეწყინა,
გარკვეულმა მიზეზმა გამოიწვია; იმ ძეგლის ამბავმა თბილის-
ში ჩამოაღწია თუ არა, პირველი ჭორი კუდივით მოიქნია:
„გიორგის თანასოფლელებისათვის ჩაულაპარაკებია, ძეგლს
დამიდგითო!..“ და მოქანდაკესთან ურთიერთობის დამყარება
იმ კუდიან ჭორს ფრთებსაც შეასხამდა.

მოგვიანოდ მოქანდაკის წერილი მიიღო:

„დავამთავრე თქვენი ბიუსტი. რადგანაც თავად აღმიკვე-
თეთ ნატურით სარგებლობა, გამოვიყენე თქვენი ფოტოები,
ქუჩაშიც გაკვირდებოდით. რამდენიმეჯერ თქვენს საჯარო
ლექციასაც დავესწარი.

ამ წერილს მხოლოდ იმიტომ ვწერ, რომ ერთი მოულოდნე-
ლი დაბრკოლების გადალახვა დამჭირდა: ჭალაკონში გამაცნეს
თქვენი ბიძაშვილი და შემამინა თქვენმა გარეგნულმა იგივე-
ობამ. მე გამოვიყენე მისი ანფასი და პროფილი. და გამოვი-
ყენე მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენი სკულ-
პტურული პორტრეტი არ დამსგავსებოდა მას!

მგონია, გამიგეთ!

ეწუხვარ, რომ პირადად არ მიცნობთ. თუმცა ავტორის
ახლო გაცნობა ნაწარმოებს არაიშვიათად ჩრდილსაც აყენებს.
როცა ჩემს ნამუშევარს ნახავთ, მე თქვენ გამიცნობთ!“

ფიქრში გართულს განთიადისას ჩაეძინა.



* * *

ჭალაკონელები ეჭვიანობდნენ: შეიძლება, პროფესორმა ამჯერადაც ვერ მოიცილოსო. მაგრამ იგი ჩამოვიდა ზუსტად კვირა დღეს და ჩამოვიდა ჯალაბობით...

დილა იყო. რკინიგზის სადგურზე, ჩვეულებრივ, ზღვა ხალხი ირეოდა... შავი ორთქლმავალი ძაძითმოსილს ჰგავდა, შემცხადებელივით ჰკიოდა... მაგრამ ყველაფერს მიანიც საზეიმო იერი გადაჰკრავდა...

და როცა სტუმარმა ვაგონის კიბიდან ფეხი ჩამოდგა, სამი „ვოლგა“ და შვიდიოდე ჭალაკონელი დაბარებულებით დახვდა იქვე.

* * *

ენგურის ჭალებიდან რონინით წამოფრინდა ნისლის ქულა, თანდათან გაბაცდა, გაიცრიცა და ხმელეთიდან ატანილი სინოტივე ლაქვარდებს შეაღია. ცოტაც და ნისლის ახალი ქულა წამოფრინდა... თითქოს ვიღაცა იდგა მდინარის პირას და მყუდრო ჭალებში ჩარიგებულ ნისლებს აფრთხობდა.

პროფესორმა მანქანა გააჩერებინა. ჭალებში გასეირნება მოეწადინა... სადაც ლეფონწყალი ენგურს ერთვოდა, დააყოვნა. შემდეგ სანაპიროს აჰყვა და ნაწისქვილართან შეჩერდა.

იგი ნაწისქვილარს ისე დაჰყურებდა, თითქოს ახლობელი კაცის საფლავი ყოფილიყო. ოცნებამ სწრაფად გააცოცხლა წარწერებით აჭრელებული კედლები, დოლაბი, სარეკელა... უთუთია მეწისქვილე.

აი, გიორგი ბრუნდება პეტერბურგიდან... უთუთია მოხუცებულა, ძალიან მოხუცებულა, თუმცა როდის არ იყო მოხუცებულ!

- გიო, ვერ გიცანი, შვილო! ჩემი ზღაპრები გახსოვს?
- მახსოვს, უთუ, მახსოვს!
- პეტერბურგი დიდი ქალაქია?
- დიდია, უთუ, დიდი!
- ათასი წისქვილი იქნება პეტერბურგში?
- არა, უთუ, ხუთიც არ იქნება!

— აბა, იმ მიღების ხალხს სად მიაქვს საფქვევი?!

ბავშვობისას უთუთია აჯერებდა, რომ ჭინკაც და ლეფონწყალში უნახავს ბევრზე ბევრი. ჰყვებოდა იგი საკვირველ ამბებს და პატარა გიო თითქოს ხედავდა: ხევი სავსე იყო ჭინკებით, მათა ბანაობდა ლეფონწყალში და ოჩოკოჩი თვალებს აბრა-ალებდა ურამის მთიდან.

ახლა გიო სტუდენტი გამომცდელად ეკითხება:

— უთუ, ჭინკა მართლა არსებობს?!

— ჭინკა სიტყვა იყო, ოღონდ დასაშინებელი. უფრო ბავშვების დასაშინებელი.

— კი, მაგრამ რაში სჭირდებოდათ ბავშვების დაშინება?

— ჰმ, — მწარედ იღიმის უთუთია. ეტყობა სწყინს, რომ ამას განმარტება სჭირდება. — ბავშვი სადამოისას შინ დროზე რომ დაბრუნებულყო, აჯერებდნენ: „ღამე ჭინკებისაა!“ და სიტყვა „ჭინკა“ ყოველ ბავშვს შინისკენ ერეკებოდა შებინდულზე. ახლა შენ მითხარი, ცუდი ყოფილა ჭინკა?

— კარგი ყოფილა! — იღიმის გიორგი სტუდენტი. — ოჩოკოჩი რა იყო?

— ოჩოკოჩიც სიტყვა იყო! ოღონდ უფრო თავშესაქცევი. ოპო-პო-პო! — იძახდა ოჩოკოჩი და კაცს ეომებოდა: ოჩოკოჩს ღონე ჰქონდა, კაცი ხერხით სჯაბნიდა! და ყმაწვილი ეჩვეოდა: ხერხი სჯობია ღონესო!

— მესიაკონი რა იყო, ან წყლის მათა?

— ესენიც სიტყვები იყო. წყლის მათა ახალადერილი ბიჭების დასაშინებელი იყო, საბავშვოდ ლერლეტი რომ უყვართ ღამლამობით. ვისაც წყლის მათისა სჯერა, მაგისტანას ვერ გაბედავს!

— ღმერთი?..

უთუთია შფოთავს: — შენისთანა სწავლულები ამბობენ, ღმერთიც სიტყვააო. მაგრამ მე მითქვამს და შენ დაიხსოვ: ჭვეყანა მაშინ დაიღუპება, თუ ღმერთიც სიტყვა აღმოჩნდა!

— აბა, დავლუპულვართ და ეგაა!

— არა, ჯერჯერობით არა! თუმცა ბევრი არაფერი გვიკლია!.. — და უთუთია აქეთ იძლევა შეკითხვებს:



— რუსხელმწიფეს ცოლი ღალატობსო, მართალია?

— უთუ, ქინკებზე ლაპარაკი ჯობია ხელმწიფეებზე ლაპარაკს.

— კი, ხელმწიფეზე ლაპარაკი საფარსაგოა; რაც სოციალისტები იყვნენ, სულ ამის გამო გააციმბირესა.

ოცნებიდან გამოერკვა; მის წინ მხოლოდ ნაწისქვილარია. მიწას ძლივს ეტყობა არხისა და სალარე ჭრილის კვალი. ნაწისქვილარამდე ერთი ბილიკი მოდის და ზედ ნაპირთან წყდება: ეტყობა, ვიღაცეები დროგამომშვებით აკითხავენ ნაწისქვილარს. და ნაწისქვილარი თითქოს ავგაროზია, რომელიც ამ ბილიკით სოფელს ჰკიდია.

„ვინ გაკვალა ეს ბილიკი?.. ვინ აკითხავს ნაწისქვილარს, ვინ?! ...ალბათ, ჩემი თანატოლები! არა, ბილიკს მარტო ისინი ვერ გაკვალავენ, ცოტანი დარჩნენ თანატოლებიდან!“

გზისპირას დგანან ვაოცებული მასპინძლები და შორიდან უყურებენ სტუმარს, რომელიც გამობრუნებას არ აპირებს.

სტუმრის ქალიშვილი ამჩნევს, გზაზე მიტოვებული მასპინძლები რაღაცას ჩურჩულებენ. ჩურჩული თანდათან მატულობს, გადადის თამამ ლაპარაკში და ბოლოვდება კამათით:

- რაღაცა ვაწყენინეთ!
- უსათუოდ ნაწყენია!
- ხომ ხედავთ, ზურგი შეგვაქცია...

პროფესორის ქალიშვილი აღელდა. მამისაკენ გაემართა. ნაბიჯზე ეტყობოდა, თავაზიანი სიტყვების სათქმელად არ მიდიოდა. მაგრამ როცა განმარტოებულ მამას მიეახლა, ერთბაშად მოტყდა, ჭიუტად გაშლილი მხრები მოუდუნდა: მამამისს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

* * *

მეწინავე მანქანა, რომელშიც სტუმარი იჯდა, სოფლის შუაგულს მიუახლოვდა და... უამრავი ბავშვი ეჩვილ-ხივილით წამოვიდა წინ: ცხადი იყო, ეს ლაშქარი საგანგებოდ დააყენეს აქ, რათა სტუმართან შეხვედრა საზეიმო ცერემონიად ექ-



ციათ. პროფესორს ბრაზი მოერია, მაგრამ რისხვას ვერცხვას
დაატეხდა თავზე, რადგანაც მანქანაში, მძღოლის გარდა, ყვე
ლა მისივე ოჯახის წევრი იყო. და ამასლა დასჯერდა, მძღო-
ლის გასაგონად დაიძახა:

— რა საჭირო იყო ეს გაწამაწია!

ლაშქარი სამ ტალღად მოდიოდა. სულ წინ იყვნენ უმ-
ცროსკლასელები, რომლებმაც მანქანის მინა ჩააბნელეს ხელ-
ში შემართული თაიგულეებით. მეორე ტალღას შეადგენდნენ
პიონერები და შეღერილი გოგო-ბიჭები. ცოტა მოშორებით
დინჯად მოდიოდნენ მოზრდილები. ეტყობოდა, ესენი იყვნენ
პედაგოგები და მშობლები, რომლებიც თან მონაწილეობდნენ
შეხვედრაში და თან ამოწმებდნენ — ბავშვებს ხომ არ შეეშ-
ლებოდათ რამე.

სტუმარმა კაბინა დატოვა თუ არა, მქუხარე ოვაციამ ჰაე-
რი შეატორტმანა და ერთბაშად ჩამოებრტყა სარფიცრულის
გასწვრივ ჩარიგებულ ხეებზე შემორჩენილი უკანასკნელი
ცვარი.

ამასობაში ერთმა პატარა გოგონამ, სტუმრის ახლოს რომ
იდგა, საგულდაგულოდ დაკეცილი ქაღალდი გაშალა. პრო-
ფესორმა ირიბად დახედა ქაღალდს და თვალში მოხვდა მსხვი-
ლი ასოებით გამოყვანილი: „ამხანაგებო! დღეს ჩვენ გვესტუმ-
რა...“ ცხადი იყო, გოგონა ელოდა ტაშის მინელებას, რათა
სიტყვა დაეწყო. პროფესორი მიეაღერსა გოგონას, ვისი შე-
ლი ხარო, ჰკითხა და ისე მოხერხებულად ააცალა ქაღალდი,
რომ უკეთესად ამას ვერც ლეგენდარული ბაღდადეგი ქურ-
დი მოახერხებდა.

გოგონას ფერი ეცვალა, დაფეთებული თვალეებით მიმო-
ხედა. ყველამ იგრძნო, რომ პროგრამა ჩაიშალა. წამიერი დუ-
მილი ჩამოვარდა.

მაგრამ სტუმარმა დუმილი ისევე მოხერხებულად გაფან-
ტა, როგორც ჩამოაგდო:

— ჩანს, სიტყვებით გამოსვლას აპირებდით! მოდი, ის
სიტყვები მე მომეცით და სახლში უფრო დამშვიდებულად
წავიკითხავ. ერთი სიტყვათაგანი აგერ მაქვს! აი, ამ გოგონას

ავართვი და, მგონი, ძალიან ვაწყენინე. — ისევ იფეთქა სპეცილმა და გამოჩნდა კელუ. სტუმარმა შორიდანვე გაშალა ხელი მის შესახვედრად, კელუააც ხელი გაშალა.

პედაგოგები და მშობლები, აქამდე უკან რომ იდგნენ, თანდათან მოეახლნენ სტუმარს და რიგრიგობით ართმევდნენ ხელს. ოფიციალურად დაწყებული შეხვედრა ჩვეულებრივ სალამ-მოკითხვად იქცა.

— პეპელა როგორაა? — იკითხა კელუმ.

— დაფრინავს! აგერ მოფრინდა და მანქანაში ზის.

— ბიჭოს! შენ მთელი ჯალბობით ჩამოსულხარ! კედელს ნახშირი! — სტუმრის ოჯახის წევრები აქამდე ისე იყვნენ დაბნეულები, მანქანიდან ჩამოსვლა არც უფიქრიათ. კელუს ნახვამ პეპელა გაათამამა:

— რას ვუცდით, ჩვენც ვეჩვენოთ ხალხს!

და ისევ თავიდან დაიწყო ხელის ჩამორთმევა, გაცნობა და მიკითხვ-მოკითხვა.

ვილაც დედაკაცმა დაიძახა:

— დედაია-ნანა, პეპელაც აქ ყოფილა!

— ის კი არა, ქალიშვილიც და სიძეც ჩამოსულა.

— ეს ბავშვები, ალბათ, შვილიშვილებია.

— პეპელა სულ დაბერებულა!

— ცოცხალი რომაა, არ გიკვირს? ოთარის დამკარგავს სული რაფერ უდგას!

— სუთ!.. სხვებმა სამი და ოთხი შვილი დაკარგა ჯარში.

— ოთარი სხვა შვილი იყო!..

ახმაურებულ ხალხში ვილაცამ იკითხა:

— სოფლის თავკაცები სად არიან?

— რაიონში წავიდნენ, თათბირზე. სალამოისას რაიკომის მდივანიც მათ ჩამოყვება თურმე...

სტუმარმა მოიწადინა, დარჩენილი გზა ფეხით გაეგლო. თანმხლებად ხანდაზმულები აირჩია. კელუ კი აიძულა, მანქანაში ჩამჯდარიყო: ნაავადმყოფარი ხარო!

გიორგი და მისი თანატოლები დინჯად, ბერიკაცულად მიაბიჯებდნენ. ახალ გზაზე ღორღი და კირქვა ისე მოეთელა



უროუთოს, იფიქრებდით, ჭკვის ფქვილი მოუბნევიათო ფეხებზედ ფენად.

— კარგი გზა გაგიყვანიათ! — ისე დაბეჯითებით თქვა სტუმარმა, თითქოს პირდაპირ ამ გზის შესამოწმებლად იყო ჩამოსული თბილისიდან. — მოდი, მაინც ბილიკით ვიაროთ! ბილიკი უფრო მამაპაპურია!

თანატოლები უსიტყვოდ დაემორჩილნენ. ოღონდ აღმართი ყველას უფრო დამქანცავი ეჩვენა, ვიდრე მოელოდნენ. მუხის ქვეშ მოირთხეს, სული მოითქვეს.

თანატოლებს ძალზე მოტეხილი ეჩვენათ გიორგი, მაგრამ გასამხნევებლად უმტკიცებდნენ: კარგად ყოფილხარ, მშვენიერად გამოიყურებიო! სტუმარსაც ძალზე მოტეხილი ეჩვენა სიყრმის მეგობრები, მაგრამ კარგად ყოფილხართო, — უმტკიცებდა... და ისინი პირველად ატყუებდნენ ერთმანეთს.

ბებერი მუხა წარსულს ახსენებს ადამიანს, ყველა იმათ, ვისაც ოდესღაც თვალი შეუვლია მისთვის. მუხის ჩრდილში წარსულის რალაც საწილი გვხვდება და ეს „ნაწილი“ ყოველთვის გრილია.

სტუმარს ექვსათეული წლის წინანდელი ჭალაკონი გაახსენა ნაცნობმა მუხამ... მაშინდელი სურათების აღდგენა სცადა მხსიერებაში... საგრაჲ უკელ-დევო... ახსენდებიო... რალაც უჩვეულოდ — ნაჭერ-ნაჭრობით. იმ „ნაჭრებიდან“ რომელი რა აღგილას მდებარეობდა, ვერ მოიგონა. ზოგიც „ზედმეტი ნაჭერი“ აღმოჩნდა, სოფლის კონტურებში ვერ მოთავსდა. ამიტომ ხსოვნაში ამოტივტივებული სურათების გამთლიანება ვერ შესძლო და იმ ხუროს მდგომარეობაში იყო, რომელსაც ძველი სახლის ხელმეორედ აწყობისას ბებერი ფიცარი გადარჩა!

მუხის ჩეროდან ნახევარი სოფელი ჩანდა ხელისგულივით. შომცრო ეზოებში ცისფრად კიაფობდა ახალშეწამლული ვაზი. სიმწვანეში გამოკრთოდნენ სახურავები, ალაგ-ალაგ კრამიტისა, წითელ-წითელი, თითქოს პილპილის ბოსტნები. ფერდობის გაყოლებით სახლები მომრავლებულიყო; ოთხი წლის წინათ არცერთი მათგანი არ იდგა! ეწრიანებზე გაჭიმულ პლანტა-



ციებს ზედ მიბჯენოდა ხოდაბუნები და მათი იღუმალური ტრიფოლიატის მწვანე ღობეებს დაეზავებინა.

მოგვიანოდ სოფლის შუაგული ამოიჩემა სტუმარმა. სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა გვირგვინად ედგა სოფლის ცენტრის მოკრძალებულ სილამაზეს. სკოლას მხარმარჯვნივ მზით გაკაშკაშებული მოედანი ეკრა, მარცხნივ — საკუთარ ჩრდილში ჩამალული ბაღი და ეს შენობა თითქოს ხიდი იყო ჩრდილსა და სინათლეს შორის.

... ისხდნენ და არ თავდებოდა მასლაათი.

* * *

ჭალაკონის რადიოკვანძში ერთი გაწამაწია იყო: მზადდებოდა სტუმრისადმი მიძღვნილი გადაცემა და დილიდანვე რეპეტიციებს გადიოდნენ. „...ლაპარაკობს ჭალაკონი! ლაპარაკობს ჭალაკონი! მოისმინეთ ადგილობრივი რადიოგადაცემა!“ — მხოლოდ ამ სიტყვების თქმა მოასწრო კლუბის გამგემ და მიკროფონი გამოურთეს.

კლუბის გამგე აღშფოთდა, მაგრამ წამსვე დააშოშმინეს:

— ე-ე, უყურეთ! გიორგი სად მიდის ბერიკაცებთან ერთად! მთავარია სტუმარმა მოისმინოს ჩვენი გადაცემა. უნდა მოვიცადოთ, სანამ ისინი კელუს სახლში მივლენ!

გადაცემის ყველა მონაწილე აივანზე გამოეფინა.

— ვითომ ისინი არიან?

— მანქანით არ წასულან?!

— ვაჰ, რა აცა-ბაცა მიაბიჯებენ! ესენი როდის მიაღწევენ კელუს სახლამდე!

რადისტის ჭალაკონელი არ იყო, ამიტომ გულუბრყვილოდ იკითხა, ისეთი რა დამსახურება მიუძღვის თქვენს სტუმარს, რომ მთელი სოფელი ფეხზე დადგაო! ვაჰ, ეგ ვინა ყოფილაო, რადიოს კირკიტის მეტი რომ არაფერი სცოდნიაო! — გაცეცხლდნენ გადაცემის მონაწილე გოგო-ბიჭები და რადისტის ყმაწვილი კინადამ გალახეს. შენ ის გვითხარი, კელუს სახლში როგორ ისმის გადაცემაო!

დარცხვენილმა რადისტმა მოიბოდიშა. შემდეგ ძლივს ამო-



მარცვლა: კელუს სახლში მონტიორი მყავსო გაგზავნილი; რადიოსაც მოუვლის და ამბავსაც მოგვითხანს, თუ იტყვის სტუმარი ჩვენს გადაცემას.

მოგვიანოდ ყველამ დაასკვნა: ახლა უკვე მისულები იქნებიანო, და ისე შელაგდნენ სააპარატოში, რომელიც ამავე დროს სტუდიაც იყო, როგორც მაყრები სეფაში და ისევ გაისმა „ლაპარაკობს ჭალაკონი!“, „...ჭალაკონიდან აფრინდა ის არწივი, რომელმაც კამარა შეჰკრა მეცნიერების ცაზე...“ გადაცემის შესავალი კლუბის გამგემ დაწერა და სულ ასეთი პანტაჭრელა სიტყვებით იყო აჭიკჭიკებული. ამას მოჰყვა ამონაწერები პრესის მასალებიდან პროფესორის ცალკეულ ნაშრომებზე. რადიოში ორი თანასოფლელი გამოიყვანეს მოგონებით და ერთი მოსწავლე — სტუმრისადმი მიძღვნილი ლექსით.

ტექსტის კითხვისას ცალკეული სიტყვები ეშლებოდათ ჯაკლუბის გამგე, როელიც გადაცემას რეჟისორობდა, მიკროფონთან გამოსულებს უღერდა მუშტს, უბრიალებდა თვალებს... ბოლონაწილი თავად წაიკითხა: „...ერთხელ თბილისის რადიომ გამოაცხადა: მოისმინეთ ხალხური სიმღერები, რომელთა გადმოცემას გვთხოვს პროფესორი ოდიშარია. და ჭალაკონელმა რადიომოყვარულებმა ჩაიწერეს იმ სიმღერების სახელწოდებანი. ახლა გადმოცემთ სწორედ იმ სიმღერებს, ჩვენი საკოლმეურნეო გუნდის შესრულებით. დაე, ჩვენმა სტუმარმა მშობლიურ სოფელში მოისმინოს თავისი საყვარელა მელოდები!“

ბოლონაწილი მართლაც მთელი გადაცემის გვირგვინი იყო. ყველას სიხარულით უბრწყინავდა თვალი. მათი ერთსულრვანი დასკვნით, ამაზე უკეთესი გადაცემის მოწყობა რაიონის რადიოსაც გაუჭირდებოდა. და ახლა გულისფანცქალით მოელოდნენ, რა ამბავს მოიტანდა მონტიორი კელუს სახლიდან.

მალე ისიც გამოჩნდა, მაგრამ დაღვრემილ სახეზე ეტყობოდა, კარგი ამბავი არ მოჰქონდა.

— რაო, რა თქვა პროფესორმა, ხომ მოეწონა გადაცემა? მონტიორმა ხელი ჩაიქნია და ბრაზიანად ჩაილაპარაკა:

- პროფესორს არაფერი გაუგონია!
- რადიო არ მუშაობდა თუ?
- როგორ არ მუშაობდა, სულ ყვიროდა, მაგრამ თქვენ რომ გადაცემა დაიწყეთ, მოსული არ იყო!
- მერე, მერე?
- მერე რა! არც სხვებს უგდიათ ყური. მთელი სანათესაო იქ მოგროვდა. პეპელას, მის ქალიშვილს, სიძეს ისეთი ხვევნაკოცნა და მიკითხვ-მოკითხვა გაუმართეს, რადიო ცალკე დარჩა და მაგენი — ცალკე. ბოლოს მოუსმინეს ცოტა.
- პროფესორს არც ბოლო გაუგონია?
- რომელი ბოლო! აქეთ რომ მოვდიოდი, მაგი და ბერაკაცები ისხდნენ წყურგილესთან და მასლაათობდნენ. სახლში ჭერაც არ იქნებიან მისული.
- ე, ბიჭო, წყალში არ გადაგვიცვივდა ყველაფერი?!

* * *

ხომ არსებობს ისეთი ხმაური, რომელიც ჩნდება მიწაზე, მაგრამ ვერ აღწევს ბალახის ზევით, ვერ აღწევს ყვავილთა ბუსუსების ზევით... ის ხმაური ეფინა ქვეყანას და ერქვა სიჩუმე.

პროფესორი გარინდული იდგა შუა ეზოში.

ნეშოსა და მწიფე მტევნების სურნელებას აევსო ღანჯეს სურნელება იმდენად მყარი ჩანდა, შეიძლებოდა ნიაგქარისთვის დაეშალა თავისუფალი ნავარდი... ასეთ დროს ძილი უახლოვდება ქვეყანას და ანთებულ ვარსკვლავებს მიმცხრალი შუქი შეაქვთ სიზმრებში... პროფესორს კი არ ეძინება.

ამ აკაცის, ქართასთან რომ აღანძულა ბნელში, ახსოვს გიორგის ბავშვობა. აკაცის ეკლები ესხა და პატარა გიო ფიქრობდა: აკაცის რად უნდა ეკლები?!

„ეკლები ველურ ტყემალსაც აქვს, კნაპას, ქაცვსა და კვირინჩხს, მაგრამ ისინი თავიანთ მომკავო ნაყოფს მაინც იცავენ... აკაცია კი რას იცავს ვითომ?! გამოუყრია სადგისები, აქაოდა არავინ ამოძერესო ჩემს ტოტზე! ვინ ავა აკაციაზე!



ვაშლი არ ასხია და მსხალი!.. ატამსა და ვაშლს ეკლები სუფრა
 ლაც არ აქვს, რადგანაც ისინი ძუნწები არ არიან! აკაცთა
 ძუნწიცაა და სულელიც!“

და ეკლიანი ხის ან ბუჩქის ნახვისას პატარა გიო იტყოდა:
 „ფია, ძუნწი!“

„ეს ხომ გუშინ იყო! როდის დავებრდი?!“

მინდორზე გაშლილი საწვეულო სუფრა რახანია დაცარი-
 ელდა. ახლა ქალები დადიან სუფრასა და სამზარეულოს შო-
 რის, ალაგებენ ჭურჭლეულს. ელნათურის შუქზე უკანასკნე-
 ლი საინები ბრწყინავენ.

მთელი დღევანდელი დღე გიორგისათვის ისე საჭირო აღ-
 მოჩნდა, უკვირდა კიდევ, აქამდე როგორ გასძლო უმისოდ!
 ეს რამხელა — ტკივილებითა და სიხარულით სავსე — დღე
 აკლდა თურმე!..

მერამდენედ გაახსენდა სოფლის თავკაცების გამოჩენა
 ჭიშკართან. საბჭოს თავმჯდომარეს თითქოს ცეცხლი ეკიდა
 ლაწვებზე, ისე იყო ალექსილი სირცხვილისაგან. იმ წუთებში
 ქალები სუფრას აწყობდნენ, მაგრამ ხელად ნიატოვეს საქმე.
 მოწვეულთა მთელი ლაშქარი ყურადღებად იქცა. ჩუმიად
 იღიმებოდნენ იმის მოლოდინში, თუ როგორი იქნებოდა სტუმ-
 რის შეხვედრა იმ კაცთან, ვინც „ორიოდე დღე დარჩენიაო“
 უწინასწარმეტყველა!

თურმე ღიმილი იმდენნაირი ყოფილა, რამდენიც კაცია
 ქვეყანაზე. ყველა იღიმებოდა, ოღონდ თავისი, ყველა და-
 ნარჩენისაგან განსხვავებული, ღიმილით... შეხვედრა კი სრუ-
 ლიად ჩვეულებრივი გამოვიდა.

ერთი არ ესიამოვნა მხოლოდ, სკულპტურული პორტრეტის
 შესახებ ბევრი ლაპარაკი იყო. პეპელა პირდაპირ აღფრთო-
 ვანებული ამბობდა: ხელოვნების იშვიათი ნიმუშიაო! აგერ,
 მარანშიაო, კელუს წამოულია საწყობიდან, — ჩემსას უკეთ
 შევიანახავო! მიდი და შენც ნახეო... მაგრამ ამდენ ხალხში
 უხერხული ეჩვენა, რომ ქანდაკებისადმი დაინტერესება გა-
 მოეჩინა. და ეს უხერხული იყო აქამადაც, როცა სუფრის
 მოსამსახურე ქალები ჯერაც აგრძელებდნენ ფუსფუსს და



ხანდახან მარნის კარიც გაიჭრიალებდა; იქაც ჰქონდა
ლაც საქმე...

* * *

გიორგი დილით ადრე ადგა და მარნისაკენ გაემართა.
მარმარილოს ბიუსტი საწინახელთან იდგა, ოთხკუთხად გა-
მოთლილი მორებისაგან დიდი გულმოდგინებით გაკეთებულ
ჩარჩოში ყელამდე ჩასმული.

დააკვირდა და... პირველი გრძნობა, რომელიც დაეუფლა,
იყო შიში! ქანდაკება ოდნავ წინ იყო გადმოხრილი, კარებისა-
კენ, თითქოსდა მარნიდან გამოსვლას აპირებდა...

მოქანდაკეს ოდნავ უფრო ახალგაზრდა გამოეყვანა იგი.
მაგრამ საოცარი პორტრეტული მსგავსების გარდა, საიდან-
ღაც და როგორღაც იგრძნობოდა, რომ ეს ღრმად ჩაფიქრე-
ბული კაცი რაღაცაზე სწუხდა...

და ერთი საკვირველი გრძნობაც დაეუფლა: ქანდაკება
ვიღაცას აგონებდა!..

ცოტაც და ამ გრძნობამ უკან დაიხია ზღვის მიქცევასავით,
მხედველობის უნებლიე შეცდომას მოჰყოლოდა თითქოს!..
მაგრამ წამსვე ახალი ძალით წამოიწია წინ, წამოიწია განმეო-
რებულ ტალღად... და ყოყმანიც შეწყდა: ქანდაკება მართლაც
ჰგავდა ვიღაცას — იღუმალი, ოდნავ შესამჩნევი ნიშნით!..
მაგრამ ვის?! ვის?! აი, აი, იმ ნაადრევად გამელოტებულ ახალ-
გაზრდა კაცს, თბილისის ქუჩებში ხშირად რომ ხვდება გიორ-
გის და განსაკუთრებული მოკრძალებით ესალმება ყოველ-
თვის, თანაც ჰკითხავს: „როგორ ბრძანდებით, ბატონო გიორ-
გი?..“

„რატომ მომაგონა ამ ქანდაკებამ ის ახალგაზრდა კაცი?!“

ის ახალგაზრდა აუდიტორიაშიც შენიშნა, როცა ლექციას
კითხულობდა. გაუკვირდა. მხედველობითმა მეხსიერებამ
უკარნახა, რომ ის სტუდენტი არ იყო!.. ერთხელ ოპერის თეა-
ტრიდან დიდი მოწიწებით გამოაცილა. გაეშაუბრა. ესეც ჩაურ-
თო: ახლობანებში ჰალაკონში ხომ არ ყოფილხართო!.. მაშინ
პეპელაც ახლდა გიორგის და როცა ახალგაზრდას დაემშვი-



დობნენ, იკითხა: ვინ იყო, რომ მოგვაცილებდა? უპასუხა: არ ვიცი, ალბათ, ჩემი ნასტუდენტარიაო!

ის ახალგაზრდა, ქუჩაში შენიშნავდა გიორგის თუ არა, მისკენ გამოსწევდა; როგორ ბრძანდებოდა! — ჰკითხავდა. შემდეგ იმნაირად დაშორდებოდა, თითქოს რაღაც სათქმელი ჰქონდა და ვერ შეუბედავსო... ახლა უფრო გარკვევით გაახსენდა მისი იერი, მისი ოდნავ გაბზარული ხმაც და პირველად შენიშნა, — იმ მოქანდაკეს, ტელეფონით რომ დაელაპარაკა ერთხელ, სწორედ ასეთივე ხმა ჰქონდა!..

და პროფესორი მიადგა ისეთ დასკვნას, რომელიც აღმოჩენას უღრიდა: „ნამდვილად ის ახალგაზრდა კაცია მოქანდაკე რამაზ კახაძე!“

ეს შინაგანი დაჯერება იმდენად შეურყეველი გახდა, გიორგი მზად იყო პირველსავე შეხვედრაზე, უყოყმანოდ, ამგვარად მისალმებოდა მას: გამარჯობათ, ამხანაგო კახაძე!

პროფესორი აღელდა. ახლა, როცა ყველაფერი ნათელი იყო, ასეთი კითხვა აეკვიტა: მაინც რითი ჰგავს ეს ქანდაკება იმ ახალგაზრდას?!

დააკვირდა... დიდხანს დააკვირდა ქანდაკებას, მაგრამ ეს მსგავსება სკულპტურულ პორტრეტში ისე იყო მიმობნეული, ძებნას რომ დაუწყებდი, გაუჩინარდებოდა! ძებნას რომ შეწყვეტდი — ჩანდა.

და ამას მეორე — უფრო ამაღელვებელი კითხვა მოჰყვა: მე როგორ შევნიშნე ეს იდუმალი მსგავსება?!

ძიებაში თანდათან იზადებოდნენ დასკვნები:

ყოველ ადამიანში მეორე — საიდუმლო ადამიანი მიმაღული! ის „მეორე ადამიანი“ მეექვსე გრძნობასავით გეხმარება, რათა მიუწვდომელს მისწვდე!

აი, წიგნში შეხვდები ბრძნულ აზრს და — სწორია, ნამდვილად ასეა, — დაიძახებ მყისვე. თურმე ის აზრი შენში იყო, ოდონდ აკლდა სიტყვებში ჩამოყალიბება! და აქ მეღაენდება შენში მიმაღული მეორე — „საიდუმლო ადამიანის“ არსებობა!

ის „საიდუმლო ადამიანი“ — სწორია, ჭეშმარიტია! —



გათქმევინებს ყველა იმ დიდებულ სიტყვებზე, რასაც ვალში გაიგონებ და გაიძულებს სინანულით დაუმატო: როგორ დამასწრესო ამის თქმა!

ის „საიდუმლო ადამიანი“ ყოველ ახალ, ამაღელვებელ მუსიკალურ ნაწარმოებზე გაფიქრებინებს, რომ ის ახალი არაა, უწინაც გაგიგონია საღდაც!.. ზღვის ხმაურში თუ წვიმის შხივილში, თუ... სიზმარში! ოღონდ შემდეგ დაგავიწყდა და ახლა შეგახსენა კომპოზიტორმა, მხოლოდ შეგახსენა!

და ის „საიდუმლო ადამიანი“ თავად შენი მოულოდნელი შესაძლებლობაა მხოლოდ, რომელიც გაჭერებს: თურმე გაცილებით მეტი გცოდნია, ვიდრე გეგონა; თურმე გაცილებით მეტს ფლობ, ვიდრე შეგიძლია გადასცე სხვას სიტყვით და ფრაზით!

აი, ქალაქში, სადაც პირველად ხარ, ანაზღად შენიშნავ კაცს, რომელიც საღდაც გინახავს! კი არ ამსგავსებ ვინმეს; პირიქით, ნაცნობთაგან არავის ჰგავს იგი! ოღონდ უყოყმანოდ გჯერა, — მეორედ ხედავ მას!.. სად ნახე იგი პირველად?! იქნებ მატარებლის გაქროლილ ვაგონში მოჰკარი თვალი... ან?!. მაგრამ მთავარი ეს არაა! მთავარია, რომ ეს კაცი აქამდეც გინახავს!

და საიდან იცი ეს! ან ასე უყოყმანოდ რატომ გჯერა ამ ცოდნისა?!

ამიტომ, რომ ეს ცოდნა შენი შინაგანი ხმაა: თურმე შენი მოულოდნელი შესაძლებლობა იხსომებდა იმასაც, რისი დახსომებდა არც კი გიცდია.

...ეს ქანდაკება, ალბათ, სულ მცირე რაღაცით ჰგავს ავტორს; შეიძლება ყვრიმალთან ჩამოშვებული თმის ღერებით ან ერთი ნაოჭით შუბლზე... და შენში მიმალულმა საიდუმლო ადამიანმა გამოიციწო ეს მსგავსება! გამოიციწო და იცის ზუსტად, მაგრამ სიტყვების გარეშე! ამიტომ მხოლოდ გაგრძნობინა! მაგრამ — დაგაჯერა!..

— ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა გყავს! — დაასკვნა პროფესორმა. მარმარილო მეტყველებდა თითქოს...

ქანდაკება ცოცხალივით უმზერდა სივრცეში რაღაც წერ-



ტილს... და გაცოცხლებამდე ერთი ნაბიჯი აკლდა, ოღონდ...
თი, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადადგამდა.

* * *

— კელუ ბაბუამ ამას ერთხელ თავისი „ახალუხი“ ჩააცვა,
ბოხოხიცი დაახურა! — უთხრა სტუმარს პატარა ბიჭუნამ.

— მერე, მერე?

— მერე ორდენს გადააჩეხვა მოუწლომა და მე გადამაბრა-
ლა.

პროფესორს რაღაც ენიშნა. მოინდომა ძელების ჩარჩო
გაეხსნა და ქანდაკების გულ-მკერდიც ენახა... ეშმაკურად ჩა-
წყობილი რიკების საიდუმლოებას მიუხვდა, გახსნა... გაეცინა:
„ეს რა უქნია იმ დამთხვეულს!.. ალბათ, თავისთვის თუ უნდო-
და, ა?“ და სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. იმ სოფელში,
სადაც აგრე ტყუპისცალივით ჩემი მსგავსი კაცი ცხოვრობს,
ჩემი ძეგლი მართლაც არ არისო საჭირო!

* * *

— კელუ! ამ ქანდაკებას ცოტათი გადავაკეთებინებ: ჰალ-
სტუხს მოვაშორებთ, კოსტუმს ქილებიან ახალუხად ვაქ-
ცევთ, სახეზედაც გავკვრავთ-გამოვკვრავთ და შენი ძეგლი
იყოს!

კელუს სიხარულით თვალი გაუბრწყინდა და ამით თავი
გასცა.

— ეს უხერხულია, გიორგი! თანაც ამას სოფელი არ იზამს.

— ჯავრი ნუ გექნება! — გიორგის კიდევ რაღაც უნდოდა,
მაგრამ ბალღივით გაწითლებულ კელუს რომ შეხვდა, გადაი-
ფიქრა და მხოლოდ ღიმილი იკმარა.

პროფესორი იმავე დილით კოლმეურნეობის ბუხპალტე-
რიას ესტუმრა და თავისი ძეგლისათვის გაწეული ხარჯი
მოიკითხა.

ბუხპალტერიაში ეჩოთირათ ამგვარი კითხვა, მაგრამ სარე-
ვიზიო კომისიის მიერ დამოწმებული აქტი მაინც უჩვენეს.

როცა სტუმარმა აქტის ასლი მოითხოვა, თავმჯდომარე მხიშნველი
ყური ცქვიტა, ჰოუ, რაღაც საფარსავო ამბავიაო.

* * *

პროფესორმა იმევე საღამოს თბილისში აფრინა თავისი
სიძე: შემნახველ სალაროდან ამდენი და ამდენი მანეთი გა-
მოიტანე და ჭალაკონის კოლმეურნეობის ანგარიშზე ჩარიცხე.
თანაც მოქანდაკე კახაძე (მას უკვე იცნობდა გიორგი) ჩამო-
იყვანე, რათა ძეგლი გადააკეთოსო.

მეორე დღეს თბილისიდან ტელეფონოგრამა მოვიდა: „ფუ-
ლი გადავურიცხე კოლმეურნეობას. ავტორმა ძეგლის გადა-
კეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ჩამომყავს სხვა
მოქანდაკე.“

* * *

ყურები თითით რომ დაიცო, ქუხილს მაინც გაიგონებ;
ხმაურიანი ამბავიც აგრეა. მეორე დღესვე მთელმა ჭალაკო-
ნელმა გაიგონა: პროფესორს ქანდაკების საფასური კოლმეურ-
ნეობისათვის გადაურიცხავს, მოქანდაკე ჩამოუყვანია და თა-
ვისი ძეგლი კელუს ძეგლად გადაუკეთებიაო.

— ჰაუ! ეს რა გვესმისო! — გაცეცხლდნენ ჭალაკონელე-
ბი, ყანები და პლანტაციები მიატოვეს, იხუვლეს და კოლმე-
ურნეობის კანტორისაკენ მოუსვენს. ერთი შეხედვით ყველა-
ფერი ისე იყო, როგორც სიმღერაშია: „ჩაფუხტეთ მუხრან-
ბატონსა...“

— ვინ მოგვით ძეგლის გაყიდვის უფლება!

— ან დააბრუნეთ ძეგლი, ან ახლავე აიკარით გუდა-ნაბადო!

— ამხანაგებო! აგერ გავხსნათ კრება და კოლმეურნეობის
მთელი ხელმძღვანელობა დღესვე მოვაძროთ!

— აღმასკომიც მას მივაცოლოთ, აღმასკომიც!

— კისერი მოგვჭრეს, კისერი!

დაფეთებული თავმჯდომარე ხელად ეცა ტელეფონს და
რაიკომის მდივანს დაუკავშირდა. მდივანი, ცხადია, იმ ამბავს
არ ხედავდა, რაც კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ტრია-



ლებდა, ამიტომ სულაც არ აღელვებულა. თანაც ამ ძეგლის გამო ცოტათი თავიც ჰქონდა მობეზრებული: ჯერ მისი დედა გმა გაჭირდა, შემდეგ აღებას ერთი ვაი-ნაჩრობა მოჰყვა, ბოლოს — შენახვაც კი გაჭირდა. ამიტომ თავმჯდომარეს გულდამშვიდებით უპასუხა:

— ფული რომ გადაურიცხავს, კარგი უქნია!

— კი, მაგრამ სოფელი რომ ამიჯანყდა?!

— ნამდვილი ძალათმაცხოვნობა ეგაა, რას ჩააცივდით იმ კაცს! ხედავთ, ძეგლი არ უნდა!

— ასე იოლად არაა საქმე! — გაბებდაობა მოიკრიბა თავმჯდომარემ. — თქვენი ჩამოსვლაა საჭირო.

— ნუ აზვიადებთ! თუ ჭალაკონელები მაინცდამაინც არ დაიშლიან თავისას, შეინახეთ ის ფული და მომავალში დაუდგით ძეგლი!

ამ პასუხმა წყალი გადაასხა ჭალაკონელებს.

— ეს წყალი კი არა, ლაფია! — იძახდნენ „აჯანყებულები“, მაგრამ ხედავდნენ, ბრძოლა წაგებული იყო.

* * *

ჭალაკონელებს ძველად „დათვის მეზობლებს“ ეძახდნენ, რადგანაც ეს იყო მთისძირეთის უკანასკნელი სოფელი, რომლის იქითაც ველური კუნელის, წყავისა და წაბლნარის ტევრებში მართლაც დათვები ბინადრობდნენ.

ამჟამად ჭალაკონი თავმომწონე სოფელი იყო, შეძლებული მეურნეობა მოაწყეს და ყველაფერში პირველობას იჩემებდნენ. მეზობლებმა კი აგერ ენის მოსაფხანაც იშოვეს და ძველი სახელიც გაუხსენეს:

„აა, „დათვის მეზობლებო“, რა გიქნათ თქვენმა პროფესორმა!“

„მისხალ-მისხალ გადაგიხადათ ყველაფერი: ორიოდ დღე დარჩენილი, დასჩხავლეთ ხომ? სამაგიეროდ, საქვეყნოდ გამოურებული ძეგლი კელუს ძეგლად გადაგიქციათ!“

„აბა, აბა! ასე კაცისშვილს არ გადაუხდია სოფლისათვის“

სამაგიერო! სიტყვით კი არ უთხრა, თქვენი ძეგლი ცხვინეო, საქმით შეურცხვინა, საქმით!“

„მართლაც დიდი ჭკუის პატრონი უნდა იყო, ეს რომ მოიფიქრო!“

„თქვენი თავმჯდომარე მაინც რას იტყვის, სვანეთში საქვერ რომ წავიდა, აქაოდა ძეგლისათვის ცისფერი მარმარილო უნდა ვიშოვოო!“

„ის კი არა, მთელი ბრიგადა წავიდა, შე კაცო!“

„ჰოდა, კელუს ძეგლისათვის სვანეთში ბრიგადა რომ გაუშვა, ამისთანა სოფელი მეზობლებს შეჯიბრებაში გვიწვევს!“

„შეჯიბრებისათვის გცალიათ!“

„იმ ქვასაც ბედი რომ არ ჰქონია?!“

„აბა, აბა, პროფესორის ძეგლი უნდა ყოფილიყო და კელუის ძეგლად არ გადაიქცა?!“

„ჭალაკონში ჩამოტანილ ქვას, აბა, რა მოუვიდოდა! ნავსიანია ჭალაკონი, ნავსიანი!“

მეზობლები, ცხადია, აჭარბებდნენ: ქანდაკებას უკვე ახალუხიცი აცვია და ფაფახიცი ახურავსო! პროფესორი, ეტყობა, ძალიან ემდუროდა მშობლიურ სოფელს!.. და აი, ერთი კაცის ჭკუამ მთელი სოფლის ჭკუას როგორ ჩაუჭრა ხელიო!

„აბა, აბა, ჭკუის გამოცანა ცოტა სხვანაირია: ასი კაცის ღონეს კი შეაერთებ და ასჯერ მეტ ღონეს მიიღებ, მაგრამ შეუძლებელია ასი ჩვეულებრივი ჭკუა ერთმანეთს მიუმატო და ერთი არაჩვეულებრივი ჭკუა მიიღო!..“

* * *

ამბავი გზადაგზა ყოველთვის იძენს რაღაც ახალს და ერთი უბნიდან მეორეში სხვა „ქალამნით“ ჩადის.

ამასთან, ამბები უმთავრესად ხდება ღია ცის ქვეშ, ხოლო ისტორიები იწერება ოთახებში. ამიტომაც მომხდარი ამბები და მათი აღწერილობანი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. უთუოდ ეს მარტივი და გამძლე კანონი გახლდათ იმის მიზეზი, რომ პროფესორს დატრიალებული ამბები სულ



სხვანაირად მოუტანეს, იმდენად შეცვლილად, მთელი ღამე არ უძინია ჯავრისაგან.

დილაადრიან კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაემართა.

კანტორის აივანზე ათიოდე კაცი შენიშნა შორიდანვე და ერთწამს მოეჩვენა, ესენი იყვნენ ყველაზე „წამყვანი“ ქალაკონელები, რომლებიც ძეგლის გაყიდვის წინააღმდეგ ხელახალი პროტესტის გამოსაცხადებლად მოვიდნენ აქ.

— ეს რა გვიქენით, ბატონო გიორგი, მთელ რაიონში კისერი მოგვეჭრა! — მისალმებისთანავე მოკრძალებული საყვედური შეაგებეს თანასოფლელებმა.

— ბავშვს და მოხუცს ყველაფერი ეპატიება! — ამ სიტყვებით დაიწყო პროფესორმა და მოჰყვა, თუ როგორ „გადაიკეთა“ კელუმ ეს ძეგლი თავისთვის... — დედის საფლავს გეფიცებით, ის ქანდაკება საფრთხობელად თუ გამოდგება მხოლოდ! წამოდით და თვითონ ნახეთ! ოღონდ ერთს გეხვეწებით ყველას, კელუს ნურავინ აწყენინებს ამის გამო!

ქალაკონელებმა გაოცებისაგან თვალები დაჰყიტეს: ეს რა გვესმისო!

* * *

იმ დღეს კელუს ეზოში იმდენი ხალხი მოგროვდა, თითქოს ძეგლის საზეიმო გახსნა ყოფილიყო დანიშნული. მარნის კართან რიგი გაჩნდა... ვინც მარნიდან გამოდიოდა, ყველა იცუნოდა.

და კელუს მარანი შებინდებამდე სიცილით „ათრობდა“ მთელს ქალაკონს.

ზღვის ლომი

ქოჩორა ტალღები ნაპირის ჩაყოლებით კრიალოსანივით მარცვლავს ყვითელ, ცისფერ, ქარვისფერ კენჭებს, ამით მშვიდი ზღვა თავს ირთობს თითქოს. სანაპიროს ქვიშიანი ზოლი — წყლისა და ხმელეთის მიჯნა — სამხრეთისაკენ ირკალება და ნაემისადგომის იქით იკარგება. საცალფეხო გზა მეთევზეთა უბნისაკენ უხვევს, ჯერ მებაღურის სახლს ჩაუვლის, შემდეგ კოლმეურნეობის ფარდულს მიადგება და ბოლოს კრიპტომერიის ტევრში უჩინარდება, მრავალტოტა ბილიკებად ქცეული. მებაღურის სახლს ნარინჯოვანებიდან მხოლოდ ცალი ფანჯარა უჩანს, თითქოს ცალი თვალი სულ ზღვისაკენ უჭირავსო. ყველა მებზღვაურმა იცის, რომ იქ „ზღვის ლომა“ ცხოვრობს და მას ერთადერთი ასული ჰყავს.

ცხადია, ქვეყანამ ასე რომ გაგიცნოს, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა დატრიალდეს შენს თავზე. დიდი ნაცნობობა დიდი საქმით, კაიკაცობით მოდის ხოლმე! თუმცა უთუოდ აჭარბებენ, მაგრამ იმასაც კი ამბობენ, ვისაც ერთხელ ზღვა უნახავს, შეუძლებელია, ზღვის ლომზე არაფერი სმენოდესო...

* * *

კოლ-შვილს გვიან მოეკიდა გიორგი და ოჯახურმა სათბომ დიდხანს არც გაახარა: მეუღლე გარდაეცვალა და ხელში ქორთვა გოგონა შერჩა. მეთევზის ბაღდადი ზღვაა და გულმა ზღვისაკენ რომ გაუწია, გოგონაც თან წაიყვანა. ზღვა აკვანი-



ვით არწევდა მეთევზეთა კატარლას და პატარას დედისა
სავით ჩაესმოდა ტალღების ბუბუნი. ასე ეჩვენებოდა გოგონას,
კატარლა აკვანი იყო მისი, ზღვა კი — იმ გაშლილი მინდორივით
საყვარელი ადგილი, სადაც ფეხი აუღდამს ყოველ ჩვენთაგანს.
ქალიშვილს მამასავით უყვარდა ზღვა. გულდამშვიდებით
სუნთქავდა თუ ბრაზმორეული ბობოქრობდა, სულ ერთი იყო
მისთვის — ყოველ ცისმარე ზღვისაკენ მიაჩხვებდა მალალ,
მოხდენილ ტანს. გრძნობდა, მამის ალერსიანი მხერვა
მიაცილებდა საბანაოდ მიმავალს.

... ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ზღვას მიაშურა. ზღვა ბობოქრობდა,
ქოჩორა ტალღები ყირაზე გადადიოდნენ, მაგრამ ქალიშვილი არც
დაფიქრებულა. ტანთ გაიხადა. საბანაო კოსტიუმი მის სავსე
ფულ-მკერდს, ვიწრო წელსა და კუნთოვან ბარძაყებს თითქოს
განგებ აჩენდა ასე თვალწარმტაცად. ნაწნავები თავზე
შემოიხვია, ზედ რეზინის ლურჯი ქუდი მჭიდროდ
შემოიჭდო, რომ თმა არ დასველებოდა.

თითქოს ზღვამაც იგრძნო თავისი გაზრდილისა და მიჯნურის
ბრინჯაოსფერი ტანის სურნელი, წუთით აიქოჩრა, ნაპირსაკენ
ისროლა ვეება ბადე, რომელშიც ქალიშვილი გაეხვია. გოგონამ
ჩაყვინთა და შორს, ყალყზე შემდგარი ზვირთებას იქით,
ამოჰყო თავი. გულადმა გაწვა, ვეება ტალღებს აღმადამა
აყოლებდა ტანს. „რა კარგია ზღვა, რა დიდი, ვრცელი, უნაპირო
და უძირო, კეთილი იმისათვის, ვინც მას მამასავით შეიყვარებს.
რამდენი თევზია, მარგალიტი, რამდენი თბოვანი მიაპობს
ტალღებს. მეზღვაური ვიქნები! მამაჩემსაც ხომ ეს უნდა.
როგორ უხარია, მეც რომ მიყვარს ზღვა“ — გადებრუნდა.
ნაპირისაკენ მხერვა გაექცა. მარჯვენა ხელი ზვირთს აპკრა,
მარცხენა წყალში გაათაურა, ფეხებიც ღონივრად აიქნია
და კვლავ გულადმა გაწვა: — „რა ლურჯია ცა, ფირუზისფერი
ლაქვარდი... მგონი, დეღვა სულ უფრო მატულობს. ლეგა
ღრუბლები სად მიიჩქარიან! რა დიდი ტალღებია, შორიდან
არც შემინიშნავს!“

თეთრი თოლიები ირაოს კრავდნენ ქალიშვილის თავზე.
კივილით გადაიქროლებდნენ და ფაფარაყრილ ტალღებს ფრთხილად
მოექცეოდნენ ქეჩოზე...

ისე ბორგავენ ტალღები, თითქოს ქალიშვალის თბილა ლოყების კოცნაში ერთმანეთს ეცილებიანო. „რა ვეება ზვირთებია, — ფიქრობს ქალიშვილი: — ნაპირისაკენ როგორ მოიხსწრაფიან! შორიდან ასეთი პირი არ უჩანთ, აქ კი ნამდვალად წარღვნა ტრიალებს. ნაპირისაკენ ისე მიიჩქარიან, თითქოს ერთმანეთის გასწრებაზე არიანო. მაგრამ ვერ ეწევიან ერთმანეთს, გამოკიდებულებივით მოსდევენ ურთიერთს. ახალ ტალღას ტალღა მოსდევს, სანაპიროს ხენეშით აწყდებიან, შემდეგ, აქაფებულ შხეფებად ქცეულნი, ჯავრით თითქოს ერთმანეთს ჩქმეტენ... და იმგვარად იკარგებიან, ეტყობა, ყველა ტალღის სამარხი ნაპირთანაა.“

ქალიშვილმა შენიშნა, თეთრი თოლიები წივილით ისე დატრიალებენ თავზე, თითქოს გრძნობენ მოახლოებულ ხიფათს. „ყველა ტალღა ნაპირთან იღუბება, — კვლავ გაიფიქრა ქალიშვილმა და თვითონაც რაღაც შიშისმაგვარი ჩაუფარდა გულში, — გავალ, თორემ ცა შუბლს იკრავს. ღელვაც მატულობს.“ — სავსე, მკვრივი მკერდით დააწვა ტალღებს და მხარულით ნაპირისაკენ გაუტია. ხედავს რძისფერ ფაფარს მოაფრიალებენ ტალღები, თითქოს პირი შეუკრავთ, ხელიდან არ დაუსხლტეთ ქალიშვილი. „ახლა ნაპირიდან უთუოდ უკეთ ჩანს ეს ორომტრიალი“. — ქალიშვილს ვეება ტალღა წამოეწია და თავზეც გადაუარა, დაიგრიხა, ქოჩორი აიყარა. მორიგმა ტალღამაც თავზე შემოუტყლაშუნა. მას მეორე აღდევნა უკან, რომ ნაპირთან გზა გადაუღობოს...

ზღვის ასულმა იცოდა, ასეთი ღელვისას როგორ გაპყოლოდა დიდ ტალღას, როცა ნაპირთან ფეხს მოიკიდებდა, როგორ წამომდგარიყო, როგორ გაქცეოდა მომდევნო ტალღის ქოჩორა ბადეს. „არა, ასეთი ღელვა ჯერ არასოდეს ყოფილა, — ფიქრობდა ქალიშვილი. — მამაჩემს მაინც ვენახე...“ — იგრძნო, უკან თხლიშინით მოგორავდა ვეება მორევი: — „ამ ტალღას გავყვები“... — ზვირთი მოულოდნელად წამოეწია, თითქოს ხელში აიყვანა, მალე ასწია, ნაპირისაკენ გააქანა, შემდეგ ყირაზე შეაგდო და ქალიშვილს არც კი უგრძვნია,

როგორ ჩაეშვა ღრმად. თავი რომ ამოჰყო, დორბეზის
მა მორევმა, აქამდე წინ რომ მიაქანებდა, ახლა უკან გასტყორ-
ცნა. მორიგმა ტალღამ ზურგიდან უბიძგა და კვლავ წინ გაი-
ტაცა, ჩაითრია. ნაპირიდან მობრუნებულმა ტბორმა აიტაცა და
პირით კვლავ ზღვისაკენ შეაბრუნა.

ვერა და ვერა. ზღვის გააგებულ ტალღებში ისე ფართბა-
ლებდა, როგორც კალმახი ბადეში. ხან ჩაყვინთავდა, ხან ტალ-
ღებს ზედ მოევლებოდა და ნაპირისაკენ გაიხედავდა შველის
მთხოვნელი თვალებით...

* * *

პატარძალივითაა ზღვა, სუფთა და მოკამკამე. საპნის ქა-
ფივით თეთრი ქოჩორა ტალღებითა და ჭრელ-ჭრულა კენჭე-
ბით თითქოს ხეხავს ნაპირს, ხეხავს და რეცხავს მანამ, სანამ
არ გააყრილებს ტალღების საალერსო მიჯნას. უცნაური წე-
სიც აქვს: ცოცხალს იქით ეზიდება, მოგუდავს და შემდეგ უე-
ჭველად გამორიყავს. ხმელეთის არაფერი უნდა მას. ტალ-
ღები ზღვის კალთებია თითქოს: წყალდიდობისას მდინარეე-
ბი ძეძვსა და ფიჩხს ქურდულად რომ შეაპარებენ, ზღვა
ნაპირთან იფერთხავს კალთებს და უკანვე აბრუნებს ნამუხ-
რევს... აჰა, სხვისი რად მინდა, ჩემიც მყოფნისო.

ზღვისპირელებს დაცდილი აქვთ, ზღვა აიტოტება თუ არა,
უეჭველად ცოტაოდენ შეშასაც გამორიყავს სადმე. ამიტომ
ლელვისას დაუყვებიან ხოლმე ნაპირს. იმ დღესაც ერთი ჩაა
ტანის ქალი ტომარაში ფიჩხს აგროვებდა. თვალი ფხიზლად
ეჭირა ზღვისაკენ, იქნებ საკბილო რამ კიდევ ამომიგდოსო.
შენიშნა, თუ რა დღეში იყო მეთევზის ქალიშვილი, ფიჩხებით
გაძეძვნილი ტომარა ქვიშნარს იქით, კოლბოხზე, მიაგდო,
მეთევზეთა ფარდულისაკენ გაეშურა. „წედან იქ ბადეს კე-
სავდა ქალიშვილის მამა,“ — ბედზე ზღვის ლომიც წინ შე-
მოეფეთა, კიშკართან. არც დააყოვნა: ზღვაზეა შენი ქალიშვი-
ლი, ვერა ხედავ, ისეთი ლელვაა, ქვეყანა იქცევა, ნაპირზე
ვერ გამოდის, მიეშველეო.

მეტი დაეცა მეთევზეს. მაინც არ დაიმჩნია სულის აფო-



რიაქება. ეს კია, ასაკემსავი ძაფი თან გაჰყვა და არც კი
 ძენია, როგორ გაწყდა ის თავისით, როცა ზღვისაკენ ჩაუ-
 ხვია. ისე მიიჩქარა, ქარი ჩაუღდა მუხლებში, ჩია ტანის
 დედაკაცს თვალები გაუბრწყინდა: აი, მივა, გამოცდილი მე-
 თევზეა, მიეშველება ქალიშვილს, უმალ სამშვიდობოს გამოი-
 ყვანსო!

მეთევზის ხაკისფერი ხამი ტილოს სპეცტანსაცმელს თევ-
 ზის სუნი ასდიოდა. ორგან ქერცილიც ვერცხლის დილივით
 უბრწყინავდა. გახუნებული რეზინის ჩექმები კენჭოვან ნაპირ-
 ზე ყრუ ხმას სცემდა. ფოფინა წარბებს ქვეშ შემალული
 ზღვისფერი თვალები ისე უხამხამებდა, თითქოს მებადურის
 სულიერ კრთომას ისინიც ამხელენო. წინ ზღვაა ვრცელი,
 ფაფარაყრილი, კატარღები ისე ირწყვიან, ლამის გადაბრუნ-
 დნენ. შორს თბომავალი ამოდ ცდილობს ტალღების ნებას
 არ დაჰყვეს. შემკრთალი თოლიები ირევიან მეთევზეთა კა-
 ტარლების თავზე და ხმაშეუწყობლად წვიან.

მამამ თვალი მიმოავლო ზღვის აფოფრილ ზედაპირს. ქა-
 ლიშვილი მხოლოდ მაშინ დაინახა, როგორც კი აზვირთებული
 ტალღის ქეჩოზე მოექცა იგი. მალე ზვირთმა თითქოს გან-
 გებ ჩასწია ზურგი და ქალიშვილიც წუთით გაუჩინარდა. ნა-
 პირზე მხელით მოგორდა თუ არა, მომდევნო ტალღამ
 მამის გამოსაწვევად კვლავ მალლა აიტაცა ქალიშვილი, შემდეგ
 ისევ გააუჩინარა, თითქოს ზღვაც ნიშნს უგებდა ძველ მეთევ-
 ზეს, აგერა მყავს შენი ლამაზი ასული, დარდი ნუ გაქვსო!

„ჰა... შე ყურუმსალო, მეგონა, მართლა განსაცდელში
 იყავი, შენ თურმე შენებურად ეთამაშები ტალღებს,“ — გაი-
 ფიქრა მამამ და იქვე, კოლბოხზე, ჩამოჯდა. გულჯიბიდან ამო-
 აცურა ჩიბუხი, გააწყო. ზღვას გაჰყურებდა. ჩიბუხს როდის-
 როდის მოუკიდა, გააბოლა. ტალღებს მინდობილ ასულს ისე
 აყოლებდა მზერას, თითქოს აქ საშიში არაფერიო: — ასე,
 შე ყურუმსალო, რომელი ვაჟკაცი გაბედავს ამაზე მეტს! შენი
 იმედით ვცოცხლობ და აბა-ჰა, ამ ჭადარას თუ არ შემირცხვენ,
 აბა-ჰა! — ტალღებში ზღვის ფერიასავით ნებვირობდა ქალიშვი-
 ლი. მკლავური რომ დაურტყა, მამას მოეჩვენა, ხელს მიქნევს,
 თავს იწონებსო და გადასძახა:

— გეყოფა, ამოდი, გეყოფა! — ფოფინა წარბეზებულად შემალული ცისფერი თვალები მომეტებულად უხამხამებდა გიორგის, ამოსვლას ასე რად აყოვნებსო, მამის გულში ექვ-მა გაიფაჩუნა: „მართლა ხომ არ უნდა მიშველება?! — ჩი-ბუხი ნერვიულად ზედიზედ მოქაჩა: — არა, არა, წყალშია გაზრდილი, თვითონ გამოვა!“ — შიში დასძლია მამამ და პო-ჩვენებითი სიმშვიდით მშერა განგებ გადაიტანა იქითკენ, სა-დაც ატოტებულ ტალღებზე კატარღები ბარბაცებდნენ, თით-ქოს იმ წუთში საზრუნავი სხვა არაფერი ჰქონდა...

* * *

ზღვის ლომს ადრე ეწვია ქალარა. თევზმა თმა გამითეთრაო, იტყოდა ხოლმე.

„შიში გულის კიაა, შვილო, — ქალიშვილის გასაგონად რამდენჯერ უთქვამს გიორგის: — მშიშარა შორს ვერ წავა: თუ კაცს ეშინია, ალაგზე გადასვლისას კისერს მოიტეხს! აი, ძელს თამამად დაუყვები, როცა გრძნობ, მიწა ახლოსაა და არ გეშინია. იგივე ძელი ხიდად გადგვი თუნდაც დელეზე, რომელიც ვიწრო, ჩაღრმავებულ ჭრილში მიჩხრიალებს. გახ-ვალ? ვერა, შვილო! გულში თუ შიში ჩაგივარდა, მუხლები აგიკანკალდება და შორჩა. თუ კაცს ეშინია, პურსაც ვერ შე-ქამს, ადამიანი უშიშარი უნდა იყოს...“

მშიშარა მებაღური თევზს ვერ დაიჭერსო...

მშიშარა მებრძოლს ბრმა ტყვიაც წამოეწევაო...

მშიშარა კაცს ფინია ძალიც უკბენსო...

და ვინ იცის, კიდევ რა სიტყვებს არ მიაწერენ ზღვის ლომს. მან არც კი იცის, რაა შიში. „რად აყოვნებს?! შვილს საფრთხე ემუქრება, თვითონ კი თამბაქოს ეწევა და გაპყუ-რებს, საოცარია, ღმერთმანი!“ — გაიფიქრა ჩია ტანის ქალმა, ხელი უშვა ტომარას...

ზღვის ლომი კი გულში ასე მსჯელობდა: „დიდი და საშიში ტალღებია, სულ უფრო იყრის ფაფარს. ახლა ამ ონავარძა

აფორიაქებული რომ მნახოს, მორჩა, შესაძლებელია შეეშო-
დეს, ჩემს თავს რაღაც დიდი უბედურება ყოფილაო! ჰოდა,
თავბრუ დაეხვევა, დაიბნევა... სანამ მე რამეს ვილონებ, კი-
დეც დაილუბება,“ — ხელის გულზე დაიბერტყა ჩიბუხი, ისევ
გააწყო. მოუკიდა, გააბოლა. კეხიანი ცხვირი მოიფხანა. უყუ-
რა ქალიშვილს, უყურა. თვალს აყოლებდა, როგორ მარჯვედ
ებრძოდა ის ატოტებულ ტალღებს, ზოგჯერ როგორ ჩაყვინ-
თავდა, მერე თავს ამოყოფდა, ტალღის ქეჩოზე მოექცეოდა
თუ არა, შვებით ამოისუნთქავდა გიორგი, ჩიბუხს მოქაჩავდა.
„ასე ჯობია: იფიქრებს, აქ დიდი არაფერი ყოფილაო, გა-
ზნევედება და თვითონ გამოვა ნაპირზე, თორემ მე რომ დავ-
ფაცურდე, გულში შიში ჩაუვარდება, დაიბნევა და ტალღა
ერთ წუთში გაათავეებს. არა, არა, ჯობია თავი ისე მოვაჩვენო,
თითქოს აქ ისეთი არაფერია. ან მე რა უნდა ვილონო ამ წყვე-
ტაში? აფორიაქებულს რომ მნახავს, დაფრთხება და საქმეს
შთლად წავეუხდენ. მთავარია, არ შეეშინდეს და გამოვა, ჰო,
გამოვა!“

* * *

მშობელი ნაპირზე რომ გამოჩნდა, ქალიშვილს გიშრისფე-
რი თვალები გაუბრწყინდა:

„მიყურებს. უხარია, მაგრამ არ იმჩნევს. მამიკო, ხომ ვარ
ნამდვილი მეზღვაური, აი, ისეთი, შენ რომ მოგწონს! დარდი
ნუ გაქვს, ეს ტალღები ვერაფერს დამაკლებენ... მამიკო, შენ
რომ პენსიაზე გახვალ, კატარლას მე გავყვები, იმდენ თევზს
დავიჭერ... მე ვიცი, შენ რად გეძახიან „ზღვის ლომს“. არც
მე შეშინია იქნებ ესეც არაფრად მიგაჩნია. მალე კაპიტანი ვი-
ქნები... შენც წაგიყვან შორს, შემოვივლით ქვეყნის ზღვებს...
მამიკო, ნახე, რა დიდ ტალღას დაველოდო, როგორ მოვეე-
ლო ზედ და გავყვე ნაპირისაკენ,“ — ქალიშვილმა საოცარი
ძალა იგრძნო ერთბაშად.

ზღვისა და ცის სილურჯე იქით, შორეთში, ერთმანეთს
ურწყმოდა. საიდანღაც გამოტყვრა ლეგა ღრუბელი და ცაში
ვეება მთასავით დაეკიდა, თითქოს მასაც ადარდებდა, თუ

რით დამთავრდებოდა სიცოცხლისა და სტიქიის კიბეებში მზე ღრუბლებში შეიმაღლა.

— რას უყურებ, შე კაცო! — ჩია ტანის ქალი კრთომით მიაჩერდა გიორგის: — ჰო, ვერა ხედავ, რა დღეშია შენი ქალიშვილი, რამ დაგაბნია, შველა უნდა!.. ასე სად გაგონილა?! — აწრიალდა ქალი, რომლის თვალები საცრისტოლა გამხდარიყვნენ: მეთევზის საქციელით გამოწვეულ გაცეცხას ვერ ტყვედნენ.

ზღვის ლომმა დინჯად შეავლო მზერა ქალს და გაიფიქრა: „შენ რას მიხვდები, დედაკაცო! ამ შემთხვევაში ასე ჯობია! მიშველება ყოველთვის იმას კი არ ნიშნავს, უშუალოდ გვერდით ამოუდგე, ან ხელი წაუბოტინო! ახლა აფორიაქება რომ შემატყოს... არა, არა, მთავარია... მთავარია, არ შეეშინდეს და გამოვა, ჰო, გამოვა! მაინც რა დიდი ტალღებია! ერთი ამოვიდეს და მე ვუჩვენებ...“ — ამ დროს იმდენად შეკრთა მშობლის გული, ხელიდან ჩიბუხი გაუცურდა. პირველად იგრძნო ზღვის ლომმა, თუ რაა შიში. ლამის სუნთქვაც შეწყვიტა. წუთით მეთევზის დაღარული ფართო სახე სარკედ იქცა, რომელშიც ისახებოდა სტიქიისა და სიცოცხლის კიბილი: გიორგიმ კოპები შეიკრა, თვალები აახამხამა, ნაოჭებით დაღარული კისერი წაიგრძელა. საფეთქელთან, ნაჭდევის ზემოთ, ძარღვი დაებერა, გამლილი მხრები ხენეშით შეარხა. შემდეგ ისე გაირინდა, თითქოს სისხლიც გაეყინაო...

მზემაც ლეგა ღრუბლიდან გამოიხედა, მამის სახეს სხივი დაეცა.

„აი... მესმისო!“ — ლამის შესძახა მამამ და შემოჩერებული ჩია ტანის ქალის გასაგონად უნებლიეთ დასძინა:

— აკი ვთქვი, შე ქალო... მთავარია... არ შეეშინდეს-მეთქი!..

კოპები შეიხსნა ზღვის ლომმა. შვებით ამოისუნთქა. თვალებშიც სულ სხვა შუქი ჩაუდგა. ამაოდ სცადა, დაემალა უღვაშებს ქვეშ ატოკებული ღიმილი. ძირს დავარდნილ ყავისფერ ჩიბუხს ნელა დაწვდა, აიღო, გააწყო, ბაგის კუთხეში მოიქცია მოღუბული ტარი, შემდეგ ასანთს გაჰკრა, მოუკიდა და ისე კმაყოფილებით გააბოლა, თითქოს მისი იყო ნთელი ქვეყანა...

მუსიკა

და აი, გული კედელს ასკდება:
ცად აღუპყრია ვიღაცას ხელი
და განწირულად — უკანასკნელად
გზის დასასრულთან ხმამაღლა მღერის.

საიდან ისმის გრძნეული ხმები?
ან ვულკანივით დამცხრალ ცხოვრებას
რა ძალით ძალუძს — უმღეროს ვნებას
და სიყვარულის უბიწოებას!

ვინ მღერის? ანდა რად მეჩვენება —
ამონახეთქი ვედრება მკერდით
ბუხრის ყელიდან ცეცხლის ენებად
ამოდის თითქოს და ღრუბლებს ერთვის.

გუგუნებს ტაძრის მაღალი თაღი
და ქარში ჟღერენ წვიმის ნოტები,
და ბაღი, როგორც მუსიკა ბახის,
ზეცას აწყდება სველი ტოტებით.

და აი, მიწყდა — გადილო წვიმამ.
და გამჟვირვალე, როგორც ანკარა
წყაროს შხეფები — შორეთი ბრწყინავს,
ხელუხლებელი და უანგარო.

□

ეგზიუპერის წიგნზე მინაწერი

როდესაც დგება სიჩუმე სრული
და ცაში ჩნდება კენტი ღრუბელი,
მე მახსენდება ეგზიუპერის
კეთილშობილი და მძლავრი სული.

ღრუბელი თეთრი და სულის ტოლი
ვარსკვლავებს ერთვის, როგორც ძლეული —
ფერფლად ქცეული გრძნობის, სხეულის
და თვითმფრინავის ამაყი ბოლი;

რომელსაც მიწა ეძახის დაბლა
და ღნება უკვე — უხმოდ და უცებ,
რომ დაეპუროს ცრემლებად გულზე
მფრინავის დღემდე გაუთხრელ საფლავს.

□

ჯამთარი

საიდან გაჩნდა თოვლი ამდენი,
რომელიც ასე უხდება ჭადრებს!
თოვლის სითეთრემ თუ გაათენა
ეს დილა მთელი საათით აღრე?

დედამიწაზე სითეთრე ჰყვავის,
როგორც ტყემალი, ან მაგნოლია,
და მე მგონია, გათეთრდა ყვავიცი,
ანდა თეთრდება, როგორც თოლია.

გადმოაბრუნა ზამთარმა ჯიბე
და რაც გააჩნდა, მოფინა ქუჩებს,

მერე ქვევიდან აუყვა კიბეს
და აირბინა ბოლომდის უცებ.

თოვლის სიმღერა ქვეყანას მოსდო,
გადააჭარბა ყველა მოლოდინს,
და რაც კი ჩვენთვის სათქმელი ჰქონდა,
არ დაგვიმალა — გვითხრა ბოლომდის.

ახლა ყველაფერს თეთრი ერევა,
ახლა არავინ მოიპოვება,
ახსოვდეს შავი — და იწერება
პირდაპირ თეთრად ზამთრის პოემა.

ო, პოეზიავე! მიბაძე ზამთარს,
რომელმაც სივრცე, ხმაგაკმენდილი,
დაიმორჩილა და ასე სადად
გადაგვიშალა სული კეთილი.

□

სული

როგორც გარედან ვაზი ან სურო,
ვაზი ან სურო ეხვევა თხმელას,
შიგნიდან ისე მეხვევი, სულო,
და იფოთლები, და ჩუმად ვღელავ.

ო, ეს ხელები — მე არ მეგონა —
იყო ხორცშესხმა ჩუმი სურვილის...
თითქოს ვეხვევი ძვირფას მეგობარს
და დიდი ნდობით ვარ აღჭურვილი. —

მე ვესალმები ტყესა და ღელეს,
მე ვესალმები მზეს, ამოწვერილს,
და გუნებაში ვიხუტებ ყველას
ხელაპყრობილი, როგორც მლოცველი.

□

აპრილი

ბალში მეფობდა სიჩუმე მკაცრი,
და ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ იღო
თოვლი, რომელიც ხვდებოდა თვითონ —
დარჩენას უკვე არ ჰქონდა აზრი.

მე ვუყურებდი უხმოდ და თრთოლვით,
როდესაც ქვისგან გამოკვეთილი
ბელადის გაწვდილ ხელიდან თოვლი
გაუჩინარდა თეთრი მტრედივით.

ბალში აპრილი ახელდა თვალებს
და წარმომიდგა: საოცრად ნაზი,
ამ გამარჯვების ზეიშით სთვრალი
სადლაც, სოფელში, ტიროდა ვაზი.

და ირწეოდნენ ხენი ჩრდილებად
იქ, სადაც ენთო აღმოსავლეთი...
და არ არღვევდა ღრუბლის ნაფლეთი
ამ საზეიმო განწყობილებას.

□

პოეტის უამოღგომა

ისევ გამოჩნდა ბალში — დაღლილი,
ჩაფიქრებული, როგორც ყოველთვის;
თავაუწევლად მიხვდა პოეტი,
რომ შიშვლდებოდა ისიც ბალივით.

ბალს არ ემოსა ფარჩა მდიდრული,
ყველა კუთხიდან შუქი ატანდა, —
და მელავნდებოდა იგი თანდათან,
როგორც სურათზე, თავჩაქინდრული.

ყველაფრის მცოდნე დროსავეით ბრძენი,
ის ყველამ იცნო და აღიარა...
და ჩაელიმა მას ნაღვლიანად,
და იყო ქაში ფოთოლთა ცვენის.

□

დაღლილი მხატვარი

იგი ფანჯრიდან ქალაქს გააცქერის,
ბევჯერ ნანახი ბეზრდებათ თვალებს,
ცივად და ყალბად ანათებს მთვარე,
ერთფეროვანი და მოსაწყენი.

და უხალისოდ ხურავს დარაბებს
და სავარძელზე ემხოზა ისევ
და გუშინდელი ვნებები მისი
ღიმილს იწვევენ ან სულ არაფერს.

ო, ლტოლვა, ლტოლვა, ცივი გონება,
განურჩევლობა, სიღინჯე ბრძნული:
ადამიანის გრძნობის და სულის
ცვალებადობის ერთფეროვნება.

უეცრად ჩასთვლემს... და როგორც ცხადად,
შეყვარებული კაცის იერით —
სიცოცხლით სავსე და მიწიერი
ქალების შიშველ სხეულებს ხატავს.

□

* * *

რა დღე გათენდა, რა საოცარი,
განათდა სულის ყველა კუნჭული,

მღერის ბულბული, როგორც მგოსანი,
ნეტარებისგან თვალდახუჭული.

მღერის და ტოტზე იმგვარად ტოკავს,
თითქოს სიმღერა განწირულ გედის
ქორის მტაცებლურ განზრახვას თოკავს,
ბულბულს რა უნდა ამაზე მეტი!

მაგრამ ეშვება იქვე მიმინო,
რომელიც შემკრთალ ბელურის ფარფატს
ჯერ თუ ვერ ამჩნევს, მხოლოდ იმიტომ,
რომ ყურადღებას არ აქცევს, ალბათ.

და წეწავს ჩემს სულს ბრქვალეები ქორის
და აკრთობს, როგორც ფრთოსნის გალობას
ბელურასა და მიმინოს შორის
უთანხმოების გარდუვალობა.

□

ღრუბლები

ცვივა ურიცხვი ქარვა და ოქრო —
თითქოს ბუნება იმ ნეტარ დროთა
სანაცვლოდ იხდის სამოსელს, როგორც
მოვალეობას — იხდის და შფოთავს.

თითქოს დააფრთხეს წვრილი საფანტით
ფრინველთა გუნდი ნისლიან დარში,
ყოველი ტოტი ქარში გაფანტულ,
განწირულ ფოთლებს მისტირის: — დარჩით!

ტყე, დაღვრემილი, დუმალით გოდებს,
ელვა ჩუმ-ჩუმად იღებს სურათებს

და აწყდებიან ტოტიდან ტოტებს
სველი ფოთლები: — გაზაფხულამდე!

გაზაფხულამდე... აღმართზე ცხედარს
მიასვენებენ ჭირისუფლები!
მაღალ ბოძებზე ყორნები სხედან,
მიზოზინებენ საღდაც ღრუბლები:

მძიმე ტვირთივით — გარდასულ ეამთა
სევდას და ტკივილს, განუკურნებელს,
ეზიდებიან ზაფხულ და ზამთარ —
საუკუნიდან საუკუნემდე.

თითქოს ეძებენ საბაბს ღრუბლები,
რომ დაიღვარონ ცრემლებად სადმე,
და შემოდგომის დღეს ეუფლება
განურჩევლობა ყველაფრისადმი.

□

განმარტობა

მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

გ. ტ ა ბ ი ძ ე

თვალეში უკრთით უმწეო ცრემლი
ოდნავ დაბნეულ და ფერმკრთალ ტურფებს,
რომლებსაც ჩუმად სჯეროდათ ჩემი
და გავუმტყუნე იმედი თურმე...

და აი, ვწევარ სრულიად მარტო
იქ, საღდაც სევდა ლურჯი იების
და მყუდროება გარემოს ართობს
ერთფეროვანი მელოდოებით.

რამ ჩაუწყვიტათ უეცრად ხმები?
სად გაიკრიფნენ ქალიშვილები
სამგლოვიარო კაბების რხევით,
როგორც შუადღის მზეზე ჩრდილები?

მე ჯერ არ მახსოვს მსგავსი წვალება,
ნუ იტყვი, თითქოს კვდომა სხეულის —
სინამდვილეში გარდაცვალება —
უფრო მძიმეა და მტკივნეული!

ზეცა სანთლების შუქზე ირწყევა
და აფრქვევს ბინდში ბრჭყვიალა წვეთებს...
ო, უეცარი გამოღვიძება
მამის ოდაში — სიკვდილის შემდეგ.

სოფლის ბოლოში ყივის მამალი
და ამთქნარებენ გულგრილად ჭები,
და სადღაც სიკვდილს უთხრის სამარეს
ჯერ გაუთხრელი საფლავი ჩემი.

□

დაისი

როგორც ფოთლებზე ქარის სრიალი,
ან მოთარფატე ფრთები ღამურის,
გამჭირვალეა დღე საღამური,
დღე — უსასრულოდ ალერსიანი.

და დარწმუნე, როგორც დაისი,
ღუმს მყუდროება, და უეცარი
ხმით იჭმუტუნება, როგორც ზეწარი,
და უთოვდება ისევ თავისით.

და მეჩვენება: თითქოს დაღლილი,
სულივით მიმზერს — რაღაც უსახო,

რომელსაც, კმარა, რომ დაეუძახო —
ფერხთ გამიწვევა ერთგულ ძალლივით.

ო, უხილავო! როგორ ბინდდება!
და რა უმწუროდ ვინთებით, ოდეს
საფლავის ლოდზე ქალივით გოდებს
მარადიული ეს გარინდება.

□

ზღვა

ჯებირს აწყდება მძიმე ჭურვივით
ტალღა, რომელიც დასაყრდენს ეძებს.
ცრემლის წვეთებად იმსხვრევა ქვებზე
ლტოლივით დაღლილი ღრუბლის სურვილი.

ზეირთების წყრომას თუ აღტაცებებს,
მე ვხედავ, როგორ უძლებს ჯებირი,
და შემოდგომის აფიშებივით
ქარი კედლებზე ფოთლებს აწებებს.

იგი ასევე არანაკლები
სიშმაგით ხეთა რიგს მივარდება —
გვერდზე გადასწევს ტოტებს ფარდებად,
რომ დაგვანახოს უკეთ სახლები.

სადაც მალავენ, ან არ მალავენ
დამწყვდეულ ვნებებს, და ყოველ ღამე
მწარესთან ერთად შარბათსაც სვამენ,
და დღე გადმოდის ისევ ალავერდს.

და კვლავ აწყდება ჯებირს ჭურვივით
ტალღა, რომელიც დასაყრდენს ეძებს,
და ისევ ისე იმსხვრევა ქვებზე
მოხეტიალე ღრუბლის სურვილი.

□

გაზაფხულის წვიმა

როგორ ხმაურობ წვიმაში, სახლო,
მუხის ტოტები აისხა ლამის;
ასე მგონია, წამთვლიმა მამის
ფიცრულ ოდაში — მდინარის ახლოს.

და აწყდებიან კედლებს ჩრდილები
ფარების შუქზე — უწყვეტ ფენებად.
სადღაც უკრავენ, და მეჩვენება:
მთლად გაწუწული ქალიშვილები

ისე ქვივიან ამ საღამოთი
და აყრუებენ ტკარცალით სოფელს,
თითქოს შიშველი ფეხებით გრძნობენ,
მინდვრად ბალახი როგორ ამოდის.

და, როგორც ლტოლვა განუწყვეტელი,
მეც მინდა ვიგრძნო ჩემი ასაკი,
მაგრამ არ აძლევს სურვილს გასაქანს
ასფალტი, როგორც ციხის კედელი.

ფერადი ნისლი სევდის თუ შორის —
ოცნებას ბურავს ჩუმი ნალველი,
და მეშინია თვალის გახელის,
როგორც პატიმარს — ოთხ კედელს შორის.

□

განძი

თვლემენ დედოფლის თლილი თითები, —
ვის მკერდზე თვლემენ! — მაცდური თვლემით,
და ეზმანებათ მარგალიტები,
ოქროს ბეჭედი, ზურმუხტის თვლებით.

რაც არ აღეგებს პოეტს სრულებით:
ცივი ციმციმით საესე ქონება —
საყურეები, სამაჯურები —
ჯერ კიდევ მრავალს უმღვრევს გონებას.

ბრწყინავს და ელავს, და არ განიცდის,
რასაც განიცდის მოკვდავი ყველა;
განძმა არ იცის — განძი განძისთვის
რას წარმოადგენს, — ბრწყინავს და ელავს...

ძვირფასო! შენზე იყოს ალალი,
უმტკივნეულოდ რაც გამფრენია;
ოქრო თავისთვის ვერცხლიც არ არის,
ოქრო თავისთვის არაფერია.

□

ირინა

მე მახსოვს შენი სტუმრობა ღამით,
როდესაც შემკრთალ ფოთოლთა ჩქამის
ბურანში მშვიდად ეძინა ქალაქს
და მისგან თავი რომ დაეღწია,
რომ დილით მასზე შური ეძია,
თითქოს იკრებდა იღუმალ ძალას.

ბაღში გულადმა გაწოლილ ჩრდილებს
არ აბიჯებდნენ გულზე მგზავრები,
და ისე დუმდა აღმოსავლეთი,
თითქოს ზურგს უკან მალავდა დილას.

ირინა! კითხვას არ ჰქონდა ფასი, —
მოულოდნელი, როგორც ცვლილება,
შენი აქ მოსვლა და მორჩილება,
ყველა კითხვაზე მაძლევდა პასუხს.

მე დავიჩოქე შენს წინ ჩურჩულით
და ვეამბორე თვალდახუჭული
მუხლზე უმწეოდ დაწყობილ ხელებს,
რომლებიც სურვილს ისე მალავდნენ,
როგორც მალავენ სხვისგან ბარათებს...

შენს გვერდით — უკვე ლაქად ქცეული —
კედელზე, შენი სურათის გვერდით,
უხამსად ჩანდა როკუელ კენტის
შარლოტა, თავის ხარბი სხეულით.

მე მახსოვს შენი სტუმრობა ღამით;
დიდი იმედი და ეჭვიც მცირე...
და აბიჯებდნენ წამოშლილ ჩრდილებს
მგზავრები, როგორც დინოზავრები,
თუმცა არაფერს აკლებდნენ ამით.

□

ი რ ე მ ი

სხვა არაფერი არ მახსოვს, მარტო
უცხო ქალაქში უხმოდ ყიალი.
სხვა არაფერი... თვალეზი ფართო,
ჩაფიქრებული და ნაღვლიანი.

მზერა ყვიროდა — გადავირევი,
სახეზე ღამის გეფინა ჩრდილი,
და შენ ტიროდი, ასე ირემი
თავჩაქინდრული უცრემლოდ ტირის.

რა საჭიროა, რა საჭიროა
ეს ყოველივე! და თვალზე ცრემლი
მომადგა — ვიგრძენ, როგორც ჭრილობა,
უსუსურობა შენი და ჩემი.

ვამბობდი: — წადი, გაიყინები,
საშინლად თოვს და ცივი ქარია!
შენ კი იდექი, როგორც ირემი,
შერიგებული რკინის გალიას.

ვწყველიდი ქალაქს, ვწუხდი ძალიან.
მოულოდნელად (ვით ქრუანტელი!)
დაიშხვრა ღამე — ბნელი გალია
და ყველაფერი გახდა ნათელი.

შეიფრთხიალე და მოსწყდი ადგილს,
გაოცებული ფართო თვალებით...
(თუ მოგაგონდა: ტყე იყო სადღაც,
სადღაც მთა იყო და ნაპრალები.)

„შეჩერდი! საით, საბრალოვ, საით!“ —
ვყვიროდი ყინვით გაბრუნებული.
შენ ირემივით გაიჭერ მაინც,
თავისუფლებას დაბრუნებული.

და მე დავადექ ვიწრო ქვაფენილს,
თვალს მჭრიდა თოვლის თეთრი სინათლე
და უცხო იყო იქ ყველაფერი
და არც სადგური ჰგავდა წინანდელს.

□

* * *

მზიას

ჩემი ცხოვრების ტატნობზე დილით
მზედ ამოდიხარ — ჩადიხარ მთვარედ
და ნეტარებით გახელილ თვალებს
მიბრმავებს ისევ შუქი და ჩრდილი.

როგორც ჩათვლემილ გარემოს — ლაღად
გამომიფხიზლებ გრძნობას პირვანდელს
და უცებ თვალწინ იელვებს რაღაც
ჰაეროვანი და გამჭვირვალე.

და მერე ისევ, როგორც ცთომილი,
როგორც მოძრავი კამკაშა ზოლი,
გაქრება რაღაც მიუწვდომელი,
ხელუხლებელი და ძალზე შორი.

გაქრება უხმოდ და უსახელოდ
იქ, სადაც დარი თუ ავდარია...
თითქოსდა ჩამცეს გულში მახვილი:
მახვილი არ ჩანს — გული მკვდარია!

□

წვეთი

დედამიწას აწვიმს,
ქარი ქორებს ქანცავს,
და ფერდობზე ნაძვი
ტყდება, როგორც ანძა.

ყოველ ტოტზე ბრწყინავს
ცრემლის ურიცხვ წვეთად
უეცარი წვიმა —
ზღვათა ჩუმი სევდა.

ო, ეს წვეთი, წვეთი —
იდუმალი ძალით
გამხელილი სევდის
გახელილი თვალი!

კრთება სწორედ ასე,
როგორც ბედისწერა,

საყვედურით სავსე
შენი მწველი მზერა.

და მე ვცდილობ, ჩავწვდე,
ვით ჯიუტი ბავშვი,
ბუნების და კაცის
ამ ურთულეს კავშირს...

მთების იქით, სადაც
მიჯნა არ აქვს შორეთს,
ფრთებით მიაქვთ ზღვათა
შორი სევდა ქორებს.

□

ზამთარობის დღე

დღეს შეპარვია ს ცივე უკვე,
მზეს დაჰკარგვია სითბოს მარავი,
საოცარია, არავის უკვირს,
როგორ იცვლება თვალწინ ქალაქი.

თვალსაცემია ყველაზე უფრო —
ბუნებას ძველი აკლია ეშხი,
როგორც ლაზათი აკლია სუფრას
გამოუცდელი თამადის ხელში.

მზე, ჩამავალი, ანათებს ქუჩებს
მკრთალად და სანთლის მსგავსად ილევა,
და დაუპყრია ქალაქი უცებ
რალაც სევდიან განწყობილებას.

სიკვდილმისჯილი კაცივით — ტაძრის
კედლებს ცახცახით აჰკვრია ჩრდილი
და ბაღი, როგორც უმწეო აზრი,
გაშიშვლებულა და უხმოდ ტირის.

□

ტიციან ტაბიძე

სიკვდილის მერეც ცოცხალივით ვილტვოდი შენკენ...
ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ჩავწვდი წვალებით;
ცხოვრების სიბრძნე მარცვალ-მარცვალ ჩიტივით ვკენკე,
ამაოება გამეჩხირა ყელში ძვალივით.

მე მაინც ვამბობ — გწამდეთ, რაააც სიცოცხლე ჰქვია!
და ნუ ენდობით მაცდუნებელ ხმასა და მირაეს:
„ყველა გზა წყდება, როგორც სიმი, სამარის პირას
და სულ ერთია — ცოტა აღრე, თუ ცოტა გვიან“...

კაცი, რომელსაც ყოველივე ბედმა წამართვა,
ჯოჯოხეთიდან, უაილდის მკაცრი პროფილით,
მაღალ მწვერვალზე ამოვდევარ ხელაპყრობილი,
ხარირემივით რომ შევბღავლო სოფლის სამართალს!

ჩემო სამშობლოვ, ეს შეხვედრა იყოს კეთილი!
ვეთაყვანები ოქროყანას, მცხეთას, დედუღეთს;
ამიერიდან არასოდეს გისაყვედურებ,
ოლონდ ამოდ ნუ ჩაივლის ეს გაკვეთილი.

სიკვდილის მერეც ცოცხალივით ვილტვოდი შენკენ.
ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ჩავწვდი წვალებით;
ცხოვრების სიბრძნე მარცვალ-მარცვალ ჩიტივით ვკენკე,
ამაოება გამეჩხირა ყელში ძვალივით.

□

როგორც თანხმოება

კვლავ განთიადის გრილი ხანძარი,
როგორც ბუნების ხმა იღუმალი,

ბედნიერებას ისე მაძალებს,
თითქოს ოდესმე მეტქვას უარი.

ტყე აბოლებულ შუქში ირწევა
და მერე თვალწინ მწვანდება ჩქარა.
ბედნიერება ორ ნაბიჯზეა,
რომ დაფრთხეს, ხელის განძრევაც კმარა.

მაგრამ განძრევას მე არცკი ვცდილობ.
ვდგავარ. თანდათან იზრდება სივრცე.
და მოლზე — ჩემი გამხდარი ჩრდილი
ეცემა მთელი თავისი სიგრძით.

შეფოთლილ ტოტზე ჯდება ფრინველი,
გაოცებული და ოდნავ სველი,
და ისე უსტვენს, თითქოს პირველად
დღეს მიანიჭეს უფლება სტვენის.

ან, თითქოს, სივრცე არ აძლევს საშველს
და ლაქვარდებში ქროლვა გიჟური,
და, ჰა, მსუბუქად აიჭრა ცაში,
ვით სული, სხეულს გამოთიშული.

ო, სივრცის გრძნობა და გაქროლება
თავბრუნდამხვევი და საკვირველი!..
მგონია, ერთვის უსაზღვროებას
ფიქრები ჩემი, როგორც ფრინველი.

თითქოს ხე ვიყო, ხელებგაშლილი,
ამღერებული ქარში ანაზღად, —
ვდგავარ მიწაზე, როგორც კავშირი,
როგორც თანხობა მთელ ქვეყანასთან.

□

ტრამალის სევდა

არსად ბუჩქებიც... და უცებ კენტი
ხე აღიმართა თვალწინ — ზვიადი,

ამაღლებული თავისი ბედის
ერთადერთობით და სიდიადით.

თავაწეული იღგა მეფურად,
ცისკრის ნათელი სახეში სცემდა,
და მისთვის ძლიერ თავისებურად
ქლერდა ტრამალის უსაზღვრო სევდა.

მზით კმაყოფილი და პორიზონტით,
ის დასცქეროდა ყველას ზემოდან,
მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა,
რომ ქვეყანაზე ტყე არსებობდა.

□

სამაგიერო

ო, გათენებავ! მე მახსოვს დღემდე
ის დილა, ბრძნული და თავიუბრი,
როგორც ძველი და უთქმელი სევდის
და უმეცრების სამაგიერო.

როგორც კი მწვერვალს მზე მოეფინა,
დაცურდა ჩრდილი მთებიდან ბარად,
აადმე ზღვის პირას, ქალის მხრებიდან
დაცურებული პერანგის დარად.

და გამკვირვალე ნისლებში მცურავ
ტყის სიდიადე და ყრუ ბგერები,
ეხამებოდნენ ბუნების სურათს
მთელი თავისი მშვენიერებით.

ისინი ტკბილად მილლიდნენ ფიქრებს
და მაჯერებდნენ უხმოდ და ძალით,
რომ ასწლოვანი ხეების იქით
იყო სამყარო მყუდრო და წყნარი.

მე არ შემეძლო მეფიქრა უკვე
ძველ ტკივილებზე, რადგან ვიცოდი,
რას მაძალებდა სივრცე და შუქი
თვალწინ დარწეულ მარადისობის:

„მხოლოდ სიკეთეს ჩაწვდი ბოლომდის,
დაუმორჩილე ზრახვა და ვნება...“

მე არ შემეძლო არ ავყოლოდი
გულგრილ ბუნების კარნახს და ნებას.

მაგრამ მე უცებ ტკივილით ვიგრძენ
ბუნების დიდი უსამართლობა:
ეუფლებოდა გონებას სიბრძნე,
რომელიც უფრო ჰგავდა დათმობას.

წარმოვიდგინე მთელი სიცხადით
და დავგმე, როგორც ცხოვრება მშვიდი,
სიბრძნე, რომელიც გამორიცხავდა
მოუსვენრობას, სწრაფვას და ჭიდილს.

გადავიფიქრე და ვერ გავანდე
ბუნებას ძველი სევდის მიზეზი...
და აღმართ-აღმართ ჩემს გზას დავადექ
სულ ახალგაზრდა, მაგრამ ფხიზელი.

□

* * *

მარად ერთგული იქნები საქმის,
ავიყოლიებს, როგორც ცდუნება,
თუ გიწყალობა ერთხელ ბუნებამ
ნიჭი შეგრძნების და ნიჭი აღქმის.

უსაფუძვლოა შიში გაქრობის,
თუ უკვე მიხვდი, იცი და გჯერა,
რომ ბუნებაში არცერთი ბგერა
არ არის ყალბი და დასაგმობი.

პირთამდე სავსე სიცოცხლის მადლით,
არაფერია ქვეყნად უცვლელი;
ყველა მოვლენას აქვს საფუძველი
და გამართლება — სიკვდილის ჩათვლით.

და წლების მიღმა გიწვდი მარჯვენას,
შორი წარსულის დიდო აჩრდილო,
სულ რომ გეცხოვრა, ალბათ, საჭირო
არ იქნებოდა ჩემი გაჩენაც.

□

საითაც გინდა

— გადაწყდა, წავალ! მშვიდობა მარად
მათ, ვისაც შერჩა სული და ღონე
ლტოლვის და ბრძოლის...

მე წავალ — კმარა! —

და ზურგს შევაქცევ ყველას და ყოველს.
წავალ, გავყვები უჩინარ ბილიკს,
რომელიც ერთვის სევდიან დაისს...

— საითაც გინდა იბრუნე პირი,
ზურგს ვერ შეაქცევ ქვეყანას მაინც.

□

მარსი

ბოლოს იმანაც აარიდა მზერა განთიადს,
გაუჩინარდა, დაიკარგა, და აღამიანს
დაუფრთხო ფიქრი...

ჩვეულებრივ წლები გადიან,
რა შეიცვალა? არაფერი — სადღაც ღამეა:
ის ისევ ბრწყინავს, ისევ ბრწყინავს, ისევ ანთია.

დროებითი სასიძო

(იუმორისტული მოთხრობა)

წიგნწერის სასაპირი

წარმოიდგინეთ ზღვისპირა ბულვარი თავისი შესანიშნავი პალმებით, მაგნოლიებითა და კვიპაროსებით, თანაც ყველაფერი ეს — ჩამავალი მზის ფონზე.

წარმოიდგინეთ? კეთილი! ახლა წარმოიდგინეთ ნავსადგური ბულვარის თავში, სადაც შორეული ნაოსნობის მოლოდინში თითქოს თვლემენ თეთრი გემები.

გარჯისათვის მადლობა, თორემ მთელი ამ ზღაპრული სილამაზის აღწერა მე სად შემეძლო, არც ქალაქი და მელანი მეყოფოდა. ყველაფერი ამის მხოლოდ წარმოდგენა თუ მოხერხდება, თუ ფანტაზია კარგი გაქვთ.

— ეს ხომ სოხუმი, ან ბათუმი, ან კიდევ ვაგრა!.. — წამოიძახეთ თქვენ.

ღიახ, მართალი ბრძანებაა. ამ ზღვისპირა ქალაქებიდან, რომელიც გნებავთ, ერთი შეირჩევა ჩვენი მოთხრობისათვის.

ახლა კი ყურადღება მიაქციეთ მეზღვაურის ფორმაში გამოვჩემულ ახალგაზრდა კაცს, ნერვიულად ბოლთას რომ სცემს სანაპიროს ქვის მოაჯირთან. ეს ახალგაზრდა გახლავთ გორგი ეკბა. იგი ელოდება თავის დეიდაშვილს, ასევე ახალგაზრდას, ალექსანდრე, ანუ, რაც შინაურულად იგივეა, საშა ჩიქოვანს. აი საშაც მოდის. მასაც მეზღვაურის ფორმა შეე-



ნის. ორივე ახალგაზრდა ინჟინერია. საშა ჩვენს ნავსადგომში
მუშაობს, მისი დეიდაშვილი გიორგი კი — ნოვოროსიის

ნუ გაგაკვირვებთ ის, რომ გიორგი და ალექსანდრე ხორციელად ტყუპისცალებივით ჰგევანან ერთმანეთს. ამაში „დამინაშავეა“ მათი ბებია — ყუბანელი ანასტასია პავლეს ასული ბალიუკი, რომლის ორმა ქალიშვილმა — ოლღამ და მარიამ — აფხაზეთში ჰპოვა თავისი ბედი — პირველი აფხაზ ნესტორ ეკბას გაჰყვა, მეორე კი — ქართველ ნიკოლოზ ჩიქოვანს.

დარწმუნებული ვარ, არ შემომედავებით, ცხოვრებაში ასეთი რამეები არ ხდებოა.

ამ მსგავსებას ხელს არ უშლის ალექსანდრეს ოდნავ უფრო მუქი, თითქმის წაბლისფერი, და გიორგის — უფრო ღია ქერა თმა. დეიდაშვილები ერთმანეთისაგან თვალის ფერითაც ოდნავ განირჩევიან. საშას უფრო ცეცხლოვანი ცისფერი თვალები აქვს, ხოლო გიორგის — ჭროლა თვალი და რამდენადმე დამცინავი გამოხედვა. საშა საერთოდ მოქნილი და დაუდგრომელია. გიორგი კი — დინჯი და წყნარი.

ასე და ამგვარად, საშა მოვიდა, უფრო სწორად — მოვარდა.

— უპ, რამდენი ვირბინე და მიინც დამაგვიანდა. აქა მყავს დაბარებული ის გოგო, თინა ჰქვია, არ დაგავიწყდეს! ჩანს, ისიც იგვიანებს. მე ახლავე ისევ უნდა გავიქცე, შენ შეხვდი... რომ მოვა, უთხარი: — საშა მალე დაბრუნდება-თქო.

— კი, მაგრამ არ ვიცნობ და... ხომ არ გგონია, ამ ადგილას მართო თქვენ ხვდებით ერთმანეთს?!. ან შენ სად გარბიხარ?

— მიხვდები, თინას მაშინვე იცნობ, მადლობა ღმერთს, აქ შემხვდი, ჩვეულებრივი ცქრილა ლამაზმანია... ტანწერწყტა, ნარნარი, თამამი. აი, ამ პალმასთან დაეყუდე. დაინახავ თუ არა შენკენ წამოსულ ადელევებულ ქალიშვილს... რატომ გავრბივარ, ამას მერე გაიგებ...

— რა ადელევებს იმ გოგოს?

— თვითონ გეტყვის. აბა, საგუშაგოზე! მე მალე დაბრუნდები! — თქვა ეს, საშამ მიმინოს ცეცხლოვანი თვალები-



ბით მიმოიხედა და სახტად დარჩენილ ბიქს სწრაფად გამოეშინა და და.

სამი წუთიც არ იყო გასული, თინაც გამოჩნდა:

— გამარჯობა, საშა! მაპატიეთ, რომ დავიგვიანე... ოი, ბოდიში!.. მე შეგონა, რომ..

— არა უშავს. მე გიორგი ეკბა ვარ, საშას დეიდაშვილი, მეც თქვენს სანახავად მოვედი... საშაც ახლავე მოვა...

— აჰ, უკაცრავად... თქვენზე ბევრი კარგი მსმენია... ეკთილი, დაველოდები... ერთად დაველოდოთ, გიორგი!

ახლა გაიცანით ჩვენი მოთხრობის კიდევ ერთი გმირი, ფრიად საინტერესო პიროვნება, ნავსადგურის მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, ბერძენი, პატივცემული ინოკენტი ასანიდი. ლურჯი ტილოს ხალათი აცვია, თავზე ბერეტი ჰხურავს. აპრეხილი უღვაშები შვენის მაღალსა და წარმოსადგე ვაეკაცს. ინოკენტი რომ კვარცხლბეკზე დავაყენოთ და ვთხოვოთ, ცოტა ხნით არ გაინძრეს და არც ისუნთქოს, ჩვენს თვალწინ აღიმართება თანამედროვე ქანდაკება: „მალაროელი ფიქრობს“. ან „მეთევზე გასცქერის მღელვარე ზღვას...“

ინოკენტი ცივი ლუდის დასალევად მიიჩქარის ფარდულში.

მოჰკრა თუ არა თინას თვალი, გზას გადაუხვია და მისკენ გამოემართა, შორიდანვე მიესალმა:

— თინას გაუმარჯოს, თინას! ალბათ, საშას სტუმარი ხარ, ხომ? ჰა, შე მეღიავე! ნეტა, სად იქნება ახლა მამაშენი, რომ გაგვოროს! ალბათ, ძალიან შორს, არა? — ჰკითხა ასანიდიმ გოგონას შინაურულად.

— ალბათ, კვიპროსს უახლოვდება თავისი გემით. — უბასუხა თინამ. — გაიცანით, ეს გიორგი ეკბაა, დეიდაშვილი.

ასანიდი თავაზიანად მიესალმა გიორგის. მერე ხუმრობით დასძინა:

— რომ იცოდეთ, ჩვენს ნავსადგურში ორად ორი კულტურული ადამიანია — თინას მამა — შორეული ნაოსნობის კაპიტანი ბათიაშვილი და, რა თქმა უნდა, მეორე კი მე. აქედან გამომდინარე, წარმოიდგინეთ, როგორი ახლო მეგობრები ვიქნებით ჩვენ.



— ინჟინერი ალექსანდრე ჩიქოვანი კი უკულტურაში
ჰკითხა თინამ.

— ჯერ ის მხოლოდ კანდიდატია! — კვლავ იოხუნჯა ასა-
ნიდომ.

— მეცოდინება. მაშ, ჯერჯერობით მხოლოდ ორად ორი:
კაპიტანი და მტვირთავთა ბრიგადირი! — მრავალმნიშვნე-
ლოვნად გაიღიმა გიორგიმ.

— ნურას უკაცრავად, ბატონო, უბრალოდ მტვირთავების
ბრიგადირი არ გეგონოთ! ჩვენთან ყველაფერი მექანიზე-
ბულია. მალე მხოლოდ თვალეებით ვიმუშავებ: ავიხედავ მალ-
ლა, ამწე ზევით წავა... დავხრი თვალებს, ამწე დაბლა დაემ-
ვება... აბა, რა გგონიათ! გემზე მსახურობ? — უცებ ასანიდი
გიორგის მიუბრუნდა.

— ჯერ არა! საშასავით კავშირგაბმულობის ინჟინერი ვარ.
ინსტიტუტი ერთად დავამთავრეთ.

— არც ეს არის ურიგო! აგერ, მოდის შენი საშა!
იმავე წუთს მეორედ მოვარდა საშა.

— ოჰ, დიდებულ საზოგადოებას გაუმარჯოს! თინა, ბო-
ლიში, მაგრამ ხომ იცი, ჩვენს ქალაქში, სადაც სხდომები და
თათბირები ასე უყვართ, ძნელია, სადმე არ დაიგვიანო! ჰო,
მართლა, რა მოხდა, თინა? გუშინ ტელეფონით რომ მელაპა-
რაკებოდი, ვერაფერი გავიგე. ენა მებმებოდა. ჰო, მართლა,
გიორგი და ინოკენტი ხომ არ... ჰო, რატომ დამიძახე?

— რას ამბობ, ინოკენტი მაშაჩემის ახლო მეგობარია, მას-
თან დასამალი, აბა, რა მაქვს? გიორგისთან მით უფრო... —
ხელი ჩაიქნია გოგონამ.

— ჰო, ანდრო ავაზაშვილს ხომ კარგად იცნობთ? საზღვაო
სასწავლებლის მეხუთე კურსის სტუდენტს. იმ კვირას სახალ-
ხო სასამართლომ რომ გაასამართლა. ეგერ ზის, ბაღში... —
სხაპასხუპით განაგრძო თინამ.

— საინტერესოა!.. — ჩაურთო ჩიქოვანმა. — მოიცა, მო-
იცა, შენ რაღაც დაინტერესებული ხარ იმ ყმაწვილის ბედით.
ვიცნობ, როგორ არა! მერე რა გინდა?

— ძალიან დაინტერესებული ვარ! — გადაიკისკისა თინამ.

— მაშინ მე უფრო ყურადღებით გისმენ!

— სხვათა შორის, თუ ნებას დამრთავთ, ანდროსაც დავე-
ძახებ, ეგერ ზის და გვიყურებს... თვითონ მოჰყვებს.

საშამ, რომელიც ასანიდისა და გიორგის შუა მოკალათე-
ბულიყო, ჯერ მარცხნივ, შემდეგ კი მარჯვნივ მოაბრუნა თა-
ვი, ზუსტად ისე, როგორც სახალხო მოსამართლე აკეთებს
ხოლმე, „მსაჯულებმაც“ თავის დაკვრით დასტური მისცეს.

— შემოიყვანეთ! — ბრძანა ალექსანდრემ.

მალე თინა ცისფერთვალემა, მხარბეჭიან, საზღვაო სკო-
ლის ფორმაში გამოწყობილ ყმაწვილთან ერთად დაბრუნდა.
ახალმოსული ოდნავ მორცხვობდა. ყველას ხელის ჩამორთმე-
ვით მიესალმა.

— ყველაფერი გულახდილად მიახსენეთ დამსწრე საზო-
გადობას! — ეუბნება ალექსანდრე „ბრალდებულს“... —
აბა, სმენა იყოს და გაგონება!

— თქვი, ანდრო, მოყევი თვითონ, რა შეგემთხვა, შენ რა-
ზე გაგასამართლეს! — უთხრა თინამ.

ავაზაშვილმა ღიმილით მიმოიხედა, მერე ეშმაკური თვა-
ლები თინას გაუსწორა, ჩაახველა და ენის ბორძიკით დაიწყო:

— გვიან სალამოს სანაპიროს პარკში მივსერირობდი, უცებ
ქალის ხმა მომესმა: „თავი დამანებეთ, თორემ ვიყვირებ!“
ძალაუნებურად იქით გავწიე. ვხედავ, ვილაც მამაკაცი ძალა-
დობს, ქალისთვის მკლავზე ჩაუვლია ხელი... დამინახა თუ
არა, მაშინვე გაიქცა. გამოვედევნე. რომელიღაც შენობის
ღია დერეფანში შემასწრო. შევყევი. შესასვლელში კედელ-
თან არ ატუზულა? დამინახა, უწმაწურად შემაგინა, რასა
მსდევო. ერთი ლაზათიანად მივბერტყე და გამოვბრუნდი.

— ისე მოქცეულხარ, როგორც ნამდვილ მეზღვაურს შეე-
ფერება! — ეს პირველი აღფრთოვანება ასანიდიმ გამოთქვა.

მაშინ თინამ საქმეში გარკვეულობა შეიტანა:

— იცით, ანდროს თურმე სულ სხვა უცემია, უდანაშაუ-
ლო კაცი, თევზის მალაზიის გამგე, აბუაძე.

— ვალერიან აბუაძე? — დიდად გაიკვირვა ასანიდიმ, —
მართალია, ანდრო? — აბა, ერთი კოხტად მოგვიყევი ყველა-
ფერი!..



— რა მოგიყვებო, — დიწყო მორცხვად ავაზამთრის მკვლელები
 ვხედავ, კედელთან დგას. მგონია, დამნაშავეა. მეც ავიღე და
 რაც ძალა და ღონე მქონდა, ვურტყი და ვურტყი.

- კბილებში რამდენჯერ სთხლიშე?
- ასე, სამ-ოთხჯერ!
- საკმარისია, მოწინააღმდეგე წაიქცა?
- არა.

— ცუდია, — ეწყინა ასანიდის. — მაშასადამე, გემოზე
 ვერ გიცემია. ეჰ, ერთი მე ჩამვარდნოდა ხელში!

— არა, ნამდვილად შეცდომით ვცემე. — თავს იმართ-
 ლებდა ანდრო. — ისე კი, სასამართლოში დავრწმუნდი, რა
 ჩიტიც ბრძანებულა, უფრო მაგრად უნდა გამელახა!

- რამდენი მოგისაჯეს? — იკითხა საშამ.
- ორი წელი, პირობით.

— ო-ო-ო, გვარიანია! — შესძახა ბრიგადირმა, — ორი
 წლის ანგარიშში, ცხადია, უფრო მაგრად უნდა გეცემია!

— ეს კიდევ არაფერი, — დაუმატა თინამ, — დირექტორ-
 მა ანდრო სასწავლებლიდან გარიცხა. თურმე გალახული აბუ-
 აძე მისი ახლო ნათესავი ყოფილა.

- უჰ, ეს გასაწყვეტი ნათესაობა! — ამოიოხრა საშამ.

— თუმცა ყველაფერი ნათელია! რამე უნდა მოვისაზროთ!
 რას გვთავაზობს მისი ბრწყინვალეობა ინოკენტი კირილეს ძე,
 რა ვიღონოთ?

ასანიდის დიდხანს არ უფიქრია, მტკიცედ და უყოყმანოდ
 უპასუხა:

- წავიდეთ დირექტორთან, შევაწუხოთ...

— ანდრო კი დაუყოვნებლივ სადმე სამუშაოზე უნდა მო-
 ვაწყოთ... — თქვა გიორგიმ.

— ნავსადგურში! — წამოიძახა ჩიქოვანმა, — მისცემენ
 კარგ დახასიათებას და მაშინ...

— თქვენ ჯერ ყველაფერი როდი იცით! — წუხილით თქვა
 თინამ.

- კიდევ რა მოხდა?!
- რა და...

თუმცა ჯობს ამის შესახებ ჭეშმით ვიამბოთ...

ახლა კი, ჩემო მკითხველო, გავეცნოთ მირანდას.

ყოველ ადამიანს აქვს შეძლებებისა და შეყვარების უფლება.

ეს რომ ასეა, არ შემომედაფებით! იმაშიც დამეთანხმებით, რომ, ცხადია, ასეთი უფლება აქვს საპატარძლოსაც. ასე არ არის? წინასწარ მსურს გავაფრთხილოთ, რომ შორეული ცურვის კაპიტნის ილარიონ ბათიაშვილის ოჯახს განაგებს მისი უფროსი და მირანდა. კაპიტანი ექვსი წელია, რაც დაქვრივდა და მირანდა ოჯახის ნამდვილი ბატონ-პატრონია. აჲ, ნახავთ, იგი მალე მოვა ზღვისპირა ბაღში, რომ სუფთა ჰაერით ისუნთქოს. აუცილებლად გაიცნობთ მას და ყველაფერში მაშინვე დამეთანხმებით. მირანდას ნამდვილად შეუძლია ოჯახის ხელმძღვანელობა. რა საკითხიც არ უნდა წყდებოდეს, მას ყოველთვის საკუთარი აზრი აქვს და შინაურებში ვერავენ გაუწევს წინააღმდეგობას. ამასთან, იგი ყოველთვის ზრუნავს თავის ძმისწულ თინაზე და, რა თქმა უნდა, თინას გათხოვებაც არ ავიწყდება. საქმროც გამოძებნილი ჰყავს — თავისი განსვენებული ქმრის დისწული, სანდრო. იგი სოფლიდან მიამა ბიძამ ანტონ ერადემ, ვაჟრობის მუშაკმა, ჩამოიყვანა და საქმეც მაშინვე გაიჩარხა.

საქმრო, ჩვენს შორის დარჩეს და, არ არის ცუდი: თავმდაბალი, მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილია, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, მაგრამ არავინ შეჰკითხვია თინას — მოსწონდა თუ არა იგი? არც იმას აქცევენ დიდ ყურადღებას, რომ თინაც სწავლობს, მესამე კურსის სტუდენტია. ქორწილის დრო მიახლოებით დანიშნეს და მორჩა! სწავლა? — სწავლა ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ერთად განაგრძონო, ასეთი იყო უფროსების აზრი.

ქორწილის თაობაზე სწორედ გუშინ ჩამობრძანდა მთავარი მაჰანკალი ანტონ ერადემ, სასიძოს უფროსი ბიძა.

— მირანდა, უკვე დროა! მეტს ნუ ვალოდინებთ ახალგაზრდებს, საქმის გაქიანურება და გაჯანჯლება არ ივარგებს!

— ღმერთმა დალოცოს სიძეც და პატარძალიც, მართლაც,

საქმე რატომ გავაჯანჯლოთ? მალე დაბრუნდება ჩემი
რიონი ნაოსნობიდან და ერთად გადავწყვიტოთ, მაშინვე დღე
დავნიშნოთ! — დაეთანხმა მირანდა.

— მაშ, ქორწილს წინ არაფერი დაუდგება, ხომ?!

— რა ბრძანებაა! ყველაფერი მზად გახლავთ, მარტო სა-
ქორწინო კაბა დარჩა შესაკერი. აბა, იმას რა დიდი დრო დას-
ჭირდება?!

მირანდა დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი იცოდა,
ყველაფერში ერკვეოდა. განა ასეთ ქალს შეეძლო ეფიქრა,
რომ მისი თინა ამ რამდენიმე თვის წინათ გაიცნობდა, დაუ-
მეგობრდებოდა და კიდევ შეიყვარებდა ვინმე ანდრო ავაზა-
შვილს?

ცხადია, ქალბატონი მირანდა ამას ფიქრადაც არ გაივლენ-
და გულში. ქვემოთ მოყვანილი დიალოგი თავის ყურითაც
რომ გაეგონა, მაინც არ დაიჯერებდა.

თინა — აუცილებლად მოეწონები მამას, აი, ნახავ!

ანდრო — მამიდა მირანდას?

თინა — აი, ეგ მაფიქრებს სწორედ. ერთ ამბავს ატეხს,
როგორ თუ ჩემი ამორჩეული საქმრო დაიწუნაო. ძალიან
ჯიუტი ვინმეა, ტრადიციის ბრმა მიმდევარი.

ანდრო — აბა, დაღუპულა ჩვენი საქმე და ეგაა!

...აი, ასე უყოყმანობდნენ ახალგაზრდები, თავს რომ ახალი
უბედურება — სასამართლო — დაატყდათ. თან ანდრო სასწავ-
ლებლიდანაც გარიცხეს. წახდა საქმე!

შეყვარებულები დაიბნენ, არ იცოდნენ, რა ელონათ. და
სწორედ ამიტომ უხმო თინამ დახმარებისათვის თავის საუ-
კეთესო მეგობარსა და სკოლის ამხანაგს, ალექსანდრე ჩიქო-
ვანს...

— როდის მიდის ანტონ ერადე? — იკითხა ალექსანდრემ.

— არსადაც არ აპირებს წასვლას! ზის და უცდის მამა-
ჩემს, რომ ქორწილის დღე დანიშნონ!

— გიორგი, შენ რას გაჩუმებულხარ?! ჭკვიანო ბიჭო!

— ისე უნდა გვაკეთოთ, რომ სანდროს ბიძა, რაც შეიძ-
ლება მალე, აითესოს აქედან. — დაასკვხა გიორგიმ.

— რა ჰკუთის კოლოფი ხარ! ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ გორ მივალწით ამას?!

— თინამ უნდა გულახდილად გაუმხილოს მირანდას, სხვა მიყვარსო, ოღონდ, რასაკვირველია, არა ანდრო.

— შენ ჰკუთასთან რაღაც ახლოს ხარ. მაგრამ სად გავაჩინოთ საქმრო თინასათვის? თუნდაც დროებითი... მოიცათ, მოიცათ... მგონი, გვეშველა, მახსენდება.

— კულტურულია?

— განათლებული, მორალურად მტკიცე. თანაც კარგი ოჯახიდან, ერთი სიტყვით, ზედგამოჭრილია.

— ე, ბიჭო, ვინ არის, აღარ იტყვი? — ველარ მოითმინა გიორგიმ.

— მე გახლავართ!

— შენ ხუმრობ და ცუდი კანდიდატი კი არა ხარ! — გაეხარდა ბრიგადირს.

— იქნებ დაგავიწყდა, საცოლე რომ გყავს? — ღიმილით შენიშნა ექბამ.

— ნინოს რა დამავიწყებს! ასე და ამრიგად, თინა, თანახმა ხარ თუ არა, ვიყო შენი დროებითი საქმრო, სანამ მამაშენი დაბრუნდებოდეს?

— რა ცუდად იცნობ მამიდაჩემს! — ნალვლიანად თქვა თინამ.

— მამიდაშენი მე მიცნობს ცუდად, მე — ალექსანდრე ჩიქოვანს, — შენ რას იტყვი, ანდრო, როცა კაპიტანი ბათიან-შვილი ჩამოვა, უმალ შენს თავს წარვუდგენთ მას.

— ამას მე ვიკისრებ! — ცოტა არ იყოს პირქუშად განაცხადა ასანიდომ. — არც ისე ადვილია ორწელმისჯილი სასაძმოს წარდგენა სახელმწიფოებრილ კაპიტანთან.

— სასჯელი ხომ პირობითია? — იმედლიანად თქვა ანდრომ.

— მაინც განაჩენია. ნუ დაგავიწყდება, საქმე გვაქვს ამ კუთხეში ყველაზე პატივსაცემ ადამიანთან. ძალიან მეეჭვება, ამპარტავან მირანდას ისე მოეწონოს ჩვენი საშა, რომ საანდროს საყვარელ ბიძას უგანოს! — თქვა ნალვლიანად ასანიდომ და მცირე დუმისის შემდეგ წამოიძახა:

— მგონი, ახლა მე მომდის ახალი აზრი!

ყველანი ასანიდის შემოეხევივნენ და მოუთმენლად დინდნენ, რას იტყოდა. ბრიგადირმა თავიდან ბერეტი მოიძრო, სკამზე ჩამოჯდა, მედიდური გამომეტყველება მიიღო და ჩიქოვანს ჰკითხა:

— ერთი მითხარი, ბიძიკო, ვინ იყო მამაშენი?

— მენავე.

— შესანიშნავია! ბაბუაშენი თავადი იყო, არა?

— არ ყოფილა, ნამდვილად ვიცი.

— არა უშავს, მე ვაკუთვნებ ამ წოდებას! რა თქმა უნდა, პირობით და ისიც სიკვდილის შემდეგ. საქმისათვის ასე ჯობს. არა, თინა?!

— არა მგონია, მამიდაჩემისათვის ამას რამე მნიშვნელობა ჰქონდეს.

— როგორ არ გესმით, — გაჯავრდა ასანიდი, — რომ მამიდაშენისთანა ქალისთვის ასეთ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს! მაგალითად, ერთი ჩემი ნაცნობი პასუხისმგებელი მუშაკი ამაყოფს იმით, რომ მისი რძალი ყოფილი გრაფის შვილიშვილია. როგორც ჩანს, ძველი თაობის ხალხზე თქვენ ბევრი რამ არ იცით!

ასანიდის დიდი ხანია სწყუროდა და კიოსკშიც ორი ბოთლი ცივი ლუდი ელოდა. მაგრამ საგონებელში ჩავარდნილ მეგობრებს ვერ ტოვებდა.

ყველას ეცოდებოდა თინა. ეს ხომ მისთვის საშინელი დრამა იყო. ახლავე თუ არ უშველიდნენ, მერე გვიან იქნებოდა. ხალხი მოზღვავედებოდა და გაიგებდნენ, რომ პატარძალმა თურმე გადაიფიქრა, სხვა შეიყვარა... აირეოდა მონასტერი...

— ყველაფერი რომ მოვუყვეთ მირანდას? ვთქვათ, თინამ უთხრას ასე:

— მამიდა, მე ვერ გავყვები სანდროს!

— რატომ, შვილო? — იკითხავს იგი.

— სხვა მიყვარს.

მამიდა გაკვირვებისაგან დააჭყეტს თვალებს:

— მე ხომ სიტყვა მივეცი... მთელმა ქვეყანამ იცის, შენ რომ სანდროს საცოლე ხარ!..

— რა ვქნა, სხვა მიყვარს!

— მაინც ვინ?

— ანდრო ავაზაშვილი, მომავალი მეზღვაური, საზღვაო-სანაოსნო სასწავლებლის სტუდენტი. თუმცა, არა, ყოფილი სტუდენტი... გამორიცხეს! უსამართლოდ მოექცნენ, გამო-რიცხეს...

— ღმერთო ჩემო! რისთვის გამორიცხეს?!

— შეცდომით სხვა კაცს სცემა... არა იმას, ვინც ღირსი იყო. სახალხო სასამართლომ პირობით ორი წელი მიუსაჯა.

— გამშორდეს! თვალთ არ დამენახოს, კაპიტან ბათია-შვილის სასიძო და ხულიგანი! ეს რა მესმის, ღმერთო ჩემო! გკედები! სამუდამოდ გტოვებთ! — აი, რას იტყვის იგი.

— არა, ასე არ ივარგებს, საქმე წახდება... თინამ სულ სხვა უნდა თქვას:

— მე შევიყვარე ღირსეული ადამიანი... აი, ის — ალექ-სანდრე ჩიქოვანი, — განათლებული, შესანიშნავად აღზრდი-ლი, საზღვაო ფლოტის ინჟინერი!

მამიდა მირანდას, მეზღვაურის ყოფილ ცოლს, ცხადია, მოეწონება ეს და ეტყვის სანდროს ბიძას: — ქორწილი უნდა გადაიდოს, ჩემი ძმა მხოლოდ თვენახევრის შემდეგ დაბრუნ-დება, მისი გემი მოულოდნელად აფრიკაში გაემგზავრა.

ანტონ ერაძე სოფელში წავა. მას უკან დაადევნებენ ახსნა-განმარტებით წერილს და ყველაფერი უხმაუროდ დამთავრ-დება. შემდეგ კი ღმერთია მოწყალე!

* * *

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენ ზღვისპირა პარკში, გა-ქორჩილ პალმასთან, გავიცანით თინა და მისი მეგობრები. რო-გორც ზევით გაგაფრთხილეთ, ჩვეულებისამებრ, საცაა მუ-რონდამ უნდა გამოისეირნოს ბულვარისკენ, ზღვის სუფთა პა-ერის ჩასაყლაპავად.

აი, ისიც მოდის! ისე ამაყად მოაბიჯებს, გეგონება ოკეა-ნის დიდი გემიანო, რომელიც რეიდზე პაწაწკინტელა ბუქსირს

გამოჰყავს. მირანდა მომხიბლავი ქალია და თვითონაც თითო მოგეპყრობათ, ვიდრე წინ არ აღუდგებით მის სურვილებსა და მისწრაფებებს.

ერთ რამეს ვერ წაართმევ მირანდას: მას, მართლაც, გულწრფელად უყვარს თინა და მზადაა, ყველაფერი გააკეთოს მისი კეთილდღეობისათვის.

მირანდა მიუახლოვდა ჩემთვის უკვე ნაცნობ გრძელ სკამს. თინა აწრიალდა.

— მამიდაჩემმა აქ არ უნდა მნახოს! სახლში ვუთხარი, ამხანაგთან ვიქნები-მეთქი!

ალექსანდრე, გიორგი და ინოკენტი კედელივით აღიმართნენ და თინაც მათ ზურგს უკან გაუჩინარდა.

— სალამო მშვიდობისა, ქალბატონო მირანდა! — პატივისცემით მიესალმა ქალს სამი შეთქმული.

ასეთი მისალმებით ნასიამოვნებმა მირანდამ ამაყი ღიმილით უპასუხა მათ.

— ჩემი საყვარელი სკამია. — დასძინა ბოლოს ქალბატონმა და მსუბუქად ჩამოჯდა.

სამი რაინდი იდგა და ლაპარაკობდა მირანდას უქკნობ ახალგაზრდობაზე.

ასანიდს წყურვილიც გადაავიწყდა... ახლა მთელი ფიქრი იქით ჰქონდა, როგორმე მოხერხებულად წარემართა საუბარა.

— რაც დრო გადის, სულ უფრო ახალგაზრდავდებით, ქალბატონო მირანდა! — უკვე მერამდენედ თქვა ინოკენტიმ. მირანდამ კვლავ ღიმილით გამოხატა კმაყოფილება.

— როდესაც პაპაჩემის სატვირთო გემზე ვმსახურობდი... — დაიწყო ბრიგადირმა და თვითონაც არ იცოდა, და ვერც სხვამ გაიგო, რა შუაში იყო პაპამისის გემი, მაგრამ, ბედად, თინას მამიდა დააინტერესა ასანიდის ამ უცაბედად წარმოთქმულმა სიტყვებმა:

— პაპათქვენის გემები ჩვენს ნავსადგურში იდგნენ ხოლმე?

— არა, ბატონო, ნოვოროსიის ნავსადგურში... — გამოვიდა გასაჭირიდან ბრიგადირი.



— ალბათ, ამიტომ არ მახსოვს, თორემ უსათუოდ მეც შეგეძლოდა მათ შესახებ. იმ გემების სახელი არ გახსოვთ?

— „აღლერი“ და „ტუაფსე“.

— ჰო, მაგონდება, იყო ასეთები.

რასაკვირველია, მირანდას არაფერი არ ახსოვდა, არც ასანინის ჰქონდა წარმოდგენა — შავ ზღვაზე, სადმე, მართლა იყო ასეთი გემები თუ არა, მაგრამ მტვირთავთა ბრიგადირმა ახლა გაბედულად განაგრძო:

— მახსოვს, ერთხელ „აღლერზე“ ვიყავი და ინდოეთის ნაპირებს მივადექით...

— ინდოეთის ნაპირებს? საინტერესოა! — წარბები აზიდა მირანდამ.

— სტუმრად მიგვიწვიეს ზღვისპირა ქალაქის გუბერნატორთან, რას ვიზამდით, უნდა გვეცა პატივი. მივედი, ვესაუბრეთ.

— ცხადია, მთარგმნელის საშუალებით. — ჩაურთო მირანდამ.

— არა, ჩვენი ბოცმანი შესანიშნავად ლაპარაკობდა ინგლისურად, თითქმის ილარიონ ბათიაშვილივით.

რადგან მირანდას სხვისი ნაამბობის მოსმენაზე უფრო ლაპარაკი უყვარდა, რამდენადმე უადგილოდ წამოიძახა:

— ათი დღის შემდეგ შორეულ ნაოსნობიდან დაბრუნდება ჩემი ძმა.

— საუკეთესო კაპიტანია მთელ ფლოტში! — დასძინა ალექსანდრემ.

— გმადლობთ! ათი დღის შემდეგ ჩემი ძმისშვილის ქორწილია დანიშნული... შესანიშნავე ყმაწვილს ვურიგებ. ისეთ ქორწილს გავუმართავთ, თქვენი მოწონებული! იმერეთიდან ასზე მეტი სტუმარი ჩამოჰყვება სასიძოს. იგი მომავალი ექიმია. ისე კი, ჩემი ოცნება იყო, თინა მეზღვაურს გაჰყოლოდა... ჩემი განსვენებული მეუღლეც ხომ მეზღვაური გახლდათ...

— გაგვიგონია, შესანიშნავი ადამიანი და ცნობილი კაპიტანი იყო! — ჩაურთო გიორგიმ.

— თქვენ მეტად თავაზიანი ახალგაზრდები ბრძანდებით.



— თქვა ამდენი შექებით ცრემლმორეულმა მირანდამ ცხვირსახოცი თვალებთან ნაზად მიიტანა.

ასანიდომ, რომელსაც არ უყვარდა სენტიმენტალური სცენები, თავისი საუბარი სწრაფად განაგრძო:

— ჰოდა, ვესაუბრეთ გუბერნატორს... ჩემო ბატონო, იცოცხლეთ, გაგვიმასპინძლდა: ეს რომიო, ეს ლიქიორიო... არაყს იქ არა სვამენ...

ალექსანდრემ და გიორგიმ არ იცოდნენ, როგორ გაეჩუმებინათ ეს ოცნებით „მოგზაური“, ხანდახან უბიძგებდნენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.

— მოგვართვეს ნაირ-ნაირი საქმელი... ბოსტნეული, ხილეული, ტკბილეული...

— ინდოეთში ლუდს თუ სვამენ? — ირონიით შეეკითხა საშა. ამით აგებინებდა, — დროა აქედან მოუსვავო.

მაგრამ ასანიდომ კარგად ვერ გაიგო გადაკრული სიტყვა. სამაგიეროდ, მოულოდნელად სწორ გზას დაადგა.

— ჩვენ მოვეუყევით გუბერნატორს საქართველოზე. სხვათა შორის, ისიც ვუთხარი, რომ ქართველი ქალები, განურჩევლად ასაკისა, ყველაზე ლამაზები არიან ქვეყანაზე.

მირანდამ კეკლუცად გაისწორა შალის მოსასხამი.

— ჰო, მართლა, არ გამაცნობთ ამ ახალგაზრდებს, ვინ არიან?

მაშინ ბრიგადირმა საზეიმოდ გამოაცხადა:

— ალექსანდრე ჩიქოვანი, საზღვაო ინჟინერი!

— გიორგი ეკბა, — დაუმატა თავის მხრივ ალექსანდრემ, — ესეც საზღვაო ინჟინერია.

ვერც კი მოასწრო ალექსანდრემ შემობრუნებულიყო, რომ ასანიდომ მირანდას ჩასჩურჩულა: — ამ ყმაწვილის ბაბუა ხომ ცნობილი კაცი იყო, თავადი!

ალექსანდრემ მაინც მოჰკრა ამ სიტყვებს ყური და გადაწყვიტა მოლაყბე ბრიგადირი აქაურობისათვის როგორმე მოეშორებინა.

— ბოდიში, ქალბატონო მირანდა, ინოცენტისთან ერთი საჩქარო საქმე მაქვს, სამსახურის თაობაზე!



მოჰკიდა ბრიგადირს ხელი და თითქმის ძალით გაიჭყანა მისი
შორიახლო მდგარი ფარდულის უკან.

— ისე, როგორ მიმყავდა საუბარი? — თავმომწონედ იკუ-
თხა ასანიდომ.

— შესანიშნავად! კი, მაგრამ ინდოეთში რა ჯანდაბას ეძებ-
დი? შენ ხომ თურქეთში ხარ ნამყოფი?! ბარემ იქაური ა-
ბები გელაქლაქა!

— თურქეთი მირანდამ ჩემზე უკეთ იცის. რაც უფრო
შორს წახვალ, მით უფრო ადვილია სისულელის გასაღება.

— მაგაში სწორი ხარ, დავეუცადოთ გიორგის!

* * *

გიორგის კი ამ დროს გულშია საუბარი ჰქონდა გამართუ-
ლი მირანდასთან.

მირანდა — დიდი ხანია ამ ნავსადგურში მუშაობთ?

გიორგი — არა, მე ალექსანდრე ჩიქოვანის სტუმარი ვარ.
ის ჩემი დეიდაშვილია.

მირანდა — საშას შორიდან ვიცნობ. ღირსეული ახალ-
გაზრდა ჩანს.

გიორგი — საშა თქვენი ძმისშვილის თინას სკოლის მე-
გობარია.

მირანდა — თინასი?! მართლა?! სასიამოვნოა!.. აბა, ორა-
ვეს გაბატეობთ ქორწილში, თქვენც და ალექსანდრესაც!

გიორგი — გმადლობთ, მაგრამ... მეეჭვება, რომ ალექსან-
დრე მოვიდეს, საქმე ისეა, რომ... ალექსანდრეს დიდი ხანია
უყვარს თქვენი თინა... ჭკუას ჰკარგავს...

მირანდა — რაო?! აი, სეირი თუ გინდა!.. ესეც ახალი
ამბავი!..

გიორგი — მაბატეოთ, რომ აგაღელვეთ, მაგრამ მაინც გაი-
გებდით. თუ არ ვცდები, თინასაც გადაწყვეტილი აქვს საშას
გაჰყვეს ცოლად...

მირანდა — რას ჰქვია გაჰყვეს?! თქვენ რას მელაპარაკე-



ბით? სიტყვა? არავითარ შემთხვევაში არ მივცემ ამის უფლებას!
 ბას! თავს არ შევირცხვენ, არც ჩემს ძმას შევარცხვენ. მერე კიდევ, იცით, რა: თქვენი საშა სრულიადაც არ მომწონს, სრულიადაც! თქვენ, ალბათ, ხუმრობთ!

გიორგი — ნუთუ თინას უფლება არა აქვს, ისე მოიქცეს, როგორც საკუთარი გული უკარნახებს?

მირანდა — მის საქმროს უკვე მივეცი პირობა და თანა უარის თქმას ვერ გაბედავს!

გიორგი — საინტერესოა, კაპიტან ბათიაშვილის აზრს თუ ექნება მნიშვნელობა ამ საქმეში?

მირანდა — ჩემი აზრი იგივე ჩემი ძმის აზრია!

ამ დროს ფარდულს მოჯარებულმა ალექსანდრემ და ასანი- დიმ გამოყვეს თავი. მირანდას გაანჩხლებული გამომეტყველე- ბის დანახვაზე დაასკვნეს, საქმე ილუბებო.

ამაში ისინი მირანდას შეურიგებელმა ტონმაც დაარწმუნა.

— ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თქვენი ალექსანდრე წარმოშობით თავადია თუ ბოიარინი! ასე გადა- ეციტ მას!

— ამაზე ადვილი რა არის, გადავცემთ!

— გულახდილად გეტყვი, ძვირფასო გიორგი, ვერაფერი შვილი მაჭანკალი ყოფილხარ. — შხამიანად შენიშნა მირანდამ.

საბრალო გიორგიმ არ იცოდა, რა ექნა: უკან დაეხია, თუ ერთხელ კიდევ გადასულიყო კონტრშეტევაზე. ამ გამოუვალი მდგომარეობიდან იგი თინას უცაბედმა გამოჩენამ იხსნა.

— მაშიდა, შენ აქა ხარ? — გოცებით იკითხა თინამ.

— თინა, ეს რა გავიგონე ამ უცხო ხალხისაგან?! შენ თითქოს გადაგეფიქროს... ღმერთო ჩემო! ხომ იცი სანდროსათვის პირობა მაქვს მიცემული!

— ჩემს მაგივრად?.. — თქვა თინამ გოცებით.

— თინა, როგორ უბედავ გამზრდელ მაშიდას?! მე დედა- შენის საფლავზე დავიფიცე, შენს ქალიშვილს აღვზრდი და



ღირსეულ საქმროსაც მოვუძებნი-მეთქი და კიდეც რულებ ამ ფიცს!

— მაგრამ თქვენ ის ხომ არ გითქვამთ, ვინც არ უყვარს, იმას გავატანო?..

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ნეტავ, დედაშენს ესმოდეს, რასაც ამბობ!

— დედაჩემი ასეთ რამეს არასდროს დამაძალებდა!

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შენ ხარ, თინა? რაც უნდა იყოს, სულ ერთია, ქორწილი ათი დღის შემდეგ მაინც იქნება.

— მამიდა, წავიდეთ, ხომ ხედავ, აცივდა!

— არსადაც არ წავალ!.. — ზვიადად თქვა განაწყენებულ-მა მირანდამ, მერე გიორგის მიუბრუნდა:

— მე ვხედავ, პატიოსანი ახალგაზრდა ბრძანდებით, გან-დობთ, თინა სახლამდე მიაცილოთ!

უსაზომოდ დაღონებულ თინას ორი ახალგაზრდა მიჰყე-ბოდა გვერდით — გიორგი და ალექსანდრე. ასანიდი წინ მი-უძღოდა აჩქარებული ნაბიჯით.

— აბა, შევამოწმოთ საბრძოლო დაზვერვის შედეგები, — ხმამაღლა თქვა ალექსანდრემ, — მირანდა, ჩემის აზრით, შეწუ-ხებულები არის და გახარებულები. ეს პლუსია! მოწინააღმდე-გეს, უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდე უნდა დავუბრუნოთ! ამას მოითხოვს ჩვენი ტაქტიკა. ახლა კი, ჩემო თინა, შენი საქმროს ბიძა, ანტონ ერადე, უნდა დავარწმუნოთ, რომ ქორ-წილი ათი დღის შემდეგაც არ შედგება. მაგრამ როგორ მოვა-ხერხოთ ეს?!

სანამ თინა და მისი მეგობრები ამაზე ფიქრობენ, მოგიო-ხრობთ, თუ რა მოხდა ამ რამდენიმე საათის წინ.

დიდი დღეა

დიახ, ეს იყო დიდი დღეა. ის დაიწყო რესტორან „ილ-ბუზში“ და ზღვისპირა ბულვარს მიეხეთქა.

ძია ანტონი ერთ თავის ნაცნობს შეხვდა. სად მიჰყავთ



ასეთ დროს მთიელთა ნამდვილ შთამომავლებს თავიანთი გობრები? რასაკვირველია, რესტორანში!

სწორედ აქეთ გამოემართა თევზის მაღაზიის დირექტორი ვალერიან აბუაძეც. მან დილიდანვე მაგრად წაიმუშავა: მეორე ხარისხის თევზი პირველ ხარისხად გაასაღა, ხოლო მესამე ხარისხისა — მეორე ხარისხად. გამყიდველებს უბრძანა, ვისთვის მიეცათ ჩუმიად, უკანა კარებიდან ხიზილალა, ორაგულა, კალმახი, ჩვენი ზღვებისა და მდინარეების სხვა სიმდიდრე. ბუხვალტერთან საიდუმლო თათბირი ჩაატარა. როგორ და რა უნდა ჩამოეწეროს მაღაზიას „ზარალის“ ანგარიშით. მადლობა გადაუხადა მოლარეს ერთგული სამსახურისათვის: მან ხელში ჩაუთვალა სალაროში დარჩენილი „ზედმეტი“ ფული. ამის შემდეგ იგრძნო, რომ „გადაღლილი“ სხეული ძალღონის აღდგენას ითხოვდა. ამის თაობაზე დაურეკა კადრების განყოფილების უფროსს, კიდევ მის უფროსს, რომლის გამგებლობაშიც თევზის მაღაზია იმყოფებოდა.

დღის სამ საათზე კადრების განყოფილების გამგე და ვალერიან აბუაძე შეხვდნენ თავიანთ ნაცნობს ანტონ ერაძეს და აღმასკომის ერთ-ერთ თანამშრომელს. მალე ოთხივე რესტორან „იალბუზში“ „მოყუჩდა“, ერთ მყუდრო ე.წ. „მცირე დარბაზში“.

ანტონმა ყურადღება მიაქცია ვალერიანის შეხვეულ თავს და მიზეზი იკითხა. კადრების განყოფილების გამგემ შემზარავი ეპიზოდი უამბო: როგორ დაესხა თავს პატივცემულ ვალერიანს ვიღაც ბანდიტი და თავში დანით დაქრა.

ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ითქვა საყვედური გუშავ მილიციელთა მიმართ („არ იყურებიან იქით, საითაც საჭაროა!“) და დაიწყო ტრადიციული სადღეგრძელოები. შეზარხოშებულმა ანტონ ერაძემ ბოლოს კაპიტან ბათიაშვილისა და მისი ერთადერთი ქალიშვილის — თინას — დღეგრძელობა მოისურვა.

აბუაძემ ცივად დასდო ჭიქა და უშვერი გინება დაუწყო სანდროს საცოლეს.

განაწყენებული ანტონი ადგილიდან წამოხტა და ყელში



სწვდა აბუაძეს. ვალერიანმა ერთი ლაზათიანი სილაქით და
დან მოიცილა მოჩხუბარი.

— აბა, კარგი გოგო რომ იყოს, იმ ბანდიტ ავაზაშვილთან
ივლიდა, ჩემი მოკვლა რომ უნდოდა და დანით დამეძგერა?

— ახლავე მოგიღებ ბოლოს, თუ არ დაგიმტკიცებია, რა-
საც რომავ! — სქექა ანტონ ერაძემ და ხელი ღვინით სავსე
ბოთლს დაავლო.

მალე, როგორც იტყვიან, აირ-დაირია მონასტერი: ატყდა
ყვირილი და ვაი-უშველუბელი. მოჩხუბრებს შორის რესტორ-
ნის დირექტორი და ოფიციანტები „ჩაცვიფდნენ“.

— კეთილი, მე შენ დაგიმტკიცებ! — არ ცხრებოდა აბუა-
ძე. — წავიდეთ, მე მოწმეებიც მყავს!

მაგრამ წასვლამდე პირველი მუშტი „იალბუზის“ დირექ-
ტორს — მათ გამშველუბელს — მოხვდა. ეს იყო აბუაძის
საჩუქარი.

ერთი ოფიციანტი გარეთ გავარდა და ყვირილი ატეხა. მო-
რიგე მილიციელი სწორედ იმ დროს შემოვიდა რესტორანში,
როცა დირექტორი სველი პირსახოცით იშუშებდა დაბეჭდ-
ადგილს. თინა ბათიაშვილის პატიოსანი სახელის შემლახველი
და მისი დამცველი კი ამ დროს თევზის მალაზიისკენ გარ-
ბოდნენ.

აქვე უნდა დავაზუსტოთ ზოგიერთი რამ:

როდესაც ავაზაშვილი აბუაძეს კედელზე ახათქუნებდა,
სად ეცალა, იქ გარკობილი ლურსმანი შეემჩნია. სწორედ ამ
ლურსმანზე მიუხევეია მელოტი თავის კანი აბუაძეს. აი, საი-
დან გაჩნდა ბრალდება დანის შესახებ.

დიდი ხანია უკვე სახვევი დოლბანდის მოხსნა შეიძლებოდა,
მაგრამ თევზის მალაზიის დირექტორი მაინც ატარებდა, რაათა
მეტე თანაგრძნობა გამოეწვია ნაცნობ-ნათესავეებში.

როცა ერთმა მყიდველმა პროტესტი განაცხადა, წონაში
მატყუებენ და დირექტორი მომგვარეთო, უფროსმა გამყა-
დელმა წყენით განუმარტა:

— როგორ არა გრცხვენიათ, ის ხომ დანით დაჭრილია...



„დაჭრილ“ დირექტორს გამყიდველი ქალი, აგნია შაქაძე და მომხმარებელმაც თავისი საჩივარი „უკან წაიღო“.

მალაზიაში აგნია ყველაზე უფრო პასუხსაგებ დავალებებს ასრულებდა: ემსახურებოდა გვერდიდან „შემომსვლელ-გამსვლელებს“ და, ასე განსაჯეთ, თავის ხელით დაჭონდა თევზი ზოგიერთ ოჯახში.

თუ რომელიმე დიასახლისი მორცხვად შეეკითხებოდა აგნიას, რამდენი უნდა გადავიხადო, აბუაძის რწმუნებული მორცხვადვე უპასუხებდა:

— არ ვიცი, ქალბატონო!.. შემდეგ გადაიხდით... — და ახალი კალმანით, ორაგულითა და ხიზილალთ სავსე კალათას ხელში შეატოვებდა.

სწორედ ამ აგნიას უნახავს საკუთარი თვალთ, როგორ სეირნობდა თინა ბათიაშვილი დირექტორზე თავდამსხმელ ბანდიტთან. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ დაზარალებული დირექტორი აგნიას რაღაც ნათესავი არისო.

— იმ ბანდიტს მხარზე ხელგადახვეული მიჰყავდა კაპიტან ბათიაშვილის ქალიშვილი სანაპიროზე. — ღვარდიანობდა აგნია.

— საით მიჰყავდა, თუ იცი? — ჩაეკითხა აბუაძე.

— აბა, რა ვიცი... სირცხვილისაგან კინალამ იქვე გაკთავდი, მეტი არ შემიხედავს.

— მერე, შე ქალო, უკან უნდა გაჰყოლოდი. გენახა, საით წავიდნენ!

— არ მეცალა! — თავი იმართლა მან.

როდესაც ოთხი გაცეცხლებული მამაკაცი უკანა კარებიდან მალაზიის კანტორაში შეიჭრა, აგნიას შიშისაგან კინალამ გული გაუსკდა.

— ერთი უთხარი ამას... როგორ ეხვეოდა ბაღში, სკამზე, თინა ბათიაშვილს ის ბანდიტი ავაზაშვილი! — ყვირილით მივარდა აბუაძე გამყიდველს.

ემმაკი აგნია მაშინვე მიხვდა დირექტორის გასაჭირს და პასუხი არ დააყოვნა:



— საკუთარი თვალით ვნახე, ბატონო, სკამზე ეხვეოდა... არც სირცხვილი, არც პატიოსნება, დღისით, სით ეხვეოდა...

ერაქემ ერთი კი დაიკვნესა და თავზე იტაცა ხელი:

— არა მჯერა, შენ საშინელი ჭორიყანა ყოფილხარ!

აგნიამ შესწივლა, როგორ თუ ჭორიყანა ვარო. რაც ვთქვე, ყველაფერი ცამდე მართალიაო.

უფროსმა გამყიდველმაც აგნიას ბანი მისცა:

— მეც ბარე ორჯერ ვნახე თქვენი თინა იმ ყაჩაღთან, ისე იყვნენ... რომ თქმა მეუხერხულემა... ჩემი სახლის წინ, სკამზე, სიბნელეში, ბატონო!

განგებ რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვები, თუმცა არც ერთხელ არ უნახავს არც თინა, არც ავაზაშვილი. იგი ქალაქგარეთ ცხოვრობდა.

აბლა კი სევდიანად დახარა თავი ანტონ ერაქემ. აბა, რა ექნა! — თინიკოს უწესობას ორი მოწმე ადასტურებდა. ეს უკვე ცილისწამება აღარ იყო! რესტორანში შიკრიკი აფრინეს. მას აგნია მიჰყვა რამდენიმე კილოგრამი კალმახით.

და მალე საბანკეტო დარბაზში კვლავ გაისმა პატივისცემითა და სიყვარულით აღსავსე სადღეგრძელოები. შემთხვევით დაშავებული ცხვირშესიებული „იალბუზის“ დირექტორი უკვე არავის აღარ ახსოვდა.

მოხერხებულმა აგნიამ იფიქრა: დღეს მალაზიაში დაბრუნება საჭირო აღარააო და ზღვისპირა ბალისკენ გასწია, რათა მასაც ესუნთქა სუფთა ჰაერით და ხალხშიც გამოჩენილიყო.

მირანდამ საათს დახედა. არა, ჯერ შინ დაბრუნების დრო არ იყო! ოდნავ დაწყნარდა. გადაწყვეტილება მიღებულია, ანტონი საჩქაროდ დაბრუნდება სოფელში და ათი დღის შემდეგ მოვა ქორწილზე, სანდროსთან ერთად!

სწორედ ამ დროს დაინახა აგნიამ მირანდა. მისმა ამაყმა გამოხედვამ ააღელვა იგი. დიდი ვინმე მაინც იყოს! სხვის ბუდეში მოკალათებულა და თავი მდიდარ დიასახლისად წარმოუდგენია!



არა, ღირსი კი იქნება, ხასიათი გავუფუჭო ამ ამბავს
ქალბატონს!

აგნია მირანდასთან მივიდა და ეშმაკურად გაუღიმა.

— ბოდიში, მირანდა, კინალამ ვერ დაგინახეთ! ხომ კარგად ბრძანდებით ოჯახში?

— გმადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ! — საკმაოდ ცრვად შეესიტყვა მირანდა.

ასეთმა უხასიათო შეხვედრამ კიდევ უფრო გააღიზიანა აგნია.

— სად მცალია, ჩემს თავს მივხედო, ქალბატონო მირანდა!.. ეს ოჯახი, ეს სამსახური... ახლა კიდევ უფროსი დისშვილი თხოვდებოდა, თამარი... ჰო, მართლა, თქვენი თინა როგორ არის? ქორწილი როდის გაქვთ? — მიუახლოვდა მიზანს აგნია.

— ქორწილი მალე გვექნება, როგორც კი ილარიონი დაბრუნდება.

— ღმერთმა კეთილად დააბრუნოს!

ამ სიტყვებს იმ დაწყევლილმა აგნიამ ისეთი ნაღვლიანი ოხვრა მოაყოლა, რომ პალმებიც კი შეირხნენ.

— დამერწმუნეთ, მირანდა, არ მიყვარს ჰორიკანები! ისე ვლანძღე, იმდენი ვწყევლე ის ვიგინდარა, რომ არ ვიცე, ენგური თუ გარეცხავს.

— რაზე ამბობ, აგნია ჩემო?

— გახსენებაც კი არ მინდა.. ერთი მეზობელი მყავს, ისეთი ჰორიკანაა, უი, გაუხმეს ენა! ამ დილით მითხრა იმ წყევულმა: გაიგონეთ, რაები ზდება ქვეყანაზეო? ჩემი საკუთარი თვალთ ვნახე, თინა ბათიაშვილი, კაპიტნის ქალიშვილი, იმ ბანდიტთან მისეირნობდა ხელიხელგადახვეული... სწორედ იმ ვიგინდარასთან, რომელმაც ყველასათვის პატივცემული ვალერიან აბუაძე კინალამ დანით რომ მოკლაო.

მირანდას ელდა ეცა, მაგრამ არ შეიმჩნია. თავი მალდა ასწია და აგნია თავისი არწივისებური გამოხედვით აათვალიერა-ჩაათვალიერა.

აგნია მთლად მოიკუნტა, თითქოს დაპატარავდა.



— ის თქვენი მეზობელი ნამდვილი ჭორიკანა ყოფილა თქვენ კი მის მოჩმახულ სიტყვებს იმეორებთ. იქნებ სულაც განგებ მომძებნეთ, რომ გააშავოთ თინა ჩემს თვალში?! — რისხვით წარმოთქვა მირანდამ.

— რას ამბობთ, ძვირფასო მირანდა! ეს როგორ იფაქრეთ! — შეეშინდა აგნიას. — პირიქით...

— ხმა გაკმინდეთ! ალბათ, ამ უმსგავსო ჭორს მთელ ქალაქში ავრცელებთ! თქვენც ისეთი ხართ, როგორიც თქვენი მეზობელი ყოფილა!

აქ კი, უწყინარი თიკანი მარქენალ ვაცად გადაიქცა და ხმამალა შეჭკივინა:

— ერთი ამას დამიხედეთ, როგორ გაანჩხლდა ეს ქალბატონი! მე კი პატივსაცემ ვინმედ მიმაჩნდა... ეს ვინ ყოფილა!

— სრულიადაც არ მჭირდება თქვენი პატივისცემა! — არ ცხრებოდა მირანდა.

— ასე, ხომ? მაშინ, თუ მთლად მართალი გინდა, მეც დავინახე თქვენი თინა იმ ბანდიტთან ისეთ ადგილას... — დაჰკივლა აგნიამ, მაგრამ უცებ ხმა ჩაუწყდა, ადგილიდან მოწყდა და გაზეთის კიოსკს ამოეფარა.

მათკენ ანტონ ერაძე მოიწევდა.

ერაძე იმ ელჩივით გამოეცხადა მირანდას, სახელმწიფოს მესვეურს რომ მეტად არასასიამოვნო ამბავი უნდა შეატყობინოს.

— თინამ მითხრა, რომ ამ დროს ზღვის ნაპირას გამოდიხართ... რა სასიამოვნო საღამოა! სამწუხაროდ, იშვიათად ვარ ხოლმე სანაპიროს ბაღში. თუმცა, რა დროს ზღვის ცქერაა, როცა ირგვლივ ისეთი საზიზღრობა ხდება... — სიტყვა უცებ შეაბრუნა ერაძემ და გაცხარებით დაუმატა: — შენმა თინამ ყველა შეგვარცხვინა! თავი მოგვეჭრა! თურმე ერთ მოხუდავანო ტიპთან დადის ხელიხელგაყრილი. ასე ამბობს მეტად პატივცემული ადამიანი!

— ის „პატივცემული“ ქალია თუ კაცი? — დინჯად იკითხა მირანდამ.



— ქალის ბეუტურს მოვუსმენდი ახლა მე?! მითხრა!

— მერე დაუჯერე?

— დაიფიცა და...

— თუ ისე დაკნინდი, რომ ჭორებისა გჯერა, მაშინ ღირსიც არა ხარ ჩვენი ნათესაობის! — უცებ გაანჩხლდა მირანდა.

— მაშ, ტყუილს ვლაპარაკობ?

— ეგ ყველაფერი ჩვენი ოჯახის მტრებმა მოჩმახეს!

— მოწმე მყავს, ბატონო, ცოცხალი ადამიანი — აბუაძე. თუ გნებავთ, ახლავე დავუძახებ და აქ გეახლებათ.

შორს წასვლა არ მოუხდა, თევზეულის მაღაზიის დირექტორი იქვე, შორიახლო, იყო ატუშული, მაგრამ სანამ ამბავს მივყვები, ერთი რამ ახლავე უნდა შევნიშნო:

ვალერიან აბუაძე მეტად პატივმოყვარე კაცი იყო. შესანიშნავად მიჰყავდა კომერციული საქმეები, იცოდა ვისთან ჰქონოდა ნაცნობობა. ერთი სიტყვით, აბუაძე იყო საქმიანი, ეშმაკი და... ამასთან, შურისმგებელიც! საკმარისი იყო, ვინმეს ჩურჩულით ეთქვა: — ამან და ამან ცუდად გახსენაო, ვერ კოისვენებდა, სანამ შურს არ იძიებდა, თუმცა, შესაძლოა, იმ კაცს აზრადაც არ მოსვლოდა მისი ძაგება. ხოლო თუ პირში ეტყოდნენ: — გაიძვერა საქმოსანი ხარ, სახელმწიფოს ჰპარავო, — აბუაძე ამას ყურადღებას არ მიაქცევდა. ასეთი ძალა ჰქონდა მასთან საიდუმლო ჩურჩულს.

— პატიოსნებას ვფიცავ, თვითონ დავინახე თინა იმ მაშინდელთან! — განუცხადა მირანდას მაღაზიის დირექტორმაც.

ერაძე გაშტერებული შესცქეროდა ვალერიანს:

— ტყუილს რატომ ამბობ, აკი ჩემმა გამყიდველმა დაინახაო!

— მეც ვნახე, ღმერთმანი!

— ეტყობა, რაც თავში ჩაარტყეს, ჩვენი აბუაძე მთლად გამოჩერჩეტებულა! — ჩაურთო მირანდამ.

— მაშ, მე ჩერჩეტი ვარ? — გაცეცხლდა მაღაზიის დირექტორი.



— აბა, ჭკვიანი კაცი ასეთ ტყუილს არ იტყვის! — შეტყუების
ანტონმა.

ვიდრე აბუაძე და ერაძე არკვევდნენ, ვინ უფრო იყო შათ
შორის ჭკვიანი და უჭკუო, მირანდამ ცეცხლზე ნავთი დაასხა:

— ორივენი ერთმანეთზე უკეთესები ხართ, ავიშენდათ
ოჯახი!

აბუაძემ ხელი იტაცა შეხვეულ თავზე:

— მე თქვენ გიჩვენებთ, ვინ არის ვალერიან აბუაძე!

ისე აწრიალდა, როგორც თევზი ბადეში და გასასვლელის-
კენ შურდულივით გაქანდა.

— ახლა ხომ ხედავთ, ბატონო ანტონ, რა ჭორებს აპყო-
ლიხართ! — შემრიგებლურად თქვა მირანდამ.

— რას ამბობთ, საკუთარი ყურით გავიგონე!.. თევზის მა-
ლაზიის გამყიდველმა მითხრა... კიდევ ერთმა!..

— თუნდაც ათასს ეთქვა!

— გამოდის, შენ არავისი არ გჯერა?!

— არა!

— ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, სულერთია, თი-
ნა არ იქნება სანდროს ცოლი!

აქვე უნდა ითქვას, რომ ანტონმა ეს სიტყვები დაუფიქ-
რებლად, სიფიცხით წამოროშა, მაგრამ უკვე გვიან იყო: მი-
რანდა აღგა, წელში გაიმართა და წყნარად, ისე, რომ არც კი
შეუხედავს გაფითრებულ ერაძისთვის, კბილებში გამოსცრა:

— ძალიან კარგი! მადლი უფალს, თინას უფრო ღირსეუ-
ლი საქმრო ეყოლება... თავადიშვილი!

— ალბათ, დაგესიზმრა ეს ამბავი, მირანდა! — უშნოდ გა-
ცინა ანტონმა.

— და მალე ჭორწილსაც გაყურებინებ შორიდან!

— იქნებ თინა იმ ტუსაღს მიჰყვება, აბუაძის მოკვლა რომ
უნდოდა დანით?! — ნიშნის მოგებით უთხრა ანტონმა.

— კარგი იყო, სულ მოეკლა ის მელაძეა! — თქვა მირან-
დამ და თავაწეულმა ამაყად გასწია შინისაკენ.

ერაძემ სცადა, გვერდით გაჰყოლოდა, მაგრამ მირანდამ ახლოს არ გაიკარა ის.

უცებ ქუჩაზე სირბილით მომავალი აბუაძე დაინახეს.

— აჰა, მოდით და ნახეთ! თქვენი, უკაცრავად პასუხია, პატროსანი სარძლო როგორ ყველას თვალწინ სეირნობს ვა-
ლაც მეზღვაურთან!..

— ისეირნოს, მეტი რა შერჩება! — გულგრილად თქვა მი-
რანდამ.

— როგორ, უცხო კაცთან ტანტალის ნებას აძლევთ?! —
ბრაზმორევით იკითხა ანტონმა.

— ხომ ხედავ, ანტონ, მე მართალი ვიყავი!.. — თქვა გა-
ხარებულმა აბუაძემ.

ვინ იცის, კიდევ რას არ იკადრებდა ორი სინდისგარე-
ცნილი მამაკაცი, მირანდას ბედზე ალექსანდრე რომ არ დაე-
ნახა:

— საშა!.. შენი ჭირიმე, მიხსენი ამ ხალხისგან! — გატე-
ხილი ხმით დაუძახა მირანდამ...

ალექსანდრე სწრაფი ნაბიჯით მოიქრა.

— რა აურზაურია, რა მოხდა, მეგობრებო?!

საშას გამოჩენამ ცილისმწამებლები შეაკრთო. აბუაძემ მრისხანე გამოხედვა გაუსწორა ალექსანდრეს და წასვლა არ-
ჩია. ანტონ ერაძემაც ბალისაკენ იბრუნა პირი... და იმავე დღეს-
ვე საჩქაროდ „მოცოცხა“ ქალაქიდან, რათა ნათესავებისათვის
ეს არასასიამოვნო ამბავი ეცნობებინა...

თინა აღრფთოვანებას ვერ მალავდა, შინ დაბრუნებულმა
საშას დაურეკა:

— რომ იცოდე, ის სულელი აბუაძე დიდად დაგვეხმარა.
რა მოხერხებულად წააჩხუბა მირანდა და ანტონი! ახლა შენ,
მგონი, სასურველი „სასიძო“ იქნები... ძალიან მაწუხებს, რო-
ვორ შეხვდება ამას შენი საცოლე ნინო.

— ვერც გაიგებს. იგი ახლა მოგზაურობს, ტურისტულ
გემ „როსიას“ ჩამოჰყვება ათი დღის შემდეგ, ჩამოვა და მე
თვითონ ყველაფერს აეუხსნი.

— შენი ნებაა ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება...

— ვთხოვ, აუცილებლად შემოიაროს ჩვენთან სტუმარი



* * *

სამი დღის შემდეგ სატვირთო გემ „აჭარიდან“ მირანდამ რადიოგრამა მიიღო: „თანახმა ვარ, თინასა და სანდროს ბედნიერებას ვულოცავ, ორ კვირაში დავბრუნდები. მაშინ დაქორწინდნენ. გეხვევით. თქვენი ილარიონი“.

მირანდა, რადიოგრამით ხელში, გიყვივით დაქროდა ოთახიდან ოთახში. მერე მოსამსახურე გაგზავნა ექთანის მოსაყვანად, წნევის გასაზომად.

იგი სულ ლაიბნა. გიორგი არწმუნებდა, რომ თინა ალექსანდრე ჩიქოვანს — მშვენივრად აღზრდილ ახალგაზრდას — უყვარსო. მისი თავადური წარმოშობაც სასახელო იყო... მაგრამ, რატომ დუმდა ალექსანდრე? სად დადიოდა ასე ხშირ-ხშირად თინა? იქნებ მართლა ავაზაშვილთან დადის!.. არა, ამის თქმა არ შეიძლება!..

წნევა მართლაც აწეული აღმოაჩნდა მირანდას. ექთანი დიდი ჭორიკანა გახლდათ, ერთი ოჯახიდან მეორეში დაჰქონდა ყურმოკრული ამბები.

სანამ მირანდასთან მოვიდოდა, მან აბუაძეს გაუარა კრეალობის შესახებ ვად. აქ დაწვრილებით გაიგო თინასა და სანდროს ამბავი!

— ეჰ, არ ღირს, ნუ ნანობ!.. თინასთანა გოგონა მუდამ გაჰყვება სანდროზე გაცილებით ღირსეულ კაცს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. — შორიდან შემოუარა ექთანმა.

— ეს არც მე მეგუვება. გაგიმხელთ, თინას მშვენიერი საქმრო უკვე ჰყავს — ალექსანდრე ჩიქოვანი. — გადაუშალა „კარტები“ მირანდამ.

— ო, ვიცნობ!.. შესანიშნავი ახალგაზრდაა, ინჟინერი, კარგი ოჯახიდან... ისე კი, ერთს გეტყვით, თუმცა დანამდევლებით არ ვიცი, მაგრამ ჩემმა კარგმა მეგობარმა მითხრა, ჩუ-

მი ნაცნობის დისშვილი, ნინო, ალექსანდრე ჩიქოვანის
 ლეო.

— ალბათ, სხვა ალექსანდრე ჩიქოვანი იქნება, — არ
 შეიძლება ალელვება მირანდამ.

— შეიძლება... — ორჭოფულად უპასუხა ექთანმა.

— ალექსანდრემ უკვე სთხოვა თინას ხელი, ქორწილი
 ორი კვირის შემდეგ გვაქვს დანიშნული. ილარიონის ჩამოს-
 ვლასლა ველოდებით. — თქვა მირანდამ, რომ მოსაუბრისათ-
 ვის ჭორიკანობის საბაბი არ მიეცა.

ექთანმა, როგორც კი ბათიაშვილების სახლი დატოვა, იმ-
 წამსვე აბუაძეს მიაშურა, რომელთანაც ყოველთვის მეტ საერ-
 თოს პოულობდა.

— მაშ, შენ ამბობ, იმ ალექსანდრე ჩიქოვანს საცოლე
 ჰყავს? შენი ნაცნობის დისშვილი, ხომ? — თვალები დააცეცა
 აბუაძემ.

— დიახ, ნამდვილად ვიცი. ნინოს დეიდამ ეს ჯერ კიდევ
 გაზაფხულზე მითხრა და მერე ნინოს და ალექსანდრეს ერ-
 თად გადაღებული სურათიც მიჩვენა.

— იმ დეიდას მისამართი თუ იცი?

— ტელეფონით შემიძლია დავურეკო, ისიც ექთანად მუ-
 შაობს საავადმყოფოში.

— აბა, შენ იცი, ჩემო კარგო, უთხარი, ალექსანდრე აფე-
 რისტია-თქო, შენი დისშვილი უნდა შეარცხვინოს-თქო! გეს-
 მის? შური უნდა ვიძიოთ! — აბუაძეს სახე გაებაღრა.

— ახლავე გაიქეცი, ძვირფასო, მალაზიაში და შენი წილი
 თევზი მიიღე, შემდეგ კი იმ ქალთან დარეკე, არ დაგავიწყდეს!
 ექთანი ოღლა პირიქით მოიქცა: ჯერ ნინო დეიდას დაუ-
 რეკა, მალაზიაში შემდეგ წავიდა.

თამარმა, ნინოს დეიდამ, როცა ყველაფერი გაიგო, შეი-
 ცხადა.

— რა მოხდა?! — ჰკითხა მთავარმა ექიმმა.

— დისშვილი მიკვდება. ღმერთო, რად გამაჩინე?



— რა უბედურებაა?.. მერე, წაბრძანდით? ახლავთ თქვენს
დით!

თამარს ბევრი აღარ უფიქრია, იმწამსვე შინისკენ გავარდა.
ვინ იცის, იქნებ ტელეფონში ცუდად მომესმაო.

* * *

ამ ვაი-ვაგლახმა მირანდა ლოგინად ჩააგდო:

— თინა, მითხარი... გადაწყვეტით გითხრა რამე ალექ-
სანდრემ თუ არა? — უკვე მერამდენედ ეკითხებოდა ძმის-
შვილს.

— კი, მამიდა, მითხრა. მალე კიდევ გავხვები. ნუ ღელავ,
ყველაფერს გაფიცებ!

— მაშინ მე კარგად გავხდები. აი, უკვე ვგრძნობ, წნევამ
დამიწია.

თინას მართლაც ჰქონდა საბაბი თავისი მამიდის დასაწყნა-
რებლად, ესეც ინოცენტი ასანიდის წყალობით. ეს კეთილი
ბრიგადირი ხომ ანდროს საქმეზე სასამართლოს თავმჯდო-
მარეს ეწვია?

— ამ კაბინეტში ისე შემოვედი, ლოდი მაწევს გულზე.
ვიცი, აქედან რომ გავალ, იმ ლოდს მოვიშორებ! — ჩაუქარაგ-
მა ასანიდომ თავმჯდომარეს მისალმების შემდეგ.

— ადვილი შესაძლებელია, — უპასუხა თავმჯდომარემ, —
მეც მინდა, რომ ეს ასე იყოს, პატივცემულო ინოცენტი!

— თუ შენი იარაღით შემთხვევით გასროლილი ტყვია
კაცს არ მოჰხვედრია, მაინც დამნაშავედ და ძკვლელად ჩაით-
ვლები?

— ვიცი, რაზეც მელაპარაკები. — გაეღიმა თავმჯდომა-
რეს, — ავაზაშვილის საქმეზე, ხომ ასეა? ავაზაშვილს უნდა
დაეჭირა ექვმიტანილი და კი არ უნდა ეცემა! გასაგებია?
აბუაძე მძიმედ იყო დაშავებული. სასამართლო კი მხედველო-
ბაში მხოლოდ შედეგებს იღებს.



— კი, მაგრამ რა შედეგებია ასეთი? მერე და, ანდრე, ანდრე, ანდრე...
ზაშვილი კი არ არის დამნაშავე, არამედ ლურსმანი კედელში!

— ტყუილად ღელავ, სასამართლომ უკვე გააუქმა განა-
ჩენი. აბუაძემ გაასაჩივრა: სასამართლო არასწორად მოიქცაო
და ავაზაშვილის საქმე ხელმეორედ იქნას გარჩეულიო.

— მაშ, ავაზაშვილი ჯერ არ არის გასამართლებული?

— დიახ, რომ იცოდე, აბუაძე ამ პროტესტისთვის მადლო-
ბის ღირსია.

— ახლა კი ვატყობ, ავაზაშვილი მართლა სასტიკად იქნე-
ბა დასჯილი, პირობითი სასჯელი, შეიძლება, წამდვილად იქ-
ცეს...

ცეცხლწაკიდებული ასანიდი სასამართლოდან ქალაქის
პროკურორთან წავიდა, იქიდან — საქალაქო კომიტეტში, მე-
რე — გაზეთის რედაქციაში გაჩნდა.

მას ყველა იცნობდა, როგორც მოწინავე მუშას და ყურა-
დღეებითაც უსმენდნენ.

პარასკევ საღამოს ასანიდი კლუბის კარებში შეეფეთა
აბუაძეს. ბრიგადირმა გზა გადაუღობა და ყველას გასაგონად
გამოლანძღა. შაბათს თევზის მაღაზიის დირექტორმა სასამარ-
თლოში საჩივარი შეიტანა ასანიდიზე, სახალხოდ შეურაცხყოფა
მომაყენაო და მოწმეებიც დაასახელა: საბარგო მანქანის შო-
ფერი და მტვირთავი მუშა, რომლებსაც ბუფეტისთვის ლუდი
გადმოჰქონდათ.

მთავრობა და

დაგვავეიწუდა გვეთქვა, რომ საშა ჩიქოვანი დროებით ასა-
ნიდის სახლში ცხოვრობდა, ზღვის პირად...

შესანიშნავი, კობტა კოტეჯი და ხეხილის ბაღი ჰქონდა
ასანიდის. ოჯახს დიდებულად განაგებდა ინოკენტის მეუღლე



ფემიდა, ბერძნის ქალი, გულთბილი და თანაც გამბედეული უშიშარი დიასახლისი. ამაში თქვენც მალე დარწმუნდებით.

ალექსანდრეს დიდი და ნათელი ოთახი ეჭირა. აქედან ნავსადგურის ღირსშესანიშნაობანი კარგად ჩანდა.

შვენიერი დილა იყო. თუ გიყნოსიათ ოდესმე ვარდას სურნელება, ზღვის ჰაერით შეზავებული?

გამობრძანდით ასანიდის სახლის აივანზე და დარწმუნდებით, რომ სამოთხე, მართლაც, აქვეა, ამქვეყნად.

მართალია, იმ დღეს აივანზე სხვა სურნელებაც ტრიალებდა.

ქალბატონი ფემიდა საკვირაო საუზმის მზადებით იყო ვართული. ვარდას სურნელებას ხახვისა და შემწვარი ბატკნას სასიამოვნო სუნიც მიემატა.

შესანიშნავი დილა იყო. ალექსანდრე ჩიქოვანის სტუმარი, გიორგი, ის-ის იყო დილის გამამხნეველ ვარჯიშს ამთავრებდა, ხოლო საშა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო მორიგეობიდან.

შემოვიდა ასანიდი და გიორგის უსიტყვოდ გადასცა ერთი ბოთლი კონიაკი.

— ისე დამალე, „მთავარმა კონტროლიორმა“ არ დაგინახოს!

მაგრამ დიასახლისი იაქესავით იქ გაჩნდა. ასანიდიმ ეს გიორგის სახის გამომეტყველებით იგრძნო, ფემიდა მის ზურგს უკან იდგა და თვალით არ დაუნახავს.

— მაშ, ნუთუ სუვანა ფუმა... — უცებ სიტყვა ბანზე აავლო ბრიგადირმა, რომ მეუღლეს გუმანი არ აედო. მაგრამ, როგორ მოიქცეოდა სუვანა ფუმა, ღიად, გადაუწყვეტლად დარჩა: ფემიდა მიეჭრა გიორგის და ბოთლი ხელიდან გამოგლიჯა.

— ისევ ხუთვარსკვლავიანია, ხომ? ერთი ამათ დამიხედეთ! — ამის თქმა და ბოთლის გაჭრობა ერთი იყო.

— ეჰ, დავიწვით! — ჩაიქნია ხელი ინოკენტიმ, ჯიბიდან მეორე ბოთლი ამოაცოცა და ყვავილების ლარნაკში ჩადგა.

ისევ გამოჩნდა კარებში ფემიდა, თვალი თვალში გაუყარა მუღულესს, მერე სტუმარს გადახედა და მაგიდას მიუახლოვდა გიორგი და ინოკენტი ადგილზე გაქვევდნენ.

— ყვევილებს წყალი უნდა ჩაუსხა! — ჩაილაპარაკა და ხელი ლარნაკისკენ წაიღო.

ასანიდი კინალამ ჩაიკეცა.

— სწორედ ახლახან ჩაეუსხი წყალი. — ძლივს ამოიღულულა გიორგიმ.

ფემიდა შეჩერდა და ხელი აღარ უხვლია ლარნაკისათვის, მაგრამ მკაცრად კი იკითხა:

— საშა სად დაიკარგა ნეტა? უკვე დროა ვისაუზმოთ!

— ახლავე მოვა! — ერთად ეუპასუხეს „შეთქმულებმა“.

— ღმერთი მაინც არსებობს! — თქვა ინოკენტიმ ფემიდას წასვლის შემდეგ. — ის ზოგჯერ მოწყალეა, ზოგჯერ კი ორმაგად სჯის ადამიანს. საწყალი ავაზაშვილიც ხომ ორმაგად დაისაჯა. ორი წელი მისცეს და სასწავლებლიდანაც გარიცხეს. მოდი, მადის მოსაყვანი გადავკრათ, გიორგი, აჲ!

ასანიდიმ ლარნაკში ჩაყო ხელი, მაგრამ ამ დროს ვიღაც სწრაფად ამოვიდა კიბეზე და კარზე დააკაკუნა. ასანიდიმ კარი გააღო. ბოდინის მოხდით ქალი შემოვიდა, სულ მთლად შავებში ჩაცმული.

— გამარჯობათ... ისევ ბოდიში... ასე შემოვიჭერი, მე ნანოს დეიდა ვარ! — მკვახედ თქვა მან. თამარი მოელოდა, ამ სიტყვებზე სასიძო ფეხზე წამოუდგებოდა. ის კი ადგილიდან არ იძვროდა და სულელურად იღიმებოდა. ქალი გუმანათ მიხვდა, რომ ეს საშა არ იყო. ერთბაშად სამივე დაიბნა.

— მე გიორგი ვარ, ქალბატონო, აქ რაღაც გაუგებრობაა, საშას დეიდაშვილი...

— უი, ღმერთო, კი მომკალი! დედა, რავა ვერ გიცანი, ჩემო გიორგი! — სიტყვა შეაბრუნა თამარმა.

— სამახარობლო თქვენზეა, ქალბატონო თამარ! — გიორ-

გიმ ბოლოს იაზრა, რასაც უნდა მოეყვანა ასე უცნაურად უსიკვამლო მანდილოსანი აქ, — დღეს საღამოს ნინო ჩამოდის ოფისიდან.

— ჩემი ძვირფასი ნინოია, — აცრემლდა თამარი, — მე კი ისეთი რაღაცა მითხრეს, რომ...

გიორგი მიხედა, რაც უნდა ეთქვათ თამარისთვის. და ეს უსიამოვნო საუბარი კიდევ რომ არ გაეგრძელებინა, ერთი ახალი ამბავიც „გაუმხილა“ ახალმოსულს:

— საშამ რადიოგრაფია მიიღო ნინოსაგან და ისე გაუხარდა, არა მგონია, მასზე ბედნიერი ვინმე იყოს ამ ქვეყანაზე!

— ჩვენ ყველა ერთად დავხვდებით საშამს დანიშნულს. — დროზე ჩაურთო სიტყვა საზრიანმა ასანიდომ.

თამარი ახლა უკვე კმაყოფილად იღიმებოდა, თვალსა და ხელს შუა ენგრეოდა ჭორებისა და ტყუილების ხუხულა.

— ერთმა ქალმა კი მითხრა, თითქოსდა ალექსანდრე თონა ბათიაშვილს თხოულობსო...

— ძალიან საინტერესოა, ვინ არის ის ქალი? — ეშმაკურად იკითხა ინოკენტიმ.

— ექიმის თანაშემწე...

— აა, ვიცი, ვიცი, ცნობილი ჭორიყანა! — გააღვივა უნდობლობის ნაპერწკალი ბრიგადირმა.

თამარი ადგილიდან წამოიჭრა:

— იმ შეჩვენებულს თვალებს დაეთხრი! იმ უსინდისოს, იმას!

როგორც ყოველთვის, ახლაც დროზე გამოჩნდა ფემიდა.

— ჩემს ოჯახში სტუმარია და მე კი არაფერი ვიცი, ღმერთო მომკალი! — ბოდიში მოიხადა ფემიდამ.

— ქალბატონი თამარი, ნინოს მკვიდრი დეიდა, ჩვენი ალექსანდრეს საცოლოსა. — გააცნო გიორგიმ ფემიდას.

ქალები ერთმანეთს მიესალმნენ და გულთბილი საუბარი გააბეს, შემდეგ ფემიდამ მეორე ოთახში გაიყვანა სტუმარი.

ინოკენტიმ ბოთლი ამოაძვრინა, გიორგიმ კი სწრაფად ორი



ჭიქა გამოიტანა. სწორედ ამ დროს ოთახში ალექსანდრე ჩიქვანი შემოვიდა.

— რა ამბავია, რა ქეიფი გაგიმართავთ?!

— ნინოს დეიდა ჩამოვიდა... მის საღლეგრძელოს ვსვამო. ძალიან გულისხმიერი ქალია. — თქვა გიორგიმ და დამატებით გამოტანილი მესამე ჭიქაც აავსო.

— რისთვის ჩამოვიდა? სად არის?

— ვილაც ოხერსა და მუდრეგს უთქვამს, საშა თინა ბათიაშვილს თხოულობსო. იქ არის, ფემიდასთან.

— მერე ვინ მიჰქარა ეს?

— ვილაც ექთანმა ოლღა ხარზანიამ.

— კი, არის ასეთი ჭორიკანა ქალი, ყველგან რომ თავის ცხვირს ჰყოფს. სწორედ ამ ჭორებისათვის გააგდეს ნავსადგურის მედბუნქტიდან. თქვენ, რასაკვირველია, დაარწმუნეთ, რომ ეს ჭორია და სხვა არაფერი, ხომ? ნინოს დეიდა სასტიკად გალანძღავს იმ ენაჭარტალა ოლღას. ექთანი, ცხადია, მირანდასთან მიგვიყვანს, რომ დაგვარწმუნოს თავის სიმართლესში. მირანდაც, თავის მხრივ, იტყვის, რომ ალექსანდრე თინას ნამდვილი საქმროაო. ამასობაში კი ჩამოდის ნინო. რა მხიარული ლაპარაკი გვექნება? ასე, ნინოს ჩამოსვლამდე ერთი ნაბიჯითაც არ მოვიცილოთ დეიდამისი. ამაში ხელი უნდა შეგვიწყოს ფემიდამ. ინოკენტი, შენ იქით გასწიე, ფემიდა კი აქით გამოგზავნე. გიორგი, აბა, საჩქაროდ „გააქრე“ ჭიქებო. — მხიარულად თქვა ალექსანდრემ.

* * *

შაბათს, გვიან საღამოს, აი, რა მოხდა სამსართულიანი სახლის ბნელ შესასვლელში: ორი ტიპი დაბლა ელოდებოდა აბუაძეს. გამოჩნდა თუ არა, თავაზიანად, უხმაუროდ მიაყუდეს კედელზე... ოღონდ იმ კედელზე კი არა, ლურსმანი რომ



იყო მიჰედლილი — ეს აღრევე გაითვალისწინეს, — მიაყურა მოპირდაპირე მხარეს და კარგა ლაზათიანად დაქექეს... სან-სოვრად დაგლეჯილი ჰალსტუხის ნახევარი თან წაიღეს.

სუნთქვაშემკრული აბუაძე მილიციაში შეიჭრა, მას ხელში ჰალსტუხის მეორე ნახევარი ეჭირა.

— ვისზე გაქვთ ეჭვი? — ჰკითხა მორიგემ.

— მტვირთავთა ბრიგადირ ასანიდიზე.

— კიდევ?

— ანდრო ავაზაშვილზე. სიმაღლით ჰგავდა, თანაც გუშინ დამემუჭრა. — ამის მოწმეებიც მყავს!

მეორე დილით მილიციამ გამოარკვია: ასანიდი, თავის ბრიგადით, გუშინ გათენებამდე უცხოეთის თბომავალს ტვირთავდა და ერთი წუთითაც არ მოსცილებია სამუშაოს. ანდრო ავაზაშვილი კი წინა დღით თევზსაჭერ სეინერს გაჰყოლოდა — ავადმყოფი მეზღვაურის შემცვლელად.

თვალის უპეებჩაღურჯებულმა თევზის მაღაზიის დირექტორმა დილით ქალაქის მილიციაში თავისი ნათესავი, პოლკოვნიკი გურგიაშვილი მოძებნა და დახმარება თხოვა.

— მისმინე, ვალერიან! — უთხრა პოლკოვნიკმა. — რატომ სხვა მაღაზიის დირექტორებს ხელს არ ახლებენ? პირდაპირ თავი მომაბეზრე!.. მერე და, რას აკეთებდი იმ სახლში ასე გვიან? მითხრეს, იქ შენი მოლარე, ნატო, ცხოვრობს და მასთან დადიხარ, ასეა?

— როგორ გეკადრებათ! — შესძახა აბუაძემ.

— ნუ ყვირი! საქმე გაუჩინე მილიციას! ძალიან კარგად იცი, ვინ და რატომ გყეფა! შენი საქმის გამრჩევი აღარა ვარ, ჩემთვის ისედაც ყველაფერი ნათელია!

— მაშინ შენც გიჩივლებ თბილისში!

— ეს ხომ შენი ხელობაა. ილოცე, ცოლმა არ გაგიგოს, იმ სამსართულიან სახლში მოლარესთან ჩუმად რომ დაბრძანდები!

— ეს ჩემი საქმეა!

— მაშინ გული რატომ გწყდება? ჩაღურჯებული თვალი

ორ დღეში მოგირჩება და შეგეძლება ისევ მიაკიფო სახლს! მაგრამ უსიამოვნება რომ არ შეგემთხვეს, ყარაულს გამოგიყოფთ, თანახმა ხარ?

ტელეფონმა დარეკა. პოლკოვნიკმა ყურმილი აიღო.

— დიახ, აქაა! ვინ ლაპარაკობს? ამ წუთს გადავცემ. — თქვა და ყურმილი აბუაძეს გადასცა.

თევზის მაღაზიის დირექტორს ყურმილი ყურთან არც კი მიეტანა, რომ თვალები გადმოკარკლა, ვიღაც გარკვევით უმარცვლავდა: „აფსუს, ისე არ მოგვიხვედრებია, რისი ღირსიც იყავი... რატომაც დაგეყუეთ, ჩვენზე კარგად იცი... ტყუილად ჩივი ამხანაგ გურგიაშვილთან, — ახლავე წამოეთრეთ აქეთ“.

— აი, გესმის, მემუჭრებიან! — იყვირა აბუაძემ და ყურმილი პოლკოვნიკს გაუწოდა, მაგრამ მოლაპარაკე უკვე დუმდა.

— შეგიძლია, საჩივარი უკან წაიღო. — უთხრა პოლკოვნიკმა აბუაძეს.

— არავითარ შემთხვევაში!

— შენი საქმეა!

აბუაძე კარისკენ დაიძრა, ზღურბლთან მაინც შემობრუნდა:

— შენგან არ მოველოდი, ამხანაგო გურგიაშვილო!.. ბევრჯერ პური ერთად ვაგვიტეხია, ახლა კი ასე მექცევი?! კიდეც გამიხსენებ! — ესა თქვა და კარი გაიჭახუნა.

სალამოს შვიდ საათზე გემ „როსიათი“ ნინო უნდა ჩამოსულიყო. დამხვედურები ნავსადგურში დაგვიანებით მოვიდნენ.

— ნახე, ფემიდა, გემი უკვე მოსულა! რა სირცხვილი ვკამეთ! — ნინოს ვერ დავხვდით.

— ნუ სწუხხარ, ძვირფასო თამარ... ნინოს ალექსანდრე, გიორგი და ინოკენტი შეხვდებოდნენ. ვიჩქაროთ, თორემ სახლში წაიყვანენ.

— რას ამბობთ, ფემიდა! ქალიშვილს რა უნდა მათ სახლში?

— ალექსანდრე ხომ მისი ქმარია?

— ქმარი კი არა, საქმრო!

ის იყო, სანაპიროსკენ წავიდნენ, რომ ბრიგადირი ასანიდი გამოჩნდა ჩემოდნით ხელში. მალე მას ალექსანდრე, გიორგი და ნინო მოჰყვნენ.

... დადგა დრამატული მომენტი: ნინოსთვის უნდა აეხსნათ: რამ აიძულა ალექსანდრე, თავი თინას საქმროდ გამოეცხადებინა. ალექსანდრე განა მარტო ვერ შეძლებდა ახსნა-განმარტებას, მაგრამ ნინო შეიძლება სერიოზულად გაბრაზებულიყო და მართალიც იქნებოდა. მაგრამ თუკი ხუთი კაცი დაუწყებდა მტკიცებას? და მათ შორის თვითონ თინაც, საქმე ხომ უფრო იოლად წავიდოდა. და ახლა ჩვენთვის ცნობილი სკამისკენ მოიჩქაროდნენ ამ ჩახლაფორთებული საქმის მთავარი მონაწილეები: თინა და ანდრო. აი, აქ შექუჩდნენ ყველანი.

დაიწყო ასანიდიმ, განაგრძო გიორგიმ, ესტაფეტა მიიღო თინამ და დაასრულა ანდრომ. ალექსანდრე დამნაშავესავით იყურებოდა. დამწუხრებულ ნინოს თავი მალლა ერთხელაც არ აუწევია. იგი ღუმდა და საშინელებაც ეს იყო.

და უკვე მერამდენედ, ისევ დაიწყო ინოკენტიმ, ისევ ჩაერია გიორგი, თავდავიწყებით ევედრებოდა თინა, ხოლო ანდრომ დაასკვნა:

— ჩვენ მხოლოდ მირანდა გვეცოდებოდა. ავადმყოფი ქალია და შეიძლება ვერ გადაეტანა. აი, ამიტომ გავითამაშეთ ეს ყველაფერი!..

ნინო ერთ ხანს კიდევ ღუმდა, მერე წყნარად, ძალიან წყნარად თქვა:

— რა უსინდისოა ეს აბუაძე!

ყველამ ერთბაშად შვეებით ამოისუნთქა, ნინომ გაიმეორა:

— რა საზიზღარია!

წუთით აბუაძის მისამართით ლანძღვა-გინების ნიაღვარი გაუშვეს.

ასანიდის სახლისკენ ბედნიერი ადამიანების ჯგუფი დაიძრა.

„ახლა კი გასაგებია, — ფიქრობდა აბუაძე, — ეს ერთი ბანდაა. მათ მოისყიდეს ის გურგიაშვილი! საჭიროა თბილისში წასვლა. ჩემს თავს მაინც დავიცავ! ორჯერ მომაცენეს სასტიკი შეურაცხყოფა!“

და რადგან ზედმეტი ფული კვლავ აღმოაჩნდა სალაროში, აბუაძემ ნაწილი ჯიბეში ჩაიდო, იქნებ ვინმეს გასამაჰსინძლებლად დამჭირდესო და თბილისში გაფრინდა.

მირანდა?

მირანდა ლოგინად ჩავარდა. თავისთვის ხმამაღლა ლაპარაკი დასჩემდა...

— ღმერთო! მერე და სად იყო ჩემი სიფხიზლე? რატომ გავავადე ანტონი?.. როგორ გავიმართლო თავი ილარიონის წინაშე?

ეს იყო მხოლოდ ბუნდოვანი ექვები. შორს, მათ მიღმა კი იმედის ნაპერწკალი კიდევ კიაფობდა, მაგრამ გამოეცხადა ექთანი ოღლა და უკანასკნელი იმედიც კი მოუსპო...

— ისევ ვნახე... — ჩაუკაკლა ოღლამ, — ნინოს შეხვდნენ, ალექსანდრეს საცოლეს.. ასანიდომ თავის სახლში მიიწვია. თინას ის კაცისმკვლეელი ავაზაშვილი ახლდა... მას ის უყვარს.

სისხლის წნევის გასინჯვა მირანდასათვის ახლა აუცილებელი იყო, თითქმის უგრძობლად იწვა. მერე გულისწუხილის წამლები მიაღებინეს. ცოტა რომ მოსულიერდა, თქვა:

— საჭიროა ანტონთან წასვლა და სანდროს დაუყოვნებლივ ჩამოყვანა. ილარიონის მოსვლამდე ისინი აქ, ჩემს სახლში, უნდა მყავდეს. ამას გავაკეთებ, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს...

შეენიშნოთ, რომ მირანდა სიტყვის ქალი იყო. თვითონვე შეეძლო სანდროს ჩამოსაყვანად სოფელში წასვლა, მაგრამ თინას მიერ სასტიკად გაფრთხილებულმა ექიმმა მას გადაჭრიო წოლა უბრძანა.

ამასობაში კი გემი „აქარა“ მოადგა ნავსადგურს, უცხოური ტვირთით. კაპიტანმა ბათიაშვილმა გადმოსვლისთანავე თვალი მოჰკრა თავის ქალიშვილს. მირანდა სადაა? ალბათ,



წევს. სანდროც არ ჩანს! შესაძლოა, ჯერ არც ჩამოსულა...
 ვინაა, თინას გვერდით რომ დგას? ჰო, რასაკვირველია, ინო-
 კენტი! ცხადია, შესახვედრად მოვიდა! მერე და როგორ სა-
 ზეიმოდ გამოიწყობილა, პალატუხიცი კი გაუქეთებია!

კაპიტანთან პირველად თინა მიიჭრა, მას ასანიდი მიჰყვია.

— სანდრო ჯერ არ ჩამოსულა? — ჰკითხა თინას მამამის-
 მა, — მირანდა ძალიან ავადაა?

— არა, ისე, მხოლოდ ექიმმა წოლა ურჩია.

— შენ როგორ ცხოვრობ? — მიუბრუნდა კაპიტანი ბრი-
 გაღირს.

— ვართ, ვშრომობთ.

— თინა რაღაც მოწყენილი მეჩვენება. შენ რას იტყვი,
 ინოკენტი?

— რას ბრძანებთ, თინა ბედნიერია! კარგად ვიცი, ძალაან
 უყვარს თავისი საქმრო.

— მონარული ვარ, რაა ახალი ჩვენს მშვენიერ ქალაქში?
 გამოცდილმა ასანიდომ დრო იხელთა და სიტყვა შეაბრუნა:

— ერთ მხიარულ ამბავს მოგიყვებით, ილარიონ! ხომ
 იცით, აქ რომ თევზის მალაზიაა, აი მისი დირექტორია ვალე-
 რიან აბუაძე... ახალი ამბავიც ეგაა...

და ინოკენტი მოკლედ მოუყვა ანდრო ავაზაშვილის ისტო-
 რიას. კაპიტანი კმაყოფილებით იღიმებოდა. მერე კი თქვა:

— მე მგონი, მომავალი მეზღვაური ძალიან დაგისჯიან!
 მერედა რატომ? იგი ხომ ქალიშვილის ღირსებას იცავდა!

— საიდან გაჩნდა იქ აბუაძე, სასამართლოს მხედველო-
 ბაში არ მიუღია. მერე გამოარკვეა, რომ თევზის მალაზიის დი-
 რექტორი, თურმე ზშირად დადის ღამ-ღამობით თავის ქვრივ
 მოლარესთან, იმ შენობაში რომ ცხოვრობს...

— მაშინ მას ავაზაშვილისაგან ცოტა უგემია, — გაიღიმა
 კაპიტანმა. ეს იმ მეზღვაურ ავაზაშვილის შვილი ხომ არაა,
 ქერჩიდან დაჭრილები რომ გადმოჰყავდა?

— დიახ, ამის შესახებ ახლახან გავიგეთ პარტიის საქალა-
 ქო კომიტეტში. — უთხრა ინოკენტიმ.

— მე პირადად ვიცნობდი მამამისს, — თქვა ილარიონ-

მა, — მამაცი მეზღვაური იყო. როგორც დეპუტატი, ლურად ჩავერევი ამ საქმეში. სასჯელს ნუ ავარიდებთ, მაგრამ სასწავლებლიდან გარიცხვა რაღაა?

— კარგს იზამთ თუ დაეხმარებით. თინაც ძალიან განიცდიდა.

— თინა?!

— დიახ, ჯერ არც მითქვამს... — ენის ბორძიკით განაგრძობს ინოკენტიმ. — თინამ უარი უთხრა სანდროს და ამ ანდრო ავაზაშვილს მიჰყვება ცოლად!..

მირანდა მოუთმენლად ელოდებოდა თინას და ილარიონას გამოჩენას.

ილარიონი მირანდას ოთახში საოცრად მხიარული სახათ შევიდა. „უბედურმა, ალბათ, ჯერ კიდევ არაფერი იცის“. — გაიფიქრა მირანდამ.

— გამარჯობა, მირანდა!.. ყოჩაღ, კარგად მოქცეულხართ! ძალიან გამეხარდა თინას არჩევანი! მომწონს სასიძოდ ანდრო ავაზაშვილი, მამამისს პირადად ვიცნობდი.

მირანდა დაიკრუნჩხა და ატირდა.

— რადგან ტირი, მაშ, კმაყოფილი ხარ! ხომ ასეა?

— ჰო, არა! ჰო, ასეა!.. — ხმა აუქანკალდა მირანდას.

ის იყო კაპიტანმა ტანსაცმელი გადაიცვა და ცოტა დასვენება უნდოდა, რომ კართან ზარის ხმა გაისმა.

აბუაძე იყო.

ილარიონმა ზრდილობიანად მიიღო დაუპატიყებელი სტუმარი და მოთმინებითაც მოუსმინა:

— ერთი მითხარით, რას აკეთებდით ისე გვიან ღამით. იმ სახლის სადარბაზოში?

— სტუმრად ვიყავი.

— საყვარელთან? რომელიც ამავე დროს თქვენი ხელქვეითიცაა?

— ეს თქვენ არ გეხებათ!

— არც თქვენ გეხებათ, ვის მიჰყვება ცოლად ჩემი ქალაშვილი.



კაპიტანი წამოდგა, რაც იმის ნიშანი გახლდათ, რომ
ბარი გათავებული იყო.

გულგასიებული აბუაძე ბუზღუნით გამოვიდა სახლიდან.

სწორედ ამ დროს აგნია შავაძე თავის ჩვეულებრივ მოვალეობას ასრულებდა: დიდი ჩანთით დანიშნულებისამებრ მიჰქონდა შავი ხიზილალა, ორაგული და სხვა თევზეული. ქუჩის კუთხეში, ცენტრალურ უნივერსიტეტთან, აგნია უცხო პირებმა შეაჩერეს და თავაზიანად თხოვეს, მათ გაჰყოლოდა.

და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...

თევზის მალაზიის კარებზე გაჩნდა წარწერა: „აღწერა!“

ძალიან გაუკვირდა აბუაძეს, როცა ეს წარწერა დაინახა.

კიდევ უფრო გაუკვირდა, ტელეფონით დარეკის უფლება რომ არ მისცეს. დიდად აინტერესებდა: შესარულა თუ არა დავალება აგნიამ. ვისთვისაც ძღვენი იყო განკუთვნილი, სტუმრებს ელოდებოდა და მოტყუება არ შეიძლებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აგნიამ მისდა უნებურად დააღალატინა გულუხვი დირექტორი.

რაც შეეხება ავაზაშვილის საქმეს, სასამართლოს აღარ განუხილავს მომჩივანის გამოუცხადებლობის გამო. აბუაძეს ახლა საამისოდ არ ეცალა:

— მაღლობა ღმერთს, გვეშველა! — კმაყოფილებით ამოიხუნთქეს თინამ და ანდრომ და ქორწილის თადარიგს შეუდგნენ.

მწყემსი

ბუჯა

ბუჯა კაცის სახელია. უფრო მწყემსებს არქმევენ ლაკარდაში. ეს ბუჯაც მწყემსი იყო, ძველი კაცი — მოხუცი, მაგრამ ჯანმავარი, მოუტეხელი, ახმაზი ვინმე. სამაც მწყემსი ჰყავდა და პაპაც. ჯვარსა და ლეხერაში, ხაიშამდე, საძოვრები უმეტესად მათი იყო და თმის სისქე ჯოგი ჰყავდათ. ეგ მთის სახელიც მათ შეარქვეს, უფრო პაპის ხათრით, რომელსაც ასევე ბუჯა ერქვა. კარგი მეჯოგე იყო ბუჯა-წინაპარი. თავისი საქმის უბადლო ოსტატი. შთამომავლობაც ჯოგივით ურიცხვი ჰყავდა. შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთა შვილიშვილებს პირუტყვის ყადრსა და ფასს კარგად რომ შეაგონებდა, შესაფერ ზედმეტ სახელსაც შეარქმევდა — ხასიათისა თუ შეხედულების კვალობაზე და მაშინ ახალშებუმბლული ბარტყი ბუდიდან თუ თვითონ არ აფრინდებოდა, ხიდან ძირს ჩამოაგდებდა და სეირს ზემოდან დაჰყურებდა. მაღალ ტოტზე უშიშრად მჯდარი შოლტს შესაშინებლად პაერში უტლამუნებდა, როგორც გასახედნავ მოზვრებს. სიტყვიერად კი დილიდან საღამომდე უცაცხანებდა, რომ წამოჩიტულ მართევებს ლეხერის უფსკრულებში ჩაკიდულ ბილიკებზე ნაბიჯი არ შეშლოდათ. ახალბედა მეჯოგე-ნაშიერი ფრთებს ლაღად რომ გაშლიდა, ენგურისა და მაგანას ღრანტებში ტაბიკის გაწევას შეეჩვეოდა, ბუჯა-პაპა შოლტს განზე გადააგდებდა, გაუთავებელ წყველა-კრულვას ახლა გულიდან



ამოსულ ლოცვა-კურთხევას მოაყოლებდა და კმაყოფილებით გადაისვამდა ხელს შაქარივით თეთრ წვერ-ულვაშზე.

სიტყვიერ კურთხევას საჩუქარსაც მოაყოლებდა და ნაშინებს თავის სამწყსოდან ლუკმა-პურს გაუჩენდა.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, რაც ბუჯგა-შვილიშვილი სქლად შეიბუმბლა, ფრთები გაშალა და ლეხერას კრიალა ცაზე ირაო შეჰკრა. ახლა სამოცდაათს გადაცილებული იყო, მაგრამ ეს თითქოს გუშინ ყოფილიყოს, ისე ნათლად ახსოვდა ის პირველი დღე, ათიოდე ფური და ასიოდე თხა, თავის ნამატით, სარჩო-საბადებლად რომ უბოძეს და ზედ ქუთის სწავლებაც დააყოლეს, თითო სიტყვა თითო ოქროდ ღირებული:

— ბუჯგა, ბაბუ, ყური მიგდე და, რასაც გეტყვი, უბრალოდ კი არ მომისმინო, გულის ფიცარზე დაიწერე... კარგად დაიწერე და მერე არასოდეს მოშალო და ყოველდღე იკითხე... როგორც ლოცვას კითხულობენ ნეტარნი მორწმუნენი. დღათაც გახსოვდეს და ღამითაც. შენ წიგნი და წერა-კითხვა არ იცი, ისე როგორც მე, მაგრამ, თუ სულითა და გულით ყურს დამიგდებ, იმ სიტყვების გულის ფიცარზე დაწერას მაინც შეძლებ და რაკი დაწერ, მერე არც ამოკითხვა გავიჭირდება.

ბუჯგა-პაპა „მენცარი“ იყო, ის დამარცვლით და ოდნავ წამღერებით ლაპარაკობდა, ხშირ-ხშირად ახედავდა თავის საოცრად ცოცხალი ჭროლა თვალებით ცაში მაღალ ღმერთს; თითქოს ყოველ სიტყვაზე დასტურს თხოულობდა, თან განუყრელ კვეს-აბედს აჩხაკუნებდა და ცარიელი ყალიონით ხარის ბუშტისაგან გამოქნილ თუთუნის ქისაში ფათურობდა.

— ბუჯგუნია, ბაბუ, ყველაზე წინ ერთი რამ დაიხსონე: ჩვენებურად პირუტყვს „ორინჯი“ ჰქვია. ეგ ღამაში სიტყვა წინაპრების გამოთქმულია და არა ჩემი. და მას უხსოვარ დროიდან დღემდე აზრი არ შეუცვლია. თუ ძირს გავუსინჯავთ, „ორე“ ნიშნავს „არის“, ახლა თუ სიტყვის ტოტებსაც გავხედავთ, მივიღებთ „საარსებოს“, „საცხოვრებელს“. მაშ, პა-

* გულთმისანი, ბრძენი.



რუტყვი ადამიანის სიცოცხლის წყარო ყოფილა! ხელდასმული
 დენი აზრია შიგ ჩაქსოვილი? ვინც ამას კარგად ვერ გავსა
 ის მეჯოგედ არც გამოდგება. ასეთ კაცს ჯოგი კი არა, ორი
 ბატი რომ ჩააბარო, შინ მიყვანამდე ერთი მაინც წაუვა ხე-
 ლიდან. პირუტყვი ყოველთვის შენი ცხოვრების თანაზიარად.
 განუყრელ ნაწილად მიიჩნიე და მაშინ გაგიმარჯვდება. გულ-
 ცივად ნუ მოხედავ, ჯოგის დაკარგვას მარჯვენა ხელის დაკარ-
 გვა გერჩიოს და მაშინ ჯოგიც გაგიმრავლდება და მარჯვენაც
 შეგერჩება. დაიმახსოვრე?

ბუჯგა-შვილიშვილი გაფაციცებით უგდებდა ყურს, ყო-
 ველ სიტყვას ისე ისრუტავდა, რომ შემდეგ გულიდან არასო-
 ლეს გამოჟონილიყო.

— მეორედ, ბაბუ, დაიმახსოვრე ის, რომ საქონელს პი-
 რუტყვს ვეძახით. მართლაც პირუტყვია, რადგანაც ადამიან-
 ვით ვერ დადგება და ვერ გეტყვის: მასვი-მაჭამეო, ჩხუბსაც
 ვერ აგიტეხს. მაგრამ ეგ სიტყვა მთლად მეჯოგის გამოგონი-
 ლი არაა! საქონელი უცხოთათვის არის პირუტყვი, ხოლო
 ჩვენთვის, მწყემსებებისათვის, იგი მეტყველია. თავისი ენა აქვს.
 ის ენა უნდა ისწავლო, თუ ვაჟკაცი ხარ, თორემ ერთმანეთს
 ვერაფერს გაუგებთ. პირუტყვი თავის ენაზე წყალსაც მოკ-
 თხოვს და ჩალა-ბალახსაც, მარილსაც და ცეცხლსა და სითბოს
 და, თუ ეს ენა არ გეცოდინება, თავ-თავის დროზე სარჩოს
 ვერ მისცემ, ხოლო სარჩოს გარეშე უსულო ხე ჰმება ტყეში.
 საქონელს კაცზე უფრო მეტად უყვარს და უნდა ჭამა. ამი-
 ტომაა გაჩენილი რძიანი ბალახით შემოსილი მთები — „შუმე-
 ლი.“ ღმერთმა მოგახმაროს! ჰა, ბურთი და მოედანი! აგერ შე-
 ნი მხარი და მუხლი, ცხენი და უნაგირი, ჯორი და საპალნე,
 ყურშა და ფილთა, ჩოხა და ახალუხი, პაჭიჭი და ქალამნები.
 მეზობლებმა ბალახი არ წაგართვან, არ დაგჩაგრონ! ნურც
 შენ აიკიდებ, იცოდე, სხვის ცოდვას! გახსოვდეს, ბალახი
 პირუტყვის სიცოცხლეა, რასაც საკუთარ სიცოცხლესავით
 უნდა უფრთხილდებოდე. ყოველ ახალმოგებულ ხბოს, უდ-

* შიშველი, ალპური ზონა.



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნების
მეცნიერებათა
აკადემია

ლურ ციკანსაც, გუნებაში თავისი წონა ოქროს ფასი
 დე, ხელს ნუ წაჰკრავ, დიდ რამედ ჩათვალე, ნუ გასწორავ!
 დიდ კასრში ღვინოს თითო წვეთი რომ დააკლო, ყოველდღე
 შესვა, ბოლოს და ბოლოს შიგ არათფერი ჩარჩება. სწორი უთ-
 ქვამთ, ზღვა კოვზით დაილევავო. ეკალზე ბალანიც არ უნდა
 დაგეკარგოს უმიზეზოდ, თორემ ყველაფერი ხელიდან გაგი-
 ფრინდება. რაც გითხარი, თუ ძილშიც გეხსომება, ოქრო და
 ვერცხლით ჯიბეებს კი არა, ქვევრებს ამოავსებ და გამოტე-
 ნი. ღმერთიც მაღლიერი გეყოლება და შენც ამქვეყნად კარ-
 გი ვაჟკაცის სახელით ივლი. გიყვარდეს ტყე, მინდორი და ვე-
 ლი. მდინარეში მოთამაშე თევზი, ქიუხებში გაღალღებული
 „ძიხვი“ და „ერცქემი“. გიყვარდეს ყვავილი, ფოთოლი და
 სურო, ახალი თოვლი და ყინვა, ახალი მთვარე, გაზაფხულის
 პირველი მზე, წაბლი და პანტა, მაქალო და ასკილი, ღვინო
 და მყავე წყალი, რძე და სულუგუნი — ყველაფერი, რაც
 შენთვის ღმერთს მოუცია. რა სჯობია, შეილო, ამას? ჭამე და
 მოიხმარე, დედის რძესავით შეგერგება!

— ჰო, მეჭოგეს კიდეც ერთი რამ სჭირდება, ხანჯალზე
 და თოფზე უფრო მეტად. ეგ არის კვესი და აბედი. ცეცხლს
 გარეშე კაცი ტყიურს დაემსგავსება და ფულუროში დაიწყებს
 ბინის ძებნას. ცეცხლი მშაკაცივითაა, ხოლო ტყეში ოჩოპან-
 ტრებთან ვალესილ ცულსაც გერჩიოს და შემართულ თოფ-
 საც. კარგი მეჭოგე კვეს-აბედით და ნაბადით გამოიცნობა.
 აბედი, ბაბუ, წიფლისა ჯობს, კარგა მომწიფებული შეარჩიე,
 გაახმე, ნაცარ-ტუტაში მოხარშე, ხის ჩაქუჩით დაბეგვე და
 ბამბასავით დაწეწე. წიფელას აბედს იისფერი კვამლი აქვს,
 ის საკმეველზე უფრო საამოა და, წესით, საკურთხეველზე
 უნდა იწოდეს. კვესი კი, ორმაგი გადაიხადე და კარგ ხელო-
 სანს გააჭედინე. კაეი ნაპერწკლიანი უნდა გქონდეს, რომ წვი-
 მასა და თოვლში არ გაგიცუდდეს. ახლა ნაბადი? ეგ მეჭოგის
 საბანიც არის და ლეიბიც, საბურავიც და ჭერი და სახურავიც.
 თბილ ბალიშსა და მუთაქას ნაბადი, სველიც რომ იყოს, გერ-
 ჩიოს. ბალიში რა ვაჟკაცის საქმეა? და ყველაზე მთავარი!
 ჯოგის პატრონს კიდეც ერთი უმაღლესი პატრონი უნდა ჰყავ-
 დეს, თვითონ მეჭოგისა და მისი ორინჯის მცველი. ეგაა ყურ-



შა. თუ ქოფაკი შესაფერი არ გყავს, იცოდე, განწირული
არცა კარგ მეჭოვედ ითქმები. გულადი ნაგაზი ორ ბუღას
გერჩიოს! იმდენ ოქროდ ღირს, რამდენი სულიც აბარია.
მკლე და უსუსური ძალი ქესატობის ნიშანია და უფრო ღ-
დი სირცხვილია, ვინემ ტიტლიყანა დადიოდე სოფელში. კარგ
მეჭოვეს კარგი ბედაური უნდა ჰყავდეს და, თუ გაჭირდა,
უფსკრულშიც ისკუპოს...

ენაწყლიან ბუჯგა-პაპას სათქმელი არასოდეს გამოელეო-
და. და მომაკდაესაც, ნაბადზე რომ იწვა, თავის კარავში, სუ-
ლი ჰკუთის სწავლებლაში აღმოხდა.

ბუჯგა-შვილიშვილს, შეძლებისდაგვარად, არასოდეს უღა-
ლატნია პაპის კიდევ სხვა მრავალი შეგონებისათვის. მართლაც,
როგორც პაპა იტყოდა ზოლქე, ხე ადამიანსა ჰგავდა. ზოგი
წელში გამართული, ალალ-მართალი და სწორი, ზოგიც დაჭ-
ღვარკნილი, კუზიანი, მიწაზე გართხმული, ფულურო და გულ-
ცარიელი. მდინარეც ბევრ რამეში ადამიანსა ჰგავდა, ზოგ-
ჯერ მშვიდი და წყნარი, ფეხთამტვერი, საამო. ზოგჯერ მშოთ-
ვარე, მღვრიე და დაუნდობელი. და ყველაფერი ეს იმიტომ
ხდებოდა, რომ კაცი, მცენარე, მდინარე თუ სხვა რამ და-ძმა-
ნი არიან, ერთი დიდი მშობლის ნაშიერნი. ცაში აფრენილი
ორბი და ძერა, გვრიტი და ქედანი, შაშვი და კაკაბი ერთი
მსაჯულის მეუფებაში არიან ისე, როგორც ამდენი ჯოვის
მფლობელი ბუჯგა-მწყემსი თავისი გაპრიალებული ხანჯლათ
და სამგლედ გატენილი თოფით.

„მენცარი“ პაპის დარიგება ზოგიერთივით მეორე ყურა-
დან არ გაუშვია ბუჯგა-უმცროსს და არც უკუღმა გაუგია.
კობტა მთაზე კარავი დადგა და განიერი ქართა შემოლობა.
აქედან ხელისგულივით ჩანდა უდაბური ტყის კიდი-კიდე-
დე გაშლილი საშეფო. ათასწლოვანი ტოტებგართხმული ჯან-
მაგარი მეფე-მუხა ყველაზე დიდი კლდის პლატოზე დაპრ-
ძანებულყო და მშით მოვარაყებული ტახტი ფოთლებით
დაებურა. გარშემო ტანაყრილი ნაზირ-ვეზირები ედგნენ, ხო-
ლო შუბშემართული, ამხედრებული ლევიონები ბნელ ხეო-
ბებს შეფარებოდნენ. იქით, ფერდობზე, წიწვიანი ტყეები და

ერთმანეთის გვერდით ჩაჯგიმული მწვერვალები ისე ჩაბნელებულნი, როგორც შორეული სოფლები, ქალაქები და ციხე-კოშკება, ღრუბლის ფთილებში გახვეულნი და მუდმივი თოვლ-ყინულით გათოშინნი. და ამ მთაგორიანი ქვეყნის მფლობელი მუხა-ხელმწიფე სამეუფო პლატოზე ყოველთვის თავის ტახტზე იჯდა მორკმით. ბუჯგა-მწყემსიც, როგორც ის მუხა, არასოდეს, ერთი დღითაც, არ შორდებოდა თავის კარავს და ქართას, თავის ჯოგსა და კერას და ამაშიც იყო რაღაც შორეული მსგავსება მათ შორის. ახალი ამბავი, რაც ბარში ხდებოდა, მხოლოდ ერთი წლის დაგვიანებით აღწევდა იმ ხეობას, სადაც მწყემსი გაშლილ ნაბაღზე იწვა და სალამურით ცას შეპლულუნებდა.

ამ მთას „ოირემე“ ერქვა, რაც საირმეს ნიშნავს. ოდესმე, მართლაც, უნდა ყოფილიყო აქ ირემი, თუნდაც მარტო ამ მყავე წყლის ხათრით, რომელიც პლატოზე ამოქუხდა. ჯოგი მოვიდა, პეტელით, ზმულით, ნაგაზების გნისათ ტყე შეაზანზარა, ირემი დაფრთხა, მყავე წყარო ბუჯგასა და მის ჯოგს დარჩა. სვამდნენ და სვამდნენ, მობუყბუყე ქვაბში თავჩაყოფილნი. ამიტომაც იყო დღეგრძელი ორივე. და ორმოცდაათი წელი გავიდა ასე, იმ მყავე წყაროსთან ბუჯგას მოცილუ არავინ უნახავს.

„ოირემე“ სამი მხრიდან მიუვალი იყო. პიტალო კლდე წყავსა და იელს შეემოსა. ქვებზე ამოსულ და ზედვე დაჯღვარკნილ წიფელასა და რცხილას ვაზის სიმსხო ზვია — „ჯაშკვიდუ“, — ხის მახრჩობელა მცენარე, შემოხვეოდა და ტოტები თითქოს ვეშაებრს დასაბმელი თოკებით შეებოქა. იელსა და ბარდში „ბარცხანა“ გაქოჩრილიყო და მარადმწვანე ეკლიანი ფოთლებისათვის წითელი კენკრის ცეცხლი შეენთო. ასკილი მოსდებოდა გაჯაგრულ ფერდობს და კბენარა ტოტებით სავალი ისე შეეკრა, შიგ ღობემძვრალაც ვერ გაიკვლევდა გზას. შავი თესლითა და წვრილი ფოთლებით ტოტებდაძიმებული დაფნა ბზასა და ასკილში არეულიყო. ფუღუროში სკა რაბუდებულებიყო და ბზულით ირეოდა.

ერთ მხარეზე მაკრატლისპირული, ფერდობზე მიკეცილი



ბილიკი იყო ჩაკლავნილი. აი, ამ გზით ამოდიოდა ბუჯგა. პეტრონიუსი ველ მოსახვევს რომ გაივლიდა, სოფელი თვალს ეფარებოდა, როგორც ნისლში ჩაძირული კლდის ნამსხვრევები. ზვავებით დახვევებულ ყორეზე დაჯდებოდა და სულს მოითქვამდა. აქედან ბზის ბუჩქნარი იწყებოდა, ბზას ურთხელა, ნეკერჩხალი და ცაცხვი მოჰყვებოდა. აქ იყო ის დალოცვილი „ორემე“, მერე პლატო იწყებოდა, ალაგ-ალაგ გარეული თხილას უხვად ამოყრილი ბუჩქებით დაფარული, ალაგ გვირილიაა და ღიღილოებით მოხატული, ალაგ წელამდე ბალახით გადაქოჩრილი. რა კარგად ჩანდა აქედან თეთრად მოციმციმე ზღვის სანაპირო და წყვარამებში აქაფებული ჩანჩქერები და ყირაზე შემდგარი უზარმაზარი შადრევნები.

იმ მდინარის გაღმა სხვა კლდეები ოთხმწკრივად იდგნენ. პირველ მწკრივში ქედები თითქოს მორთხმით ჩამომსხდარიყვნენ, მათ უკან სხეები ჩაჩოქილიყვნენ, კიდევ უკან მხოლოდ ოდნავ მოეხარათ მუხლი და სულ ბოლოს მთელი ტანით ზეზე წამოვარდნილი მყინვარები ბუმბერაზი მხარბეჭით ცას შებჯენოდნენ.

ყველაფერი ეს დიდმა პაპამ უანდერძა და ბუჯგასი იყო. საქონელს ამ პლატოზე მხოლოდ ზამთრობით აბინავებდნენ. ზღვის სანაპიროზე თოვლი და ყინვა იშვიათად შეაწუხებდა. თხა ეკლებში იოლად პოულობდა სარჩოს. მაყვლას ბარდი იანვარშიც მწვანე ფოთლით იყო შემოსილი. ბუჩქეაში ჩაწოლილი საფლობი ხმელი ბალახი? ხშირად ლორთქოც ამოხეთქავდა ხოლმე მზვარეზე. თხა მაძლარი იყო. მსხვილფეხა პირუტყვს ზამთარში უფრო უჭირდა, მაგრამ ბუჯგა მათ სუროიან ვერხვებს შეამველებდა და შავი ღლისთვის ცოტაოდენი ჩალაც ჰქონდა დაზვინული ხეებზე. პლატოზე სიმიინდი კარგად ხარობდა და საქონლისათვის ათვისებებდა ხოლმე.

თუ გზაფხულამდე მშვიდობით როგორმე გააღწევდა, თოვლი „შუშელზე“ ნელ-ნელა გალხვებოდა, ერთ ღამეში ბალახი ამოხეთქავდა, ბუჩქებზე დაბერილი კვირტები დასკდებოდა და მწვანე აბრეშუმს გამოაჩენდა. ჯოგი სულ მაღლა და მაღლა მიჰყვებოდა საძოვრებს და დაკარგულ სისხლხორკს



ივსებდა. „შუშელზე“ ბალახზე მეტი ყვავილი იყო. მხოლოდ...
 ბუჯგამ იცოდა უცნაური მათი სახელები: ბუსმისჭკა, ჩიტ-
 ვარდა, შაშვის ცრემლი, ტორია, თეთრგუდა, სამთვალა, მელი-
 ყური, მაცვია, დედოფლის ქოში, ოქრობეჭედი, ფერისულა...
 ათასჯერ ათასი სხვა. ნახევარზე მეტის ნათლია თვითონ ბუჯგა
 იყო... თითქოს გაზაფხულის პირველ ჭექა-ქუხილს აქ ყვავი-
 ლების თქეში მოყოლოდეს და ამდენი ია და ენძელა, ამდენი
 ღიღილო და ყაყაჩო ციდან ჩამოეთოვოს. ბუჯგა ფრთხილად
 შეკონავდა ნატიფ თაიგულებს, სახეზე მიიღებდა, ხარბად დაკ-
 ნოსავდა და ვითომ „ხერკეთი“* ტყეში მოკრეფილი ხარდანა-
 სა და ოჯალეშის ღვინო ესვას ბუჯგა-პაპის ქვევრიდან, სურ-
 ნელით თვრებოდა.

თუ კაცი კარგად დაუყვირდებოდა, ეს მათრობელა სურნე-
 ლი აქ მოკუნტრუმე ფურების რძესაც სდიოდა. ხოლო ღოკ-
 ში ჩახარშულ სულუგუნს, ამასთან ერთად, თაფლის გემოც
 გადაჰკრავდა ხოლმე. ჭყლინტი სულუგუნით გავსებულ „ნი-
 გებს“ „საყანთროზე“ რომ გამოიტანდა, მთელი ბაზარი მთის
 სურნელებით გაიფხებოდა და იქნებ ამიტომაც ეძახდნენ ბუჯ-
 გას „მენცარს“!

მართლაც ჰგავდა „მენცარს“. ჩიჩილაკივით მოყვითალო
 წვერ-ულვაში ქამრამდე ცემდა, ვერცხლის ბურბუშელის
 ხუჭუჭი თმები ნაბდის დიდ ქუდში ვერ ჩატეულიყო, მხრებ-
 ზე დაჰყროდა. თვალეები სქელ, გაფანჩულ წარბებს ქვეშ ღრმად
 ჩაბუდებულიყვნენ. ეს თვალეები ერთს გაჰკვესავდნენ, ერთს
 შემოგხედავდნენ და უმალ თავს შეგაყვარებდნენ. მათ გუ-
 ლისთქმის უშეცდომოდ გაგება-ამოკითხვაც შეეძლოთ. დიახ,
 „მენცარი“ იყო ბუჯგა! მისი ჭკუა-გონება ერთ სოფელს საგ-
 ზლად ეყოფოდა.

...და ასე, რამდენჯერ გაიმართა წელში თოვლში ჩაბეკნი-
 ლი მოცვი და მოცხარი, წყავი და იელი, რამდენჯერ აყვავდა
 ტყეში ნუში, რამდენ ფოთოლცვენას შეესწრო მუხნარი, რამ-
 დენმა ნამქერმა ჩაიგუგუნა ხეობაში, რამდენჯერ დაიჭექა
 და დაიქუხა კავკასიონის ცაზე!..

* ორშიშო.



...ერთხელ მოვიდნენ და ასე შემოსთავაზეს: კოლეგებო, ნეობის ათი მეწველი ფური და ოცი თხა, თავისი ნამატით, უნდა მოგაბაროთ, მოვლა-პატრონობას თუ შეძლებო.

— ჰმ! როცა გამოუცდელი ბავშვი ვიყავი, ახლად მოჩიტული, პაპაჩემმა მეტი მისაჩუქრა, მაშინ ვაბალახე, მგელსა და ტურას არ შევაჭამე, ახლა რა ღმერთი გამიწყრება, შვილებო!

...მაგრამ, როგორც ბუჯგა-პაპა იტყოდა ხოლმე, ადამის ძენი ფურცელსა ჰგვანან, ზაფხულში ხანმოკლედ ამწვანებულეbs. და, ჩანს, ბუჯგას მწყემსობასაც თანდათან ყავლი გაუვიდა. ძველებურად ძალ-ღონე აღარ მოსდევდა, თვალის ჩინი და ყურთასმენაც დაუძაბუნდა. მუხლებშიც ცივი ქარი ჩაუდგა და აწ შესვენებას თხოულობდნენ.

„ნუპრია“

რომელ წელს იყო, დიდი თოვლი რომ მოვიდა? ჯერ ერთი კვირა გადაუღებლად წვიმდა. ბუჯგამ სასილოსე ორმოს მოხადა თავი. ამინდი საეჭვოდ ეჩვენა, ყოველ საღამოს, მზას ჩასვლისას, ზღვას გაპყურებდა, იქნებ „ცის ფსკერი“ მოსარკულიყო და ყვითელ ანარეკლს გამოენათებია, რაც კარგი ამინდის ნიშანი იქნებოდა. არა და არა! სასიკეთო არაფერი ჩანდა. ზღვიდან რამდენიმე მწყრივად, ისე როგორც კაკასიონის ქედი, ზლაზვნით მოიწვედნენ ერთმანეთზე უფრო შავი, ავდრით დატენილი ღრუბლები. და ყველაზე საოცარი ის იყო, რომ იანვარში ქექა-ქუხილმა ცა ჩამოტეხა... ნამდვილად ჩამოტეხა და ერთი გავარვარებული ნაჭერი ბუჯგას პლატოზე ღვთის რისხვასავით დაეცა. ინათებდა, თვალს მოგპრიდა კაშკაშა ელვა; ცეცხლის მახვილი კუპრივით გაშავებულ ზღვას გაპყვეთდა, ზედიზედ დაეცემოდა მეხი ქარიშხლით აზავთებულ ქეჩოზე და უფსკერო ჯურღმულების ყრუ ზმუილი სანაპიროს მიეხლებოდა. ზღვა ისე ბორგავდა და ღმუი-



და, მისი გრგვინვა ბუჯგას პლატომდეც შორეული გმრეული ვით აღწევდა.

— დიდი ზამთარი იქნება! ეგ მეხთატეხვა ამასლა მოასწავებს. — ფიქრობდა ბუჯგა და რამდენადაც შეეძლო, ემზადებოდა. მას კარგად ახსოვდა „დიდი თირალა“* თავის სიკაბუკეში, როცა იმდენი ნამქერი ჩამოაზვავა, მერე ჩაბეკნა და ჩაყინა, თხები თამამად დაილოდნენ ზედ და სუროს ჩამოქრა კი აღარ იყო საჭირო, თოვლზე შემდგარი საქონელი ისედაც თამამად წვდებოდა მაღალ ტოტებს.

ისეთი ცოდვის კითხვა ღმერთმა დაგვიფაროს! ახლა განა ბუჯგას იმდენი ილაჯი აქვს? სამართალით ის შინ უნდა იჯდეს, კერიასთან და შვილიშვილებს ზღაპრებს უყვებოდეს. მხოლოდ ეგაა, მაშინ, შეიძლება, სწორედ ამ უსაქმურობამ მოუღოს ბოლო ბავშვობიდან ტყესთან და პირუტყვთან შეზრდილს.

ერთ საღამოს უცნაურად დატრიალდა ქარბორბალა, მბრუნავმა გრივალმა ზღვაზე სვეტები აღმართა და ცაში გაფანტული მლაშე შხეფები პლატოსაც გადმოაფრქვია. ერთი ცაცხვაც ძირიანად მოგლიჯა ფერდობზე. და მერე იმ შუალამით ზღვაური მოვარდა. დილით მიწაზე წელამდე თოვლი იდო და ზედ კიდევ ხოშკაკალს აყრიდა.

სამი დღე შემდეგ ნელ-ნელა უმატებდა. დღისით ხანდახან დააცხუნებდა, ახალ ფენას ააშვავებდა, ღამით კი ყინვა მოუქერდა, აწყალებულს გაყინავდა და თოვლი ისეთ სქელ ქერქში გაეხვეოდა, ნათელი იყო, აქედან მალე წასვლას არ აბირებდა. მორთხმით ჩამჯდარი, ჩაჩოქილი, მუხლმოდრეკილი და ცასმიბჯენილი, ტანაყრილი მწვერვალები ახლა თეთრად შეღესილიყვნენ. მზის სხივებზე თვალისმომკრელად ქათქათებდნენ, ვეება წამოსასხამებში გახვეულნი. ლილისფერი უადაპკრავდა მათ, ცისა თუ ზღვის ანარეკლი. ეს მთები ისე ახლოს მოქრილიყვნენ, თითქოს წარღვნით იმუქრებოდნენ.

მწყემსმა იცოდა, ახლა თოფისწამალი მშრალად უნდა

* დიდი თოვლიანობა.

ჰქონდა ფალიაზე, რადგან მთებიდან დამშეული ნადირი სოფლისკენ დაიძროდა.

ნამქერმა ბილიცი შეკრა, სავალი გზა ზვავებმა ჩახერგეს. მარილი და ნავთი დააკლდა ბუჯგას. სამგლედ გატენილი თოფი მხარზე მოიფდო. აგურისფერი სქელი შალის პაჭიჭები მუხლთან ლეკვერთხებით შეიკრა. ბალნიანი, გაუფხეკავი ქალამნები იფნის წკნელისაგან მოწნულ მრგვალ ჩელტში ჩადგა, რომ ღრმა თოვლში არ ჩაფლულიყო და მოზომილი, მსუბუქი ნაბიჯით სოფლისაკენ ვაჟწია. სოფელი დაბლა იყო, ტაფობზე. კლდეები, თითქოს განზრახ, გან-განზე გაწეულიყვნენ და სამას კომლისათვის სამოსახლო დაეთმოთ. ამოდენა ხალხი ერთ მთავარ შუკას და მასში შემავალ უამრავ ნაკადში ვეწროდ მოთავსებულიყო. ხელისდადება ვენახი და ხეხილის ბალი მაინც ყოველ ეზოში ჰქონდათ. ბაღში, ხეებს შორის, ჭრელ-ჭრულა ბუკები ჩაემწყრივებიათ. ზაფხულში სოფელი კარგი სანახავი იყო. ბზულით ირეოდა ფუტკარი. მოზრდილი უბანი, ასე ორმოცდაათი ჰექტარი, ჩაის ბუჩქით იყო გადაქოჩრილი. სიმინდისათვის ორჯერ მეტი ფართობი გამოეყოთ. იქით, ჰე, სამხრეთისაკენ დაქანებულ ფერდობზე, კოლმეურნეობის მშვენიერი ზვრები მოჩანდნენ. ბუჯგამ ჩაახველა და ხეობაში ჩაიხედა. ახლა ყველაფერი თოვლს დაეფარა და დაემარხა. მხოლოდ კვამლს უამრავი სვეტები სიმაღლით გარშემო მდგარ მთებს გატოლებოდნენ და იქ, ზევით, ჩაწნულ-ჩახლართული თაღები შეეკრათ.

გაუკვალავ თოვლზე დაღმართი ჭაპანწყვეტით ჩამოიარა. სოფლის პირველ შუკაზე რომ შედგა, ჩელტები მოიხსნა და პაჭიჭებიდან თოვლი ჩამოიფერთხა.

— სოფელი ფიქრობს, რომ მე ვერაფერი მომერევა, არც თოვლი, არც ფათერაკი, არცა ავადმყოფობა. ჩანს, ჩემიანე-შიც ამ აზრისა არიან, ამიტომაც არავენ მაკითხავს ამ ავდარ-ში... მე კი, ჰოი, როგორ ვგრძნობ მუხლებში სიქესატეს. წინათ დღეში ხუთჯერ ჩამერბინა-ამომერბინა კარავამდე, წვეთ ოფლსაც არ ჩამოვადგებდი... — ხვნეშით გასწორდა წელში ბუჯგა-მწყემსი და პირი შინისკენ იბრუნა.



სწორედ ამ დროს ჩაის პლანტაციიდან ძალღებულებმა გენიასი, სტვენა და ყვირილი მოისმა. ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, ორჯერ ზედიზედ დაიქუხა. ახლა ღრიანცელმა ახალი ძალით იფეთქა. ბუჯგა სირბილით გაექანა იქითკენ. და რას ხედავს? ჩაის დათოვლილ ბუჩქებში ყურაცქვეტილი „სკვერი“* მოხტის, ხან ჩაიჩოქებს, ხან წაიქცევა და თოვლში ჩაეფლობა, ხან ჩაბეკნილ ბუჩქებს, როგორც ქათქათა რბილ ბალიშებს, გადაეველება, შედგება და უკან მოიხედავს. ფეხდაფეხ ნუკრი მოსდევს, დაღლილ-დაქანცული, ენაგადმოგდებულ. სოფლის ბამბურა ქოფაკები უკვე ზედ არიან და პა, საცაა წკავწკავით ფეხებში ეცემიან. იმათი გავეშებული პატრონები კი ღრიალით და ყიყინით ნაკვალევზე მორბიან — ხელში ხანჯლით, ნაჯახით, ცულით, თოფებითა და ფიწლებით. კიდევ დაიქუხა... ბუჯგამ ნათლად დაინახა შავი ლულიდან გამოვარდნილი თითო მტკაველა ცეცხლის ენები. დედა შველი იმავე წუთს ისე მალლა შეხტა, თითქოს მთელს სოფელს ზედ უნდა გადაეველოს და თავის საბუღარს, მალალ მთას, უნდა უწიოსო; ზევით, ჰაერში, შემბრუნდა და თავკისრით ძირს დაეცა...

— მოგტყდა ხელი! — დაიგმინა ბუჯგამ და იმავე წუთს ახალმა საცოდაობამ შესძრა მოხუცი.

პატარა ნუკრი თოვლზე გაშხლართულ დედას ზედ შეახტა, თითქოს დასამალს აქ ეძებსო, სულ გარშემო უტრიალებდა და ჩანდა, არსად ნაბიჯის გადადგმას არ აპირებდა.

სანამ ბუჯგა ღრმა თოვლში გზას მოჭრიდა, ორი ვახელებული მონადირე ნადავლთან გაჩნდა, ერთმა მაშინვე ზეიმით რქაში სტაცა ხელი და მალლა ძლივს წამოიზიდა. მეორე კი დაფეთებულ ნუკრს ფეხდაფეხ გამოუდგა, რომ ხელში ცოკხლად ჩაეგდო. პატარა ტყიური გაუსხლტა, მდევარი უკანა ფეხებში წაეპოტინა. ნახტომით თავს უშველა პატარამ. მაშინ მონადირე ერთბაშად შედგა:

* შველი.



— ესროლე, რას უყურებ, ესროლე, გაგაქცევა! — ლეზინი
ლებდნენ ყოველი მხრიდან.

— იცოდე, არ ესროლო, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ ესროლო, გეუბნები, არ გაბედო! — მთელი ხმით ყვიროდა ბუჯა და გააფთრებით მიიწევდა წინ, მაგრამ მისი ხმა იმ ღრიან-ცელში არავის ესმოდა.

გაწბილებულმა და ხელმოცარულმა მონადირემ თოფი სწრაფად შეაყენა ფეხზე, წინ გამართა და კარგად დაუმინა. ერთხელ კიდევ გაისმა ქუხილი და ლულიდან გამოვარდნილი ცეცხლის ალი და კვამლი ნუკრს მიენარცხა. საცოდავი ტყუური მაშინვე თოვლში ჩაეფლო.

— შეგრჩენს მარჯვენა! ყოჩაღ, ყოჩაღ! — ულოცავდნენ მეზობლები. მონადირემ თავმომწონედ გადაუსვა თოფს ხელი, ვითომ მიუალერსა და მხარზე გადაიკიდა და ამდენი რბენით დაღლილ-დაქანცული ნადავლისკენ მშვიდად წავიდა.

— რა პქენი, შე უღმერთო? — ჰყვიროდა მთელი ხმით ბუჯა, — ფუი, შენს კაცობას, შე მგელო! მშვიერი ნადირი სოფელში მოსულა, გეუბნება მიშველეო, პატარა შვილიც მყავსო! გვედრება, გეხვეწება! შენ კიდევ თოფს ესერი? პა, შე უნამუსოვ! ერთი მეჩვენე, რომელი ხარ? იცოდე, ამ უღმერთობას არ შეგარჩენს! — და ბერიკაცი თოფს პაერში სამტროდ იქნევდა.

მონადირე ცოტათი შეცბა, როცა ბოლოს და ბოლოს ეგ სიტყვები გაიგონა და ბუჯაც ნახა. ახლა იკადრა და ფეხს მოუჩქარა, რომ ნანადირევი დროულად ხელთ ეგდო. შეფეთებულმა, დაჭრილმა ნუკრმა წელი ძლივს წამოათრია და ფორთხვით და კოჭლობით გაქცევა სცადა.

— იცოდე, ღმერთი არ გაგიწყრეს და არ ესროლო, თორემ არ დაგზოგავ! — შეჰყვირა ბუჯამ და ნუკრის შესახვედრად გამოექანა. მოსახვევამდე ძლივს მიიტანა სული და სისხლში ამოთხუპნული ტყიური მის ფეხებთან დავარდა.

ბუჯამ ხელში აიყვანა ნუკრია, მაშინვე კრილობა მოუ-



სინჯა. ერთი თავისთვის ამოიგმინა, — „ვაი-ახავაი“ აფორიაქებული ნადირი გულზე მიიკრა.

— მოიტა აქეთ, მოიტა! — აცქვეტილ ყურებში ხელი ღონივრად ჩაავლო მონადირემ და თავისკენ დაუზოგავად მოსწია. — მე მოვკალი, შენ რა ხელი გაქვს, რომ იქერ, რა გინდა? ვინა ხარ? ნუკრი ხომ ჩემია! — თოვლში ამოქეპარქვნილი ფერმის გამგე, თავისი უშუალო უფროსი, ახლალა იცნო ხმაზე და უცებ შედრკა ბერიკაცი.

— მერედა, შვილო, ხორცი და ყველი ღვთით არ გვაკლია, ყელამდე გვაქვს და ამ საწყლის ცოდვას კიდევ რაღად იღებ კისერზე? შენი შეილების სახელზე სამადლოდ გაგეშვა, ხომ ხედავ, მარტო ძვალი და ტყავიღაა დარჩენილი. შე კაი კაცო, აქ რა უნდა შექამო?

— თუ ღმერთი გწამს, არ დამიწყო შენებურად იწილობიწილო. მოიტა აქეთ! — უფრო ღონივრად მოსწია ნადირი თავისკენ. ბუჯგა ადგილზე შექანდა, მაგრამ ნუკრი ისე ეჭირა ხელში, ამ გაწამაწიაში მოტეხილი ფეხი არ ტყენოდა.

— მე კი არა, შენ გეყოფა, რაც გააკეთე! კაცო, არა გრცხვენია, რომელი ოცი წლის ყმაწვილი შენა ხარ, რომ ასე ცმუტავ? დადექ, გონს მოდი! ნადირი არ გინახავს, ბაბა? ბიჭო, ხომ გეუბნები, რა დიდი დოვლათი ეგაა? ძალლი გასწიე იქით, ჩახმახი დაუშვი, თოფი არ გაგივარდეს!..

— ეე, ერთი შენ! — შესძახა ფერმის გამგემ და ახლა მოტეხილ ფეხში სწვდა ნადირს.

— ხელი უშვი, გეუბნები, სი ბორო,* იქით გამეცალე! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიბრძოლა და პატარა ტყეური მარწუხებს გამოგლიჯა, უმაღლესე გულზე მიიხუტა და ნაბიჯი უკუდგა.

— ბორო შენა ხარ, მოიტა, რომ გეუბნები! სად მიგყავს ჩემი ნუკრი?

* უგნური, ბრიყვი.

— გამეცალე, თორემ იმას არ შეეხედავ, რომ ჩემი გამეცალე გე ხარ, ეგრე ძალიან თავი ნუ მოგაქვს! შენ ხომ ეფელაძის პასუხს აგებ! ერთი ისიც გავიგო, დედა შველი ვინ მოკლა?

— უყურე ამას? კიდეც იმუქრება! მოიტა, გეუბნები! — სულ გაცოფდა გამგე და მოხუცს მკერდზე უბიძგა. ბუჯგა შებანცალდა და ჩაის დათოვლილ ბუჩქზე ჩაიკეცა, მაგრამ უმალ გასწორდა წელში და ერთხანს, თავისი ქალარის ასეთი უპატივცემლობით გახევებული, უძრავად იდგა. მალე მოეგო გონს და თითქოს ყველაფერი ერთბაშად გადაეფიქროს, ისე დაფაცურდა.

— ახლავე, ახლავე მოგართმევთ, ახლავე მიიღებ! — ბუჯგამ სწრაფად მოიხადა განუყრელი ნაბადი, დაჭრილი ნუკრი შიგ გაახვია, თითქოს გამგეს ნადავლი ასე პატივით უნდა მიართვასო. დროებით ჩაის ბუჩქზე დასვა, თოფი ზედ მიაყუდა. უცებ შემობრუნდა და ცერზე შემდგარმა უფროსს ისეთი სილა გააწნა, ტკაცანს სოფელშიც გაიგონებდნენ. თვითონაც წაბარბაცდა და თოვლში ჩაიკეცა. ახლა ფერმის გამგე ცხვირპირიდან წამოსულ სისხლში ითხუბნებოდა და უცებ მოხუცისაკენ ისე გამოქანდა, თითქოს კლდე უნდა გაანგრიოსო.

მოცივდნენ, მოჩხუბრები ძლივს გააზავეს. ნაწილი ბერკაცს გამოესარჩლა, ბევრი ფერმის გამგეს მიემხრო. განაწყენებულმა გამგემ სისხლი თოვლით ჩამოიწმინდა და ხელცარიელი მუქარა-გინებით შინისკენ გაემართა.

ფრთხილად აიღო ბუჯგამ თავისი ნაბადი, ფრთხილად გამოიყვანა იქიდან დაჭრილი ნუკრი. ისევე მოუსინჯა მოტეხილი ფეხი, ისევე ამოიოხრა ჩუმად, „ვაი-ახავაიო“, და მოზომილი ნაბიჯით გზას გაუდგა.

კარავი ფრთხილად შეაღო. კერია ჩაფერფლილიყო, კვამლი სახურავში გაწურულიყო. ციოდა.

— შენ, ჩემო კოხტავ, აქ ერთ წუთს დამიცადე, მე ახლავე ცეცხლს დაგინთებ, რომ ავადმყოფს არ შეგცივდეს... ჰი, შე ეშმაკო, გაები მახეში, დაბლა, იმ უღმერთოებთან, რა გინდოდა? აბა, ახლა ფეხი მიჩვენე? უჰ, უჰ, საცოდავო! გაუ-



ხმეს ხელი იმ ბრიყვს, არ გაახაროს შენმა ცოდვამ! კარგად
 კარგი! ნუ ფართხალობ, თორემ, შე ბედშავო, ძვალი სულ
 გადატყდება. ნუ გეშინია, ჩვენ ამას მოვუვლით. ისეთ მალა-
 მის დავადებ, ისე შეგიხვევ, ერთ თვეში იხტუნებ კიდევ.

მალე გარეთ ნაჯახის ჩახაჩუხი გაისმა. ხმელი ფიჩხი მიმ-
 ქრალ ნაღვერდალზე დააყარა. მხიარულად აბრიალდა კერია.
 ახლა გამქვარტლული კედლებიდან აბლაბუდა ჯოხით ჩამოწ-
 მინდა. ერთ მუქამდე შეაგროვა. სუფთა საინზე დადო. სხვე-
 ნიდან ჩვარში გახვეული კურდღლის ქონი ჩამოხსნა. ახლა
 კრილობას ყურადღებით გახედა, ფინთიხით კანში შეტანილი
 ბალანი გამოწმინდა, შედედებული სისხლი არყით ჩამობანა.

— აჰა, შენს ბედზე, ყველაფერი ხელთა მქონია! მოიცა,
 ჯობს, ახლავე ხარკალი დავადოთ, რომ ძვალი სწორად შეე-
 ზარდოს. აი, გაუხმეს ხელი შენს დამტანჯველს. იმას სამა-
 გიეროს ღმერთი მიუზღავს, არხეინად იყავი! ამ ყაჩაღობას
 არ აპატიებს. — აკაციის მორისაგან სახელდახელოდ ტყეჩი
 ჩამოაბო. მეჯოგის დიდი დანით ნატყვიარი ძვლის ზომა ხარ-
 კალი გამოსჭრა. აბლაბუდა კრილობაზე დაადო, ზემოდან
 კურდღლის ქონი უხვად წაუცხო, ქონით გაპოხილი ჩვარი თა-
 ნაბრად შემოახვია, მერე ზედ ხარკალი მოარგო და წვრილი
 კანათით შეჭკრა:

— ჯერ ასე გქონდეს, მერე სუროს ფოთლითაც დავაამოთ.
 იცოდე, წყლულს ისე არაფერი დაწრიტავს, როგორც სუროს
 ყინულდაკრული ფოთოლი. კბილებს ეგრე რად მიკრაქუნებ?
 ხომ არ გშია? შენ, მართლა, გეშინება! იმიტომაც ჩამო-
 ხვედი ბარად? — სიტყვა შეაბრუნა ბუჯგამ და თითქოს უცებ
 რაღაც მოაგონდაო, თითი მალა აისროლა და ხმამალა შეს-
 ძახა: — შენ, მართლა, ჩემს ბოჩოლას, გვარდლას, არ იცნობ?
 ეგ რა მოგვლია? აი, სეირი, გვარდლას ვინ არ იცნობს? მი-
 კვირს, განზე როგორ დარჩი? ახლავე გაჩვენებ. მხოლოდ
 ჯერ უნდა მაკოცო, ისე ვერ გაგიშვებ! — სახეგაბრწყინე-
 ბულმა მოხუცმა ნუკრი ფრთხილად ჩაიკრა გულში, ზედი-
 ზედ აკოცა პატარა შავ ღრუნჩხზე, მოყვითალო თვალზე და
 ორ პაწია დახორკლილ რქებ შუა ჩახუტუტებულ ქოჩორზე.



— ჰო, შენც ჩემ ბოჩოლასავით ბიჭი ყოფილხარ. აქამდე გეთქვა, უფრო კარგად მოგივლიდი. რაკი ბიჭი ყოფილხარ, სახელად „ნუკრია“ გერქვას, ასე მოგიხდება. ჰო, მოიცა, ჯერ ცოტა წავიხემსოთ მე და შენ რამე. ასე აჯობებს, გვარდლასთან მერე წავიყვან, რაკი შეგპირდი. ეგრე აბურძგნილა, შეციებულ-მეწუხებელი და მშვიერ-მწყურვალი ძმობილს როგორ უნდა ეჩვენო? არა, ასე არ ივარგებს! ჰეჰე, შენ გვარდლა ვინა გვონია, მასთან მიდიხარ, ხუმრობა ხომ არ არის? მოიცა, ძუძუმტესა და მორდუს ჯერ ცოტაოდენი თბილი რძე ვთხოვთ, დაგვითმოს! წავსაყრდეთ! — ისევ ნაბადში შეახვია ნუკრი და მუხის მორისაგან გამოკვეთილ ძველ ტახტზე დააწვინა. თვითონ „ნიგას“ დაავლო ხელი და ბოსლის ტიხრში პრიალით შეაღო კარი. იქიდან ძროხების ზმუილი და ხბოს პეტელი ერთდროულად მოისმა. ბუჯგამ ცოტა ხანში საფე „ნიგა“ ნუკრიასთან მოარბენინა. თეთრი ქაფი ჯერ კიდევ შიშინებდა, რძეს მსუბუქი ორთქლი ასდიოდა:

— ეგეც შენ, აბა, მიირთვი! — „ნიგა“ ზედ დრუნჩთახ მიუტანა ნადირს, მაგრამ ნუკრმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა და თავი განზე გასწია. — მოიცა, იქნებ შენ ასე არ გიყვარდეს. ახლავე! — გაიქცა, პირგანიერი ბოთლი მოიტანა, რძე იმაში ჩაასხა და ზედ რეზინის საწუწნავი წამოაცო. — აბა, ასე მოსინჯე, იქნებ უფრო გაამოს! — პირი გაუღო და საწუწნავი შიგ ჩაუღო. — უჰ, ჩემო კარგო, შენ შალაშინივით კბილები გქონია, თითი არ მომკვნიტო. რძე კი არა, იქნებ ვერხვის სქელქერქიანი ტოტები უფრო გაგეხარდეს, ან სურო და კაკილარი, თივა ან სილოსი. იმათაც მოგართმევ, მაგრამ ჯერ რძე უსათუოდ უნდა დალიო, არ შეიძლება, ავად ხარ. აა! მთლად ასე შენს ჰკუაზე ხომ არ გაგიშვებ, ჯერ გემო მოსინჯე, უარი მერე თქვი! — ფრთხილად წაავლო ხელი ხორცილან რქაზე და დრუნჩი „ნიგაში“ ჩაუკრა. ნესტოები კვაყოფილებით მოილოკა ნუკრიამ. — ხომ კარგია? კიდევ მოსინჯე! — ისევ ჩაუკრა „ნიგაში“ დრუნჩი.

დამშეულ ნადირს, როგორც ჩანს, თბილი რძე ეამა. ახლი თვითონვე დაეწაფა და თქლაფვით ცოტაოდენი შეხვრიბა.

— ჰეჰე, ხომ გეუბნებოდი, მოსინჯე-მეთქი! ჰეჰეჰე!
სიხარულსაგან ხმამაღლა გადაიხარხარა ბუჯგამ. — ნაღ იყავ, ეგ რაა? ჩიტის რძესაც არ მოგაკლებ, მოგიტან და შეგასმევ, რომ ობლობა და უდელობა არაფერში შეგეტყოს. სულ განზე რომ იყურები, გუნებაში რა გაქვს? უკეთეს აღვილას სად წახვალ?

გახარებული ბუჯგა ისევ და ისევ ეალერსებოდა პატარა ნადირს, რომელიც ხან დრუნჩს ილოკავდა, ხან კი „ნიგაში“ ახლა თვითონვე ყოფდა თავს და რძეს მადიანად წრუპავდა.

— ესეც ასე! — კმაყოფილებით წამოიძახა გახარებულმა მწყემსმა, როცა ნუკრმა ქილა გამოსცალა და ახლა ფსკერსა და კედელს დაუწყო ლოკვა. — აბა, მუცელი მაჩვენე! ყველა რომ შეთქლაფე, არ გაწყინოს, ჩემო კარგო, რა სასაცილოდ გაბერილხარ, ტიკჭორასავით! — ისევ და ისევ გადაუსვა ხელი თავკისერზე. — ჰო, ახლა კი წავიდეთ შენს ძმობილ გვარდღასთან, ყოველთვის შენთვის სად მცალია? არ გეწყინოს, სხვა საქმეც ყელამდე მაქვს. ცოტა ხანს მეც მადროვე, შენც დაისვენე! ჰო, კინალამ დამავიწყდა! მართლა, ცოტაოდენა საჩუქარი მაქვს შენთვის. აბა, ამასაც გემო გაუსინჯე! — არეული ნაბიჯით წავიდა კუთხისაკენ და მინის ქილაში ჩარჩენილი მარილი ხელის გულზე დაიყარა. ჯერ არ დააკარა დრუნჩი ნუკრმა. შემდეგ თავისი პატარა თბილი ენით ისე მოლოკა, ნამცეციც არ დარჩენია და ისევ მშვიდრით გააკრაქუნა კბილები.

— ეგ კბილების კრაქუნნი რაღაა? კიდევ გშია? ან ტრილობა ხომ არ გაწუხებს? გაჩუმდი, შენი კბილებისა მე არ მეშინია! აწ შუალამე გადასულია, წამო, დაიძინე!

ბუჯგამ ობოლი ფროთხილად აიყვანა ხელში და ტიხრში ვასასველელ კარებს მიაშურა.

მოგრძობ ბოსელში ათიოდე ძროხა ერთმანეთის გვერდით იყო მიბმული. იმ სითბოში ჩალის, სილოსის და ძირხვნების სურნელი ტრიალებდა. რიგით პირველი მეწველი ფური ფეზზე იდგა, მისი ხბო გვერდით, ცალკე საკანში, მოეთავსებიათ. დანარჩენ ფურებს ხბო არ ჰყავდათ. ნამატი ფერმაში გადა-



იყვანეს. ეს ერთი ხბო, „გვარდლა“, ისეთი ლამაზი და ანი იყო, კაცს თვალი ზედ შერჩებოდა: მუქწითელი, კანკებზე შემდგარი, ზორბა და ლაზათიანი. ბუჯგამ არავის დაანება.

— პაპაჩემის განთქმულ ბუღას მაგონებს, ჩვენებური ძროხა სულ რომ არ გადაშენდეს, მე გავზრდი და საჯიშედ გვყავდესო. ფერმის გამგემ ხელი ჩაიქნია, კარგი, მხოლოდ საბუთში ისე აღენიშნავ, ვითომ წაყვანილი იყოს და თუ ვინმემ გკითხოს, შენც ეგრე აუხსენი, ჩემზე არ ირიცხება-თქო.

— ბუჯგა ამაზე მაშინვე დათანხმდა და ამის ნიშნად სამი ჯვრის გამოყვანით ოქმზე ხელი მოუწერა. ეს სამი ჯვარი იცოდა ბუჯგამ და ანბანს ვერ ცნობდა. ასე ადვილად მოისტუმრა შარიანი ფერმის გამგე და მას შემდეგ შეილივით უვლიდა გვარდლას.

ყელმოღერებული ფური გაფაციცებით გაჰყურებდა თავს პირმშოს. ეს იყო ულამაზესი ძროხა მთელ ფერმაში: გაზულუქებული, განებვირებული, ჯიქნებადბერილი, გან-განზე გაჩაჩხული სარძევე თითებით. ნუკრის დანახვაზე მაშინვე ყურები სცქვიტა და „ჰუფუო“ ერთი შეუძახა. ნამგალივით მოღუნული თეთრი, პრიალა რქები წუთით სამტროდ მოიღერა და თავისი დიდრონი, ცნობისმოყვარე თვალები ტყიურს შეაფეთა.

— ქოორე, ბედნიერო! — დაამშვიდა ფური ბუჯგამ. შეძდეგ საკანის კარი შეაღო და ნუკრი შიგ შესვა. შეშინებული, მუშტის ტოლად ქცეული ნუკრი კუთხეს მიეკრა და იქიდან უნდოდ უცქეროდა კუდაბზეკილ ბოჩოლას. „პეეო“ ხმა-მაღალი პეტელით უჩივლა დედასთან გვარდლამ. ფური ახლოს მივიდა და სტუმარი საფუძვლიანად დაყნოსა და როცა დარწმუნდა, ეს ტურა-მგელი არაა, მშვიდი ზმუილით დააშოშმინა თავისი შეფოცებული შვილი. ბუჯგამ თვალებში ჩახედა დედა-შვილს. შუღლი და მტრობა არ ბეუტავდა მათ სიკეთით სავსე თვალებში. — აი, ასე! დაწეკით და ზღაპრები უამბეთ ერთმანეთს! — კიდევ ერთხელ დაუყვავა მწყემსმა პატარებს, მაგრამ მაინც ვერა, ვერ ენდო შფოთიან გვარდლას. ბაწარი



კისერზე გადაუგდო და თავის კუთხეში მიაბა. მხოლოდ შემდეგ კმაყოფილი დინჯად გამობრუნდა.

— ეგრე მოგიხდება, რაკი არ ისვენებ!

ისევ ააბრიალა კერია. შედედებული რძე ოდნავ შეათბო, ახალი ყველი ამოიღო, ამოწურა. დო გადაადულა, ხაჭო მოხადა. გუშინდელი ჭყლინტი ყველიდან სულუგუნები მოხარშა და ჩამოქნა. თავის ზომის ხის მაღალ ქილებში ჩაამარილა და ისევ ესტუმრა გვარდლასა და ნუკრიას. გატანჯულ ტყიურს ჩასძინებოდა, გვარდლაც უზრუნველად გამშლართულიყო. ჩუმად, უსიტყვოდ, გამობრუნდა, რომ პატარებისათვის ეს უცოდველი ძილი არ დაეფრთხო.

ძილგამკრთალი ბუჯგა გარეთ გამოვიდა, სუფთა ჰაერზე, და მოკრიალებულ ცას რომ გახედა, პატარა დათვის თანავარსკვლავედი ზღვაში ეშვებოდა. „თოხის ტარი“ სამხრობამდე მისულიყო. დილამდე ერთი წაძინებაღა იყო დარჩენილა. მთქნარებით წემობრუნდა, ტანგაუხდელად მუხის შიშველ ტახტზე გაიმოტა ნაბადშემოხვეული.

* * *

ახალი სამუშაო გაუჩნდა ბერიკაცს. და ერთ წუთს თავის ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ახლა თვალი რომ გადაეგლო, თითო თავსატეხი და ფიქრებში ღამის სათევი ყოველთვის ჰქონდა. ასე გაფრინდნენ წლები. და აი, სულ ბოლოს, როცა აწ დასვენების ჯერი დადგა, გვარდლას სამახსოვროდ გამოზრდა აიტეხა და ერთი ორი წლით კიდევ აქ დარჩენა არჩია. ახლა გვარდლას ნუკრია შეემეტა და პირველი ღამე გაუთია მათ. ჩანს, ადამიანს სიკვდილამდე საფუსფუსო არასოდეს გამოელევა, ერთი გათავდება, მეორე გაუჩნდება და ეგრე რომ არ აუოს, ცხოვრებასაც, ალბათ, ფასი დაეკარგებოდა.

ბუჯგამ ის იყო თვალი მილულა და შემკრთალი, ამდენი შთაბეჭდილებით დაღლილი ისევ ფეხზე წამოხტა. ასე ეგონა,



მთელი მეორე დღე ძილში გაატარა და მხოლოდ საღამოს ბინდ-ბუნდში გამოეღვიძა. ნამდვილად კი ჯერ კარგად არც იყო გათენებული. უმაღლესი მოეგო გონს და მაშინვე თავის პატარა მეგობრებს მიამშურა:

— ოო, საქმე კარგად! — წამოიძახა გახარებულმა, როცა საკანს გახედა. გვარდლას ბაწარი აეწყვიტა, თავზე წამოდგომოდა არაქათგამოცლილ, ავადმყოფ ძუძუმტეს, რომელსაც გაფხარკალების თავიც აღარ ჰქონდა და დიდი მონდობებითა და მზრუნველობით ულოკავდა ქათიბს. ტყიური კანკალებდა და ხაოიანი ენის ყოველ შეხებაზე წამოხტომას ლამობდა, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა. ბარდლა კი არ ეშვებოდა შეყვარებული ჭაბუკივით, რომელმაც ეს ესაა პირველი კოცნის ნებართვა მიიღო.

— ახლა მე შენ ისეთ ვინმეს გაგაცნობ, ალბათ, ავ სიზმარში თუ გეყოლება ნანახი. — ნუკრი ხელში აიყვანა ბუჯგამ და თავის სადგომში ტახტზე დასვა. — ვნახოთ, კრილობა რასა იქს? ხომ არ სივდება, ხომ არ ჩირქდება? ხარკალი ხომ არ გაწუხებს? ამის რომ არ მეშინოდეს, ამ დილით თავს არ შეგაძლებდნი. — ხარკალს ბაწარი შეხსნა, კურდღლის ქონით გაზინთულ ჩვარში სისხლს გამოეჟონა. გასივებულ მუხლზე აბლაბუდა გადააძრო. — ჰო, ყოჩაღ შენ, მშვენიერია! ახლა ერთ წუთს მოთმინება იქონიე! ტყიდან ხარ მოსული და ჩემებური ტყის წამლები მოგიხდება. მოიცა, თვალი აგიხვიო, რომ გული არ გაგისკდეს! — პირსახოცი რქებში გაუბლანდა და შესკვნა. შემდეგ კარის ზღურბლზე შედგა და მაგრად დაუსტვინა. მარაკიდან ხრინწიანი ყუფით წამოვიდა ქოფაკი:

— ფარია, ფარია! — დაყვავებით უხმობდა ბუჯგა. ენა-გადმოგდებული, გაბანჯგლული, აქაქანებული ვეება ნაგაზი ქოხში შემოვარდა. იმავე წუთს თვალახვეული ნუკრი ტახტზე შეწრილდა და ტყიურის სუნზე ძაღლიც ერთბაშად გახედა. ბუჯგამ ქეჩოზე წაავლო ხელი და დატუქსა. ბამბურა ფარია ერთბაშად მოლბა და დიდი სიფრთხილით და ყურადღებით დაყნოსა პაწია ნუკრი. შემდეგ პატრონს თავისი ცეცხლოვანი დიდრონი თვალები შეანათა: ვითომ რას მიბრძა-

ნებო. პატრონმა ჭრილობა უჩვენა... დიდხანს, დიდხანს, თავისი წითელი ხავერდით რბილი ენით ფარია წმენდდა და ასუფთავებდა შეუხორცებელ, ნაწიბურებ ოდნავ ჩაჩირქებულ ნატყვიარს. ალბათ, საამო იყო ეგ! ისე ნებივრად გაწვა ავადმყოფი ნუკრი ტახტზე. როცა ძაღლმა ახლად გამონაქონი, ბალანზე მიმხმარი სისხლიც ჩამოლოკა, ბუჯგამ ფარიას ხელი ჰკრა: ახლა გეყოფათ.

ზორზოხი ფარია კერიასთან ჩაცუცქდა, მაგრამ ცნობის-მოყვარე თვალებს ნუკრიას მაინც არ აშორებდა. ახალი აბლაბუდა დაადო, ახალი ჩვრით შეუხვია და ხარკალი შემოუჭირა. — ახლა მაგრად იყავი და შეხედე! — უცებ თვალსაფარი ჩამოხსნა... ფარიას დანახვაზე გულგახეთქილი ტყიური სამ ფეხზე შეხტა და ილიაში შეუძვრა ბუჯგას.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია! ეგ შენი მამობილია, დედობილიც ხომ გყავს და ძმობილიც, მაგისი ნუ გეშინია! ისე მოგივლის, ნიავსაც არ მოგაკარებს. შენ, ფარიავ, ჰკუთით იყავი, ეგ საძაგელი კბილებიც სადმე დამალე და ეგრე საბერველივით ნუ ქშინავ და ქაქანებ! სტუმარი არ დამიფთხრო აქ! — უცებ ხმას აუწია და განრისხებით შეუძახა:

— დაიკარგე, ძაღლო, აქედან, მე შენ გეუბნები!

კუდამოძუებული ფარია კარში გავარდა.

— ახლა წავიდეთ ჩვენ, მე ისეთ ვანმეს დაგანახებ, გული ლხენით აგვესოს. აქნებ შენ გგონია, შენისთანა ყურცქვიტები მარტო მთებში ცხოვრობენ? — ფრთხილად ჩაიხუტა მოხუცმა მინდობილი ნადირი და გარეთ გამოვიდა.

ბუჯგამ მარაკის კარები რომ გამოაღო, პეტელით, ხტუნვით, კიკინით გამოცვივდნენ თხები. ეს ნუკრიასათვის სრულა საოცრება იყო. ისე ათვალეირებდა ფარას, თითქოს თავის დედას დაეძებსო. მორიდებული ჩუმი კიკინი აღმოხდა კიდევ და კბილები დააკრაქუნა.

— ხომ ვითხარი? მაშ, რა გეგონა? აქ მარტო ხომ არა ვართ? წამოიზრდები, ამათთან იხტუნავენ. იფ, რა მშვენიერი ციკნებია! ხომ ხედავ? იქნებ შენსავით ასე მეფურად მო-

ხატულნი არ იყვნენ, მაგრამ არც წუნი დაედებათ. შემთხვევით
ჩამიბარებია, მოცილე არავინ გეყოლება.

თხები გრეხვითა და ხტუნვით ტყეს შეესივნენ, დარაჯად
ფარია მიჰყვა, ბუჯგა კი ნუკრის ფერებ-ფერებით ბოსლოსა-
კენ გამოემართა.

ერთი კვირა ისე გავიდა, მოხუცს სხვა საზრუნავი არაფე-
რი ჰქონია. ჩილი აბედისა და ბალახის ძირების გამონაყურო
ნალებში შეაზავა.

— მე ისეთი მალამო მოგიშადა, მომაკვდავს ფეხზე და-
ყენებს! — წამალი აკაციის სუფთა ნაფოტით ჭრილობაზე წა-
უცხო და ზედ სამი ცალი სუროს ფოთოლი დაადო. ისევ ახა-
ლი ჩვირით შეუხვია და ხარკალი შემოუჭირა.

ხოლო იმავე საღამოს თირემეს წყაროზე წაიყვანა:

— დალიე, ნუკრია, შესვი! ძალას შეგმატებს, ჯანზე მო-
გიყვანს! შენი წინაპრები ჯოგობით მოდიოდნენ აქ, ამ უკვდავე-
ბის წყაროსთან. შენ, მარტო დარჩენილმა, კოკლმა, სამი ფე-
ხით გაიარე იმათ ნაკვალევზე და იმათი წყარო შესვი და იქნებ
რამე გეშველოს! — ქათიბზე მოუსვა ხელი და დრუნჩი მთავე
წყალში ჩაუკრა. — მოეწონა ნუკრიას, ფრუტუნით დაეწათა
და ხარბად დაუწყო სმა. სახეგაბრწყინებული მწყემსი გაო-
ცებით შეჰყურებდა მოწყურებულ ტყიურს.

ფერიის გაგზო

— ბუჯგა, რა ყელი გამომჭერი, შე კაი კაცო! განა იმდე-
ნი დრო მაქვს, წარა-მარა ვირბინო და შენ გეხვეწო. აკი გიო-
ხრეს, უცხო სტუმარი გვეწვია, პატივი უნდა ვცეთ, შიმშილით
ხომ არ მოვკლავთ? შენ როგორ გგონია, შენი ჯიუტობით მთე-
ლი კოლმეურნეობის საქმეს ხომ არ გავაფუჭებთ? ამხელა
კაცს ჯერ ჩვენს სოფელში ფეხი არ დაუდგამს. რალა მასთან
გვჭრი ყელს? რა ღმერთი გიწყრება? მოიყვა მოხვერი! შენ-

გან მიკვირს, რა ხელშეწყობა მოგიარა, რომ ბიჭი უკან რიელი გამოისტუმრე. შენ ხომ იცი, ამის გამო, შეიძლება, ქვა ქვაზე არ დარჩეს ჩვენს კოლმეურნეობაში. მერე პასუხისმგებელი ვინ იქნება? შენ თუ მე? ახირებული ვინმე ხარ, ღმერთმანი...

— ვინაა, შეილო, სტუმარი? — მშვიდად გამოიძია ბუჯამ, — საიდან ჩამოვიდა?

— თბილისიდან გახლავს, იქიდან ჩამოვიდა, აბა, შენ ვინა გგონია? ადგილობრივი იყოს, ამ აღმართზე ტკაველა ენაგაღ-მოგდებული რომ მოვრბივარ, ასე მოვიკლავდი თავს? საქმეც ამაშია. ცოტა რამით, გოჭით და ქათმით ხომ არ მოვისტუმრებთ უფროსს? აბუჩად ამიგდესო, იტყვის. ეწყინება და მერე სდიე... ეძიე კანონ-სამართალი!

— კი, მაგრამ რაზე ჩამობრძანდა, შეილო? მაინცდამაინც ჩვენი მოზერის შესაქმელად ხომ არ ჩამოვიდოდა ის დალოცვილი?..

— ახლა დამიწყე შენებურად გამოკითხვა, ვინაა, რაზე ჩამოვიდა? ეგ რა შენი ჭკუის საქმეა? ვინ გეკითხება? ერთი ამას უყურეთ! გეუბნებიან, გააკეთე! გაჩუმდი, ქვად იქეც და ისე გააკეთე, მორჩა და გათავდა! შენ რა გესაქმება, ვინ გეკითხება? ძველებურად ეგ ჯოგი შენი ხომ არ გგონია, ბაბუ? შენ აზრზე მოდი! პატრონი ვინაა?

— არა ხარ მართალი, შეილო! როგორ თუ რა მესაქმება! — დინჯად, დაყვავებით მიუგო ბუჯამ. — თუ პირუტყვის მოვლა-პატრონობა მესაქმება? თუ შრომა გვეკითხება? დაკვლა და შეჭმა არ გვეკითხება? ამ მოზვერს, გვარდღას, ჩემო კარგო, ტყუილად გარჯილხარ, ვერ მოგცემ, ვერ გავიმეტებ! ნუ გეწყინება! ნეტავ ერთი იმ სტუმართან დამალაპარაკა! შენ ამ მოზვერის ფასი არ იცი, როგორც ჩანს, შეილო! იქნებ იმან გამიგოს რამე. ხუთი თაობაა ვაჯვარებ ჩვენებურ, მეგრულ ჯაშსა და რუსულ ძროხას. ისეთი რაღაცა დაიბადა, ავ თვალს არ დაენახვება. ტანთ ისე ჩაიცვა, ისე შეიმოსა, სირმით მოქარგული გეგონება, ოქროსფრად ბზინავს, მართლაც საოცრებაა! ისეთი ბულა დადგება, ჯოგის მშვენიება იქნება. ას ოქროდ



ღირს, ორასსაც მისცემდა ცხონებული პაპაჩემი. ეჰ, შენ კი გინდა, მგელივით ყელი გამოლადრო და შექამო. სანამ მიდგას პირში, ვერ მოგცემ, პაპის სულს ვფიცავ, სულ ტყუილია! ისედაც ფერმა დამიცარიელეთ, კვირა არ წავა თითო თხა მაინც არ ჩაათრიოთ დაბლა. გეყოფათ, კაცო! არა, გვარდლას ყელს ვერ გამოვჭირი! ნამატის ფერმაში გასაგზავნად ვერ ვავიშებ, კარგად ვერ მოუვლიან, დააჩივებენ-მეთქი. აკი დამიტოვებ ყიდევ, დამთანხმდით, შენთან იყოს, საჯიშედ გამოზარდო? ახლა ისევ შენ, გაუმძლარ ყასაბს, ჩავაბარო? როცა წვითა და დაგვით შვილივით გამოვზარდე? ჭკუიდან ხომ არ შევშლილვარ? არა, ეგ არ მოხდება!.. შენ თვითონ განსაჯე, შვილო, — უცებ მოლბა მწყემსი, — შენ თვითონ იფიქრე, ეგ რა ვაუკაცობა იქნება?

— კარგი ერთი, ამდენი ლაპარაკის თავი არ მაქვს! მოიყვა აქ ის სამგლე! თუ კაცი ხარ, ლაუბობა გეყოფა!

— ახლა ორი კბილი ქვემოდან ამოუვიდა, მეორე ორი კი ზემოდან მოიწვეს. მერე ორი კიდევ ქვემოდან შეემატება. ოთხკბილა მოზვერი ხომ უკვე ბუღაა! ნახავ მეზობელ სოფლიდანაც საჯიშე ხბოებს ჩვენთან ყიდულობდნენ. მხოლოდ ერთი წელი დამაცადე!

— კაცო, შენ რომელ კბილებზე მელაპარაკები? თავში სიცხე ხომ არა გაქვს, ან ამ შუადლით ხომ არ დათვერი?

— არ გაძლევ, შვილო, ხომ გაიგე? ბავშვივით გამიზრდია, ცოდვია! — ხმამალა შეუძახა ბუჯგამ.

— მაშ თვემჯდომარეს რა პასუხს აძლევ?

— არ მომცა, არ შეიძლება, ცოცხალი თავით არ დაგანებებ-თქო, ეგრე უთხარი! სტუმრის პატივისცემა ვის არ უყვარს ჩვენში? ახლავე ჩავირბენ ბადით, კალმახს დავიჭეო, ახალი თაფლი გვაქვს. ქათამი, ინდაური, კვერცხი და ყველი, გოჭი და, პა, ჯანი გავარდეს, ერთი ციკანიც, არაყი, ღვინო და ხილი ხომ გამოუღვეელი გვაქვს. არ ეყოფა? ამდენი რაპ ხელმწიფის სუფრასაც დაამშვენებს, სხვა რაღა გვინდა? მოზვერს არ გაძლევ და ნურავინ ნუ მთხოვს და შემაწუხებს!



— ჰმ, არ მაძლევს! გაუჩნდა პატრონი ჩვენს საქმეს. —
 თუ ღმერთი გწამს, თავს საქმეს ნუ აძლევ! მეც სულელი ვარ,
 ამდენს გეხვეწები, წავალ, ჩავავლებ რქაში ხელს და წავიყვან.
 — უცებ შეპყვირა ფერმის გამგემ. — ეპ, რას გელაპარაკებო
 ამდენს? — გულმოსულად ხელი ჩაიჭნია და განიერი ნაბი-
 ჯით ბოსლისკენ გაემართა. — შენ რომ იცოდე, ეგ მოზვერი
 აქ სულ არ ირიცხება. ნამატის ფერმისაა. ხომ გახსოვს, მაშინ
 ხელი რომ მომიწერე? შენ ამაზე სულაც პასუხს არ აგებ, იმა-
 თია. არ ვიცი, რაღა გინდა?

— არა, უსაბუთოდ მაინც ხომ არ მოგცემ? მე არ ვიცი,
 შენ იქ რა დაწერე და როგორ დაწერე, მაგრამ ყველა ხელდაუს,
 მოზვერი ჩემთანაა და მე გავზარდე. საბუთი მოიტანე!

— ვიცოდი, ამას მეტყოდი! აჰა, შენი საბუთი! — გახა-
 რებულმა გულის ჯიბეზე ხელი წაიფათურა. — მოზარდთა
 ფერმა მთებში გვაქვს, შე კაი კაცო! ხომ იცი, საკლავს იქი-
 დან სამ დღეში ვერ ჩამოვიყვანთ, ამდენ ხანს სტუმარი ხომ
 არ დაგვიცდის, თორემ შენთან სახვეწარი რა გვექნებოდა? —
 ჯიბიდან ქვითარი ამოიღო, — აი, ყური დაუგდე, მე წაგიკით-
 ხავ, აქ რა წერია: „გაეცი მოზვერი № 213, სახელი „გვარდლა“
 — დამარცვლა ფერმის გამგემ. — აგერ, ქვემოთ, თავმჯდო-
 მარისა და მთავარი ბუხჰალტრის ხელმოწერა, სხვა რაღა გინ-
 და? თავიანთი საქმე იმათ შენზე უკეთ არ იციან? შენ ქვითა-
 რი დაიტოვე, საბუთია, სხვა რაღას მოხოვ?

— ჩემი საქმეც მე ვიცი. — მშვიდად მიუგო ბუჯგამ, თან
 ქვითარი გამოართვა და სინათლეზე უნდოდ გახედა. — ბე-
 ქედს კი ვხედავ, შვილო, მაგრამ ასოებს... ეპ, ეს ქალაღი რა
 შავ ქვად მინდა?..

— „გვარდლა“ წერია, ბაბუ, ხომ არ მოგატყუებ ახლა?
 კარგი, კარგი, მოზვერი გამოიყვანე, წყალი ქვაბში უკვე დი-
 ლიდან დუღს, შე კაი კაცო, იქ ხალხი გვიცდის, რა გახდი?

— ეს ქვითარი უკანვე წაიღე, შვილო, ვერ გკითხულობ.
 თვითონ თავმჯდომარეც ამოვიდეს აქ, თუ უნდა, იმასაც ვეტ-

ყვი, მოზვერს არ მოგცემ. კი არ გეხუმრები, მართალს გეუბნები!



მღელვარებისაგან აბურძენილ და გაფითრებულ მწყემსს ფერმის გამგემ ზიზლით ახედ-დახედა:

— არ გვაძლევ, რა, შენია? არა, მართლა, რაკი შენ მწყემსად ხარ და საქონელი გაბარია, შენი ჯოგი ხომ არ გგონია? გაიღვიძე, თვალი ამოიფშენიტე-მეთქი, ეგ საქონელი ახლა კოლმეურნეობისაა. ერთხელ ბატონ-პატრონი რომ ბრძანდებოდი, ის დრო გაქრა. შენს ჭკუაზე ახლა ვინ გაივლის? — გაგულსებულმა გამგემ ბოსლის კარს მხარი ჰკრა და ლამის ჩამოგლიჯა. გაგონილით გახევებულმა ბუჯგამ ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო, საკეტი ჭრიალით გაიღო და გამგე შიგ შევარდა:

— კაცო, ხელი უშვი, გეუბნები! — კიდევ ერთხელ გაიბრძოლა ბუჯგამ და ბაწრის ნასკვს ღონივრად ჩაეჭიდა. — აი, შვილო, შეხედე, ხომ გეუბნები, ავ თვალს არ დაენახებამეთქი. ასეთი ჩვირანის გაფუჭება ცოდვა არაა!

— გამეცალე აქედან, ბიჭოს, ვის გადავეკიდე! — რაც ხმა ჰქონდა დაიღრიალა გამგემ. — მიკვირს, ეგრე თავს რად იკლავ, კაცო, მართლა შენი გგონია? — ამის თქმა და ქვითარი ჯიბეში ჩაუკუჭა, იმავ წუთს ბაწრის ბოლო მოზვერს რქებ შუა დაუზოგავად დაარტყა და წინ გაიგდო.

კარის ზღურბლზე ბუჯგა კვლავ გაებლანდა ფეხებში.

— კარგი, მოიცა, ერთი სიტყვა კიდევ მაქვს სათქმელა! — ძლივს გასცრა კბილებში მღელვარებისაგან გაგულულმა ბერიკაცმა. „მენცარს“ სახე გაბრწყინებოდა, ეტყობოდა, ერთბაშად რაღაც უცაბედ ფიქრს წაეღო.

ფერმის გამგე წუთით უკუდგა.

— კარგი, მოიცა, შვილო! — მღელვარება ძლივს დაიოკა მოხუცმა, — მოიცა, ეგ მოზვერი აქ მოიყვანე, რაღაც უნდა გითხრა! — თვალდაკუსული ბუჯგა გამსჭვალავად მისშტერებოდა მოზვერის რქაზე ღონივრად გაქაჩულ ბაწარს და თავის-



თვის თითქოს რაღაცას ანგარიშობდა, წონიდა, ყოყმანობდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და კმაყოფილმა ცივად გაიღიმა:

— კარგი, ეგ მოზვერი აქ იყოს, მე შენ კიდე უკეთესს გაჩვენებ! აქეთ წამომყევი! — ბოსელი მიჰკეტა ბუჯამ, — მობრძანდი! — ხელებგაშლილი ტიხრისაკენ გაემართა. ერთბაშად ღონივრად მოსწია ჩარაზულ კარს და მზით გაჩახჩახებულ პატარა სადგომში ფერმის გამგემ საოცრება დაინახა. ყელმოღერებული შველი „ფინახართან“ ხმელ თევას ახრამუნებდა. მაღალ კანკებზე შემდგარი ყურცქვიტა მეფურად შემოსულიყო. მზის სხივებზე ხავერდოვანი ქათიბი საოცრად ბზინავდა.

— აი, ეგ წაიყვანე, იმ მოზვერს კი თავი დაანებე! რაკი სტუმარი მოგვევლია, საპატივცემლოდ უკეთესს ვერც ინატრებ. — ისევ დაყვავებით ამბობდა აკანკალებული ბუჯა.

— ეგ რაღაა, ან აქ საიდან გაჩნდა? — ერთბაშად გონს ვერ მოეგო გამგე და ხელის წათათუნება სცადა. გალაღებულა ნუკრია უცებ საბრძოლოდ შეიმართა, თითქოს პირველი ნახვითვე ეცნოს თავისი მოსისხლე მტერი. თავი სწრაფად ასწია მაღლა, ყურები სცქვიტა და დიდრონი შავი თვალები დააცეცა. გამგე ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

— არ გამგეყო, ასეთ შველს აქ რა უნდა? — ისევ იკითხა გამგემ, თუმცა ყველაფერს უკვე ნათლად მიმხედარიყო.

ბუჯა თამამად მივიდა უცხო კაცის ნახვით შეფოცებულ ცხოველთან და კრილობის ოდნავ შესამჩნევ ნაწიბურზე ხელი მოუსვა:

— ამას ხომ ხედავ, კარგად შეეზარდა, ვერც შეატყობ. ასე კი ცოტათი მაინც ტკივა, ოდნავ, თუ დააკვირდები, კოჭლობს კიდეც. ჰა, წაიყვანე, შვილო!

„მენცარი“ თავის ანგარიშით ცდიდა ახლა, გააჩნდა თუ არა ცოტაოდენი სინდისი ფერმის გამგეს. იღგა და უყურებდა, გასჭრა თუ არა ხერხმა იქ, სადაც ღონით ვერაფერს გახდნუთუ გამგე, ღვთის გულისთვის, არ შეიწყნარებდა ამ საოცრად ლამაზ არსებას, ერთხელ მისგან სასტიკად განწირულს.



— ჰმ, ამას რას ხედავს ჩემი თვალები?.. ეგ... ეგ... გორ დამშვენებულა, კაცო! ვაი, დედასა! რანი ვართ ადამიანები? მიწის მეტი ვერაფერი გავგაძლობს! კაცო, როგორ უნდა გაიმეტო, თოფი როგორ უნდა ესროლო ასეთ ლამაზ არსებას? ჰმ!.. — ტაში შემოჰკრა გამგემ, შემდეგ მშრალად ჩაახველა და სიტყვა ერთბაშად შეაბრუნა: — აი, აგაშენოს ღმერთმა!.. — დონიჯი შემოიყარა, თითქოს გული აუჩუყდაო, — შე კაი კაცო, თუ ასე იყო საქმე, მერე ამდენ ხანს რას მაწვალუბდი? გაგანია ცეცხლიდან გამომიყვანე და ეგაა!.. ამის მწვადებს რომ მოსინჯავს, სათქმელი მაინც რა ექნება იმ ოჯახდაქცეულს? მერე რაღას იტყვის? უჰ, შენი პატივისცემა მე ვიცი, ამას, თუ კაცი ვარ, დაგიფასებ, პრემიასაც ცალკე გამოგიწერ, ჩემო ბუჯგა!

ვაიმე! როგორ? მართლა მიჰყავს ამ უღმერთოს? ჰა, შე მეგლო, აშარო ფოცხვერო, სვავო, მემძორევე! ხანჯალივით გაუარა გულში ბუჯგას და ლამის თვალთ დაუბნელდა. მოიცა, ერთბაშად ისევე მოიკრიბა აზრი: იქნებ, ხუმრობს, იქნებ მაშინებს! არა, წაიყვანს ნამდვილად! აღარ მომეშვება. „გვარდლა“ თუ „ნუკრია“, „გვარდლა“ თუ „ნუკრია“! გულფიცხად შეაგდო სასწოროზე. რომელი დატოვოს, რომელი გასწიროს. მარცხენა თუ მარჯვენა თვალი?!. მოზვერი თუ შველი?!. ცივი ოფლი მოიწმინდა შუბლზე, ერთი ყრუდ ჩაახველა და წელში გასწორდა და უცებ სადღაც, გულში, თითქოს ერთი მაცოცხლებული ძარღვი ჩაწყდა, თრთოლვამ მთელ ტანში დაუარა და სისხლი გაუყინა. ერთხანს სუნთქვაშეკრული იდგა. მოზვერი თუ შველი? ბევრი ყოყმანის დროც არ ჰქონდა და გაქევილს გატეხილი ამჯობინა და არც გასაშვები სისხლი დაზოგა. განაჩენი ერთბაშად ამოიჭრა გულში და მაშინვე ცოტაოდენი შვება იგრძნო. და ახლა მხოლოდ იმის ცდაში იყო, ბოლომდე სულიერი სიმშვიდე შეენარჩუნებინა და თავისი სათქმელი, გამგის შესაჩვენებლად, სრულიად გულცივად ეთქვა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს:

— შვილო, შენ წელან რამდენჯერმე მწარე სიტყვები მაკადრე... — ხმა მაინც უცახცახებდა ბუჯგას, თუმცა თავს



ძალას ატანდა. — ალბათ, შენი საკუთარი გგონია, ალბათ შენი გგონია, ძველი მეჯოგეობაც გამიხსენე, ახლაც, ალბათ, ყველაფერი შენად მიგაჩნიაო. პირადად ჩემი ამ ფერმაში, რომ იცოდე, მარტო ეგ შეველია. ხელიდან შენ გამოგტაცე და ჩუმად გავზარდე. თანაც ხმა დავაგდე, მოკვდა-მეთქი, რომ არავის წაერთმია. ახლა მოზვერი თუ შეველი? აი, თავსამტვრევი. ერთ-ერთი არ მოგცე, საშველი არა მაქვს. რომელი გავწირო? ჰა? შენ რას იტყვი? — ერთხანს ადროვა შეცბუნებულ გამგეს და უმაღლესი განაგრძო, — ჩემი ჰკუთით მე ეგრე გადავწყვიტე, ჩემი შეველი წაიყვანე, ხოლო მოზვერი აქ დარჩეს. ღმერთი ხედავს, სხვა გზა არ მაქვს! მე ერთი მოხუცი კაცი ვარ... როგორც ძველად ბერი მონასტერში, ტყეში მწყემსად დაყუდებული. დღეს... ხვალ... ყოველთვის ხომ არ ვიქნები, შევილო? აბა, შენ თვითონ იფიქრე, ქონება, ოქრო და ვერცხლი, რად მიწინა? თან რას წავიღებ? ალბათ, იმას, რაც სხვას, მდიდარსა და ღარიბს თანაბრად, წაუღია. მე მხოლოდ გვარდლა, თუ კარგი გამოდგებოდა, ჩემს სამახსოვროდ საჯაროდ გეყოლებოდათ, იტყოდნენ ბუჯგა-პაპას გაზრდილიაო, ათას ქონებას ეს მერჩია..

დავის მოგებით სრულიად დამშვიდებული ფერმის გამგე ბაიბურადაც არ ავდებდა მოხუცის მღელვარებას, ყურს უკლებდა და არც უგდებდა, მაგრამ ასეთი ძვირფასი ნადავლით გახარებულმა მენცარ ბუჯგას კვერი დაუქრა:

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად! მოზვერი დარჩეს, ბაბუ. შენს სახელზედ, მართლაც, საჯიმედ იყოს! ერთი იმის დევგმირულად წამოსულ სამწვადე მკერდს შეხედე, ერთი იმ საყანწე პრიალა რქებს შორის და შუბლზე ჩახუტუჭებულ ოქროსფერ ბალანს დააკვირდი. ცოდვას! იმაზეც ჯილდო გეკუთვნის და მოგცემ კიდევ. ეს უსათუოდ! სწორუპოვარი ბუღა იქნება, ნამდვილად! ამ შეველს კი წავიყვან. სტუმრისათვისა კი სად მოზვერი... რაც გინდა იყოს, მოზვერი მაინც მოზვერია... და სად შეველი? ამას სულ ერთიანად შემწვარს რომ შემოვიტან, სუფრას გააგიჟებს! ნამდვილად მეფური პურ-მარინი გვექნება! აგაშენოს ღმერთმა! ახლა გაგიცან, ნამდვილად

კაცი ყოფილხარ, ბუჯგა!.. მხოლოდ ნუ მაგვიანებ, გამიშვილებ
ნი ჭირიმე! — თქვა ეს, ფერმის გამგე ღონივრად ჩააფრინდა
შველს რქებში და თავისკენ მოქაჩა.

საცოდავმა ტყიურმა ჯერ თავი განზე გასწია და ვითომ
გაუძალიანდა, მაგრამ იმ ოჩოპინტრეს სად წაუვიდოდა? თვა-
ლის დახამხამებაში საკნიდან გამოათრის. ახლა კი ისეთი
შემზარავი კიკინი მორთო, ბუჯგას გული შეუქანდა. ქვადქცე-
ული იდგა და მინის თვალებს არ აშორებდა გამგეს. ფეხ-
დაფეხ დაღმართამდე მიჰყვა. იქ, ვიწრო ბილიკზე, შველი უფ-
რო გაძალიანდა, ორიოდჯერ ისე გაიბრძოლა, ლამის ხელიდან
გაუსხლტა თვალებდაჰყვებილ, სახედაძაგრულ მოძალადეს.
როგორც იქნა, მუჯლუგუნისა და წიხლის ცემით, ძლივს დაი-
მორჩილა ნადირი. მაშინ შველმა ცრემლიანი, საცოდავი თვა-
ლებით მოხედა ბუჯგას და თავგანწირული პეტელი მორთო.
ვითომ მიშველეთ, მიშველეთო! მშველელი არავინ იყო. გა-
ხევებული ბუჯგა ადგილიდან არ იძროდა. საადროდ მოქრუ-
შული თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა... ერთბაშად მუშ-
ტები აპყარა ჰაერში:

— მაშ, მართლა მიგყავს? ჰა, შე გაუმაძღარო ტურავ,
შენა! შე ნამუსგარეცხილო! კარგი, წაიყვანე!.. წაიყვანე!..
მაგრამ მე ბუჯგა არ ვიყო, თუ ამის გამო კისერი არ მოგტე-
ხო! იცოდე, კისერს მოგტეხ! შხამად შეგარგებ, შე აფთარო!..
მე შენ დამაცადე! — მოკუმშული მუშტი მუქართ დაუქნია
მიმავალს. — იცოდე, განანებ! განანებ და გატირებ!..

ვერა, ვერც ამ სიტყვებმა გასჭრეს. უმწეო ბერიკაცის ცა-
რიელი მუქარა ფერმის გამგეს ყურშიაც არ შეუშვია. დაღ-
მართზე ფეხს მოუჩქარა და მაღალ გვიმრებში თვალსა და
ხელს შუა გაქრა.

მეხდაცემული ბუჯგა მაინც არ იძროდა ადგილიდან. იმ
ბილიკს გაბოროტებულ მზერას არ აშორებდა. ჯერ კიდევ
არ ჯეროდა, რაც მოხდა. იქნებ გონს მოვიდესო, მაგრამ უკან
მობრუნებული არავინ ჩანდა. კიდევ ცოტა ხანს, თითქოს
სულ სხვა ქვეყნიდან, ისმოდა ჭიუხებში უკუქცეული თავ-
განწირული პეტელი, მერე ისიც მიწყნარდა.



საქართველოს
მემორიული
სამუშაოების
სამსახური

— ერთი უყურე შენ ამ ნამუსგარეცხილს! ვაი, თავისთვის ამოიგმინა ბუჯგამ და მოცელილივით ჩამოჯდა. შუბლზე ოფლი შეიწმინდა, მკერდი გაიღელა, — ერთი უყურეთ, ეს რა მიქნა? ეგ როგორ მოვტყუედი? ვაი, როგორ მოვტყუედი ამ ხნის კაცი? სინდის-ნამუსი სად დაჰკარგა, ადამიანის გული რა უყო ამ აფთარმა? კარგი, მე შენ დამაცადე! — თავის კანტურით ამოიგმინა მწყემსმა.

იმუქრებოდა და კარგად კი არ იცოდა, რა გზას დაადგებოდა, როგორ მიუზღავდა მოძალადეს სამაგიეროს. ყველაფერი რალაც ბუნდოვნად წარმოედგინა. აფორიაქებული თავის სადგომში შემოვარდა, უპირველესად გვარდღას მიაკითხა. თვალეზი მოუფშვნიტა და ლაპლაპა რქებს შუა ხუჭუჭი ბალანი დაფხანა. ცოტაოდენი მარილი ხელის გულზე დაიყარა და შეაჭამა და მერე განებივრებულ პირუტყევს, რომელსაც ამაყად მოელერებია კისერი და კუდი ოღნავ გაებზიკა, ხელი გადაუსვა ზურგზე.

— რა ვქენი, გვარდღა, რა ვქენი! ეგ რა მომივიდა? შენი ძმაკაცი მგელს გასაგლეჯად მიუზღდე! ეგ რა ვქენი? — თავზე ორივე ხელი იტაცა და ერთბაშად სადგომიდან გამოვარდა.

ახლა მარაკისკენ გაიქცა. ფარია ყეფით შემოეგება და ახლალა მოეგო გონს. რატომ მაშინვე ძაღლს არ უხმო? იქნებ რამე საშველი მისცემოდა ნუკრიას! მართლა, ისე რამ დააბნია, რომ ძაღლს არ დაუძახა!

— ფარია, ფარია, შე საცოდავო! ეგ შენ მაინც როგორ მოგივიდა? მე, კარგი, გავგიჟედი, მოვტყუედი, მაგრამ შენ? შენ სად იყავი? ჰა? ძაღლო, სად იყავი? ნუკრია რატომ დაანებე მგელკაცს? — ფარია მორჩილად აქიცილებდა კუდს და სულაც ვერ მიმხვდარიყო, რა აუნაზღაურებელი და გამოუსწორებელი უბედურება დატრიალდა, რა დიდი ზარალი მოხდა თავის სამწყსოში.

ბუჯგა არეული ნაბიჯით მარაკიდან ისევ ბოსლისკენ წამოლასლასდა.

მაშ, ასე! ბუჯგამ ამით დაამთავრა თავისი მწყემსობა და,



შეიძლება ითქვას, ცხოვრების გზაც. ეს ერთი რამ უკვე ჩვენს
თელი იყო.

პირველად ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ფურები მოუწველავი დარჩა, რძე ჩაუღედებელი, ჭყლინტი ყველი ამოუღებელი, ხოლო სულუგუნი მოუხარშავი. ძნელი იყო განშორება, ძნელი იყო გამოთხოვება საკუთარ სიცოცხლესთან, „ორინჯთან“, ბავშვობიდან შეზრდილ „ორემეს“ მკავე წყალთან. ძნელი იყო გამოთხოვება ქორაოა მუხებთან, სურათი გაჯაგრულ ვერბებთან, წკვარამში მოფუხფუხე, აქაფებულ ჩანჩქერებთან, კავკასიონის ფერდობებზე მიყრილ ტყის სოფლებთან და ქალაქებთან, მწვერვალების ციხე-კოშკებთან და ბლუჯა-ბლუჯად მიმოფანტულ ყვავილებთან. მაგრამ სხვა გზა ბუჯგას არ გააჩნდა.

ყველაფერს აქვს ბოლო ამქვეყნად და გაუთავებელი არც ბუჯგას ცხოვრება და შრომა უჩნებოდა. ეს სხვებზე უკეთ იცოდა „მენცარმა“.

და აი, ამ უკანასკნელ დამეს მთვარეულივით დაბორილობდა „ორემეს“ პლატოზე, თითქოს ერთი დღით სიჭაბუქე დაუბრუნდა. ხან ტყეში შეჰყოფდა თავს, ხან ბილიკზე სირბილით დაეშვებოდა, ხან მეხდაკრულივით გახევებული იდგა, ხან უსასოოდ მიწაზე დაემხობოდა, ხან თვალგაისრული სოფლის მბეუტავ სინათლეს გაჰყურებდა, რომლებიც ქვესკნელში კიაფობდნენ. ხან სახეს მკლავებში ჩარგავდა, თვალებს მოხუჭავდა და მოუსვენარ ფიქრებს გაჰყევებოდა შორს, რათა გამზრდელი პაპის აჩრდილისათვის, თავის ბავშვობისათვის და სიყმაწვილისათვის, — ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის — მუნჯური მშვიდობა ეთქვა. საოცარი ის იყო, ხანდახან „ნუკრიას“ პეტელი ისე გარკვევით ჩაესმოდა, თითქოს მისი ძვლები ახლა სოფლის ქოფაკებს სახრავად არ ჰქონოდეს გადაყრილი. იმ თვინიერ პეტელს ისე ცხადად და ნათლად გაიგონებდა, ზომ არ გამოექცათო, იმედი ჯადოსნურ ფრთას გაჰკრავდა და ერთ-ორჯერ შველის სადგომში შეიხედა კიდეც, მაგრამ იქ ცივი მყუდროება სუფევდა.

ისევ ბილიკს ჩაჰყვა დაბლა.



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
ცენტრის
სამუშაოები

— ნუთუ იქ ერთი ქრისტიანი მაინც არ გაერია ათასობით? ვაი დედასა! ვაი, ახავაი! — სოფლიდან მომავალ გზას მზერას არ აშორებდა. არსად არავინ ჩანდა. დაახლოებით იქ, სადაც ფერმის გამგე სახლობდა, ლამპიონები დაქლაქებდნენ. ეტყობოდა, ეზოში სეფა იყო გაჭიმული. მთელი ორღობე გაეჩირაღდნებინათ, უკვე გვიან იყო, კიდევ ქეიფობდნენ. გათავდა! უმწეოდ ხელი ჩაიქნია ბუჯგამ... უკან გამობრუნდა... ტანგაუხდელი ტახტზე ვაიშოტა და ნაბადი წაიხურა. კუთხეში ყელმოდერებული ნუკრია იდგა, ცრემლით სავსე თვალებით შველას ითხოვდა. ბუჯგა გარკვევით ხედავდა ხორკლიან, პრიალა რქებს და პუტკუნა დრუნჩხს. თვალს არიდებდა მოჩვენებას, სახეზე ნაბადს იფარებდა, თავი განზე მიჰქონდა.

ამდენი მღელვარებით მოქანცული, მისუსტებული მოხუცი ბურანში წასულიყო. ნაბადი სახიდან რომ მოიხადა, საარკმელთან ალიონის ცისფერი მტრედები ფართქალებდნენ, ზმუოდნენ მოუწველავი, ჯიქნებდაბერილი მშიერი ფურები. კიკინებდნენ თხები, ყეფით ხმა ჩახლჩოდა ფარიას.

ნათელი აზრი აპყვა თან. გული ოდნავ დაწყნარებოდა, ჩაბინდული გონება გახსნოდა. რა შუაში იყო პირუტყვი? რა ბრალი მიუძღოდა თუნდაც გვარდლას, რომელიც მთელი ღამე უჭმელ-უსმელი პირაკრული იდგა ბაგაში. ერთბაშად აზრმა გაუელვა: „ორინჯი“ დაეპურებია, მოეწველა, თხები ტყეში გაერეკა, სადგომები მიელაგებია და დაეწკრიალეებია, დაერეცხა და დაესუფთავეებია ნიგები, ვედროები, ვარცლები, გობები და ჯამ-ჭურჭელი. კერია გამოეხვეტა, შეშა დაეჩეხა. ყველაფერი ეს უკანასკნელად... გამოსამშვიდობებლად! შემდეგ აქ დარაჯად ფარია დაეტოვებინა და თვითონ სოფელში წასულიყო სამართლის საძებნად. მაშ, ასე ხომ არ დაყრიდა ყველაფერს? ეს რა საკადრისი იქნებოდა!..

გაიფიქრა ეს და სიცოცხლის ნიშატი დაუბრუნდა უმაღლესეულ ოქალა იგრძნო მუხლებში. გული გაუხალისდა, თვალებმა ნაპერწკლები დაპყარეს. ისე მონდომებით შეუდგა საქმეს, როგორც პირველ დღეს, როცა ბუჯგა-უფროსმა სარჩო და ლუქმა-პური დაუწესა. ფართიფურთით შევარდა ბოსელში,

იქიდან მარაკაში გაიქცა, შეიქნა ვედროების ჩხარუნი, ხის ჩახარუხი.

საქმე სანახევროდაც არ ჰქონდა მოსტუმრებული, სოფლის ბილიკზე ფარიას გაანჩხლებული ყეფა გაისმა. უგემურად გაიხედა იქითკენ. არავინ ჩანდა. ვინ უნდა ყოფილიყო ამ დილით, უთენია?

ჯერ ცხენის თავი და მხედრის ქილოფის ქუდი გამოჩნდა, შემდეგ მეორე ცხენოსანი. ბუჯგამ წაიჩრდილა და ისე გაიხედა. მესამე ფეხდაფეხ ქვეითად მოდიოდა, დაოთხილი. ბუჯგამ თვალი აარიდა, ვინაიდან ამ სამი უცხო სტუმრის უკან ისევ ის მოჩვენება: რქებ ახლად აყრილი, ყურცქვიტა „ნუკარია“, მოაბიჯებდა. კისერზე თოკი ჰქონდა შებმული, რომლის დახვეული ბოლო იმ ქვეითს ხელში ეჭირა.

ბუჯგამ თვალი მოისრისა, რომ ცხადი და სიზმარი ერთმანეთისაგან გაერჩია. არაფრად ჩააგდო, რძით სავე ვედრო სადგომში დინჯად შეიტანა. გაკრიალებულ ქილაში გადაასხა ორთქლიანი რძე. ვედროს მამინვე წყალი გამოავლო და მაგიდაზე დადგა, ახლა დოინჯშემოყრილი გამოჩნდა კარის ზღურბლზე. სტუმრები მოახლოვებულიყვნენ, ვიღაც პალსტუხიანსა და ქილოფის ქუდიანს, საწვიმარი თხელი წამოსასხამით, უზანგებთან გაკრიალებული ფეხსაცმელი მოუჩანდა. აღვირი ისე მუშებულად ეჭირა და ისე უხერხულად მოიქნევდა წერილ წკნელს, ეტყობოდა, ცხენოსნობაში მაინცდამაინც გაწაფული არ უნდა ყოფილიყო. ეს კაცი, ნამდვილად, არასოდეს ენახა ბუჯგას და ახლა ცოტათი შეცბა კიდევ. ეგ მეორე ცხენოსანი? — უჰ! ეს ხომ ჩვენი თავმჯდომარეა! ის ქვეითი? მოიცა, მოიცა! ეგ ფერმის გამგე ხომ არაა? და უცებ... მენცარს რა დაემალებოდა? ერთბაშად ყველაფერს მიხვდა.

ბაწარშებმული შველი ხელიდან გაუსხლტა იმ ქვეითს და დაოთხილი ბუჯგასაკენ გამოექანა. მსუბუქად ახტებოდა ბუჩქებსა და ჭაგებს, ხის ვეება მორს გადაეველო. მაღალ კანკებზე შემდგარი, უკან რქებგადაყრილი, თავაწეული, ჩამოქნილი ტანის მოხდენილი რხევით, ნიავევით მოქროდა. სულწასული მოვარდა და ლამის წააქცია მოხუცი. არა, ეს მოჩვენე-

ბა არ იყო! ეს ნუკრია იყო, ნამდვილად! ბუჯგა კრწმეშვილი
შემოტრიალდა, შეფეთებულ შველს მიეხუტა და ერთ წუთში
მთელ ტანზე მოუფათურა ხელი. მერე ნორჩ რქებზე წაეჭიდა.
გულზე მთიკრა და გახევდა.

ამასობაში სტუმრები თავზე წამოდგომოდნენ. ბუჯგამ ტყი-
ურს ხელი შემოკრა. ნუკრია კუნტრუშით გაემართა თავის
სადგომში.

სულ ერთთავად გადაფითრებულმა ფერმის გამგემ უზანგს
სტაცა ხელი და სტუმარს ჩამოსვლაში შეეშველა. თან სულ
ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ა, ბატონო, ჩვენი მოწინავე მწყემსი, აგერ ეს კაცი! ნუ-
კრი ვილაც ბრაკონიერებს წაართვა, ჩვენც ხელი შევეწყვეთ,
გამოვზარდევინეთ. თუ ასე არაა, ჰკითხეთ, ბატონო! ანლა
თქვენი ჩამოსვლა რომ გაიგო, მაშინვე შვილიშვილის პირათ
შემომითვალა, არიქა, ეს შველი წაიყვანეთ და იმ კაცს საკად-
რისი პატივი ეცითო, მეც გავბრიყვდი და დაუჭერე. არ ვიცი,
რა ეშმაკი შემიჩნდა. თუ ასე არაა, ჰკითხეთ, ბატონო, აგერაა
ეს კაცი!..

„მენცარმა“ ისიც კარგად გაიგო, ვის გასაგონად ღაღა-
დებდა ასე ნირწამხდარი ფერმის გამგე. პირმოკუმული, გაშტე-
რებული იდგა და ამ სიტყვების ნახევარიც არ ესმოდა. მხო-
ლოდ ერთი რამ აოცებდა: ასე რად გადაფითრებულყო გუ-
შინდელი მოძალადე, სახე ეგრე რად წახდენოდა? ისეთი რა
უბედურება დასტყომოდა თავზე, რომ ისიც დავიწყნოლა,
ჯერ უცხო კაცი გავცნო და საჩივრისათვის მერე მოეხსნა თავა.

— ბუჯგა, გაიცანი, ეგ გახლავთ ჩვენი სტუმარი, თბილა-
სიდან... შენი ნახვა მოუხდა ძალიან... წუხელვე მოდიოდა,
ძლივს გავაჩერეთ და აი, ხომ ხედავ, უთენია გეწვიეთ... —
თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— გამარჯობათ, ბაბა, სასიამოვნო, მობრძანდით, თქვენი
ჭირიბე!

— მოსვლით კი მოვალ, მაგრამ ჯერ იმაზე უნდა მიპასუ-



ხო, შე აღამიანო, ეგეთი მშვენება გაგიზრდია და მერე და
საკლავად როგორ გაიმეტე?

პირმოკუმული ბუჯგა ხმას არ იღებდა. ფერმის გამგე კა
რატრატებდა და რატრატებდა:

— ეგ რაა, თქვენ სხვა რამეც ნახეთ! — ამ სიტყვებზე
ის წინ გაქანდა, ბოსლის კარი ლამის შეამტვრია და ერთ წუთ-
ში იქიდან ბაწარშებმული გვარდლა გამოიყვანა.

— აი, შეხედეთ? რა არის ეს? კარგად შეხედეთ, ასეთი
რამე სხვაგან თუ გეგულებათ? საიდან მოვიდა აქ? ვიყიდეთ?
იქნებ მოვიპარეთ? არა, ჩვენ ვიშრომეთ, ვეცადეთ, გავზარ-
დეთ!.. და ახლა მადლობის მაგიერ... — ლამის გული აუჩუყდა
გამგეს.

— კარგი, ჩემო ძმაო, სამი დღეა ყური გამომიჭედე, ახლა,
მგონი, იმ აღამიანს მივაგენი, რომელთანაც ლაპარაკი ღირს.
დამაცადე, ორიოდ სიტყვა მინდა ვუთხრა...

ბუჯგა კი ისევ კრიჭაშეკრული იდგა. სახეზე ცივი ღიმილი
დასთამაშებდა. დაოცებული თავის გამგეს სინანულით შეჭ-
ყურებდა, ჯერ არაფერს ამბობდა, მაგრამ გულში კი ათასჯერ
თავისთვის იმეორებდა: „ჰა, შე საცოდავო სვავო, აფთარო,
მელაკუდავ, ხომ ფითხარი ამ ნუკრიას ხელი არ ახლო, თორემ
კისერს მოიტეხ-მეთქი! ახია შენზე, ხომ ავიხდა? ახლა საფ
წამიხვალ!“ ამას ამბობდა, თან ეცინებოდა. იცინოდა ოირემეს
მთაც, გაღმა მუხის სამეფო. ბუბუნებდა და ხარხარებდა ტყით
დაბურული, გიქმაქი მდინარით ჩამუქებული ხეობა.

— მობრძანდით! — თქვა ბოლოს დარბაისლურად ბუჯგამ
და სტუმრებს კარავში შეუყვია...



ჩვენ სამნი ვიყავით, ტყისქათამზე ვნადირობდით გაძარ-
ცულ „ქორთოლში“. ამ ფრინველს ადგილობრივად „კვა-
თარს“ ეძახიან. ჩვენი ერთი ამხანაგი სვანეთიდან იყო, „ბალე-
ჩიშ ქათალ“ ყოფილა სვანურად, რაც თხმელის ქათამს ნიშნავს.
მართლაც, უფრო ხშირად მურყნალში ზის, ჭაობზე, და ჩიბუ-
ხის ტარივით გრძელ ნისკარტს ხან აქ ჩაჰკრავს, ხან იქ და
მიწაში ღრმად ჩასულ ჭია-ლუას ანკესზე წამოგებულებით
მალლა ამოიყვანს. ოქტომბრის ბოლოს მოფრინდება დასაზამ-
თრებლად ჩვენში, ზღვის სანაპიროზე, და სანამ აღამიანი და
პირუტყვი დააფრთხობდეს და მივარდნილ ტყეს შეეხიზნე-
ბოდეს, სოფელში ყოველი ღელის ნაპირზე, თხმელის ყოველ
კორომში, წყლით გაზიზინებულ თბრილებთანაც თავჩაქინ-
დრული ზის ნიადაგს შეფერებულ-შეხამებული და როცა ორ
ნაბიჯზე მიუახლოვდები, ფრთების ისეთი ტკრციალით და
ლაწა-ლუწით წამოფრინდება, გულს გაგიხეთქავს ხოლმე.

იმ აფხაზურ სოფელში რომ შევედი, გზაზე ბიჭუნა შე-
მოგვხდა, კამეჩებს მიერეკებოდა, შევაჩერეთ და ვკითხეთ:

— აციბლიკ იყოუმა?*

— აიეი, იყოუბ. — მხიარულად გაგვიცინა და კისერზე
ბელი გამოისვა, ვითომც საესეა, კისრამდეაო.

ოდა, სამზადი ცალკე, სასიმიინდე, წინ მინდორი, შუაზე ჭის
ოწინარით, ეზოში ბამბურა ძაღლი, ჩვილი ხბო, კრუხი წიწ-
ლებით და პალოზე გრძელი თოკით მიბმული გაზულუქებული
ცხენი. გვერდით ბოსტანი, ვენახი და ხეხილი. ერთი აგერ სახ-
ლობს, მეორე იქით, ცოტა მოშორებით. აი, აფხაზური კარ-
მიდამო. ღობეების ნაცვლად ზოგან „სორგი“, ბარდით ისე
შეკრული, ჩიტი კურკანტელას ვერ გამოიტანს. ეკალმორეული
თხილის ძველი პლანტაცია, აკაციის ახლად წამოქოჩრილი
ტევრები; ცხენოსნის სიმალლის გამხმარი გვიმრა და ჭანჭრობა.
ტყისქათამსაც, ძალიან თუ არ შეაწუხებს, ეს უყვარს, აღამიან-
თა საცხოვრებლის შორიახლოს.

* ტყისქათამი არის?

სურობით გაბოჭილ თხმელაზე შაშვეები ირეოდნენ, რო-
გორც პირველი ყინვის შემდეგ ქარის შემოქროლვაზე მოგზა-
ფატი ფოთლები ტყეში.

შაშვი მრავლად იყო, ხოლო ტყისქათამ-ბალუჩიმ ქათალ, კვათარ-აციბლიკზე ვერაფერს გეტყვით: მართალი გვითხრა იმ თმანუტუქა აფხაზმა ბიჭუნამ თუ მოგვატყუა. ამქვეყნად ყველაზე მეტ ტყუილს მონადირეები კადრულობენ, თუმცა არა სიმართლის დასაფარავად, როგორც სხვები, არამედ, პირიქით, მის გასაზვიადებლად, ამიტომ სამაგიეროდ არც მონადირეებს ეტყვიან ხოლმე ბაჯაღლო ოქროდ ღირებულ სისწორეს. თუ ვინმემ სადმე ერთი კურდღელი, ხოხობი ან ტყისქათამი ნახა, უსათუოდ ათად გახდის და ისე ჩაუწვეთებს ყურში ჩვენი ჭკუის კაცს.

მიშვებულ თხილნარში მეძებრებმა ტყისქათამი წამოაფრინეს. ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდამ იმ დღეს მეთაიდ ესროლა, პირველად მოახვედრა და ჩამოაგდო. ფალაგეში დაეცა, სქელ ეკალ-ბარდზე, ღობის გადაღმა.

— ჰეი! — თითქოს ტყვია მას მოხვედროდეს, ისე მრისხანედ დაიძახა ვიღაცამ იქიდან, — თოფს ვინ ისვრის მანდ? არ ხედავ, აქ ჩვენ დღეს ტირილი გვაქვს! ერთი დამენახვე, რომელი ხარ?

მიმოვიხედეთ და ახლალა შევნიშნეთ, აქედან მესამე ეზოში, სუროს მწვანე კედლის გადაღმა, ჩვენგან არც ისე შორს, ბრეზენტის „ფაჩატური“ იდგა.

დიდი ბოდიში მოვიხადეთ და, აბაჰა, სამივემ ტყისკენ მოგკურცხლეთ. არც იმ ახალბედა მონადირემ ისურვა ამას შემდეგ პირველი ნანადირევი ტყისქათამის ძებნა და ხელში აღება.

ხეებს რომ შევეფარეთ, მხოლოდ მათ შინ შეეჩერდით და უკან მოვიხედეთ. ახლა გარკვევით გვესმოდა წივილ-კივილი. ფალაგის ჩაბეკნილ ბარდზე ვიღაც ყაბალახიანი ახალგაზრდა შემდგარიყო, ტყისქათამი ხელთ აეღო და ყურადღებით ათვალიერებდა.

— ხედავ, ხომ მომიკლავს? — ნაპერწყლიანი თვალეები გამისწორა ჭაბუკმა.

— შე კაი კაცო, ტყისქათამს თუ თვალი შეასწარა
ლა ფანჩატური ვერ დაინახე?

მეძებრებს ჯაჭვი შევებით და ქალისაკენ ბილიკს გავუყე-
ვით. ის იყო სოფლიდან უკვე გავდიოდით, ტყეში ძახილი
შემოგვესმა. ყური მივუგდეთ, ჩვენ გვიხმობდნენ:

— ჰეჰეი, მონადირეებო, მოიცადეთ მანდ!

ის ყაბალახიანი ახალგაზრდა ცხენდაცხენ მოგვსდევდა.
ახლა კი შევწუხდით და ფერ-ფერი გვეცვალა. რა ვაწყენი-
ნეთ ისეთი, რომ უკან გამოგვიდგა და არ გვეშეგება? ბოდიში
ხომ მოვიხადეთ? სხვა რაღა ვქნათ? რა გზა გვექონდა, გავჩერ-
დით, ჭენებ-ჭენებით წამოსულმა ცხენი შორიახლოს შეაჩე-
რა, სწრაფად ჩამოხტა და ქვეითად მოგვიახლოვდა:

— უკაცრავად ვარ, ბატონებო, თქვენს წინაშე! რაკი მო-
კლულ ფრინველს თავაზიანობით ხელი არ ახლეთ და აქედან
წასვლასაც აპირებთ, დაბეჯითებით გთხოვთ, მობრძანდეთ და
პატივი დაგვდოთ, თვითონ გარდაცვლილიც დაუდევარი მონა-
დირე იყო და იმედი მაქვს, არ გამაწბილებთ...

ამას ისეთი ალალი გულით გვეუბნებოდა, უარის თქმა
შეუძლებელი იყო. ჩვენს წეს-ადათში, ზოგჯერ სრულიად უბ-
რალო წვრილმანში, უფაქიზესი წესიერებაა ჩაქსოვილი, მხო-
ლოდ ჩვენთვის მისახვედრი და უცხო სათვის გაუგებარი.

„მოკლულ ნადირს ხელი არ ვახლეთ და, მაშასადამე, ამით
მიცვალეხულს პატივი ვეცით“. თუმცა თოფის გასროლა სა-
წყენია, როცა მეზობელს უჭირს, მაგრამ ჩვენ დანაშაული გა-
მოსყიდული გვექონდა. და ჭირისუფალი ამაზე პატივისცემით
გვპასუხობდა. ეს ფაქიზი ვითარება იშვა თავისთავად, უბრალო
შემთხვევის გამო, ორივე მხარე მადლიერი იყო და ერთმანეთს
შევეყურებდით, როგორც ძველთაძველი მეგობრები.

ვინაობა გამოვეკითხეთ.

— გამზრდელია, ბატონებო, ჩემი... ერთი სოფლელი კაცი
იყო, მრავალ ჭირნანახი, აწ ახალგაზრდაც არ ეთქმოდა...
ბევრი ვეცადეთ, მაგრამ, ეეჰ, რაღას ვიზამთ...



— რაკი გვთხოვენ, წავიდეთ, უხერხულია! — უფროსი კაბუკის გასაგონად ვთქვი.

— წავიდეთ!

— წავიდეთ!

ბილიკს ახლა ისევ აღმა აყვევით.

ის ჩემს გვერდით მოდიოდა. ეს იყო ტანაყრილი, წვერ-ულვაშით ახლად შებუმბლული, მაღალ მუხლებზე შემდგარი და შოლტივით მოქნილი კაბუკი. ცხენენჯის კოხტა ჩექმები ეცვა, მოსირმული ყაბალახით თავი წაეკრა და რომელიღაც კინოსურათში ნანახ მოჯირითეს მოგაგონებდათ. მხედარზე უფრო ამას ქარივით სწრაფი ოქროსფერი ულაცი გაფიქრებინებდათ, რომელიც ჩვენს უკან ფეხდაფეხ უბელოდ მოდიოდა და ვერაფრით ნაბიჯი ვერ შეგვიწყო. თითქოს ჭინკა უღიტანებდა, ეხამუშებოდა რაღაც, ფეხი ეშლებოდა. შეიცეკვებდა, შეიკუნტრუშებდა და სადავეს ხელიდან გამოგლეჯდა ქვეითად მომავალ მხედარს.

ასე შემთხვევით აუცხო ოჯახში აღმოვჩნდით.

პატივით მიგვიღეს. იარაღი და ძაღლები განზე დავტოვეთ და კუბოსთან რამდენიმე წუთით მღუშარედ ვიდექით.

„ფაჩატურის“ გასწვრივ შავებში ჩაცმული და შავი ნაჭრებით თავწაყრული მამაკაცები იდგნენ. მრგვალ მაგიდაზე გაწმენდილ-გავარვარებული ორლულიანი სანადირო თოფი და მბზინავი ვაზნებით გაქედილი ფალასკები იდო.

ოდნავ მოშორებით ბოძზე შესუდრული ცხენი იყო მიბმული. ოქროსფერი ფაფარი მრავალწყებად დაეწნათ, შიგადაშიგ შავი სატინის ნაჭრები ჩაეყოლებინათ, ლაგამის ღვედებშიც, შუბლის გასწვრივ, შავი ნაჭერი იყო ჩაბვეული. უნაგირიც შავად იყო მორთული. ჯიშიანი ყაბარდოული მაღალ კანკებზე იდგა, თითქოს სადღაც შორს, გაუძლის გზაზე, წასასვლელად გამზადებული. ცერებზე ტოკავდა, შნოიანად ირხეოდა, ოქროსფრად მბზინავ ნაკვთებს ათამაშებდა და ხანდახან წივილ-კივილში თავის მჭექარე ჭიხვისსაც გაურევდა ხოლმე.

ტირილსა და მოთქმას თავისი წესი აქვს. ქალები ერთმანეთს

იცლიან, აბა, ვინ უფრო საზრიანად იტყვის. მიყვარს მკვლას გდება. სისხლს ამიჩქროლებს ხოლმე ალაღმართალი მწუხარე სიტყვა. შორიახლო ვიდექი და ვუსმენდი. ბევრი რამის ვაგება შეიძლება ასე მიცვალებულის წარსულ ცხოვრებაზე. რაღაც დიდი ვაება გადახდომია თავზე ამ ოჯახის უფროსს, დიდი გაჭირვება და ვარამი გამოუვლია. ათ ვაეკაცსაც სახელად ეყოფა, რაც ჭირში მყოფს გაუქეთებია და მოუმოქმედებია და ყოველთვის თავისი გაუტანია, ამიტომ დღეს მკვდრად არ ითქმის! — აი, დაახლოებით ასეთი აზრი გამოსჭვიოდა ქალების „თვალუაში“.

ამ ეზოში შემოსვლისთანავე მე ერთი რამ მომხვდა თვალში. კუთხეში დაბალი, მომცრო სახლი იდგა, შიფერით გადახურული „ფაჩატური“ წიკარზე იყო მიშენებული და ფასადს მთლიანად ფარავდა. ასე რომ, წინიდან მხოლოდ სახურავიდან მოჩანდა. სამაგიეროდ ჭის ოწინარის გვერდით, ეზოს ფართო მინდორზე დიდი სახლის დანგრეული საძირკვლები შეინიშნებოდა. თუმცა ორმოები საგულდაგულოდ ამოევსოთ და მოესწორებინათ და ზედ ბალახიც წამოზრდილიყო, ნასახლარი მაინც გარკვევით ჩანდა. განსაკუთრებით ნაბუხრალი წამოზრდილიყო მალა და დახვავებულ შიშველ ქვითკირზე მწვანე სამოსს ფესვი ვერ მოედგა. არაფერი გულს ისე არ მაკლავს, როგორც ნაპარტახალი კარ-მიდამო და გადაბუგული საცხოვრებლის ბალავერი და ბუხარი.

ეს ქოხი ჩემს თვალში ქარიშხლით გადატეხილი მუხის ძირზე ამოსულ ახალ ამონაყარსა ჰგავდა, ჯერ კიდევ წელში გაუმართავს.

— რა მოუვიდა საბრალოს? — ვიფიქრე ქალების მოთქმით გულამღვრეულმა. — იქნებ აქ სახლი ედგა, გაუჭირდა რამე და ვაჰყიდა. ან, შესაძლოა, ახალმოსახლე შემოვიდა ნაპარტახალში და ჩამქრალი კერა აანთო. ან იქნებ მართლაც ხანძარმა გადაუბუგა და ოჯახი ცის ქვეშ დარჩა.

თვალთ დავეძებდი იმ ქაბუქს, რომელმაც მოგვიწვია, მაგრამ ის არსად ჩანდა.

ჩემსავით ახალგაზრდას, რომელმაც ეს-ესაა სწავლა

დამთავრა და სულ რამდენიმე თვეა რედაქციაში სამუშაოდ
ფეხი შემოდგა, ცნობისმოყვარეობა ეპატიება და მე ისევ
აფხაზურ „ამუტკუმას“* მივუგდებდი ყურს.

ერთი ვიღაც გოგონა ხშირად მოთქვამდა, რალაცნაირად
გამომწვევი ხმა ჰქონდა, საამოდ სასმენი. ყოველ ახალ სათ-
ქმელს „მამიკო, მამათი“ იწყებდა და დამსწრეებს მღულარე
ცრემლებს აღვრევინებდა.

— ეგრე, ეგრე, ნათელა, იტირე, იტირე, შენი სახელოვა-
ნი მამა არა გყავს, იტირე, შენ შემოგველე, მამა დაიტირე!

მწუხარება ხომ შავი სენივით გადამდებია. თანდათან გუ-
ლი დამიძიმდა და თვალზე ცრემლი მომადგა.

— საწყალი, რა გულსაკლავად ტირის! — გავიფიქრე ჩემ-
თვის და ფანჩატურისკენ მივიხედე. ძაძებში გახვეული, თმა-
ჩამოშლილი, ცულხელდაკრეფილი გოგონა იდგა და მისი
ცრემლები ზღვას შეერთვოდა.

უცნაურმა სურვილმა ამიტანა, რით შემეძლო დავხმარე-
ბოდი, ჭირ-ვარამი გამენაწილებია, მძიმე ტვირთი შემემსუბუ-
ქებია. კიდევ და კიდევ ვუსმენდი, ისევ და ისევ ვუყურებდი
და ვაკვირდებოდი, როგორ დაბალუბით სცვიოდა ცრემლები
თავი ძლივს შევიკავე. ფიქრს გავყვევი. მიცვალებული სამოც-
დაათ წელს გადაცილებული მოხუცი იყო. ეს გოგონა ჩვიდმეტ-
თვრამეტი წლისა ჩანდა და სულ „მამიკო მამას“ გაიძახოდა.
ალბათ, ყველაზე უმცროსი შვილია, ან ძალიან გვიან დაქორ-
წინებულა, როგორც ბევრს ჩვევია.

აღგილი შევინაცვლე, ფანჩატურში შევედი და ბრეზენ-
ტის კედელს, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, უჩინრად გავეკა-
რი. ახლა ახლოდან შევეყურებდი ამ გოგონას. კისერი და ლო-
ყები ჩამოკაწრული ჰქონდა, თვალები ტირილისაგან გაწით-
ლებოდა, წაბლისფერი დალალი წელამდე ცემდა. ამ შავ ძა-
ძებს შნო და ლაზათი ვერ დაეთალხა. არასოდეს მენახა ახალ-
გაზრდა ქალი უდიდესი სევდით ასე გულმოკლული და მიწას-
თან გასწორებული. და სწორედ ეს... მეშინია არ გამკიცხოთ,
მე მინდოდა მეთქვა: ეს ძაძა და მწუხარების ასე ღრმად განცდა

* მოთქმა.

რალაცნაირად კიდევ უხდებოდა ამ გოგონას და მე სწორედ
ეს მომეწონა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამან მიიპყრო
ჩემი ყურადღება პირველად.

უკეთილშობილეს კაცსაც კი ყოველთვის თან ახლავს, ალ-
ბათ, მცირეოდენი ადამიანური მწიკვლი, უხსოვარ წინაპართა
მიერ ნაანდერძევი, რომელიც გვაქეზებს გადავდგათ შეუ-
ფერებელი ნაბიჯი და ჩვენ ზოგჯერ უნებლიეთ მივყვებით კარ-
ნახს. თუ არა ეს, მაშ, რაღა მისდოდა ახლა აქ, ამ უსაზღვროდ
მწუხარე გოგონას გვერდით.

დარცხენილი გამოვედი ფანჩატურიდან, მაგრამ თან გა-
მოვიტანე ამოუცნობი და იღუმალი თრთოლვა გულისა, რო-
მელიც უკვე მოსვენებას აღარ მაძლევდა.

ერთ ხანს გაბრუებულობით ვიდექი კიდევ და „ამუტკუ-
მას“ ყურს მივუგდებდი. შემდეგ ეზოში აჩქარებით იმ ნაცნობ
ჭაბუკს დავუწყე ძებნა, რომ ოჯახის ავანჩავანი გამეგო. ერთ-
გან, შექუჩულ ხალხში, შევნიშნე ის და მაშინვე შევება ვიგრ-
ძენი. მოკრძალებული ახალგაზრდა რიღით მომიახლოვდა გან-
ზე გავიყვანე და რამე სხვანაირად ექვი რომ არ აეღო, ძალაან
შორიდან დავიწყე:

— ბოდიში, ძმაო, თქვენი სახელი?

— მუშნი, ბატონო!

— სასიამოვნო, ჰო, ძმაო მუშნი, აქ რალაცა დიდი სახლას
საძირკვლებს ვხედავ, ეგ რალაა, ალბათ, გაყიდა თუ რაა? —
ისე სხვათაშორის ვკითხე, რომ ზრდილობიანმა ახალგაზრდამ
მოკლედ მომიგო:

— დასწვეს, ბატონო!

— როგორ თუ დასწვეს, ისეთი მტერი ვინა ჰყავდა?

— არა, მტერი და მოსისხლე არავინ ჰყოლია, ყველას უყ-
ვარდა ცხონებული. სახლში წლობით არავინ ცხოვრობდა. ეჰ,
რომ გითხრათ, შეგეცოდებათ, და აი, ერთ ღამეს გაუჩნდა
ცეცხლი და დაიწვა...

— როგორ თუ გაუჩნდა? ვინ გაუჩინა? თავისით ხომ არ
იფეთქებდა ცეცხლი? — გავიკვირვე მე. — ან როგორ თუ
ოჯახში წლობით არავინ იყო? დედა, მამა, მეუღლე, ძმა ან და,
ნუთუ არ ჰყოლია?



— ეჰ, რომ იცოდეთ, შეგებრალეხათ... — ისევ გასწავლია რა მუშნიმ და ხელი ჩაიქნა. — საქმეც იმაშია, რომ არავინ ჰყავდა, თვითონაც რვა წელი დაკარგული იყო, ბატონო, და აბა, სახლს უვნებლად რა გადაარჩენდა? — ძუნწად მომიგო მუშნიმ, მე კი იმ ამბავმა უცებ იმდენად დამაინტერესა, თანამოსაუბრეს მკლავში ხელი გამოვდე და ღობის გასწვრივ დაგებულ ჩამოსაჯდომისაკენ გავემართეთ; ჩემი ვინაობაც მოგუშველიე, რომ ჭაბუკისათვის კრიჭა გამეხსნა:

— მე რედაქციაში ვმუშაობ, მუშნი, ეურნალისტი ვარ, ღიდი ხანია მსურს რომელიმე აფხაზურ სოფელზე ნარკვევი დავწერო. ერთი ეს ამბავი კარგად მომიყვები, თუ კაცი ხარ, ძალიან დამაინტერესა, იქნებ გამომადგეს...

ჩანს, ჩემმა სიტყვებმა საჭირო შთაბეჭდილება მოახდინეს, ცნობისმოყვარეობით ამხედ-დამხედა და ფიქრს მიეცა:

— ნამდვილად, ნამდვილად გამოგადგებათ!.. ჩემი გამზრდელი ისეთი ვაჟკაცი იყო, მისი ცხოვრება ისე საინტერესოა, უსათუოდ უნდა დაწეროთ!..

ერთბაშად შევეუხმატკბილდით ერთმანეთს და სხვებისაგან მოშორებით გრძელ სკამზე ჩამოვჯექით.

— თქვენ მერე მიბრძანდით და ფანჩატურში შორიდან მაინც ნახეთ ქალბატონი ქეთევანი, მეუღლე! ახლა კი სიყვარულის საოცარ ამბავს მოგიყვებით... მაგრამ ჯობია, სულ თავიდან დავიწყო... ამქვეყნად თუ რამე დასაწერია, ჯარნასა და ქეთევანის სიყვარული ბევრს სამაგალითოდ და ჰკუის სასწავლებლად გამოადგება, თუ კი დააკვირდება... — შეჰყვა ამბავს მუშნი. ის ლაპარაკობდა მშვიდად, ეტყობოდა, ალბათ, აღრეც ბევრჯერ ჰქონდა ეს ნაამბობი. უბორძიკოდ და დალაგებით გადმოსცემდა სათქმელს, მე კი სულგანაბული მივევლებდი ყურს.

* * *

ჯარნასი (უკვე რამდენჯერ მესმოდა ეს სახელი მოთქმით, კვილით და გოდებით თქმული) უბედურ დღეზე ყოფილა



დაბადებული. უბედურ დღეზე, შაგრაჰ ამავე დროს, მგზავნი
 ლება ითქვას, ბედნიერ დღეზეც. გაჩენიდან ქირი და ფანტე-
 რაკი ფეხდაფეხ სდევდა, მაინც თავისი გაიტანა, თავისი წილი
 ბედნიერება ხელიდან ძალით გამოსტაცა ცხოვრებას და ან-
 ქვეყნის ვალში არ დარჩენილა. ხუთი წლისამ თურმე დედ-მამა
 დაკარგა. მამა ყაჩაღმა მოუკლა ტყეში, დედა მწუხარებას
 გადაჰყვა. ობლად დარჩენილი ბავშვი ბებიას გაზარდა. თექვსმე-
 ტი წლისამ სამაგიერო მიუზღო მამის მკვლელს. გზაზე ჩაუ-
 საფრდა, როცა მოსისხლე გამოჩნდა, წინ გაბედულად შეე-
 გება. ჯერ თავი გააცნო, ესა და ესა ვარო. — რა გინდა მერე
 ჩემგან, შე ძაღლის შვილო? — შეპლრიალა სიკვდილის მთეა-
 ველმა და მათრახი გადაუჭირა თავზე. ჯარნასს სულაც არ
 ტყენია, თუმცა სახე შუაზე ჰქონდა გაპობილი, ელვის უსწრა-
 ფესად სტაცა ხელი ცხენის ფაფარს, კატასავით შეხტა და
 ისე სწრაფად იშიშვლა სატევეარი, ორღესულმა მზეზე გაელვე-
 ბაც კი ვერ მოასწრო, ოცი წლის ნაყაჩაღარი ღრიალით დაეშვა
 ძირს. გაგიყებულ ქურანს ზედ მოახტა უშიშარი ყმაწვილი და
 სასაფლაოსკენ გააქროლა. მამას ჩასძახა, მოვკალი შენი სისხ-
 ლის მსმელიო. შემობარუნა ცხენი და იმავე წუთს, თითქოს
 მიწამ პირი უყო, უკვალოდ გაქრა...

ხალხი რომ მოსცვივდა, მკერდში დაჭრილი ყაჩაღი გზაზე
 ეგდო და სულს ღაფავდა. დიდსა და პატარას იმას ეხვეწებო-
 და, იმ ბიჭს ხელი არავინ ახლოსო, ამით, ალბათ, თავის ცოდ-
 ვებს თუ ინანებდა. იმ დღეს მანაც მოისვენა და სოფელმაც!
 ჯარნასს ყველასაგან მადლობა ეთქმოდა. უცებ გაუვარდა კარ-
 გი ვაჟკაცის სახელი.

მშურისძიება გულში რომ ამოიჭრა, ბოლო ხანს ოჯახს თავი
 ანება, ახლაც ცოტა ადროვა ამ ამბავს მიწყნარება და მერე ბე-
 ბიასთან დაბრუნდა ერთი წლის შინმოუსვლელი.

— ასეთია, ბატონო, მისი ბავშვობა! — მიყვებოდა მუშაი.

წამოიზარდა, დამშვენდა, სროლასა და ჯირითში უფრო
 გაიწაფა. უმიზეზოდ ჭიანჭველასაც ფეხს არ დაადგამდა, ისეთი
 უწყინარი კაცი იყო. ამიტომაც ყველას უყვარდა, თავისი საკუ-
 თარი ბედ-იღბლის გამოკლებით. ბედს არ უყვარდა. დაიწყო



ომი. ჯარში წაიყვანეს. ხუთ წელიწადს პირველ ომში იბრძოდა, რვა წელიწადს — მეორეში. ორივე ომში დაიკარგა კაცი და დაიღუპა. იღუპვს მკვდრად, შეიცხადეს და გამოიტირეს. ის კი ცოცხალი იყო და თავის ქვეყნიდან შორს, შორს ფეხზე იდგა და მხოლოდ შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა. ახლაც აქვთ აქ, ოჯახში, ძველი სურათები, შეიძლება ნახოთ და რამეში გამოიყენოთ. პირველი ომიდან სურათი რომ გამოაგზავნა, თოფზე ზედ მოგრიძო დურბინდია დამაგრებული. სამას მეტრზე გაფრენილ ჩიტს ახვედრებდა კაკალ ტყვიას. წერილიც გამოგზავნა, მაგრამ იმ დროისათვის ბებია თვალდახუჭული იწვა საფლავში. ფაცხა ქარმა წააქცია, ღობე დაეცა, ეზოს ქვერი მოერია. ვენახი მოუვლელობით გაოხრდა, საქონელი შეესია და მოსპო. წერილი და სურათი ნათესავებმა ბებიას სუდარაში ჩაუდგეს. სამი წელი მერე ბაიბური არ ისმოდა. გამოიტირეს, გამოიგლოვეს და, როცა ყველას იმედი გულიდან ამოერეცხა, ჯარნასიც მაშინ გამოჩნდა. ნასახლარი გადაჯეკნილი დაუხვდა. წელში გამართვა ვინ აცალა? მომდევნო სამი წელი აქ, აფხაზეთში, თოფი და ხმალი ხელიდან არ გავარდნია, როცა უკუღმაგაქვდილნი ძმათა შორის შუღლსა და ხოცვა-ჟლეტას თესდნენ. მერე ის იყო, ისევ მოიდგა ფეხი, წელში გაიმართა, მშვენიერი სახლიც დადგა... ერთ რამეში შეცდა უბედურა, მაშინვე შეერთო ცოლი! აკი გულის სწორი ჰყოლია ბავშვობიდან, რაღას აყოვნებდა? ის თუ ეგონა, ოჯახის უკეთ მოწყობა დასცალდებოდა.

მეორე ომიდანაც სურათი გამოგზავნა, ახლა ავტომატი ეჭირა ხელში. ისევ ტყვიას ტყვიაში აჯენდა თურმე, ცალკე იჯდა თავისთვის და ასამდე მომხვდურს სულ თითო-თითოდ მოუსწრაფა სიცოცხლე. წერილი მოიწერა და კაცი დაიკარგა-შეკითხვები და განცხადებები აფრინეს ნათესავებმა. დაიკარგაო, იმათმაც დაგვიდასტურეს. თურმე მთლად მართალი არც იქ იციან. ომი გათავდა, ჯარნასი არსად ჩანდა. კვლავ ობლად დარჩა ფანჯრებაქვდილი ოდა. ეზოს ისევ ქვერი მოერია, ბალახ-ბულახი წამოიზარდა, ღობე დაეცა. სახურავს ჯერ ერთი ყავარი ააგლიჯა ქარმა, მერე მეორე. უპატრონო ოდას შემოღამებული მგზავრები შემოეჩვივნენ, რიკულები დააქე-



რეს და დაწვეს. და ერთხელ, შუალამით, ხანძარმა იფეთქა და სანამ მეზობლები მოვარდებოდნენ, აღმოდებული დეველი ძირს დაეცა. მეორე დღეს ბავშვები ტუტა-ნაცარში გავარვარებულ ლურსმნებს ჩხრეკდნენ. ფერფლი წვიმამ ჩარეცხა. ნახშირი უთოსთვის, გარუჯული კოჭები შეშად წაიღწაოილეს. დიდხანს იდგა ზედა გვიმი ჭაზე და აკაციის უჯაკვო და უვედრო ოწინარი, როგორც ყვაეების საფრთხობელა. ვილაც ხელმრუდემ ბოლოს ის გვიმიც მოაძრო ჭას და ამით გველ-ბაყაყს ხაფანგი დაუგო ეზოში. ცვიოდნენ და ცვიოდნენ შიგნით, ამოსასვლელს ვერ პოულობდნენ, წყალი ჩაღბა, ჩაბინძურდა. ქვით ამოავსეს, რომ ვინმეს ფეხი შიგ არ ჩასცდენოდა. კოლმეურნეობამ ეზო მოასწორა, ღრმად გადახნა და ზედ ნესვი და საზამთრო დათესა. კარგად გაიხარა ოდის ფერფლსა და ნაცარზე. და აი, განვლო ომის შემდეგ კიდევ ერთმა წელმა და დეკემბრის წვიმიან ღამით ვილაც შავბუშლატიანი მოადგა კოლმეურნეობის სანესვეს. შუალამე გადასული იყო, გულგამგმირავი კივილი რომ გაისმა. შეშინებული მეზობლები ფარნებით მოცვივდნენ ნასახლარში. ნაბუხრალზე შავბუშლატიანი კაცი იდგა და კიოდა. როცა გამოელაპარაკნენ და დაკარგული ჯარნასის საფლავიდან აღგომა დაიჭერეს, შეიქნა თოფების ცეკა-ქუხილი. თურმე უკანასკნელ ხანს სადლაც, ჩრდილოეთში, იწვა ჯარნასი. სანამ თავისი ჭრილობა შეუხორცდებოდა და ფეხზე დადგებოდა, დრო გავიდა...

ბევრი ეპატიუეს და ეხვეწეს, ეზოდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს. ნაბუხრალზე კერია აანთო და ღამე იქ გაათია, თხრილებში ძილს შეჩვეულმა.

მეორე დღეს უშველეს, ფაცხა მოლობეს, გვიმრით გადახერეს. ერთ კუთხეში ლეიბად თივა დაიყარა, საბნად ბუშლატი მოიხურა. არამც და არამც ლოგინი არ ისურვა. ასეთი ვაჟკაცი იყო ცხონებული.

— ახლა სიყვარულის ამბავი! — გაცინა მუშნის. საცოლლე ჰყოლია, ოცდაორი წლის ქეთევანი, ჩვენი სოფლის თვალი. ნამუსი შეუნახა საქმროს. დიდებული ვაჟკაცები ეძლეოდა. თვალითაც არ შეხედა სხვა საბედოს. ერთი უკვირდათ,



შავებში ჩაცმული დადიოდა ქალიშვილი ბოლო წლებში. გამოიძიეს, გამოიკითხეს, მაგრამ ქალის გული და უფსკვეთი ზღვა ხომ ერთია, ორივე ამოუცნობ საიდუმლოს იტევს. ხუმრობით „ქერივი“ შეარქვეს და თავი დაანებეს. თურმე ნაპარტახალ ეზოში ჩუმაღ, მალულად შეიპარებოდა, ისე, რომ კაციშვილს არ გაეგო, ნახანძრალზე ჩამოჯდებოდა, მწარე ცრემლით გულს მოიოხებდა და მერე აჩრდილივით გაქრებოდა ბნელში. მშობელ დედასაც კი არაფერი ცოდნია ამ საოცარ სიყვარულზე! ყველაფერი იმ ბნელი ღამის შემდეგ გამოირკვა. დიდებულ ოდაში ვერ იქორწილა ჯარნასმა, კარგად მოწყობილი არა ვარო, ახლა წკნელის ფაცხაში გაბედნიერდა მესამე დღეს. დანარჩენს თქვენც ხედავთ. ოჯახი ისევ ფეხზე დააყენა, კალაპოტში ჩადგა, შვილებიც წამოეზარდა, ცხოვრობდა როგორც სხვები, თითქოს ცუდი არც არაფერი შემთხვეოდეს და გადახდომოდეს. აწ ბედნიერი იყო და დასანანია, რომ არ დასცალდა.

— მართლაც დასანანია! — სულით და გულით მივეცი დასტური, — ასეთ კაცს დაკარგულის ანაზღაურება უნდა დასცლოდა... შვილები თუ დარჩა? — უცებ შევაბრუნე სიტყვა.

— ჰყავთ, როგორ არა...

— ის უფროსი ქალიშვილია, ალბათ...

— რომელი? — გაცუებით შემომხედა მუშნიმ. ჩანს, ამას არ მოელოდა ჩემგან.

— იქ რომ ზის და მოთქვამს... წელან ყური მივუგდე და ძალიან შემეცოდა...

პასუხი შეუგვიანდა ჰაბუკს. შეკითხვა რალაცნაირად ეჩოთირა და უნდოდ შემომხედა. ცივად ავათვალეირ-ჩავათვალეირეთ ერთმანეთი. რალაცას, მგონი, მაშინვე მიმიხვდა გულთმისანი და ხმა ერთბაშად ეცვალა.

— დიახ, უფროსი ქალიშვილი გახლავთ. — ისე უხერხულად მიპასუხა, შევყოყმანდი, არ ვიცოდი, კიდევ მეკითხა რამე, თუ გავჩუმებულიყავი. მაგრამ, რაკი გულს სარქველი ავხადე, მერე თავი ვერ შევიკავე.

— სწავლობს სადმე?

ახლა უფრო შემეგვიანა პასუხი, კოპები შეკრა, მჭრელები ისე კეთილად გამიღიმა, ყოველგვარი ეჭვი ერთბაშად გამიფანტა:

— არა, უკვე დაამთავრა საშუალო, ახლა ფერმაში მუშაობს...

იმ გულახდილმა და მიაბიტმა ღიმილმა თუ ამადგმევინა ენა, ანგარიშმიუცემლად მივუგე:

— ძალიან კარგი გოგოა, ძმაო, გათხოვილია?

— არა, რა დროს ეგ არის! — მომიგო იმავე გატეხილი ხმით, თან ამოიოხვრა და დაუმატა: — აწ, მამის შემდეგ, ერთ ხანს ვერც გათხოვდება...

სხვა შვილებიც მოვიკითხე, რომ მუშნისათვის ჩემი გულსთქმა დამეფარა. ორი მომდევნო თითო-თითო წლით უმცროსი ძმები ჰყოლია, სულ პატარა, ხიმცა, თურმე პირველ კლასში სწავლობდა. ყველაფერი ეს ყურშიც არ შემდიოდა, გული ისე ტკბილად და საამოდ მიძგერდა:

— რა ჰქვია იმ გოგოს? — ვკითხე უცებ, რომ რამე შეცდომაში არ შევსულიყავი და ნამდვილად გამეგო, ვინ ჰყავდა მუშნის მხედველობაში. ეს უნებლიეთ მომივიდა. არ უნდა მეტქვა.

დიდი მიხვედრა საჭირო არ იყო. მუშნი ისე შეიმუშნა ადგილზე, ჩემი სკამი მებატარავა, მაგრამ იმავ წუთს, თითქოს ბოდიშს იხდისო, კვლავ კეთილად გამიღიმა:

— ნათელა!

— ისაა! — გულის ფანცქალით გავიფიქრე ჩემთვის.

არ ვიცი, რით გათავდებოდა ჩვენი საუბარი, მაგრამ ამ დროს ერთი თავაზიანი მოხუცი მოგვიახლოვდა და მუშნის უთხრა, შვილების სადღეგრძელოს ამბობენ და სეფაში გიხმობენო.

— თქვენ ბრძანდებოდით იქ? — მკითხა მოხუცმა.

— არა, ეს რა საჭიროა! — მივუგე ხმადაბლა.

— წამობრძანდით, ბატონო, ერთი ჭიქით შესანდობარი დალიეთ... — მუშნიმ მკლავში ხელი გამომდო და მიმიპატიჟა.

წამოვედით.

სეფაში, ვიღაც ბერიკაცის გვერდით, რომელსაც ღვინით სავსე ჭიქა ხელში ეჭირა და დამარცვლით ლაპარაკობდა, ოთხი შავადმოსილი ახალგაზრდა იდგა.

ნათელა პირველი იყო. ასეთი ლამაზი, ყველაფრით შემკული გოგონა ჯერ არ მენახა. და სანამ მოხუცი სიტყვას ამბობდა, მე მისთვის თვალი არ მომიშორებია.

— შეხე, შეხე! ქეთევანის ქალიშვილობა ხომ გახსოვს, წვეთი წყალივით თუ არ ჰგავს დედას! ვაშლი რომ შუაზე გაჭრა. როგორ აიყარა ტანი ამ გოგონამ? ქეთევანი ამ ხნას იყო, ჯარნასი რომ შეიყვარა... მეტი არ იქნებოდა. და რა გააკეთა, ქვეყანა გააკვირვა! — უჩუჩულა მანდილოსანმა მეზობელს. ეს კი გავიგონე. მერე კი არ ვიცი, რაზე მუსაიფობდნენ ისინი, ისე წამიღო ფიქრმა.

ჩემი ჯერი რომ დადგა, დანადაკრულივით შევქანდი და ხელი ჭიქას დავავლე...

— იბედნიერეთ, ახალგაზრდებო, ღმერთმა სიმწარე გაშოროთ, სიტკბო მოგცეთ... მამის ამაგი... მამის ამაგი არ დაგევიწყოთ... — ნამდვილად ენა დამება და მეტი ვერაფერი ვთქვი. ნათელამ თვალი გამისწორა და თითქოს რაღაც მეტკინა შიგნით, მკერდის არეში. გულზე გამკრა სამართებელივით მჭრელმა და ყინულივით ცივმა.

— გმადლობთ! — მოკრძალებით თავი დამიკრა ნათელამ და წუთით თვალი რომ გამისწორა, ტკბილმა ყრუანტელმა ძვალ-რბილში გამიარა. ჩემი სიტყვები მას არ გაუგონია! მე ისე ებორძიკობდი, რაც ვთქვი, ყველაფერი ქარს გავატანე.

მერცხლის ფრთებივით გაფრენილი წარბები და უსაზღვრო სევდით ამოვსებული თვალები შემომმცქეროდნენ და მე ისე დავიბენი, სკამზე სახტად ჩამოვჯექი.

— აბა, ნეტავი რა შეედრება, უკანასკნელი გამომშვიდობების დღეს ასეთი მშვენიერი ახალგაზრდები თავზე რომ დაგადგება. რომელი განძი სჯობია? ხომ ვნახეთ, სახლი ერთ დღეს დაიწვა, ასეთი შვილების მამა კი მკვდრად არ ჩაიჯულებოდა... — ხმამაღლა ამბობდა ვიღაც სეფის მეორე კუთ-



ხეში. ეგეც გავიგონე, თუმცა განუწყვეტლივ სხვას
რობდი.

ისევ ჭიხვინებდა ეჭოში შესუდრული ცხენი. ქარი გლეჯ-
და სეფის სახურავს, ნელ-ნელა ეშვებოდა მზე ოქროთი მო-
ვარაყებულ ზღვაში. „ძმაო, ძმაო, ძმაო“, — მოთქვამდა ვი-
ლაც გამწარებული ქალი ფანჯატურში და მე ვიგრძენი, რაღაც
საოცარი ცვლილება მოხდა ჩემში ამ წუთს. და ეს ოჯახი
ერთბაშად ახლობელი და მშობლიური გამიხდა. და მე საერ-
თოდ შემთხვევით კი არ მოვედი აქ. ალბათ, ჩემმა იღბალმა
მომიყვანა და ამიერიდან არ არსებობდა ისეთი ძალა, როკე-
ლიც აქედან ფეხს მომაცვლევიანებდა. ეს რომ გავიფიქრე, უსა-
ზღვრო ბედნიერებამ ამავსო და ერთბაშად გული ფურცელ-
ვით დამიმჩატდა.

ნათელა იდგა და ტიროდა.

— ყველამ მიირთვით? — მშვიდად იკითხა ბერიკაცმა.

ტაბაკმა ყრუ დუღუნით დასტური მისცა.

— მაშ, ბატონებო, ნება მიბოძეთ ორი სიტყვა კიდევ
ვთქვა და ამით გავათავებ. — შეცვლილი ხმით განაგრძო მან
და მოზრდილი შეკვრა ხელთ აიღო. რაღაც ნივთები ქალაღ-
ში სათუთად იყო გამოხვეული. როგორც ჩანს, აქამდეც იქვე
ჰქონდა. მოწიწებით დაიდო მარჯვენა მკლავზე და კრძალვით
აპხედ-დახედა. ამან იმდენად დამაინტერესა, სანახევროდ წა-
მოვდექი. რა უნდა ყოფილიყო? იმ სიშორიდან რას გავარ-
ჩევდი. ისევ ჩამოვჯექი, მაგრამ მოხუცს თვალს არ ვაშორებ-
დი, ბერიკაცმა ყრუდ ჩაახველა.

— სახლის გამო უკვე გითხარით, ბატონებო! სახლი ვერ
გაიშენა. მოენდომებია და ყველაფერი დანარჩენისათვის უა-
რი რომ ეთქვა, ოდას კი არა, ჯარნასი ქარვასლას აიგებდა.
ცოტ-ცოტა ფულს აგროვებდა ვითომ სახლისათვის... ცხენი
მოსწონებოდა. აი, ეს ცხენი. მაშინ ფაშატი იყო. სახლი ასე
თუ ისე, ჰადაჰა, კიდევ ჰქონდა. ჩვენებური კაცი კი უცხენოდ
საბრალოა, დაჩიავდება, ცოცხლადვე ჭია-ლუა გულს დაუხ-
რავს, ტოლებში გემოზე ვერ გაითამაშებს. ჰაიტ, ბაბა, გაქ-
როლებული ფლოქვების თქარათქური, ძუის სისინი და თვალ-



აწყვეტილი ჭიხვინი. კარგი ცხენი, ბაბა, ჩვენებურ კაცს სკანდალი
 ლავიდანაც ამოიყვანს. პოდა, აი, სახლის ფულით ფაშატი
 იყიდა და გაზარდა. დღეში ორჯერ ჩაჰყავდა კოდორში ზამ-
 თარ-ზაფხულ საბანაოდ, ჯიბით საჩუქრებს დაატარებდა, შვე-
 ლებში არ ჰყავდა გამორჩეული, სულში მიზიხარო, რომ იტ-
 ყვიან, ეგ იყო. ისეთი მარულა არ ჩაივლიდა, პირველობის
 ყაბალახი თავზე არ წაეკრა. თავის ბედაურს კაცურ ენაზე
 ელაპარაკებოდა და ცხენსაც ნახევარ სიტყვაზე მისი ნება-
 სურვილი გაგებული ჰქონდა. აბა, ალია, ალია, შენი ჭირიმე,
 კიდევ ერთი ნაბიჯიც! და ცხენსაც ესმოდა, კისერს წაიგრ-
 ძელებდა, ბურთივით შეიკუმშებოდა და წინ გავარდებოდა,
 ფაფარზე ცეცხლწაკიდებული. ეს იყო ნამდვილი ჯადოქრობა,
 ყველამ კარგად იცით და თავს ბევრს არ მოგაწყენთ. სწორ-
 უპოვარი მოჭირითე იყავი შენ, ჯარნას, და გული იმდენად
 სავესე გქონდა სიკეთით, ორ მშვენიერ ახალგაზრდას შეასმი-
 ნე კიდევ ცხენოსნობის ყადრი. ეს ორი ბავშვი მოგეწონა შენ,
 შეგიყვარდა და მათ სახსოვრად დაუტოვე ის, რაც ყველაზე
 ძვირფასად მიგაჩნდა. ახლა, ბატონებო, ეს ყმაწვილები ამ
 ოჯახს ვაჟიშვილებად ეკუთვნიან. თუ მათში რაიმე კარგია, ის
 ჯარნასის წყალობითაა. გაზარდა, გაწაფა, კარგად იყვენენ!

მუშნი თავდახრილი და გულხელდაკრეფილი იდგა მოხუ-
 ცის წინაშე. მეორეც გვერდით ამოუდგა, ისიც ტანკენარი
 იყო, წერწეტი, მკერდგანიერი, კანჭებიანი. გაკრიალებული
 ვიწრო ჩექმები ეცვა, შავგვრემანს მოშვებული წვერ-ულვაში
 უჭდებოდა, მხოლოდ მუშნიზე უფრო ტანმორჩილი იყო და
 წლოვანებითაც უმცროსი ჩანდა.

— შეილებო! — ხმადაბლა მიმართა მათ მოხუცმა, —
 დღეს დამწუხრებულმა ოჯახმა სახსოვრად მოგართვათ თქვენ
 ცოტა რამ საჩუქარი. თვით დიასახლისისა და უფროსი ქა-
 ლიშვილის, ნათელას, ნახელაეი: თავის მამის სიცოცხლეშივე
 სირმით გაწყობილი ყაბალახები, მოქარგული ხალათები, პირ-
 სახოცები და აბრეშუმის ფოჩებიანი ქაშრები.

თვალნათლივ დავინახე, მუშნის შეაყრეოლა, შეტოკდა
 ჰაბუკი, თითქოს მუხლი მოეკვეთა, მადლობის გამოსახატავად

თავი ძირს დახარა და მაშინვე შებრუნდა. შებრუნდა სწრაფად გასწორდა წელში, როგორც ტყვიანასროლი, შემთხვევით უვნებლად დარჩენილი კაცი და უმაღლესი იქითკენ გაიხედა, სადაც ძაძებში ჩაცმული ნათელა იდგა. მუშნის თვალში ისეთმა ცეცხლმა გამოაშუქა, როგორც მხოლოდ სიყვარულის ჭაბუკურ ხანძარს შეუძლია დაანთოს და ერთბაშად, ელვის ამ ყვითელი ნაპერწკლების დაცვენისთანავე, იმ მეზობელი მანდილოსნის ჩურჩულიც შემომესმა:

— ქალო, შეხედე, შეხედე! სულ ცხონებული ჯარნასა ტყუბის ცალი არაა ეს მუშნი. არ მინახავს, კაცი ასე ჰგავდეს კაცს...

— ამიტომაც შეიყვარა, ჩემო კარგო, შენ ის ჯირითში ნახე და მაშინ იტყვი, ნამდვილი ჯარნასია, მისი ხანი შეემატოს...

ქეთევანი და ჯარნასი! ნათელა და მუშნი!

იმ ერთ წუთში უსიტყვოდ მივხვდი ყველაფერს, რასაც ნიშნავდა ქალბატონის სიტყვა. ქარბორიამ უქრობი ცეცხლი შემომინთო და ერთ წუთში საცოდავ ფერფლად მაქცია.

ქეთევანი და ჯარნასი! ალბათ, მათი საოცარი სიყვარული ახლა ამ ახალგაზრდებში, მუშნისა და ნათელას შორის, შენივთდა და არ არსებობდა ძალა, გაეთიშა ისინი. ეს ვიფიქრე ბე და ისევ გამკრა გულზე რაღაცამ, სამართებელივით მჭრელმა, ყინულივით ცივმა.

საჩუქრის მიღების ჯერი შავგვრემანი ყმაწვილისა იყო. მანაც მოკრძალებით დახარა თავი. აბრეშუმის ფოჩებინი ქამრით შეკრული ძღვენი გამოართვა, გულზე მიიკრა. მანაც მაშინვე მიმინოს თვალეზით გახედა მწუხარე ქალიშვილს, მაგრამ გოგონამ მზერა არ გაუსწორა, თავი ძირს დახარა. ეს იყო თვალის ერთ დახამხამებაში და ჩემს მეტს, მგონი, კაციშვილს არ შეუნიშნავს. გაფითრდა, გაფითრდა შავგვრემანო, თვალსა და ხელს შუა დაილია, გაითანგა ჭაბუკი, მაგრამ არაფერი, მხრები თამამად შეათამამა და თავის ადგილიაკენ წავიდა. არაფერი შეიმჩნია. ჩალამებული, უნუგეშო მზერა მოავლო ტაბაკს და თავდახრილმა მადლობა თქვა.

წუთიც არ გასულა, ახალგაზრდები სეფიდან გაიკრიბნენ. მეც გარეთ გავედი. შინდორზე ხალხი ირეოდა. ის ტანკენარი ლამაზმანი, ნათელა, გულხელდაკრეფილი იდგა და სადღაც შორს ზღვის სანაპიროს გაჰყურებდა, სადაც ზამთრის მხეხ უკვე შიგ ჩაეშვა ოქროს დალალი. და მე ქვეშეცნეულად მივუხვდი, ნამდვილად მიუხვდები ისე, როგორც „მენცარი“ გავიგებს გულისთქმას ერთი შემოხედვით, ის ახლა მუშნიზე ფიქრობდა. მხოლოდ მუშნიზე და სხვა არავიზე ამქვეყნად.

ადამიანი სიხარულისათვის არის გაჩენილი. კაცური კაცი თვითონაა ბედნიერების შემოქმედი და ამიტომ უდიდესი ტკივილების დროსაც წინ იხედება. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის უცნაური ფარიკაობა, სადაც ბრძოლის სასწორი ამჟამად სიცოცხლისაკენ იყო გადახრილი. და აქ მე წილი არ მედო. ნათელასა და მუშნის შორის სრულიად ზედმეტი ვიყავი. ხელმოცარულ კაცს გული ხან ხის ფოთოლივით მსუბუქი აქვს, ხან ტყვიასავით მძიმე. ერთ წუთს უნუგეშობით ივსება, მეორე წუთს აღმაფრენას ეძლევა. არა, არც მე მინდოდა ფარ-ხმალი ერთბაშად დამეყარა და ხელის გაუქნევლად უპირატესობა სხვისთვის მიმენიჭებია:

— იქნებ ყოველივე ეს ჩემი ეჭვიანობაა და სხვა არაფერი! — ვიიმედდები თავს. — რა იცი, საქმე რაშია? რამ მაფიქრებინა, რა სისულელეა!

— ლაღო, წავიდეთ, ძმაო, დროა! ზომ იცი, მდინარე უნდა გავტოვოთ, ნაწვიმარია, ღამით საშიშია. დროა, რაღას ვუცადოთ, წავიდეთ!

— ჰა, წავიდეთ? არა, კიდევ ცოტა დავიცადოთ, ჯერ აღრეა. რა გვაჩქარებს, დამაცადე, თუ ძმა ხარ! — მივუგე დამდუღრულმა.

— ბიჭო, აქეთ მომხედე! შენ მე რას გამომპაარებ, რაღაც ისე ცმუტავ და ტრიალებ აქ, ის ძაძიანი გოგო გულში ზომ არ ჩავივარდა?

— დიდუპ, რას ამბობ, კაცო, არავინ გაიგოს, სირცხველია, ამის დროა ახლა აქ? ცოტა შევიცადოთ კიდევ. თუ არადა, იცით, რასა გთხოვთ, — უცებ მეც მოვეგე გონს, — წა-



დით თქვენ, ჩემი ძალი, ნანადირევი, თოფი თან — მე კი სასაფლაომდე გავყვები, ასე უფრო ლამაზი არ იქნება?

— კეთილი! — ეშმაკურად გამიღიმა ამხანაგმა, — კეთილი, მხოლოდ სადმე აქ გაითიე ღამე... წყალს არ ენდო, არ შეტოპო, იცოდე! — ორაზროვნად დაუმატა...

— იცი, ლადო, ჩემი ნანადირევი ერთის ამბით დამიბრუნეს, ჩანთაში მაქვს! — ჩაერია ჩვენს საუბარში მესამე ამხანაგი.

— ჰოდა, მაშინ რაღას უცდი, წადი, ძმაო! — გავეხუპრე მე.

ერთბაშად გადაწყდა: მე უნდა დავრჩე.

— იცოდე, არ შესტოპო! — ხუმრობით ხელს მართმევს ძმაბიჭი.

ის იყო, დღე ილეოდა და რაც უფრო საღამოვდებოდა, ქალების წიოკი მატულობდა. მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად შექუჩულიყვნენ ეზოში და დინჯად რაღაცაზე ბჭობდნენ. ეზოს შიგნით, ღობის გასწვრივ, მესრებზე ცხენები ლაგამით იყო მიბმული, კიხვინებდნენ, თითქოს ბანს აძლევენ უსუსურულს. და მე ახლა აქ სულ არ ვგრძნობდი თავს შორიდან მოსულ სტუმრად. თითქოს ყველაფერი მშობლიური და ნათესაური იყო, უსაზომოდ კეთილი და მახლობელი. ერთს ასე გავიფიქრებდი და მეორე წუთს გუნება მეცვლებოდა. ყველაფერი სრულიად მიუწვდომლად და შორეულად მომეჩვენებოდა.

წიოკობამ ერთიორად იმატა, შემდეგ ხალხმა კიშკარს მიაშურა. კუბო თითქოს მდინარეს მიჰქონდა, თავის მღვრიე ტალღებში ჩახვეული.

... სასაფლაო მაღალ გორაკზე იყო, შუაში ძველთაძველი ეკლესიის ნანგრევებით. შორიდანვე მოჩანდა ტოტებგართხმული ცაცხვები. ჩვენ საურმე გზით წინ მივიწვედით, დახვეული შარა რამდენჯერმე გარშემო უვლიდა გორაკს. გზის მარცხენა მხარეზე წვიმას თვალჩაუწვდენი ხრამი ჩაერეცხა და სავალი გადაეღობა. აქ სიახლოვეზე ფეხის დადგმა კი არა, უბ-



რალოდ შორიდან შიგ გადახედვაც კი სახითათოდ მეჩვენა მანც შუბლზე ხელმოჩრდილული ვიყურებოდი და აცვენილი ღორდი უფსკრულში იყრებოდა.

გულდამძიმებული მოვდიოდი. მე ვგრძნობდი, რაღაც დიდი და განუმეორებელი უნდა მომხდარიყო დღეს ჩემს ცხოვრებაში და ამ უფსკრულის პირას შევდექე იღუმალი ფიქრებით გაოგნებული. ბეწვის ხიდივით ვიწრო ბილიკი ჩასდევდა ხრამს, ალბათ, თხების სავალი. გაღმა კიბეებივით შეწყობილო პიტალო ჩანდა და ვიწრო გზა.

მხოლოდ ნაბიჯის გადადგმალა იყო საჭირო, რომ ქვემოთ მომრიალე ნიავს შევერთებოდი.

ნელა ავიდგი ფეხი, ხრამს შემოვუარეთ. ამან ჩვენი გზა ნახევარი კილომეტრით მაინც გააგრძელა. ეკლიანი მავთულით შემოკავებულ სასაფლაოში შევედი. კუბო დაასვენეს. დამუნჯებულ ხალხში მე თვალთ ძაძიან გოგონას დავეძებდი.

ვიპოვე, ისე ქვითინებდა, მთელი ნატიფი ტანი უკრთოდა და უკანკალებდა. გვერდით ქალბატონი ქეთევანი ედგა, თმაშეჭირხლული, სახედაკაწრული, მაგრამ გაუტეხავი. გულზელდაკრეფილი შეჰყურებდა შვილსა და მეუღლეს.

ისევ მათკენ გავიწიე, რომ გვერდში ამოვდგომოდი. ის ნაცნობი ბერყაცი გამეხირა გზაზე. ლითონისწვეტიანი ჯოხი დაარჭო მიწაზე, ქუდი მოიხადა და ზედ დადო.

— მშვიდობით, ჯარნას, სიყმრის მეგობარო, გემშვიდობები! — ცრემლით სავსე თვალებით საფლავში ჩაიხედა. — გელირსა, რასაც ნატრობდი, სამშობლოს მიწა გულზე გეყრება, ბედნიერი ხარ! ნატრობდი საყვარლის ცრემლებს, გულზე გეფრქვევა, ბედნიერი ხარ! ნატრობდი შვილებს, თავზე გეხვევიან, ბედნიერი ხარ! ყველა სურვილი აგისრულდა შენ, თხუთმეტ წელიწადს ცაზე ნეკით დაკიდულს. ასჯერ წაიქეც, ასჯერ ფეხზე წამოდექ და უკვალოდ არ ჩაქრი, ბედნიერი ხარ! ვი შენს შინმოუსვლელ ამხანაგებს მხოლოდ! შენ, ვალმოხდილმა, იძინე ტკბილად, იყავი იქ შენი ნაშეიერების მფარველად, ცუდი თვალთ ნუ მოიხედავ უკან! შენ ყველაფერი, რაც კარგი და კეთილი გაგაჩნდა, აქ დაგვიტოვე, თან მხოლოდ თქვენსმე-



ტი ჭრილობა წაიღე, სხვადასხვა დროს შენს ტანზე
 ბული. ჩემი და შენი ცბილა ტოლები უკვე მივდივართ თითო-
 თითოდ, მაგრამ არც თუ ისე უსახელოდ. შენ იყავი საოცარი
 ვაჟკაცი და შენი უკანასკნელი სურვილიც, სიკვდილის წინ, სა-
 ოცარი იყო! დიდ ტირილსა და ქელეხს ნუ მოძიწყობთ! შენ
 მთხოვე მე, როცა მიწას მიმაბარებთ, ვაება ამით გათავდეს
 და თარჩია გამართეთო! დე, იყოს ასე! შენი გაწვრთნილი ბი-
 ცები გულს არ დაგწყვეტენ და ეს უკანასკნელი სურვილიც
 შეგისრულდება ისე, როგორც ყველა დანარჩენი აიხდინე,
 კეთილი გულით მოხედე მათ! მშვიდობით, ჯარნას!

და ჭერ არ მიწყნარებულყო კუბოზე ბელტების ბაგაბუგი,
 მოთქმა-ტირილი ერთბაშად შეწყდა და იმავე წუთს მე ყუ-
 რისწამლები კივილი გავიგონე. არა, ეს არ გავდა შეცხადებას!
 ეს იყო ვაჟკაცური ხმა, ქალის ძახილზე უფრო ამაზრზენი. და
 ერთდროულად ცხენების ფლოქვების ცოფიანი თქარა-თქურაც
 მოისმა. ქვევით მიმავალ დახვეულ გზაზე დაეშენენ თავტებ-
 ვით. ისევ და ისევ შეჰკვილა ვილაცამ, ეს იყო მეწინავე. მხე-
 დარი, რომელსაც ყაბალახით წაეკრა თავი. მისი ოქროსფერი
 ბედაური, როგორც ჰაერში ნასროლი ისარი, წინ მიჰროდა და
 თითქოს გზას ფეხს არც კი აკარებდა. ავარდნილი მტვერი და
 ლაფშას მაღალი ყანჭები ერთმანეთში ათქვეფილიყვნენ. მე
 გარკვევით ვხედავდი შემხვედრი ქარიშხლის შემოქროლვაზე
 აწეწილ ფაფარს, მხედრის აწურულ მხრებს და ჰაერში გაქრო-
 ლებული ყაბალახის შმაგ ბოლოებს. ღობის გასწვრივ წამოვიდ-
 ნენ და ახლოს ჩავვიარეს. მეწინავე ხუთიოდე ნახტომით მოწ-
 ყვეტილიყო მდევარს. ის მიჰქროდა, როგორც შურდულით ნა-
 ტყორცნი. უზანგებზე ცერებით შემდგარიყო, წელში ორად
 მოხრილი მარცხენა ხელით ლაგამს ჩაფრენოდა, უნაგირის ბა-
 ლიშს არ ეკარებოდა და ბედაურზე თითქოს ფეხების ბასრი
 ქანგებით იყო ჩაჭიდებული. თავაწყვეტილი სრბოლით რომ
 ჩაიჭირითეს, გზაზე ატეხილმა ქარმა იმ სიშორიდან დაგვბერა.
 ეს იყო რალაც საოცარი ჭირითი. ვიცანი! წინ მუშნი მიდიო-
 და, ხოლო კვალდაკვალ თავისივე ამხანაგი, ქორფა წვერ-ულ-
 ვაშიანი შავგვრემანი ჭაბუკი მისდევდა, რომელიც წელან დაა-
 საჩუქრეს. დიახ! მუშნის ცხენის კისერზეც შემოხვეული ახ



ფოჩებიანი ქამარიც ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო. ყველაფერი ისევე
 რი ნათელი გახდა: თუ ის შავგვრემანი წამოეწეოდა და მისი
 მარს — „ათარჩის“, ააცლიდა და წაართმევდა, მაშინ ამით
 პირველი მოჯირითის სახელსაც დაიმკვიდრებდა. მაგრამ ქა-
 მარი ხომ ნათელას ნაჩუქარი იყო! როგორ უნდა გამოჩენილ-
 იყო დამარცხებული, მიწასთან გასწორებული მუშნი თავის
 თვალის ჩინთან? არამც და არამც ამას არ დაუშვებდა. მაგ-
 რამ რა იცი, მარტო მუშნი რას გააწყობდა, თუ ცხენი უმუხთ-
 ლებდა?

წუთით წარმოვიდგინე, მუშნიმ წააგო და დარცხვნილი
 თითქოს ბოდიშობს! შეუნდობს კი ნათელა? ამის გაფიქრე-
 ბა და სადღაც იმედის ნაპერწკალმა გამიელვა.

მე თვალი მოვკარი ძაძებში გახვეულ გოგონას, საოცრად
 შემკრთალი თავდაღმართზე ხმაურით დაღერილ ორომტრი-
 ალს მიშტერებოდა.

სულგატრუნულნი, სუნთქვაშეკრულნი შევცქეროდით ამ
 დაუოცებელ შეჯიბრებას.

დრო შევეურჩიე და მწუხარე გოგონას სულ ორიოდე ნა-
 ბიჯზე მივუახლოვდი. აფუარ-ჩაფუარე, შევათვალეარე. სახეზე
 შიში და ძრწოლვა აღბეჭდოდა, თვალეებში რალაცნაირი ცივი
 უძრაობა ჩასახლებოდა და ისე შორს ვაეტაცა უსამველო
 შიშსა და საზრუნავს, ჩემი ჩაჟინებული მზერა და გარემო
 ტანტალი არ შეუნიშნავს.

სწორედ ამ დროს ცხენოსნები მოსახვევს უახლოვდებოდ-
 ნენ, სადაც ღვართქათით ჩარეცხილი წკვარამი იყო. ხალხში
 ჯერ ყრუ ჩოჩქოლი გაისმა, შემდეგ ვილაცამ ხმამალა შეს-
 ძახა:

— გააჩრეთ, გაა... ჩრეთ! ჰოჰოჰო! თორემ ესენი ნაქ-
 დვილად ერთმანეთს დახოცავენ! — და ამით, ამ გაჭირვების
 უამს, უცებ სააშკაროზე გამოფინა, რასაც, ალბათ, ბევრი ჩემ-
 სავით ჩუმად ფიქრობდა.

— გაა...ჩრეთ, თქვენი ჰირიმე, ნამდვილად ცუდად გა-
 თავდება, გა...აჩრეთ! ქეთევან! — შესძახა მოხუცმა ქალმა.

— ხმა ჩაიწყვიტეთ! — იმ ბერიკაცმა ჰაერში ლითონისწყე-



ტიანი ჯობი შემოიქნია. — ნუ წიოკობთ, ხმა ჩაიწყობტეთ, დააცადეთ!

მეწინავემ ზედ გადასაჩეხზე ჩაიქროლა, ჩაცვენილი, მტკრიანი ღორღი ჩხრიალით წავიდა ხევში. აქანკალებული თითები სახეზე სწრაფად წაიფარა ნათელამ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წუთით. ერთბაშად ყველამ შვებით ამოისუნთქა. ისეთი გაუგებარი ბუბუნნი გაისმა, თითქოს საფლავებმაც ცოცხლებს ბანი მისცეს. და მერე, როცა ნათელამ სახიდან ხელი ჩამოიშორა და გაუმადლარი, ცნობისმოყვარე თვლებით სწედა მოჭირთეებს, მე ერთბაშად ის ვერ ვიცანი, ისე შეცვლილიყო იმ ერთ წუთში. იმდენი ფერფლი და ნაცარტუტა სქლად შემოჰყროდა სახეზე. და მხედრები სამშვიდობოს გასული რომ ნახა, ღომილმა მიმქრალი ნაღვერდალივით ძლივს გამოანათა.

მეწინავე დაოთხილ ბედაურს წინ მიაქროლებდა. მდევარი ახლა სულ ორიოდ ნახტომითლა ჩამორჩებოდა. კიდევ ერთი სულს შებერვა და მეტოქეს ნაბიჯს გაუსწორებდა. და აი, შავგვრემანი უკვე გადაიხარა წინ, ზედ გაეკვრა აწივლებულ ფაფარს და მარცხენა ხელი წაიგრძელა, მაგრამ სანუკვარ „ათარჩის“ ვერ მისწვდა.

მუშნი ხანდახან თითქოს ბუქნას აკეთებდა უნავირზე, სადავე შეემოკლებია და ღონივრად მოეზიდა, ვითომ ცოტაოდენ ძალას ინახავდა და თავბრუდამხვევ სარბოლაში ისე ჩაქსოვილიყო, ცხენს თითქოს რაღაც განუყრელი ნაწილივით მიტმანონდა და შეზრდოდა. ეს ჰგავდა ჯადოქრულ ჯირითს შემოდგომის ქარბორიაში, უკუღმართად დაწნულ ფაფარზე, როგორც უზანგებზე, შედგომით..

ჰა, შუა გზა ამოათავეს, ერთი მტკაველით კიდევ შემციოდა მანძილი მათ შორის, ჰა, კიდევ ერთი მტკაველი! მდევარმა ხელი წაიგრძელა და „ათარჩის“ წაეპოტინა. ბედაურის თავგანწირულმა ნახტომმა იხსნა მუშნი მომაკვდინებელი მარცხისაგან. ისევ მიეძალა შავგვრემანი. ფლოქვებიდან აფრენილი ქვა და კენჭი ცას მიეყარა. — აჰა, გათავდა, ახლა ნამდვილად წამოეწევა! — გავიფიქრე შურით გულგაესებულმა.

— ჰოჰოჰო, გაა...ჩერეთ, ღვთის გულისათვის გააჩერეთ!

ქეთევან ქალო, შენ მაინც რას უყურებ? — შეჭლადღამისთვის იმ დედაბერმა, მაგრამ გულხელდაკრეფილი და პირგამეხილი ქვრივი ერთხელაც არ შერხეულა.

მეტოქენი ისევ გადასაჩეხზე, გაგარზე, მიფრინავდნენ და მათი გაჩერება ახლა არავის შეეძლო. ერთი უბრალო წაფორხილება, ოდნავი ბიძგი უფსკრულში გადაუძახებდა გაცოფებულ ცხენს.

— ისინი დახოცავენ ერთმანეთს, კარგი, ეყოფათ! — რაც ხმა ჰქონდა შეჭვივლა ვიღაც ახალგაზრდა ქალმა და თვითონ ფართიფურთით გზისკენ გაიქცა.

ჰა, ისევ მოიხარა წელში შავგვრემანი, ახლა მარჯვენა წაგრძელა წინ. ჰა, ჩააფრინდა „ათარჩის“! არა, არა! აღვირი ღონივრად მოსწია მუშნიმ. გაფრენილმა ცხენმა ერთბაშად თავკისერი მალლა ააგდო და ყალყზე შედგა. მუშტივით პოკუმშული მხედარი უნაგირზე მილესილიყო და აღვირი გულზე მიებღუჯა იმავე წუთს დაიგრია, ისევ მოსწია აღვირი და ცხენი ბორძიკითა და თავტეხვით შეაჩერა. მღვეარი ერთბაშად გონს ვერ მოეგო, რას უპირებდა მეტოქე! მუშნიმ კი მხოლოდ ერთხელ წაუთათუნა კისერზე ბედაურს, ჰკრა დეზი და უფსკრულისკენ ისკუპა. მე მხოლოდ ზევით ამოფრიალებულ ყაბალახს მოვკარი თვალი...

— უუჰ! — ყრუდ ამოიგმინა მთელმა სასაფლაომ და იმავე წუთს ისეთი გულისწამლები კივილი და წიაქი ატყდა, თითქოს საცოდავ ჯარნასს ახალა ამოხდომოდეს სული. მე დავინახე, ქარიშხლით გადატეხილი ლერწამივით შეირხა ნათელა და მამის საფლავზე დაეცა. ხოლო შესუღრულმა ცხენმა, აქამდე ტორების ცემითა და ხეივინით რომ გაჰყურებდა თარჩიას, ახლა თავაწყვეტით დაიჭიხვნა და ბიჭუნას ლავაში ხელიდან გამოკტაცა. ხალხი ჯერ კიდევ გაქვავებული იდგა. მხოლოდ რამდენიმე მრავალჭირნანახი მოჯირითე გაეშურა ხრამისაკენ. აქედან არავინ ხედავდა, რა ცოდვა დატრიალდა იქ, სადაც ჰაბუკმა, ალბათ, სიკვდილის ფასად პირველობა არავის დაუთმო. მღვეარი გადასაჩეხთან შემდგარიყო და ხელიდან გაფრენილ ბედნიერებას ჩაჰყურებდა. შიგ ჩასვლას კი ვერ ბედავდა.



თვალის რამდენიმე დახამხამებაში ჩვენ აქ და ის იქ, მონუსხული ვიდეოთ უბედური შემთხვევის მოწმენი და შემყურენი. მაგრამ ეს იყო მართლაც ერთი წუთით და საპირისპირო ნაპირზე, ყველამ, ყველამ ნათელას გამოკლებით, აშკარად დაინახა უვნებელი ქაბუჯი, რომელიც კიბისებურ ციკაბოს შენთებოდა და ჯადოქრული ხტუნვით ზევით ამოდიოდა. ახლად მოეგო შავგვრემანი გონს და თავის ცხენს ღეზა ჰკრა... მაგრამ გვიან იყო, მუშნი უკვე შარაზე შორს მიჰქროდა.

შავგვრემანმა ხელი ჩაიქნია, ცხენი შეაჩერა და სასაფლაოსკენ თოხარიკით წამოვიდა.

სიხარულის ღრინაცელმა ისე გაიხმაურა, თითქოს ჯარნაიი მკვდრეთით ამდგარიყოს. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგი ჰყვიროდა, ზოგიც უსტვენდა. ნათელა ფეხზე რომ წამოაყენეს, სწორედ იმ წუთს მუშნიმ ცხენი იქ მოაგელვა და მასწავლებლის საფლავთან ქვისგან გამოკვეთილივით შეაყენა.

მე ისევ დავინახე ცეცხლისმფრქვეველი თვალები, ისინი ერთმანეთს წუთით შებვდნენ და ნაპერწკლები დაჰკვესეს. თავდაბრილი მივუახლოვდი და ქაბუჯს პირველმა ჩამოვართვი ხელი... ხელი ჩამოვართვი, მივულოცე და უსიტყვოდ შევბრუნდი...

... მძიმედ მოვდიოდი ჩამუქებულ ბინდბუნდში... კი არ მოვდიოდი, მოვჩანჩალებდი, წელს ძლივს მოვათრევდი, თითქოს იმ დღეს პირველად ავიდგი ფეხი. თვალები სხვა მხარეს მქონდა გაისრული, ნაბიჯს სხვა მიმართულებით ვდგამდი, გული კი უკან მრჩებოდა.

მკერდამდე წყალი ტანგაუხდელად გავტოპე და მეორე ნაპირზე გამოვედი. მხოლოდ აქ ვიგრძენი შვება. წუთით ქვაზე ჩამოვჯექი და შევისვენე.

გალმა, უკუნ სიბნელეში, სინათლის წერტილები ციმკომებდნენ. იმათში ერთი ნათელასი იყო, ერთიც მუშნისა, ჩემი კი არსად ჩანდა! იქ ცხოვრება თავისი კალაპოტით მიდიოდა, მიდუღუნებდა, როგორც ეს წყალუხვი მდინარე. სოფელს ჯერ არ ეძინა და ამ ბნელი ღამით ჩემთვის პაწია თავშესაფარიც კი არ გააჩნდა.



ვაჟა რომ იყოს...

ბზიფზე რიერაეის შუქი დაღვრილა,
რომ ღამის ნისლი ხრამში გარიყოს.
ვაჟა რომ იყოს აქ ჩემს მაგივრად,
ვაჟა რომ იყოს...

ყურს დაუგდებდა მდინარის ღელვას,
გულს მიანდობდა ჩანჩქერის ქუხილს
და შედგებოდა მთაზე, ვით ელვა,
ლექსებით უხვი, გულითაც უხვი.

ასწევდა ჩოხის ფრიალა კალთებს,
მიმოფანტავდა ღრუბლების ფთილას,
დაუყვავებდა არწივის მართვეს,
მიულოცავდა ცისმარე დილას.

დაესწრებოდა ჩხიკვების ქორწილს,
კლდეზე გაშლიდა ლაქვარდის კარავს
და დატვირთული ნადირის ხორციით
დაეშეებოდა ბილიკით ბარად.

ასე შეჩვეულს სიარულს მთაში,
ბარშიც უყვარდა სტუმრობა მუდამ,
ჩამოივლიდა გუდაუთაში,
თავს მოუხსნიდა ლექსების გუდას.

თანატოლ მოხუცს მიგვირიდნენ სტუმარს,
ზარი დარეკდა მასპინძლის ხმაში:

— ვაჟავ, გვითხარი, მთანი რად დუმან,
ან რას მღერიან ჩანჩქერნი მთაში!

წამოდგებოდა მგოსანი მძიმედ
და აფხიარცას თითების ჭერით
აუქლერებდა იმგვარად სიმებს,
ამაღლდებოდა ოთახის ქერი.

□

მტკვრის პირას თქმული

მე ბზიფის ხეობიდან გუშინწინ მოვედი,
სხვა ბედი არც მინდა ვინატრო.
ოცნებით ყოველი ქართველი პოეტი
მანინც ხომ თბილისში ბინადრობს.

მე ერთი სიმღერა იქ ვალად მმართვედა,
დღემდე რომ ვერ ვუთხარ მთაწმინდას
და მამადავითის დიდებულ კალთებთან
შინქუბას შემოვხედი მასპინძლად.

მზის შუქი ჩაგვიდგა ორივეს თვალებში,
ბედს სწორედ მიტომ არ ვემდურით —
მტკვარს ვუსმენთ და მის ლალ ლელვაში ჩაგვესმის,
მთებში რომ გუგუნებს ენგური.

გუგუნე კი არა, სიმღერა როგორი!
კლდეების ყლით დაუფარავი.
ასე ერთმეხეა ერთმანეთს კოდორი,
ბზიფი,

ალაზანი,
არაგვი.

ასე ერთმეხეა აფხიარცას ჩონგური,
ჰანგისგან არასდროს ღავშრებით,

ასე მოდიოდნენ მხარდამხარ ლომგული
ჩვენთა წინაპართა ვაჟები.

... მეგობრებს ბავშვები ყვავილებს გვესვრიან,
ვარდები გზად გადაგველობა.
თვითონ საქართველო ისეთი ლექსია —
წაქითხვაც მგოსნობად გვეყოფა.

□

ერთი ნახტომი

მზისკენ გაფრენას ბევრჯერ ვნატრობდი.
ლოდინს ამაოდ გული მინებდა,
კიდევ აკლია ერთი ნახტომი
ჩემი ოცნების დაგვირგვინებას.

სხვები მიჰქრიან ჟივილ-ხივილით,
ვერც მუდარამ და ოხვრამ მიშველა.
ალბათ, არ ყოფნის შენი ღიმილი
ჩემი ფიქრების მოზარნიშნებას.

უკვე დამჩატდა საგზლის ხურჩინი,
შემომელია ძველი ნამცხვარი.
ხმაგაკმენდილი არ ვარ მუნჯივით,
არც ვულკანი ვარ აღრე დამცხვარი.

დრო-ჟამს წუთებით როდი ვზომავდი,
ოკეანეში ლალად ვცურავდი.
ვერ მივიყვანე თეთრი ხომალდი
დღემდე სურვილის დასასრულამდე.

სხვა გაგვიჩნდება ახალ იმედად,
თუ აგვისრულდა, რასაც ვნატრობდი.
კაცის ოცნების დაგვირგვინებას
მუდამ აკლია ერთი ნახტომი.

□

ჩრდილი

როგორც რუხი, ნაზამთრალი ხარი
ხშირად ხარბად ვეფიცხები ივლისს.
ნაცნობ ჭალის შეჩვეული ქარი
ტანში მაინც გამჟოლავად მივლის.

მელოდიის შესადარი დილით
შორეული შრიალია ვერხვისა,
როცა ჩემი აყლაყუდა ჩრდილი
ეზოს ოდის ლაფარომდე ეკვრის.

ახლოს სულ არ მეკარება პატრონს,
უზრუნველად გაუზრდია დილას.
ჩრდილი ჩემად დაჩალიჩობს მარტო,
ალბათ, არც კი მივაჩნივარ ჩრჩილად.

შუადღისას, ზღვა რომ იწყებს ლივლივს,
შუა ცაზე მზეც ალხისგან ფეთქავს.
მაშინ ჩემი ქედმაღალი ჩრდილი
მოვა, ფეხქვეშ დამეგება თქვად.

შუადღისას ნაზამთრალი ხარი
ისევ ხარბად ვეფიცხები ივლისს.
ურთას მთიდან მონაბერი ქარი
დამათრობელ ჟრუანტელად ქავლის.

□

საუბარი გულთან

მეტრვედ მყავდი ორმოცი წელი,
ამ ქვეყანაზე რაც ერთად ვიშვით,
ბოლო დროს ჩემზე აიღე ხელი
და განშორების ჩაგვიდგა შიში.

ვაითუ, კარში დაგტოვე წუხელ,
გადამავიწყდა არსობა ჩემი.
ამ საიდუმლოს ვერავის ვუმხელ
და ვიშკვალეები შენდამი რწმენით.

მხოლოდ სიწრფელე და სიხალასე
დასტაქარივით მიხვევს იარებს.
ვერავინ იტყვის ამ ქვეყანაზე,
რომ მე უშენოდ ვიხეტიალე.

შენ გაუმხილე სიმღერის მსურველთ,
ჯადო-სიმები სად იმალება.
შენ შეასწავლე პოეტებს თურმე
რითმის და რიტმის იღუმალება.

მე რა ვარ?
შენი უენო ბუდე,
შენ ხარ სათუთი ჩიტი ნიბლია.
მე შემიძლია, თვეობით ვდუმდე,
შენ — ერთი წუთით არ შეგიძლია.

□

მწვერვალზე დავდგამთ ორი ძმობილი

სენათში ავიდეთ და საქართველოს
გადმოვხედოთ.

მე გობრის ნათქვამი დან

მზეს მთაზე ფეხით თუ ავასწარით,
ავტომობილით წასვლა არა ღირს.
გზად დაგვეჭირდება მცირე საგზალი,
იქ — წმინდა გრძნობის მთელი მარაგი.

შმაგი მდინარის იაენანურით,
როცა ენგურის დაბლობს გავცდებით,
ჩვენც დაგვშვენდება ქუდი სვანური
და ქალამნების შეკვრა თასმებით.

ჩვენც დაგვშვენდება, წელში მოხრილად
ავყვით ბილიკებს — მთების მშვენებას.
ძნელი ყოფილა, ძნელი ყოფილა
ძველის და წრფელის გადაშენება.

ვიცი მე და შენ, ძმაო, ზმანებით
ბევრჯერ ვყოფილვართ სვანეთს ჩასული.
ღრუბლების ზემოთ ელავს სვანეთი,
დაუქანგავი, როგორც წარსული.

სიომ სიამით მთა შეარხია,
მუხლებმაგარი და ნაზამთრალი...
დღეს ყველა სვანის გულში მარხია
დასაფიცავად ერთი თამარი.

დღეს ყველა სვანის მზერა ელვაა,
მტერი გუმანში მაინც ეგულვის.
სვანეთი ჩვენი მიწის ღელვაა,
მზის ახლოს ტალღად შეჩერებული.

მთები მღუმარედ იდგნენ ვაჟამდე
და ვაჟას კალმით აწ კურთხეული,
ვიხილოთ მათი ზეცის ლაქვარდი,
არწივის ფრთებით ზეაწეული.

ვიხილოთ ძმობის ფიცში ნაწური
სად იბადება ჩვენი ენგური.
სად ჩაენერგა ხმა ვაჟკაცური,
გოლიათური და ჩვენებური.

ენგურს ვესესხოთ ჰანგი ახალი,
სიმღერის კილო ვთხოვოთ მუდარით...
როგორც სვანეთი, ისე მაღალი
კოშკია სულის ნავსაყუდარი.

თეთნულდზე ნისლი თუკი აკეცეთ,
მწვერვალზე დავდგეთ ორი ძმობილი
და გადმოვხედოთ ძირს, აქ, ეაკეზე,
როგორ მიმოქრის ავტომობილი.

□

ხილვა

ურვა ბარათაშვილისა

ბევრჯერ მინაზავს გვერდით ჩავლილი
სხვას უღიმოდა საჩემო ბედი.
ერთხელ ვიხილე თეთრი ყვავილი,
ერთხელ ვისმინე სიმღერა გედის.

უფსკრულის პირას მღეროდა გედი,
ინამებოდა თეთრი ყვავილი.
ვითანგებოდი საწუთროს სევდით
და შავბედითი ყორნის ჩხავილით.
ერთხელ ვისმინე სიმღერა გედის,
ერთხელ ვიხილე თეთრი ყვავილი.

რამდენი ვკვირიტე იმ ერთ ხილვამდე,
სული ობოლი ვის არ მივანდე.

მარტოდ შთენილი ზვირთს მივაპობდი,
მდინარე მედო გადასატოპი
და გადავსერე მერნის ფლოქვებით,
არ მენალვლება, აწ თუ მოვკვდება.

არ დამრჩენია ფიქრი არჯალი,
შავად მღელვარი, დაუხარჯავი

და სიყვარულის ურიცხვ თასმებით
სოფელს ვეკვრები და ვეტმასნები.

□

მუღარა

არ გადაემწვარვარ მკრთალი ნათურა,
გულის სასწორით ავ-კარგს ვზომავედი.
ჩემი გუშაგი წელგამართულად
ვდგავარ, უნაზეს გრძნობის ქომაგი.
როცა მეხვევა ფიქრი მუმლივით
და ჩემს მაგივრად სხვა ვინმე გალობს,
გემუდარებით, ამ დროს დუმილი
უნიკობაში არ ჩამითვალათ.
სიყმაწვილეში ოქრო-წვეთებით
ლამაზ ოცნების სურას ვავსებდი.
შუა დღის კართან საბტად შეეჩერდი
მე იმ წვეთებს მეთათსედი.
ვერ გამოვკვეთე სიტყვა ნატიფი,
ვერ გამოვაბი ფრთები არწივის
და სულში ფორთხავს მერცხლის ბარტყივით
ჩემი სათქმელი ლექსის ნაწილი.
აულში ჩაბუდდა ჰანგი შემკრთალი,
ლექსად გარდაქმნა ვერ მოვასწარი,
თუ გაეკარა ტრფობის ნექტარი,
აბრიალდება, როგორც ჰანძარი.

□

ზმანება

გამოვიპარე შინიდან წუხელ
და ღია ცისქვეშ მეორედ ვიშვი.
ასე კამეჩი თუ ტოვებს უღელს
ააომე დაღმართზე დაცემის შიშით.

ასე ტოვებენ გაცვეთილ სამოსს
ყველაზე სადას, ყველაზე მარტივს,
რომელიც ამგვარ თვისების გამო
დამძიმებულა ათასი დარღით.

... და ივიწყებენ ყველაფერს, რასაც
ინახავს გული, არავის უმხელს.
გაიქცევიან კამეჩის მსგავსად
და ცალი თვალით უმხერენ უღელს.

ასე ტოვებენ მშობლიურ ბუნაგს,
საყუთარ აჩრდილს — ვერა და ვერა!
ვერ მოიშლიან ბოკვერზე ზრუნვას
და შინისაკენ გაურბით მხერა.

ისევ ეძებენ სანატრელ უღელს
და ცახცახებენ დაკარგვის შიშით...
გამოვიპარე მეგონა წუხელ,
მეზმანა, თითქოს მეორედ ვიშვი.

□

სოფელი წამი

ადრე თუ გვიან,
ადრე თუ გვიან...
უნდა ვიფიქრო სიბერის გზაზე.
მძივებად აცმულ წამებს შორს მიაქვთ
ყლორტის სინორჩე და სილამაზე.
შორს მიაქროლებს ნიავი სიტყვას,
რომელსაც ჩემი ყისმათი ვანდე.
ცის დასალიერს ფავყურებ დიდხანს
და მირაჟივით ალანძულ ლანდებს.
ლანდები კლდეზე აღიან ცოცვია,

ხელებს უწვდიან ერთმანეთს ძმურად.
 აღუვსებელი კოცნით და ლოცვით
 ვარ უკმარობის უძირო სურა.
 გვიან ვესროლე კალმახებს ბადე,
 ზღვაში ვარსკვლავი ჩაეარდა ღამით.
 ყოველი წამი რაღაცას მმატებს,
 რაღაცას მაკლებს ყოველი წამი.

□

ბზა

ვგრძნობდი — ვტიროდი, მძმობდით — ვგალობდი,
 იმ ნაპირამდე ახლა შორია.

თუ რამე მითქვამს, სხვათა წყალობით,
 ჩემთვის ერთი დღეც არ მიცხოვრია.

ნათელს ვსტაცებდი სარკმელს პაწიას,
 ჩრდილებს ეაქრობდი ზაფხულ-ზამთარი
 და ყოველდღიურ გაწამაწიას
 ვეგებებოდი ფეხზე ამდგარი.

ფონს არ ვეძებდი, როგორც ლაჩარი,
 თუ კი სიღრმეში ბილიყს ვპოვებდი.
 ბევრის მაგივრად ვიყავ დამხრჩვალი,
 ბევრის მაგივრად ისევ მოვედი.

ბევრის მაგივრად არ დამეძინა,
 თაფლის სანთელი ჯერ არ მიქრება.
 და ნუ გგონიათ ეს იყო წინათ,
 გუშინ იყო და ხვალაც იქნება.

ვგრძნობდი — ვტიროდი, მძმობდით — ვგალობდი
 და მარადიულს შევრჩი ბორიალს.
 თუ რამე მითქვამს, სხვათა წყალობით,
 ჩემთვის ერთი დღეც არ მიცხოვრია.

□

ჩვევა

ვერ მოვიშალე ეს ხეტიალი,
ალბათ, გამვლელნი უქნარად მთვლიან
და მადარებენ უდარდელ ნიავს,
რომელსაც მკნარი ფოთლები მიაქვს...

ვერ მოვიშალე ეს ხეტიალი,
ვერ შევაჩერე ბედის ტრიალი...

შევხარი ტყეში კვირტებს და ყლორტებს,
ლიმილს ვთავაზობ კეთილებს, მოყვრებს.

ხე ბოროტების მოვკერ ტიალი,
ჯერ გავახმე და მერე მოვკერი!
მაინც რა არის ჩვევა ოხერი —
ვერ მოვიშალე ეს ხეტიალი.

ვერ გავარკვიე კაცი ურწმუნო,
ვის მოუწონოს, ვის დაუწუნოს.

მიმზერს გოროზად თვალთა ბრიალით,
დადის ამაყი და კადნიერი,
ვითომ ვიქნები მეც ბედნიერი,
რომ მივატოვო ეს ხეტიალი?!

მაინც რა არის ჩვევა ოხერი!..
... ჯერ გავახმე და მერე მოვკერი.

□

ზღვა

ზოგჯერ მორცხვია, როგორც სტუმარი,
შხეფიც არ არღვევს დღის მყუდროებას.
ზღვას უპოვია თავსასთუმალი —
სანაპიროთა უსაზღვროება.

წევს, დედამიწის მკერდზე ისვენებს,
უცდის გრიგალს და ღონის მოკრებას:
ნაპირს აჩნია ახლა სისველედ
ზღვის გუშინდელი აბობოქრება.

ხვალ თუ ავდარი წვიმას დაუშენს,
ქარი აშარი თუ ითარეშებს,
განრისხებული ღუზას აუშვებს
ზღვა, ყოველგვარი ფიქრის გარეშე.

კვლავ დამშვიდდება და იგრძნობს სითბოს,
ცივად გახედავს წარსულ დროებას.
მხოლოდ ზღვას ძალუძს მოაწესრიგოს
სამყაროს ღელვა და მყუდროება.

ზღვას შეუძლია გარიყოს გემი,
როცა ცის კიდე მოიქუფრება.
ზღვას აქვს უფლება, რომ იყოს ბრძენი
და გაგიჟების ზღვას აქვს უფლება.

□

პართხალ ხილვით

Чтоб вечно их помнить,
Там надо быть раз.

М. Лермонтов

სიყმაწვილესთან აწ გამიჯნული
აქ ვინ შემოსა მწვანე ფარჩებით?
ო, ნუთუ ისევ გავხდი მიჯნური
და სიკვდილამდე ასე დავრჩები!
ნუთუ აქ ზეცამ ეშხი დათოვა,
რომ გაზაფხულის ღვარი არ შრება...
უკან დახევაც სახიფათოა
და სიყვარულთან გათამაშებაც.
აქ ლაყვარდია დაუსაბამო
და უსადავედ ჰანგი დავძარი.

დგას იალბუჯის ფერხთან სადამო,
მშვენიერების ლურჯი ტაძარი.
შორს მელანდება თოში მსუსხავი,
მთებს გაბზარული ლოდის გული აქვთ,
გზაზე ძქმუნვარე მოდის ჰუსარი
და მისი გულიც გაბზარულია.
ჩრდილივით მისდევს აღმართზე ბილიკს,
თვითონ მალღდება იგი მთასავით...
კაცი არა ხარ, თუ ერთხელ ხილვით
აქ შეყვარება ვერ მოასწარი.

□

რა იქნებოდა

ომი მოეარდა, როგორც მეწყერი,
სეტყვამ უწია ყრმობის ვენახებს.
ყინვამ დამიზრო ქორთა ლერწები,
მზრუნველი ხელი ველარ შევახე.
ვერ გამოვაცხვე კვერი ობლისა,
არ წამომშლოდა ჯერაც უღვაში...
და ნაცვლად სკოლის მიკროსკოპისა,
ვიჭვრიტებოდი თოფის ლულაში.
სახელად მერქვა მამის იმედი,
სახელად მერქვა დედის ნუგეში
და სიხარული მქონდა მცირედი
ომით დათალხულ სიჭაბუკეში:
თოფის ლულაში იწვა წკვარამი,
გზას მივიკვლევდი დაღლილ-ნამგზავრი,
იმდროინდელი ჭარბი ვარამი
დღემდე შემომრჩა, როგორც საგზალი.
ყინვამ დამიზრო სიყრმის ლერწები,
მზრუნველი ხელი ველარ შევახე.
აწ ვერასოდეს ვერ დაგეწევი,
რა იქნებოდა, ადრე მენახე.

ფიჭული

არარაობის ბოძზე მიკრული
ველარ მძვინვარებს,
ველარ წრიალებს.
ქარვის თვალებით მიმზერს ფიტული,
ტანში მაყრყოლებს და მაზრიალებს.
მიმზერს, მაშინებს თუ ვერ მაშინებს,
ეს წუთისოფლის სინდისზე იყოს.
როგორ გავჩუმდე! როგორ დაემშვიდდე!
ვეფხვის თვალებში ჩამქრალა სითბო.
ელვა გამქრალა ნაპერწკლიანი,
თითო უპეში თითო მძივია.
განა სხივია? ქარვის ციალი
ყინულის ლოდზე უფრო ცივია.
ყალუზე შემდგარი ფაფარი შვენის,
თითქოს საომრად კისერმოღერილს,
მამ, დამეძგეროს კბილების ღრჭენით,
თორემ გამისკდა გული ოხერი.
როგორ შეჰკადრეთ სამყოფი მინის,
რკინის გაღია მაინც მიართვით.
იქნებ ჩაუდგეს თვალებში სხივი
და დაუბრუნდეს ძველი ნიათი.
როგორ შეჰკადრეთ გაღია მინის,
აღარ ყოფნიდა ზეცის თავანი.
ახლა მორჩილად დგას გმირთა-გმირი,
მედიდური და ამპარტავანი.
ვეფხვის სიმშვიდე უთქმელი ენით,
მაკრთობს სიკვდილზე არანაკლებად —
ეს საშინელი,
ეს ამაზრზენი
არარაობის გაქანდაკება.



შუადღის სიმფონია

პირველი სიმღერა

გამოვლილი გზები
გულზე მახატია,
სულში ჩაღვენილი
ივლისის ხვატია,
შუადღისას მნათობი
შუა ცაზე ჩერდება
და წამით
ყურს უგდებს, მგონია,
ჩემს სუნთქვას,
უბრალო მოკვდავის
ვედრებას,
ან როგორც
შუადღის სიმფონიას.

ასეთ დროს
ბრუნდებოდა
ყანიდან მამა.
პაპანაქება
დარაჯობდა
ასეთ დროს ყანას.
მამა გრილოში
გაშლიდა კილოფს
და ჰეი, ძილო!
გლეხკაცის ძილო!

და როგორც სწრაფად
გრძელდებოდა
აღვების ჩრდილი,
ისე წუთები

მცირდებოდა
მამიკოს ძილის.

სულ მცირე ძილი! —
ეს ძახილი
ახლოს მეგულება,
ვით ჩემი სუნთქვა და
შუადღის სიმფონიის
თავისებურება.

კრიალოსანი არ მითვლია
ამ დღის მოლოდინში:
რამდენი ხანია
არ გამძღარვარ
ყანების მოროდით.

მუყაითობა არ გამომყვა,
ეტყობა, მშობლის.
ალიონისას შემშრობია
გლეხკაცის ოფლი.
ახლა გავყურებ,
ჯანით სავსე,
გაფრენილ წამებს,
ვხედავ, ერთმანეთს
ისე ცვლიან
დღეი და ღამე,
გაგორებული
ვითარც ბურთი
ორი ფერისა,
პატარა ბურთი,
ბავშვობისას
ძლივს რომ მეღირსა.

იმ დღიდან დღემდე,
სულ პატარა ბურთს

რომ ვნატრობდი,
მიუწვდომ ბურთად
როს მიმაჩნდა
ცაზე მნათობი,
რამდენმა წყალმა ჩაიარა,
როგორც იტყვიან,
შუა დღის მოსვლა,
მეგობრებო,
არც შემიტყვია.

დღეს მეკითხებით:
სად დავხარჯე
ჩემი წუთები,
თქვენ მკიცხავთ:
რატომ დამრჩენია
ბევრი უთქმელი
და რომ ეს გული
სიყვარულით
კი გამითანგავს,
მაგრამ დღეები
უნაყოფოდ
სულ გამიფლანგავს?!..
ძმებო, ვინ იცის,
სად ციმციმებს
მცირე ნათელი,
ან სანთელს უცებ
რატომ აქრობს
კორიანტელი!

მე მყავდა ერთი
მეგობარი,
ჩემი სეხნია,
მას არასოდეს
დაუკვებნია,
რომ იყო ჩემზე

გულწრფელი და
თავაზიანი
და ჩვენ ორივეს
ერთი გული
გვექონდა ზიარი,
ერთად ვსწავლობდით
ამ ცხოვრების
„ანას“ და „ბანას“,
ერთად ვუვლიდით
ჯეჯილსა და
შრიალა ყანას.
ერთად გაემართეთ
ვრცელ მინდორზე
ნორჩი მუხლები,
ჩვენ სიყვარულის
ჯადო გვეცხო
ხელშეუხები.

მაგრამ სიყვარულს
მაცდურობა
ახლავს ოხერი,
მან აი, როგორ
დაგვაშორა
ორი ბოკვერი:

ერთ დღეს სეხნია
მეუბნება დაღონებული:
„— შენზე ძვირფასი
არვინ მეგულვის,
სუყველამ იცის,
რომ განუყრელ
ძმებად ვითვლებით...
ძმაო, გაგიძხელ,
ვერ გავიგე

ლოგარიტმები,
მრცხვენია ძლიერ,
გულის ნადებს
შენ მიმიხვდები“.
გათენებამდე უძილობით
თვალევი ვკვებეთ.
სუხნიამ ჩემმა
ლოგარიტმი
გაიგოს ეგებ.
მაგრამ ამაოდ ჩაიარა
ყოველმა ცდამა,
მეგობრის მარცხმა
გამამწარა და გამაწამა.
არ მძინებია
გრძელი ღამე
ერთი თუ ორი,
რატომღაც ჩემი
მეგობარი
განმიდგა შორით.
თითქოს ჩვენს შორის
გაიარა შავმა კატამა.
მე ვერ შევძელი
უღარდელად
ამის ატანა.

ის ღამეები,
იმ სინანულს
რაც შევალიე,
სიმღერისათვის
მჭირდებოდა,
უთუოდ, ძლიერ.

* * *

დღეს მაგონდება
შორეული აეროდრომი,

ორმოცდასამის ზამთარია.
ომი და ომი...
ნისლიანი ღამეა და
საშინლად ბნელა:
„მხოლოდ ტყვიები წივის
და ქარი სისინებს ველად —“
ამ ფრონტულ სიმღერამ
ამოგვებუგა გული და ყელი
და „მესერშმიტი“
დაგვესინებს —
მფრინავი გველი.

თათრის გოგონას
ბრაზისაგან
ეწვის დაწვები,
ასეთ ღამეში
უშფოთველად
ველარ დაწვები,
ასეთ ღამეში
ყამი გადის
სულ ზანტად, მძიმედ
და ვერაფერი
ვერ დაგაძინებს.

ის ღამეები,
უძილობას
რომ შევალე,
სიმღერისათვის
მჭირდებოდა,
უთუოდ, ძლიერ.

* * *

თვალწინ მურმანსკის
თეთრი ღამე
წამოიშართა.

მურმანსკში ღამე
თეთრია მართლაც.
შემყვარებია
ჩრდილოეთის
შუბლი ნათელი,
უსპეტაკესი
თოვლის ფანტელის
ზეციდან ცვენა
ისე იწყება,
როგორც ბუნების
თავდავიწყება.

მაგრამ სხვა არის
ნანგრევების
ჩუმი ტრაგედია,
აქ რისხვა
შიშზე მეტია,
აქ შურისძიების
კარნახი დიდია...
ჯართებზე ბავშვების
აკვნები ჰკიდია,
ხურჯინით
შუაზე გაკეცილი,
უკვე დაგრეხილი,
უკვე დაღრეცილი.
ნანგრევად ქცეულ
შენობებს სძინავთ.
ორი დღის წინათ
ამ ქვას და რკინას,
ვინ იცის, რამდენი
ბავშვის ღიმილი
ყუმბარის ცეცხლმა
ზედ მიაყინა.
ამ ნანგრევებზე
დავალაჩებ,

როგორც მზვერავი.
უბეში მიდევს
ჩემი ჩვილის
ციდა პერანგი.
მე ის დღეები,
კრემლის დენას
რაც შევალე,
სიმღერისათვის
მჭირდებოდა,
უთუოდ, ძლიერ.

* * *

მე ბარათების
ტრფიალი არ ვარ.
ალბათ, მამაჩემს
ამაშიც ვგავარ.
ამაში უცხო
არ არის არაფერი,
მაგრამ თქვენ გახსოვთ
პურის ბარათები?
ყველა სატრფიალო
ბარათზე ნაჭები.
ასე ვთქვით, შორიდან,
ასე ვთქვით, გარედან,
რომ გავდა მაგიდის
პატარა კალენდარს.

დედაბერს დაეკარგა
რიგში დგომისას.
უკვე არ შესწევდა
უნარი შრომისა.
არ განელებოდა
ჯერ მაღა ქამის.
საწყალი მოხუცი
გაგიჟდა ლამის...

ამ დროს ვილაცამ
თავისი ბარათი,
რომ არ ენახა არავის,
სულ შეუმჩნევლად
დააგდო მიწაზე.
მერე ბარათი და
მოხუცი აიტაცეს,
ყველას ეგონა
იპოვეს დაკარგული.
ბარათის ნამდვილი
პატრონი დუმდა.
რიგში ჩადგა
წამიერი სიხარული,
მე უნებლიეთ
შემეკრა სუნთქვა.
მეც მეზობლებთან
რიგში ვითვლებოდა,
პურის ბარათივით
უხმოდ ვფითრდებოდი.
და ის დღეები,
გაფითრებას
რაც შევალიე,
სიმღერისათვის
მჭირდებოდა,
უთუოდ, ძლიერ...



მოჩუბარძის სიკვდილი

საადამყოფოს ოთახი ღარიბულ ელფერს ატარებს. არსად სურათი, არსად ყვავილი. მხოლოდ მონაცრისფრო კედლები, ცარციტ შეღებილი ფახჯრის მინები და სხვა არაფერი...

ღობრლო რკინის საწოლიც ნაცრისფერია, უსიამო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედი ალექსანდრე მოჩუბარძე რკინის გამოხუნებულ ლოგინზე წევს გაფითრებული, თვალ-მიბნედილი. ერთი შეხედვით ძნელგამოსაცნობია, სძინავს თუ ბურანშია. თვალეზე ლიბრი გადაჰკვრია, ქუთუთოებში ბინდი ჩადგომია. ავადმყოფმა ღონე მოიკრიბა, თავისთავს შეებრძოლა და, როგორც იქნა, თვალი გაახილა. ქორისებური თვალეებით ცეცხლი და მრისხანება მიმოაფრქვია უღიმღამო ოთახში. გამხდარი ხელის თითები, ჩამოქნილ თავლის სანთელს რომ დამსგავსებოდა, მაღალ შუბლზე გადაისვა, უწესრიგოდ აბურღულ თმებში ნელა მიმოატარა, წამოიწია; მარცხენა ხელი მოიმარჯვა, არ უნდა ჩვეულებას უღალატოს: მარცხენა ხელს გაყრას ლამობს ჩოხის სახელოში, მაგრამ ან ჩოხა სად არაა, ან ჩვეული ღონე!.. ხელი კი ისე გაიჭნია, თითქოს ჩოხას იცვამსო.

ერთხანს უღონო მკლავსა და მაჯას დაეყრდნო. ფართოდ გახელილი თვალეები მაგიდისკენ გაურბის, ქალაღდს ეძებს, კალამს უნდა წამოავლოს ხელი. თითქოს სურს მეხსიერებაში აღადგინოს თავის გმირთა სახეები.

განა აი, ამ წუთში, ბურანში წასულს წინ არ შემოეფეთა



თოფ-იარაღში ჩამჭდარი თავისუფლებისმოყვარე მოხვედრა გუჯა?

აი, აგერ მთის ბილიცზე მოდის ჩერქეზის ქალი მზალო, ერთ დროს მომხიბლველი, ხალისიანი, მაგრამ ახლა დაღვრე-მილი, ტლანქი, მოხელის მიერ შეურაცხყოფილი.

აგერ დგას ცხოვრებისაგან განწირული, თემისაგან განდევნილი მაყვალაც...

ავადმყოფს უახლოვდება ხევისბერი გოჩა, რომლის სათნო სახეს რისხვა დაუფლებია, მის ხელში ხანჯალი ლაპლაპებს...

მოგონებისა და ზმანების ბურუსიდან ამოცურებული აჩრდილები ხან ეალერსებიან, ხან ურისხდებიან.

ის ჩონჩხადქცეულ მტევნებს უღონოდ აფათურებს. მარჯვენა ხელის სამი თითი მაგრად შეკრა, ერთმანეთს მიაჭდო, თითქოს ეშინია, კალამი ხელიდან არ გაუვარდეს.

— მე ასე არ მინდოდა დამეწერა, — ედავება ვილაცას მოჩხუბარიძე.

მარჯვენა ხელი თანდათან ეშვება, სამი თითიც ერთმანეთს ცილდება. ხელი, რომელზედაც დაყრდნობილი იყო, უკანკალებს. ავადმყოფი კვლავ ლოგინზე გაიშობა. დასიცხული თვალები ჭერს უაზროდ მიაპყრო, ღრმად ამოიხვნეშა.

კვლავ ზმანებებში ჩაიძირა.

„სულ ტყუილად დამიღუპეს ჩემი მოხვედრები“. — ჩურჩულებენ დალურჯებული ბაგეები... ჭერზე გაიეღვეს თოფ-იარაღში ჩამსხდარმა მოხვედრებმა.

„ოპ, რამდენი სისხლი დაიღვარა!“ — აღმოხდა უღონოა და თვალები უიმედოდ მილულა.

ახლა სასიამოვნო ჩვენებები ეხვევიან: ის ბურსაჭირის ფერდობზე გაჩნდა. მალღობზე შინდის კომბალს დაყრდნობილი ახალგაზრდა მწყემსი დგას. ჩამავალი მზე ერთნაირად ალივლივებს ბურსაჭირის მოწანწკარე ნაკადულებს და მთის კალთებზე ღრუბლის ფთილებივით მიმოფანტულ ცხერის ფარას.

ოცნებით მთებში გაჭრილი მოჩხუბარიძე თითქოს მოლონიერდა, ბუნების წიაღი ეცნაურა.

იცნო მალღობზე გადმომდგარი ვაყიაც, რომელსაც მწყემ-

სური ქუდი ჩამოუფხატვია და ნიავე ჩოხის კალთებს
რიალებს...

— ოჰ, დედაჩემო! — ამოიგმინა მან. მეტი ველარა თქვა
რა, ენა არ ემორჩილება, ცეცხლი ეღება დაუძლურებულ სხე-
ულს.

ტრიალებს. ბორგავს. ჩუ, სალამურის ხმა ისმის, კვლავ
გული დაუამდა. კვლავ ძალა ემატება...

მაგრამ ეს ვინ არის, უმანკო კურდღელს შეუბრალებლად
რომ გლეჯს და აწამებს, აჭაურობას აწიოკებს?

ეს ხომ არწივი ბოინობს, სისხლიანი თვალებით ჩასცქერის
მიწას, კლანჭებიც სისხლით აქვს მოსვრილი და მოჩხუბარა-
ძეს მოეჩვენა, რომ არწივს ორი თავი აქვს.

მოჩხუბარიძემ შეყვირება სცადა, ჰგონია ყვირის, მაგრამ
ხმა არ ამოსდის ყელიდან.

„განვედ ჩემგან სისხლისმსმელო, მტაცებელო!“ — ჩურ-
ჩულებს მომაკვდავი და უღონო, თითქმის გაშეშებულ თითებს
ასავსავენ. ახლა კალამს კი არა, თოფს ეძებს იგი, ორთავიანი
არწივის მოსაკლავად.

აგერ თოფმაც დაიგრიალა, მოხევე ბეჭიას ტყვიამ განგმირ-
ული არწივი მიწაზე დასცა. შემოტრიალდა მოხევე, ფიცხ-
ლად მოიხია ჩოხის კალთიდან ნაჭერი, ამოიღო თოფის ისარი
და წმენდა დაუწყო.

— ბიჭაუ, ჰაი, ბიჭაუ! — უხმობს მოჩხუბარიძე, უნდა მარ-
ჯვენა დაულოცოს. ხედავს, იხოცებიან მტაცებელნი და მჩაგვ-
რელნი ბეჭეებისა და ონისეების ხელით. დატანჯული სახე ოდ-
ნავ გაუნათდა, თითქოს ღიმილიც გადაეფინა სახეზე, მაგრამ
ეს მხოლოდ ერთი წამით. კვლავ ატორტმანდა. წამოდგომა
სცადა, ვიღაცას ეძახის, მაგრამ ხმა არ ემორჩილება...

ქალის თეთრი აჩრდილი თავზე წამოდგომია, მომვლელი
ქალი ქვეშაგებსა და ბალიშს უსწორებს.

მოჩხუბარიძე ქალს მიაშტერდა. ვერ იცნო. „ეს არც მზა-
ლოა, არც ელისო, არც მაყვალა, — მაშ ვინ არის? სადა ვარ?“
— ფიქრით ისევ დიდ მინდორზე გაჩნდა.

ხალხი...

ხმაური...

ვის ასამართლებს თემი?

— ონისეს, ონისეს! — ჩასძახის ვიღაცა. მოლზე გელასაგან მოკლული ონისე გდია...

— ძმებო! იარაღიანმა უიარაღო მოკლა. დასაჯეთ თემის წესის დამრღვევი! — ბროტინობს ამქვეყნიურობის მიჯნას გადასული შემოქმედი.

— ჩაქოლეს გელა, ჩაქოლეს! — ოდნავ გასაგონად ჩაესმის დახშულ ყურში...

მოჩხუბარიძის დაფანტული ოცნება ახლა დაფეთებულ ჯიხვს გაეკიდა ჭიუხებში. ჯიხვი გარბის. უკან მონადირე მისდევს, ორთავენი ნაპრალში გადაიჩეხნენ. საცაა თვითონაც გადაპყვება...

ძლიერ შეტორტმანდა, ღრმად ამოიოხრა, ხელები გამართა, დაბინდული, სიცოცხლეგამოლეული თვალები სახლის გახუნებულ ჭერს შეაცივა, ფართო შუბლი გაუფითრდა, ბაგეები ჩაულურჯდა.

მოხუცი მომვლელი ქალი დამორჩილებულ სხეულს თავის ნებზე ასწორებს.

ცეცხლისმფრქვეველ თვალებს უხუჭავს.

მოჩხუბარიძე სამუდამოდ დამშვიდდა...



უკითხელი ვარდი

ლევანის ფანჯრის წინ, ეზოში, აყვავებული ატამი იდგა. უჩვეულოდ თბილი მარტის ქარი სახლს ირგვლივ შრიალით უვლიდა, ატმის ყვავილებს თოვლის ფანტელებივით ყრიდა ლორთქო ბალახით მოჩითულ მიწაზე. ხანდახან, როცა ქარი იმძლავრებდა, ოდის წინ დაფრინავდნენ ალუბლის, ალუჩისა და გულაბის ყვავილთა თეთრი ფოთლები.

გაზაფხული, როგორც მზრუნველი დედა, ქრელ-ქრულა კაბებით მოსავედა ზამთრის ბურუსში ნამძინარეც ხეებს. გაზაფხული ჩქარობდა. ყოველ დილით უფრო და უფრო ფუფუნებოდა ვაშლისა და ქლიავის ჯერ კიდევ გუშინ მთელემარე კვირტები. მთის ფერდობები და გორაკები ნაირფერად იმოსებოდნენ.

წლევიანდელი გაზაფხული შარშანდელს არ ჰგავდა. მთებით შემორკალულ ზღვისპირა მხარეში ერთბაშად თბილმა ჰავამ დაისადგურა.

სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ერთი მოზრდილი გორაკია. იგი შუა სანერგეში იწყება და ბოლოთი მის ფარგლებს გარეთ გადადის. ბრჭყვიალა მავთულის ბადის ღობე ამ გორაკს შუაზე ჰკვეთს, თითქოს დანა დაუსვენსო. გორაკის ირგვლივ ხეხილი ხარობს, ძირს კი — ნორჩი ბალახი ბიბინებს. ზეგანზე მინდორია, როგორც სახლის ბანი, საკმაოდ ვრცელი. გორაკის ფერდობი ეკალ-ბარდითა და ჩირგვებითაა აქოჩრილი, ბუჩქები უნდა ამოეძირკვათ და ღობის იქით გადაეყარათ, მაგრამ, ეტყობოდა, ჯერ ვერ მოესწროთ...

აქ, ამ გორაკზე, დასვენების დროს ომგადახდილმა ასკილი დათესა. ერთი წლის შემდეგ საძირეები უკვე გამოსადეგი იყო მყნობისათვის. ლევანს უნდოდა მიეღო ყვითელი ვარდის პიბრილი.

იკითხავთ: რატომ ყვითელი და არა — წითელი, ან თეთრი ვარდისა?

— წითელი და თეთრი ვარდი ძალზე ბევრია, — გიბასუხებდათ ამაზე ლევანი, — ხოლო ყვითელი ვარდის გამოყვანა ძნელია. არსებობს ყვითელი ჩაის ვარდის უცხოური წარმომობის პიბრიდული ჯიშები. ერთი მათგანი, „პოლდენ ოფელია“ — ყვითელ-ოქროსფერია, მეორე — „აბელ-მატენე“ — მოვარდისფრო ყვითელი, მესამე — „მაღამ ჟიულ გრავერო“ — ყვითელი მოვარდისფრო. სუფთა ყვითელი კი არ არის!

ლევანმა ისიც იცოდა, რომ თვით ვარდის ჯიშის გამოყვანის გზაც არაა ია-ვარდით მოფენილი და იოლი. ბრძოლასა და ძიებაში პოულობდა სიხარულს ახალგაზრდა დაუღალავი სელექციონერი. ჯერ იყო და, ვარდებისათვის მაღალი გორაკის ზეგანი აირჩია; ფერების ჯადოქარი შემოქმედი — მზე, დილადან საღამომდე სხივებს უხვად რომ აფრქვევდა თავზე. რაკი ცნობილი გახდა, რომ ყვითელ ფერს იძლევა ჭარბი სითბო, აქ, კავკასიონის მწვერვალებით საიმედოდ დაცულ, მზეზე გაშლალ ზეგანზე, ყვითელი ვარდის მიღება ლევანს შესაძლებლად მიაჩნდა. ხეხილას მყნობა მისთვის ძირითადი სამუშაო იყო, მაგრამ გულით მაშინ ხარობდა, როცა სავარდეში შევიდოდა, მიუალერსებდა გაფურჩქნილ მცენარეებს და საამო სურნელებით დატკბებოდა.

ლევანი დღეს არ გამოუშვებდა, რომ ზეგანზე არ ასულიყო და კიდევ და კიდევ არ დამტკბარიყო კოკრების სილამაზით. ვარდები მის სულიერ მეგობრად იქცნენ. ლევანი გამოცდილი ხელებით სათუთად ამაგრებდა კოკრებით დახუნძლულ შტოებს ჭიგოზე, სანერგეს რწყავდა, მიწას აფხვიერებდა... ხეხილზე მუშაობით რომ დაიღლებოდა, აი, მაშინ გამოსწევდა სანერგე გორაკისაკენ...

არსებობს ვარდის ექვს ათასამდე ჯიში. რას მოგვცემს „აჟ-



გუსტა ვიქტორიასა“ და მოვარდისფრო ყვითელი — „აბელ შატენეს“ შეჯვარება? დიდი ხანია ეს აზრი აეკვიატა სელექციონერს...

ლევანს სწამდა, რომ ამათ შეჯვარებას შეეძლო ვარდისფერი ამოეჭრო „აბელ შატენეს“ კოკრიდან და სუფთა ყვითელი ფერი გაედლიერებინა.

გაზაფხული და ზაფხული ძალიან მზიანი გამოდგა: სელექციონერს იმედი ჩაესახა, რომ შრომა ამოდ არ ჩაუვლიდა.

მზის მცხუნვარებამ, ზომიერმა წვიმებმა და სახელდახელოდ შერჩეულმა მიწამ მართლაც კარგად გაახარა მცენარე და მისი კოკობი.

ლევანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... ახალგაზრდა კაცის ოცნება ფრთებს ისხამდა...

სანერგე მეურნეობის თალიან ჰიშკარს მოულოდნელად ორი მსუბუქი მანქანა მოადგა. ნელა გაიღო კარი და ძარიდან აუჩქარებლად გამოვიდა ორი პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან — მეურნეობის ხშირი სტუმრები.

ვის ახსოვდა დღეს ვარდი? პირველად ვერ მოიცალა მისთვის ლევანმა.

სტუმრებს აინტერესებდათ ატმის, ვაშლისა და მსხლს ჰიბრიდები. მათ, უპირველესად ყოვლისა, დაიარეს სანერგე მეურნეობა. ნახეს, გაეცნენ, რაც რამ ახალი შეექმნა ლევანს ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. ლევანი სწრაფი ნაბიჯებით მიჰყვებოდა გვერდით მათ და, ცოტა არ იყოს, შეპკრთალი აძლევდა ახსნა-განმარტებას. ვინ არ იცის, რომ ქებაზე ძუნწნი არიან ახლის ძიებაში გაქალარავებული მეცნიერება.

სიამაყით აჩვენა ატამი „ზეფირი“, ვაშლი „ნარინჯისფერი“, მსხალი „მეტოქე“, ალუბალი „კოლხიდა“. გააცნო თვითუელის თვისებები, ნაყოფის ფერი, გემო და წონა...

დილიდან სამხრობამდე დადიოდნენ სანერგე მეურნეობაში. დაილაღნენ.



დამთავრდა შემოწმება-გამოკვლევა. ლევანის ნაზი, ძაღლებული ყვითელი ვარდები არ მოუნახულებიათ.

ჰყვარდა სელექციონერის სავარდე!

საჭირო იყო იქაც შეეხედათ. მაგრამ...

კროტონენ და კანკალებდნენ ვარდები. დღევანდელ ლევანა, ხელებს იფშენებდა. ზოლებიან აბრეშუმის ხალათის საყელოზე ერთი დიდი შეეხსნა. წაბლისფერ თმაში ვაშლის პატარა ფოთოლი ჩავარდნოდა — სანერგის შემოვლისა და ხეების ქვეშ სიარულის დროს. სავარდე აქედანაც კარგად ჩანდა... მაგრამ რაღა შორიდან, ახლოს უნდა მისულიყვნენ...

სტუმრები უკვე მანქანისაკენ მიეშურებოდნენ.

„არა! ჩემს ვარდებს, ამ მომხიბლავ ქმნილებებს, ჩრდილში ვერ დავტოვებ“, — გაიფიქრა ლევანმა და სტუმრებს ფეხდაფეხ მიჰყვა: — კიდევ მაქვს ერთი რამ თქვენთვის“... — მოკრძალებით თქვა მან.

... გამობრუნდნენ.

... კეკლუცად თავდახრილი დაუხვდა დადლილ სტუმრებს ყვითელი ვარდი. ეკლიანი შტო აკაციის ქიგოზე იყო მიკრული. დაისის მოოქრული ღრუბლისფერი გადაპკრავდა კოკობს.

გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეს კიდევ რა საოცრებაა? ყვითელი ვარდი? ეს საიდან გაჩნდა თქვენს სანერგეში? ჰმ, ყვითელი ვარდი! პირველად ვხედავ ასეთ მშვენებას! ლევან! გაგვაგებინე, რა მოხდა, ეგ რაღაა?

— ახალი პიბრიდი გახლავთ, პატივცემულებო! ჩვენს პურობებში მშვენნივრად გაიხარა. ცოტაოდენი გაუმჯობესება სჭირდება კიდევ. ეგ არაფერი, მე მგონი, უზადო ჯიში ხელთა გვაქვს!

პროფესორი დინჯად მივიდა ვარდთან. კოკობი ვადმოსწია, დაყნოსა, ბუტკოში გამადიდებელი შუშით ჩახედა...

— პირდაპირ საოცარია... ლევან, რას არ გააკეთებ ხოლმე!.. რას არ მოიფიქრებ და მოინდომებ! მე ვარდების სახეობაში კარგად ვერკვევი... ასეთი მშვენება ჯერ არ მინახავს... ჰმ, რა დაარქვით ამ ახალ ვარდს? — მოიმარჯვა ავტოკალამი პროფესორმა...



— „პაქს!“ მხოლოდ მას, ცხადია, ჯერჯერობით ვერც კატალოგში ვერ ნახავთ... — მიუგო მშვიდად ლევანმა.

— გასაგებია! მაგრამ თავის ადგილს ყველა კატალოგში მალე დაიჭერს ის... დარწმუნებული ვარ!..

— „პაქს“... „პაქს“... — ვერ მოიგონა ამ სიტყვის მნიშვნელობა პროფესორმა... — ჰო, ეგ ხომ ლათინური სახელწოდებაა...

— დიახ, პატივცემულო, ლათინური გახლავთ, როგორც მიღებულია ხოლმე ბოტანიკაში... ჭართულად, უნდა ვაღიარო, მგონი, გაცილებით უკეთესად და გასაგებად ჟღერს... „პაქს“ მშვიდობას ნიშნავს... ესაა ვარდი — „მშვიდობა“! — ჰყვებოდა აცახცახებული ლევანი.

თავდახრილი სტუმრები გაოცებით შესცქეროდნენ მთელი სანერგე მეურნეობის თვალისჩინს, ვარდ „მშვიდობას“ და ამ წუთში ყველას ნათლად ესმოდა, თუ რა დიდი შინაარსით აეხსოვოდა ეს ერთი პატარა ტურფა ქმნილება.



პაემანი

წვიმა მანქანის მინას შხეფებს აფრქვევდა, საწმენდი ტიკტიკით მუშაობდა, მაგრამ გზა მაინც ცუდად ჩანდა. როგორც კი ახალთახალმა „ვოლგამ“ მოკირწყლულ მოსედან გადაუხვია, მგზავრობა მეტად გაჭირდა, რადგან მთის სოფლისაკენ მიმავალი შარა მძიმე საბარგულებს დაეზიანებინათ.

ქორფაულვაშებიანი, კოხტად თმადავარცხნილი ჭაბუკო „ტაქსის“ საჭესთან იჯდა. ახალგაზრდა მძღოლი ჯარისკაცის გიმნასტურას ჯერ კიდევ ვერ შელეოდა, მასზე თბილი ქურჩი გადაეცვა და ამ შორეულ რეისზე ასე წამოსულიყო.

დიდი ხანი არაა, რაც კოტე ჯარიდან დაბრუნდა. მანქანის მართვა იქ შეისწავლა და შარშან, ზაფხულში, ქალაქად ჩამოსულ ყმაწვილს ეს სპეციალობა კარგად გამოადგა. კოტე დიდიდან სადამომდე სხვადასხვა გზებზე დაჰქროდა. „ტაქსა“



საქართველოს
ქრონიკული
მუზეუმი

მას სად არ დაატარებდა? მარშრუტები შეისწავლა, შეეჩვი-
ახლა საჭესთან მშვიდად იჯდა და ღღეში ორმოცამდე კაცს
მანინც მოეპასხურებოდა.

სამუშაოზე ახლახან მიიღეს, საქმეს მონდომებით მოჰკი-
და ხელი. ჯარში აღზრდილ ჭაბუკს სხეანაირად არც შეჰფე-
რის. შოფრობა მისი საყვარელი საქმე იყო და თუ პროფესია
გიყვარს, წარმატებაც მალე მოვა.

ამ სოფლის გზაზე პირველად მოდიოდა. მანქანაში სამი
მგზავრი ეჯდა. ერთი ყაბალახიანი გლეხკაცი და ორი ქალი. სა-
მივე სოხუმში თათბირზე ყოფილიყო. მამაკაცი მწყემსად მუ-
შაობდა თურმე ფერმაში, ხოლო ქალები ჩაის მკრეფავები იყვ-
ნენ. მათ ახალბედა, გამოუცდელ შოფერს ეგრე უთხრეს: სოფ-
ლამდე სულ მოასფალტებული გზა არისო. კოტე უკვე თვითო-
ნაც ხედავდა, რა ცუდ გზაზე წამოიყვანეს, მაგრამ გვიან იყო.
როგორც კი კირის ქარხანას ჩაუარა, რომელიც იქვე, გზას
პირას იდგა, უკანა ბორბალი ტალახში ჩარჩა.

— ეს არ მომწონს! — უთხრა კოტემ გაბრაზებული ხმით
თავის მგზავრებს, — ახალი მანქანა აქ ხომ არ უნდა დავამ-
ტვირო?

— რა დაამტვრევს, ჩემო ბატონო, მანქანას? — გულის გა-
რეთ ეკითხებოდა ყაბალახიანი კოლმეურნე, — ხედავთ, საბ-
არგული ახლა წასულა. მიჰყევი, ჭირიმე, მიჰყევი! რალა დარ-
ჩა, უკვე მივედით და ეგაა!

— არსად არ წავალ! შენ თვითონ მიჰყევი! — მიუგო კო-
ტემ და მოტორი გამორთო.

— აწ გზა უფრო კარგია, — დაიწყო ისევ ყაბალახიანმა,
— აქამდის იყო ცუდი, თორემ ამის შემდეგ ასფალტს სჯობია.

— ჰოდა, რაკი კარგი გზაა, თქვენც ფეხით წაბრძანდით!
— მიუგო კოტემ. ბრაზი მოაწვა, მაგრამ რა უნდა ექნა? —
გზას ქება კი არა, გაკეთება უნდა! ეგ გზა კი არა, მანქანების
მახეა.

გახარებულმა იმით, რომ ათ კილომეტრამდე მანინც მიუახ-
ლოვდნენ თავიანთ სოფელს, მგზავრებმა პალტოს კალთები

აიწიეს, ჯერ კოტეს უშველეს ორმოდან მანქანის ამოყვანაში, მერე სოფლის შარას მძიმე ნაბიჯებით დაადგნენ.

კოტემ საათს დახედა. ხუთი სრულდებოდა.

ვაითუ, შვიდ საათზე ქალაქში ვერ ჩავიდეს! ლალი პაემანზე ელოდება. სწორედ შვიდ საათზე კოტე ლალის უნდა შეხვდეს. თუ დააგვიანა და დროზე ვერ მივიდა, გოგონას ხომ ეწყინება? კოტეს ისედაც მეტოქე ჰყავს, მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს. ილოს ეძახიან. ლალი ძლივს დაითანხმდა, რას არ შეჰპირდა, ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლია. კოტეს თავდავიწყებით უყვარს ლალი. მას კი, ვინ იცის, უყვარს თუ არა? აბა, გოგონებს რას გაუგებს კაცი! ლალი ლამაზი ქალიშვილია. სხვაც ბევრი ეკურკურება... ამიტომ თუ დააგვიანა, თავმომწონე ქალიშვილი არ დაელოდება... ეს ხომ მოტყუება გამოვა!.. ქალიშვილი ძლივს დაითანხმო, რომ პაემანზე მოვიდეს, მერე კი თვითონ დააგვიანო... არა! ეს არ შეიძლება!..

კაცმა რომ მართალი თქვას, ამ გზაზე კიდევ შეიძლებოდა წინ წასვლა... მხოლოდ ლალის გამო ჩამოსვა ის მგზავრები კოტემ... დღეს შეიძლება მისი ბედ-იღბალი წყდებოდეს... ვინ იცის, რას ეტყვის ლალის შეყვარებული ქაბუჯი... ერთი სანუკვარი ოცნება უდევს გულში, დროა გაუმხილოს... და თუ თანხმობა მიიღო, მერე ქორწილს წინ რაღა დაუდგება?..

კოტეს გული უფანცქალებდა, ცახცახებდა და ღელავდა. „შვიდ საათზე თუ არ მივედი, ლალი ხელს ჩაიქნევს“ — რაღაცნაირად, ქვეშეცნეულად სჯეროდა ეს...

მანქანა უკუსვლით წაიყვანა, მოაბრუნა და ქალაქისაკენ გამოემართა.

წვიმაში თოვლი გაურია, მერე ერთბაშად ბარდნა დაიწყო.

შუქფარის სინათლეზე ფიფქები ფარფატივით ცვიოდა და ყველაფერს ბინდში ხვევდა. კრიალა ასფალტზე თოვლი სწრაფად ეფინებოდა. წინ ორმოცდაათი კილომეტრი ედო, რასაც ამგვარ ამინდში ორი საათი მაინც დასჭირდებოდა. მანქანა ფრთხილად მიჰყავდა. ნაკვალევი თოვლით იფარებოდა. ლალისთან პაემანზე დაგვიანება კი სულ უფრო და უფრო საგონებელში აგდებდა. ხანდახან, როცა წინ სწორი გზა გამოჩნდებოდა,

ბოდა, სიჩქარეს მოუმატებდა, მაგრამ ეს ნამდვილად ვერ უშველიდა... როგორ მოატყუეს გამოუცდელი მძღოლი იმ კოლმეურნეებმა!

... რომელიღაც სოფელს ჩაუქროლა, მერე ერთი ზღვისპირა ქალაქი უკან მოიტოვა, ზამთრის მოკლე დღე ილეოდა, ღამე ჩამოწვა.

რკინიგზის შტო რომ გადაკვეთა, წინ მანქანის ნაკვალევი შენიშნა. აქ უფრო ღრმა თოვლი იდო, ხეები ბურუსში თვლემდნენ, სვლა კიდევ უფრო გაჭირდა, მაგრამ წინ მიმავალი მანქანა თოვლს ჭრიდა და „ტაქსი“ გზას უკვალავდა. იმ მანქანას კოტე ვერ ხედავდა, მაგრამ ატყობდა, სადღაც სულ ახლოს მიუძღოდა წინ. კოტემ თავისი „ვოლგა“ ნაკვალევზე ჩააყენა და სიჩქარეს უმატა... ასე იარა, სანამ დიდ ხიდს არ მიუახლოვდა.

ხიდის თავთან ერთბაშად გაუკვალავ თოვლში მოხვდა. სვლა შეანელა და მანქანა გააჩერა. კოტემ კაბინის კარი სწრაფად გააღო, ძარიდან გამოვიდა და გზას გახედა. წინ მიმავალი მანქანის ნაკვალევი არსად ჩანდა. ფერდობზე თოვლი ჩაფხეკილი იყო, თითქოს მეწყერს ჩაეხვეტოს. ალბათ, მანქანა გადავარდნილიყო.

სწრაფად საჭეს მიაშურა, უკუსვლით მოაბრუნა, მანქანა გზაზე დატოვა და ხევში გადაეშვა. აკაციის ბუჩქებში ჩაეარდა, ხელები და სახე დაიკაწრა. უფრო დაბლა ჩავიდა. აქ, მდინარის პირას, რიყის ქვებს წამოედო, გაფორთხდა და მინდორზე გავიდა.

კვლავ თოვდა და თოვდა.

კოტემ ბუჩქებში გადაბრუნებული მანქანა დაინახა.

კაპოტი აკაციაზე დაჯახებისას დაღეწილიყო, კარიც დამსხვრეოდა, მინის ნამტვრევები ფეხებქვეშ ხრამუნობდა. მეორე მხარეზე შემოუარა, სადაც შოფერი უნდა მჯდარიყო და სწორედ ის კარი გაღებული ნახა. მაშინვე ასანთს გაჰკრა, ძლივს მოუკიდა... შოფერი დამტვრეულ საჭეს უგრძნობლად გადასწოლოდა. უკან კი, ძარაში, ქალის კენესა ისმოდა... ახლა ასანთს კვლავ გაჰკრა. ამ ფართიფურთში ღეროები დას-



ველებულიყო. ვერ მოუყიდა. ხელი მოუფათურა გონსტანკის ქალს. მაჯა მოუსინჯა, ცოცხალი იყო. ხელფეხი, თავი და ტანი მრთელი ჰქონდა, მხოლოდ, ალბათ, თავიდან სისხლი მოყო-
ნავდა, კეფა სველი ჰქონდა... არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა!

თვალის დახამხამებაში ჯერ მძლოლი გამოიყვანა, ზურგზე მოიგდო და თავის მანქანისაკენ გაეშურა. გონწასული კაცის ტარება ძნელი იყო. კოტეს ფეხი უსხლტებოდა, რამდენიმე მეტრს გაივლიდა თუ არა, კვლავ ძირს ჩამოცურდებოდა, ღონეს ისევ მოიკრეფდა და აღმართს შეებმოდა.

ხელის მოსაკიდებლად აკაციის ეკლიანი ბუჩქებიც სანატრელი გაუხდა. რამდენჯერმე წამოიჩოქა, სანამ ბილიკამდე მი-
აღწევდა. ბოლოს დაშავებული მალლა ამოიყვანა.

კოტემ ოფლი მოიწმინდა, ახლა მეორე, მგზავრი, უნდა გადაერჩინა. დაჭრილ-დაბევევილი მძლოლი სკამზე გააწვინა... იქ ქალია... ვინ იცის, რა დღეშია?... აქ, გზაზე, იქნებ ვინმემ გამო-
იაროს და დაჭრილს მიხედოს!... მთავარია ახლა იმ ქალის სას-
წრაფოდ ამოყვანა!

ნეტავ მარტო მაინც არ იყოს! ნუთუ არავინ გამოივლის? მაგრამ ასეთ ღამეში მოძრაობა ამ გზაზე თითქმის წყდება და, ჩანს, არავინ მოეშველება.

ფიქრის დრო არ ჰქონდა. კოტე მანქანისკენ ახლა მეორედ გაიქცა... თავდაღმართზე ფეხი დაუსხლტა და თავი ქვა-
ზე დაარტყა.

თოვდა, ბარდნიდა. ფანტელები მშვიდად და თანაბრად მო-
ფრინავდა, ხეებს, დაქუცღულ მანქანასა და ახალგაზრდა შო-
ფერს ეფინებოდა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ კოტე გონს მოვიდა. წამოდგა, თანდათან ღონე მოიკრიბა და მანქანაში მეორედ შეძვრა.

... ზურგზე მოკიდებული უგრძნობი ქალი მოჰყავდა. კოტე მოქანცულიყო, საფეთქლები ტკიოდა. ხენეშითა და ქაქანით ამოათავა აღმართი... ქალი ძარაში შეიყვანა და მაშინვე სინათ-
ლე ჩართო...

ელდა ეცა. ჯერ თვალებს არ უჯეროდა!...

აი, ის, ვისთვისაც ასე მოისწრაფოდა, ვისთვისაც გულა უცახცახებდა, ვისაც უნდა პაემანზე შეხვედროდა. დიახ! გადარჩენილებიდან ერთი ლალი იყო, მეორე კი — ილო. სახეზე სისხლი ჩამოსდიოდათ, სკამზე მისვენებულნი ყრუდ კვნესოდნენ.

ცივად დახედა საათს. შვიდი შესრულებულიყო.

... ცივადვე დასძრა მანქანა და ქალაქისაკენ გაექანა.

ერთი საათის შემდეგ ორივე სასწრაფო დახმარების თეთრხალათიან ექიმებს ჩააბარა. როცა დაშავებულნი საავადმყოფოში დააწვინეს, გულდამშვიდებულ კოტეს ერთი რამის ეშინოდა, მისი ვინაობა ახლაც არ გამოეკითხათ... სწრაფად ჩაჯდა თავის „ვოლგაში“ და გარაქისაკენ გაექანა... ახალბედა შოფერა შეძრწუნებული იყო... დღეს ორჯერ მოატყუეს ის... მანქანა გარაჟში დატოვა, თვითონ სახესისხლიანი შინისაკენ გაიქცა...



მეურბე

ოქტომბრის ბოლოს ბირკა უკვე სავსებით მომწიფებულია და სოფლის ბილიკებზე ისე ვერ გაივლი, ჯგროდ არ მოგედოს და ტანისამოსი არ გაგიფუჭოს. ყანებში მწიფე სიმინდისა და ანწლის შეზავებული სუნი დგას. კრიჭინა აღარ კრიჭინებს, კაკვასიონის მთებიდან ცივი ქარი უბერავს. სიმინდის ხმელი ფოთოლი ტყდება, დამსკდარი ფუჩეჩიდან მარცვალი იცინის.

კაპიტონმა ურმის თვლებს რკინა შემოაჭედა. ჩელტი შეაკეთა, კიდები გადაღობა, რომ ძარაზე მეტი სიმინდი დაეტიოს. კამეჩები მთელ ზაფხულს საძოვარზე ჰყავდა და ისე არაან გაზულუქებული, ღონივრად გასწევენ. ურემი ახალია, ღერძი აკაციისა აქვს. თელის კოფოც ახალია. ახლა გზები! რაც ენგურჰესის მშენებლობა დაიწყო, გზებს ნუ იკითხავთ. გალში წასვლა ისე შეიძლება, ურემს ბორბლები არ დაესვრება, მხოლოდ ეგაა, ძველი შუკები ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. ალაგ-ალაგ ღრმა ორმოებია, თუ ცალ მხარეზე ურემს ხელი არ



მოჰკიდე, გადაბრუნდება. შემოჭედილი თვალი ბარიეტი, მისი ხოლმე ატალახებულ მიწას. მართალია, გზაზე წაგდებულ ქვასა და წნელს ჰყრიან, ხშირად ბარიეტაც მოასწორებენ, მაგრამ ლომასა და ბუსქას ტალახი მაინც მუხლამდე სწვდება და შიგ არხეინად ჩაწოლას ლამობენ.

მეურმე კაპიტონს შორი მგზავრობა არ უხდება, დღეს შეშა გადმოჰქონდა, ხვალ სიმინდს მოაგროვებს ყანაში, ყველგან ხომ მანქანა ვერ გაივლის? მისი დალოცვილი ურემი ჭერ კიდეც საჭიროა.

კაპიტონი სუსტი კაცია. ერთ დროს ფილტვების ანთებით იყო ავად და მას შემდეგ წელში სულ მოიხარა, სატკივარმა ნელ-ნელა გაუარა, თუმცა ძველებური ჯანი ვერ აღიდგანა. კაპიტონი თუ ურემზე ზის, ვეფხვად იქცევა. ომახიანი, ვაქცაცური ხმით დაჰკივლებს კამეჩებს, რა გინდ ტალახიანი გზა იყოს, უსათუოდ გასჭრის და სამშვიდობოს გავა. ფეხებზე სალდათური ჩექმები აცვია. თავზე ყაბალახი შემოუხვევია. შალას გალიფესა და ჯიბეებიან კიტელს შინ და გარეთ არ იშორებს. ყოველდღე, როცა სიმინდის შეგროვებაა, ან ტყიდან შეშას გამოზიდვა, კაპიტონი ძალიან გვიან მოდის ხოლმე შინ. დაღლას და მოქანცვას არა გრძნობს. ამაყად უჭირავს თავი.. ის ხომ ძალიან საჭირო კაცია!..

— რა სჯობია კარგ მეურმეს? მით უფრო თუ ლომასა და ბუსქასავით ჰკვიანი კამეჩები გყავს, წინ რა დაგიდგება?

— მანქანას მირჩევნია! — იტყვის ხშირად მეურმე კაპიტონი.

— თვითმფრინავს? თვითმფრინავს თუ გირჩევნია? — ეშმაკურად ჰკითხავენ.

— ჰე, ძმაო, — ეტყვის ხუმრობით კაპიტონი ასეთ კაცს, — მანქანას კარგი გზა უნდა, ბენზინიც სჭირდება, ურემონტოდ ორ-სამ წელიწადს თუ მუშაობს, ურემი კი ოცდაათი წელიწადია ისე მემსახურება, ერთი კილოგრამი საწვავი არ დამიხარჯავს. იცი თუ არა ეს შენ?

ვერაფერს ეტყვი მეურმეს! სიმინდის ყანაში ტარობს.



მოგროვება უმისოდ შეუძლებელია, ხოლო უსიმინდოდ ჩვეულებრივი კაცის სიცოცხლე წარმოუდგენელია. აი, სად გვიპყროს ხოლმე მეურმე და თავისებურად დაგარწმუნებს, რომ მანქანას თითქოს ურემი სჯობია.

დილაადრიან ყანებში ძახილი რომ ატყდება, ეს იმის ნიშანია, სიმინდის ტეხვა დაიწყო. გვიანი შემოდგომა ერთ რამეში მარტის თვეს ჰგავს. დღეში ამინდი ხუთჯერ იცვლება. მიდი და აწყენინე ახლა მეურმეს! საჭირო არა ხარ, ტექნიკა სჯობია—ქო. არავითარ შემთხვევაში! ამას კაპიტონი არ გაპატიებთ! — ურემიც საჭიროა და მანქანაც, ყველაფერს თავთავისი ადგილი აქვს! — გეტყვის ის... და მართლაც, რა არაა იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე კაცს უთხრა: საჭირო არა ხარ, წადი, ჩვენ სხვას დავუძახებთო. ხომ დიდი სიხარული მოგაწვება კაცს გულზე, როცა დაინახავ, ხალხში შენი ადგილი გაქვს და პატიოსანი შრომა შეგიძლია. თორემ, აბა, რას ჰგავს, კამეჩები მთელი ზაფხული ასუქო და მერე შემოდგომაზე მოვიდეს მანქანა და გამოსატანი სიმინდი წაგართვას. არავითარ შემთხვევაში! — ამიტომ ძნელია არ დაეთანხმო მეურმე კაპიტონს: კი, ბიძია, თავთავის ადგილას მანქანაც საჭიროა და ურემიცო. ვინც ყველგან და ყველაფერში ჩქარობს, აკი ხალხს იმათზე უთქვამს: „ღამაცადე, ურმით გაგასწრებო“! ასეც ხდება ხოლმე.

როცა ტბორიდან ურემს ამოიყვანენ და კარგ გზაზე გამოვლენ, მეურმე შეწყვეტილ სიმღერას განაგრძობს. სახრეს ჰაერში გაატლავუნებს. არასოდეს კაპიტონს გაბრაზებით არ დაურტყამს ლომასა და ბუსქასათვის. ერთი დამახეზაც საკმარისია, მძიმედ დატვირთული ურემი კამეჩებმა აღმართხედაც აიყვანონ და ცუდ გზაზეც გადაატარონ.

... ცაზე ღრუბლის ნატამალი არა ჩანს. გზატკეცილთან, მინდორზე, სიმინდს აგროვებენ. ჩქარობენ. ვინ იცის, იქნებ ავდარმა მოუსწროს. აქედან კი სიმინდს ავტომანქანა წაიღებს.

მეურმე გახარებულია, ასეა, როცა კაცი დარწმუნებულია თავის ძალაში. ყოველი მხრიდან გაიძახიან: — კაპიტონ, არიქა, ჩქარა, ჩქარაო!..



— როდის ყოფილა, შვილებო, ურემს სიჩქარისაფეთქების მოემატებინოს? — დაყვავებით პასუხობს მათ კაპიტონი. იგი თანაბრად დადის, ნამეტან სიჩქარეს სიღინჯე სჯობია, ხომ ასეა?

იქ კი, გზატკეცილთან, საბარგული გუგუნით მოადგა სიმინდის გორას... მანქანა პიპინებს, გრიალებს. ფარების შუქი სიბნელეს კვეთს. ეს მეურმე კაპიტონის უფროსი ვაჟიშვილია, აფრასიონი, საბარგულის მძღოლი.. მთელი დღის განმავლობაში მამის გამოტანილს ახლა ძარაზე დაყრის. ერთი გზობა-ლა გამოუვა. სწრაფად გააქროლებს. კაპიტონი ძალაუნებურად მიუგდებს ყურს მანქანის პიპინს...

სავსე მთვარე ქათქათებს ცაზე... მეურმე კაპიტონი კი ურმულს მღერის... ემღერება და ამიტომ მღერის...

* * *

შენ შორს ხარ ახლა
 ძვირფასო ელენ,
 და კარეტნაიას
 ანათებს თოვლი,
 შენ შორს ხარ ახლა,
 ძვირფასო ელენ,
 და ალბათ, შორეთს
 გაპყურებ თრთოლვით.

ამოდის მთვარე
 და ტვერის ბულვარს
 წვდება პოეტის
 ამაყი ჩრდილი,
 სახურავებზე
 ფიფქებად ბრუნავს
 ქარი, რომელიც
 ვალვიძებს დილით.

ანათებს თოვლი,
 და სარკმლის ახლოს
 დევს წიგნი,
 როგორც კავშირი სულთა,
 გვერდით ოთახში

მოხუცი სახლობს,
რომელიც ძველი
ამბებით სუნთქავს.

ანათებს თოვლი,
იღუმალ სურვილს
მე ვიცი,
როგორ სჭირდება ფრთები,
თუ რიყრაყივით
ნათელი სული
ამქვეყნიური
ალერსით თბება.

ანათებს თოვლი
და, როგორც წინათ,
მოგაგონდება
დიდი ხნის მერეც...
და დათვის მრგვალი
თვალივით ბრწყინავს
ცას შერჩენილი
ვარსკვლავი, ელენ!

□

ზემაკრთალი გული

მატარებლები გადიან მძიმედ
და მთვარეს მკვეთრი ფოლადის დანით
ფორთოხლის ყვითელ ნაჭრებად ჭრიან.
ლიანდაგები ნათდება შუქით,
წყალივით სწრაფი, მოძრავი შუქით
და მოლოდინით შემკრთალი გული
აქამდე ხელით მიჭირავს თითქოს.
სულში ირწევა სიშორე გზათა

და მოგონებით მიიმდება ღამე
და ალვის ხეთა ღამაში მწკრივი
თამამად გარბის გზებიდან გზებზე.
ცა ფეთქაეს, როგორც ცისფერი თვალი
და მისრიალებს ხეების ჩრდილი,
ფიქრივით უცებ ანთებულ ვარსკვლავს
სარკმლის მინებზე გააქვს წკრიალი.

ლიანდაგებზე ანთია შუქი
წყალივით სწრაფი, მოძრავი შუქი,
და მოლოდინით შემკრთალი გული
აქამდე ხელით მიჰიარავს თითქოს.

□

მუზეუმები

მუზეუმების ერთფეროვან მდუმარებაში
სძინავთ ფილაკვნებს,
უზარმაზარ რკინის ფილაკვნებს,
და უანგმოდებულ,
გაციებულ ფართო ლულებზე
თითქოს სფინქსებად
გატრუნულან საუკუნენი.
იქ გრძნობენ,
გრძნობენ,
განიცდიან
ათასწლეულის
ადამიანთა ხმათა ექოს,
კივილს ზარების,
კვდომის,
ფერისცვლის
უსასრულო ჩრდილებს
ნიადაგ

და გულის ცემას
ფერფლადქცეულ სამრეკლოებს.
იქ უზმოდ გრძნობენ,
ვანიცდიან საგალობლების,
ფოლიანტების
უსაზღვრო წუხილს...
და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოსაუბრე
ფილანტროპები

მუზეუმების
დარბაზებში დააბიჯებენ.

□

პატარა მდინარე

ყველა მდინარეს გზა აქვს თავისი
და ამოძრავებს რაღაც ვნებები,
შენც მიფარფატებ ძველი ხალისით
და აბლაბუდის ქსელში ებმები.

შენც მიფარფატებ ძველი ხალისით,
ასე სუსტი და ასე ფერმკრთალი,
ქვებზე იმსხვრევი ბროლის თასივით
და მე არ ვიცი, რა ვქნა, ღმერთმანი!

ბადეებივით მკერდზე გაყრია
ბროწეულების ჩუმი ჩრდილები,
მაღალ ბალახში წევხარ თვალღია
და გიკენკავენ სხეულს ჩიტები.

თითქოს ხეები სადღაც გარბიან
და ფრთებით მიიქვთ ღრუბლის ნახევრი...
ტყეს ექვანივით ყელზე ჰკიდია
შენი კისკისი თავბრუდამხვევი.

ყველა მდინარეს გზა აქვს თავისი
და ამოძრავებს რაღაც ვნებები,
შენც მიფარფატებ ძველი ხალისით
და აბლაბუდის ქსელში ებმები.

□

* * *

ბროწეულაში თენდება ადრე,
მამლის ყელიდან ამოდის დილა
და როგორც ჩქარი მატარებლები
მიისწრაფიან ღრუბლები სადღაც.

ხეების მიღმა მდინარე ბრწყინავს,
ვით მთვარის შუქზე შიშველი დანა
და ჩემთვის ძვირფას ბროწეულაში
ბროწეულისფრად ნათდება ზეცა.

მაღალ ბალახში წკრიალებს დილა,
ბავშვივით ლალი და მხიარული
და ისე მიყვარს მზე გაზაფხულის,
ვით შენი ცული, ჩემთვის მფეთქავი.

და მისრიალებს ფოთლებზე, გზებზე,
მინდვრების ხნულში — წითელი სხივი.

□

ალვების იქით

მთებზე მაღალი ალვების იქით,
ბებერი ციხის დაღალული კედლების დუმილს
აკრთობდა ქარი,

სამხრეთის ქარი
და ივსებოდა ხმაურით სივრცე.

მთებზე მაღალი ალღების იქით,
თოვლში ირიბად გადაფერდილ
წისქვილის მხრებზე
ყოველდღე თეთრი ჩიტები ისხდნენ
და აცეცებდნენ ცრემლიან თვალებს.

მთებზე მაღალი ალღების იქით,
მოულოდნელად ადიდებულ
მდინარის ხივილს

ვაჩვევდი სმენას,
ვაჩვევდი სმენას
და მიაოცებდა ძალა ბუნების.

მთებზე მაღალი ალღების იქით,
წითელ კრამიტით გადახურულ პატარა სახლში
ცხოვრობდა კაცი,
მოხუცი კაცი
და მიყვებოდა ჯადოსნურ ზღაპრებს.

□

* * *

გზებზე ასკილი,
ძოწისფერი ტოტი ასკილის
და სულ ლამაზი,
სულ ლამაზი სველი ნისლები,

რაიც აცოცხლებს
ფიქრებს,
იმედებს
და ლაპლაპებენ ბრინჯაოსფრად
მთათა ზურგები.
ბროწეულების მარცვლებივით

ცვივა სხივები

კლდეს მიმსხვრეული წითელი მზისა...
მზესუმზირების ცოროფლიანი მძიმე ქედები
გაბრუებულან ჩუმი ქარებით.
ღზებზე ასკილი,

ძოწისფერი ტოტი ასკილის
და სურვილივით ზეცა მაღალი,
პურის თავთავი მიჭირავს ხელში.
როგორც გვირგვინი სიცოცხლის და მარადისობის.

□

• • •

სახურავებზე და ბალის ახლოს
თოვლივით მშვიდი მტრედები სხედან.
როგორც ნიშანი ბრწყინვალე დღეთა.

სახურავებზე და ბალის ახლოს,
მზით მოძალეტულ რიქრაქის იქით,
თეთრი ქორივით მიფრინავს ფიქრი.

სახურავებზე და ბალის ახლოს
მწვანე ფოთლებზე დაღვრილი სითბო
სულში სიმღერად შემოდის თითქო.

სახურავებზე და ბალის ახლოს
შუადღის სხივთა ცახცახა ზოლი
კრიალებს, როგორც რკინა ან ბროლი.

სახურავებზე და ბალის ახლოს
ატმისფერი თუ სინდურისფერი
მთის ჩანჩქერივით სივრცეში მღერის.

სახურავებზე და ბალის ახლოს
თოვლივით მშვიდი მტრედები სხედან.
როგორც ნიშანი ბრწყინვალე დღეთა.

თ. კლაძეს

აქვარიუმის მწვანე ფსკერზე
 მთელემარე თევზებს,
 აქვარიუმის კედლის ჩრდილში
 გატრუნულ თევზებს,
 აქვარიუმის ირისისფერ
 ფარფლიან თევზებს,
 ფერიებივით წყლის ლურჯ სულში
 განაბულ თევზებს
 ზღვა ესიზმრებათ,
 ზღვა გამლილი,
 ზღვა უდაბურო

და ხავსივით გრილი ტალღები...
 აქვარიუმის მწვანე ფსკერზე
 მთელემარე თევზებს,
 აქვარიუმის კედლის ჩრდილში
 გატრუნულ თევზებს,
 აქვარიუმის ირისისფერ
 ფარფლიან თევზებს,
 ფერიებივით წყლის ლურჯ სულში
 განაბულ თევზებს
 ზღვა ესიზმრებათ,
 ზღვა უძირო,
 ზღვა ძილგამკრთალი

და ღამით ქარის გამოფხიზლება...
 ხოლო ქალბატონს
 განსვენებულ მოქანდაკისას
 ჩუმი სიფრთხილით
 სახლში შეაქვს აქვარიუმი
 და იხურება,
 იხურება სახლის ფანჯრები,

რომ არ გაცივდეს

ქალბატონი მოქანდაკისა.

აქვარიუმის მწვანე ფსკერზე

მთვლემარე თევზებს

მაინც ცისფერი ზღვა ესიზმრებათ...

აქვარიუმის კედლის ჩრდილში

გატრუნულ თევზებს

ფსკერზე მთვლემარე ცა ესიზმრებათ.



გ ზ ე ბ ი

ჯერ მიწამ თავის მკერდზე მაგორა,
 მერე მზე მთებზე გადმოდგა ჩემთვის
 და, როგორც საგანს ხშირწახნაგოვანს, —
 მე ჩემს სამყაროს იმგვარად შევხვდი.
 გავხდი აშკარა, როგორც ტკივილი,
 გზებზე საუნჯეს ვკარგავ და ვიძენ
 და პა, მაწვება მხრებზე ტვირთივით
 ფრთათა შრიალში ნაპოვნი სიბრძნე.
 და წყაროები, — მიწის ამაგი
 რომ საპატიო ვალივით მქონდეს, —
 ატრიალებენ მაღალ წახნაგებს,
 ვით ჩემი ბედის უტყუარ ბორბლებს...
 ყველა სიმდაბლის ვარ სამდურავი,
 ვარ ქვაზე ციცქნა სიკეთის დება
 და მწიფობისთვის ჟინი მწყურვალი
 შფოთიან დღეთა პრიზმაში ტყდება.
 ვილაც მიღიმის, ვით გულთმისანი,
 მე კი ვიღლები ვარსკვლავთა ძებნით,
 და მე ისეთი არ მწამს მიზანი,
 რითაც უეცრად თავდება გზები.
 თევზს ხელს ლაყურში როცა ვავლებდი,
 მუდამ ვიცოდნი: რატომ და რისთვის...
 ასე გავჩორკნე სიტყვა წვალეებით
 და ზოგს აშფოთებს გაჩენა მისი.

და მინდა სადღაც მასაც გავენდო,
 ყურში ჩავძახო მკაცრად და სადად:
 მე მასთან, აბა, რა მაქვს საერთო,
 ვინც თვალის ჩინი დაკარგა სადღაც.
 და ვეგებები დუმილს მდუმარედ,
 მერე ხმაურით კარს ვაღებ დილის
 და ჩემი გზების თავსასთუმალზე
 ბორგავს და ბორგავს გამტყდარი ძილი.
 უსასრულობის ღია კარებში
 თრთის და ფანქალებს ნათელი წუთი,
 და ჩემი სულის ოკეანეში
 ცვივა და ცვივა შუადღის შუქი.
 და ვარ აშკარა, როგორც ტკივილი,
 გზებზე საუნჯეს ვიძენ და ვიძენ
 და ჰა, მაწვება მხრებზე ტვირთივით
 ფრთათა შრიალში ნაპოვნი სიბრძნე.
 იხსნება ძველი ძნელი კვანძები —
 ჩემი და ქვეყნის სიმდიდრე მთელი,
 ზე აღუპყრიათ გემებს ანძები,
 როგორც ხელები — მადლობის მოქმელნი.
 ზღვა გართულია ტალღის გორებით,
 ქარი კი ტირის, კივის და ტირის...
 და ჩანს ფოკუსში ჩემი გონების
 საშვილიშვილოდ შეკრული ტივი.

□

გაზაფხული

ჭიდილს ღრუბლებთან უცებ ათავებს,
 მოდის, კვალდაკვალ ქარი მოსტირის
 და ჩნდება იგი როგორც სათავე,
 მერე გრძელდება წყაროს ტოტივით.

პირველგაფრენად სახელდებული —
ის მოდის ლურჯად ამხედრებული,
ვით გახსენება მზის და სიცილის,
ვით დავიწყება ყველა სიცივის.

ქედებს ედება მისგან აღმური,
მოდის ზვირთებად, მწვანე ბორცვებად,
მოდის, მოუძღვის ვით მეთუარი,
ყველა ლტოლვას და
ყველა ოცნებას.

მას, ვით მეომარს, ისე იცნობენ,
რომელმაც ყველა მომხდურს აჯობა, —
იწვის წყურვილით,
როგორც სიცოცხლე —
გადარჩენილი
ზღვაში
დახრჩობას.

უმზერს ქვეყანას ფართო თვალებით,
ტყეებს სინედლედ თავზე ევლება
და არის სავსე იდუმალებით,
ვით მწვერვალებით — შშვენიერება.

შედის ბაღეშში, როგორც სურვილი,
უთუოდ უნდა ახდეს რომელიც,
და არის იგი კაცის სულივით
ახლობელიც და
მიუწვდომელიც.

მოდის,
აცოცხლებს
დღეებს მომავალს, —
ხელს სიყვარულით როცა მოჰკიდებს,
ის მოდის როგორც თქემის მოვარდნა
და ძველი ქერქი სცვივა კოპიტებს.

კვირტა სკდომაში,
ვაზის ტირილში
ღამე სისხლისგან უცებ იცლება...
სმენადქცეულნი თრთიან ტირიფნი
და ღვანან, როგორც თაყვანისცემა.

□

მთავი

ფეხებს თანდათან იღვამენ ზღვისპირ
და მალღღებთან თანდათან მთები, —
მისდევენ ერთ-ერთს, ვით ზვირთებს ზვირთნი,
და მერე მათი სიმაღლით ვთბებით.

ადიან ზევით
გორაკად,
ბორცვად,
ექებენ მწვერვალს —
ზეცასთან შეხლილს
და აიწვევენ ამგვარად როცა, —
უცებ
უფსკრულში
უსხლტებათ
ფეხი.

□

ზაფხულის დღე ზღვაზე

გვალვის ღმერთებმა ღრუბლებს და წვიმებს
მთელი ზაფხულის წაართვეს სარჩო,
და ზღვის ფერია სიციხიან თითებს
თეთრი აფრების ტევრებში არჭობს.

ბრიალა ალი ცრემლივით დნება, —
ცას თითქოს გული გაეპო ორად,
და, როგორც უცებ დამცხრალი ვნება,
მზე მოთენთილი
ტალღებში გორავს.

ბალმებს თითქოსდა ერევათ რული
და შტოებს დაბლა ნელ-ნელა ხრიან:
და, ვით მუსიკას, ისრუტავს სული
თოლიის ფრთებით დარხეულ ნიავს.

ცისა და მიწის მთრთოლვარე ზღურბლთან
ელავს აღმურის წითელი კვერთხი,
და სანაპირო რიტმულად სუნთქავს
ამობურცული ქოლგების მკერდით.

და, ვით წყალობა, მიჰყვება ნაპირს
კაცი, რომელიც არიგებს ნაყინს.

ბრწყინავს ქვიშაზე ნაწნავი წყვილი, —
გოგონას ატმის ტუჩები უთრთის...
და მეზღვაურის ვეება ჩრდილი
დღის მხურვალეებას ანელებს წუთით.

□

* * *

ვით საზღაური ფიქრთა ქიდილის,
ვპოვე მარბილი დაუძრახველი...
„ხან სიხარული, ხანაც ტკივილი!“ —
ჩემს გზას ასეთი ჰქვია სახელი.

ტკივილს უმძაფრესს განა ვემდური?
ის გვერდით მახლდა, მზე რომ მათბობდა,
და ყოველივე შუალედური
ავკრძალე, როგორც უსამართლობა.

ღამე დავკეცე, როგორც ფურცელი,
და წინ მიმიძღვის დილა სულმნათი,
ტკივილი ჩემი ტაძრის ფუძეა
და სიხარული — მისი გუმბათი.

იმედს სანთელი გზებზე უნთია
და წვის ტკივილში ბედი იწრთობა...
დარდი ცხოვრების ერთი წუთია
და აღმაფრენა — მარადისობა.

სული ფრთონავს თუ
ტყე ტანაყრილი?
ცვარში ცახცახებს ზეცა წკრიალა,
და როგორ გაჩნდეს ყლორტი აპრილის,
თუ არ დააჩნდა ნახნავს იარა?

არის სიმწვანე ჩემთვის საჭირო,
ვით უდაბნოსთვის — მზერა მწყურვალი,
და სიყვარულით თუ არ დავიჭერ,
როგორ შევიგრძნო ხელი მკურნალის?..

ტკივილი — ქრელი ფიქრი და ფიქრი —
თითქოს ტევრია გაუკაფავი,
და, როგორც ფონი, მჭირდება იგი,
რომ ცისარტყელა ჩანდეს მკაფიოდ.

თვლემენ ქვესკნელში ცხელი ლოდები, —
ხელებს ითბობენ მზისფერ ლავაზე
და დედამიწა ნაჭრილობევი
არის იმ ცეცხლით ასე ლამაზი.

და ჰა, ვიგემე უცხო ხილივით
მიწის ნაყოფი დაუძრახველი...
„ხან სიხარული, ხანაც ტკივილი!“ —
ჩემს გზას ასეთი ჰქვია სახელი.

მახლობელივით მიმზერს შორეთი —
თეთრი და ლურჯი დღეების ტბორი...
და მე ვაუქმებ კუნძულს, რომელიც
ძევს ტკივილსა და სიხარულს შორის.

□

სიყვარული

ჩნდება ტკივილით, ჩნდება თავისით
და გზებს მიჰყვება იგი ბოლომდის, —
ყველა კეთილის არის საწყისი
და აღსასრული — ყველა ბოროტის.

ქვეყნად მეორედ მოსვლას ვიწამებთ,
ოღონდ ძაბილი მისი მოგვესმას,
ის ერთადერთი არის მიწაზე,
ვერ დაატყვევებ წუთით რომელსაც.

თუ არ მოსულა —
ისე მოველით,
როგორც აპრილი ელის იელებს,
ის ერთადერთი არის, რომელიც
ავსებს ყოველგვარ სიცარიელეს.

შუქივით ადგას სულის სანახებს,
ერთხელ იღვიძებს
და არ იძინებს
და ფოთოლივით როცა ცახცახებს,
ტვირთს ეზიდება — ქვეყნის სიმძიმეს.

გზაზე, ბილიკზე ნერგად იხარა
და ღვრის შარბათად ღაძეს უძილოს
და საიდუმლოს ისე ინახავს,
როგორც სიბნელეს — ორმო უძირო.

ყველა შეტევა, ყველა კვეთება
ქვეყნად იწყება მისი ბრძანებით,
დილის მზესავეით გზებზე ენთება
და გადადიან ხილზე მგზავრები.

□

გაგზავნი

ის დადის ნელა ეზოში ახლა,
ქუჩამდეც აღწევს ციციქნა ფიქრითა
და სულერთაა —
ვერაფერს ნახავს,
რომ გაიხედოს ქუჩის იქითაც.

გემს როცა არწევს ქარის თარეში, —
ყველაზე მშვიდი ის არის მგზავრი,
ერთ ბეწოდ მოჩანს ცა მის თვალებში,
ეზო კი ქვეყნისოდენი არის.

თვალსაწიერზე არა ჩანს ნისლი,
მივდივართ ბავშვთან —
მალღდება კიბე,
მერე ვერ გვიტევს
თვალეზი მისი
და ორაზროვნად გვილიმის დიდებს.

გვილიმის,
გვიქნევს ფუნთუშა ხელებს

და თუმცა ზოგ რამეს ვიგებთ წვალებით, —
მის ღიმილს ვსწავლობთ ყოველდღე მერე
და მაინც გვრჩება შეუსწავლელი.

ზელებგამლილი მივილტვით მისკენ,
ყვავილებს გვაყრის მაღალი ნუში...
და ცხოვრობს ბავშვი ეზოში ისე,
ვით თვითონ ეზო — სამყაროს გულში.

□

ღრო

ის აჩენს ყველა წყურვილს და წყაროს,
მხედარს ცეცხლოვან ბრძოლებში წაფავს
და თუმცა იგი არასდროს ჩქარობს,
მაინც ანგრევს და აშენებს სწრაფად.

ქსელს გზებზე უხმოდ ლამბავს და ლამბავს
(ჩერდება სადღაც ჩარხი მბრუნავი)
და დრო სავსეა სიცოცხლით,
რადგან

ყველა ტკივილის
არის მკურნალი.

წლებს, როგორც თევზებს, აგდებს ბადეში
და ბეწვის ხიდზე ხომალდებს აბამს
და მის ქროლვაში, როგორც სარკეში,
გკითხულობთ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავს.

მიდის და
მარცვალს
ხნულებში აბნევს,
აცინებს რამდენს, ატირებს რამდენს!..

და, ვით ნეგატივს, ბოლოს და ბოლოს,
 ამქლავნებს იგი კეთილს და ბოროტს.

მიდის და
 იცის —
 არის ძლიერი,
 როგორც დარი და
 როგორც ავდარი...
 ის ცხოვრობს ასე
 და ბედნიერებს
 მარადისობის ცხრილში ატარებს.

□

რწმენა

ჩნდება იმიტომ — გაფანტოს ნისლი,
 ჩნდება, ქარიშხალს თვალეზში უმზერს...
 მე ვცხოვრობ, როგორც საყრდენი მისი,
 ის — როგორც ჩემი ცხოვრების ფუძე.

ცხოვრობს და მარტოდ არ მტოვებს წამით
 და გზაზე თითქოს მივდივართ წყვილად,
 და მიხარია გატეხვა ღამის,
 როცა ელსაც მოსდევს მგზნებარე დილა.

მე მიხარია წვიმა და თოვა,
 ქარები როცა ქრიან და ქრიან...
 საქმე ისაა, შეგეძლოს თრთოლვა,
 თორემ სიმშვიდე სიკვდილსაც ჰქვია!

ეელი ხვალინდელ ბგერებს და ფერებს
 და აპრილს მხოლოდ იმიტომ ვხვდები,
 რომ მედოს წილი იმაშიც მერე,
 რასაც ჩემს შემდეგ შექმნიან სხვები.

მიცურავს ელვა ღრუბლიან ცაზე
(არცა ღირს ყოფნა უღრუბლოდ თითქოს)
და მე იმიტომ ვყიყინებ ასე,
რასაც დავეთესავ,
მოვიმკა თვითონ.

და კმაყოფილი საკუთარ ბედით
ახლა იმგვარად გავყურებ საგნებს,
ვით მთის კალთაზე მიყუყულ სახლებს
დასცქერის ხოლმე ამაყი ქედი.

□

სალამო კახეთში

ჩუმად ტკაცუნებს გზისპირ იფანი
და მუხა შტოებს მიწაზე აწვენს,
მზე — შუამთაში ნაქეიფარი —
ტყეში იხოკავს ლალისფერ ღაწვებს.

მოარღვევს სივრცეს სხივების ღვარი
და გზები ჰგვანან სიმღერას უთქმელს,
როგორც სურვილი დაღლილი მგზავრის —
ალაზნის ველზე სიჩუმე სუფევს.

მთა ძირს ჩამოდის გაშლილი მკერდით
და თვალებს ფერთა რიალი მიჭრის,
ჰგავს ალავერდი — ქალწული თეთრი —
ვნებიან სიზმარს კახელი ბიჭის.

მალლა და მალლა მიიწევს წიწვი, —
ასწვდება ზეცის კრიალა სარკეს...
ეს —

ნინოს თმების სურნელი იწვის
თუ წინანდალი საკმეველს აკმევს?

გამოვიარე ბილიკი ფეხით,
გულზე დაისის ნაქდევნი მაზის...
მოდის სალამო ღიმილით გლეხის,
რომელმაც დილით ჩაყარა ვაზი.

□

ტალღა და წუთი

ზღვა ფრთებად ქარებს ისხამს და ისხამს
და ფეთქავს მერე ძლიერი კუნთი,
ტალღა თითქოსდა ძარღვია ზღვისა
და აქვს უფლება იცხოვროს წუთით.

და აქვს უფლება იცოხნოს ქვიშა,
ქვიშაში ვნება ჩამარხოს მცხრალი,
რამეთუ წუთით ცხოვრება ნიშნავს —
მარადიული დატოვოს კვალი.

ეხლება ტალღა — გუნდი და გუნდი —
ბოძებს და ბურჯებს — დულაბით ნაგებს,
და ჩვენ ხანდახან გვატყვევებს წუთი,
რომელიც იმ წუთს ყველაფერს აცგრევს.

გვატყვევებს...

ტალღებს თვალეზში ვუმზეროთ,
და თითქოს საშიშ სრუტეში შედის
წუთი, რომელსაც ტვირთივით ზურგზე
ჰკიდია დიდი გემების ბედი...

ზღვა ფრთებად ქარებს ისხამს და ისხამს
და ფეთქავს, ფეთქავს ძლიერი კუნთი,
ტალღა თითქოსდა ძარღვია ზღვისა
და აქვს უფლება იცხოვროს წუთით.

არ უჩანს ბოლო ტალღების როკვას...
და ერთდებიან ნაპირთან უცებ —
წუთი,
რომელიც ძარღვივით ტოკავს,
ძარღვი,
რომელიც აღბეჭდავს წუთებს.

□

ღამე

ფიქრი და ფიქრი გზასავით მოჩანს
და არა როგორც უძირო ხრამი...
და მშვიდი ძილით მძინარე ოჯახს
დარაჯობს ჩემი უძილო ღამე.
სურვილებს ოქროს ჩავაცვი ქოში
და ჩემი სახლის ვამალღე ჭერი,
ხან მარმარილოს ვაშენებ კოშკებს
და ხან მენგრევა ციხეთა ბჭენი.
ფიქრია თითქოს თავიდათავი —
უჩინო ხმათა ანაზღად მჩენი...
და ცხოვრობს ჩემში ამქამად ღამე
გაზვიადებად უნარის ჩემის.
ვარ გულუბრყვილო თითქოსდა ბავშვი, —
სამყაროს ხილვის სიხარულს ვიძენ,
და მე თამამად მივეყვები კვალში
ღამის ქაოსში დანახულ სიბრძნეს.
მე წინათგრძნობის ერთგული ვრჩები, —
იბერტყავს ღამე ფიქრიან კალთას
და ფუსფუსებენ უცნობი ხმები
ჩემი დღეების სამსჯავროს კართან.
წამი ათასჯერ შემიცვლის ამინდს,
ავდარი დართი იცვლება ჩქარა,
და ისიც ვიცი —

საგნები ღამით
ხანდახან უფრო მკაფიოდ ჩანან.
მკერდზე მეხლება მხურვალე ტალღა,
რომელიც ჩემგან არაფერს ითხოვს,
და ღამე ისე ბუბუნებს ახლა,
ყველას მაგივრად ვფიქრობდე თითქოს...
ფიქრი და ფიქრი გზასავით მოჩანს
და არა როგორც უძირო ხრამი,
და მშვიდი ძილით მძინარე ოჯახს
დარაჯობს ჩემი უძილო ღამე.

□

ბოშები

პალმების ჩრდილში ქალაქს სძინავს და
ციცქნა კარავი ქუჩების მიღმა
ღვას ისე ცერად, თითქოს ვიღაცას
ბოშა უკითხავს ბედსა და იღბალს.
თვლემს ზღვისპირ ძველი ციხის კედელი,
გააქვთ ზუზუნი გზადაგზა ქარებს,
და ბოშა ქალის შიშველ მკერდივით
დაეხეტება კარავში მთვარე.
ქალაქის თავზე შუქი ციმციმებს —
თვალისმომჭრელი, უცხო განძივით,
ღვიძავთ აბეზარ ღამის კრიკინებს
და დაღლილ ბოშებს სძინავთ ღრმა ძილით.
კარვის კედლები
დაღვრემილები
დასერილია მთვარის დაშნებით
და ცახცახებენ ღამის ჩრდილები,
ვით შეცივებული ბოშა ბავშვები.
ზღვით მოვარდნილი
ქარი ძლიერი

ხელს აფათურებს კარავში ისევ,
და ეზმანებათ ოქროს ბრჭყვიალი
ლაფში ამოსვრილ ცარიელ ქისებს.
და სძინავს კარავს მშვიდად და ტკბილად,
სძინავს და... ამ დროს იელვებს სხივი...
და პა, ხელახლა ივსება დილა
მოხეტიალე ცხოვრების ჟინით.

□

ჩრდილი

მას სხვათა ყოფნა ყოფნის იმედად,
ცხოვრობს ასე და
ბედს არ ემდურის,
გავდივართ გარეთ —
აგვეკიდება,
როგორც ამბავი
მობეზრებული.

მოგვდევს,
სიგრილით
სავსე აქვს პეშვი,
მერე ნაპერწკლად უცებ ვენტები...
და ჩრდილს ჩვენივე შუაღლის მზეში
ავიწროებენ ჩვენი ღმერთები.

□

ზვავი

მთებს მოსწყდა იგი უცებ ორბივით,
გამოპყვა გზა-გზა მთათა შფოთვანი

და მყუდროება პირველყოფილი
დაიმსხვრა, როგორც თიხის ქოთანი.

ვდგავარ და
თითქოს სიზმარში ვხედავ:
იცრემლებიან რტონი ცვრიანნი...
ტყეს ისე კორტნის ჭრიალი ხეთა,
ვით გულს —
ობოლი
სულის
წრიალი.

ბილიქს არ უჩანს თავი და ბოლო,
სულს დაფავს სადღაც ნისლი დევნილი
და ხეობაში ირწევა ბოლი,
როგორც ნგრევის და ქროლვის დემონი.

□

წუთისოფლის ერთი წუთი

დუმს სამყარო
და გარშემო
ახლა არეინ ჩანს,
ყურს დავუგდებ ერთი წუთით
წუთისოფლის ჩქამს.
აგერ, ერთი კოპიტი დგას,
ტოტებს დაბლა ხრის,
ლურჯ ფოთლებში ფეთქავს თითქოს
დღეგრძელობა ხის.
დუმან ტყენი,
მთანი დუმან,
ცას დუმილი სურს...
და ნეტავი ამ დუმილზე

ვინ იძიებს შურს?
აჰა, ძალღი ახსენეო, —
ვინ შემოჰკრა ხეს?
(ძალღმა რადგან ყეფა იცის,
სადღაც ისიც ყეფს).
ხისმკრელმა კი ჰკრა იცის და
სხვა რაღა ჰნას, —
ჰკრის.
ხემ იხაროს ოღონდ ჰვეყნად,
განა მოჰკრა ჰკრის!
გადის წუთი,
ჰკრის ხისმკრელი,
ხე ჰკრიალებს,
წუხს.
გადის წუთი, —
ჰკრის ხისმკრელი
წუთისოფლის წუთს!..

□

იმაღლი

ღამე დაღმართზე უცებ ჩათავდა,
ღეგა ღრუბლების გაწყდა კრებული
და ზღვა მშფოთვარე დაცხრა თანდათან,
როგორც სარდალი ომწაგებული.

ბეუტავს ტალღებზე შუქი მიმქრალი,
სულში შემოდის იგი განგაშით
და თვალს იმედი ახელს იმგვარად,
თითქოს იღვიძებს ბავშვი აკვანში.

ტალღა ნაპირებს მშვიდად აწვება,
ვერც აქ დაიდო ბინა ღრუბელმა

და მოჰგავს შუქი ახლა ნაპერწკალს,
რომელსაც ცხელი ქარი უბერავს.

და ახლა მე და ჩემი სურვილი
ამ გაშლილ ზღვაზე ძლივსლა ვეტევით...
სადღაც ღულუნებს ცა მავთულივით...
და ფართქალებენ თეთრი მტრედები.

□

წაროების გადაზრანა

როცა მოსწყურდათ ქარებს ჯირითი,
აცურდა ტყიდან მწყრივი ვეება, —
თითქოს ასწია მიწამ ბილიკი
ცაში სიცოცხლის გასაგრძელებლად.
მწყრივი და მწყრივი ერთუროს მიჯრილა,
მაგრამ ხანდახან ბედი ცბიერი
გაჰკრავს კლანჭებს და...
ავსებს ყიყინა
უცებ გაჩენილ სიცარიელეს.
ისწორებს თალი ლაქვარდიანი
დალალს წეროთა გრძელი სავარცხლით...
და ცის უხილავ მერიდიანებს
ქინიან ფრთებზე გააქვთ ცახცახი.

□

ჩანს კვალი ახლა, ვით განაჩენი

ვიყავი მწყემსი,
ვიყავი მებრე...
ტვირთის სიმძიმე ამგვარად ვიცან,
და ბარს როდესაც დავკარი ფეხი, —

მე დამილოცა მარჯვენა მიწამ.

ბავშვი ვიყავი —

ვაეცად ვიქმეც

და ვამაყობდი გლეხკაცის ხელით,

მე წინაპარმა მასწავლა სიბრძნე —

მიწასთან ბრძოლა რომ არის ძნელი.

და რადგან ვალი მემართა დიდი, —

წუხილს და წუწუნს დავეუღე ზღვარი,

და მე ვიცოდი,

მძიმდება ტვირთი

თუ ჩაიკეცა

ნახნავში

ხარი.

მე ჩემი ხარის იმედი მქონდა,

მევაბიჯებდი ამგვარად გზაზე

და ვაპურებდი ხარსა და ოჯახს,

და ობლის კვერი ცხვებოდა ასე.

მოჰქონდა სითბო ველების შრიალს,

მიწის სინედლით ვიყავი მთვრალი,

და თუმც ცხოვრება მიჭირდა ხშირად, —

მაინც საოცრად მიჭრიდა თვალი.

როგორც მიზეზთა მიზეზს და შედეგს —

ვამჩნევდი შუქის შორეულ ბრწყინვას

და რაც სხვამ ნახა ოცი წლის შემდეგ,

მე ვნახე იგი ოცი წლის წინათ.

ფხვიერ მიწაზე ოცნება დავრგე —

ლამაზი, როგორც გაჩენა კაცად,

და რაც მიგრძენია ყველაზე კარგი:

იყო

დღეების

ძლიერი განცდა.

კვალში მივსდევდი არწივის მართვეს,

კარავს ვაგებდი კლდეების ძირში

და რადგან თვალში ვუმზერდი საფრთხეს, —

არ შევპყრობილვარ არასდროს შიშით.
გაჩენის დღიდან ვიყავი თითქოს
დანატრებული ორბების ყვილის,
და გზა რაც უფრო საშიში იყო,
მით უფრო მშვიდად ვიტანდი ტკივილს.
მექაჩებოდა ვიღაცა უკან, —
წინ მივიწევდი ახალი ძალით,
მე მწარე მქონდა პირველი ლუკმა
და კენწეროში გატკბილდა ბალი...
და მივყვებოდი ამგვარად ბილიკს,
ბილიკი მაინც მოჩანდა მრუმედ,
და რომ მეგონა:
გამიწყდა სიმი, —
ელვის
ნაკვალევს
წავაწყდი
თურმე. —
ჩანს კვალი ახლა, ვით განაჩენი,
მე მას მივსდევ და ვიოკებ წყურვილს...
და თუკი ახლაც არ გჯერათ ჩემი, —
მოდით, ხელახლა დამიგდეთ ყური!

გენერალი და მჯითუნახავი

— რაღაც ძალზე საეჭვო ამბავია! — ჩაილაპარაკა თავის-
თვის კანცელარიის უფროსმა, ხანდაზმულმა მელოტმა კაცმა,
ჰოფმანმა, როცა საიდუმლო ფოსტის დათვალიერებას მორ-
ჩა. ზარის ღილაკს დააჭირა თითი. საქმეთა მმართველი გაა-
ფრთხილა, არავინ შემოუშვა, არმიის სარდალს სასწრაფო რამ
უნდა ვაცნობო.

არმიის გენერალმა ვალტერ ჰერბერტმა გულდასმით გა-
დაიკითხა უკანასკნელი საჩივრები გენერალ-მაიორ ფრიშენ-
ბერგის წინააღმდეგ.

„უთუოდ ჭკუიდან შეიშალა, ისეა დაბნეული. ზოგჯერ
თავისიანებს მუსრს ავლებს. მისი ბრძანებით ზარბაზნის ყუ-
ბარები ჩვენს ნაწილებს თავზე ეყრება. პირდაპირ საოცარია,
პირველად მესმის ასეთი რამ. ცოცხალი ძალა გაანახევრა, გაა-
ტილა ტექნიკა. ამასთანავე, უმწეო, უიარაღო პარტიზანებსაც
კი ვერ გაუმკლავდა, სულ ახალ-ახალ მაშველ ძალებს ით-
ხოვს“...

— იგი ათი თვე ტყვეობაში იმყოფებოდა! — ჩააწვეთა
სიტყვაში გესლი ჰოფმანმა, როცა არმიის გენერალი კითხვას
დროს ოდნავ შეყოვნდა, — სწორედ ამის შემდეგ უახლოე-
სი ხელქვეითნიც კი ველარ ცნობენ მას...

— როგორ თუ ვერ ცნობენ, — დიდად გაოცდა გენერალი,

— იგი ზომ მამაცურად გამოიქცა, ფრონტის ხაზი განვლდა და ამ მიმე ეამს გერმანიას დაუბრუნდა.

— გესტაპოს საიდუმლო აგენტის მაიორ გეიდეკის აზრით ეს კაცი გარეგნულად ნამდვილად ფრიშენბერგია, მხოლოდ გენერალ-მაიორის შინაგანი ბუნება უეჭველად შეცვლილია...

— მიჰქარავ რაღაცას! — დაიგრგვინა არმიის სარდალმა და პოფმანს სიტყვა გააწყვეტინა, — ამით იმის თქმა ზომ არ გსურს, თითქოს ფონ ფრიშენბერგი თავის ყაიდაზე გარდაქმნეს რუსებმა!..

ტელეფონის ზარის რეკვამ გააწყვეტინა მათ საუბარი.

ბერლინიდან საგანგებოდ გამოეგზავნათ გესტაპოს პოლკოვნიკი კრეიციერი, მეტად გონებამახვილი, საქმეში ჩახედული, სახელმოხვეჭილი მზვერავი.

— გეიდეკს უკვე თავისი საქმე მოუთავებია, — უთხრა გენერალმა შუბლშეკმუხვნით პოფმანს. — ჩვენ ორივე თავისუფალი ვართ. ამიერიდან ფონ კრეიციერმა იტეხოს თავი.

მეორე დღეს ჰერბერტმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც გეიდეკი სამუშაოდან განთავისუფლდა, ხოლო მის ნაცვლად პოლკოვნიკი კრეიციერი დაინიშნა.

* * *

გეიდეკი რამდენიმე დღით დატოვეს საქმეების გადასაბარებლად. მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი ნაწილში კრეიციერის ჩამოსვლის ნამდვილი მიზანი, მართო მასთან ჰქონდა საიდუმლო საუბარი სახელგანთქმულ მზვერავს.

მეორე დღესვე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს.

— გუშინ პირველად შორიდან ვნახე ფრიშენბერგი, — დაიწყო კრეიციერმა, — მანამდე მისი ბიოგრაფია შევისწავლე, გავეცანი მის ნათესავებს, ცოცხლად დარჩენილ მეგობრებს, ჩაწვდი თითქმის ყოველ წერილმანს, რაც ცხოვრებაში გადახდა. სიკაბუჯე საკმაოდ აღვირახსნილად გაუტარებია. ის ნამდვილად თუ „შეცვლილი“ გენერალია, როგორც შენ ეკვი



შეგაქვს, ახლა აუცილებლად გაებმება ჩემს მახეში. ეს ხარი, გარეგნობა ხომ მთლიანად ემთხვევა?..

— დიახ, პოლკოვნიკო, — მტკიცედ უპასუხა გეიდეკმა, — სიმალღე, თმისა და კანის ფერი, ხმა, მიმოხვრა — ერთი სიტყვით, ყველაფერი შემოწმებულია. ნაოლოდ ერთი რამ ვერ შევამოწმე, თვალები ცისფერი ჰქონდა ფრიშენბერგს... უკვე მესამე თვეა, რაც ტყვეობიდან დაბრუნდა. სათვალეს არ იცილებს, წინათ კი არ ატარებდა. ეს მაეჭვებს. მაკვირვებს, აგრეთვე, რომ წვერი მოუშვია, ნიკაძს ქვემოთ ხალი ჰქონდა, რომელიც ახლა არ ჩანს.

— გასაგებია, — შეაჩერა იგი ფიქრებში წასულმა კრეიცერმა, — მაშასადამე, გარეგნობაში ეჭვი არ შეგაქვს, მხოლოდ თვალების ფერი და ხალი გაფიქრებს...

— დიახ, ასეა!

ზეზე წამოდგა განთქმული მზვერავი, დაღვრემილმა თავი ჩაქინდრა, გაიარ-გამოიარა.

— არა, — წარმოთქვა მან. — ამას გადაამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ და უსათუოდ შევამოწმებ... ვნახოთ, რა გამოირკვევა...

* * *

იმავე საღამოს ფრიშენბერგმა კრეიცერი მიიღო. მზვერავი გულმოდგინედ აკვირდებოდა გენერლის მანერებს. აი, მან მარცხენა ხელით ღილს დაუწყო კირკიტი, დინჯი გამომეტყველებით დასცქეროდა იატაკს, ხშირად მალლა წამოსწევდა გრუნათმიან თავს, აუჩქარებლად ეწეოდა სიგარეტს, საუბრის დროს წამოდგებოდა და მაგიდის ან სკამის ირგვლივ დადიოდა.

ფრიშენბერგის ეს ჩვევები ცნობილი იყო მისთვის...

— გეთაყვა, — წამოიწყო გენერალმა ოფიციალური მისალმების შემდეგ, — ვიცი, რისთვის გამოგგზავნეს, ბევრი მსმენია შენი გამპურიანობისა და მაღალი ნიჭიერების შესახებ. აუარებელი საქმე გველოდება. ამ ქვეყანაში თითქოს ქვამ და



მიწამ, ტყემ თუ ველმა ყურები გამოიბა. ყოველ ნაბიჯზე
შეშობაა. გამცემნი, ჩანს, შიგნითაც გვყავს. ვინაა საეჭვო,
ვინ არა, ეშმაკმა უწყის. რე ცუდად წავიდა საქმე, რომ ჩემ-
ზეც არაერთი საჩივარი შეუთითხნიათ. აქაოდა, მარცხს რა-
ტომ განიცდისო. როგორ, სხვები იმარჯვებენ თუ? არა, გული
აღარ მომდის, შევეჩვიე ასეთებს! ცილისწამებაა! ამ გზით რას
დამაკლებენ? დამსახურება ცოტა როდი მაქვს! გენერალურ
შტაბშიც მიცნობენ, უშუალოდ პიტლერისაგან მაქვს მიღე-
ბული ჯილდო „დიუნკერკის ოპერაციისათვის“. ამასთანავე,
ფიურერი პირადად მიცნობს.

— რა გაეწყობა, — უპასუხა კრეიციერმა, — არ მსურდა
ფრონტზე წამოსვლა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რას ნიშნავს
ბრძანება სამხედრო პირისათვის. ეს კანონია, რომელიც სიტ-
ყვაშეუბრუნებლად უნდა შესრულდეს. მუშაობით განაწამე-
ბი, დაქანცული ცხენი პირში უმაღვე იდებს აღვირს, ასევე
ვართ ჩვენც. თქვენს ნაწილში იმის სრულე, რწმენით მოვედო,
რომ ერთგულ ჯარისკაცად მიგკლვებთ და ყოველნაირად და-
მეხმარებით...

ქათინაურები უხვად მოიშველია მზვერავმა. საუბრის დროს
მხოლოდ იმას ცდილობდა, რაც შეიძლება მიახლოებოდა
ფრიშენბერგს. გენერალი გუმანით მიუხვდა, რომ გესტა-
პოელს თვალეში ჩახედვა სწადდა. არ დაუყოვნებია,
სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოციტ წმენდა დაუწყო. კრი-
ციერმა სულწასული მზერა გაუსწორა და კარგად დაინახა ცის-
ფერი თვალეები და სახტად დარჩა. ალბათ, გეიდეკს სამ თვეს
იმიტომ უმაღავდა თვალეებს, რომ ჩემთან პირველ შეხვედ-
რისთანავე გაექარწყლებინა ყოველგვარი ეჭვებიო.

ახლა ერთი რამ მიინც აწუხებდა, ნიკაპს ქვემოთ ხალი
ღრმად იყო ჩამჯდარი მოშვებულ წვერში და მისი დანახვა
შეუძლებელი იყო. ბევრი არ უფიქრია, ჯიქურ შეტევაზე გა-
დავიდა:

— წვერი და უღვაში სამხედრო პირისათვის ზედმეტა
ბარგაო, უთქვამს ფიურერს, მოვლას საჭიროებს და დროს
გვართმევსო! — ხუმრობით შენიშნა მან.



— რა უნდა მის მოცილებას, თუმცა არც მისი გაშენება შეეძლებოდა. — უპასუხა ფრიშენბერგმა, — მართლაც, დროს მართმევს, უნდა მოვიპარსო... თუმცა ეს წვერები ერთგვარ სამსახურსაც მიწევნენ... აქ, ნიკაპზე, დიდი ხალი მაქვს... ეს უფრო ქალებს უხდებათ და არა ოფიცრებს... არ მიყვარა. წვერი იმას მინილბავს...

ახლა კი საგონებელში ჩაეარდა კრეიციერი. გუნებაში ერთი მაგრად შეუქურთხა გეიდეს. მაშასადამე, გარეგნობაში საეჭვო სრულიად არაფერია, — ფიქრობდა სინანულით შან მიმავალი. რა სწრაფად სურდა საიდუმლოების ამოხსნა და არ გამოუვიდა. მან წინასწარ დიდი დრო შეაღია ფრიშენბერგის გარეგნობის, სხვადასხვა სიტუაციაში მისი ექსტების, საუბრის მანერის შესწავლას. არაერთი სხვაობა არ შეინიშნებოდა. ენა და მეტყველების სისწორე ცალკე შეამოწმა. ვერაფერში ვერ გამოიჭირა „შეცვლილი“ გენერალი.

ამ ოპერაციისათვის მზადების წინ მან გაცილებით მეტი დრო მოანდომა გენერლის ცხოვრების გაცნობას, მისი შეხედულებების, აზროვნების, ცოდნის, მისწრაფების, ხასიათისა და ჩვევების შესწავლას. ამასთანავე, თითქმის ყველა შემთხვევა, რაც მას ცხოვრებაში გადახდა, კრეიციერისათვის უკვე ცნობილი იყო.

მთელი ღამე კვლავ ჩანაწერებს ჩაპკირკიტებდა მზვერაკი. მახსოვრობაში ისევ აღიდგინა ფრიშენბერგის ბიოგრაფიის ყოველი დეტალი და ახალი იერიშისათვის მოემზადა...

დაყოვნება დანაშაულს უდრიდა. გადაწყვიტა, დილითვე შეხვედროდა გენერალს. დრო ეშოვა და წარსულზე ჩამოეგდო ლაპარაკი, აეჭულებინა თვით მოეთხრო სიჭაბუქის დროინდელი თავგასულობისა და ანგლობის რომელიმე ეპიზოდი.

ასეც მოიქცა. ძალიან ჩქარობდა, როგორმე გაეხსნა ეს შავბნელი საქმე.

... თითო ჭიქა რომი შესვეს, მაღიანად ისაუბრეს, გენერალმა პაპიროსი გააბოლა. კრეიციერის თხოვნით კიდევ გადაჰკრეს რომი.

— ძვირა დღეა, — შეაპარა გესტაპოელმა. — ალბათ,



რუს პარტიზანებსაც მოსწყინდათ ნიადაგ საფრთხეში და იქნებ დღეს დაგვასვენონ. მოდი, გამოვეთიშოთ ამ საძულველ საშიშ ატმოსფეროს. თავი მივცეთ ჩვენი სიჭაბუკის საანტერესო მოგონებებს და ეს ჯოჯოხეთი წუთით მაინც დავივიწყოთ. ნუ გაგიკვირდება, შენი პირადი საქმე, სახელოვანი გენერლის ცხოვრების ბევრი წვრილმანი ცნობილი იყოს გესტაპოელისათვის.

თქვენს ავტობიოგრაფიაში ამოვიკითხე, ჭაბუკობისას სტრასბურგის ციხის კარები შეგიღიათ, როგორც პატიმარს. რისთვის? რა მოხდა? ალბათ, მოსაწყენი ისტორია არ იქნება! ჭაბუკს ათასი გართობისაქენ უჭირავს თვალი. რასაც ჩვენი ასაკის ზალბი ცდუნებას უწოდებს: ბანქო, ღვინო, ქალი, — ახალგაზრდობის იდეალადაა აღიარებული. თქვით, მაინც რა შესცოდეთ?

— არავითარი ცდუნება! ამხანაგი შემომაკვდა, უფრო სწორად, მოვკალი. დანით გულ-ღვიძლი გავუბე, ეგ იყო.

— ო, ეს კი არ ვიცოდი! — თვალთმაქცურად ჩაიღიმა მზევრავმა, — რისთვის, რა დაგიშავათ ისეთი?

— გრძელი ისტორიაა, გადამავიწყდა კიდევ...

კრეიცერმა კვლავ დაასხა რომი. ფრიშენბერგს ჯერ ღვინო არ მოჰკიდებოდა, საუბრის ეშხში არ შესულიყო. მას კი სურდა, გენერალს ლაპარაკის საღერღელი აშლოდა.

ამ მკვლელობის ისტორია ძალზე დაწვრილებით შეისწავლა. თუ ნამდვილად „შეცვლილი“ გენერალია, ახლა გამოვიტერო. — გულის ფანცქალით ფიქრობდა კრეიცერი.

კიდევ გადაკრეს რომი. გენერლის მშვიდი გამომეტყველება ადასტურებდა, რომ იგი წუთითაც არ დაეჭვებულა მზევრავის გულწრფელობაში.

— ცხოვრებული ოტო გრენვილი, — მშვიდად ამოიხვნეშა მან, — წესიერად აღზრდილი, ჭკვიანი და განათლებული ჭაბუკი იყო. ამას მაშინ არ ვამხელდი, გულში ვაღიარებდი, მაგრამ ბრახს მგვირიდა ეს აზრი. ჯერ სკოლაში დამჩაგრა მან, განსაკუთრებით კი სტუდენტობის დროს. შინ სულ ამას მეუბნებოდნენ. უნივერსიტეტშიც ყველა ხედავდა, რომ მან მართ-



ლაც ამხანაგები უკან მოგვიტოვა სწავლაში. მუსიკაც ეხერხებოდა. საერთო განათლების მხრივ ბადალი არ ჰყავდა. ბრივდაც სპეტაკი ქაბუკი იყო. თანდათან შურის მატლი ვა-
მიჩნდა, მოსვენება დამეკარგა. იმაზე ვამყარებდი იმედს, რომ
პრაქტიკულ ცხოვრებაში მაინც ვაჯობებ-მეთქი.

ერთ მშვენიერ საღამოს, ვხედავ, შინ მიაცილებს ულამა-
ზეს გრეთჰენ კრაუვიცს. სისხლი თავში ამივარდა. მოთმინე-
ბის ფიალა ამევსო. რის სიყვარული, რა სიყვარული? ისე,
უბრალოდ, ქაბუკური გატაცებით ვეკურკურებოდი „უნივერ-
სიტეტის ქალღმერთს“. ვატყობდი, ჩემთან გასეირნება არა-
ფერში ეპრიანებოდა, მაგრამ რა ექნა? ჩემი ჯიუტობის ამბავი
გაგონილი ჰქონდა, ამიტომ ყველაფერს ითმენდა, იტანდა,
ეშინოდა.

— სად ცხოვრობდა ის ქალიშვილი?

— რეინშტრასე, 14. პროფესორის ერთადერთი და საამა-
ყო შვილი გახლდათ; ვხედავ, ძალზე გაგიტაცა ამ ამბავმა, ისე-
თი გულმოდგინებით მისმენ, რომ თხრობის ხალისი მომქმატა.

მცირე პაუზის შემდეგ გენერალმა განაგრძო:

— მახსოვს, ამ უშესანიშნავესი წყვილის ბედნიერებამ
თავგზა ამიბნია. შურმა იფეთქა და ამამხედრა, ხელი ჯიბის
დანისკენ წავიღე. სისხლამღვრეული და გონებადაკარგულა,
ვინ იცის, დღისით-მზისით რას მოვიმოქმედებდი, რომ გზაზე
ბიძაშვილს არ გავეჩერებინე. ღონიერი ხელი მხარზე მძლავ-
რად დამარტყა, შემდეგ შემანჯღრია კიდევ, რათა გონს მოვ-
სულიყავი...

უზომოდ შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. გულს მიღ-
რღნიდა ის აზრი, რომ გრეთჰენისა და ოტოს დამეგობრება
აუცილებლად შეუღლებით დამთავრდებოდა. ქალიშვილი ახ-
ლა უკვე ცივად მექცეოდა, გამირბოდა, ხოლო ოტო დამამ-
ცირებლად, ქედმაღლურად შემომყურებდა. ყოველ შემთხვე-
ვაში ასე მერვენებოდა მე.

ტანჯვისაგან მხოლოდ შურისძიებას შეეძლო გავეთავისუ-
ფლებინე. სხვა გამოსავალს არც ვისურვებდი. გადაწყვეტი-



ლება მიღებული მქონდა, მისი შესრულების გზაც მაღიჯობნა მოვინახე.

— როდის მოიყვანე განაჩენი სისრულეში? — შეეკითხა მზვერავი.

— ათას ცხრაას ოცდახუთი წლის ოცდარვა ივნისს... — ცოტა არ იყოს ნაწყენი კილოთი მიუგო ფრიშენბერგმა: — თითქოს გაიკვირვა, ეგრე რად ჩამაცივდიო.

— ზაფანგის დაგება მეორე კურსის დამთავრებას დაემათხვიე, — მშვიდად განაგრძობდა გენერალი. — ვისაც რაც ეადვილება, იმ საქმეს სიყვარულითა და გატაცებით ეტანება. მაშინ დაბეჯითებით მწამდა, რომ კაცის მოკვლა ჩემთვის იოლი და საჭირო საქმე იყო. ვახშამი გავამართვინე მშობლებს. სტუმრებმა თავი მოიყარეს, ისინიც მოვიდნენ.

— რომელ საათზე?

— ზუსტად ცხრაზე... — სხვათაშორის მიუგო ფრიშენბერგმა.

ცოტა არ იყოს შეცბუნდა მზვერავი, სიტყვის შეწყვეტილებისათვის ბოდიში ნაძალადევად მოიხადა.

— ყური მიგდე, არაფერია! — განაგრძო მშვიდად გენერალმა, — სტუმრები ღებნას მიეცნენ. სალამოს ულამაზეს ასულად კრაუციცის ქალიშვილი იქნა აღიარებული. მკვერმეტყველებით, ნატიფი ცეკვით, საინტერესო ამბების მოყოლით ოტომ დაჩრდილა ყველა. შექეიფებული ასულები და ქაბუცები, ასე მეგონა, განზრახ წარამარა გაიძახოდნენ:

— რა დიდებული წყვილია! — მართალი გითხრა, მაშინ ვინატრე, მთელი გულით ვინატრე: — ოტო გრენვილი ვიყომეთქი.

ჩანს, კრეციერს მოთმინება ღალატობდა, ისევე რაღაც შეკითხვა ეკერა ენაზე. ეს შენიშნა გენერალმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

— იქნებ თავი მოგაწყინე, მაგრამ კიდევ ერთ მომენტზე მინდა შევჩერდე: ისე ვიყავი ჩასაფრებული, შამპანურს, კონიაკს, რომს უხვად იმ მაგიდისაკენ ვაგზავნიდი, სადაც ოტო იჯდა. ჩემი მეტოქე სხვებზე მეტს სვამდა. მიუხედავად ამისა,

მხოლოდ გრეთჰენის ექვეებითა და მეზობლების დაკვირვებით
დამაპატიმრეს.

— ყველაფერი ზუსტია! — ხმამაღლა წამოცდა მზვერავს.
— საწყალი! — წაიბუტბუტა წარმატებაში დაექვებულმა, ნირ-
წამხლარმა კრეიცერმა, — ეს მითხარით, გეთაყვა, ვინ მკურნა-
ლობდა მძიმედ დაჭრილ ავადმყოფს?

— ცნობილი ექიმი დიკ ბრაუნი ვერაფერს გახდა. პროკუ-
რორმა ჰანს კაუფმანიმა ხუთი წლით პატიმრობა მომისაჯა.

— როგორ! — უნებლიეთ ხმამაღლა წამოიძახა კრეიცერ-
მა. იგი გენერლის პასუხს არ დალოდებია, ჯიბიდან უბის
წიგნაკი შეუმჩნეველად ამოაცურა და ფურცვლა დაუწყო. მღე-
ლვარებისაგან გული ელეოდა. აჰა, მკვლელობის ამბავიც,
სწრაფად გადაავლო თვალი, ბოლომდე ჩაათავა. — დიახ,
პატივცემული გენერალი შეცდა! — გაიფიქრა რაღაც გიჟური
აღტაცებით: — ექიმის გვარი კაუფმანია, ხოლო პროკურო-
რისა — ბრაუნი. გამოდის, როგორც იქნა, ფრიშენბერგს ყვე-
ლაფერი აერია!

გენერალმა მშვიდად გააბოლა. კრეიცერმა კი მწარე ღიმი-
ლით ჩაჰკითხა:

— მაშ, დიკ ბრაუნი მკურნალობდა?

— ოჰ, არა, არა! შემეშალა! ექიმის გვარი კაუფმანია, ხო-
ლო პროკურორისა — ბრაუნი! — უკანასკნელ სიტყვებს ხარ-
ხარი მოაყოლა გენერალმა.

ეს იყო დამცინავი, აბუჩად ამგდები ხორხოცი.

კრეიცერი ჭირის ოფლს დიდხანს იწმენდდა შუბლზე. ვას
სხვა არაფერი დარჩენოდა: სიტყვა მეტი არ გაეგრძელებინა.

თითოც გადაჰკრეს და ხელმოცარული გესტაპოელი თავის
სამუშაო ოთახში დაბრუნდა...

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ შტაბის უფროსის პოლკოვნიკ
გიუნტერის კაბინეტში შეხვდა ფრიშენბერგს, აქ ახალი საო-
ცრება უცდიდა.

გენერალს წვერი მოეპარსა და ახლა ნიკაპზე გარკვევით



მოჩანდა ხალი. ძარღვებდაჭიმული ვაჟკაცური სახე მღვდელ-
რებისაგან დაძაგვროდა. კრეიცერმა მორიდებით და პატრულ-
ცემით გახედა. გენერლის თვალეში ეღვასავით გაჰკვესა რის-
ხვამ, მან მაგიდაზე ხელი დაჰკრა და ხმამაღლა სჰქვა:

— შტაბის უფროსო. ეს კიდევ რა მომხდარა! დილით ჩვე-
ნი კავალერისტები გაუვალ ტყეში გარემოცვაში აღმოჩენილან,
სულ ერთთავად ამოუხოციათ პარტიზანებს. ახლავე იმ ადგი-
ლებში ორი ბატალიონი გაგზავნე, არტილერიაც მიაშველე.
ამის შემდეგ ცხენოსანთა დალუპვის მიზეზი გამოიჩინე.
ამას პირადად შენ გავალუბ. დამნაშავენი ხვალვე უნდა დაგ-
საჯოთ. ხომ ხედავ, ფონ კრეიცერო, ჩვენში ვილაც მოღალატე
ურევია.. თქვენც უნდა დატრიალდეთ, თორემ ორივეს პასუ-
ხისგებაში გადაგვცემენ. დღეიდან მაინც ჰქუა უნდა ვისწავ-
ლოთ. ამიერიდან ყველას მიმართ დაუნდობელი ვიქნები,
სასტიკი და დაუნდობელი.

მუშტები მაგიდას ისევ და ისევ დაუშინა, შემდეგ შეკუმ-
შული მჯილი გიუნტერს ცხვირთან მიუტანა და გააფთრებით
დაემუქრა: მეტი არაფერი დამრჩენია, გარდა მტათურების
შოხსნა-გადახალისებისა, შენგან დავიწყებ, შტაბის უფრო-
სო, შენგან, მოგხსნი და გაგაგდებ აქედან! ჰქუაზე მერე მოხ-
ვალ, მაგრამ გვიანდა იქნება...

საგონებელში ჩავარდა კრეიცერიც. დავთარი მთლიანად
აერია. გენერლის არც გარეგნობა, არც ხასიათი და განწყობ-
ლება ექვის საბაბს არ იძლეოდა. როგორ მოქცეულიყო, რა
უნდა ექნა?

არც ერთ საქმეს ისე არ ესაჭიროება მოთმინება და ნების-
ყოფა, როგორც მზვერავის მუშაობას. კრეიცერი უმწეო მდგო-
მარეობაში აღმოჩნდა, გესტაპოს საიდუმლო კანცელარია კი
ბერლინიდან ყოველ ხუთ დღეში ანგარიშს ითხოვდა მისგან.

თავს იტეხდა, დღედაღამე არ ეძინა კრეიცერს. მაშ, ვან
უნდა ყოფილიყო გამცემი? ათასი ყური გამოიბა, მისი ჯამუ-
შები ყოველ საღამოს მოახსენებდნენ ხოლმე განაგონს, ნამ-
დვილად მომხდარს, თუ ყურმოკრულ ამბებს. სურდა, თუნდაც

წვრილმანი ფაქტები დაეგროვებინა და იქნებ მათ შორიდან
მე კანონზომიერი ურთიერთკავშირი აღმოეჩინა.

ერთმა გარემოებამ მთელი მისი ყურადღება მიიქცია. ცნობა მიიღო, რომ სოფელში ვიღაც ახალგაზრდა რუსი ქალი, ნამდვილი მზეთუნახავი, გამოჩნდაო. მხოლოდ ერთხელ ჩაუვლია გერმანელთა შტაბის შენობასთან, და როგორც მოსულა, ისე გამქრალა. ეს ქალი თურმე ადრეც ენახათ აქ ადგილობრივ მცხოვრებლებს...

რამდენიმე მოწმის ჩვენება ამ ჯადოქრული სილამაზის ქალის შესახებ ერთმანეთს ემთხვეოდა. როგორ შეიძლებოდა, თითზე არ დაეხვია ეს გარემოება კრეიცერს! მან დაუყოვნებლივ გამოიძახა გეიდეკი, რომელიც ის იყო უკვე გასამგზავრებლად ემზადებოდა. ამ ქალის საოცარი გამოცხადების ამბავი გააცნო. ჰკითხა, შენც რამე ცნობები ხომ არ მოგეპოვებაო.

— არავითარი! — იყო პასუხი, — შტაბის შენობას პირადად მე ვუწევდი კონტროლს. არასოდეს საეჭვო არავინ დამინახავს იქ... ჩემი ფიქრით, შტაბის უფროს გიუნტერზე ექვსს მიტანა მხოლოდ უაზრობაა... აქ სადღაც სხვაგან მარხია ძაღლის თავი...

ბევრი იფიქრა კრეიცერმა ამ ქალზე. შესაძლებელია, საიდუმლოება მისი დაუყოვნებელი დაპატიმრებით გახსნილიყო. მაგრამ ვის დაპატიმრებ? მზეთუნახავი ხელიდან ისე გასხლტომოდათ მზვერავებს, თითქოს იქ არც ყოფილიყოს.

— უცილებელია, რომ მზეთუნახავი მოხერხებული ჯაშუშია, რომელსაც კავშირი აქვს სარდლობაში მოკალათებულ ვიღაც გერმანელთან! — ფიქრობდა კრეიცერი. — მაშასადამე, ქალი შტაბის ფანჯრებს უთვალთვალებს, შესაძლებელია, ფონ გიუნტერი... ეგ მამაძალი! მაშ, ვინ? სწორედ გიუნტერი ამღვრევს წყალს!..

არა, მზეთუნახავის დაპატიმრებას აზრი არა აქვს, თუნდაც კიდევ გამოჩნდეს. ეს უადგილო აჩქარება იქნებოდა. ჯერ ერთი, ამ ქალის ჯაშუშობის ან ანტიგერმანული მოღვაწეობის დამამტკიცებელი ხელმოსაყიდი საბუთები არ გააჩნდა. ვთქვათ,

თუნდაც მისი ლალატი დაემტკიცებინა, სხვებთან კავშირის
გორ დაესაბუთებინა?

ერთი აზრი დაებადა მშვერავს, ფრონტის სარდლობასთან
გესტაპოელთა ჯგუფი აგროვებდა მასალებს რუს მშვერავებ-
ზე, ხშირად ჰქონდათ იქ მათი ფოტოსურათებიც.

მეორე დღეს კრეიცერმა არქივს მიაკითხა. კარგა ხანს ქე-
ქავდა გაყვითლებულ ქაღალდებს. ბოლოს წააწყდა კიდეც
ერთი ახალგაზრდა ქერათმიანი ქალიშვილის ფოტოს. ულამა-
ზესი ქალი მომღიმარი შემოსცქეროდა. ხელში დიდხანს ატ-
რიალა სურათი. აშკარა მსგავსება იყო იმ აღწერილობასთან,
რაც მშვერავეებმა გადნოსცეს. სურათის მხორე მხარეზე წარ-
წერა ამოიკითხა: „ნატალია გალკინა, ქალაქ აზოვიდან, პარ-
ტიზანული რაზმის აქტიური წევრი. მეტად საშიშია. ქმართან
ერთად მუშაობს. ბრწყინვალედ იცის გერმანული ენა, რა-
დენჯერმე იყო შემჩნეული ანტიფაშისტურ მოქმედებაში, მაგ-
რამ მისი შეპყრობა ვერ მოხერხდა. ქმართან, ანდრეი გალკინ-
თან, ერთად სავარუდოა, რომ ხშირად არის ოკუპირებულ
ტერიტორიაზე. მოქმედებდნენ დონბასში, ყირიმსა და კრას-
ნოდარის მხარის ტერიტორიებზე განლაგებული პარტიზანუ-
ლი დაჯგუფების სასარგებლოდ“. ფოტოს ასლი გადაიღო და
თან წამოიღო. მშვერავეებმა მაშინვე იცნეს.

— დიახ, ნამდვილად ეს ქალბატონი გახლდათო...

* * *

მეორე დღესვე მიღება სთხოვა გენერალს. ფრიშენბერგმა
მოუცლელობის გამო უარი შემოუთვალა. კრეიცერმა მოკლე ბა-
რათი მისწერა: რუსი ჯაშუში ქალი გალკინა სადღაც აქ მოქმე-
დებს, მის კვალს მივაგენი, სასწრაფოდ უნდა დაგელაპარაკოთ.
მოკლე პასუხი მიიღო: თუ ასეა, დაუყოვნებლივ დააპატიმრეთ
და აქ მომგვარეთ, ახლა არ მცალია, ვერ მიგიღებთო.

ვერაფერს გახდა მშვერავი, იფიქრა, ალბათ, ფრიშენბერ-
გი პარტიზანების წინააღმდეგ შეტევის ახალ გეგმაზე მუშაობს
და ჩემთვის იმიტომ არ სცალიათ. თავი მიაჩნება. საიდუმლო

ბარათი დაწერა არმიის სარდლის პერბერტის სახელმწიფო
შტაბში კაცი აფრინა.

... იმ საღამოს პოლკოვნიკ გიუნტერის კაბინეტში ადრე
ჩაქრა შუქი, გენერლისას კი დილაშდენ ჩახჩახებდა. კრეიცერს
კი ყველა ორღობე შეკრული ჰქონდა, იმ უცხო ქალის გამო-
ჩენას უცდიდა, გესტაპოელი ძლიერ დელავდა, უდიდეს საი-
დუმლოს ფარდა უნდა ახდოდა. მოახლოებულ გამარჯვებას
ზეიმობდა მზვერავის გული. გადაცმული ჯამუშები სოფლის
შუკებში ჩასაფრებულყვენენ. „მზეთუნახავს“ გამოჩენისთანა-
ვე შეიპყრობდნენ...

მაისის მშვენიერი დილა გაცისკროვნდა. ბაღში მიმალული
მზვერავი როდი ტკებოდა ტანაქორილი ხეების ხილვით.
არც მერცხლების ჰიკჰიკი ესმოდა, არც იქვე ახლო მოჩუხ-
ჩუხე წყაროს ლიკლიკი. თბილი ნიაფი ფრთის მსუბუქი შეხე-
ბით დანამულ ბალახს არწევდა, ქორფა რტოებში იხლართე-
ბოდა.

ძიღამკრთალი გესტაპოელი იმაზე ოცნებობდა, თუ რო-
გორ დაუფასებდნენ გაწეულ შრომას. გეიდექს ხომ გაათახს-
ირებდნენ, ეს ცხადი იყო. ის თითქმის სამი თვე პანიკური წე-
რილებით ავსებდა კანცელარიებს. განა ლაყბობასა და უგუ-
ნურ მოხსენებებს შორის არის რამე არსებითი განსხვავება?
ნამდვილი მოლაყბეა და არა საქმის გამკეთებელი უბადრუ-
კი გეიდეკი.

ყოფილი სკოლის ვიწრო დერეფნებში ხმაური ატყდა. გე-
ნერლის ადიუტანტი ქუდმომვლელი მიიბოდა. სულს ძლავს
ითქვამდა ახალგაზრდა ოფიცერი:

— ფრიშენბერგი არსად ჩანს!.. — ხმამალა დაიყვირა
მან.

შეიქმნა დერეფანში ჩექმების ბრახუნნი, იარაღის ეღარუნი
და უწმაწური ლანძღვა-გინება...

მზემ წითლად მოაეარაყა აღმოსავლეთი, მერე ბორცვებსა
და ტრამალებს გადმოველო და სწორედ ამ დროს სოფელში



განლაგებულ გერმანელებს ყუმბარების გრიგალი დაატყვევეს
 თავზე. ჰაერში ხანძრის შავი ბოლქვები აღიმართა. ფრანგული
 ბერგის კაბინეტში აცახცახებული კრეიცერი დაძრწოდა და
 ცარიელი სეიფის გარშემო უაზროდ ტრიალებდა. უცებ ზათ-
 ქით დაენგრა თავზე ქერი, ყუმბარით დაღეწილი კედლები
 აღმაცერად წავიდნენ და ერთ წუთში გენერლის რეზიდენ-
 ციისაგან მხოლოდ უწესრიგოდ დახვავებული ნანგრევებიღა
 დარჩა.

* * *

მიწურში ოდნავ ბეუტავდა ქრაქის სინათლე. მძიმე ბრძო-
 ლების შემდეგ დაღლილ-დაქანცული რაზმის მეთაური პოლ-
 კოვნიკი ლეონიდ შიშოვი მიწაზე დაგებულ ქურჭზე მორთხ-
 მულიყო. მარჯვნივ „შეცვლილი“ გენერალი ფრიშენბერგი
 ეჯდა, მარცხნივ „მზეთუნახავი“ რუსის ქალი.

გამარჯვების სიხარულით აღგზნებული პოლკოვნიკი მეთა-
 თასედ იმეორებდა:

— ყოჩაღ ანდრეი, ყოჩაღ ნატალია! სამშობლოს სახელო-
 ვანო შეიღებო! მუხლს ვიდრეკ თქვენს წინაშე. ამ შესანიშ-
 ნავ სამსახურს სამშობლო არ დაივიწყებს. ღირსეული მეუღ-
 ლეები ხართ, ომის ცეცხლში გამოწრთობილნი. გული მეღე-
 ოდა, რა ხიფათში ჩაიგდეს თავი-მეთქი.

ეს თქვა და პოლკოვნიკი ისევ გადაეხვია ცოლ-ქმარს...
 პირველად ნატალიას დასცვივდა ცრემლები, შემდეგ კი ან-
 დრეისა და ლეონიდს... ტიროდნენ სიცილ-სიცილით... თურპე
 ასე იცის განუსაზღვრელმა სიხარულმა.

□

ერთგულების გამოცდა

მაიორი შამბერი ამოდ ფიქრობდა მღელვარების დაფარ-
 ვას. კაპიტანი ჰანს ფიშერი და ლეიტენანტი პეტერ კრეიტჰა-
 ნი, შიშისაგან ფერწყასულნი, ისხდნენ და უფროსს მისჩერე-



ბოდნენ. ყუბანის ერთ სოფელში განლაგებული გერმანული პოლკი გაზაფხულის თოვლივით დადნა ამ უკანასკნელ დღეებში. მხოლოდ ეს სამი ოფიცერიღა დარჩა შტაბში. სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. ლამპის შუქი მარტო ამ შენობაში, სადაც შტაბი იყო მოთავსებული, ბეუტავდა.

ერთი საათის წინ ფრონტისპირა სოფლის სვისტელნიკოვოს დასავლეთ ნაწილში ორი ფერადი შუშხუნა აჭრილა ცისკენ. ეს ყალბი ნიშანი იყო. გერმანელმა მფრინავმა უმალ ბოძები დააყარა თავისიანებს.

მოახსენეს თუ არა ეს ამბავი შამბერს, მან დაუყოვნებლივ ოცეული გაგზავნა შუშხუნების გამშვებთა აღმოსაჩენად. და აი, შტაბის სამი ოფიცერი ძიების შედეგის მოლოდინში იჯდა აქ. სხვადასხვაგვარ ფიქრებს მოეცვა ისინი. მრავალი ხიფათი და შფოთი გამოუვლია შამბერს. ახლა ცდილობდა ხელქვეითობისათვის მოეჩვენებინა, რომ არ ღელავდა. თითქოს ბერლინის ქუჩებში არხეინად გასეირნებას აპირებდნო, კოხტად ეცვა, წვერი სუფთად მოეპარსა, ჩექმები გაეპრიალებინა...

მანქანის გუგუნე მოისმა. მალე ქუჩაში ერთი ალიაქოთი ატყდა. ჯარისკაცები ვილაცას აგინებდნენ. ეტყობოდა, არც ცემა-ტყეპას აკლებდნენ, შემდეგ განწირულმა ყვირილმა არემარე შესძრა... მალე კარები გაიღო და ქერათმიანი რუსი წიხლის კვრით შემოაგდეს ოთახში.

— აი, ბატონო მაიორო, ვფიქრობ ეს ღორი უშვებდა შუშხუნებს, რათა ჩვენები ამოეხოცათ... — ისე დაიწყო მირბერია, რომ ზედაც არ შეუხედავს შეპყრობილისათვის. — შიმთხვევის ადგილას გზაზე მილასლასებდა, ხელში რაღაც ფიცრები ეჭირა. ჩვენს ძახილზე არც კი შეჩერებულა, არ მოუხედავს. გასაფრთხილებლად ჰაერში ვისროლე! — ყურიც არ დაუბერტყია... აი, მოგვყავს და ჯერ ხმა ვერ ამოვალვინეთ...

— ეს ხომ ყრუ-მუნჯია, მეკუბოვე, მე ვიცნობ, — სიცილით შეაწყვეტინა უმალ მაიორმა. რას გაიგებდა, ან რას გაჰასოხებდა, როცა ყრუ-მუნჯია!..

კარის ზღურბლზე მამასახლისმა ივანე სიდოროვმა შემოღდა ფეხი. ფართო მხარ-ბეჭი, სახის მიმზიდველი ნაკეთება,

რუსული ლურჯი თვალეზი ჰქონდა მას. სიდოროვი აფორიაქებული ჩანდა. იგი გაბოროტებით ეკვეთა ანდრეი სიდოროვს, თავის ღვიძლ ძმას და მაგარი სილა გააწნა, შედეგ ავტომატი გამოსტაცა იქვე მდგომ ჯარისკაცს... გაცეცხლებულ მამასახლისს ხელები დაუქირეს შამბერის მითითებით.

— ეს იქნებოდა! — იყვირა სიდოროვმა, — გთხოვთ რიოინი პარტივი დამდოთ, განაჩინი მი მომავგანინოთ სისრულეში... ამ ძაღლს მოვევლი..

შამბერს საერთოდ ასეთ საქმეში აჩქარება არ ახასიათებდა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი, დანამდვილებით არავინ იცოდა, ყრუ-მუნჯმა აუშვა შუშუნები თუ სხვა ვინმემ. მაიორი დიდად გაახარა და განაცვიფრა ივანეს მძვინვარებამ. უცებ კითხვა დაებადა: მოკლავდა თუ არა იგი ძმას, რომ არ შეეჩერებინათ? ნუთუ ეს გულწრფელი კვეთება არ იყო? როგორ არ გავდა ყალბ პოზასა და უესტს.

მართალია, სიდოროვი ერთგულად ემსახურებოდა გერმანელებს, ცუდ რამეში არასოდეს არ შეუნიშნავთ, რისთვისაც სწორედ შამბერის წინადადებით დანიშნეს ის სოფლის მამასახლისად, მაგრამ მაიორს ეწადა, კიდევ ერთხელ გამოეცადა მისი ერთგულება.

— მამასახლისო, — მიმართა მან ივანეს, — სოფლიდან ცრუ სიგნალი იქნა მიცემული, ჩვენმა თვითმფრინავმა ჩვენივე პოლკი შეცდომით დაბომბა. რამდენიმე ყუმბარა საჭურვლის საწყობის ახლოს აფეთქდა. ერთადერთი სულიერი, რომელიც ჯარისკაცებმა შეიპყრეს, აი, ეს არის, ყრუ-მუნჯი, შენი ძმა. როგორც ჩანს, შევცდით: გვეგონა პატიოსანი ოჯახადან იყავი და ამიტომ დაგაწინაურეთ, ნდობით აღგვჭურვეთ... ახლა კი სხვა ირკვევა...

— ბატონო მაიორო, — თითო მაზინჯი ყოველ ოჯახში გამოერევა. გთხოვთ საშუალება მომცეთ, ერთხელ კიდევ დავემტკიცო ერთგულება ჩვენს გამათავისუფლებელ ფიუ-



რერს. ნება დამრთეთ, დაუყოვნებლივ გავუსწორდე გერმანიის ქვეშ-ქვეშა მტერს.

— ჭაბუკო, დამშვიდდი, გონს მოდი! არ გისურვებ ხელი ძმის სისხლით გაისვარო, — ღიმილით, დაყვავებით შეეპასუხა მაიორი და თვალები თვალებში გამომცდელად გაუსწორა.

— ანდრეიზე აუგი ჩემგან ხომ აღრეც გავიგონიათ. — არ ცხრებოდა ივანე, — მე მისი საქმიანობა წინათაც მეეჭვებოდა... დღესვე უნდა დავუბნელო მზე. ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის...

მართლაც და, ბევრი ძვირი უთქვამს ყრუ-მუნჯის შესახებ მამასახლისს. აი, თუნდაც კიდევ ერთი ფაქტი: ეს მეკუბოვე თურმე გარდაცვლილი თანასოფლელებისათვის კუბოს მუხის ფიცრებისაგან აკეთებდა, ხოლო გერმანელებისათვის ყველაზე მდარე ფიცრებს არჩევდა. შამბერს კარგად ახსოვდა მაიორ შრეიდერის, კაპიტან ბაუმბერგის, კაპიტან პრიტცელის, ლეიტენანტ შვარცისა და მრავალ სხვათა დაკრძალვა ყველაზე მდარე არყის ხის ფიცრებისაგან უხეიროდ გაკეთებული კუბოთი. ამის გახსენებაზე ცეცხლი შეენთო გულზე.

— კარგი, მიუგო მამასახლისს. — ახლავე წაიყვანე დიდი გერმანიის მოღალატე და გაუვალ ჭაობებთან განაჩენი სისრულეში პირადად მოიყვანე. შენი ძმა უნდა დაიხვიტოს... საქმეს რაყრაყამდე მორჩი, ისე, რომ არავინ ეპვი არ აიღოს, დილით აქ იყავი..

შამბერმა კარგად იცოდა, რასაც შერებოდა. მას მამასახლისის გამოცდა აინტერესებდა, ხოლო მეკუბოვეს სიცოცხლე არაფრად უღირდა.

ანდრეი სიდოროვმა, იღუმალი ალლოთი, როგორც ეს ყრუ-მუნჯთ ახასიათებთ, აქ მყოფთა მიმოიკითა და ეესტებით, საძულველი მაიორისა და გამცემი ძმის საუბრის ტონით, მისადმი გერმანელთა მხრივ ასე უდიერი დამოკიდებულებით დაასვენა, რომ საქმე მის სიკვდილ-სიცოცხლეს შეეხებოდა.

ახლა ხელეზგაბაწრული უხმოდ მიჰყვებოდა ძმას. გაჩირად-დნებული ოთახიდან ბნელში რომ გავიდნენ, ძლივსძლივობათ გაიკვლიეს გზა. გულში აღძრულმა უსაზღვრო ზიზღმა გონება

დღუბხელა ყრუ-მუნჯს და განრისხებული თვალს აო
რეიდა მის წინ მიმავალ სისხლმოსწყურებულ წიას.

რამდენიმე კილომეტრი უხმოდ გაიარეს. ივანე შეჩერდა და ძმისაკენ მობრუნდა. მზერა მოავლო ირგვლივ, სმენა გამახვილა. ტყეში მყუდროება გამეფებულიყო. აღმოსავლეთით ერთი ღაქდაჯა ვარსკვლავიდა ანათებდა.

ანწლის ჭალა გამოჩნდა დილა-ბნელში. ამ ტრიალ მინდორზე ყოველი ბუჩქი ნაცნობი იყო ორივესათვის. რამდენი ურბენიათ ბავშვობაში! იმ გაუვალი ჭაობების ასავალ-დასავალიც კარგად იცოდნენ. თითქმის ხუთ კილომეტრზე გაჭიმულაყო ეს ძველად აღდილები. მხოლოდ ძლიერი ყიხვიების დროს იყრიდნენ აქ თავს სოფლის გოგო-ბიჭები, ყინულზე დასრალლებდნენ, მათი მხიარული ყიყინა არემარეს აცოცხლებდა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ჭაობებს, ორივე ღელავდა. ერთ აღგილზე, ანდრეისათვის მოულოდნელად, ივანე შეჩერდა, აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, რალაცას გულმოდგინედ ათვალიერებდა, აკვირდებოდა. ანდრეის მოეჩვენა, რომ ძმა თითქოს ვილაცას დაეძებდა, ივანემ გეზი სწრაფად ხელმარცხნივ აიღო, მერე, თხრილს როცა გადაევლო, ჭიქურ გაემართა ნაკნობი ბილიკისაკენ, სწრაფად მოძებნა იგი.

ახლა ისინი ჭაობის იმ ერთადერთ გასასვლელზე გავიდნენ, საიდანაც შეიძლებოდა ამ საშინელი მკვდარი მიდამოების გადალახვა. ეს უხილავი „სიცოცხლის ბილიკი“ კარგად იყო ცნობილი ძმებისათვის.

ანდრეი ძმის საქციელმა განაცვიფრა. მის თვალთმაქცობას მიაწერა ეს.

— ო, გულბოროტო! — ფიქრობდა მუნჯი, — ვიცი, რაც გსურს. შენ გწადია, სიკვდილის წინ სიცოცხლის იმედს მაზიარო, სიხარული მომანიჭო, შენზე კარგი მაფიქრებინო. ვერ მომატყუებ, მზაკვარო, სოფლის მოღალატეც, ხალხის ორგულო! ათეცად მირჩევნია მოგვკდე, ვიდრე შენს მიერ ნაჩქარი სიცოცხლე მარგუნოს ბედმა. რაც მტერს მიეყიდე, რამდენჯერმე განვიზრახე შენი მოკვლა. საამისოდ პირობებიც მქონდა, მაგრამ ველარ გავიმეტე. აღრე თუ გვიან თანასოფ-



ლელეები მაინც დაგსჯიან, იცოდე! მშობლები წყევლობენ
 ვით მოგიხსენიებენ. დედა იტყვის — ამ ძუძუთი შხამი პრ-
 წოვებია და ამ სახლში იავ-ნანა გველისთვის მიმღერიაო. დიახ,
 გველის სოროს შეხედავენ ისეთი სიძულვილით, როგორც
 ჩვენს სახლს უყურებენ. წყეულო! სანამ გინდა ტყე-ტყე იბო-
 გინო! შინ რატომ არ მოდიხარ? თუმცა რას ვამბობ, შენ ახ-
 ლა დიდებულზე ოცნებობ და განა აღმზრდელი მშობლები მო-
 გაგონდება! გადამთიელთა ნაფურთხის მლოკველო, შენი
 მეუღლე სოფიოც გადაგავიწყდა, როგორ მოუშხამე ახალ-
 გაზრდა ქალს სიცოცხლე. მას ყველა კიცხავს და თვალს
 არიდებს. შვილები? ყელი გამოსჭერ მათ... ყველას გვძულს
 შენი ნაშიერი, თუმცა რა შეუაში არიან ბავშვები? არა, შენ
 შინ არ მოგესვლება, ვერასოდეს ვერ ნახავ შენიანებს, შენ
 ან ტრიალ მინდორში, ან ამ ქაობში, ან ტყეში მოგვლავენ პა-
 ლე, უთვისტომოს მიწასაც არ დაგაყრიან. სამშობლოს წმინ-
 დათა წმიდა მიწას ვინ გაიმეტებს შენთვის! შენ გინდა ჩქარა
 სიცოცხლე მომიწრაფო მე? ო, რა ოსტატურად გავჟღელი
 შენთვის კუბოს!.. — აი, დაახლოებით ამ სიტყვებით შეიძლე-
 რა ყრუ-მუნჯის ფიქრების გადმოცემა.

ბოლმა ყელს მოებჯინა და ანდრეიმ მძიმედ ჩაახველა, ფა-
 ქრის ძაფი გაუწყდა, ერთი გაიბრძოლა... ამოდ სცადა ვაბა-
 წრული ხელების განთავისუფლება. სწრაფად მიიწვედა წინ,
 ჭაობისაკენ.

მალე ზედ უდაბურ ადგილას მიადგნენ. განთიადი იწყე-
 ბოდა, რიყრაყი ოდნავ ბეუტავდა აღმოსავლეთში... ძმები
 შედგნენ.

ათასი ჩანაფიქრით გულდამძიმებული ადამიანი ნიადაგ
 შუბლშეკრულია, ჩქარობს, მღელვარებას მალავს. ასეთი იყო
 ახლა ივანე. გალიაში გამომწყვდეული აფთარივით მძვინვარე
 და დაუნდობელი ჩანდა ანდრეიც.

ყრუ-მუნჯს ჭაობისაკენ მიუთითა ავტომატომარჯვებულმა
 ძმამ, ანიშნა, წინ წადიო. კიდეც რაღაცა უნდა მიეთითებინა,
 რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ნიავმა გერმანელთა ხმა-
 მაღალი ყიჟინი გამოიტანა ტყიდან, სმენა დაძაბა ივანემ. მას

ქაბოღნენ... ორი სილუეტი გაარჩია ბილიკზე, ძმებს სიბრძნით უახლოვდებოდნენ.

— უეჭველია, ჩემს ერთგულებას ამოწმებს მაიორი შამბერი. — გაიფიქრა ივანემ და ლაქაშებში გადასულ ძმას თვალი შეავლო. მუნჯი მძიმედ მიდიოდა, სულ უკან იცქირებოდა: მესვრის თუ არაო. ივანემ ავტომატი მოიმარჯვა. ათი-თხუთმეტი მეტრი თუ ექნებოდა გავლილი წინ ყრუ-მუნჯს, როცა იგი ძმამ მიზანში ამოიღო. ავტომატმა დაიგრიალა...

იმავე წუთს ორი გერმანელი ჯარისკაცი ქშენით მოვარდა. მათ ივანეს სულმოუთქმელად უთხრეს, რომ მაიორმა შამბერმა თავისი გადაწყვეტილება სწევალა, დამნაშავეს მოკვლას მერეც მოვასწრებთ, ჯერ მოდი, დანაშაული გამოვიძიოთო.

— ბატონი მაიორის მეორე ბრძანება დაგვიანებულა. აირველი ბრძანება კი კანონად მივიღე და პირნათლად შევასრულე! — უპასუხა მათ მშვიდად ივანემ და ჭაობში გაშხლართულ ძმაზე მიუთითა, თან ავტომატი მხარზე მოხდენილად შეიგდო.

გერმანელმა ჯარისკაცებმა ჭაობში შესვლა ვერ გაბედეს. ნათელი თანდათან ძლევდა უკუნს და ახლა ლაქაშებში დამხობილის ახლოს უკვე ჩანდა სისხლი, რომელიც წითლად ლეზავდა წუმბეს.

* * *

როცა მაიორმა შამბერმა ყოველივე შეიტყო, იგი დიდად ნასიამოვნები დარჩა. „ივანე სიღორკის სახით გერმანიას ერთგული ჯარისკაცი ვუშოვეო“, — სარკეში საკუთარ აჩრდილს კმაყოფილებით უჩურჩულა მან. მერე სეიფიდან ერთი სპეციალური საიდუმლო ანკეტა გამოიტანა, სადაც ივანეს ერთგულების დამადასტურებელ საქციელს აღნუსხავდა. მაიორმა ლამაზი ხელით გარკვევით ჩაწერა: „ღვიძლი ძმა მოკვლა ისე, რომ ყრუ-მუნჯის დანაშაული ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული“.



ღმერთმა დალაზვროს უკეთესი საბუთი. ჩვენი ერთგული ივანე სიდოროვი. — ჩაილაპარაკა მან კმაყოფილებით.

ანკეტაში ერთი სტრიქონილა დარჩა შეუვსებელი. შამბერს დაენანა, რომ კიდევ ლოდინი იყო საჭირო, ერთგულების კიდევ ერთი ფაქტი იყო საჭირო იმ უკანასკნელი სტრიქონის შესავსებად. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო შამბერს ანკეტა კორპუსის შტაბში გადაეგზავნა და სხვა რომ არ იყოს რა, ბრძანებით მადლობას მაინც დაიმსახურებდა.

ერთბაშად საქმე უკუღმა შეტრიალდა. მეორე დღეს განცხადება მოუტანეს, რომელშიც ეწერა: „ნუ გგონიათ, თითქოს ივანე სიდოროვი თქვენი ერთგული იყოს. მას არ მოუკლავს ყრუ-მუნჯი ძმა, არამედ ფეხში დაჭრა, მკვლელისა და ერთგულის როლი გაითამაშა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს გერმანიის მოღალატე.“ განცხადებას სოფლის რამდენიმე მცხოვრები აწერდა ხელს.

— თანასოფლელები, ალბათ, გადამტერებული ჰყავს, რადგან მამასახლისად მუშაობს... მაშასადამე, ჩვენი მოკეთეა! — სცადა თავის მართლება შამბერმა.

მალე ყრუ-მუნჯი ანდრეი ტყეში ცოცხალი მოძებნეს ჯა მაიორს მოჰგვარეს. იგიც ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შუშხუნების გაშვება მისი საქმე არ იყო. შეცბუნებულმა ოფიცერმა ახლა ანკეტა ახლებურად გაასწორა.

„ივანემ ძმა ფეხში დაჭრა. ტყვია შემთხვევით აცდა, თორემ ჰკლავდა“.

უკანასკნელ სტრიქონში შამბერმა ჩაწერა: „ივანემ მშობლები და მთელი სოფელი გადაიმტერა ჩვენს გამო. იგი ნამდვილად ჩვენი კაცია“.

ამით ანკეტა საბოლოოდ მზად იყო...

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ სვისტელნიკოვოს დასავლეთ ხაწილში კვლავ აიჭრა ცისკენ ორი ფერადი შუშხუნა. ამჯერად



საქართველოს
ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ბომბდამშენმა სწორად აპოილო მიზანში საჭურვლის საწყობს
და ჰაერში ააფრინა. გერმანელები უფრო ფზიზლად იყვნენ და
შუშხუნების გამშვები დაიჭირეს. მამასახლისი ივანე სიდორო-
ვი აღმოჩნდა. იგი მეორე დღესვე სოფლის შუაგულში საბრ-
ჩობელაზე დაჰკიდეს. ამბობენ, სრულიად მშვიდად, სახემომ-
ღიმარი შეხვდაო სიკვდილს...

სულხან-საბას ძეგლი თბილისში

თითქოსდა გაიხსნა წარსულის ფანჯარა,
თბილისს თავს დაადგა სხვა ცა აღმაცერი:
საბა წელმოხრილი ძელსკამზე დამჯდარა,
ჩაფიქრებული ეტრატს დასცქერის.

ზეივნის ჩეროში ზის სულხან-საბა,
ვიწროა ქართლის ცა, როგორაც საცერი.
სულის გლოვას ნიშნავს ბერული კაბა,
სულის ქროლვას ნიშნავს ეტრატზე ნაწერი.

რომის და პარიზის დიდ ტაძრებს შესთხოვა
ლოცვით,
ლიტანიით მშვიდობის კვართი,
კენესით მისტიროდა ევროპის მიწაზე
ნიადად ამდგარი მუდარა ქართლის.

შავად გაშლილი ეტრატი — ეს ქართლის ბედია,
შავ ძელსკამზე ზის — შავია გლოვა.
ბედმა ჩრდილოეთის ცას შეახედვინა,
იგრძნო გაზაფხულის სუნი და თრთოლვა...

ფიქრში იხურება წარსულის ფანჯარა.
მალღდება,

ნათდება ცა ვარსკვლავთნაწერი.
საბა ქამთადენის ძელსკამზე დამჯდარა
და ამაღლებულ თბილისს გასცქერის.

□

ყინულმხრელი „ლ ე ნ ი ნ ი“

წინ გაშლილია ყინულეთის თეთრი უდაბნო,
გაუტეხელი და უსაზღვრო, როგორც ყამირი...
ის არღვევს ყინულს, რომ სიცოცხლეს გზა დაუდაფნოს,
ამ უკუნეთში გაზაფხულად შემოყვანილი.

მიდის „ლენინი“... შეპლრიალებს პურგა უკუნში...
მიდის სინათლე,
და უდიდესს ესწრაფვის მიზანს,
და ხომალდები ქარიშხალთა უწყვეტ გუგუნში
თან მიჰყვებიან, მიჰყვებიან ნაკვალევს მისას.

იტაცებს მზერას ვარსკვლავების ჩუმი კაშკაში,
ბნელს მიჰფანტავენ, მიარღვევენ სივრცეს მზიანნი,
რათა მთვარეზე, ყინულეთში, ქვესკნელში, ცაში
გამარჯვებული ბატონობდეს ადამიანი.

□

* * *

მზე ანათებდა ბავრატის ტაძარს —
ქართული სიბრძნის კერას და ფუძეს,
მისცა თათარმა ცეცხლსა და ხანძარს...
მე შემომმენტო ხანძარი გულზე.

ქართლის დროშები აღწევდა ცამდის,
მოვარდა მტერი კვამლსა და ბურში,

დედოფლის სხეულს გაავლეს შანთი,
მე გამიარა იმ შანთმა გულში.

პყავდა ურიცხვი მტერი მრისხანე,
იღგა ლამაზი,

მძლავრი

და.

კობტა —

სტყორცნა მოხლოლმა თბილისს ისარი...
მე ის ისარი შიგ გულში მომხვდა.

ხანძრების კვამლში გალობდა ხალხი
და სვეტიცხოველს შეახმა ლოცვა,
მეც თავს დამეჭტა კამარის თალი,
ვარ დამარხული ნანგრევში ცოცხლად.

წიგნს ვხურავ...

როგორც ხსნასა და იმედს,
ცად გაჩაღებულ მზის ნათელს ვუმზერ,
მაგრამ წარსულის წყლულები მძიმე
კრილობებივით მაჩნია გულზე.

□

რამა

ყრმობის ფიქრი და სიმღერა
ჩემს რიონს, ზვამლს და ჭანჭახს.
ყოველდამ მზიან-ცისფერი
რად მესიზმრება რაჭა?!

ვერცხლნაჭედ მთათა რიჟრაჟი,
ირმისწყაროთა ელვა,

ნეტა რას მღერის ის ვაჟი,
რა ნისლი ჰბურავს მწვერვალს?!

დედა მეტყობდა: „იზარდე,
ოქროს ცისკარი გელის!“
მეძახის ლურჯი სიზმრები,
ყრმობის პერანგი ჭრელი.

და შორი ლანდი ასულის...
იით,

ვარდით და

თოვლით

მყინვარი ცაში ასული,
თვით უკვდავების ტოლი.

რა გულმდუღარედ მიმღერა,
რა უკურნებლად დამჭრა,
ყოველ ცისკარზე ცისფერი
რად მეზმანება რაჭა?!

□

აფხაზური მკვამრული

ვინ იცოდა, რად მტკიოდა გული,
რა მზე მენტო და რა ცეცხლი მწვავდა,
მოვდიოდი, როგორც გაზაფხული,
ვიმღეროდი: ვოისა რადა, რადა.

თბილი ქარი მიწეწავდა ქოჩორს,
ცამაც ნამით დამისველა თმები,
მზე ლაქვარდზე აჩაღებდა კოცონს
და ძმებივით მომყვებოდნენ მთები.

შენ გეძებდი...

სად იყავი მაშინ,

სასურველი მომეჩვენე ცადა,
მეწამული ვარდი გქონდა თმაში,
ვოისა რადა, სი ვარადა, რადა...

ისევ მესმის ნაზი ნანა ჩქერთა,
მოსახვევთან ნიშანია სამი,
უკან დამრჩა ჯამპალი და ჯგერდა,
ვით სიყრმის და სიჭაბუკის ქამი.

— ჰაიტ!.. — ვუხმობ ჩემს ბედაურს რიხით,
შენზე ფიქრით და ალერსით ვთვრები,
გამივლია ლინდავა და ლიხნი,
ვით სიცოცხლის უსასრულო გზები.

მიჭრის მზეში მოციმციმე გზაზე
ფრთაკრიალა ავტო, როგორც ელვა,
ზღვის ტალღებზე ირეკლება ცხრა მზე,
ცის თავანი გაუპია მწვერვალს.

ბევით მესმის მოძახილი ჩქერთა,
მოსახვევთან ნიშანია სამი,
მომძახიან ჯამპალი და ჯგერდა,
ვით სიყრმის და სიჭაბუკის ქამი.

ას წელს გავცდი...

ისევ მღერის გული,
გამარიდე შენ ყინვას და ავდარს,
მომაფინე მზე და გაზაფხული,
ვოისა რადა, ოუ რადა, რადა!..

□

* * *

ისე საამოდ შემოხველ ჩემში,
როგორც ედება მიწას სიმწვანე,

როგორც ჩიტები გალობენ ტყეში...
და გამიტკბილე ყველა სიმწარე.

ისე სათუთად შემოხველ ჩემში,
შინ ბრუნდებიან ასე ფრთოსნები,
როგორც ვაშლის ხე ვარდობისთვეში,
ჩემს სულში ჰყვავი და იფოთლები.

ისე ლამაზად შემოხველ ჩემში,
როგორც იცინის ნუშზე აპრილი,
ხარ წყაროსთვალის ანკარა პეშვი,
ცა სხივოსანი და უნაპირო.

ისე საამოდ შემოხველ ჩემში,
ვით ალუბლები მზეში ჰყვავიან,
წლები, რომლებიც უშენოდ განველე,
ვაი, როგორი დასანანია!..

□

ნეპერჩხალი

შემოიძარცვა სამოსი თრთოლვით,
ახლა მოწყენით სივრცეს გაჰყურებს,
ზედ შერჩენია ერთი ფოთოლი,
ვით მობანავე ქალწულს საყურე.

სიო გაუფენს ფოთლებს ნოხივით,
გარინდებულა...
ნეტავ რას ფიქრობს?!
დგას უხერხულად ისე მოხრილი,
შიშველ ქალიშვილს რცხვენია თითქოს.

□

ზამთრის ღამე

ღაბინდღა, შეწყდა რძისფერი თოვა, —
ზეცამ შეიჭრა ქალარა თმები.
ღუმს არემაღე... ზღაპრების დროა...
თეთრ მანტიებში მორთულან მთები.

მთვარემ შიშველი ხეების წყება
თოვლზე დახატა და გაარინდა.
ძიღმორეული ძაღლების ყეფა
მოისმის, როგორც ხმა სამარიდან.

სერზე ბერმუხა მთვარის ფარანით
გზას იკვლევს, როგორც მგზავრი გვიანი,
მეზობლის ოდა ჩანს ფანჯარაში,
ვით პატარძალი თავსაფრიანი.

□

ზამთრისპირი აფხაზეთში

წუხელის მთაზე დაუთოვია,
თეთრწვერა მთები მოსულან ახლოს.
არც უწვიმია, არც უთოვია,
ზამთარს დაუდგამს თეთრი სასახლე.

წითელ-ყვითელი ფოთლები ქარში
წყდებიან უხმოდ,
წყდებიან სწრაფად...
წვიმს... ეს იზუნება ტირის, ვით ბავშვი,
რომელსაც ხდიან საყვარელ კაბას.

სანამ ოპროს წლების
დრო არ გადასულა

გრიგალივით გადვუქროლეთ
ამწვანებულ ტაშირს,
ახლა მთაში მიქრის მალი
ჩემი ელვის რაში,
უკან მომდევს მოგუგუნე
ტყე ფოთლების ტაშით.

გასწი, ჩემო არაბულავ,
მეგობარო ჩემო,
გამაქანე მამაცურად
ლურჯი მთების ზემოთ,

რომ ხევებში აწყვეტილი
მოვიხვიო ქარი,
გადავლახო ასვეტილი
მთების მწვანე კარი;

ლაევარდიდან დაშვებული
ნაირფერი, წმინდა
ცისარტყელა გადვიკიდო
მხარზე ოქროს მშვილდად.

მთებს იქით რომ მწვერვალია,
მზის სხივნაწვიმარი,
მელოდება იქ ასული,
გულის საფიცარი....

ჰაიტ, ჩემო არაბულავ,
მეგობარო ჩემო,
გამაქანე ვაჟკაცურად
ლურჯი მთების ზემოთ!

გასწი, თორემ მზემ სხივები
მწვერვალს გადასწურა,
თეთრმა ნისლმა ოქროსფერი
მთები გადასცურა,
ჩქარა, სანამ ოქროს წლების
დრო არ გადასულა,
პოი, კარგო არაბულავ,
ჩემო არაბულა!

□

ზღვის ფსკერი

მე კაცთაგანი მენდო ვერავინ,
ვარ ცვალებადი,
იდუმალ ფერის,
ვიდექ ამაყი მზესთან მწვერვალი,
ქამმა დამამხო და გავხდი ფსკერი.

სიღრმეში ატანს სინათლე ნაზი,
ჩურჩულებს სხივი, დაშლილი სპექტრად,
მე მინათდება გული და აზრი,
და უხმოდ ვმღერი,
ვიძვრი და ვფეთქავ.

ო, ქვეყნიური ხელია სხივი:
მზე მიაღერსებს შორეულ ბრწყინვით.

მკერდზე ზღვა მაწევს,
ჩემთან ვერ აღწევს
ჩუმი ზეფირი.

ხან ქარიშხალი ოდნავ დამარწევს,
თითქოს აკვანში შეირხა ჩვილი,
როცა ბორგავს და ცას ეხეთქება
ზღვის ზედაპირი.

ჩემს მუქ-ლურჯ ტყეებს, წვეტიან მთებს
და მყუდრო კლდეებს
შეფარებულან ქვეყნის წარღვნას გამონარიდნი,
ღამეს ვინათებ
შუქით მარჯნის და მარგალიტის.

ვარ მუდამ წყნარი, იღუმალი, საშიში ფსკერი,
ხან ვარ კამკამა, ხან კი მღვრიე, პირქუში, ბნელი.

ტანთ მმოსავს ხავსი,
წყლის თეთრ შროშნებს კაბას ვუკერავ,
ტალღის აღმასით ვთლი ნიჟარებს,
ლამაზს და ფერადს.

სიღრმეში ატანს სხივები ნაზი, —
მე მინათდება ცული და აზრი:

ო, ქვეყნიური ხელია სხივი:
მზე მიაღერსებს შორეულ ბრწყინვით.

თოვლის ვარდები

თოვლი თოვს. მარტმა ჩამოახვავა.
ასე მიდიან ძვირფასი წლები,
მაგრამ არ ვშიშობ, მხოლოდ და მხოლოდ
შენ ნურასოდეს ნუ შეიცვლები.

მე არ მქონია ჯერ მისამართი,
ქარს აყოლილმა დრომ გაირბინა.
მაინც ხაჭერებს მშფოთვარე მარტი,
რომ სადღაც გვიცდის ჩვენ ერთი ბინა.

თუ გვინატრია კუბოს ფიცრამდე
სასიხარულო ზვედრის ტარება
და უნებურად თუ განვიცადეთ
ამ ერთადერთი დღის ნეტარება,

რატომ არა ვართ ჩვენ ერთად, ანდა
თუ შეხვედრაა ეს უცაბედი,
რატომ გვგონია — დაგვაგვიანდა
და ასე მიტომ გვექცევა ბედი.

მივიწყებულმა ჩანგმა მართალი
ყელი ვერა და ვერ მოიღერა.
სიმები იყო მოსამართავი,
შემოვინახე შენზე სიმღერა.

და აი, ეს დღეც... მე მომაგონდა
შენი თვალების მიმქრალი ბინდი;

ჩანგს აელერების იმედი ჰქონდა,
მოემართე კიდეც და ავქვითინდი.

და მაგრძობინეს შენმა თვალებმა,
რომ ჩვენს ხელშია ჩვენივე ბედი,
და გული ისევ გულს ეკრძალება,
რადგან შექსა მფენ, როგორაც მფენდი.

ცრემლიან ბავით ნაამბორევი
მზეზე ატირდნენ თოვლის ვარდები
და აი, ერთად მივალთ ორივე...
ორივე ღირსი ამ ლაქვარდების.

□

* * *

ზამთრის ქარია, ცივი და ბასრი,
თუ გაზაფხულის საამო ზენა,
არის ერთი და იგივე აზრი —
ყვავილების და ფიფქების ცვენა.

რას იტყვი, ეს ხომ ცხადზე ცხადია,
რომ დრო ჩქარია და მოუცლელი,
რომ ყველაფერი ცვალებადია
და ამავე დროს არის უცვლელი.

შენ გიტაცებდა მონიავება
გაუნელებელ დროის ზღვაურის,
როგორც შეხვედრა ნავებს ნავებთან,
ან მეზღვაურთან — გულს მეზღვაურის.

ქაობებშიაც ჰვრეტდი კაბადონს
საიდუმლოთა გადამფურცლელი
და იყო შენთვის ოქროს საბადო
ცვალებადობა — მარად უცვლელი.

იმედინად შეჰყურებს ქედი

იმედინად შეჰყურებს ქედი
ჩამავალი მზის სხივების კრთომას,
იმ სიყვარულმა მე მიმატოვა,
როცა ცხოვრების გზებს მივაღექი.

ჩამოდგა წუთი გამოსაღმების
უეცარ ცრემლით დანაწვიმარი.
ქიშკართან დარჩნენ დები — ალვები,
ეზოში — ოდა და ოწინარი.

მაგრამ, სიმღერავ, მგზავრობა ჩემი
შენ დააწყინარე, შენ გაანაზე!
შენს გარდა კიდევ ნუგეშის მცემი
სხვა არავინ მყავს ამ ქვეყანაზე.

ბავშვობიდან გაქვს გული სათუთი
და სავსე შუქით მოციმციმეთი.
ამ ცხოვრებაში ხომ უსათუოდ
რალაცის უნდა გქონდეს იმედი.

როცა შევყურებ ცას უკანკელოს
და ნუგეშისთვის არვის არ ველი,
ო, ჩემო ძალავ უკანასკნელო,
შენი რწმენაა ჩემი მფარველი.

□

სამაია

ჰეროვნების მკრთალი ნათელით
მთიდან ეშვება თეთრი საღამო...
მე მახსოვს სამი ქალი ქართველი
და სამაიის ცეკვა საამო.

თოვს და, როდესაც აპრილი მოვა,
აუცდენელი და სანატრელი,
სანამ ყვავილთა უნაზეს თოვას
მოჰყვება ცეცხლი და ჟრუანტელი,

წყაროსპირ სამი ამოვა ია,
სამი ასულის უმანკო კდემით,
გამახსენდება ის სამაია
და მოღუღუნე დაირის ხმები.

თილისმა ჰქონდა სამ მანდილს გაშლილს,
სამთა თვალებს და იმ სამ დაირას...
ახლა ფიფქები ცეკვავენ ქარში
სამი ასულის ცეკვისნაირად.

□

პირველი თოვლი

პირველად ნახეს თოვლი ბავშვებმა,
ხომ ლამაზია თოვლი ამგვარი.
მე მომიწია სიკვდილთან შეხება
და ფიგრძენ კიდეც ერთი ზამთარი.

უთვისტომობას შეუჩვეველი
ჯერ კიდეც წედან თავს ეთვლიდი ობლად,
თვალეები მქონდა ცრემლებით სველი
მარტოდ დარჩენილს ამ წუთისოფლად.

ახლა კი ქარი გარშემო მივლის,
თან სიზმარივით წამი ანათებს



და უერთდება ჩემი ღიმილი
თოვლს, ბავშვებს, ჩიტებს და
კაკანათებს.

□

* * *

ავად ვიყავი, ვიწვექი მარტო
და მწუხარების მეფინა ჩრდილი.
სულ ადვილია, რომ გაემართო
იმ მხარეს, სადაც მეფობს სიკვდილი.

ავად ვიყავი და თავისთავად
მკლავდა წუხილი და აგონია.
ახლა სრულიად ჯანმრთელი დავალ
და სულ ვიცოცხლებ — ასე მგონია.

□

შეხვედრა

უეცარ წამთა ათინათებავ,
ნისლმობხვეული რომ იყავ წინეთ,
თვითონ არ ვიცი, რა მემართება,
თვალეები ცრემლით რად გამიბრწყინე.

ან გული ასე რისთვის მეტკინა?
ასეთი კარგი და მშვენიერი,
მე არ შემეძლო წარმომედგინა —
გამინათებდა შენი იერი.

ასე ხანგრძლივი ლოდინის შედეგს
როგორ შეერწყო ფერი იათა!

ერთმანეთს შევხვდით დიდი ხნის შემდეგ,
მაგრამ ორივეს დაგვაგვიანდა.

□

* * *

არსად მოცდენის არა გაქვს ნება,
თავი და თავი სწორედ ეგ არი.
არა ყოველთვის მშვიდი ოცნება,
არამედ ბრძოლა დაუღეგარი!

გაბედულ ლექსებს ელოდნენ შენგან,
მოელი შევებას თუ არ მოელი,
მარბდის უნდა გახსოვდეს ყველგან
გადასადნობი სიტყვა ყოველი.

მე უკვე თითქმის ვიყავი ყველგან,
გულსტკივილით ვიგრძენი ახლა
ყველა ის წუთი, როდესაც ჩემგან
ელოდნენ რაღაც კარგსა და ახალს.

თურმე ცხოვრება სულ სხვა ყოფილა —
თანდათანობით შუქის მომფენი.
თავის დროზე კი არც მე მყოფნიდა
ჩემი სადგომი და სამყოფელი.

საკმარისია შეახო ხელი
უჩინარ ყვავილს — მიწის მშვენებას —
და ყელმოღერილს ქვეყანა ვრცელი
უფრო ლამაზი მოეჩვენება.

მე მხოლოდ ასე მალეღებებს ყველა
ადამიანის საქმე და ბედი.

ჩემთვის, ჩემს გამოც თუ ვინმე ღელავს,
სხვა არაფერი არ მინდა მეტი.

გამასწრო ბევრმა და გამეყარა,
მე მაინც ვნახე ყველა სადგური.
ახლა ჩემია მთელი ქვეყანა —
ჩემს არსებაში ფესვებგადგმული.

ქლვენი და ხმალი

„... აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი...
და დაუშვეიღრა შვილთა თვისთა საჭურ-
პლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

„ქართლის ცხოვრება“

1.

სიმონ მეფემ თბილისი აიღო, მაგრამ ახლა მისი შენარჩუნება იყო მთავარი საზრუნავი. სანამ თურქთა მეციხოვნე ლაშქარი სამშვილდესა და ხატისოფლის ძლიერ ციხეებში იდგა, დედაქალაქს ყოველდღე საფრთხე ელოდა. მტრის ამ ბუჯუებს თუ არ მოშლიდა, თურქნი ისევ წაჰკლევდნენ თბილისს.

სულის მოთქმის დროც არ იყო. თბილისიდან მაშინვე დაქრა ლაშქარი მეფემ და სამშვილდეს ეცა. ერთის დაკვრით რომ ველარაფერი გააწყო, ალყა შემოარტყა ციხეს. ჯერ სამშვილდე უნდა გაეტეხა, მერე ხატისოფლის ჯერიც დადგებოდა.

თბილისის დაკარგვით გავეშვებული თურქნი მდებრად იცავდნენ თავს. მაჭახელების ტყვიის ზუზუნი და გაფრენილი ისრების კორიანტელი მიაწყდა ციხის გალავანს.

სიმონი დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცგაუვალი ალყით

ოდესმე მოაშობდა ძეციხოვნეთა წინააღმდეგობას, სწორედ ეს „ოდესმე“ არ აწყობდა ქართლის მეფეს.

თბილისის დაცემის ამბავი მალე ჩააღწევდა სტამბოლს და ხონთქარი მაშინვე მაშველ ჯარს გამოაგზავნიდა ქართლში.

სხვა გზა არ იყო — ქართველებს დროც უნდა მოეგოთ და ბრძოლაც.

ძალას ხერხი მიაშველა სიმონ მეფემ. მთავარი ლაშქრიდან რჩეული ვაჟკაცები გამოჰყო. სახელდახელო რაზმს გივი აპულახვარი უსარდლა და ღამიანად სამშვილდეში შეაპარა. აღიონზე თვითონ გარედან ეკვეთა ციხეს, შიგნით შეპარულმა ქართველებმაც იშიშველეს ხმლები და შუადღისას სამშვილდე დაეცა.

არც ნადავლი და არც ტყვეები მიუთვლია სიმონს ხეირიანად. თბილისს, დედოფალთან, მახარობელი აფრინა და მყისვე დატოვა სამშვილდე. ხატისოფლის მისაღვომებთან დაბანაკდა.

2.

ორი დღე და ღამე უცადა მტრის ბანაკში მზვერავად შეგზავნილ დემეტრადეს სიმონ მეფემ.

იმავე დღეს უნდა გამობრუნებულიყო, ასე ჰქონდა ნაბრძანები მზვერავს, მაგრამ იგი მეორე დღესაც არ გამოჩნდა. ცხადია, რაღაცა იყო მის თავს.

კარვიდან შუბლშეკრული, გულწათხრობილი გამოვიდა მეფე. არავინ იახლა, ისე გაიარა ბანაკი და გადასახედთან შედგა. ხატისოფელს მიაპყრო მზერა. მზემ თითქოს თვალები დასწვაო, დაღარული შუბლი მოისრისა და ისევე ცქერად იქცა.

ორი რამ აწუხებდა ამ წუთს სიმონს: ერთი — გამოცდილი, ათას ხლართში გამოვლილი მზვერავის დაკარგვა; მეორე — აუცილებელი ცნობების მიუღებლობა. არ იცოდა, რომელ ერთზე ედარდა უფრო, რომლისთვის მიეწერა ყრუ ტყვილი, მკერდის არეში რომ გრძნობდა.

სიცხის ბული ტრიალებს ირგვლივ, თითქოს იკვამლებო-



და ფერდობს შეფენილი ბუჩქნარი. თვალმისაწვდენზე მტრის ბანაკი და ხატისოფლის მიუვალი ციხე გარინდულიყო. გავარვარებულ ჰაერში ასე ჩანდა, თითქოს ალმური ასლიოდა ცხის ქონგურებს.

ბუჩქნარში ჩაკარგულ გზას ამოდ გაჰყურებდა მეფე ქართლისა. გზაზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ იყო. ან ვინ გაივლიდა მტრების ბანაკებს შორის გაქიმულ გზაზე, თუ არ თავმოძულებული ან მოღალატე, ან კიდევ... უკან მობრუნებული მზვერავი, მაგრამ სიმონს ამის იმედი წუხელ გაუქრა.

უკაცრიელი ბუჩქნარი, მტრის მდუმარე ბანაკი და ხატისოფლის გარინდული ციხე — სხვა არაფერი ჩანდა თვალსაწიერზე.

სიმონს ფეხის ხმა არ გაუგონია. ზურგს უკან ადამიანის სიახლოვე იგრძნო მხოლოდ. იმასაც მიხვდა, თუ ვინ იქნებოდა იგი.

— იქნებ შენ მიჩიო რამე? — უკან მდგომს კი არა, თავისთავს ჩაეკითხა თითქოს.

— არ უნდა დავაფრთხოთ თურქი, უცებ უნდა გათავდეს საქმე. ხოლო ციხეში თუ შეგვესწრო... — სიტყვა თვითონვე გაწყვიტა ამილახვარმა, მაგრამ არც მეფე დააცლიდა ბოლომდე.

— ეგ მეც ვიცი, შენ ისა თქვი, როგორ? როგორ დავაბათ თურქნი? — ხმაში სიბრაზე გამოერია მეფეს.

ამილახვარმა პასუხს დუმილი ამჯობინა. აბა, რა უნდა უპასუხოს... ეჰ, ეს ციხე არ იყოს, მაშინ მან იცის და მისმა მარჯვენამ, მაგრამ ისიც იცის ამილახვარმა, რომ ჯერ ბრძოლას არ მიიღებს ლალა-ფაშა, ციხეში ჩაიკეტება. ციხეზე კი ხელაღებით ვერ მიხვალ, დიდად დაზარალდება ლაშქარი. ალყის დრო კი სადღაა. დრო... დრო...

სიმონმა ერთხანს უცადა პასუხს და მერე ისევ იკითხა თავმოუბრუნებლად:

— ციხეზე რომ მივიდეთ? — წინასწარ იცოდა მეფემ, თუ რას უპასუხებდა ამილახვარი, მაგრამ მაინც უნდოდა ძი-

სი გულის აზრს დამთხვევოდა ბრძოლებში გაქალაქებულ სარდლის პასუხი. თავის ნააზრევს ფხას უსინჯავდა ამით.

— უკან თბილისია, მეფეე ბატონო!..

სიმონმა ხელი აიქნია და ამით ანიშნა სარდალს — მეტის თქმა საჭირო არ იყო, რომ დანარჩენი ისედაც გასაგებია.

თვითონაც ასე ფიქრობდა. ციხეზე იერიშით მისვლა ნახევარი ლაშქარი დაუჯდება და ძერე?.. მერე რითღა დაუხედეს თურქთა ახალ ძალებს, როგორ დაიცვას და შეინარჩუნოს თბილისი.

გზას რაღაცამ თუ ვიღაცამ გადაურბინა. მეფემ ფიქრო გაწყვიტა და გზას დააშტერდა.

— ლალა-ფაშის გუშაგები იქნებიან, მეფეე ბატონო! — ხმადაბლა ჩაიდუღუნა ამილახვარმა. არც მის მშერას გამოპარვია ლანდი უკაცრიელ გზაზე.

ახლა თურქთა საგუშაგოებისაყენ მიჰხარა ფიქრი მეფემ. გზადაგზა წყება-წყებად ჩასაფრებული თურქთა გუშაგები უპობდნენ ფაშაზე მოულოდნელი თავდასხმის ყოველგვარ შესაძლებლობას. მტერზე უეცარი გამარჯვების ერთადერთი საშუალება კი მისი სიფხიზლის მოდუნება იყო.

ფიქრობდა მეფე, მაგრამ გამოსაეალს ვერ მიაკვლია.

დუმდა ამილახვარიც, ხერხებისა და ფანდების ოსტატად მეფე ითვლებოდა, თვითონ კი ხმლის მოქნევის ოსტატი იყო, ოსტატი კვეთებისა და ჯიქურად მისვლისა. ახლა მეფის გონებას უნდა ემუშავა, რომ მისი მარჯვენისათვის საქმე გაეჩინა.

— მაშ ავიყაროთ, ზურგი ვუჩვენოთ? — ისე დააგდო კითხვა მეფემ, თითქოს სარდალზე ჯავრს იყრიდა, მისი ჯიუტი დუმილის გამო.

— ზურგსუკან მოქნეულ ხმალს დავტოვებთ, მეფეე! მერე თბილისშიც მოგვწვდება იგი. — ამ სიტყვას ცოტაოდენი დუმილი ჩაატანა სარდალმა და შემდეგ უცებ მოსჭრა: — ისევე ხერხი ვუწინამძღვროთ ხმალს!

„ხერხი, ხერხი... ისევე მოიქცეს, როგორც სამშვილდეში? — კვლავ თავისთავს ჩაეკითხა მეფე. — არ გამოვა. ერთი და იმავე ხერხით მტრისათვის ორი ციხე ჯერ არავის წაუერთმე-



ვია. არადა რამდენი ხერხი და ფანდი შეიძლება მოიგონოთ ჩვენს კაცმა? განა ერთი და ორი, ვინ მოთვლის, რამდენი ცხენი უტეხია ფანდებით, მაგრამ ბრძოლა ხომ თამაში არ არის? მკლავი მოიღალა და სახერხ-საფანდო აზრიც დაიშრიტა თითქოს. ბრძოლებს კი ბოლო რომ არ უჩანს?! ეს ერთი ხატისოფელია, წინ კადევ, ვინ იცის, რამდენი ხატისოფელი აღუდგება, რამდენი სამშვილდე!“

სუნთქვა გაჭირდა, ისე დაიხუთა ჰაერი.

სიმონ მეფემ ცას ახედა.

აღმოსავლეთი აბურდულიყო. ზევით მოიწევდა საწვიმარი ღრუბლების გრეხილი. დასავლეთიც იქუფრებოდა.

ასევეა საქართველოშიც. ორივე მხრიდან აშლილია სამტრო ღრუბლები. სანამ თურქებს ებრძვის, გატრუნულია სპარსეთი, მაგრამ ოსმალოს თუ სძლია, ყიზილბაშები მყოვე წამოყოფენ თავს. მტერზე გამარჯვება კი არა, მტრების მონაცვლება გამოდის ბოლოს. ერთს რომ წამოაჩოქებს, მეორე აღმართავს ხმალს და სანამ მეორესაც გაუსწორდება, პირველი გაიმართება წელში. ბოლო კი სადღაა, ბოლო? ხმლის წინ და უკან გაუთავებელ ქნევაში ან მკლავი მოიქანცება ან ხმალი გადატყდება ვადაში.

აქ კი თავისივე ფიქრებით ჩიხში მიმწყვდეულ მეფეს კვლავ ჩაეწვეთა ყურში ამილახვრის წინანდელი სიტყვები: „უკან თბილისია, მეფევ ბატონო!“ და წამსვე მოიშორა თავიდან აბეზარი ფიქრები. სხვაგან მიაპყრო გონების თვალი. მერე კი ამილახვარს ისეთნაირად მოხედა, რომ მიხვდა სარდალი — მეფის გონებაში ახალი ფანდი ისახებოდა.

სქელ უღვაშებში ჩამალულ ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა სარდალს.

3.

სიმონ მეფემ ბანაკი აპყარა. გაბრუნება ბრძანა.

ლალა-ფაშას კარავთან კი მახარობელი მიიჭრა: სიმონს



დესპანი გამოეგზავნა. ზავსა და ხარკს მორჩილად სთხოვდა და მეფე ქართლისა.

ქედის მოხრის ნიშნად კისერზე ზმალჩამოკიდებული მეფის დესპანი ფეხაკრეფით მიჰყვებოდა მეფისავე ძღვენს — სამ დარახტულ ბედაურსა და ამდენსავე ჯორკიდულს.

მდაბიურად არ ეცვა, მაგრამ არც დიდებულთაგანს ჰგავდა მეფის დესპანი. აბჯარ-მუზარადი გაეხადა. კისერზე ჩამოკიდებული ხმალიდა დაეტოვებინა მხოლოდ, მაგრამ ისიც უკვე იარაღად აღარ ჩაეთვლებოდა.

დესპანის მხლებლები აღვირებს ორთავ ხელებით ჩასჭიდებოდნენ და ძლივს აკაევდნენ ცეკვით მიმავალ კისერჯიუტა ბედაურებს.

პირველი ორი საგუშაგო განვლეს დესპანმა და მისმა მხლებლებმა. სადაცაა თურქთა მთავარ ბანაკს მიაღდგებოდნენ. შუბოსნები შემოხვდნენ ელჩიონს, შუა მოიმწყვდიეს და ტყვეებსავეთ გამოაცილეს.

სახეგაბადრული ლალა-ფაშა თავის კარავში ძვირფას ხალიჩაზე ფეხმორთხმით იჯდა და დესპანის მოლოდინში თხელ წვერებს კოტიტა თითებით მალიმალ ივარცხნიდა. ქართლს ძლეული მეფის აჯისა და ვედრების მოსმენას ესწრაფვოდა.

არა, ასეთ უეცარ გამარჯვებას არ მოელოდა თურქი სარდალი. თუმცა ადრევე სჯეროდა, რომ გაუთავებელ ბრძოლებაში მოქანცული ქართლის ბოლო მაინც ეს იქნებოდა. გონებაში უკვე წინასწარ თხზავდა ხონთქრისათვის გასაგზავნ წერილს. მისთვისაც ამ მოულოდნელ გამარჯვებას გააზვიადებდა. მისწერდა, თუ როგორ მიუხტა და მოარბია ქართველთა ბანაკი. ასეთი ბარათების შეთხზვა ხმლის მოქნევაზე ნაკლებად როდი ეხერხებოდა ფაშას. მერე ფარეში იხმო და უბრძანა მეფის ნაწამები მზვერავი თითქოს შემთხვევით შეეხვედრებინათ მეფისავე დესპანისათვის. იცოდა ფაშამ, როგორ უნდა გაეტეხა საბოლოოდ უკვე ქედმოდრეკილი მოწინააღმდეგე — ოდნავი ჯიუტობა და დესპანსაც არ ასცდებოდა მზვერავის ბედი.

თავდახრილი მიაბიჯებდა თურქი შუბოსნებით გარშემორ-



ტყეული დესპანი, მაგრამ მისი თვალეზი დარბოდნენ ფათურობდნენ მტრის ბანაკში. თვით მცირედიც არ და შეუნიშნავი და დაუხსომებელი.

უცებ ერთ-ერთი კარვის ფარდა შეირხა და წელზევით შიშველი მამაკაცის გვამი თავქვე დაემხო მიწაზე. ნაფლეთებად ეფინა კანი და დაშანთული ზურგი ჩაშავებულ ზოლებს გადაეხაზა.

დესპანმა უნებლიეთ შეანელა სვლა. იცნო, ვინც იყო და იმასაც მიხვდა, სწორედ ამ წუთს კარვის გარეთ რატომ აღმოჩნდა იგი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, სულ სხვამ შეაკრთო უფრო დესპანი. თვით თურქებმაც არ იცოდნენ, თუ რა მანე დააგეს ამით.

პირქვე დამხობილი მამაკაცი შეირხა და დესპანმა უცებ მოუჩქარა ნაბიჯს, რათა გასცლოდა, სანამ გონს მოვიდოდა ნაწამები მზეერავი, მაგრამ ვერ მოასწრო.

დემეტრადემ თავი წამოსწია და მისი დაბინდული მზერა ქართლის მეფის დესპანს შეეფეთა. შეეფეთა და სწორედ ქაშინ მოეგო გონს. სახე მოერღვა, თითქოს ტკივილებმა, რასაც აქამდე ვაჟკაცურად ითმენდა, ერთბაშად წამოუარაო.

ერთი სიტყვა, ერთი წამოძახება და ყველაფერი დაიღუპებოდა, მაგრამ დესპანის მზერამ თითქოს მონუსხა მზეერავი, რალაც ანიშნა, ხმა გააკმენდინა.

დემეტრადემ გულში ჩაიკლა ენაზე მომდგარი სიტყვა. ხოლო რაც მის თვალეზს წამოსცდა, მხოლოდ დესპანს შეეძლო ამოეკითხა.

დესპანმა თავი მიაბრუნა და აჩქარებით გაიარა უკვე უცნებელი მანე.

4.

ფაშასთან დაბალი თურქული სალამით წარსდგა დესპანი.

— უძლეველ სარდალთ-სარდალს ლალა-ფაშას მზეგრძელობას უსურვებს სიმონ მეფე და ზავსა და ურჩობის სულგრძელად პატიებას ევედრება. — გაბმით გააწყო სიტყვა დესპანმა. — თავისი ერთგულების ნიშნად ჭერ ის მცირედი ძღვე-



ნი მოუტომევეია, მერე კი როგორც დიდი სარდალი ინტერესდებოდა — ხარკის სიდიდეს განსჯის საგნად არ გაიხდის მეფე ქართლისა.

მისაღმების დამთავრება ძლივს აცალა ფაშამ დესპანს და შემდეგ ერთადერთი სიტყვა შუბივით აძგერა:

— თბილისი!!!

თითქოს გულღვიძლი ამოუტრიალდა დესპანს. ისეთი კუმტი და შეუვალი იყო ფაშის მოთხოვნა, რომ რატომღაც ისევ თურქთა ფეხქვეშ მგმინავად იგულვა დედაქალაქი.

„ასეა, რაც გულს არ ეთმობა, სწორედ ის უნდა მტერსაც. სადაც გტკივა, იქ გიფათურებს ხელსა თუ მახვილს“. — გაიფიქრა დესპანმა და სიტყვა ფრთხილად წამოიწყო:

— თბილისის შესახებ ჩემთვის არაფერი უბრძანებია მეფეს. მე მოვახსენებ და ხვალ თვითონ გეახლებათ, თვითონ მოვახსენებთ დასტურს.

ფაშას ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მეფე ეახლოს და მერე ერთად მოუელის მეფესაც და თბილისსაც.

— თქვენდამი მორჩილება აღრევე იზრახა მეფემ, — კვლავ სანთელივით დნებოდა დესპანი, — მაგრამ დიდებულები აუხირდნენ სამშვილდესი...

აქ ტუჩზე იკბინა დესპანმა. თურქი სარდლისათვის სამშვილდესი სამარცხვინო დამარცხების შეხსენება კარგს არაფერს უქადდა არც საქმესა და არც თვითონ დესპანს. სიტყვას კი ისევ ვერ დაიბრუნებ, როგორც გასროლილ ისარს. მაინც არ დაიბნა დესპანი. ისარს ვერ დაიბრუნებ, მაგრამ სიტყვას კი გეზს უცვლი, საითაც გინდა, იქით გადახრი, ჩაასკენი და ჩაავვირისტებ.

და აღრე წამოწყებულ სათქმელს უგანა დესპანმა:

— ...სამშვილდესი უნდა გხლებოდათ მუხლმოდრეკით, მაგრამ ამილახვრის ოინმა არია ყოველივე. მეფის დაუკითხავად უღვია თავს ციხის დალაშქვრა. ამილახვარი უკვე დასაჯა მეფემ, პატივი აპყარა, მაგრამ თუ თქვენ მეტ სიმკაცრეს მოითხოვთ, არც თუ ისე ძვირად უღირს თავნება სარდლის სიცოცხლე ქართლის მეფეს.



ქართველ დიდებულთა შორის გაუთავებელი შედეგის
 კარგად მცოდნე ფაშას გულში ჩაეცინა, ამილახვრის თევზის
 მოშორება სურდა, ალბათ, დესპანს.

„ჩემი განაჩენით უნდა ბოლო მოეღოს მეფის კარზე საკუ-
 თარი აღწევების საშიშ მეტოქეს“, — გაიფიქრა ფაშამ და
 ამილახვრის შესახებ სიტყვა არ დაძრა, მას ეს ენადაქცეუ-
 ლი დესპანი ისევე ეპიტნაებოდა, როგორც თვითონ ამილახ-
 ვარი.

ტკბილი სიტყვებითა და დიდი პატივით გაისტუმრა ფაშამ
 სიმონ მეფის დესპანი. აფთრის ვერაგობა და დაუნდობლობა
 მელიის ცბიერებითა და ლაქუციით შენიღბა. დესპანსა და მე-
 ფეს ისე ეთამაშებოდა, როგორც კატა დამფრთხალ თავგს.
 ზღაპრული გულუხვობა გამოიჩინა თანაც. დიდძალი სა-
 ჩუქრები გაატანა დესპანს მეფესთან.

რა ენაღვლებოდა, რას კარგავდა. რასაც ახლა ძღვნად უკ-
 ზავნიდა ქართლის მეფეს, ხვალ ხმლითა და შანთით ისევ უკ-
 ან დაიბრუნებდა. ჯიბესლა უნაცვლებდა ნაბოძებს. ამ საჩუქ-
 რებსა და ქართლის მეფის ქონებასაც უკვე თავისად ჰრაცხდა
 თურქი სარდალი.

გვიან დასტოვეს თურქთა ბანაკი დესპანმა და მისმა მზღ-
 ბლებმა.

ფაშამ მაშინვე მდივანი იხმო და ხონთქართან გასაგზავნი
 ბარათი უკარნახა. ქართლის მეფეზე სახელოვანი გამარჯვება
 თავმდაბლად მიულოცა პატრონს. არც საკუთარი „საგმირო“
 საქმეების ჩამოთვლა დაივიწყა. მერე სარდლები იწვია კარავ-
 ში და საგუშაგოების მოხსნა ბრძანა. სულ მუდამ ხიფათის
 მოლოდინში ყოფნით განაწამები ლაშქრის დასვენება ურჩია.

და თვითონაც ქართლში ჩამოსვლის დღიდან ნამდვილად
 მშვიდ ძილს პირველად მისცა თავი.

5.

გამთენიისხანს სიკვდილის ცელი დატრიალდა თურქთა
 ბანაკში. ძილმოუთავებელ ლაშქარს ხმალ-შუბებით დაერივ-
 ნენ ქართველები და „ჰკა მაგასა“ და „ვაშას“ ძახილით აზან-



ზარდა მიდამო. ჯერ ცხენებით გადათქერეს კარვეზის წინა-
რიგები, მერე ქვეითნი შეუდგნენ პირწმინდად აღგვას.

დაფეთებული გამოვარდა კარვიდან ლალა-ფაშა. დიდი ფიქრი არ დასკირვებია ათას ბრძოლაში გამოვლილ სარდალს. მახეში იყო გაბჰული და უკვე გვიანდა იყო თითზე კბენანი.

ლაშქრის თავდავლა და შეკვრა უკვე აღარ შეიძლებოდა, რომ მწყობრი ბრძოლა გაემართა. მხოლოდ მცირედი ჯგუფის შენიევთვა მოახერხა ფაშამ, თავისი პირადი შუბოსნები უთავა ამ ჯგუფს და ქართველთა წინსვლის შეფერხება უბრძანა, რათა დანარჩენი თავგზააბნეული რაზმებით როგორმე ციხისკენ გაესწრო.

მედგრად ეკვეთნენ ქართველებს ფაშის შუბოსნები, ფაშამ კი ციხეს მიაშურა.

ხმლით რომ ველარ მისწვდნენ გაქცეულ მტერს, მოისარნი ჩააბეს ბრძოლაში ქართველებმა.

თვალსა და ხელს შუა თხელდებოდა ფაშას ლაშქარი, თუმცა ციხეც ახლოს იყო უკვე. კიდევ ცოტაც და ციხის გალავანს შეაფარებდა თავს, მაგრამ იქ ახალი მახე დაეგოთ მისთვის.

ბუჩქნარიდან გივი ამილახვარი გამოუხტა ციხისკენ ოტებულ თურქთ და გზა გადაუჭრა.

რკალი შეიკრა. თავსა და ბოლოში ქართველები იყვნენ.

როგორც უეცრად იფეთქა, ისევ მალე მიწყდა ბრძოლის ხმაური.

ლალა-ფაშამ ხმალი ამილახვარს ჩააბარა და ციხისაკენ ერთ წუთში მოთოკალ გზას უკან ფეხათრევით ჩამოჰყვა. არც ამილახვარს ეჩქარებოდა უკვე. დინჯად მოჰყავდა თავისი ფეხკავშა ცხენი.

მხლებლებით გარშემორტყმულმა სიმონ მეფემ ხმალი ჩააგო, ჩამოქვეითდა და ფაშას დაელოდა.

— სიტყვის გატეხას ველარ დამწამებ, ფაშავ, აჰა, გეახლი! — შორიდანვე მიაძახა ტყვე სარდალს.

ფაშას ხმა ეცნაურა. თვალი აიქნია და გახეცდა. გუშინდელ

დესპანში ქართლის მეფე შეიცნო. წუთით იყურა ტყვექმნილ-
მა, შემდეგ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა:

— ძღვნით მისულთან მერმე ხმლით არ მიისვლებსო,
ასე მსმენია გურჯებისაგან.

— რა გაეწყობა, თქვენგანა გვჭირს ასე, თურქო, — ხან
ძღვენს ვიწინამძღვრებთ, ხან კიდევ ხმაღს, როცა ორივე ერთ
საქმეს აკეთებს. — დამცინავი ღიმილით მიუგო მეფემ და
ამილახვარს ანიშნა თვალით ფაშაზე „მზრუნველობა“ თვი-
თონ ეკისრა.

ისევ ამხედრდა მეფე, ტაატით წაიყვანა ცხენი.

ულრუბლო, ნათელი დილა თენდებოდა.

ცას ახედა მეფემ. ვინ იცის, აწ უკვე საიდან აიშლებოდა
ღრუბელი — სპარსეთიდან თუ ოსმალეთიდან, საით მოუწევ-
და ხმლის მოქნევა — წინ თუ უკან, მაგრამ ამჯერად კი თავ-
სი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა ძღვენსა და ხმაღს.

თბილისს ჯერ საფრთხე არ ელოდა!



აფხაზეთის გაჯაფხული

შენი ზღვა და მზის ბრდღვიალი,
 ცაზე ვარსკვლავთ განაზება
 და ცის ცვარი ლორთქო ფოთლებს
 დაკიდული აღმასებად.
 ქარაფს მორცხვად ჩახვეული
 შენი ზავსი,
 მენი სურო,
 ლამის სულში გაიფოთლოს,
 რომ სურვილი შევისრულო.
 მენს ყოველ ბუჩქს,
 ყვავილს,
 ბალახს,
 სატრფოს თვალით ვაკვირდები.
 შენი მიწა ავგაროზად
 ყელზე ჩამოსაკიდები.
 ნეტამც გულზე დამაყარო
 და ცვრით კალთა დამისველო,
 რომ მეც ზამთრის თეთრ საბნის ქვეშ
 შენს ფესვებთან დაეისვენო.
 ასე ხარბად მზეს რომ ვუმზერ,
 მეც მოვხუტო თვალი ვინძლო.
 მერე ადრე გაზაფხულზე
 შენს ფოთლებში გავიღვიძო.

მიწამე ძედ შენი ასული!

რა ფრთხილად ვაიღო ცისკარი,
ფიფქები მოუსხამს მავთულებს.
მთვარე კი მთვრალია,
ჰქრის ქარი
და არხვეს ილიჩის ნათურებს.
მეც ერთი ზვირთი ვარ შენი მტკვრის
და ერთი პატარა ნათურა.
მეც ერთი რისხვა ვარ შენი მტრის,
დღელაძე ბნელ ფიქრში რომ გართულა.
სულ სხვაა ნათება ჩემი მზის,
იგი ზომ არ ჩადის არასდროს,
ანათოს, გამრუჯოს, ამანთოს,
სანამ ეს მამული არ დავეთმო...
მიწამე ძედ შენი ასული!
მე შენი სიტურფის მონა ვარ,
მინათებს გზას შენი წარსული,
და რწმენით შევეყურებ მომავალს.

□

ვინა ვარ...

ვინა ვარ?
შენი ცის სილურჯე,
ვარსკვლავთ ციმციმი,
მთებში ნიავის ჩუმი ქროლვა,
წყაროს სიცილი.
შენი საირმე, თუ საჯიხვე,
ცაზე მიდგმული.
ზღვაი ვარ ლურჯი,
თანაც ურჩი,
თანაც დიდგული...
ვინა ვარ?
მზე ვარ,

მომაქვს სითბო, მერე რამხელა!
ქალი ვარ, დარდის, სიხარულის
ლექსად გამხელა.

□

რუსთაველის ძეგლთან

საკუთარ გამზირს კვარცხლბეკიდან ღიმილთ გასცქერის
და ითვლის ახალ ტარიელებს და აეთანდილებს.
თითქოს აკვირვებს ათასფერი სხივთა ჩანჩქერი,
ეს ყველაფერი ზღაპარაა თუ სინამდვილე?

ფერი უცვლია საქართველოს, ფერი უცვლია,
ჩემს სამშობლოში ოდენ ზღვა და მთები ვიცანი,
მე ვიცი, ქართველს ერთი რამე არ შეუძლია —
რომ არ უყვარდეს, რომ არ ჰყავდეს დასაფიცარი.

მე ვუმზერ შოთას, ქვის ღუმელშიც მისი ხმა ვიციან
და მსურს გოლიათს მივახარო ქართველმა დედამ:
ახლა სამშობლო, ჩვენი დედა, გვყავს დასაფიცად,
მის მომავალში ჩემთა შვილთა მომავალს ვხედავ.

ჩემი ალალი სტრიქონებიც მისი ღვიძლია,
მე მიმაჩნია მარგალიტად მისი ცის ცვარი.
საქართველოში ერთი რამე არ შეგვიძლია —
რომ არ გვიყვარდეს, რომ არ გვყავდეს დასაფიცარი.

□

გადავიჭროლე თეთრონით...

შესრულდა ნატვრა,
შესრულდა,
რაიც მე მსურდა,
შენც გასურდა.

გადავიქროლე ქედანმა
 ზეიადი მთები ხევსურთა.
 გვირგვინს მიწნავენ ყოილნი,
 წინ შველი შემომეფეთა.
 ვაჟა, რტოს ჩამოყრდნობილი,
 თოფის გასროლას ვერ ბედავს...
 თოლიმც დაუდგეს, ვინც გიმტროს,
 მხედარს, მხნესა და უშიშარს!
 შაირშიც,
 ცხენოსნობაშიც
 მსურს გავეჯიბრო თუშის ქალს.
 მთების ასულნო,
 გამოდით,
 გავიყოთ ზღვა სიხარული!
 ექოდ შემორჩეს კლდიდან კლდეს
 თეთრონის ნალთა თქარუნი!
 ქედს ხრიდნენ მხედრის ძახილზე
 მთანი, შევერცხლილთმიანნი,
 სახტად დავირჩეს, ქალაუ,
 კლდის ქიმზე მდგომი ტრფიალი!

□

მე ბალახი ვარ

რად გიკვირს, ალერსს
 რომ ვთხოვ?
 ეანა სხვა რამ მსურს
 შენი.
 მე ბალახი ვარ ლორთქო
 და შენს ლურჯ მინდვრებს
 ვშვენი...
 მე ბალახი ვარ ნაზი,

ვარ სუნთქვა შენი
 მიწის
 და ვიცი, ზოგჯერ ცაზე
 ვარსკვლავი რატომ იწვის...
 მე ბალახი ვარ სველი,
 მიწის სიმღერას ვისმენ,
 დავკვნიები?
 შენი ცრემლი
 ამაბიბინებს ისევ...

□

მუნჯი — მხატვრის სახელოსნოში

თითქოს დაღლილან გედები ფრენით,
 გავს სველი ტილო მინდორს გადაშლილს.
 და თითქოს მუხა ფოთლების ენით
 ესაუბრება ფიროსმანიშვილს,
 და მუნჯი ურჩი თვალებით უმზერს
 ლურჯ ქედს თუ თეთრ გედს,
 მწვანე წყალს თუ მზეს,
 და ფიქრობს მუნჯი: ფუნჯი, რა ფუნჯი,
 წითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი,
 სათქმელს თუმც ბლომად კარნახობს გული,
 ვაგლახ, ვერ იქნა, ვერ მოტრიალდა
 ენა უტყვი და დაჩლუნგებული,
 გაჩრილი პირში, როგორც ტყვია და
 ბევრი ეწვალა,
 ბევრი ეწამა,
 არ მოჰყვა ენა, მაღალაზრიანს...
 და მერე... დიდრონ თვალთა ხამხამში
 უცებ შესძახა: — რა ლა-მა-ზი-ა! —
 ეს იყო და ეს...

ხალხს დღესაც უკვირს,
მუნჯს ერთი სიტყვა რამ ათქმევინა...
ო, საქართველოს ამ სილაპაჯემ
ენა ბევრს ასე აადგმევინა.

□

იხარე უნე, ჩემო ვენახო!

მე მამა-პაპის ტევრმაღალ ვენახში
შევდივარ და ვაზებს ვემთხვევი
და ნიშნად მადლობის
და ნიშნად დანდობის
ხშირ ტოტებს მიქნევენ
ვერხვები...
ვენახი — სიუხვე,
ვენახი — იმედი,
ვენახი — ოცნება წინაპრის.
იზარდოს,
იხაროს,
ახაროს მნახველი,
გლებკაცი სხვას რაღას ინატრებს!
მე მამა-პაპის ასწლოვან ვენახში
შევდივარ, ერთ ვაზთან ვჩერდები.
არ ვიცი სიუხვით,
არ ვიცი სინორჩით,
მე იმ ვაზს რაღაცით ვედრები...
ვჩერდები ანაზღად
ჩემს დარგულ ვაზთან
და მტევნებს კვლავ ვითვლი,
ფოთლებში მიმაღულს.
ვაზს მეტი ლხენისგან ცრემლი თუ
წასკდა,
იგი სულ არ ნიშნავს ოხვრას და

სინანულს...

მე მამა-პაპის ნაზრუნავ ვენახში
მსურს ხელი მზრუნველი

ყველა ვაზს შევახო,
იმ ჩემი წინაპრის დიდების გვირგვინად
იხარე, იხარე შენ, ჩემო ვენახო!

□

უღელი

შენ უცნაური იყავ საოცრად,
ენტე,
ქრებოდი,
თვლემდი,
ბოლავდი...

შენ თითქოს იყავ დიდი გამოცდა,
გამოუცნობიც დამრჩი ბოლომდე.
შენ მიჰყვებოდი,
ვერც მიჰყვებოდი,
ცხოვრების ხნულებს,
თანაბრად, ისე...

გადაუხვიე გზას და უღელმაც
წონასწორობა დაჰკარგა მყისვე.
და დაიღალე თითქოსდა ხარი,
სხვებზე ზრუნვაში გადაუღლედი.
მერე სხვა გზისკენ იქციე მხარი
და შეატოვე ცალ ხარს უღელი.

□

სამტრედე

ერთგული მტრედი მეც მყავდა ერთ დროს,
დაპლულუნებდა ტკბილად ჩემს ერდოს.
მე მას სამტრედეც ავუგე კარგი,

ცისფერ ჩუქურთმით ამონაქარგი...
ახლა კი იგი შეეჩვია
სხვის ბაღჩა-ბაღებს,
მე მაინც ვუვლი მის სამტრედეს,
სათუთად ნაგებს.
გაუჩინარდა, განმეორდა,
ვით არ ავტირდე?
მე მოსავლელად შემრჩენია
მხოლოდ სამტრედე...

□

ალუბლის ტოტი

მერე რა ნაზი,
რა უცოდველი,
მებაღის თბილი ხელით მოვლილი
თვლემს ლურჯ სარკმელთან
ალუბლის ტოტი,
ყვავილთა ფიფქით ჩამოთოვლილი.
დილის ზღვაური აწყდება სარკმელს,
ის თავმომწონე ირხევა უხმოდ,
სიო ჩურჩულით ამბობს
მის სათქმელს
და შორეთიდან მებაღეს უხმობს,
ღღეს გაზაფხულის ჰქრიან ქარები
და საოცნებოდ ირთვება კორდი,
ბაღში ბრწყინავენ მინანქარები,
მებაღევ, მოდი!
მებაღევ, მოდი!
ისევ ყვავილობს ალუბლის ტოტი!

* * *

ვიცი, ჩემს სათქმელს მე მაინც ვიტყვი
და არ ვიდარდებ ამაზე სულაც,
რომ უცხო სტენდზე არ გაჰკიდებენ
პატარა ქალის უბრალო სურათს.

ვიცი, ჩემს სათქმელს მე მაინც ვიტყვი,
ვიტყვი და მერე დღეების დათვლით
გავყვები ქარებს და არვის მოვთხოვ
შუბლის შემკობას მზითა და დაფნით.

ვიცი, ჩემს სათქმელს მე მაინც ვიტყვი,
შევუქებ ფერებს ჩემს ცისარტყელას,
რადგან სიცოცხლე ზეიმი არის
და თითო სიტყვა გვეკუთვნის ყველას.



შუაღლე

შუაღულ მზეში ვდგავარ და ვიწვი,
 ძარღვებში ცხელი ნაკადი მივლის
 და გახურებულ ბეჭებზე მიწას
 ეცემა ჩემი პატარა ჩრდილი.

და მე არ ვნაღვლობ საკუთარ ბედზე,
 გულს დამიამებს მცირე ნაეურიც...
 ცაში უეცრად ავარდნილ მთებზე
 ამირანივით ვარ მიჯაჭვული.

რომ ავიწყვიტო, — მითხარით ერთი, —
 ავიწყვიტო და გავექცე ამ მზეს,
 მაშინ ხომ უნდა გამიწყრეს ღმერთი,
 ეს ცა ხომ უნდა დამემხოს თავზე?

აგვისტო მომხვევს მხურვალე მკლავებს
 და თონესავით ამღის აღმური.
 მზე უნდა გწეავდეს,
 მზე უნდა გკლავდეს,
 მზე გაცოცხლებდეს შენი მამულის.

შუაღულ მზეში ვდგავარ და ვიწვი,
 ძარღვებში ცხელი ნაკადი მივლის

და გახურებულ ბეჭებზე მიწას
ეცემა ჩემი პატარა ჩრდილი.

□

სამშობლოს

აეფეთქებულეარ, როგორც აპრილი —
ყველა სურვილი დღეს ამისრულდა
და ალუბლების თეთრი აფრებით
ვარდ-ყვავილების ზღვაში მივცურავ.

ვარდის გულიდან ამოდის დილა
და ცა იმლება, როგორც ყვავილი.
მკერდზე დამადე ეგ ნალვერდალი —
მზე, შენი ხელით ამოყვანილი.

ჩამბერე შენი უკვდავი სული,
ამ მთებს გადაღმა ისე გადავალ...
მერე მომხვიე ხავსი და სურო
შენს ციხესა და მაღალ გალავანს.

□

ეს დღე შენია

ამ გაზაფხულზე კვირტების ფეთქვა
ყველაზე ადრე შენიშნე, ალბათ.
ძლივს ორი სიტყვა შეჭბედე დედას —
დამიმოკლდაო კაბა.

და უცებ გახდი გოგონა მორცხვი,
ეს ნაადრევი სიმორცხვე გშვენის...
მზემოკიდებულ მინდვრებს და ბორცვებს,
ნანა, ღიმილი სწყურიათ შენი.

ჩქარა, ეზოში ივნისი გიციდის,
შენი დიდრონი თვალების ციმციმს
და წყაროსავით ანკარა სიცილს
რომ დაეწაფოს, ნანა.

ყაყაჩოები ცინცხლებს ისვრიან,
ხატუბელებიც, ალბათ, გიციდიან —
ახალ კაბაში ოღონდ,
ეს ვინ კითხულობს:

— ნეტა ვისია

ასე ლამაზი გოგო?

ეს დღე შენია, ასე ტანადი,
ასე მაღალი ზეცა...
დღემდე ხვაშიადს არ უმაღავდი
ამ შენს საყვარელ მერცხლებს.

დღეს კი რა მოხდა... ნაადრევია
შუბლზე ნახაზი ფიქრის...
რა ამბავია,

რა ამბავია

მაგ ლამაზ თვალებს იქით?

თხუთმეტი წელი — თხუთმეტი მტრედი
მხრებზე გაზის და გაფრენას ცდილობს.

ლამ-ლამე ფერად სიზმრებში ხედავ:
მაღალ ქუსლებზე შემოდის დილა,

ამოგიყენებს რომელიც გვერდით
და ფართო გზაზე გაყავხარ მერე.
თხუთმეტი წელი — თხუთმეტი მტრედი
ფრთებს აფარფატებს,

ლულუნებს,

მღერის.

ნანა, მზიანი ღღეები გელის,
შენც იცი ეს და გიცინის თვალი.
ვარსკვლავებისკენ გაგირბის ხელი
და დობილივით გასძახი მთვარეს.

ცა არის შენთვის ჰამაკი დიდი,
რომელიც ლამაზ ოცნებას გირწევს.
მზემოკიდებულ მთებსა და მინდვრებს,
ცასა და მიწას,

ცასა და მიწას

შენი ღიმილი სწყურიათ, ჩქარა,
ჩქარა ეზოში ივნისი გიცდის.
რა ეშველება დასაცხულ ქალაქს,
თუ არ ასხურებ ქუჩუნა სიცილს!

* * *

მე ახლა ვფიქრობ ხვალინდელ ღღეზე,
რომელიც შენთვის თენდება უკვე
და ხიდან ხეზე,
მთებიდან მთებზე
გადადის შენი თვალების შუქი.

ეს შუქი უფრო იმატებს ხვალე,
იფეთქებს, როგორც ყვავილი ნუშის.
მერე... ვიღაცას მაგ დიდრონ თვალებს:
სატევარივით გაუყრი გულში.

მე ახლა ვფიქრობ ხვალინდელ ღღეზე,
რომელიც შენთვის თენდება უკვე...
შენ იცი, რასაც გულდაგულ ვეძებ,
გავა ხანი და გაიგებ უკეთ.

რომ არ დაგეფშენეს ბროლის თასივით,
არ ჩაგიაროს სიცოცხლემ ფუჭად, —

უნდა იცოდე, რა ძვირფასია
შენი სამშობლოს ჰერი და ფუძე.

ჯერ დაუწერელს მოჰგავხარ ფურცელს,
ცხოვრება წაღმა წაგიყვანს, ვიცი.
რა მომკლავს, თუკი დასიცხულ გულზე
გადამასხურებ ანკარა სიცილს.

შვილო, ლამაზი დღეები გელის,
შენს გულს ვერ ვნახავ დარდით
ჩარაზულს...

მზეო მაღალო, მოჰკიდე ხელი
და გაიყვანე ფართო შარაზე!

□

სამართველო

ერთი ვიყავი, მტერი — ურიცხვი...
მწევდნენ,

მარბევდნენ,

მაინც ვერ მძლიეს

და სამართალი — ოქროს ვერძივით —
ორიათასი წელი ვეძიე.

იყო, არც იყო ჩემი საშველი,
უნდა გიკვირდეს, როგორ გავძელი.
ორიათასი წელი ვაშენე
ჩემი ლამაზი სულის ტაძარი.

არ ვაცივდება ჩემი ნაცარი,
ცეცხლს შეუბერე, შენი კვნესამე...
ვარ ერთი მუჟა პურის მარცვალი
გულის ხნულელებში ჩასათესავი.

□

ფლვა

ხან წარბშეკრული შეჰყურებს ხმელეთს,
ხან თვინიერი თვალებით უმზერს.
სალამოისას გაიშვერს ხელებს
და ცას მზიანად მიიკრავს გულზე.

□

გაგრა

ლურჯი ზღვა,
ლურჯი ცა და მწველი მზე,
ამოვლებული მზეში სერები,
მზით გარუჯული შიშველი მხრები
და მათ სამზერლად ფეხის წვერებზე
წამოწეული მაღალი მთები.

□

* * *

შენ მოდიოდი ისეთ თოვაში,
თითქოს ზამთარი გაყრიდა სიცილს,
ფიფქებს ქალარა გაეგლო თმაში
და რა საოცრად გშვენოდა, იცი?

სიცივისაგან შეფაკლულ ღაწვებს
ვარდის ფურცლები ეფინა თითქოს...
შენ მოდიოდი თოვლიან გზაზე
და ნაკვალევში ტოვებდი სითბოს.

□

„ეს გზა პირდაპირ იალბუჯისკენ მიდის.
თუ გული გერჩის, ბოლომდე მიჰყევი.“
(კლდეზე ამოკეთებული წარწერა)

აგერ, სულ ახლოს,
აგერ, სულ ახლოს,
ჩანს იალბუჯი, მზეში ცურვილი...
გადვილი მწვერვალს ისე, ვით მადლობს,
მაინც მაღალი მრჩება სურვილი
და გული მწყდება (და რატომ მწყდება?) —
აქ ჩემს მოსვლამდე ყოფილა ვიღაც.
ძალიან დიდხანს,
ძალიან დიდხანს
ეხეტებოდნენ უჩემოდ წლები.
მე აქ ვარ ახლა და გული მწყდება,
რომ არ ვარ იქაც... ყველგან არა ვარ
და ახლა ისე, როგორც არასდროს,
მე ჩემი თავი მეპატარავა.
მხოლოდ სიმაღლეს შეენატრი ახლა
ამ უზარმაზარ მთებს შორის მდგარი...
და დაუღიათ ხეობებს ხახა
და დაუხშვიათ ნაპრალებს კარი
და ირევიან თეთრი ნისლები,
ღრუბლები ფარავს მწვერვალს თოვლიანს,
წაგრძელებიათ კლდეებს კისრები
და ქვეყნის ვარამს ნთქავენ, მგონია.
რა ბუბუნი და ხმაური ისმის —
ადიდებული მდინარე ილტვის
და ავსებულა ფაფუკი ნისლით
ხეობა — მთების ვეება ფილტვი.
ზევით ადიო, გული მაქეზებს,
მეც მგლის მუხლები გამომყოლია
და ამ ბუმბერაზ მთების კალთებზე
საუკუნეებს სძინავთ, მგონია.

მაქვს ერთადერთი სურვილი ახლა,
ცოტაც და... ფრთები მესხმება თითქოს,
მივიწეე მაღლა,

მივიწეე მაღლა
და სული მაინც სიმალლეს ითხოვს.
სად არის ზღვარი,

სად არის მიჯნა
ბოლოს და ბოლოს ვიცოდე მინდა!..
და იალბუზი, საოცრად დინჯი,
უკან დახევას არ მირჩევს გზიდან.

□

გული

შენ მოვლა ვინდა ჩვილი ბავშვივით,
ბავშვივით არჩევ ტკბილსა და მწარეს,
გულო, ერთხელაც ვერ დაგამშვიდე,
შენთვის ერთხელაც ვერ მოვიცალე.

რამდენს ვწრიალებ, რას არ ვედები —
მინდა უკეთეს დღეებს მოვესწრო.
ყველაზე ბოლოს შენ მახსენდები,
ქვეყნად ყველაზე უახლოესო.

დღენი მიდიან,
წლები მიდიან,
იყავი, დარჩი ალალმართალი.
ვერ განებვიერე, ჩიტო ნიბლიავ,
და ამიტომაც ასე ფართქალებ.

ვერც შეგპირდები ოქროს გალიას,
ნუ მეურჩები, დაწყნარდი, გულო!..
რაც გემართება, შენი ბრალია,
სხვას არაფერი უსაყვედურო!

ერთი სიცოცხლე

ვერავენ ვერ თქვას ჩემი არჩივი
და რაც ვთქვი,
ოღონ არის დაწყება.
ვიტყვი და მაინც ვალში დავრჩები,
ვიტყვი და მაინც გული დამწყდება,
რადგან სათქმელი ისე ბევრია
და სიყვარული ისე დიდია.
ერთი სიცოცხლე არაფერია,
ერთი სიცოცხლე ბეწვის ხიდია,
ერთი სიცოცხლე გულზე ცეცხლია,
განა ზღაპარი, ანდა იგავი?..
ერთი სიცოცხლე ურთი ლექსია
სულმოუთქმელად წააჰკითხავი.

უხილავი ნახევარსფერო

მიღუზა

ამ პატარა ქალაქში, ძალიანაც რომ გინდოდეს, თავს მაინც ვერ აარიდებ ნაცნობს. ირაკლი კი ისეთ მოკვამულ გუნებაზე იყო ახლა, არაეისთან არ სურდა შეხვედრა, მარტობა ერჩია. საქმეს გული ვერ დაუდო, სამუშაოზე თქვა: — შეუძლოდ ვარ და სახლში უნდა წავიდეო, მაგრამ შინსიკენ გული არ მიუწევდა.

ქუჩაში რომ გამოვიდა, ერთ ხანს შედგა. ფიქრობდა, საით წასულიყო. მერე ზღვის სანაპიროს მიაშურა.

დეკემბრის მზე ისე აცხუნებდა, გეგონებოდა, გაზაფხული იდგა. ირაკლის ემძიმა პალტო, რომელიც მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა, მოკასინებმა მოუჭირა, პალტუხმაც ლამის სუნთქვა შეუკრა. ირაკლის ყველაფერი აწუხებდა, აღიზიანებდა, ნერვებს უშლიდა. ისე მძიმედ მიაბიჯებდა, თითქოს ზურგზე უშველებელი ტვირთი ჰქონოდაც აკიდებულ.

კინოთეატრის წინ ხალხი ირეოდა. „ხევსურულ ბალადას“ უჩვენებდნენ.

სანამ ზღვამდე მივიდოდა, ბარე ათიოდე ნაცნობი შემოხვდა.

სანაპიროს პარკში მეტწილად ბავშვიანი ქალები და პენსიონერები ისხდნენ. ამ უკანასკნელთ სკამლოგინები ერთპა-



ნეთთან ახლოს მოეწიათ და ერთად შექუჩებულიყვნენ დასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებს — მათ შორის ღრპა მოხუცებულებსაც და შედარებით ახალგაზრდებსაც — საერთო ენა გამოენახათ და ტყბილად მუსაიფობდნენ. ზოგი ყრალოსანს აჩხაკუნებდა ხელში, ზოგიც ყალიონს „აფუტებდა“. „უფროსები“ სიტყვაძვირობდნენ. შედარებით „ახალგაზრდები“ ხმაში რიხს ურთავდნენ და ენაწყლიანობდნენ.

ირაკლი თითქმის ყოველ მათგანს იცნობდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ უნახავს ისინი აქ, ქუჩაშიც, სხვაგანაც. ის იყო გაუსწორდა და „კაი გამარჯობა“ უთხრა მათ. „იცოცხლე, გაგიმარჯოს!“ — მშვიდად მიუგეს მოხუცებმა და კვლავ განაგრძეს გაწყვეტილი საუბარი. ლაპარაკობდნენ ამ ქვეყნისას, იმ ქვეყნისას, ტყუილსა და მართალს.

„გაიგეთ, რა ამბავი მომხდარა განაში?“ — მისწვდა ირაკლის ნაცნობი პენსიონერის ხმა.

„როგორ არ გავიგეთ, შე კაცო, ქურში ხომ არ ვზივართ!“

საოცრად წყნარი და სუფთა იყო ზღვა, რომელსაც ლლისფერი გადაჰკრავდა. ნაპირთან ახლოს, გამჭვირვალე წყალში, კარგად მოჩანდა დანაოჭებული ფსკერი. ირაკლი ნავმისადგომის მოაჯირს ვადაეყრდნო და ზღვის მოკრიალებულ ზედაპირს დააკვირდა; მერე წყლის სარკეშიც ჩაიხედა, სადაც გარკვევით მოჩანდა სულ სხვა სამყარო, ერთ შეხედვით მშვიდი და უღრტვინველი.

წყალქვეშ სრული მდუმარება სუფევდა. „თევზები, ალბათ, ავ თვალებს განერიდნენ და შორს, ზღვის სიღრმეს, როგორც უდაბურ ტყეს, „გეაფარეს თავი“. — გაიფიქრა ირაკლიმ.

უცებ, საიდან სადაო, უშველებელი მედუზა აფარტაშდა წყალში. ირაკლიმ თვალი წაატანა ბუნების ამ საოცარ ქმნილებას. დააკვირდა, დააკვირდა და უსიამოვნო ფიქრები აღედგრა რატომღაც.

„ვერც ვერაფერს ხედავს და ვერც ვერაფერს გრძნობს. არის და არც არის! ცხოვრებაშიც ხომ გვხვდებიან ასეთი ვედუზები, ოღონდ თვალებგახელილნი, თუცა მაინც ვერაფერს



ზედავენ და ვერც გრძნობენ. ისინი არიან და არც არიან! შე-
ღუშებივით შემოადნებიან ხოლმე ცხოვრებას ხელში“.

ისევ ზღვის ფსკერს დააკვირდა.

„მე ვხედავ ზღვის გულს, — გაიფიქრა ირაკლიმ, — არა,
მის ერთ პატარა კუნჭულს, თორემ ზღვას ვეებერთელა გული
აქვს და მას არასოდეს არ გადაგიშლის მთლიანად. ზღვა ზღვა
არის, მაგრამ ადამიანები? არცთუ ხშირად შეხვდები ისეთს,
გულს რომ გადაგიშლის, თავის სატკივარს არ დაგიმაღავს,
სიხარულსაც გაგიზიარებს...“

და ირაკლის ნინოსთან გუშინდელი საუბარი მოაგონდა.

„ძალიან ახლოს არც უნდა გაიცნო ადამიანი, — თქვა ნი-
ნომ, — რატომღაც, მგონია, ცხოვრება უინტერესო გახდება,
თუკი ადამიანს ბოლომდე შეიცნობ“.

„ადამიანის ბოლომდე შეცნობა ძნელია, ნინო, — უპასუხა
ირაკლიმ. — რაგინდ გულახდილიც არ უნდა იყოს იგი, მასში
მანც რჩება რაღაც ჯერ გამოუცნობი და მიუწვდომელი“.

„სწორედ მაშინ იკარგება ინტერესი, როცა ყველაფერი
ხილულად იქცევა“.

„მანც რის თქმა გინდა ამით?“

„იმის, რომ ადამიანებმა ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი
საფიქრებელი უნდა მივცეთ“.

„საფიქრებელი ისედაც ბევრი გვაქვს, სიცოცხლე კი —
ერთადერთი და ხანმოკლე.“

ნინოს არაფერი უპასუხნია ამაზე. ირაკლიც დადუმდა, თუმ-
ცა სათქმელი კიდევ ბევრი ჰქონდა. დაემშვიდობა და წამო-
ვიდა.

ნინოს სიტყვები უტრიალებდა თავში, წუხელ მთელი და-
მეც ძილ-ღვიძილში მასვე იმეორებდა. გრძნობდა, გულში რო-
გორ ეწვეთებოდა ნაღველი. თან საკუთარ თავზე ბრაზი მოს-
დიოდა, რომ ასე გაუშინაურდა ნინოს, გულიც თითქმის სავ-
სებით გადაუშალა. მართალია, მიყვარხარო, არ უთქვამს,
მაგრამ ირაკლის ყოველი მოქმედება, უბრალო გამოხედვაც კი
სიყვარულს ამეღავენებდა და განა ამას ვერ გრძნობდა ნინო?



როგორ არა, გრძნობდა და გულში იქნებ უხაროდა მაგრამ არ იმჩნევდა.

სწორედ გუშინ გადაწყვიტა ირაკლიმ, ყველაფერი გულანდილად ეტქვა ნინოსათვის... რომ ეს ერთი წელია მასზე ფიქრით აღამებს და ათენებს... პირველ ხანებში ეგონა — ეს უბრალო გატაცება იყო და სხვა არაფერი, მაგრამ...

„ასეთი სიტყვებით, ვინ იცის, რამდენ შეყვარებულ მამაკაცს მიუმართავს ქალისათვის, — გაიფიქრა ირაკლიმ. — რაღაც სხვაა საჭირო, ჯერ ართქმულნი, ზელუსულსაელი, წმიდათა წმიდა. როგორ მოიფიქროს ასეთი სიტყვები? ჯობს, უბრალოდ ვუთხრა, მიყვარხარ-მეთქი. თუმცა არა, არაფერსაც არ ვეტყვი. ნინო ისედაც გრძნობს, რომ მიყვარს. რა საჭიროა თქმა იმისა, რაც სავსებით ნათელია?“.

მაგრამ ნინოსთან გუშინდელი საუბრის შემდეგ ირაკლის გუნება ეცვალა. მტკიცედ გადაწყვიტა იშვიათად შეხვედროდა მას. ამის საკმაო საფუძველი უკვე ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ირაკლი ასე ფიქრობდა; ნინო — ეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასე იყო — ოდნეადაც არ თანაუგრძნობდა, ყოველთვის ბანზე უგდებდა სიტყვას, ამ ბოლო დროს თითქოს თავსაც არიდებდა. გუშინ კი სავსებით გასაგებად უთხრა — თავი შორს დაიჭირეო. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები?

მოაჯირს გადაყრდნობილი ირაკლი ზღვას ჩაჰყურებდა... ერთ ფიქრს მეორე ენაცვლებოდა, მეორეს მესამე და ასე დაუსრულებლად.

გუშინდელს აქეთ არ შეხვედრია ნინოს, გადაიტანს კი დღევანდელ დღეს მის უნახავად?

მაგრამ ირაკლიმ ხომ სიტყვა მისცა საკუთარ თავს? არა, არ შეხვედება დღეს, არც ხვალ და თუ შესძლებს — ზეგაც. ბოლოს და ბოლოს თავმოყვარეობაც საჭიროა. ქალებს არ მოსწონთ უნებისყოფო მამაკაცები.

„როცა საქმე სიყვარულთან გვაქვს, მაშინ რას მიქვია თავმოყვარეობა?“.

— გამარჯობა, ირაკლი!



თითქოს ძილბურანში ჩაესმა ნაცნობი ხმა. შემობრუნდა

- კუკურის გაუმარჯოს!
- მყუდროება დაგირღვიე, არა?
- რას ამბობ!

- ალბათ, ახალი მოთხრობის სიუჟეტზე ფიქრობდი.
- არა, ისე ვიდექი და თვალს წყალს ვაღვებინებდი.
- ზღვის წყალი მლაშეა, თვალებს გატკენს.

გაეცინათ. ირაკლის უყვარდა ეს ღია გულის კაცი, რომლის პატიოსნებაში არასოდეს შეჰპარვია ეჭვი. კუკური ჭოლამის ნახატებშიც, პირველ ყოვლისა, შინაგანი სიმართლე და გულწრფელობა მოსწონდა. „პოზიორობა მომაკვდინებელია ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც“, — ფიქრობდა ირაკლი და ამ საზომით უდგებოდა ყველას. კუკური უბრალო გულის კაცი იყო და ამიტომ უყვარდა იგი, თუმცა დიდი მეგობრობა მათან არასოდეს ჰქონია.

— ირაკლი, შენს სტატიებსა და ნარკვევებს ხშირად ვკითხულობ. ეს კარგია, მაგრამ მოთხრობებს რატომ გაუწყყერი? რამდენი ხანია არ გამოგიქვეყნებია. ალბათ, რაღაც სქელტანიანს გვიმზადებ.

ირაკლის თითქოს მტკივან ფეხზე დააბიჯეს, უხერხულად შეიბრა. კუკური პირველი არ იყო, ვინც ასე უსაყვედურებდა. ხუთი წლის წინათ გამოსცა მან მოთხრობების წიგნი. მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო და დიდ იმედებს ამყარებდა ამ წიგნზე, აღფრთოვანებულ რეცენზიებს ელოდა, მაგრამ კაციშვილს სიტყვაც არ დაუძრავს. ახლო მეგობრებსაც არ გამოუთქვამთ მაინცდამაინც დიდი აღტაცება. ის წიგნი სწორედ კუკურიმ დაუსურათა.

მე კარგად დავხატე, მაგრამ შენი მოთხრობებისა რა მოგახსენოო, — თითქოს ხუმრობით უთხრა მაშინ. ახალგაზრდა ავტორმა ხუმრობად მიიღო, თორემ მეგობარს, ჩანს, გულწრფელად უთქვამს: — შენი მოთხრობები არ მომწონსო. ამაში გვიან დარწმუნდა, თვითონ დარწმუნდა თავისი მოთხრობების უსუსურობაში და ახლა ამ წიგნის მხოლოდ მხატვრული გაფორმებადა მოსწონდა.

— არა, არაფერს არ ვწერ. კარგი არ გამომდის დასტავის სხვისიც მეზარება. მწერლობა ძნელი საქმე ყოფილა, ჩემო კარგო, ცუდ მწერალს არ სჯობია, კარგი ჟურნალისტი ვიყო?

— კაი დაგემართა, მაგრამ ადრე გაგტეხია გული. შე კაცი, ჯერ ახალგაზრდა ხარ. ისე კი ყველა ცუდი მწერალი შენსავით რომ ფიქრობდეს, მკითხველის ბედს ძალი არ დაჰყუფდა, — თქვა კუკურიმ და ორივეს გაეცინა.

— მე წავედი ახლა, ხელს არ შეგიშლი.

— რა გაჩქარებს, იყავი, ეს ზღვა დიდია, შენც უყურე!

— სათვალეების წამოღება დამავიწყდა, თანაც მეჩქარება. შორიდან დაგინახე, ვერ მოვითმინე და მოვედი. აბა, კარგად იყავი!

— კარგად!

„ვინ იცის, ამ ჩია კაცს რამხელა სიყვარული დააქვს გულით“, — გაიფიქრა ირაკლიმ, როცა მეგობარი დაშორდა. ცუდ გუნებაზე იყო, მაგრამ აი მოვიდა კეთილი კაცი, ტკბილი გამარჯობა უთხრა, გაუღიმა და ერთი წვეთი სითბოც დაუტოვა... მეტი რა უნდა ადამიანს? მეტი როგორ არ უნდა, მაგრამ ეს მაინც არ უნდა აკლდეს და მაშინ ყველაფერს უშველება.

* * *

სეანსი უკვე დამთავრებული იყო, როცა ირაკლი უკან ბრუნდებოდა. კინოთეატრის წინ კვლავ ზღვა ხალხი ირეოდა.

— კარგი სურათია? — ჰკითხა ერთ ახალგაზრდას.

— კარგი სიმღერებია. — იყო პასუხი.

„აი, თურმე რა მოსწონებია“, — გაიფიქრა ირაკლიმ და გზა განაგრძო. ცოტა რომ გაიარა, შეჩერდა.

„რა მოხდა, შევირბენ ნინოსთან. ვნახავ და უცებ წამოვალ“.

საათს დახედა, ხუთი სრულდებოდა.

„ახლა, ალბათ, სახლში წასასვლელად ემზადება. აღარც ღირს მისვლა. კიდევ კარგი, რომ გვიანაა“.

და ცვლავ განაგრძო გზა. მთავარი ქუჩიდან მარცხნივ შე-
უხვია, ავტობუსის გაჩერებამდე მივიდა, შეეყოვნდა. ეროვნული
ბუნებისმეტყველება
„აქ დაველოდები. საცაა გამოჩნდება. აბა, ფეხით რომ არ
წავა! არა, ჯობს, ცოტა მოშორებით გავჩერდე, რომ არ დამი-
ნახოს“.

კარგა ხანს იდგა „მოშორებით“, მაგრამ ამოდ! ნინო არ
გამოჩენილა, სამაგიეროდ ბევრმა ნაცნობმა აუარ-ჩაუარა,
ბევრი არამკითხვე დაინტერესდა, აქ რას უდგებხარო.

„ამ ერთ სიგარეტსაც მოვწევ და მანამდე თუ არ გამოჩნდა,
წავალ“.

იმ ერთს მეორეც მოჰყვა, ნინო კი არსად ჩანდა.

ნამწვი ურნისკენ გადააგდო და ის იყო, წასვლა დააპირა,
რომ აღლიანი ნაბიჯებითა და ხელების ქნევით მისკენ მომავა-
ლი ოტია შენიშნა.

ჰვიზაში მიმალული ოტრო

ოტიამ უდარდელი კაცის სიარული იცოდა. ირაკლიმ მის
დანახვაზე ღიმილი ვერ შეიკავა და გაიფიქრა: „ისე დადოს,
თითქოს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი. თვითონაც უცნაურია
და სიარულიც თავისებური იცის“.

— რაო იმ პედოვლათმა? — ოტიამ გამარჯობის მაგიერ
ეს სიტყვები შეაგება. მიხვდა, ვისზედაც ეუბნებოდა.

— კი, მაგრამ შენ სად იყავი?

— დაგინახეთ შორიდან. გული ამემღვრა და გაგეცალეთ.
მოვბრუნდი და უკვე აღარ იყავი იქ. ვიფიქრე, შინ თუ წავიდა-
მეთქი და ესაა, ახლა მოვდიოდი შენთან... სხვა, როგორა ხარ,
ჟურნალისტო, ბოდინში, გამარჯობა! — თქვა და გამხდარო,
ძარღვიანი ხელი გამოუწოდა.

— კარგ დროს კი მოგაგონდა მისალმება! ვერ გამიგია,
რას ერჩი კუკურის?

— ვერც გაიგებ. ნეტა ვიცოდე, საერთოს რას პოულობ
ომ ჩიტირეკიასთან, თავი მხატვრად რომ მოაქვს.

— შენთვის ყველა ჩიტირეკიაა. არ ვარგა ასე! ყველას
აბუჩად იგდებ, ამიტომაც სძულხართ. — იგრძნო, ზედმეტი
მოუვიდა, თუმცა რაც თქვა, სიმართლე იყო.

— არ მოგწონვარ, ხომ? შენც შეგიძლია ჩამომშორდე! —
ეს ისე ხმაბალლა თქვა ოტიამ, გამვლელების ყურადღება მიიქ-
ცია. — ვიქნები ჩემთვის მართო, — თქვა, ადგილს მოწყუა
და თვალის დახამხამებაში ქუჩის მოსახვევთან გაჩნდა.

— ოტია! — გასძახა, მაგრამ მას უკან არ მოუხედავს. არც
ირაკლი დასდევნებია, რადგანაც იცოდა მისი ამბავი. სანამ
წყენა არ გაუვლიდა, ახლოს არ გაიკარებდა.

ცნობილი მოქანდაკე ოტია ბიბილური მთელ ქალაქში ავე-
ნას სახელით იყო ცნობილი. გამკილავი ენის პატრონს ეს სახე-
ლი მხატვრებმა დაანათლეს, რომელთაგან ბევრს ჭირისოფლი
სდიოდა მის დანახვაზე. განსაკუთრებით ხელმოცარულ მხატვ-
რებს სძულდათ იგი, რადგანაც ბევრჯერ განუქიქებია მათი
ნაცოდვილარი. და ვის როგორც შეეძლო, სამაგიეროსაც ისე
უზღავდა: ზოგი ნამუშევარს უწუნებდა, ზოგი კი ოტიას გიჟად
აცხადებდა.

გიჟი, რა თქმა უნდა, არ ეთქმოდა, მაგრამ უცნაურზე უც-
ნაური რომ იყო, ცხადია. დიდად ნაკითხსა და თავისი საქმას
მცოდნეს გემოვნებაც კარგი ჰქონდა, მაგრამ მეტისმეტ სი-
კაცრეს იჩენდა სხვისი ნახელავის შეფასებისას; იშვიათად თუ
მოეწონებოდა რამე, იშვიათად თუ მოუვიდოდა თვალში ვინ-
მე. თუ ერთხელ აიჩემებდა, მერმე არ გაახარებდა. თავის
სიტყვას ოქროს ფასს ადებდა. ბავშვის სიჯიუტე ჰქონდა. იტყ-
ოდა და მის ნებას უნდა დაჰყოლოდი, არადა, შენ შენთვის,
მე ჩემთვისო და შუა ზღვაშიც რომ ჩავარდნილიყო და შენი
შველა დასჭირებოდა, მაინც შეგიბრუნებდა პირს.

ასე იყო თუ ისე, ოტიას ყველა ერიდებოდა, მისგან შორს
იდგნენ, მისი ალესილი ენის ეშინოდათ.

ამ, ერთი შეხედვით, უკარება კაცის მეგობარი მხოლოდ
ირაკლი იყო — მასზე ათი წლით უმცროსი. სწორედ ამ ათმა



წელმა შეუწყო ხელი ოტიასთან დაახლოებას. უფროს-უმცროსობამ ბევრი რამ დაათმობინა და ოტიას წისქვილის დასაბრუნებლად ასხმევინა წყალი. „ბოლოს და ბოლოს, თუკი ადამიანი ჩანს, კარგსა და ხელჩასაჭიდს ხედავ, რატომ არ უნდა აპატიო ზოვი რამ ცუდიც?“ — ფიქრობდა ირაკლი. ჰოდა, აპატიო კიდევ ოტიას თავისი უცნაურობა, რაკი ამ ჭირვეულ ადამიანში დიდი ნიჭი და საოცრად კეთილი გული აღმოაჩინა.

„ადამიანები არც თუ იშვიათად კარგის მიმართ თვალს ვხუჭავთ, ცუდს კი ვაზვიადებთ. ზოგჯერ ზედმეტად ვენდობით ხოლმე ჩვენს ალლოს და ნაჩქარევად ვაკეთებთ დასკვნას: ამ კაცს ზედვე ეტყობა, რაც არისო. ხშირად მხოლოდ თვალით ვზომავთ და ვწონით, ის კი გვავიწყდება, რომ თვალი ხანდახან მატყუარაა და ზოგჯერ თეთრს შავად მოგვაჩვენებს.

ოქროსმამიებლის მოთმინება გვმართებს ადამიანებს, ჯიუტად უნდა ვეძიოთ ერთმანეთში ის კარგი, რომლის ნახვა ზოგჯერ ისე ძნელია, როგორც ქვიშაში მიმალული ოქროს ნამცეცისა“.

ოტიას თავდაპირველად კარგი შთაბეჭდილება არც ირაკლიზე მოუხდენია.

„დიდი უხასიათო ვინმე ჩანს“, — გაიფიქრა მაშინ და აზრადაც არ მოსვლია, ოდესმე ოტიას მეგობარი გახდებოდა.

„შეუძლებელია, კარგი შემოქმედი ცუდი ადამიანი იყოს!“ — გაივლო გულში ოტიას გაცნობის პირველ დღესვე.

ერთხელ განზრახ ეწვია მას, როგორც კორესპონდენტურ ინტერვიუსათვის. ოტია ამ დროს თავის სახელოსნოში ფუსფუსებდა. შიგნით არ შეუპატიებია სტუმარი, გარეთ გამოვიდა სამუშაო ტანსაცმელში და ცივად მიესალმა, როგორც უცნობს. როცა ირაკლიმ თავი შეახსენა, „წყალობა“ გაიმეტა და ხელი ჩამოართვა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა უგულოდ. ირაკლიმ მოკრძალებით მიუგო, რისთვისაც იყო მოსული.

— საქმე გამოგლევიათ და ეგ არის... არა მცალია, დრო არა მაქვს. — შეტრიალდა, სახელოსნოში შევიდა და კარები მიიჯახუნა.



ირაკლი ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე ის იყო დააპირა, კარი გაიღო უცებ და ზღურბლზე ოტია გამოვიდა.

— მაპატიეთ, ცოტა უხეშად მოგექეცით... თუმცა არ იფიქროთ, ბოდის გინდიდეთ, მე, საერთოდ, არავის ვებოდისება. ესეც იცოდეთ, რომ ჩემს სახელოსნოში ყველას არ ვუშვებ, — ეს თქვა ოტიამ და სტუმარს გამსკვავლავად მიაჩერდა.

ირაკლის უნებლიეთ გაეღიმა. მოსალოდნელი იყო, ეს ღიმილი ოტიას წონასწორობას დააკარგვინებდა, მაგრამ არა, მოხდა პირიქით...

ათასნაირია ადამიანის ღიმილი, გაჩნია რა იწვევს მას. ირაკლის ღიმილმა ყინული გააღხო...

და გაეღიმა ოტიასაც.

— თქვენ შესანიშნავი სახის ნაკვთები გაქვთ. თიხას თუ მომიზილავთ, შევეცდები, გამოვძერწო... — ეს სიტყვები ოტიამ კი არა, თითქოს ვილაცამ სხვამ თქვა.

— გმადლობთ.

— ახლა კი მაპატიეთ, არა მცალია ერთი წელია ვაკეთებ ქალის პორტრეტს და ვერ დავამთავრე. ახლა სწორედ ის ქალია ჩემთან, რომ განახოთ, შერცხვება და მერე ახლოს არ გამეკარება. ხვალ გამოიარეთ, ან ზეგ! ოღონდ იცოდეთ, ვერ ვიტან კორესპონდენტებს...

ირაკლის კვლავ გაეღიმა. ოტიას, ეტყობოდა, უკვე არ მოეწონა ეს ღიმილი და საკმაოდ მკვახედ უთხრა:

— რა გაცინებთ?

— არაფერი, — ყრუდ მიუგო.

— მაშ, თუ არაფერი, ახლა კარგად იყავით! — და უცებ სახელოსნოში შევიდა.

ნახვამდისო, მიაძახა ირაკლიმ და გამობრუნდა.

ასე გაიბა მათ შორის ჯერ ნაცნობობის, მერე და მერე კი მეგობრობის ძაფები.

... ხუთი წელია ერთსა და იმავეს საყვედურობს ოტია თავის მეგობარს:

— წერა შეგიძლია და დროს ნუ კარგავ! თავი დაანებე ყველაფერს, დაჯექი და წერე რომანები! შემეძლოს, თორემ...



- ეჰ, ჩემო ოტია, რომანის წერა განა ასე ადვილია!..
- თავის შეწუხება არ გინდა, ზარმაცი ხარ. თუმცა სენი მართო შენ არ გჭირს. მეტნაკლებად ყველა ჩვენთაგანი ზარმაცია: მეც, შენც, ისიც... მაინც რა უკუღმართობა გვჭირს!
- არც ასეა საქმე, ოტია, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ...
- ასეა, ბიძია, ასე და ნუ მეკამათები! ზარმაცები ვართ!..

* * *

„რა უცნაური კაცია!“ — მიდიოდა და ფიქრობდა ირაკლი. სანამ სახლამდე მივიდოდა, ბევრი რამ გაახსენდა ისეთი, რამაც სიცილი მოჰგვარა. მიდიოდა და ეცინებოდა თავისთვის...

გამოკეტილ ოთახში რომ შევიდა, ისევ გაუფუჭდა გუნება. ბალტო არ გაუხდია, ტყლფუოხთან მივიდა, უნდოდა ოტიაათვის დაერეკა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა. კარები გამოაღო, ბალტო გაიხადა, მერე ფეხსაცმლები გაიძრო და აივანზე გაიტანა. შემობრუნდა და ერთხანს უაზროდ იარა ოთახში, მერე საწერ მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია და დაჯდა.

უცნაური ვინმეა, მაგრამ მაინც კარგი კაცია ოტია, — ფიქრობდა ირაკლი. — კარგი კაცია, მაგრამ ვის დააჯერებ ამაში? არც ერთ ჩემს ახლო მეგობარს არ უყვარს, თუმცა არც ოტიას ახატია ისინი გულზე, სულ იმას ჩამჩიჩინებს: — მოეშვი იმათ და შენი საქმე აკეთეო.

ირაკლიმ ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— ოტია, რას აკეთებ?

— კაცო, მე ცოტა უხეშად მოვიქეცი შენთან, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ და აწ ეშმაკიც ვერ გამომასწორებს. რას ვაკეთებ და მაგნიტოფონი მაქვს ჩართული და ვუსმენ. აბა, ერთი ყური უგდე. გესმის?

— კი, მესმის, მაგრამ ცოტა ხმას აუწიე!.. ახლა კარგია! ყურმილიდან ნაცნობი ჰანგები გადმოიღვარა. ირაკლიმ თვალები დახუჭა...

მთვარიანი ღამეა. ირგვლივ მდუმარება გამეფებულა. სული გაუნაბავს ყველაფერს. მთვარის შუქით მოვერცხლილ ზღვას ხანგამოშვებით ჩუმი ოხერა აღმოხდება, ირაკლის თანდათან



ეუფლება მარტოობის სევდა და შორიდან მწუხარე მელქიშეხის
 ესმის, რომელიც ჭერ წვეთ-წვეთად, მერე ჩქერებად უღელდება
 სულსა და გულში. ანაზღად ზღვა თვალუწვდენ მინდვრად
 იქცა და შორს, მთვარის ბილაკზე, მიმავალ წინოს მოჰყრა
 თვალი...

ჭერ წყარუნი გაიღო რაღაცამ და მერე... ბროლის თასივით
 დაიშხვრა მყუდროება. ვეება ტალღები მოაწყდნენ ნაპირს
 და თითქოს გრიგალი დაერია მთვარის შუქში განბანილ ხე-
 ებს...

- ხომ კარგია? — შემოესმა ოტიას ხმა.
- დიდებულია... მოვიშალე კაცი და ეგაა.
- ასეა, ბიძია, ბეთჰოვენია, ის არ გეგონოს... თუ გინდა
 მწერლობაში რამე გააკეთო, ღვინის სმას მოეშვი და ბეთჰო-
 ვენს დაუგდე ყური.
- თუ ერთიც მიყვარს და მეორეც?
- იცი, რა თქვა ბეთჰოვენმა?
- რა თქვა?
- მუსიკა ღვინოა, რომელიც აღგაფრთოვანებს ახალი ნა-
 წარმოებების შესაქმნელად და მე ბახუსი ვარ, რომელიც ადა-
 მიანებს უმზადებს ამ ჩინებულ ღვინოს და ათრობს მათ სულ-
 სო... გაიგე?
- წამიკითხავს.
- ჰოდა, თუ წაგიკითხავს, მაშინ მიაღეჭი და წრუბე ბეთ-
 ჰოვენის დამზადებული ღვინო, წრუბე და წერე! ახლა თავი
 დამანებე, საქმე მაქვს, კარგად იყავი!
- კარგად იყავი, ოტია! — ირაკლიმ ყურმილი დადო და
 ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

სიუჟეტული ფიქრის ირრრრრ

საოცარია, რატომ არ მნახა დღეს ირაკლიმ? თუმცა ჭერ
 ხუთი არ შესრულებულა, შეიძლება მოვიდეს. შეიძლება კი
 არა, ნამდვილად მოვა! არა, რატომ ვარ ასე დაჯერებული?

ერთიც ვნახოთ და არ მოვიდა! მერე რა, ეს შემთხვევის ბუნებრივი იქნება, თორემ... აკი თვითონ მითხრა — ისე შეგეჩვიე, მისი მისი თან დღეში ერთხელ მაინც რომ არ შემოვიარო, ვერ გავძლებო.

უკვე ხუთი საათია, დროა წავიდე, თუმცა რა მეჩქარება, ცოტა ხანს დავიცდი, მაგრამ რას უნდა ვუცადო?

ბავშვივით მიამიტი და გულუბრყვილოა ირაკლი, თვითონაც არ მალავს ამას: — მალე ოცდაათისა გავხდები და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეო. ამას რატომ ამბობ-მეთქი. მეტიმეტი გულახდილი ვარ, რასაც ვფიქრობ, ყოველთვის იმას ვამბობო. გულახდილობა კარგია, მაგრამ გააჩნია სად და ვისთან, — მიუხედავად მე. მართალი ხარო, მითხრა და თავი დახარა. განა არ ვიცი, რისი თქმა უნდოდა. სწორედ მაშინ სურდა გადაეშალა ჩემთვის გული, ეთქვა, მიყვარხარო, ძაგრაჰ...

როცა იქნება, მაინც მეტყვის! რომ არ მითხრას? თუმცა რა საჭიროა, ისედაც ხომ ვგრძნობ? კი, ვგრძნობ, მაგრამ მაინც... რატომ არ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ? რატომ ვარ ასეთი? რატომ ვუკეტავ გზას იმ ადამიანს, რომელსაც შეიძლება, ყველაზე მეტად ვუკვარდე ამქვეყნად?

მე კი გუშინ ერთს ვფიქრობდი და მეორეს ვამბობდი. რატომ? რა გვაიძულებს ასე მოვიქცეთ? როცა შორსა ვართ, სიბნელებს ვნატრობთ, ახლოს მივალთ და... რას ჰგავს ეს?

აი, თურმე როგორი ვართ ქალები! სწორედ მაშინ ვჯიუტობთ ზედმეტად, როდესაც მამაკაცის სიყვარულსა და ერთგულებაში ვრწმუნდებით.

ღმერთო ჩემო, ამდენი არასოდეს მიფიქრია ირაკლიზე!

სიყვარული, ეტყობა, ფიქრში იზრდება. თავდაპირველად შეგიძლია თავი აიძულო — არ იფიქრო. აი, მე, მაგალითად, თუკი მოვისურვებ, შემიძლია, დღეიდან არ ვიფიქრო ირაკლიზე. მაგრამ რატომ უნდა ვქნა ეს? ეტყობა, ადამიანს ზოგჯერ რაღაც შეუჩნდება ხოლმე და აიძულებს მას, ხელი ჰკრას კარზე მომდგარ ბედნიერებას და მერე ნანობს... დადის და მთელი სიცოცხლე ნანობს, თავბედს იწყევლის. დიდი ბედნიერება კი



სიცოცხლეში ზოგჯერ ერთხელ მოდის და თუ ცივად დავიწყებულა... დღეებში

დღებით, პირს იბრუნებს და უკანვე გაბრუნდება... მაინც რატომ მგონია, რომ ვუყვარვარ? იქნებ ვცდება! ხომ შეიძლება, უბრალოდ მოვწონდე, პატივს მცემდეს და მეტი არაფერი!

კარი გაიღო და დამლაგებელი შემოვიდა.

— თქვენ კიდევ იმუშავებთ? — ჰკითხა ნინოს.

— არა, უკვე დავამთავრე, — თქვა და ფეხზე წამოდგა, საათს დახედა, ექვსი სრულდებოდა. „რამდენი დრო გასულა“, — საკიდიდან პალტო და ხელჩანთა ჩამოხსნა. დამლაგებელს დაემშვიდობა და გარეთ გამოვიდა.

მარტოობისა და მოწყენილობის გრძნობა დაეუფლა უცებ. თუმცა ეს უცხო არ იყო ნინოსთვის, — მამით ობოლს ბავშვობიდანვე თან სდევდა. ორი წლისას მამა ფრონტზე დაედგა, დედა დედაა, მაგრამ მამის ალერსსა და გულის სითბოს მოკლებული ადამიანი მთელი სიცოცხლე გრძნობს რაღაც დიდ დანაკლისს, რასაც ვერაფრით შეაესებს.

ამიტომ დადის ასე გულნაკლული, ჩუმად, უხმაუროდ, საკუთარ ფიქრებში ღრმად ჩაძირული.

თუ რამეს შეეკითხები, მორცხვად გიპასუხებს.

ძალიან შეჩვეული უნდა იყოს კაცთან, რომ საუბარი გაუბას. მაშინაც ძუნწად, ძალიან ძუნწად ლაპარაკობს, ცოტას ამბობს და საფიქრებელს ბევრს გიტოვებს.

ლამაზიაო, ვერ იტყვი მასზე. ამის დანახვა უჭირთ თვალებს. გულით უნდა დააქკერდე ნინოს, რომ იგრძნო და დააფასო... მაგრამ გულიც არის და გულიც...

ირაკლიმ, ერთადერთმა, გულით დაინახა ნინო...

სიზმარი

... ირაკლიმ სინათლე გამორთო და დაწვა, მაგრამ ძილი არ გაეკარა. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ხან ერთი ჩაითრედა, ხან მეორე და იყო განუწყვეტელ ორომტრიალში.

ნინოზე ფიქრი დიდხანს, ძალიან დიდხანს არ მოეშვა. და-
ლალა, მოთენთა, მერმე ძილშიაც ჩასდია და გათენებამდე სი-
ზმრებში ატარა...

— ნინო, რატომ დგახარ ასე მოშორებით? ახლოს მოდი!

— აქედან უკეთ გხედავ. სიშორე განა ყოველთვის სიშო-
რეს ნიშნავს?

— შენ გინდა თქვა, რომ სიახლოვეც არ ნიშნავს ყოველ-
თვის სიახლოვეს?

— სამწუხაროდ!

— გეთანხმები, მაგრამ როდემდის უნდა ვუყუროთ ერთმან-
ეთს ასე შორიშორ?

— სანამ არ მოგვბეზრდება.

— და როცა მოგვბეზრდება?

— მაშინ სიყვარულიც აღარ იქნება და ჩვენც, რაც ახლა
ვართ, არ ვიქნებით...

— ირაკლი, იცი, მე ძალიან მეშინია!

— რისი?

— დიდ სიყვარულს თურმე დიდი შიში ცოდნია.

— რას აზრობ, ნინო!

— მე ბედნიერი ვარ ახლა, ირაკლი, მაგრამ ხომ შეიძლე-
ბა, ეს ბედნიერება მოჩვენებითი იყოს და ჩვენმა სიახლოვემ
დამარწმუნოს ამაში?.. ნუ, ნუ წამართმევ ამ ბედნიერებას, ვი-
დგეთ ასე მოშორებით და ვუყუროთ ერთმანეთს!

ირაკლიმ ნაბიჯი უკუდგა...

და თვალები გაახილა. გაახილა და ისევ დახუჭა, მაგრამ
სიზმარი უკვე შორს, ძალიან შორს წასულიყო და ველარ წა-
მოეწია.

გამოცანა

ირაკლიმ შორიდან მოჰკრა თვალი ნინოს, ნაბიჯს მოუჩქა-
რა, წამოეწია.

— გამარჯობა! — მოულოდნელობისაგან შეცბუნებულმა
გოგონამ პასუხი ოდნავ შეაყოვნა.



— გაგიმარჯოთ! — ცივად მიუგო. ხელი მორიდებდა უწოდა.

— ხომ კარგად? — გაბზარული ხმით ჰკითხა ირაკლიმ.

— არა მიშავს, კარგად ვარ!

— სასიამოვნოა, — თქვა ირაკლიმ და უცებ გამოელაპლა სათქმელი. თავი უხერხულად იგრძნო. მესამე დღეა არ უნახავს, როგორ ნატრობდა მასთან შეხვედრას, აი, შეხვედა კიდევ, მაგრამ რა? ხმის ამოდებასაც ვერ ახერხებს. რამ დაუბა ენა? ალბათ, იმან, რომ ასე ცივად შეხვედა ნინო...

— თქვენ როგორ ბრძანდებით? — დუმილის შემდეგ ჰკითხა ნინომ.

— შესანიშნავად! — ხმაში დაუფარავი წყენა გამოსჭვოვდა. ეს ნინოს მხედველობიდან არ გამოჰპარვია და სახეზე მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა.

უცებ, საიდან სადაო, წინ ოტია შემოეფეთათ. „ახლა რა-ღაცას უცნაურს იტყვის“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— გამარჯობა, ოტია!

— გაგიმარჯოთ, ახალგაზრდებო!

— ნინო, გაიცანი მოქანდაკე ოტია ბიბილური, ალბათ, გაგიგონიათ!

— როგორ არა, ვიცნობ კიდევ შორიდან! — მორცხვად თქვა და ხელი გაუწოდა ოტიას. ირაკლიმ თვალი გააყოლა ქალიშვილის პატარა, საოცრად ნაზ ხელს.

— შორიდან მეც გიცნობთ, გეთაყვა, თუ არ ვცდები, თქვენ მუზეუმში მუშაობთ.

— ღიახ.

— ასეთ კარგ გოგონას მუზეუმისათვის სწორედ რომ არ გავიმეტებდი, — მიუგო ოტიამ და ირაკლის გამომწვევად შეხედა.

„აკი ვოქვი, უცნაურს იტყვის-მეთქი“, — გაიფიქრა ირაკლიმ. ნინოს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

— დამცინით, ბატონო?

— როგორ გეკადრებათ, დასაცინი თუ ვინმეა, მე ვარ, ერთი შემომხედეთ! — ქული მოიხადა. ნინომ უნებურად შეხედა: მის წინ იდგა საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი, მელოტი მამაკაცი. ნინომ თავი დახარა, მაგრამ ღიმილი მაინც ვერ დაუფარა.

— თქვენ დასაცინი არაფერი გჭირთ, ბატონო!

— თავს იკატუნებს, — ჩაურთო ირაკლიმ.

— იცინე, იცინე, ბიძია, შენს ადგილზე რომ ვიყო, ამ კარგ გოგონას ხელს მაგრად ჩაკვიდებდი...

დარცხვენილმა ირაკლიმ უნებურად ნინოს შეხედა. გოგონას სახეზე ღიმილი ერთბაშად გაუქრა:

— მაპატიეთ, მე უნდა წავიდე, ნახვამდის! — თქვა ნინომ და უცებ შეტრიალდა.

— ნახვამდის! — ერთხმად მიამახეს შეცბუნებულებმა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქალიშვილს.

ერთხანს ხმის ამოუღებლად იდგნენ. განაწყენებულ ირაკლის კრიჭა შეეკრა და გულდაწყვეტით გაჰყურებდა ქუჩას.

— ყურები რატომ ჩამოჰყარე?

— ოტია, მე ის გოგონა...

— გიყვარს?..

— უკვე წელიწადია. შეხედავ და თითქოს არაფერი, ხელში კი შემოიკლა...

— რას მეუბნები!.. მან იცის?..

— ბევრჯერ დავაპირე მეთქვა, მაგრამ... ისე კი გრძნობს, რომ მიყვარს...

— მერე, შენ როგორ ატყობ, იმასაც უყვარხარ?

— ხან მგონია, ვუყვარეარ, ხან კი...

— ამდენს რას უცდი, მიდი და უთხარი!

— ადვილი სათქმელია. წინათ უფრო თამამად ვიყავი მასთან, ახლა კი... ენა მებმება, როცა საუბარს დავაპირებ. დღეს მაინც ისე ცივად შემხვდა, რომ... ეჰ, ნამდვილად არ ვუყვარვარ! ხომ ნახე, როგორ დავგშორდა, შენ რომ თქვი, ხელს მაგრად ჩაკვიდებდიო.



— ეგ არაფერი, უბრალოდ დაიმორცხვა, — თქვა ოტია და დასძინა: — ცოლად შეირთავდი?

— ამას რა კითხვა უნდა.

— არ გირჩევ ცოლის თხოვას. თუ მწერლობაში რამის ვაკეთებას ფიქრობ, ცოლი არ უნდა შეირთო. გიყვარდეს ისე. შემოქმედებას შორით წვა და შორით დაგვა უხდება. უნდა იტანჯო, რომ რამე კარგი შექმნა. სიხარული ანებივრებს ადამიანს, გულს მოჰყირქდება. სხვისგან მონიჭებული სიხარული ქარის მოტანილსა ჰგავს და ქარივე წაიღებს. სულ სხვაა შემოქმედებით მონიჭებული სიხარული, იგი შენი სისხლი და ხორცია, უკვდავია, მარადიულია. შემოქმედებითი ტანჯვით უნდა მოიპოვო სიხარული, გესმის, ტანჯვით! ასე, ბიძია, შენ ხომ გიყვარს და იმას რას დაეძებ, უყვარხარ თუ არა. მით უკეთესი, თუ არ უყვარხარ, უფრო დაიტანჯები. პირველად გაგიჭირდება, მაგრამ მერე და მერე ისე შეეჩვევი, სიხარულადაც გექცევა ეს ტანჯვა.

ირაკლის კამათის თავი არ ჰქონდა და, მეორეც — იცოდა, რომ ოტია თავისას არ მოიშლიდა. ამიტომ არც შედაგებია. საათს დახედა და წასვლა დააპირა:

— დავაგვიანე.

— მგონი, სულ ტყუილა გელაპარაკე.

— არა, რატომ...

— იფიქრე, იფიქრე და სალამოს მოდი ჩემთან, თიხა მომაზღვინე და... რამდენი ხანია გპირდები და ვერ გავაკეთე. ახლა კარგად იყავი!

— ნახვამდის, ოტია! ვეცდები გამოვიარო...

წვიმა

ცა ბროლის თასივით გაიბზარა. წვიმის წვეთებმა გამოჟონეს.

მერმე თითქოს მტვრევის ხმაც მოისმა ციდან და... უცებ საოცრად გრძელმა წვიმამ თითქოს სახრე შემოუქნია ზღვის მყუდრო ყურეში მიყუჩულ ქალაქს.

ირაკლი ფანჯარასთან იდგა და უაზროდ გაჰყურებდა მამი ამოლუმპულ ხეებს, სახლებს, გაკრიალებულ ქუჩებს.

მაღალი შენობა, სადაც ირაკლი ცხოვრობდა, ზღვის მაზლობლად იდგა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა ზღვა, რომელიც ახლა გაგულისებით ბრღვენიავდა.

წვიმდა უსაშველოდ,

სევდიანად,

გულისწამლებად.

იდგა დ უაზროდ იყურებოდა ფანჯრიდან, სველ მინაზე ირაკლი ბუნდოვნად ხედავდა თავის ორეულს.

სევდა შემოსწოლოდა გულზე.

„რა საჭირო იყო ახლა ეს წვიმა? თუმცა სულ ერთი არ არის ჩემთვის? იწვიმოს, რამდენიც უნდა!“.

ფიქრობდა ირაკლი. გარეთ კი წვიმდა და წვიმდა. გააკვებული ზღვა ვეება ტალღებს უშენდა ნაპირს, დაუშენდა და მერე უკან იხევდა, ძალახ იკრებდა, რომ კვლავ შემოეთია.

„რა იქნება, რომ დავურევო? მერე და რა ვუთხრა? როგორა ხარ-მეთქი, მოვიკითხავ, დედამისი რომ მოვიდეს ტელეფონთან? რა მოხდა, ვეტყვი — ნინოს სთხოვეთ-მეთქი. მაინც რა გაუბედავი ვარ, გადამწყვეტ წუთებში ყოველთვის ვყოყმანობ ხოლმე. არა, დარეკვით კი დავრეკავ, მაგრამ ხომ უნდა ვუთხრა რამე? მარტო „გამარჯობა“ და „როგორა ხარ“ არ შველის საქმეს. ჰო, მართლა, კინოში ან თეატრში დავპატიე, დღეს ხომ კვირაა! თუმცა ამ თავსხმაში გარეთ არც ვახსვლება. სულ ხომ არ იწვიმებს, საღამომდე, ალბათ, გამოიდარებს. წინასწარ ვიცი, უარს მეტყვის. რამდენჯერაც არ დავპატიე, ყოველთვის რალაც მოიმიზეზა და არ წამოვიდა. ერთხელაც ვცდი, ვინ იცის, იქნებ ბედმა გამიღიბოს!“

ყურმილი აიღო თუ არა, კანკალმა აიტანა. „რა მხდალი ვარ“, — გაიფიქრა და ისევ დადო ყურმილი. სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ცოტა გულზე მოეშვა. კვლავ სწვდა ტელეფონს, თავს ძალა დაატანა და აკრიფა ნომერი.

— გისმენთ! — ეს ნინო იყო.

— გისმენთ! — მეორედ ბრაზნარევი ხმა მოესმა
ლის.

— გამარჯობა, ნინო, მე ირაკლი ვარ.

— ირაკლი?!

თვალწინ წარმოუდგა ნინოს გაოცებული სახე. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც იგი ბინაში ურეკავდა გოგონას.

— გაგიკვირდა, ხომ?

— არა, მაგრამ... როგორ მოხდა...

— მე თვითონ არ ვიცი, როგორ... ხომ არ გეწყინა, რომ დაგირეკე!

— არა, რას ამბობთ, პირიქით!

ამ უკანასკნელმა სიტყვამ უცებ სიხარულით აღანთო ირაკლი, სითამამე შეჰმატა...

— ნინო!

— გისმენთ, ირაკლი!

— როგორა ხარ?

— არა მიშავს, თქვენ ხომ კარგად?

— რა ვიცი, ვარ, როგორც მარტოხელა კაცს შეეფერება...

— მე მაინც ვერ გავიგე, კარგად თუ...

— „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და სიმარტოვე“.

— მარტობას შეიძლება გაეჭყეს კაცი.

— მაგრამ საკუთარ თავს ხომ ვერსად გაეჭყევი?

— ან რატომ უნდა გაეჭყე?

— როცა გაგირბის ის, ვინც ყველაზე მეტად გიყვარს აქვეყნად, მაშინ რაღა დაგრჩენია?.. გინდა, რომ ყველაფერს გაეჭყე, საკუთარ თავსაც კი...

თქვა და გულზე მოეშვა, თითქოს უშველებელი ტვირთი მოიშორა მხრებიდან და შვებით ამოისუნთქა. მერე თითქოს სიზმარში ჩაესმა ეს სიტყვები:

— იქნებ, პირიქით, თქვენ გაურბიხართ მას...

უცებ სიხარულმა ისე დაარეტიანა ირაკლი, რომ ენა ვერ მოაბრუნა და დიდ ხანს იდგა ასე დამუნჯებული. მერე უნდო-



და კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ნინოს უკვე დაედო ყურმილი და ირაკლიმ ხელახლა აკრიფა ნომერი.

— გისმენთ!

— ნინო, გაიმეორე, რაც თქვი. იქნებ მე მომესმა...

— ირაკლი, დამშვიდდი, რა მოგივიდა? — ეს პირველად მიმართა შენობით. — მე გითხარი, იქნებ, პირიქით, შენ გაურბიხარ მას...

— მაშ, შენ... შე კი, მე... მეგონა, რომ...

— აწ მაინც ნუ გეგონება! — თქვა ნინომ და კვლავ დაედო ყურმილი.

ირაკლი შეცბა, ნინოსაგან არ მოელოდა ასეთ გაბედულ პასუხს. თურმე რაგინდ მორცხვიც არ უნდა იყოს ქალი, სიყვარული მაინც ამოადგმევინებს ენას...

სევდა უკმარობისა

— ნინო!

— გისმენთ, ირაკლი!

— რატომ დგახარ ასე მოშორებით?

— რაო, რა თქვი?

— აკი გისმენო.

— მაპატიე, ისე ვარ.. თავი სიზმარში მგონია. მგონია კი არა, სიზმარში ვარ.

— მოდი ჩემთან ახლოს და დარწმუნდები, რომ სიზმარში არა ხარ.

— ვაითუ, გავინძრე და გამომეღვიძოს, — თქვა ნინომ და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

„აქედან უკეთ გხედავ. სიშორე განა ყოველთვის სიშორეს ნიშნავს?“ — გაახსენდა ირაკლის...

— მაშინ მე მოვალ შენთან, — თქვა ირაკლიმ და ის იყო ადგომა დააპირა, მაგრამ თითქოს მუხლი მოეკვეთა.

— შენ მართალი ხარ, ნინო, დიდ სიყვარულს დიდი შიში ცოდნია.

— მე რომ არ მითქვამს ასე?

— ერთხელ სიზმარში მითხარი. აი, ასე მოშორებით იდე-
ქი მაშინაც... — და უამბო სიზმარში ნახული.

ნინო გაოცებით უსმენდა. მერე ირაკლისკენ წამოვიდა და
დაჯდა.

— ნუთუ ახლაც გეშინია?

— არა, ახლა უკვე აღარაფრის ჭეშინია, რაკი კეთილად
ამიხდა სიზმარი და შენ ჩემთან ხარი! — ნინო ისე ახლოს იჯ-
და, რომ ესმოდა ირაკლის სუნთქვა. ხელი ხელს უნებურად შე-
ეხო. მერე ირაკლიმ ტუჩებთან მიიტანა ნინოს ხელი და მოწი-
წებით ეამბორა.

— პატარა, საყვარელი ხელი! — თითქოს ნიავმა ჩასჩურ-
ჩულა ნინოს. გულისცემა აუჩქარდა და მერმე... ერთბაშად გა-
იღვიძა მასში რალაცამ — ძლიერმა და დაუოკებელმა, რაკაც
მთელი მისი არსება დაიპყრო. იგი ახლა იყო და არც იყო ამ-
ქვეყნად, ესმოდა და არც ესმოდა ირაკლის სიტყვები: „ძვირ-
ფასო“, „საყვარელო!“...

საკმარისია შხაბუნა წვიმა, რომ სული მოიბრუნოს, უცებ
გამოცოცხლდეს და აღორძინდეს დასიცხული მიდამო, სულ
ერთი წვეთი წყალი მოუკლავს წყურვილს მიმკნარ ყვავილს
და კვლავ სიცოცხლეს აზიარებს... ხელის ერთმა შეხებამ,
ერთმა ამბორმა ერთბაშად ნინო ნეტარების ბურუსში გაბვია.

„აი, თურმე რა ტკბილი ყოფილა საყვარელ კაცთან სი-
ახლოვე, — ფიქრობდა ნინო. — მე კი შიში მიპყრობდა, უკ-
ნაური შიში! რა იყო ეს? ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მე ვარ?“

— ნინო, ხომ არ შეგცივდა?

თითქოს ეძინა და უცებ გამოადვიძეს. ნამძინარევივით
შეკრთა.

— არა.

— აბა, რატომ კანკალებ?

— არ ვიცი.

ჩასული მზის სხივების ათინათი ალაგ-ალაგ წყლის ზედა-
პირზე ვერცხლისფრად მოჩანდა. განაბულმა ზღვამ ღრმად
ამოიხვნეშა და თითქოს წამოქოჩრილ ტალღებს გაანდო სა-



თქმელი. ბედს მინდობილი პატარა მდინარე მშვიდად ერთვის და ზღვას, ჯერ უძალიანდებოდა, მერე კი ჩვილი ბავშვივით ეხუტებოდა განიერ მკერდზე.

- რატომ გამირბოდი, ნინო?
- მეშინოდა.
- ჩემი?

— ჰო, შენი! — გოგონამ ხანგრძლივად გაუსწორა თვალები ირაკლის.

* * *

ზოზინით ამოვიდა სავსე მთვარე, აგრილდა. მოლივლივე ზღვამ თითქოს წასთვლიმა. ძილისპირულივით ტკბილად გაისმა ბნელში მალლა აწვდილი ხეების შრიალი. მიწამ თითქოს ათასი ხელი ერთად აღმართა ცისკენ.

- არ წავიდეთ?
- თითქოს ძილბურანში ჩაესმა ირაკლის მთრთოლვარე ხმა.
- რა კარგი ღამეა, ნინო!
- ჰო, კარგი ღამეა. ასეთი ღამეები, ალბათ, არ მეორდება.

— მე კი მგონია, ქვეყანაზე ყველაფერი მეორდება. ასე მეჩვენება, სწორედ აქ, ამ ადგილას, ვისხედით მე და შენ, მაშინაც ასეთი ღამე იყო... მას შემდეგ, ალბათ, მილიონმა წელმა განვლო და ამიტომ გახსენებაც გვიჭირს.

- ხომ შეიძლებოდა, რალაც შემთხვევის გამო არ შევხვედროდით ერთმანეთს?
- ისიც ხომ შეიძლება მოხდეს, რომ მილიონი წლის შემდეგ კვლავ მოვიდეთ, მაგრამ ვერ შევხვდეთ ერთმანეთს?
- მაშინ რა მეშველება უშენოდ?

.....
გვიან დაშორდნენ ერთმანეთს...

დაცარიელებულ ქუჩებში მიმავალ ირაკლის წუთით ისეთი განცდა დაეუფლა, მის თვალწინ თითქოს ერთბაშად გადაიშალა ყველა საიდუმლო. ნინო უკვე აღარ იყო მისთვის გამოცანა, არც ეს ღამე იყო იღუმალეებით მოცული. იგი ახლის,



სულ ახლოს ხედავდა ვარსკვლავებს, მთვარეც უფრო
ლოვა, დააკვირდა და მერე თითქოს მის უხილავ ნახევარსფე-
როსაც წაატანა თვალი...

თითქოს წაშლილიყო ზღვარი ხილულსა და უხილავს შო-
რის და, ღამე კი არა, უკმარობის სევდა დასწოლოდა ბნელ-
ში განრთხმულ დედამიწას.

□

სხვისთვის იცინა, სხვისთვის იბირა!

მოთხოვნის ამავე

მე და არჩილი კარგი მეგობრები ვართ. მართალია, ეს
ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსია, მაგრამ ეს სრულიადაც
არ უშლის ხელს ჩვენს მეგობრობას. დრო და მანძილი ვერ
გვთიშავს ერთმანეთისაგან. ის დედაქალაქშია, მე კი რაიონში
ვცხოვრობ. იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ხშირი
მიმოწერა გვაქვს. არჩილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდა-
ტია, ამ ორი წლის წინათ დაიცვა დისერტაცია. მე კი უნი-
ვერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს ჩემს მშობლიურ
სოფელში ვმასწავლებლობდი, მერე რაიონულ ცენტრში გად-
მოვედი, სადაც დღემდე ვცხოვრობ და ვმუშაობ.

სტუდენტობის წლებში დავმეგობრდით ჩვენ. პირველ
კურსზევე დავუახლოვდით ერთმანეთს. მე ჯარიდან ახლად
დაბრუნებული, ომგადახდილი, ცხოვრებაში უკვე ჩახედული
კაცი ვიყავი. არჩილი კი ჯერ კიდევ პირტიტველი ქაბუცი იყო
მაშინ. საოცრად თავაზიანმა და მორიდებულმა, იცოდა უფ-
როს-უმცროსობა, კარგადაც სწავლობდა და თანაკურსელებ-
საც უყვარდათ. მე დიდხანს თქვენობით მომმართავდა. ძლივს
გადავაჩვიე. ვის გაუგონია, მეგობარი მეგობარს თქვენო-
ბით მამართავდეს-მეთქი, ვუთხარი ერთხელ და იმის შემდეგ,
როგორც იყო, გამიშინაურდა.

მესამე კურსზე ვიყავით, როცა არჩილმა ერთი საიდუმ-



ლოება გამანდო: — შეყვარებული ვარო. ის დღე იყო, როდესაც მე რე სულ ენაზე ეკერა ნელის სახელი. ასეთი და ასეთი გოაო, აქებდა, ადიდებდა და მასთან დაახლოებას ნატრობდა, მაგრამ საწადელი ვერაფრით ვერ აიხდინა.

პირველკურსელი ნელი არც ისეთი ლამაზი იყო, მაგრამ რალაცნაირად ვაყების ყურადღებას მინც იპყრობდა.

— მიდი და გამოუტყდი, რომ გიყვარს! — ვურჩიე არჩილს.

— ასე როგორ იქნება! — ღიმილით თქვა მან.

— აბა, უცადე, სანამ ის მოვა შენთან და გეტყვის მიყვარხარო.

არჩილი ჩემგან ასეთ რჩევას არ მოელოდა. შევატყვე, ეწყინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მე კი საგონებელში ჩავვარდი: ამ ბიქს, ჩანს, მართლა უყვარს ის გოგო და ამხანაგური მხარდაჭერაც სჭირდება-მეთქი. მაგრამ მე რა შემეძლო? ნელის მეც შორიდან ვიცნობდი. მივსულიყავი და მეთქვა, არჩილს უყვარხარ-მეთქი? ალბათ, სასაცილოდაც არ ეყოფოდა.

ერთხელ არჩილსა და მე ბედმა გაგვიღიმა. შესვენებისას ჩვენს აუდიტორიაში ნელი შემოცქრიალდა, ის ვილაცას ეძებდა.

— ვინ გნებავთ, ქალიშვილო? — ახლაც მიკვირს, როგორ გაბედა და ჰკითხა არჩილმა.

ნელიმ ერთი კი აჰხედ-დაჰხედა არჩილს, მაგრამ პასუხი არ გასცა, შეტრიალდა და, ის იყო, უნდა წასულიყო, რომ მე მივედი მასთან.

— როგორ გეკადრებათ, ქალიშვილო! გეკითხებიან, თქვენ კი პასუხს არ აძლევთ. — ვუთხარი სერიოზული კილოთი. ნელი დაიბნა, გაწითლდა.

— მეჩქარებოდა... ამხანაგს ვეძებდი, მეგონა, აქ შემოვოდა... ბოდიში, მაპატიეთ! — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა მან და თავი დახარა.

— არა, ასე ადვილად ვერ გამოისყიდით დანაშაულს. — ახლა უკვე ღიმილით მივმართე. — გაიცანით!



— მე მას ვიცნობ შორიდან. — მორცხვად ჩაილაპარაკა ნელიმ და ხელი გაუწოდა არჩილს.

— მეც ვიცნობდით შორიდან. — თქვა არჩილმა, რომელსაც სიხარულისაგან სახე ალუწვოდა.

ნელის გაეღიმა. უცებ ბოდიში მოიხადა და დაგვშორდა. არჩილი მეორე დღესაც შეხვდა ნელის, მესამე დღესაც და მერე... ერთ წუთსაც ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ.

... ისინი ჯერ კიდევ სტუდენტობისას, უნივერსიტეტის დამთავრებამდე, შეუღლდნენ.

* * *

კვირა დილით მოულოდნელად გვესტუმრა არჩილი. გაგვიკვირდა, მარტო რომ დავინახეთ. წინათ ყოველთვის ნელისთან ერთად ჩამოდებოდა ჩვენთან.

— ნელი სადღაა? — ვკითხეთ მე და მზიამ.

— არ ეცალა. მეც ისე უცაბედად წამოვედი, დღესვე უნდა გავბრუნდე. — გაბზარული ხმით თქვა არჩილმა და თვალი ამარიდა.

— რაშია საქმე? რა მოგივიდა, დღეს ჩამოდი და დღესვე მიდიხარ? — ვუთხარი მე და თან იმის ფიქრში ვიყავი, ამის თავზე რაღაც კარგი ამბავი არ უნდა იყოს-მეთქი.

— მეტი დრო არა მაქვს. წამოსვლას არც ვფიქრობდი. ისე უცებ მომეპრიანა, ჩაეჯექი შატარებელში და წამოვედი. — თქვა არჩილმა და პაპიროსი ნერვიულად გააბოლა.

— ნელი ხომ კარგად არის? — ჰკითხა მზიამ.

— რა უშავს, კარგად არის.

— შენც კარგად ყოფილხარ. — ვუთხარი მე, თუმცა გამზადარი მეჩვენა. სახე გაფერმკრთალებოდა, ღრმად ჩამკდარი თვალები უფრო ჩაღრმავებოდა, მხრებში ოდნავ მოხრილიყო.

ეტყობა, ბევრს მუშაობს. — გავიფიქრე ჩემთვის.

არჩილს მეტი არაფერი უთქვამს, გაეღიმა. ნაძალადევი იყო ის დიმილი. წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, ბავშვებს გაეთამაშა. მერე, როცა მარტონი დავრჩით, თქვა:

— ნელიმ არც იცის, მე რომ აქეთ წამოვედი.

— როგორ თუ არ იცის!

— არ გავაგებინე. — თქვა და საცოდავად დაიღმობა.

— გადარეულხარ და ესაა. კი, მაგრამ რატომ არ დაუბარე?

— ზურაბ, მე შენთან სალაპარაკო მაქვს. არ მინდა, მზიამ გაიგოს. — ჩურჩულით მითხრა არჩილმა და მომეჩვენა, რომ ეს მაღალი კაცი უცებ დაპატარავდა.

რა უნდა იყოს ისეთი? — გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე აღარ ჩავეკითხე.

— წავიდეთ, გავიაროთ! — ვუთხარი მე. არჩილსაც ეს უნდოდა...

— წავიდეთ.

ის იყო, მზიაც შემოვიდა.

— სად მიდიხარ?

— არჩილს რაღაც საქმე აქვს და უნდა გავყვე. შენ მანამდე საუზმე მოგვიმზადე!

— უკვე მზადაა ყველაფერი.

— არა, მე მეჩქარება... მოვალთ და მერე! — თქვა არჩილმა.

— როგორც გენებოთ. — მზიამ გამომცდელი თვალებით შემოგვხედა.

უსიტყვოდ გავიარეთ კარგა მანძილი. ქალაქის ცენტრალურ ბარკში შევედით. როგორც კი ჩამოვსხედით სკამლოგინზე, ვკითხე:

— რაშია საქმე?

— ნელის უნდა დავშორდე, ზურაბ!

— რაო, რა თქვი?

— დიდი ხნის წინათ მინდოდა გადამედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ვერ ვბედავდი, შენც ვერაფერს გეუბნებოდი.

— რამ გადაგრია, ბიჭო?

— არ მიყვარს და რა ვქნა?

— დაუჭერებელია!

— უკვე დიდი ხანია.



— მაგრამ ნელის ხომ უყვარხარ?

— ჩემი უბედურებაც იმაშია, რომ მას ვუყვარვარ, მაგრამ არ ვყვარებოდი, მაშინ ამდენ ხანს რა დამაკავებდა? მას ფიქრადაც არ მოუვა, რომ მე ოდესმე დავშორდები. ნელი დარწმუნებულია, რომ მეც მიყვარს.

— მერედა, იცი, რამხელა დანაშაულს ჩაიდენ? ყველაფერი ეპატიება ადამიანს, რომელსაც უყვარხარ. თუმცა ნელას, რამდენადაც მე ვიცი, არაფერი აქვს შენგან საპატიებელი. ის შესანიშნავი ადამიანია, კარგი მეოჯახე, გარეგნობითაც, კაცმა რომ თქვას, შენი დასაწუნი არ არის.

— როგორ შემიძლია ვიცხოვრო ისეთ ქალთან, რომელიც არ მიყვარს?

— მე კარგად მახსოვს, რომ შენ გიყვებოდი მასზე.

— ზურაბ!

— არ მინდა, ვიცი, რასაც მეტყვი! — ახლა უკვე გულმოსულმა ვუთხარი არჩილს. — არ მეგონა, თუ ასეთი ეგოისტი იყავი.

— რა შუაშია ეგოიზმი? რატომ არ გინდა, ბოლომდე მოისმინო? — ისეთნაირად თქვა არჩილმა, რომ უცებ გული მომიღბო.

— თქვი, გისმენ!

— ნელიზე მართლაც არ ითქმის ძვირი. მეც ვანა ვამბობ, ის ცუდია-მეთქი? მაგრამ... ვანა მარტო იმაშია საქმე, რომ ის შესანიშნავი ადამიანი და კარგი მეოჯახე ქალია? თუმცა რომელ ოჯახზე ვლაპარაკობ, მე შენ გეტყვი და შვილები გვყავს. ეს კიდევ არაფერი, რა მისი ბრალია!.. უშვილობას როგორ დავაყვედრიდი, მაგრამ... არ მიყვარს და რა ვქნა?

არჩილი გაჩუმდა. პაპიროსი ამოიღო, მეც მომაწოდა. ჭერ მე გავაბოლე, მერე მან, დიდი ნაფაზი აუშვა მალლა და კვლავ განაგრძო:

— შენ ამბობ, რომ დრო იყო, ვგიყვებოდი მასზე. კი, მართალია. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ეს უბრალო გატაცება იყო და არა სიყვარული. ჩვენი შეერთების პირველ ხანებშივე დავრწმუნდი, რომ ჩვენ ერთმანეთის შესაფერი არ

ვიყავით, მაგრამ სინანული უკვე გვიანდა იყო. მით უმეტეს, რომ ნელის მართლაცდა თავდავიწყებით შევეუყვარდი. თავზე მევლებოდა, როგორც ბავშვს, მეფერებოდა, მეალერსებოდა. ერთხელაც არ მოუცია საბაბი, გული ამეცრუებია მასზე... ეს თავისთავად მოხდა. არ მახსოვს როდის, რა წუთიდან ჩამიღვა გულში ყინული. და ჩემთვის თანდათან ტანჯვად იქცა მისი სიყვარული. როგორც კი საალერსოდ წამოიწვედა, ტანში უსიამოვნოდ გამაყრდობებდა, მაგრამ ვცდილობდი, არ გამეთქვა ჩემი თავი. რატომღაც სინდისი მქეჯნიდა, მებრალებოდა, არ მინდოდა, ხელიდან გამომეცალა მისთვის ბედნიერება. ალერსს ალერსით ვპასუხობდი, კოცნას — კოცნით. ერთი სიტყვით, ვთამაშობდი შეყვარებულის როლს და არც თუ ისე ცუდად. ყოველ შემთხვევაში, ნელის ექვიც არ შეპარვია ჩემს ერთგულებაში. ასე გადიოდნენ დღეები, თვეები, წლები. ო, ეს დაკარგული წლები! რამდენი რამ შემეძლო გამეკეთებია! ერთხელ გადავიწყვიტე, პირდაპირ მეთქვა ნელისათვის ყველაფერი, მაგრამ ისევ სიბრალულმა მძლია...

არჩილმა კვლავ გააბოლა.

— ერთ ღამეს გვიან მივედი სახლში, ნასვამი ვიყავი. რა დავმალო და ერთ ნაცნობ ქალთან ვივახშმე იმ ღამეს. ნელო, რა თქმა უნდა, მელოდებოდა.

— სად იყავი ამდენ ხანს? — მსუბუქი საყვედურით მომპარტა.

— საყვარელთან. — უკმეხად მივუგე მე.

— შენ ხუმრობ, არჩილ?

— მე არ მეხუმრება.

— აბა, თვალებში შემომხედე!

მე ერთი კი შევხედე და მერე პირი ვიბრუნე. საწოლ ოთახში შევედი და ტანსაცმლის გახდა დავიწყე.

— არა, ეს შეუძლებელია! — მომესმა ნელის აკანკალებული ხმა.

— რა არის შეუძლებელი?

— რომ შენ არ გიყვარდე.

მე არაფერი ვუპასუხე, თუმცა გულით მინდოდა, ბო-



ლოს და ბოლოს მეტყვა მისთვის მწარე სიმართლე. ვიკავე. გაფითრებული მეუღლის დანახვამ საგონებელში ჩამაგდო. სიბრალულმა ენა დამიბა და სათქმელი სიტყვა უკანვე დამაბრუნებინა.

— პო, შეუძლებელია! — ჩავილაპარაკე, მაგრამ ნელის, მგონი, არც კი გაუგონია. გაშეშებული იდგა და მისჩერებოდა საწოლს, რომელშიაც ის-ის იყო გულაღმა გავიშოტე.

— შუქი გამორთე და დაწევი! — ვუთხარი მე ბრძანების კილოთი. მაგრამ ნელის თითქოს არაფერი გაუგონია, ისევ გაშეშებული იდგა. ასე ხევდება ადამიანი, როცა ის რაღაც მოულოდნელსა და თავზარდამცემს გაიგებს.

— უკვე გვიანაა! — ვთქვი მე. თვალები დავხუჭე და მარჯვენა მხარეზე გადავბრუნდი. პასუხი აღარც ახლა მიმიღია. ცგრძნობდი, ნელი ისევ იმ ადგილას იდგა გაშეშებული.

— აბა, ერთი ვნახო, რამდენ ხანს იდგომება ასე? — ვფიქრობდი მე. — თუ მას ოდნავი თავმოყვარეობა მაინც აქვს, ამაღამ ჩემთან არ დაწევება. დაწევება თუ არა, დაწევება თუ არა? რა თქმა უნდა, არა! ბოლოს და ბოლოს დროა, შევჩვიო იმ აზრს, რომ არ მიყვარს და რომ მასაც არ უნდა უყვარდეს ასეთი კაცი.

ნელიმ შუქი გამორთო და ცვერდით მომიწევა.

— არჩილ!

მე გავიტრუნე, თავი მოვიმძინარე. ნელიმ შემანჯღრია, მაგრამ არც ახლა მიიღო ჩემგან პასუხი.

„ჩასძინებია“. — ჩაილაპარაკა ნელიმ და მთელი სხეულით მომეკრა. მე არ მესიამოვნა მისი სიახლოვე, მაგრამ არ გავნძრეულვარ. მერე... საზარელი ქვითინი მომესმა. გადმოვბრუნდი.

— ნელი!

ნელიმ უფრო უმატა ქვითინს და ჩემს გულში თითქოს ყინული გალხვა.

— შე სულელო, რა გატირებს? კარგი, დამშვიდდი! მე ისე ვიხუმრე, შენ კი... — ვუთხარი და თავზე გადავუსვი ხე-



ლი, თვალები ამოვუმშრალე. დამშვიდების ნაცვლად ნეტონისადაც უარესად ატირდა და ჩემს მკერდში ჩარგო თავი. მე მკლავები მოვხვიე. ატირებულ ბავშვს რომ მოეფერები, უფრო აუჩვილდება გული. ბავშვს ჰგავს ქალიც. მისი გულის მოგებაც ისეთივე ადვილია, როგორც ბავშვისა. ოღონდ მოეფერე, ოღონდ საალერსო სიტყვა უთხარი და... მეტი რა უნდა, უმაღვე დაივიწყებს, თუკი ოდესმე გიწყენინებია. მამაკაცებით გულში ხინჯა არ ჩაირჩენენ. საოცრად მიმდობნიც არიან, სჯერათ ჩვენი სიტყვისა და ფიცის.

— მართლა სულელი ვარ! — თქვა ნელიმ, როცა ტირილით გული იჭერა. — რა არ გავიფიქრე. მაინც რას ჰგავს ასეთი ხუმრობა!

— ვამოგცადე.

— საზიზღარო, რაში დაგპირდა ჩემი გამოცდა? — თქვა ნელიმ და ვითომ მუშტები დამიშინა სახეში, მკერდში, გვერდებში.

— კარგი ახლა, გვეყოფა, დავიძინოთ! — ვუთხარი მე.

— არ დავაძინებ, არ დავაძინებ! — ბავშვით ვაჭიუტდა ნელი, რომელიც დაკარგული ბედნიერების უკან დაბრუნების სიხარულს განიცდიდა.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! — ვთქვი მე, როცა არჩილმა სათქმელი დაამთავრა. — ერთი ეს მითხარი, ოღონდ გულახდილად, ის ნაცნობი ქალი იცივარს, თუ...

— არა, გეფიცები სინდისს! ეს ისე... — თქვა არჩილმა და მეც დავუჭერე. სხვანაირად არც შეიძლებოდა. არჩილი ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც არ ეხერხებათ ტყუილის თქმა, თუმცა... აკი წლების განმავლობაში თურმე ცრუობდა ცოლთან. მაგრამ სიცრუეც არის და სიცრუეც. აუცილებლობით გამოწვეული სიცრუე, რომელსაც მხოლოდ სიკეთე მოაქვს, არ შეიძლება საძრახისი იყოს. ხანდახან ტყულის თქმა სჯობს, მწარე სინამდვილის აღიარებას.

— დავილაღე, ზურაბ, კაცი არა ხარ, დავილაღე! რამდენ ხანს შეიძლება ით-მამოს კაცმა?

— თუ საჭიროა, მთელი სიცოცხლე.

— ეს ადვილად ითქმის.

— არა, არ ითქმის ადვილად.

— შენ როგორ მოიქცეოდი, ჩემს ადგილზე რომ იყო? —
თქვა და თვალეში მომაჩერდა.

მე არაფერი ვუპასუხე.

— ჰო, როგორ მოიქცეოდი?

— ყური მივდე, არჩილ, და შენ თვითონ გამოიტანე დასკვნა, თუ როგორ მოვიქცეოდი. — ვთქვი მე და აი, რა ვუამბე.

... სანგარში ვართ და წეკოს ვაბოლებთ და ყველას ერთი სატიკივარი გვაქვს. თუმცა იმ წუთიერი შესვენების დროს ყველა საკუთარ ფიქრებში ვიყავით ჩაძირული — მეც, ჩემი სკოლის მეგობარი გიაც, ის ახმახი ჭარისკაციც, რომელაც სანგრიდან ამოსვლისთანავე უსულოდ დაენარცხა მიწაზე.. ვინ იცის, შეიძლება ის ტყვია ჩემთვის იყო გამიზნული, მაგრამ... განა ეს ბრმა შემთხვევა არ არის? — მას მოხვდა.

— ზურაბ, იცი რას გეტყვი? — თქვა გიამ და ფიქრი გამაწყვეტინა. — ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ მე რომ რამე მომივიდეს, დედაჩემს რა ეშველება?

მე არაფერი ვუპასუხე. მის დაღლილ სახეზე საშინელი ტანჯვა აღბეჭდილიყო, თვალეში კი შიში ჩაღვომოდა. და მე შემეცოდა ის. მაგრამ იმ წუთს დანუგეშება უადგილოდ მომიჩვენა და მეც ხმა ვერ ამოვიღე.

— ჰოდა, შესაძლოა, ტყვია, რომელსაც მე უნდა მოვეკალი, მას მოხვდა, — განვავრძე თბრობა, — ანაზღად მხერა იმ ახმახისაკენ გამექცა და ჩემდა უნებურად გამეღიმა — ამას მწარე ღიმილი ჰქვია. — თვალეში დაეხუტა საწყალს, ალბათ, ისიც სიხმარ-ცხადში ვილაცაზე ფიქრობდა... და მე შემეცოდა ის.

მე კი, იცი, რაზე ვფიქრობდი იმ წუთს? არა მოსალოდნელ სიკვდილზე, არა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე, არამედ — გჯერა თუ არა? — ჩემი სოფლის ფოსტალიონზე, რომელიც... ამ ქვეყანაზე ყველაზე მძიმე ტვირთს დაატარებს.



ომის პირველ წელსვე შინ მივიღეთ მამის დაღუპვის ცნობა. ფოსტალიონი მთელი კვირა გვიმალავდა თურმე. ბოლოს, რა გზა ჰქონდა, გაგვიმხილა. ის დღე იყო და... შორი-შორ გვივლიდა, ტყვიანაკრავივით გაგვირბოდა. დედაჩემთან შეხვედრას სიკვდილი ერჩია, ვერც მე მისწორებდა თვალებს ეს ყოვლად პატიოსანი კაცი.

ის იყო მერე ჩემი ჯერიც დადგა. გასაცვილებლად ფოსტალიონიც მოვიდა, თუმცა ეზოში არ შემოსულა. ჭიშკარს გადაღმა გამიხმო.

— ზურაბ, ბიჭო, — ვედრებით მომესმა მისი ხმა, — ერთ რამეს გთხოვ, გეხვეწები, და თუ კაცი ხარ, შემისრულე!

— რა უნდა მთხოვო ისეთი, ბიძია? — ვკითხვებულმა.

— ხომ ხედავ, თქვენთან როგორ პირშავად ვარ... მამაშენი დაიღუპა... ჰოდა, მაკმარეთ ეს! თავს გაუფრთხილდი, ბიძია გენაცვალოს, ტყვიას თავი არიდე, ბიჭო! მარტო შენს თავზე ნუ იფიქრებ, დედაშენზე იფიქრე, ჩემზედაც იფიქრე, ჰო, ჩემზედაც... ნუ გაგიკვირდება, ბიძია, ცოდვა ვარ, ცოდვა! ღმერთმა დამიფაროს აწ კიდევ დედაშენთან პირშავად მოსვლა, მიჩვენია, ამ ჩემი ჩანთიანად მეწყერში ამოვყო თავი. — თქვა და აცრემლებული გადამეხვია, ჩამკოცნა, გზა დამილოცა და დამშორდა.

არის წუთები, როცა სიცოცხლეს სიკვდილი გირჩვენია. და ასეთ დროს მხოლოდ საკუთარ თავზე თუ იფიქრე...

მე ბედს ვუმადლი, რომ ასეთი წუთები განვიცადე. მაშინ დავრწმუნდი, რომ არის იმაზე უფრო მაღალი იდეალი, ვიდრე პირადი ბედნიერებაა. ესაა ზრუნვა სხვის ბედნიერებაზე!..

მე ვლაპარაკობდი და არჩილი სულგანაბული მისმენდა. ერთხელაც არ გაუწყვეტინებია სიტყვა.

ბოლოს წამოდგა და ესლა თქვა:

— ნამდვილად ცუდად მოვიქეცი, რომ არ დავუბარე და ისე წამოვედი. წუხელ, ალბათ, საწყალს მთელი ღამე არ ეძინა.

არ მახსოვს, როდის დამეწყო უძილობა.

ყურთან ახლოს თოფი რომ გესროლათ, მაინც არ გამომეღვიძებოდა, ისეთი ძილი ვიცოდი ბავშვობაში. მაშინაც, როცა თვრამეტი წელი შემისრულდა და ჯარისკაცი ვავხდი.

— ექიმთან მიდი!

— ნოქსირონი მიიღე!

— ბრომი ამშვიდებს ნერვებს.

ასე მეუბნებიან.

— ყველაფერი სისულელეა, — ვფიქრობ მე და ახლა მარცხენა მხარეზე ვწვები. ასე არ ვარგა, გულს ავენებს. მოდი, ერთი გულალმა ვსინჯო... მაინც არაფერი გამოდის. ისევ მარჯვენა მხარეზე ვბრუნდები. ერთი, ორი, სამი... ათი... ასი... ვითვლი ასამდე. აი, ახლა ჩამეძინება, აი, ახლა... მაგრამ არა! ისევ ვიწყებ თვლას...

ასეთ რბილ საწოლში კი არა, საკმარისი იყო ფიცარზე თავი წამომედო, რომ... რამდენჯერ ზეზეულად მომრევია ძილი ყინვასა და თოვლში. ერთხელაც შაშხანა გამივარდა ბელიდან. კიდეც კარგი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მაშინ მე თვრამეტი წლისა და რამდენიმე თვის ვიყავი...

პატარა ვაფხაკუნებაც კი ისმის მეზობელ ოთახებიდან. მაინც რა სიფრიფანა კედლებია! ამ კედელს იქით ახალგაზრდა პოეტი ცხოვრობს. იგი მარტოხელაა და თავის ოთახში არავის უფრთხობს ძილს. მე კი მესმის, როგორ სცემს ბოლოს და ბოხი, ძალიან ბოხი ხმით კითხულობს ახალ ლექსებს. გამთენიისას მიწყდება ხოლმე მისი ხმა და მერე მთელი დღე ოთახშია გამოკეტილი — სძინავს.

თავზე ვიხურავ საბანს, ვიხშობ ყურებს, მაგრამ მაინც მესმის მისი ხმა... კიდეც და კიდეც, კიდეც და კიდეც. ბოლოს, როგორც იქნა, ვაჩერდა. ახლა დრო უნდა ვიხელთო და როგორმე ჩავიძინო, თორემ... ერთი, ორი, სამი... ასი... ორასი... დამღალა თვლამ.



საწოლის მომაბეზრებელმა კრაკუნმა გამოარღვია მობრუნებული დაპირე კედელი. მერე კისკისი მომესმა, კმაყოფილი, ნებბიერა, ვნებამორეული კისკისი...

აღყა მაქვს შემორტყმული.

— ზურაბ, არ იძინავს? — ალბათ, ჩემს წრიალზე გაედვი-
და მზიას და გამომელაპარაკა. მე გავინაბე. „მადლობა ღმერთს,
ჩასძინებია!“ — ჩაილაპარაკა თავისთვის და ისევ ძილს მისცა
თავი.

სიცოცხლე გავუმწარე ოჯახს ჩემი უძილობით. გადავწყვი-
ტე აღარ ვიწუწუნო და სანამდისაც შევძლებ — ვიცრუო.

— ნუთუ არჩილი დაშორდება ნელის? — ვწევარ და
ვფიქრობ. — ო, არა, ეს არ მოხდება! არჩილი არ არის ისეთი
კაცი, რომ ცოლს ასე დაშორდეს. რა ეშველება ნელის? გაგიჟ-
დება საწყალი! მაინც როგორ უყვარს! საოცარია სიყვარული!
ზანდახან მართლაცდა ბრმა არის იგი. ნუთუ სული ქალური აღ-
ლოთი ვერ გრძნობს, რომ არჩილს არ უყვარს? რომ გრძნობ-
დეს, უკეთესია! მაშინ თვითონაც არ ეყვარებოდა ასე. არჩილ-
საც როგორ უყვარდა, სულ ენაზე ეკერა ნელის სახელი. რამ
გააქრო ეს სიყვარული? ვერ წარმომიდგენია ოდესმე გული
გამიცივდეს საყვარელი ადამიანის მიმართ. მაინც რა ხდება
ადამიანებს შორის ისეთი, რაც სიყვარულს აქარწყლებს?
„როგორ მოვიქცეო?“ — მე მთხოვს რჩევას. რა უნდა ვურ-
ჩიო? დაშორდი-მეთქი? მე რომ არჩილის ადგილზე ვიყო და
ასე მირჩიონ, დაეშორდებოდი? აბა, ერთი დავფიქრდე?.. არა,
არაფითარ შემთხვევაში! ჯობს შენ თვითონ იტანჯო, თუ ეს
ტანჯვა სხვას ბედნიერებას მიანიჭებს, ვიდრე სხვა იტანჯებო-
დეს შენი ბედნიერებით. მერე რა, რომ არ უყვარს? ამაზე
ნაკლებად იფიქროს. ზომ უყვარდა? რაკი ადამიანი ერთხელ
გაებმება ოჯახურ უღელში, მერე ბოლომდე უნდა ზიდოს
იგი. ასეთია ცხოვრება.

ქალაქის საბჭოს თავზე წამოსკუბულმა საათმა ორჯერ და-
რეკა. ამ საათმაც გამიპირა საქმე. მისი ხმა ტყვიასავით ხვრეტს
სივრცეს, კედლებს, ყურებს.



როგორმე უნდა დავიძინო, თორემ ამ გასიებული ხეალ როგორღა წავიდე სკოლაში. ფაკვეთილებს მაინც ტარებ, მაგრამ...

როგორ მიმიძის მე-8 „ა“ კლასში შესვლა. ყოველთვის, როცა შევდივარ, გული მეკუმშება. მაინც როგორ ჰგავს ის ბუთხუზა ბიჭი გიას. მასაც რომ გია ჰქვია! ასეთი ცოცხალი და მოუსვენარი იყო ისიც. მასწავლებელი ყოველთვის ტუქსავდა მას, მის გამო — მეც. წინა მერხზე ვისხედით მე და გია. მასწავლებლის მადგა ჩვენს მერხზე იყო მოდგმული, სწორედ ისე, როგორც ახლა...

გია ძალიან მოუსვენარია, მაგრამ მე არ ვტუქსავ მას, ერთხელაც არ დამიტუქსავს, და, ალბათ, უკვირს გიას, ალბათ, სხვებსაც უკვირთ. მე ხანდახან ბავშვურად ვიქცევი ხოლმე! მინდა გიასთან ვიშეგობრო, მაგრამ გია რას გამიგებს მე, უკვე ქალარამორეულ მასწავლებელს?..

მე და გიამ ერთ დღეს მივიღეთ უწყება. ერთად წავედით. ფრონტზე დავკარგეთ ერთმანეთი...

უნებურად თვალებს ვახელ.

ჩემი საწოლი ფანჯარასთან დგას. ფანჯარა ფართოა, ძალიან ფართო და ქუჩას გადაჰყურებს. ფანჯარაში ცის საკმაოდ დიდი ნაჭერი მოჩანს და კიდევ ჰადრის გაშიშვლებული ტოტები, რომლებიც უღონოდ ირხევიან. რამდენიმე დამკნარი ფოთოლი შერჩენია ჰადარს, მთვარის შუქზე პებლებივით რომ ფარფატებენ. ერთი ძლიერი ქარი და... ბეწვზე ჰკიდია ფოთლები. ნეტა გაზაფხულამდე თუ შერჩება ჰადარს ეს ფოთლები? — გავიფიქრე მე და ცას მივაშტერდი. ერთი ვარსკვლავიც ვერ შევნიშნე. უცებ — საიდან სადაო — ერთადერთი ვარსკვლავი აკიაფდა შორეული იმედივით. მერე ამ ვარსკვლავმა თითქოს ფეხი აიდგაო, ამოძრავდა. თვალი გავაყოლე. ცოტა კიდევ და... გაუჩინარდა. ფანჯარაში ყრუ გუგუნმა გამოჟონა... მე მართლა ვარსკვლავი მეგონა.

ქუჩაში მანქანამ გაიხრიგინა. მერე მილიციელის სასტვენის ზმამ წაიღო ყურთასმენა. ავდექი და ოდნავ გაღებულ



ფანჯარა მივკეტე. ისევ დავწექი და საბანი თავზე წავიხურე.
სული შემეხუთა. თავი გამოვყავი საბნიდან და თვალთახე.
გავახილე. ისევ ცას მივაშტერდი. ვარსკვლავი არ გამოჩენი-
ლა, მაგრამ ყრუ გუგუნი ისევ განმეორდა...

მე და გია ერთად წავედით. ფრონტზე დავკარგეთ ერთმა-
ნეთი...

მერე არ გამოჩენილა...

„არ მესროლო!“ — ჩამესმა უცებ ყურში გერმანულად...

მაგრამ ის უკვე მიწაზე ეგდო, ახალგაზრდა, პირტიტველი
გერმანელი ჯარისკაცი. მან ვერ მოასწრო მეორედ დაეძახნა
— „არ მესროლო“. მე მაშინ არ მესმოდა რას ნიშნავდა ეს
გერმანული სიტყვა, მერე გავიგე.

„არ მესროლო!“

„არ მესროლო!“

„არ მესროლო!“

ოცი წელია ჩამესმის ყურში, დღისით, მზისით, ღამითაც...
რა ჩემი ბრალი იყო... მესროდნენ და მეც ვესროდი. შურის-
ძიებით ანთებულს, ყოველი გერმანელი მტერი მეგონა. მა-
შინ... თუმცა შეიძლება, არც დამეშინა ავტომატი იმ პირტიტ-
ველა გერმანელისათვის, რომ მცოდნოდა, რას ნიშნავდა ეს
ერთადერთი გერმანული სიტყვა. მაგრამ... ვინ იცის, იქნებ
სწორედ იმ გერმანელმა ესროლა გიას...

... წუხელ ცოტა მაინც ვიძინე, ამას იქიდან ვასკვნი, რომ
სიზმარი ვნახე: ვითომ არჩილი და ნელი გვესტუმრნენ. თან
პატარა ბიჭუნა მოიყვანეს ახლადფეხადგმული, საოცრად ლა-
მაზი ბავშვი. ეს ჩვენი შვილიაო, გვითხრეს და გაგვახარეს.
მათ სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. ასეთი ბედნიერი
არასოდეს ვყოფილვართ, — ამბობდა ნელი და არჩილსაც
იმოწმებდა, — ხომ მართალს ვამბობო. ჰაი, ჰაი, რომ ასე არი-
სო, უდასტურებდა არჩილიც. მერე არჩილი მე მომიბრუნდა:
ხომ კარგი ბიჭიაო, მკითხა. შესანიშნავი-მეთქი. მე მგავსო.
არა, მეო. — შეედავა ნელი. მერე... მაგრამ მერე არ მახსოვს,
რა მოხდა. გამეღვიძა და გული დამწყდა, რომ ეს ყველაფერი
სიზმარი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ არჩილის წერილი მივიღე. წავიკითხე და გულზე შემომეყარა. აი, რა ეწერა მასში:

„ზურაბ!

არ ვიცი, რით დავიწყო, რა მოგწერო? ისე ვარ ჰკუთარეული, რომ მსჯელობისა და განსჯის უნარი დაკარგული მაქვს... თქვენგან რომ წამოვედი, ჭზაში ბევრი ვიფიქრე, ბევრი რამ ავწონ-დავწონე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენ მართალი ხარ... შენმა სიტყვებმა მე ჰკუთ მასწავლეს. ბოლოს და ბოლოს აღამიანები იმისათვის კი არ ვართ მოსულნი ამქვეყნად, რომ მარტოდენ პირად ბედნიერებაზე ვიზრუნოთ. და როცა შევიგნე ეს, როცა ამ ქვეყანას ფართოდ გახელილი თვალებით შევხედე, როცა უკვე მზად ვიყავი, ჩემი თავი მსხვერპლად მიმეტანა იმ აღამიანისათვის, რომელსაც ყველაზე ჰეტად ვუყვარდი და შეიძლება ახლაც ვუყვარვარ, სწორედ მაშინ დამატყდა თავზე მეხი.

სახლში რომ მივედი, ნელი არ დამიხვდა (ო, როგორ ვნანობ, როგორ ვნანობ, რომ არ დავუბარე და ისე წამოვედი!). გასაღები მეზობლისათვის დაეტოვებინა, ჩემიანებთან მივდივარო, მარტო ეს უთქვამს, სხვა არაფერი. მე ცუდად მენიშნა ეს ამბავი. ოთახში რომ შევედი, საშინელი მოწყენა და სიუკვე შემომეფეთა. მივიხედ-მოვიხედე, ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. უცებ მაგიდაზე ოთხად გაკეცილი ქალაქი შევნიშნე...

მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც მე განვიცადე, ამ ბარათის წამკითხველმა. ამას არასოდეს არ მოველოდი და ფიქრადაც კი არ გავივლებდი გულში, — ნელი წავიდა ჩემგან! როგორც, გაიოცებ, მე კი უკვე აღარ მიკვირს იმის შემდეგ, რაც წერილი წავიკითხე. წავიკითხე და, ღმერთო ჩემო!.. გავიცანი ნაძვილი ნელი: დიდბუნებოვანი, ამაყი და ჰკვიანი, სწორედ ისეთი, როგორც მინდოდა ყოფილიყო. რამდენი წელი ვცხოვრობდი მასთან და თურმე არ ვიცნობდი. ასე ემართებათ თავის თავში ღრმად დარწმუნებულ და ჭანებივრებულ აღამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, ყველაფერი იციან და ყვე-



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

ლაფერს თავიანთი საზომით ზომავენ, არ კი ძალუბთ ჩაიხედონ ადამიანის სულში. მე ახლა მივხვდი ყველაფერ ამას, მაგრამ უკვე გვიანაა... ჩემი იყო და არ ვაფასებდი, დავკარგე და ახლა ვნანობ. რა არის ეს? რა ღმერთი იცოფრება ზანდაზან ადამიანებს? სინდისი ბჭეჯნის, შესირცხვილება, მეზიზღება ჩემი თავი. აღარც შენ მოგაწყენ თავს, ოღონდ ეს კი მინდა — შენ თვითონ წაიკითხე ნელის ბარათი... წაიკითხე და უკანვე დამიბრუნე!

შენი არჩილი“.

„არჩილ, მე მივდივარ შენგან... შენთვის სრულიად მოულოდნელი იქნება ეს ამბავი. მე კი ბევრი ვიფიქრე, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, არაფერს გაყვედრი (ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ შენში აღძვრა სიბრაღულის გრძნობა. არა, ჩემო არჩილ!). ალალი იყოს შენზე ჩემი დიდი სიყვარული, რომელმაც შენს გულში ვერა და ვერ ჰპოვა თავშესაფარი. მაგრამ შენი რა ბრალია?.. პირიქით, მადლობელი ვარ იმ დიდი სულგრძელობისათვის, რომელსაც იჩენდი ჩემდამი. მე მესამის, თუ რა სატანჯველია — წლობით იცხოვრო ადამიანთან, რომელიც არ გიყვარს, იცხოვრო იმიტომ, რომ გებრალედა. მე ვგრძნობდი ყველაფერს და შენზე მეტად ვიტანჯებოდი (შენ კი გეგონა, რომ ბედნიერი ვიყავი), მაგრამ ვიტანდი, ყველაფერს ვიტანდი სიყვარულისათვის, მიყვარდი და ვიტანდი, მე ხომ ქვეყნად შენს გარდა არავინ მყვარებია ასე. თავს ვიიმედებდი, ვირწმუნებდი იმაში, რომ დღეს თუ ხვალ შენ ისევ ის არჩილი იქნებოდი ჩემთვის, როგორიც იყავი ერთ დროს (ხომ გახსოვს, როგორ გიყვარდი!). წყალწალღებულ ხავსს ვებლაუჭებოდი, მაგრამ ამაოდ. ვგრძნობდი, ხელიდან თანდათან როგორ მისხლტებოდი და მითრევედა გამძვინვარებული მორევი ჩემი უკულმადატრიალებული ცხოვრებისა.

ჩემთვის ყოველთვის ამოუხსნელი გამოცანა იყო და დარჩება: რა მოხდა შენში, არჩილ? როგორ წარმოვიდგენდი იმას, რომ ოდესმე არ გეყვარებოდი, რომ ჩემი დიდი გრძნობის საფასურად შენგან მხოლოდ სიბრაღულსა და ნიღაბაფა-

რებულ თანაგრძნობას მივიღებდი. ბევრი ვიფიქრე, ვიმტვრიე თავი, მაგრამ ვერა და ვერ მივაგენი გულაცრუების მიზეზს; ვინ იცის, იქნებ ეს ჩემი წრესგადასული სიყვარულის ბრალი იყო. იქნებ მეტი თავშეკავება და ზომიერება მმართვებდა (მაგრამ ნუთუ წმიდათა წმიდა გრძნობების გამოძეღვენებაშიაც თავშეკავება მართებს ადამიანს?). მეტისმეტი ფერება ბავშვს აფუჭებს ხოლმე. მე შვილი არ მაღირსა ბუნებაში. შენ იყავი ჩემთვის ერთადერთი საალერსო და საფერუბელი კერპი. ბოლოს და ბოლოს, ეტყობა, მოგბეზრდა ერთი და იგივე. და შენ არ გამტყუნებ ამაში. ცხოვრებაში ხომ ხდება ასე (თუმცა მე ეს არ გამომიცდია): გიყვარს, ისწრაფი მისკენ მთელი არსებით, თავდავიწყებით, დაეუფლები, დაეწაფები, კოცნი, კოცნი და... ბოლოს მოგბეზრდება ესეც ისევე, როგორც ბეზრდება ადამიანს ყოველივე ძველი და გაცვეთილი, ასჯერ ნანახი და განცდილი... ხომ საშინელია ეს გრძნობა?

ყველაფერს საზღვარი ჰქონია თურმე და რა მწარე იყო ჩემთვის ამ სინამდვილის შეგნება. და აი, დადგა წუთი, როცა მე უნდა დაგშორდე.

არავითარი მერყეობა, არავითარი სინანული! ეს ასე უნდა მომხდარიყო, არჩილ! მე მივდივარ შენგან იმ რწმენით, რომ ჩემს შემდეგ შენ ბედნიერი იქნები.

ნელი“.

ნ ი შ ა რ ა

დაღმართზე ნელა მივდიოდით. ბილიკი ვიწრო და ლაკო-ანი იყო. გზაზე გადმოშვებული შვინდის, გარეული თხილის თუ წიფლისა და რცხილის სველი ტოტები ტანსაცმელზე გვედებოდა.

მე და ბებიას აქეთ-იქით გვეკიდა ხელი კალათის საბე-ლურებზე.

ბაზარში ჭყინტი სიმინდი მიგვქონდა.

— რაღა მაინცდამაინც ამ დილით გაწვიმდა? — ბუზღუ-ნებდა ბებია, — ღმერთი დასწყევლის ამისთანა ამინდს... და-ილაღე, ბები?

— არა.

— კი, დაილაღე, ვიცი, შევისვენოთ!

კალათა დავდგით და შუებით ამოვისუნთქეთ.

ჩვენი სოფელი ეგერ, ზედ ზღვისპირას იწყება. იქედან ამ გორაკის კორტოხამდე ათიოდე კილომეტრი იქნება და ჩვენ სწორედ მეთათე კილომეტრზე ვცხოვრობთ. ნუ გეუცხოვებათ, ჩვენს უბანს ზუსტად ასე ჰქვია — მეთათე კილომეტრი.

სახლები თითქმის ყველას ერთნაირი გვიდგას — ორსარ-თულიანი ხის ძველებური ოდები. თითქმის ყველა ეზოში, სახლის წინ, ჭიშკრის მახლობლად, გვიმდადგმული ქებაა, რომლებსაც კისერწაგრძელებული ოწინარები ფხიზელ და-რაჯებივით ადგანან თავზე. ყველა ოდას სამკაულივით ამშვენებს ბუხრის წოწოლა მილი, რომლიდანაც ადრეშემოდგო-მიდან ზანტად ამოდის ხოლმე ტყვიისფერი კვამლი და ნელ-ნელა იძენძება ჰაერში.

— გავყვით, თორემ დაგვაგვიანდება! — მითხრა ჩვენ კვლავინდებურად ჩავსქიდეთ კალათის სახელურებს ხელი.

როგორც იქნა, ჩავადწიეთ გზატკეცილამდე.

ეს გზა სადღაც შორიდან მოდიოდა, მაგრამ ჩემთვის იგი აქვე იწყებოდა, სოფლის თავში, და სოფლისავე ბოლოს თავდებოდა.

ბაბუამ თქვა, ეს გზა მეფის დროს გაიყვანესო. მე არ ვიცოდი, ვინ იყო მეფე, მაგრამ ბაბუამ ამიხსნა.

კალათი გზისპირას დადგით და შევისვენეთ.

მარჯვენა ხელი საოცრად დამღლოდა. სახსარი მტკიოდა, თითები მიბუჟოდა.

წინ და უკან დავდიოდი და მკლავს ხან მალლა აემართავდი, ხან განზე გავიწვდიდი, რომ კრუნჩხვას გაეცლო.

უცებ მოსახვევში საბარგო მანქანა გამოჩნდა. იგი ნელი ხრიალით უშვებოდა დაღმართზე.

შორიდანვე შევნიშნე, ძარა ცარიელი იყო, კაბინაში მხოლოდ შოფერი იჯდა.

— აქეთ გამოდი, ბებია, ხომ იცი, ქვეყანა არეულია! — მაჯაში ხელი წამავლო დიდედამ და განზე გამიყვანა.

გზის მარცხენა მხარეს ხრამი იწყებოდა და ჩვენ ზედ ხრამისპირას ვიდექით.

ბებიას საერთოდ ეშინოდა მანქანებისა. მით უმეტეს ახლა, როცა თითქმის ყოველდღე მოჰქონდათ ამბავი სოფელში, ჩვენს გზაზე ავარია მოხლავდა, მანქანის ხსენებაზე ატრეოლებოდა.

— გამიშვი, ბებია, ხრამში არ გადამჩეხო! — თითქმის ძალით გამოვგლიჯე ხელი მოხუცს.

ამასობაში მანქანა გაგვისწორდა და ზედ ჩვენს წინ გაჩერდა.

— ქალაქში მოდიხართ? — თავი გამოჰყო კაბინიდან შოფერმა.

— კო, შეილო, ქალაქში... — ცოცმანით მიუგო ბებიამ.

შოფერმა კაბინის კარი გააღო:

— დასხედით!

ბებია საცოდავად აფუსფუსდა, მერე კაბინაში ისე შეიწედა, თითქოს ამოწმებდა, ღირს თუ არა ჩაჯდომაო.

— იქნებ კოლექტივის ოთხთვალას გამოევლო, ბიჭო! — მომიბრუნდა უცებ.

— ოთხთვალა როდის ჩაჩაქჩაქდება ქალაქში, შე ქალო! — გაეცინა შოფერს.

კალათას ჩავავლე ხელი და ადგილიდან ძლივს დაეძარი. მერე ბებიაც წამომეშველა და კაბინაში შევიტანეთ.

— ასე ჩადვით, სიგრიძით... მგონი, ჭყინტი სიმინდია! — წამოიძახა შოფერმა და ცხელი სიმინდის-სურნელი შეიყნოსა: — უპ, რა სუნი აქვს!

შევიკრუნჩხეთ ვიწრო კაბინაში.

მანქანა ნელა დაიძრა ადგილიდან.

შოფერს დავაკვირდი. სრულიად ახალგაზრდა იყო. ოდნავ შეღინღლული სახე, კეხიანი ცხვირი და შავი, ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა. თავზე პილოტურა ეხურა, ტანზე ლაქებიანი კომბინეზონი ეცვა, ფეხზე — ჯარისკაცის მაღალყელიანი ჩექმები.

„სამხედროა!“ გავიფიქრე და უხმოდ გაუღიმე შოფერს, რომელიც საჭეს ორივე ხელით ჩაფრენოდა და გზას მისჩერებოდა.

ბებია მფეხებთან ჩადგმული კალათიდან მოზრდილი ტარო ამოაძვრინა, ჯიბიდან ქალაქში გახვეული მარტილი ამოიღო და ტაროს საგულდაგულოდ წააყარა.

— ჭამე, შეილო, გამომართვი, ნუ გერიდება! — უთარა ბებია, რომელიც შოფერს არც უყურებდა. იგი დაფეთებულ იცქირებოდა გზისკენ.

ვატყობდი, შიშით გული უკანკალებდა, არიქა, კლდეზე არ გადაგვჩეხოსო.

— გეშინია, დედი? — გაუღიმა შოფერმა და მიწოდებულ ტარო გამოართვა: — გმადლობთ!

— ნუ შეგეშინდება, ქვეყანა არეულია, შეილო, და...



შოფერმა ცალი ხელით განაგრძო მანქანის მარჯვნივ მოქცევა.
რეში კი სიმინდის ტარო ეჭირა.

— უჰ, რა გემრიელია! — თქვა, როცა გემო გაუსინჯა: —
მალე დაეწყობა ქვეყანა, ნუ გეშინია!.. — უთხრა ბებიას.

— ახალი ხომ არაფერი გაგიგია, შვილო? — გამოცოცხ-
ლდა ბებია და გზას წუთით მოწყვიტა თვალი.

— ბევრია სიახლე, — თქვა შოფერმა და კიდევ უკბიჩა
ტაროს, — ჩვენი ჯარი მთელ ფრონტზე მიიწვეს წინ.

— მოვესწრებით ვითომ ომის დამთავრებას?

— ახლა ჩვენი ნაწილი მიდის ფრონტზე და, მგონი, მო-
ვუღებთ ბოლოს ჰიტლერს... — თქვა შოფერმა და გაიცინა.

— შენ ჯარისკაცი ხარ? — შეიცხადა ბებიამ. ეტყობა, მას
ყურადღება არ მიუქცევია შოფერის მორთულობისათვის, თო-
რემ მანამდეც მიხვდებოდა, რომ სამხედრო იყო.

— ჰო! — მიუგო შოფერმა.

— და ფრონტზე მიდიხარ? — შემკრთალი თვალები მი-
აპყრო ბებიამ.

— ხვალ მივდივართ...

— ვაი, დედაშენის ცოდვა!

— რა მიშავს, — თქვა შოფერმა, — ახლა მთელი ქვეყა-
ნა ფრონტზეა. — სიმინდის ჭამას მორჩა, ნაქურჩალი სარკმ-
ლიდან გადაისროლა და ახლა მეორე ხელიც ჩასჭიდა საჭეს.
მანქანა ნელა მიდიოდა. გზა თანდათანობით დაბლა იწვე-
და და ქალაქს უახლოვდებოდა.

— ამ დილით უფროსმა გამომიძახა და მითხრა, წადი,
ლადო, მშობლებს გამოემშვიდობეო.

— აქაური ხარ, ნანა? — დაინტერესდა ბებია.

— ჰო, გაღმასოფლელი.

— ეტყვი დედაშენს, ფრონტზე რომ მიდიხარ?

— რა საჭიროა!

— ჰო, ნუ ეტყვი, ცოდვაა! — ამოიოხრა ბებიამ.

— მერე შევატყობინებ.

— მეც მერე მომწერეს შვილებმა.

— შვილებმა?

— ჰო, სამი მყავს... ერთი, ამ ბიჭის მამა, დაქრილი ბებიამ და წამწამები ცრემლმა შეუწება.

— მამაჩემიც დაქრილია, ჰოსპიტალში წევს, განთიადში, — თქვა შოფერმა.

— ბედი ჰქონია, — შეშურდა ბებიას, — ჩემი დასაკარგავში იწვა, ერთი თვის სამგზავროზე...

— შორს რომ ხარ, უმჯობესია, — შოფერმა გადმომხედდა და განაგრძო: — ამ ბიჭის ტოლა და მყავს, გუგულა. ჰო, რომ გაიგო, მამაჩემი აქვე ახლოსააო, გადაფიჩინდა, სანახავად წამიყვანეთო. ანახეს მამა და მერე აღარ მოსცილდა. კინაღამ გაგიჟდა ბავშვი. ერთი ჩვენი ნათესავი ქალი მუშაობს ჰოსპიტალში და იმან თქვა, იყოს აქ, მე მივხედავო და დაიტოვა. დედაჩემი დღეგამოშვებით აკითხავს.

— შეხედე, — თქვა სახეგალიმებულმა და თვალბეჭკვლიანმა ბებია: — ახირებული გოგო ყოფილა შენი და... ჩუჩი ბიჭი კი ჰქვიანია... — თავზე ხელი გადაამისვა.

— ეტყობა, — თქვა შოფერმა და გამიღიმა: — მეზღვაურის ქული ვინ გიყიდა, ბიჭიკო?

— ბებია, — მიეუგე და საკმაოდ გამოხუნებული შავბაფთიანი ქული თავზე შევისწორე.

— სხვა ქულს არ იხურავს, — თქვა ბებია.

— ალბათ, მეზღვაურობას აპირებს.

— მეზღვაურები მამაცები არიან, — შევნიშნე მე.

— პატარა რომ ვიყავი, მეც ასე მეგონა, — გაეცინა შოფერს, მერე ჩემს ცხვირწინ ღილაკს დააჭირა თითი, პატარა უკრა გააღო და იქიდან პაპიროსის კოლოფი გამოიღო.

უკრაში უშველებელი ნიჟარა დავინახე, ნამდვილი ნიჟარა, როგორიც ჩემი უბნის ბიჭებიდან მხოლოდ გერონტი ტოტოჩიას ჰქონდა.

მერე როგორ იბღინებოდა ტოტოჩია! საკმარისი იყო, რომელიმე თანატოლისათვის უფლება მიეცა, მხოლოდ ერთხელ მიედო ყურზე ნიჟარა, რათა მისი საოცარი, იღუმალე-



ბით აღსავსე ხმაური მოესმინა, რომ სამუდამოდ ყურმილებს მოხდა მოხდა.

ბიჭები ამბობდნენ, ასე გეგონება, ნიქარის სიღრმეში ლოპოტების ლაშქარია გამომწყვდეულიო. მე კი ერთხელაც არ მიმიღვია ყურზე ტოტოჩიას ნიქარა. არ ვიცი, რატომ, თავს არ ვიმიცირებდი, თუ მისი ქედმაღლობა მხეთქავდა გულზე. ერთხელაც არ მითხოვია მისთვის, ხელი მაინც შემაველებინე-მეთქი.

ახლა კი აგერ დავინახე იმისთანა ნიქარა. ისე გამიტაცა ნიქარაზე ფიქრმა, არც გამიგია, როდის გავიარეთ დაღმართი. თვალმოუშორებლად მივჩერებოდი დახურულ უჯრას.

— დაყრუვდი, ბიჭო? — ხელი მკრა ბებიამ.

— რა იყო?

— ბაზარში თუ ყოფილხარ ჯერ-მეთქი! — მკითხა შოფერმა. იგი გაღიმებული მიცქეროდა. მგონი, შემატყო, რატომ მივჩერებოდი უჯრას.

— არა, — ვუბასუხე შეცბუნებულმა.

უცებ შოფერმა კვლავ დააჭირა დილაქს თითი. უჯრიდან ნიქარა გამოიღო და გამომიწოდა:

— აბა, ყური მიადე!

ნიქარის კონუსისებურ, ხორკლიან ზედაპირს დარცხვენივთ შევაველე თვალი.

— ჩემმა გუგულამ მთხოვა, დიდი ნიქარა მომიტანეო და მისთვის მიმაქვს, — თქვა შოფერმა და ნიქარა თითქმის ქალისძალად ჩამიღო ხელში.

კვლავ დავხედე სანუქვარ სათამაშოს, ხორკლებზე ხელისგული გადავესვი, მერე გადავაბრუნე და პრიალა, საოცრად გლუვ ღრმულში ჩავაცქერდი.

— ყურზე მიიდე, ყურზე!

ნიქარა ყურზე მივიდე. მართალია, მანქანა ხმაურით მიდიოდა, მაგრამ მაინც გარკვევით გავიგონე რაღაც გაბმულა, ხრიალისმაგვარი ხმა.

— ზომ გავიგონე ხმაური? — მკითხა შოფერმა.

— კი, — ვუბასუხე და ნიჟარა ისევ მივიდე ყურზე
— სწორედ ასე გუგუნებს ბაზრობაზე ჩამოსული ხალხი.
გამეცინა. ვცადე, წარმომედგინა ბაზარი.

— შენც ნახე, ბები! — ვუთხარი ბებიას.

მანაც არ გამაწბილა, თავშალი გადაიწია და ყური მო-
მიშვირა.

— დასწყევლის ღმერთი ეშმაკს! — წამოიძახა ბებიამ: —
რა საკვირველი ზმაური ისმის შიგნიდან.

კარგა ხანს ვიყავით მდუმარედ.

შოფერი საჭეს ჩაფრენოდა და მანქანას მიაქროლებდა.
ბებია, თუმცა ახლა ოდნავ დამშვიდებულიყო, მაინც შიშის
გამომხატველი თვალებით მისჩერებოდა გზას, მე კი ხელში
ნიჟარა მეჭირა და ნატურისთვალის მპოვნელი კაცის კმაყო-
ფილებით ვეაღერებოდი მას.

უცებ შოფერმა ღიღინი დაიწყო.

ეს სიმღერა იმდენად გავრცელებული იყო, პატარებმაც
ვიცოდით.

ერთხანს ყურადღებით ვუსმინე შოფერს, მერე ვეღარ მო-
ვითმინე და ავყევი.

— ყოჩაღ! — შემაქო შოფერმა, სიძლერას რომ მოვრ-
ჩით, — შენ ნამდვილი მომღერალი გამომხვალ.

— კარგად მღერის ჩემი ბიჭი, — კვერი დაუკრა ბებიამ
და ხელი მომხვია.

* * *

შოფერმა ბაზრის გადასახვევთან გააჩერა მანქანა.

— მეჩქარება, თორემ კარებთან მიგიყვანდით!

— რაუა გეკადრება, შვილო, აქედან ორ ნაბიჯზეა ბაზა-
რი, — უთხრა ბებიამ და კაბინიდან გამოვიდა.

კალათი ჩამოვადებინე და მანქანის კარი მივხურე.

— კარგად იყავით! — დაგვემშვიდობა შოფერი.

— იცოცხლე, შვილო! წალმა გატაროს უფალმა! — და-
ლოცა ბებიამ.

მანქანა მოწყვეტით დაიძრა ადგილიდან.



იმ წამსვე თავზარი დამეცა. გამახსენდა, რომ ხელშეკრულების ნიჟარა მეჭირა.

— ბიძიაა!.. ლაღო!.. — ყვირილთ დავედევნე მანქანას. ის იყო, დავეწიე კიდეც, მაგრამ მანქანამ სიჩქარეს მკვეთრად უმატა და ერთბაშად უკან ჩამომიტოვა.
— გააჩერე, ბიძია!.. ნიჟარა!.. — ვყვიროდი და გავრბოდი.

რაკი ვიგრძენი, სირბილს აზრი აღარ ჰქონდა, გავჩერდი და გულდაწყვეტილად მივაჩერდი შორს წასულ მანქანას. ეს რა დამემართა! ფრონტზე მიმავალ ძმას პატარა დიკოსთვის დანაპირები საჩუქარი მიჰქონდა და მე შემრჩა ხელში! რა უნდა ჰქნას ახლა ლაღომ, რა უთხრას თავის დას?

ატირებას ცოტალა მიკლდა, მაგრამ რა უნდა მექნა? ხელი ჩავიქნიე და უკან გამოვბრუნდი.

— რა მოგელანდა, ბიჭო! — შემომწყრა ბებია.
— არ ხედავ, რა მომივიდა, ბები?
— რა იყო-მეთქი?
— ხელში არ შემრჩა ეს ოხერი! — დავანახე ნიჟარა.
— დიდი ამბავი მომხდარა! — მითხრა ბებიამ. — ნიჟარის მეტა რა ჰყრია ზღვისპირზე!

* * *

ბაზარში შევედი. ბებიამ შინიდან წამოღებული ყვითელი გაზეთი გაშალა და დახლზე დათინა. მერე ზედ მოხარშული სიმიინდის ტაროები დაალავა.

მე დახლზე წამოვსკუბდი. წედანდელი წყენა თითქმის დამავიწყდა. ჩიბიდან ნიჟარა ამოვიღე, კიდეც ერთხელ შევათვალე და ყურთან მივიტანე. რაღაც ყრუ, ზღვის შორეული ფუგუნისმაგვარი ხმაური გავიგონე.

ნიჟარა ყურიდან მოვიშორე და ხმაურიც გაქრა. ისევ მივიღე, ისევ იგივე ხმაური გამეორდა.

კაცს, მართლაც, ეგონებოდა, იქედან შორეული ბაზრის ბუბუნი აღწევსო.



— ბებია, რატომ არ არის დღეს ბევრი ხალხი ბაზარში?

— აბა, რა ვიცი, შვილო! — მომიგო ბებიამ და თვალჩინოსანი ბიზნიოსეკა ჩვენკენ მომავალ ცალხელა კაცისაკენ გაექცა.

კაცი ზომაზე მალალი, სუსტი და ფერმკრთალი იყო.

სიარულისას ჯანსაღ ხელს მწკრივში მდგომი ჯარისკაცივით მოაქნევდა, ხოლო მეორე მოკვეთილი მკლავის ცარიელი სახელო ხალათზე კოხტად შემოჭერილ ქამარში ჩაეტანებინა.

— გამარჯობა, ბიცოლა ეფროსინე! — უთხრა ბებიას იმ კაცმა და მარცხენა ხელი გამოუწოდა.

— კინალამ ვერ გიცანი, ბიჭო! — აღმოხდა ბებიას და ხელი ჩამოართვა: — რაა ხარ, კუკური?

— რა მიშავს.

— მადლობა ღმერთს, შვილო, ცოცხალი გადარჩენილხარ.

— ჰო, გადავრჩი. — კაცს სახეზე სევდიანი ღიმილი აღებეჭდა.

ბებიამ ერთხელ კიდევ შეათვალიერა ის.

— კვლავ ბაზრის უფროსად მუშაობ?

— ჰო, ჩემს ადგილზე დამაბრუნეს. სხვა სამუშაოს კიდევ ეს მირჩევნია, მიჩვეული მაინც ვარ.

— გედევანი სადაა?

— ისიც ფრონტზე წავიდა, — მიუგო ცალხელამ და ჯიბიდან ქვითრების გორგალი ამოიღო, — ქვითარს დაგეტოვებ და ფულისთვის მერე გამოგივლი. — გორგალს ქვითარი მოახია და კალათაში ჩადო.

— ფული ახლაც მაქვს, — უთხრა ბებიამ, უბიდან განასკვული ცხვირსახოცი ამოიღო, გახსნა და დაჩინჩული მანეთიანები გაუწოდა.

— აბა, კარგად ივაჭრეთ! — თქვა, ფული ჯიბეში ჩაიღო და მარცხენა ხელის რხევით წავიდა.

— საწყალი, რა აღმასივით ბიჭი იყო!.. — თქვა ბებიამ და ამოიოხრა.

ბაზარში ნელ-ნელა იმატა ხალხმა. უმეტესად სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცები და შავით მოსილი ქალები იყვნენ.



ჯერ თითქმის არავის გამოუხედავს ჩვენკენ, მეშვენიერად
 ბაშად დაგვეხვია მუშტარი.

— შენ აქ იყავი, შვილო, — მითხრა ბებია, — მე ცო-
 ტას გავივლი, იქნებ ვინმეს კარტოფილი ჰქონდეს გასაყიდი.

- სიმინდი გავყიდო?
- გაყიდე!
- კარგი.

ბებია წავიდა, მე კი დახლიდან ჩამოვხტი და კალათასთან
 დავდექი, თითქოს გამყოფველს სწუნობენო, ჩემკენ არავინ
 იხედებოდა.

გული დამწყდა, რომ ერთი ტაროც ვერ გავასაღე.

მალე ვილაც თეთრწვერა მოხუცი მოვიდა და ჩემს გვერ-
 დით დადგა. ხელში ბადურა ეჭირა. ბადურაში თეთრ ნაჭერ-
 ში გახვეული რაღაც ედო.

— გამარჯობა, ბაბულიკო! — კეთილად შემომცინა მო-
 ხუცმა.

- ფაგიმარჯოს!
- ვაჭრობ?
- ჰო.

— აქ ჯობია, თუ იქ დავდგე ნეტავ, — თქვა და წვრილი,
 ალერსიანი თვალები მომაჩერა.

— რა ვიცი, — მხრები ავიჩეჩე.

მოხუცმა ბადურა დახლქვეშ შედო, მერე დაიხარა და
 თეთრ ნაჭერში გახვეული ბოთლი ხელში აიღო, ნაჭერი შე-
 მოაცალა და შეანჯღრია.

— ცეცხლია, ნამდვილი ცეცხლი! — გამიღიმა და თვალი
 ჩამიკრა.

- არაყია?
- ჰო, ყელს ხომ არ გაისველებ?
- არა.

— მე უკვე... — ყანყრატოზე მიირტყა წვიპურტი. სახე
 ისე ჰქონდა აღაჟღაჟებული, ეტყობოდა, დილას საკმაოდ და-
 ელია.



ასე იციან მოხუცებმა, ბაბუამაც ასე იცის ხოლმე დილით ერთი ჭიქა თუ მაინც არ გადაჰკრა, ხასიათზე არაა.

მოხუცმა ბადურთან პატარა თეთში და ქალაქში გახვეული დასაყოლებელი — წვრილად დაჭრილი წნილი, ამოიღო.

ერთბაშად მომადგნენ მუშტრები და, როცა ბებია დაბრუნდა, სულ რამდენიმე ტაროლა მედო წინ.

— დანარჩენი გაპყიდე? — გაუკვირდა ბებიას.

— გავყიდე! — ამაყად ვუთხარი: — ამისთვის კი გაჩერებაც არა ღირს, წავიდეთ!

— ცოტა კიდევ შევიცადოთ, ჯერ ადრეა.

ბადურა, რომელიც კარტოფილით იყო სავსე, ბებიამ კალათაში ჩადო, მერე დახლს ნიდაყევებით ჩამოეყრდნო.

— რა ღირს, ბიძია, შენი არაყი?

— ცხრად ვყიდი, მაგრამ შენ რვა თუმნად მოგცემ.

მოხუცთან ვილაც შუახნის კაცი იდგა. ხელში ყავარჯნები ეჭირა. სქლად შეხვეული მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილად აეწია მაღლა. ტანზე გამოხუნებული შარვალ-ხალათი ეცვა, თავზე პილოტურა ეხურა.

მაშინ ყოველ ნაბიჯზე შეიძლებოდა დაჭრილი ჯარისკაცების ნახვა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ჯოჯოხეთური ომის ალი გიზგიზებდა, მაგრამ ამ სანდომიანი კაცის გამოხედვამ, მისმა ღიმილიანმა სახემ და რბილმა, ალერსიანმა ხმამ განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება.

— არაყი კი არა, ცეცხლია, ბიძია, ცეცხლი!

ჯარისკაცს გოგო ახლდა. ასე ჩემი ხნისა თუ იქნებოდა, შეიძლება ჩემზე უმცროსიც. ცისფერი თვალეზი და სასაცილოდ აპრეზილი ცხვირი ჰქონდა. კიკინები თხის კუდს მიუგავდა. გარშემო ამაყად იხედებოდა. თვალს ისე აცეცებდა, ეტყობოდა, დიდი მოუსვენარი ვინმე იყო.

— მოიტა ბოთლი! — უთხრა ჯარისკაცმა გოგოს. ბავშვმა ხელჩანთიდან ფაცხა-ფუცხით ამოიღო ნახევარლიტრიანი. — გამივსე, ბიძია! — მიუბრუნდა გამყიდველს და ბოთლი გადასცა. მერე ფული გადაუხადა და ჩვენკენ წამოსვლა დააპირა.

— ერთი ჭიქა უნდა დამილიო! — შეაჩერა მოხუცმა ქიქია გაუვსო.

ჯარისკაცს დიდი თავპატიყი არ დაუწყია, ჭიქა გამოსართვა და უსიტყვოდ გადაჰკრა.

— დააყოლე რამე, კაცო! — უთხრა არყის პატრონმა და წნილიანი თევში ახლო მიუჩოჩა.

— არა, დათქმული მაქვს, პირველ სასმისს არაფერი დავაყოლო... ჩემთვის ყოველი პირველი სასმისი ცეცხლისპირზე მყოფი ხალხის სადღეგრძელოა და... — ჯარისკაცმა ხელი ჩაიქნია, ყავარჯნები მოიმარჯვა, მოხუცს მადლობა გადაუხადა და ჩვენკენ ხტუნვა-ხტუნვით გადმოინაცვლა.

— ჭყინტი სიმიინდი! — აღტაცებით თქვა კაცმა და გოგოს მიუბრუნდა: — მშვენიერი დასაყოლებელი ვიშოვნე! — დახლს ჩამოეყრდნო: — რა ღირს სიმიინდი?

შემებრალა დაჭრილი კაცი, რადგან ახლა უფრო გარკვევით შევამჩნიე, რომ უფერული სახე და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა. კაცმა შემომხედა და ფერგამკრთალ სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— რაც გინდა, მომეცი, — უთხრა ბებიამ ჯარისკაცს და ნაღვლიანი თვალები შეავლო.

ბებიას არ შეეძლო, დაჭრილი ჯარისკაცი ენახა და არ აცრემლებულიყო.

— გუგულა, აარჩიე, შვილო! — უთხრა გოგოს მამამ.

გოგომ დახლზე დაწყობილ ტაროებს გადახედა და თქვა:

— აქ ასარჩევი არაფერია.

„გუგულა... გუგულა“ უცებ ვერ გავიხსენე, ვისგან გავიგონე ეს სახელი დღეს.

„დიდი მეტიჩარა კი უნდა იყოს!“

გოგომ აკრიფა სიმიინდის ტაროები, ჯარისკაცმა ჯიბეები მოიქექა, რამდენიმე მანეთიანი ერთმანეთზე დააწყო და გადათვალა:

— გეყოფა? — ჰკითხა ბებიას და დაკეცილი ფული წინ დაუდო.



— რავე არა, — უთხრა ბებია, — დანარჩენიც წაიღებ, რა დასატოვებელია... ფული არ მინდა.

— არა, ჩვენ მეტი არ გვინდა.

კაცი ხტუნვა-ხტუნვით გაგვეცალა, თავისუფალ დახლზე შესკუბდა, ყავარჯნები საიმედო იარაღივით დაილაგა გვერდით და ბოლოს თავი მოუხსნა.

— ჭიქას ვერ მათხოვებ, ბიძაჩემო? — დაუძახა არყის გამყიდველს.

— კი, ბიძია, რავე ვერ გათხოვებ!

გოგომ მოხუცთან მიიბრინა და ჭიქა გამოართვა. ჯარისკაცმა ჭიქაში არაყი ჩაასხა.

— გაგვიმარჯოს! — დაილოცა და ჭიქა დასცალა. სიმინდის ტარო აიღო და მსხვილი მარცვლები ხელით მოფშვნა. — ჭამე, გუგულა!

ბებია თვალეზგაფაციცებით გასცქეროდა მათ. მე კი უცებ მომაგონდა, რომ ჯიბეში ნიჟარა მედო. იგი რომ ნაჩუქარი ან გზაზე ნაპოვნი ყოფილიყო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, მაგრამ ახლა...

ჰო, ჰო, რა ამბავში იქნებიან ბიჭები, შინ რომ ავალ! ფუტკარივით დამეხვევიან. ტოტოჩიაც კი ქედს მომიხრის, მაგრამ ახლა მე დავიდებ ფასს.

— ეს ნიჟარაა? — უცებ ჩემთან მოიჭრა გუგულა. გოგოს თვალეზი უცნაურად შელაგდა.

— ჰო, ნიჟარაა.

— ვინ მოგცა?

„გუგულა... ეს ხომ ჯარისკაც ლადოს დაა, იმ ლადოსი, მე და ბებია რომ დღეს ქალაქში მანქანით ჩამოგვიყვანა... ის კაცი კი მამამისია... გუგულა... ალბათ, დღეს გამოწერეს მამამისი ჰოსპიტლიდან...“ — გამიელვა თავში.

— გზაზე ვიპოვნე... — ვიცრუე და სახეზე ცეცხლი წამეკიდა.

— მეც მომიტანს ჩემი ძმა ნიჟარას... მაჩვენე!

ნიჟარა უხმოდ გავუწოდე. გოგომ ხელში შეატრიალა,



პრიალა ღრმულში ჩახედა, ხორკლიან ნაწიბურებზე გული გადაუსვა და თქვა:

— ეს პატარა... ლადიკო უფრო დიდს მომიტანს.

— ლადო შენი ძმია?

— ჰო, ძმია, — ამაყად მომიგო და ნიჟარა გამომიწოდა:

— შენ საიდან იცნობ? — თვალები გაუბრწყინდა.

— ვიცნობ. ყურზე მიიღე, ყურზე! — არ გამოვართვი ნიჟარა.

— არ მინდა, — მომიგო და ნიჟარა დახლზე დადო: — მე ლადო მომიტანს.

„ჰო, გუგულა ჩვენი ნაცნობი ლადოს დაა“.

— ის კაცი მამაშენია?

— ჰო.

— ფრონტზე დაიჭრა?

გუგულამ გადაიკისკისა.

— რა გაციინებს?

— შენი სისულელე! — კვლავ გაიცინა მან, — აბა, ზურგში ზალხს ვინ დაჭრის! — მერე ერთბაშად დამშვიდდა, სახეზე ღიმილი გაუჭრა და ხმადაბლა თქვა: — ექიმმა უთხრა, ერთი წვეთი არ დალიო, ეს კი სვამს.

— დღეს გამოწერეს?

გუგულამ თავი დამიქნია და მამისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

„ლადო... გუგულა... ნიჟარა...“ მერეოდა თავში. ისე ავირიე, ლამის ტირილი ამივარდა. უცებ ბეზიას მივუბრუნდი:

— წავიდეთ შინ!

— ბარემ ცოტაც მოვიცადოთ, შემოგვევლე!

ბაზრის შესასვლელთან შეზღვაურას მოკვარი თვალი. მასაც ჩემსავით შავბაფთიანი ქუდი ეხურა, ოღონდ ჩემგან განსხვავებით ზედ ოქროსფერი ასოებით ეწერა რალაც.

მეზღვაური მალალი იყო, განიერ ნაბიჯებს დგამდა, თან დახლებს გულდასმით ათვალეირებდა. უცებ თეთრწვერა მოხუცი შენიშნა და მისკენ წამოვიდა.

მომეჩვენა, რომ ის ახლა კიდევ უფრო გრძელ ნაბიჯს



ადგამდა. წელში ოდნავ მოხრილიყო, მაღალი, ნაოჭიანი მკობრული ლი შეეკრა, პირი მოეკუმა და ისე უახლოვდებოდა მოხუცს, გეგონებოდა, მისვლისთანავე ყელში სწვდებოდა.

თვალს არ ვაშორებდი მეზღვაურს, რომელიც მოხუცის წინ შეჩერდა:

— გამარჯობა, ბერკაცო! — ქალივით წივიანა ხმა ჰქონდა.

— გაგიმარჯოს! — მიუგო მოხუცმა და აწრიალდა, დახლებე უმიზნოდ მოათვათურა ხელი, მერე ბოთლს სწვდა და ბადურისკენ გააქანა, მაგრამ მისი დამალვა მეზღვაურმა აღარ აცალა, მაჯაში ხელი სტაცა და ხმამაღლა შეუტია:

— ერთი ჭიქა არაყი არ გემეტება ჯარისკაცისთვის, შე დამწვარო! — მერე ხელი უშვა, წელში ისე გაიმართა, ზედატანი უკან გადაეზნია: — სულ დაგილენწავ ახლა მაგ ბოთლებს!

დაფეთებულმა მოხუცმა ჯერ ჩვენკენ გამოიხედა, შემდეგ გუგულას მამას მიაპყრო თვალი.

გუგულას მამა ყურადღებით მისჩერებოდა მოხუცსა და მეზღვაურს.

— დამისხი! — უბრძანა მეზღვაურმა.

მოხუცმა ბოთლს საცობი მოჰხადა და ჭიქას დაუწყო ძებნა. მერეღა მოაგონდა, რომ ჭიქა ჯარისკაცს ათხოვა და იქეთ გაიხედა.

დაჭრილი უცებ დაფაცურდა, ყავარჯნები მოიმარჯვა, დახლიდან ჩამოხტა და მეზღვაურს უხმო:

— მოდი, ძმაკაცო, ერთი ჭიქა მე დამილიე!

— არ მინდა, აგერ ბიძაჩემი დამალევენებს.

— ესეც მაგ არყისაა, შე კაცო! — ხმაში წყენა დაეტყო გუგულას მამას.

— არ მინდა-მეთქი, რას გადამეკიდე! — შემოულრინა მეზღვაურმა და ლიტრიანს წააელო ხელი. მოხუცმა ბოთლი არ დაანება. მეზღვაურმა დიდრონი, რისხვიანი თვალები დაუბრიალა.



ის იყო, შეშინებული მოხუცი ბოთლის დანებებდა რეზინის
რეზინა, რომ მათთან გუგულებს მამა მივიდა.

— რას ემართლები მამისტოლა კაცს? — დაბალი, მტკი-
ცე ხმით უთხრა მან მეზღვაურს და მკერდზე ხელი ჰკრა: —
მოეშვი!

მეზღვაურმა ბოთლს ხელი უშვა და დაჭრილისკენ მობ-
რუნდა.

— თავი ზომ არ მოგძულეხარ! — თვალეზი გადაუთეთრა
მან: — წადი, შენს საქმეს მიხედ!

— უსინდისო! — დორბლს ყრიდა მოხუცი: — შენ მირ-
ჩენ ჩემს ობლებს?

უცებ მათთან გუგულა მიიჭრა, მამას საღ ფეხზე ხელი
მოხვია:

— წამოდი, მამა, თავი გაანებე!

ჯარისკაცს ტუჩები უთრთოდა და განრისხებული შესცქე-
როდა მასზე ბევრად მაღალ მეზღვაურს.

ვედრებით რომ ვერაფერი გააწყო, გუგულას სლუკუნი
აუვარდა.

— მამა, მამა!..

შემეცოდა გოგო. დავიხარე, დახლქვეშ გავძვერი და მას-
თან მივედი, გვერდში ამოვუდექი.

ამ დროს მეზღვაურმა დაჭრილს გულისპირში ჩაავლო ხე-
ლი და ნჯღრევა დაუწყო.

— ცხვირით მიწას გახნევიანებ, შე უბედურო, რომ არ მე-
ცოდებოდე!.. — მკერდზე ხელი ჰკრა.

ცალფეხამ თავი ველარ შეიმაგრა და დაეცა.

— დაგიდგეს თვალი! — შეიცხადა ბეზიამ.

არყის პატრონმა მადურას ხელი წამოუსვა და გაიქცა.

მე, გუგულამ და ბეზიამ დაჭრილი წამოვაყენეთ. ჩვენს
გარშემო ხალხმა მოიყარა თავი.

— გაეთრიე აქედან! — რისხავდა ხალხი მეზღვაურს.

— დაწყნარდი, ამხანაგო, გაგიგონია ასე ნერვების
აშლა? — უთხრა დაჭრილს ერთმა ხანშიშესულმა კაცმა, რო-
მელსაც ცალ ხელზე შავი ხელთათმანი წამოეცვა.



— რა დამაწყნარებს, როცა ეს ზურგის ვირთხა ასე მტკნურად
ვა! — თქვა ჯარისკაცმა და მეზღვაურისკენ გაიწია, მაგრამ
არ გაუშვეს.

— რა ამბავია? — მომესმა უცებ ნაცნობი ხმა. მივიხედე,
თავს ის ცალხელა კაცი წამოგვდგომოდა, დილას რომ ბებიას
ქვითარი დაუტოვა. მას გვერდით არყის გააყიდველი ბერიკა-
ცი ედგა.

— ა, ეს უსინდისოა, ბატონო! — მიუთითა მოხუცმა მე-
ზღვაურზე, რომელიც კუკურის დანახვისთანავე ხალხში შე-
ვარდა.

— სად გარბიხარ, შე მხდალო, შენა! — მიძახა კუკურიმ
მეზღვაურს და უკან გამოუდგა. რაკი იგრძნო, მომდევნო,
მეზღვაურმა ისე მოცოცხა, მწვევარიც ვერ დაეწეოდა.

კუკური შემობრუნდა და დაჭრილ ჯარისკაცთან მივიდა.

— ვინ ოხერია ეს აყლაყუდა? — ჰკითხა ერთმა.

— მეზღვაურია, ვერ ხედავ? — უპასუხა მას ვიღაცამ.

— მფრინავი არ გინდა? — წარბი გაეხსნა კუკურის: —
ვიღაცას უჩუქებია და მეზღვაურის ფორმით დაეთრევა.

— სულელია? — იკითხეს სხვებმა.

— არა, მაგრამ არც მთლად დაწყობილადაა... გარეწა-
რია. — კუკური გუგულას მამას მიუბრუნდა: — ხომ არაფე-
რი გეტყინა?

— არა, არაფერი... აბა, ჯარში არ მსახურობს? — ვაკეირ-
ვებით აპხედა ბაზრის უფროსს.

— ჯარში რა უნდა იმ დამთხვეულს.

— მეგონა, მართლა კაცი იყო. — თქვა უკმაყოფილოდ
ჯარისკაცმა.

— დაიშალეთ, ამხანაგებო, — მიმართა ხალხს კუკურიმ, —
იმას თუ ბაზარში შემოსულს ნახავთ, ნუ შეგეშინდებათ,
ჩემი სახელი უხსენეთ და მეტი არაფერი უნდა.

ამ დავიდარაბაში გუგულა სრულიად გადამავიწყდა. იგი
ისევ დახლთან იდგა და ჩუმად სლუკუნებდა.

მივედი. თავი ასწია და შემომხედა. ჯერ თითქოს გაბრაზ-



და, რომ ასე ახლოს ვიდრე, წუთით კოპები შეიკრა, მერე
ნელ-ნელა დაშოშმინდა და ოდნავ გაეღიმა კიდევ.

— მე ვიცოდი, რომ მამაშენს ვერ მოერეოდა ის აყლა-
ყუდა. — ვუთხარი და გავუღიმე, — გუგულა, ერთი თხოვნა
უნდა შემისრულო!

— რა თხოვნა? — გაუკვირდა გოგონას.

ჯიბიდან ნიჟარა ამოვიღე და გავუწოდე:

— ეს ნიჟარა შენია.

— ჩემი? საიდან?

— შენია, მერე გაიგებ, — ეს იმიტომ ვუთხარი, რომ ვი-
ცოდი, შინმისულს ლადო ეტყოდა, შენთვის ნიჟარა მომქონ-
და, მაგრამ გზაზე დამეკარგაო, — ლადოს მანქანაში ვიპო-
ვე, — გამოვუტყდი ბოლოს.

— ლადიკოს? — თვალეები აუცქრიალდა გოგოს. — სად
ნახე ლადიკო?

— სოფლიდან მანქანით ჩამოგვიყვანა.

— მერე თვითონ საით წავიდა?

— მგონი, ჰოსპიტალში, თქვენს სანახავად...

— აუპ! — შეიცხადა მან, ნიჟარას დახედა და მთელი სა-
ხით გაიღიმა.

— ეს ნიჟარა შენთვის მოჰქონდა ლადოს.

— შენ რა იცი, ჩემთვის მოჰქონდა?

— ვიცი, — ვუთხარი და ნიჟარა შევაჩეჩე. მერე მივ-
ბრუნდი და ბაზრის გასასვლელისკენ წავედი. ვიცოდი, გუ-
გულა მიყურებდა, მაგრამ უკან მაინც არ მივიხედე, არ მივი-
ხედე იმიტომ, რომ მისი გაღიმებული, შუქიანი თვალეები წან
მეღა.

მეგობრებს

თქვენ ახლა ჩემგან შორსა ხართ ისე,
 ძნელია,
 გზები სავალი ძებნო.
 ვიცი,
 არ მკითხავთ სიჩუმის მიზეზს
 და გადამკოცნით
 უბრალოდ, ძმებო!

მოვდივარ...
 გხედავთ
 და ხელებს გიქნევთ
 და მეჩვენება
 სიზმარი ცხადად.
 მხოლოდ იმიტომ დაგშორდით იქნებ,
 რომ უთქვენობა გამომეცადა.

გაგიკვირდებათ მეგობრებს, მჯერა, —
 როგორ შევძელი
 დუმილი დიდხანს.
 რა ვქნა,
 შემძულდა წერილის წერა
 და უეცარი
 შეხვედრა მიყვარს.

დღეს,
მართალია,
შორსა ვარ თქვენგან,
მაგრამ მე თქვენზე
ფიქრები მშველის.
ხომ უნდა ვინმეს უყვარდე ქვეყნად,
ხომ უნდა ვინმეს სჯეროდეს შენი!

ცადიქროლებენ
მთებზე ღრუბლები
და მათთან ჩემი ოცნებაც მიჰქრის.
„დედაო ღვთისავ!“ —
მეჩურჩულება
გალაკტიონის პატარა წიგნი.

თუ უთქვენობას აქამდე ვითმენ,
დადგება ჩემი სიმღერის ჯერიც,
ოღონდ
ნამდვილად ვუყვარდე ვინმეს
და ვინმეს
მართლა სჯეროდეს ჩემი.

□

თოვლი

თოვს,
ახლა თოვს და...
ისევ აქა ვარ,
შენი თვალები ისევ მეძებენ.
ჯერ იმედები
არსად გამჰრალან
და თოვლქვეშ სძინავთ,
როგორც ენძელებს.

უკვე მესამე ზამთარი მიდის...
თოვლია გარეთ.
კარგია თოვა!
დარჩენილ დღეებს
თითებზე ვითვლი,
მალე,
სულ მალე, აპრილიც მოვა.
და შენ გეცმევა
ცისფერი კაბა,
და შენთან ერთად
დავკრეფ ენძელებს...
და მომიყვები
უბრალო ამბავს,
შენი თვალები როგორ მეძებდნენ.

□

* * *

მზე აწეულა ხეებზე მალა
და შემოხედვას აპირებს სულში,
და უნებურად ივიწყებ ახლა,
თუ ვინმემ გული გატყინა გუშინ.
და გემატება ძალა და სითბო
და წუთით თავი სიზმრად გგონია,
და ყველაფერი მალლდება თითქოს:
ზღვა, სანაპირო და მაგნოლია.

□

მამა

ზეცა დამყურებს შენი თვალებით,
ტკივილით მავსებს ყოველი წამი.

სალამოვდება,
მთას ეფარება
მზე,
შენ რომ ასე გიყვარდა, მამი!

შარშანდელივით ეს წელიც გავა
და გამიჩნდება ახალი საქმე...
მე შენს საფლავთან მუნჯივით ვდგავარ,
და ეს თვალენი ამბობენ სათქმელს.

და არაფერი,
რაიც ვშვენოდა,
არ შერჩენია ფერწასულ სურათს,
და დამსხვრეულა სიცილი შენი,
როგორც იმსხვრევა უბრალო სურათ.

□

* * *

ახლა
მომწყურდი
წყაროსავით
და მომენატრე.
მოვდივარ,
ჩრდილი საკუთარი
ამედევნება.
ეხედავ,
მანძილი
მიმოკლდება,
ძმაო, შენამდე...
კურთხეულ იყოს
დღევანდელი დღის გათენება!

ალიონია,
მზესთან ერთად
ავენთები და
შემოვალ შენთან
მე —
უსაზღვრო
ბედნიერება...
ეს გაუმარჯოს
მზის ამოსვლას
ქართლის მთებიდან,
კურთხეულ იყოს
ღღევანდელი ღლის გათენება!

□

ფოთოლცკენა

შენ მეგულები ამ მთის გადაღმა,
მე კი საკუთარ ფიქრებთან ვრჩები.
ნეტავ შემეძლოს ფიქრი ხმამაღლა,
ნეტავი მართლა გესმოდეს ჩემი.
ნეტავ შემეძლოს, გაგესაუბრო
და მოგაწვდინო ყველა სტრიქონი.
რატომღაც იმას ვაფასებთ უფრო,
რაც დავკარგეთ და ველარ ვიპოვით.
თოვს და ყველაფერს წაერთვა ფერი
და მუხებზე შერჩათ ძველი ღიღება.
ფგავარ კაცს, ვისაც უნდოდა ბევრი,
და ცოტა რამით კმაყოფილდება.
სღუმხარ და, ალბათ, ღუმილიც გშვენის,
ვინ შეგასწავლა ღუმილის ენა?!
მე მინდა, ჰგავდეს დაკარგვა შენი
შემოდგომაზე ფოთლების ცვენას.

უფლისციხე

დგას ციხე — ცისკენ მხრებაწეული,
თეთრი ღრუბელი თავზე ევლება...
ჩემს წინ დგას ორი ათასწლეული
და ქვაღქცეული საკვირველება.

საუკუნეებს საფეხურებით
ფითვლი და ასე ავდივარ მაღლა,
წარსულის ჩრდილი დამეხურება,
ფრთას გამკრავს მისი მთვლემარე ტალღა.

და ისტორიის ფურცლები ვრცელი
გადაიშლება ვიწრო ჩარჩოდან...
ორი ათასი კვიმატი წელი
ციხემ მუხლებზე წამოაჩოქა.

და ჩვენს მღელვარე დღეებს გაანდო
საუკუნეთა წყლული და დარდი;
ჩრდილი ხელიკივით ქვებზე გადადის,
კედელს აპკვრია წინაპრის ლანდი.

და მზის სხივები ქვის დარბაზებში
თითქოს რაღაცას ჩუმად ეძებენ
და ჩუქურთმები, როგორც ძარღვები,
ისე ფეთქავენ მყუდრო კედლებზე.

□

ვაჯის ფოთოლი

ბაბუაჩემო,
შენი ხელი აკლია ვენახს,
და უშენობას
თითქოს გრძნობენ

ვაზის ფესვებიც;
გრამენდნენ ჩუმად,
შენც გესმოდა
იმათი ენა
და არ იცოდი
არც სიმშვიდე,
არც მოსვენება.

მწამს,
ყველა კვირტი
შენი სუნთქვით აახელს თვალებს,
არ წაერთმევა
ვიდრე მთვარეს
ფერი ფორთოხლის...
დავდივარ,
ვეძებ შენი ფეხის
ნაცნობ ნაკვალევს
და შენს ძარღვიან ხელს მაგონებს
ვაზის ფოთოლი.

□

მოგონებაში

მესტუმრებიან... მიმატოვებენ,
ვით სურვილები, ანდა ვნებები...
როგორც ჩიტები ნუშის რტოებზე,
ჩემს სულში სხედან მოგონებები.

და ის წუთები თავდავიწყების,
ამ მაღალ ზეცას ვუყურებ ვიდრე,
კიდევ რამდენჯერ გაიღვიძებენ,
გამახარებენ რამდენჯერ კიდევ!

□

ხევაზი

ჩუმი შრიალით ითვლიან დღეებს,
და ასე მათი ცხოვრებაც მიდის.
იმგვარად, როგორც ქალაქის ხეებს,
არვის სწყურია სიმაღლე დიდი.

მაგრამ გულშივე სივდება დარდი,
დარდი უთქმელი და უსამანო.
როცა მზე მთების გადაღმა ჩადის
და ბინდისფერი დგება საღამო,

აიკეცავენ ჩრდილებს ფრთებივით
და მიუჩრდება შრიალი მათი.
და მოლანდება მაღალი მთების
ღამით ქალაქის ქუჩებში დადის.

□

* * *

ქვაფენილებს და მხურვალე ასფალტს
ფრთხილად ეცემა ხეების ჩრდილი...
მზე თითქოს დნება თბილისის თავზე
და ამგვარი მზე უხდება თბილისს.

სანაპიროდან ქარი უბერავს
და ქალაქს წვიმის სურვილით ავსებს,
და ერთადერთი სქელი ღრუბელი,
როგორც იმედი, ჰკიდია ცაზე.

□

* * *

ცას უღიმოდა თვალები ფართო,
თვალები ჰქონდა ცასავით ღია...
ის დადიოდა ქუჩაში მარტო
და ბრუნდებოდა ოთახში გვიან.
აენთებოდა და, როგორც ბავშვი,
არბოდა კიბის საფეხურებზე...
და ელნათურა მაღალ ოთახში
ცალ თვალს უმწეოდ აფახულებდა.

მზის ამოსვლა

ამოდის მზე და
ამოდის მზე და
გულისპირივით გადაიხსნა ფერები დილის,
ამოდის მზე და...

არაგვის პირას,
იქ, ზედაზენთან,

ტირიფი დგას და

ფეხშიშველა ბავშვივით ტირის.

ამოდის მზე და
ამოდის მზე და

თითქოს გნოლივით ამიფრინდი,
დილაჲ ნათელო.
თითქოს მუხლები მოიყარეს ამაყმა მთებმა,
ეს მერამდენედ თვალეზს ახელს დღეს
საქართველო!

ამოდის მზე და
ამოდის მზე და

თითქოსდა ზეცა ცეცხლად აენთო,
ჩვენც ისე,
როგორც შვილსა და დედას,
სევდა მოგვკლავდა უერთმანეთოდ.

ამოდის მზე და
ამოდის მზე და
გულისპირივით გადაიხსნა ფერები დილის,
ამოდის მზე და...

არაგვის პირას,
იქ, ზედაზენთან,

ტირიფი დგას და

ფეხშიშველა ბავშვივით ტირის.

□

* * *

ვიბადებით და

ჩვენი თვალები

წამსვე საყვარელ თვალებს ეძებენ,

ვიბადებით და

ჩვენი თვალები

ხარბად ეტრფიან მზეს და ენძელებს.

ვიბადებით და

ჩვენი გულები

უსიყვარულოდ წუთით ვერ ძლებენ,

ვიბადებით და

ჩვენი ხელები

წამსვე საყვარელ ხელებს ეძებენ.

ვიბადებით და

ჩვენი ბაგენი

წამსვე წყურვილს და ღიმილს ამხელენ,

ვიბადებით და

ჩვენი ბაგენი

იზეპირებენ ძვირფას სახელებს.

ვიბადებით და

ჩვენი ფეხები,

როგორც ფესვები, მიწას ეძებენ,

ვიბადებით და
ჩვენი გულები
უსიყვარულოდ წუთით ვერ ძლებენ.

□

მერცხალი

მოფრინავ,

ცრემლი იღვრება მთებში
და სივრცეები შესვი თვალებით.
მოგაცილებდა ტალღების თქეში
და ინდოეთის ცხელი ქარები.

მოფრინავ,

მოგაქვს სიმწვანე მთების
და მიმოფანტე თეთრი ვარდები,
საოცარია, პაწია ფრთებით
როგორ მოზიდე ფერი ამდენი!

მოფრინავ,

მოგაქვს ყვავილი ნუშის
და მზე მხურვალე, ფრთამალო ჩიტო,
საოცარია, პაწია გულში
ვით ჩაიტე ამდენი სითბო!

მოფრინავ,

სადღაც გაპქრა ავდარი
და აცრემლება იწყეს იებმა,
ორი სამშობლოს ტრფობა ამგვარი
მხოლოდ მერცხლებს თუ ეპატიებათ.

□

ბოზა ქალები

ეს იყო წინათ,

ეს იყო წინათ.

მზით გარუჯული, ფეხშიშველა ბოზა ქალები

მოადგებოდნენ დედაჩემს კარზე.

მარჩიელიო! — იძახდნენ ასე

და საოცარი სუსტი ხელებით

ალებდნენ ჭიშკარს.

როგორც ჩრდილები, დასხდებოდნენ

სახლის კიბეზე

და ჯადოსნური სუსტი ხელებით

გაშლიდნენ კარტს და

ნალვლიანი შავი თვალებით

უცქერდნენ დიდხანს.

... და დამტვრეული რუსულ-ქართულით

იწყებდნენ ასე:

— შენ კაი ქალი,

შენ კაი გული,

მაგრამ გაწუხებხს დარდი ძალიან,

ეს ყველაფერი,

ეს ყველაფერი

აგი თვალის და ომის ბრალია...

და, როს ხედავდნენ უკაცო ოჯახს,

დასძენდნენ ასე:

— შენი კაცები შინ არ არიან,

შენი კაცები გზაზე არიან.

თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო,

მომეცი ფული, გაგიხსნა გული,

თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო,

მომეცი პური, მშობი ძალიან!

და რადგან დედას არ ჰქონდა ფული,

და რადგან დედას არ ჰქონდა პური,

ნატებხს მჭადრსას აძლევედა ბოშებს.

... და იწყებოდა ისევ თავიდან:

— შენ კაი ქალი,
შენ კაი გული,
მაგრამ გაწუხებს დარდი ძალიან,
ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი
ავი თვალის და ომის ბრალია.
შენი კაცები, მართალი ვითხრა
(და ბოშა განგებ ფიქრობდა დიდხანს),
შენი კაცები შინ არ არიან.
მომეცი ფული, გაგიხსნა გული,
თუ გინდა, ვითხრა, როგორ არიან.
... და დედაჩემიც, ვით ყველა ქალი,
ცნობისმოყვარე,
და დედაჩემიც, ვით ყველა ქალი,
რჩევისმოყვარე,
შავი ღლისათვის შენახულ გროშებს
აძლეოდა ბოშებს.
... და იწყებოდა ისევ თავიდან...
და ასე, ხშირად, ბოშა ქალები
სახელდახელოდ მოგონილ სიბრძნეს
აქცევდნენ მჭადად,
ჰყიდიდნენ გროშად
და ნადვლიანი შავი თვალებით
გვტოვებდნენ ჩვენ და ფეხშიშველები
მიაბიჯებდნენ შორეულ გზებზე.
... და უტოვებდნენ დედაჩემს იმედს.

□

სიტყვიანი ძველ სანგრაჟში

გვალვით დაშრეტულ მდინარეთა კალაპოტებს
ჰგვანან სანგრები,
წიგნის ფურცლებზე ცოცხლდებიან
დიდი ომები, —

დადლილ მამების თვალებში კი
 თვლემენ ომები,
 ვით ტყვე ლომები, რკინის ვიწრო გალიებში
 მომწყვდეულები...
 და ძველ სანგრებში ფეხაკრეფით დასეირნობს
 სიცარიელე.
 მცირე მიზეზი და... შეკრთება სიჩუმე დიდი
 ძველი სანგრების,
 მოწმენდილ ცაზე უცებ იქუხებს,
 უცებ იელვებს
 და გაავდრდება.
 კვლავ გახშირდება ტყვიისფერი
 მძიმე მაზარა,
 კვლავაც დადგება განშორების წუთები ძნელი
 და სულს გაბზარავს.
 წავლენ მამები,
 წავლენ ძმები,
 წავლენ შვილები
 და დარჩებიან პატარები ისევ მშვივრები.
 დამუნჯდებიან ისევ აკვნები,
 ახველდებიან ისევ სანგრები
 და ისე, როგორც ძველი ფაცხა,
 ფაცხა მეგრული,
 შეიბოლება ჰერი სანგრების...
 ჯანდაბას იქით, კვლავ სანგრებში
 ტყვიების ცეცხლი,
 ჯანდაბას იქით, კვლავ სანგრებში
 ტყვიების ბოლი.
 ასეთი ტყვიით, ასეთი ბოლით
 ცხელდება ლულა, ცივდება გული
 და სიკვდილია ყველაფრის ბოლო...
 დაე, დაშრეტილ მდინარეთა კალაპოტებს
 ჰგავდეს სანგრები,
 წიგნის ფურცლებზე ცოცხლდებოდეს
 დიდი ომები, —

ფრონტელ მამების თვალეზში კი
 თვლემდეს ომები,
 ვით ტყვე ლომები, რკინის ვიწრო გალიებში
 მომწყვდეულები.
 დაე, სანგრებში ფეხაკრეფით ისეირნოს
 სიცარიელემ
 და ასდიოდეს სურნელება ნედლი ბალახის,
 მაგრამ არასდროს — დენტის და ბოლის.
 დე, შეკივლება არ ბზარავდეს ჩვენს ცას
 უნაზეს,
 არ ასველებდეს დედის ცრემლი პატარას,
 მძინარს,
 და მოვარვარე ქვემეხების პირქუშ ლულაზე
 თვალს ნუ გაახელს ივნისის დილა.

□

რიწა

როგორც მთვლემარე ქალწული, ისე
 მთების მუხლებზე ნებივრობს რიწა.
 მწვანე მწვერვალი წასულა ცისკენ
 და ტბის სიმშვიდეს დუმილით იცავს.

ასეთ ფერებს და ასეთ სილურჯეს
 მოაქვს ფიქრი და მოუსვენრობა.
 მე მაგონდება შენი სიჩუმე
 და იღუმალი ღამის სერობა.

ჩვენ ამ ტბის პირას ვისხედით ერთად
 და ვარსკვლავები ცვივოდნენ ციდან,
 ისმოდა მზოლოდ გულების ფეთქვა
 და დუმილს ისევ დუმილი ცვლიდა.

და იყო დიდი
და იყო დიდი
და იყო დიდი გაურკვეველობა,
ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვიმღერეთ, დილით,
და ჩვენთან ერთად რიწაც მღეროდა.

მწუხარე ნისლი მოსდევდა ბილიკს,
ფრთხილი და ჩუმი, ვით მონადირე,
ვეცქერდი ტბას და ვერ მივხვდი, იგი
სიზმარი იყო თუ სინამდვილე.

და სუნთქვა მისი
და კრთომა მისი
კიდურ ბალებად ვიდოდა ცამდი,
თეთრი გედვივით კვდებოდა ნისლი,
როგორც საზღვარი სიზმრის და ცხადის.

და ღარჩა ჩემთვის, ვით გამოცანა
(და ეს სურვილი წუხილად იქცა),
თუ სად იწყება ტბისფერი ცა და
თუ სად მთავრდება ცისფერი რიწა.

ს ა რ ჩ ი მ ი

შოთა აკობია

ლენინის კარავი	3
გლუხაკის ხელი	5
ნაპოლეონის სარკე ზუგდიდის მუზეუმში	5
მამის სიკვდილი	7
ხარი	8
ვაზი რომ ტირის	9
მეზღვაურთა მოტივებიდან	9
ხმალზე ამოკითხული	10
ქვის ბედი	11

ევგენი აქუბარდია

ზღვის ლომი	51
----------------------	----

ხუტა გაგუა

მუსიკა	59
ევზიუპერის წიგნზე მინაწერი	60
ზამთარი	60
სული	61
აპრილი	62
პოეტის შემოდგომა	62
დაღლილი მხატვარი	63
* რა დღე გათენდა	63
ღრუბლები	64
გამოღვიძება	65
დაისი	66
ზღვა	67
გაზაფხულის წვიმა	68
განძი	68
ირინა	69
ირემი	70
* ჩემი ცხოვრების ტატნობზე	71
წვეთი	72
შემოდგომის დღე	73

ტიციან ტაბიძე	74
როგორც თანხმობა	75
ტრამალის სევდა	76
სამაგიერო	77
* მარად ერთგული იქნები საქმის...	78
საითაც გინდა	78
მარსი	78

ი ა ს ო ნ გ ე რ ს ა მ ი ა

დროებითი სასიძო	79
---------------------------	----

მ ო ს ე გ ვ ა ს ა ლ ი ა

მწყემსი	121
თარჩია	158

დ ი მ ი ტ რ ი გ ი გ ი ბ ე რ ი ა

ვაჟა რომ იყოს	183
მტკვრის პირას თქმული	184
ერთი ნახტომი	185
ჩრდილი	186
საუბარი გულთან	186
მწვერვალზე დავდგეთ ორი ძმობილი	187
ხილვა	189
მუდარა	190
ზმანება	190
ყოველი წამი	191
გზა	192
ჩვევა	193
ზღვა	193
ერთხელ ხილვით	194
რა იქნებოდა	195
ფიტული	196
შუადღის სიმფონია	197

ფ უ ც უ დ გ ე ბ უ ა ძ ე - ფ უ ლ ა რ ი ა

მოჩხუბარიძის სიკვდილი	207
---------------------------------	-----

მ ი რ ი ა ნ დ გ ე ბ უ ა ძ ე

ყვითელი ვარდი	211
-------------------------	-----



გ ე ნ ო კ ა ლ ა ნ დ ი ა

* შენ შორს ხარ ახლა 225
 შემკრთალი გული 226
 მუზეუმები 227
 პატარა მდინარე 228
 * ბროწეულაში თენდება ადრე 229
 ალგების იქით 229
 * გზებზე ასკილი... 230
 * სახურავებზე და ბალის ახლოს 231
 აჭვარიუმში 232

მ ი რ ი ა ნ მ ი რ ნ ე ლ ი

გზები 235
 გაზაფხული 236
 მთები 238
 ზაფხულის დღე ზღვაზე 238
 * ვით საზღაური ფიქრთა ჭიდილის 239
 სიყვარული 241
 ბავშვი 242
 დრო 243
 რწმენა 244
 სალამო კახეთში 245
 ტალღა და წუთი 246
 ღამე 247
 ბოშები 248
 ჩრდილი 249
 ზევი 249
 წუთისოფლის ერთი წუთი 250
 იმედი 251
 წეროების გადაფრენა 252
 ჩანს კვალი ახლა, ვით განაჩენი 252

ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ი ს ა ბ ი შ ვ ი ლ ი

გენერალი და მზეთუნახავი 255
 ერთგულების გამოცდა 269



ამირან მიქაუტაძე

სულხან-საბას ძეგლი თბილისში	279
ყინულმჭრელი „ლენინი“	280
* მზე ანათებდა ზაგრატის ტაძარს	280
რაქა	281
აფხაზური მგზავრული	282
* ისე საამოდ შემოხველ ჩემში	283
ნეკერჩხალი	284
ზამთრის ღამე	285
ზამთრისპირი აფხაზეთში	285
სანამ ოქროს წლების დრო არ გადასულა	286
ზღვის ფსკერი	287

ოთარ მიქაძე

თოვლის ვარდები	289
* ზამთრის ქარია...	290
იმედიანად შეჰყურებს ქედი	291
სამაია	291
პირველი თოვლი	292
* ავად ვიყავი...	293
შეხვედრა	293
* არსად მოცდენის არა გაქვს ნება	294

ზურაბ ნაყოფია

ძღვენი და ხმალი	297
---------------------------	-----

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე

აფხაზეთის გაზაფხული	309
მიწაზე ძედ შენი ასული!	310
ვინა ვარ	310
რუსთაველის ძეგლთან	311
გადავიქროლე თეთროხით	312
მე ბალახი ვარ	312
მუნჯი — მხატვრის სახელოსნოში	313
იხარე შენ, ჩემო ვენახო!	314
უღელი	315
სამტრედე	315
ალუბლის ტოტი	316
* ვიცი, ჩემს სათქმელს...	317



მ ი ხ ე ი ლ ჩ ა ჩ უ ა

შუადღე	318
სამშობლოს	319
ეს დღე შენია	319
საქართველო	322
ზღვა	323
გაგრა	323
* შენ მოდიოდი ისეთ თოვაში	323
იალბუჯი	324
გული	325
ერთი სიცოცხლე	326
უხილავი ნახევარსფერო	327
სხვისთვის იცინე, სხვისთვის იტირე!	350

ნ ო დ ა რ ხ უ ნ დ ა ძ ე

ნიჟარა	367
------------------	-----

მ უ რ მ ა ნ ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა

მეგობრებს	385
თოვლი	386
* მზე აწეულა ხეებზე მაღლა...	387
მამა	387
* ახლა მომწყურდი...	388
ფოთოლცვენა	389
უფლისციხე	390
ვაზის ფოთოლი	390
მოგონებები	391
ხეები	392
* ქვაფენილებს და მხურვალე ასფალტს...	392
* ცას უღიმოდა...	393

ჯ ა ნ ო ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე

მზის ამოსვლა	395
* ვიბადებით და ჩვენი თვალები...	396
მერცხალი	397
ბოშა ქალები	398
სიციარიელე ძველ სანგრებში	399
რიწა	401

РИЦА
ЛИТЕРАТУРАТӨ ЕИЗГА
(қырғызшала)

РИЦА
ЛИТЕРАТУРНЫЙ СБОРНИК
(на грузинском языке)

რედაქტორი მოსე ზვასალია

მხატვარი ვ. ვ. ცქვიტარია
ტექნორედაქტორი მ. დ. ხახვივერი
კორექტორი მ. ვ. ხურციძე

გაიყვანა წარმოებას 21.III.1968 წ. ხელმოწ. დასაბუჟდავ
24.X.1968 წ. ნაბეჭდ თაბ. რაოდ. 21,42, სააღრ. საგამომც. თაბ.
რაოდ. 16,65, ოფსეტის ქაღ. № 1, ზომა 84X108 1/32.
შუკ. № 620. ტირაჟი 3000. ~~ფასი 10000~~
გამომცემლობა «აღაშარა», სოხუმი, ლენინის ქ., № 9.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის შთაქარმოლიგრაფურწველობის
დენიწის სახელობის სოხუმის სტამბა № 7, სოხუმი,
ლენინის ქ., № 6.

ფანი 1 მ. 30 კ.



ქართული
ენციკლოპედია